


4511A.
ქ92819
3



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის

ნელინდუელი

VI



“წელიწადეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.


სარედაქციო საბჭო:

იოსებ ასათიანი (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, ზურაბ თოდუა, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მათია მიქაუტაძე (რედაქტორი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნათია სვინტრაძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, რევაზ შეროზია, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ამირან ხვადაგიანი, სტივენ ჯონსი.
ინგლისური ტექსტი თარგმნა ნინო უგულავამ.

პროექტის დირექტორი
ნარგიზ ჩოგოვაძე

ISSN 1987 - 9288

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ.ნუცუბიძის ქ. №1
ელ-ფოსტა: Library_Kutaisi@posta.ge
Library_Kutaisi@gmail.com



Annual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze scientific library V International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani (editor of the English texts), Nomadi Bartaia, Merab Beridze, Merab Gvazava, Zurab Todua, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze (editor), Avtandil Nikoleishvili, Natia Svintradze, Tariel Putkaradze (editor in chief), Leila Kvelidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (secretary responsible), Amiran Khvadagiani, Metropolitan Anania Japaridze, Stiven Jones.

English text was translated by Nino Ugulava.

Project Director
Nargiz Chogovadze

Address of the Editorial Office: L. Nutsbidze str. #1

e-mail: Library_Kutaisi@posta.ge

Library_Kutaisi@gmail.com

უინაარსი

ლელა ავალიანი - არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიისათვის.....	11
Lela Avaliani - For Arabic scientific terms.....	19
თამარ ახვლედიანი - ებრაული თემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.....	20
Tamar Akhvlediani - Jewish Motifs in the Works of Akaki Tsereteli	25
ნომადი ბართაია - ირანის ისლამური რესპუბლიკის დამოკიდებულება თავისი სახელმწიფო ენისადმი.....	26
Nomadi Bartaia - Islamic Republic of Iran's attitude towards its state language.....	30
დალი ბეთხოშვილი - ქეთევან წამებულის მხატვრული სახე ალექსანდრე ყაზბეგის დრამატული ნაწარმოების "წამება ქეთევან დელოფლისა" მიხედვით.....	31
Dali Betkhashvili - Artistic image of Ketevan Martyr according to dramatic work of Aleksandre Kazbegi "Sufferings of Queen Ketevan".....	36
დავით ბერძენიშვილი - ბრინჯაოს ბალთა სვანეთიდან.....	37
Davit Berdzenishvili - Bronze buckle from Svaneti.....	45
თამარ გასიტაშვილი - "რუსუდანიანის" სპარსული ნასესხობებიდან: თასი, ჴარფუში.....	47
Tamar Gasitashvili - From Persian borrowings of "Rusudaniani" : Bowl, Cover.....	54
დავით გეგეჭკორი, ირმა გოგოლიძე - საერთაშორისო კონფლიქტები და რელიგიური ფუნდამენტალიზმი.....	55
Davit Gegetchkori, Irma Gogolidze - International conflicts and religious fundamentalism.....	64
ოთარ გოგოლიშვილი - აკაკი და აჭარა.....	65
Otar Gogolishvili - Akaki and Adjara.....	68

ოთარ გოგოლიშვილი, რიტა წაკაძე - ებრაელთა ბათუმში დასახლების ისტორიიდან.....	69
Otar Gogolishvili, Rita Tsakadze - From the history of Jews' settlement in Batumi.....	76
ეკა დადიანი - ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ტაოურში.....	78
Eka Dadiani - Lexis denoting colors in Tao language.....	83
ნონა დათუაშვილი - პროკურორის მიერ ბრალის შეფასების ტექნიკა ბრალის წაყენება და ბრალის გამორიცხვა.....	84
Nona Datuashvili - The technique of fault valuation by prosecutor.....	90
ნათელა დანგაძე - სირიის კრიზისი - ქურთთა ავტონომიის წარმოქმნის საკითხი და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი.....	91
Natela Dangadze - Syrian Crisis – The Question of an Autonomous Kurdish Region and the Viewpoint of Turkish Foreign Policy.....	98
რუსუდან ზეკალაშვილი - უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ.....	99
Rusudan Zekalashvili - Unknown work about the speech of Jews from Kutaisi.....	107
გურამ თაყნიაშვილი - ილია ნაკაშიძე ბავშვთა თავისუფალი აღზრდის შესახებ.....	108
Guram Takniashvili - Ilia Nakashidze about free style children education.....	113
ვახტანგ თევდორაძე - ჰიქმა ას-სამავალის პოეზიაში.....	114
Vakhtang Tevdoradze - Hikmet in the poetry of As- Samavali.....	118
ზურაბ თოდუა - გრაფიკის წვერზე შობილი გრაფიკული სიმბოლოები.....	119
Zurab Todua - “Georgian Symbols born on the Summit of Graphics”.....	127

სოფიო იმედაძე - “მანანა” ლექსემა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.....	128
Sophio Imedadze - The lexical unit ‘manana’ in Sulikhan Saba Orbeliani’s ‘Georgian dictionary’.....	131
ეთერ ინჭკირველი - იუდაისტური დემონოლოგიური სახის ტრანსფორმაცია ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაში.....	132
Eter Intskirveli - Transformation of the Judaic Demoniactal Image in the Georgian Oral Tradition and Literature.....	141
რუსუდან კაშია - ქართველ ებრაელთა წვლილი XVIII ს. დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.....	142
Rusudan Kashia - Contribution of Georgian Jews in XVIII century social-economical existence of west Georgia.....	146
მერაბ კეზევაძე - ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში.....	147
Merab Kezevadze - Main streets of Jew settlements in XIX century.....	151
გიორგი კილაძე - სისტემის “საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის” რეორგანიზაციის საკითხისთვის.....	152
George Kiladze - On the issue of system reorganization in “National Parliamentary Library of Georgia”.....	160
მარიამ კობერიძე - ფრონეს ხეობის ტოპონიმი 1715 წლის რუისის დავთარში.....	161
Mariam Koberidze - Froni Valley toponym in Ruisi book of 1715.....	165
ნესტან კუტივაძე - მეათე კაცის კონცეპტი გურამ ბათიაშვილის რომან “მეათე კაციში”.....	166
Nestan Kutivadze - The Concept of the Tenth Man in Guram Batiashvili’s Novel “The Tenth Man”.....	171
ოლენა მაჭეკოვა - მწუხარებისა და სიხარულის ემოციების მეტაფორული კონცეპტუალიზაცია თანამედროვე სპარსულ ენაში.....	173

OLENA MAZEPOVA - "The Metaphorical Conceptualization of the Emotions of SADNESS and JOY in the modern Persian language".....	183
دکتر یلتا مازہ پوا	
.....مفہوم سازی استعارى احساسات "غم" و "شادی" در زبان فارسى معاصر	174
მარიამ მარჯანიშვილი - დიდი ქართული საქმის მსახურნი.....	185
Mariam Marjanishvili - The officers of great Georgian affair.....	191
გიორგი მელანაშვილი - ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ზოგიერთი საკითხი.....	192
Giorgi Melanashvili - On some issues of the illegal business activities related to the distribution of pharmaceutical commodities.....	197
რუსუდან მიქაუტაძე - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საგანმანათლებლო საქმიანობა (მე-20 ს.-ის 10-იანი წლების ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით)....	198
Rusudan Mikautadze - Educational activities of organization of spreading reading-writing skill among Georgians Kutaisi department /According to Kutaisi press of 1910s/.....	203
მაია მიქაუტაძე - ცვლილებანი იმერხეულში საუკუნის მანძილზე - I (ნ. მარისა და თანამედროვე ტექსტების მონაცემთა მიხედვით).....	204
Maia Mikautadze - Changes in Imerkheuli during a century.....	214
დიანა მოსეშვილი - არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნის პრინციპები.....	215
Diana Moseshvili - Principle of compiling Arabic Language Historical Dictionary.....	226
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე - ებრაული საკითხი ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში (ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნის - "ებრაული თემა ქართულ მწერლობაში" მიხედვით).....	227

Nora Nikoladze-Lomsianidze - Jewish in Georgian historical and theological writings (According to “Jewish theme in Georgian writings”-by Avtandil Nokoleishvili).....236

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქართველ ებრაელთა ჟურნალისტურ-პუბლიცისტური მოღვაწეობის საწყისი ქრონოლოგიური მიჯნა.....237
Avtandil Nikoleishvili - The starting chronological boundary of Jewish journalistic-publicistic activities.....247

ოთარ ნიკოლეიშვილი - “ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის” ისტორიიდან.....248
Otar Nikoleishvili - From the history of “Anti-fascist committee of Jews”.....254

ნიკოლოზ ოთინაშვილი - ლარგვისის მონასტრის 1470 წლის ტიპიკონის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება.....255
Nikoloz Otinashvili - Some language peculiarities of typicons of Largvisi Monastery made in 1470.....258

ნათია სვინტრაძე - ებრაელები ირანში.....259
یهودیان در ایران260

Natia Svintraze - Jews in Iran.....266

ზაზა სუხიშვილი - საკონცესიო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება კონცესიის წარმომავლობა.....267
Zaza Sukhishvili - Legal regulation of concession relationship.....273

მანანა ტაბიძე - როგორ მეტყველებენ ებრაელები ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში.....274
Manana Tabidze - Specific characteristics of Jew speech in Georgian Literature.....284

ტარიელ ფუტკარაძე - საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისათვის.....285
Tariel Putkaradze - On the matter of planning the language policy for Georgia.....295

ლეილა ქველიძე, ნათია დანგაძე - გენდერული საკითხი თანამედროვე ისრაელში.....	297
Leila Kvelidze, Natia Dangadze - Gender Issues in the Modern Israel.....	298
მურმან ქუთელია - პატრიოტიზმი ქართველ და არაბ რომანტიკოსებთან.....	303
Murman Kutelia - Patriotism in the Work of Georgian and Arab Romanticists (Article 1).....	312
რევაზ შეროზია - ზოგი რელიგიური ტერმინისათვის.....	313
Revaz Sherozia - For certain religious terms.....	315
დანა შლუხტმანი - იუდაიზმი, სამშობლო, იდენტობა აქტუალურ გერმანულ-ებრაულ ლიტერატურაში.....	316
Dana Schluchtmann - Judentum, Heimat und Identität in aktueller deutsch-jüdischer Literatur.....	317
Dana Schluhtman -Judaism, Native Country, Identity in Actual German-Jewish Literature.....	320
კობა ჩიხლაძე - საკანონმდებლო ხარვეზები და დაზარალებულის შეკვეცილი უფლებები საპროცესო შეთანხმებაში.....	321
Koba Chikhladze - Legislative Deficiencies and Impairment Limited Rights in Plea Agreement.....	327
შალვა ღიფუაშვილი - დანიელ ხანანაშვილი-საქართველოს ებრაელთა მემკვიდრე.....	328
ემზარ ჭანტურიძე, სალომე ჭანტურიძე - ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ.....	330
Emzar Tchanturidze, Salome Tchanturidze - Resources protected in Ilia Tchavtchavadze Scientific Library about the history of Georgia.....	354
რამაზ ხაჭაპურიძე - ქართული და ებრაული ნაციონალური სამზარეულო (აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულების ეთნოლოგიური მასალების მიხედვით; შეპირისპირებით ანალიზი).....	355
Ramaz Khachapuridze - Georgian and Jewish National Cuisine (According to the ethnological materials of the branch of Georgian Dialectology of Scientific Research Center at Akaki Tsereteli State University. Contrastive analysis.....	360

ოტარ ხინიკაძე - არასრულწლოვანთა შორის
გავრცელებულ დანაშაულთა გამომწვევი ფაქტორები.....361
Otar Khinikadze - Juvenile justice in Georgia.....365

მზია ხოსიტაშვილი - ბრენდინგი და რებრენდინგი
ბიბლიოთეკებში.....367
Mzia Khositashvili - Branding and re-branding in the libraries.....371

გია ხოფერია - ჯემალ აჯიაშვილის სონეტის ზოგიერთ
თავისებურებათა შესახებ.....372
Gia Khoferia - About some peculiarity of sonnet of Jemal
Ajiashvili.....377

საად მჰადი ჯაფერი- ტრანსპორტის მნიშვნელობა
და მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური
გავლენა378

الاقتصادية والسياسية – د.سعد مهدي جعفر
والاجتماعية.....379

DR. SAAD MEHDI JAFFER - The Importance Of
Transport And Its Impact In Terms Of The Economic, The
Political And The Social.....388

ალი ჰუსეინ ჰასან - ოღუზური მოღვმის ხალხთა
(თურქეთი, აზერბაიჯანი და ერაყის თურქმენები) ანექლოტების
ენა, სატირა და იუმორი.....389

Ali Hussein Hassan - **Oğuz Toplumun** (Türkiye, Azerbaycan
ve Irak Türkmenleri) Fıkralarında Dil, Hiciv ve Mizah.....390

Ali Hussein Hassan - Language, Satire and Humour of the
Jokes of the Peoples of Oghuz Descent Hazim Muhammad
Hussein. Special characteristics of Nazim Hikmet Poetry.....395

ჰაზიმ მოჰამედ ჰუსეინი - ნაზიმ ჰიქმეთის
პოეზიის თავისებურებანი.....396

خصائص التطور الشعري للشاعر ناظم حكمت وتأثيره بشعراء
الروس.....398

Hazim Muhammad Hussein - Special characteristics of Nazim
Hikmet Poetry.....402

ლელა ავალიანი

არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიისათვის

არაბული ენა ყურადღებას იქცევს თავისი ლექსიკის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. არაბულს უცხო ენებიდან სიტყვების სესხება ნაკლებად ახასიათებს, თუმცა მის ლექსიკაში გამოიყოფა გარკვეული ფენა უცხოური სიტყვებისა. არაბები ლექსიკას ითვისებენ უმთავრესად მონათესავე ენებიდან. ისლამამდელ ხანაში ირანის უშუალო მეზობლობის, მისი პოლიტიკური გავლენისა და სავაჭრო ურთიერთობის შედეგად არაბულში მრავალი სპარსული სიტყვა დამკვიდრდა. ამავე პერიოდს ეკუთვნის ბერძნულიდან ნასესხები სიტყვებიც, რომელთა რაოდენობა შემდგომ კიდევ უფრო გაიზარდა ბერძნული ფილოსოფიური, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურის შესწავლასა და თარგმნასთან დაკავშირებით.

ძველ არაბულში მიუთითებენ, აგრეთვე, ლათინური, და უფრო იშვიათად, ინდური წარმოშობის სიტყვებსაც.

მონღოლების ბატონობის დროს არაბულში შევიდა მთელი რიგი მონღოლური სიტყვებისა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ეს სიტყვები, როგორც წესი, მხოლოდ დიალექტებში გვხვდება.

უცხო სიტყვების საკმაოდ დიდი რაოდენობა არაბულში აღნიშნულია ძველი არაბი ფილოლოგების აბუ უბაიდასა და ალ-ასმაის მიერ. ზოგიერთი ნასესხები სიტყვის დადგენა ეკუთვნის ალ-ხალილის. უცხო სიტყვებს, როგორც ენის შემადგენელ ნაწილს, ჯერ კიდევ სიბავაიში იხსენიებს თავის გრამატიკაში. იბნეკუთაიბა და იბნდურაიდი იხილავენ ადრე დამუშავებულ მასალას და უმატებენ საკუთარ კონსტატაციებს; ალ-ჯავჰარისაც ეკუთვნის მთელი რიგი ნასესხები სიტყვების წარმომავლობის დადგენა. ამ საქმეში საყურადღებოა, აგრეთვე, იბნ სიდას საგნობრივი ენციკლოპედია. აღსანიშნავია ჯავალიკის ნასესხები სიტყვების ლექსიკონი “ალ-მუარაბა”, რომელშიც ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული მისი წინამორბედების გამონათქვამები.

შემდგომ პერიოდშიც, როდესაც არაბებმა დაიპყრეს წინა აზიისა და ჩრდილო კავკასიის მთელი რიგი ქვეყნები და შექმნეს სახალიფო, არაბულ ენაში იგრძნობა ბერძნული და ირანული ენების ძლიერი ლექსიკური გავლენა. არაბები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ირანსა და ბიზანტიაში ჩამოყალიბებული რთული ადმინისტრაციული აპარატი, ეს კი თავისთავად იწვევდა სათანადო ტერმინოლოგიის შენარჩუნებას. ამავე დროს, ომაელთა სახელმწიფო დაწესებულებებში ოფიციალურ ენად დიდხანს რჩებოდა ბერძნული.

მე-7 საუკუნის დამლევს, აბდალ-მალიქის მეფობის დროს, არაბული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იყო არაბულ სამყაროში, რადგან ამან გამოაცოცხლა არაბული ენა და ძლიერი ბიძგი მისცა ფილოლოგიურ მუშაობას.

არაბული ენის განვითარებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ყურანს, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი არაბული ლექსიკის გამდიდრებასა და მისი სიწმინდის დაცვას. სწორედ ამ დროს გახდა ნათელი, რომ სახალიფოში ყველა სათანადოდ ვერ ფლობდა კლასიკურ არაბულს. საჭირო გახდა ლექსიკური და გრამატიკული ნორმების მოწესრიგება და მათი სისტემატიზაცია, რისთვისაც, ცხადია, აუცილებელი იყო არაბული ენის საფუძვლიანი შესწავლა. ამ მიზნით არაბებმა, პირველ რიგში, ხელი მოჰკიდეს ძველი პოეზიის გადასინჯვასა და შესწავლას, დაიწყეს არაბული ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის საკითხების სისტემატური კვლევა და უკვე ჰიჯრის II საუკუნეში შეიმუშავეს არაბული გრამატიკა, დამყარებული ძველი პოეზიის, ყურანის ენისა და ბედუინთა ცოცხალი მეტყველების მონაცემებზე.

სახალიფოში ფილოლოგიური მუშაობა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს VIII საუკუნის პირველსა და IX საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს. ეს მუშაობა ძირითადად ბასრისა და ქუფის სკოლებში იყო გაშლილი. X საუკუნეში ბაღდადში დაარსდა ეკლექტიკური სკოლა. მან შეაჯამა ამ ორი გრამატიკული ცენტრის პრინციპები, მაგრამ უპირატესობა მაინც ბასრის სკოლის მიერ წამოყენებულ დებულებებს მიანიჭა.

არაბული ლექსიკის და, კერძოდ, მისი სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამდიდრებას ხელი შეუწყო დიდმა მთარგმნელობითმა მუშაობამ.

სირიასა და მესოპოტამიაში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ეწეოდნენ დიდ მთარგმნელობით მუშაობას. რომაელთა და შემდგომ ბიზანტიელთა ბატონობა სირიაში ხელს უწყობდა ელინური კულტურის გავრცელებას, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ სირიის მონასტრებში აღმოჩნდა მრავალი თარგმანი არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ხასიათის ტექსტებისა (კ. ბროკელმანი, 1898, გვ. 201).

სასანიანთა მეფემ ხოსრო I ანუშირვანმა ჯუნდიშაპურში 530 წელს დააარსა ფილოსოფიური და სამედიცინო აკადემია საკუთარი კლინიკით. ამ აკადემიამ, რომელშიც არაბულ ენაზე ისწავლებოდა ელინური მეცნიერება და ითარგმნებოდა ლიტერატურული ძეგლები, აბასელთა დრომდე იარსება (ა. კრიმსკი, 1911, გვ. 52).

დიდი მთარგმნელობითი მუშაობა იყო გაჩაღებული, აგრეთვე, ჩრდილო მესოპოტამიის ქალაქ ჰარანში. ეს ეკლექტიკურ-ფილოსოფიური სკოლა IX საუკუნის ისლამის სამყაროში ცნობილი გახდა როგორც “წიგნის სახლი”. ორი საუკუნის განმავლობაში აქ სწავლობდნენ, თარგმნიდნენ და, ამავე დროს, ავითარებდნენ ისეთ მეცნიერებებს, როგორცაა მათემატიკა და ასტრონომია.

ომელების ხანაში დამასკოში ითარგმნა მრავალი ნაშრომი ბერძნული, ფალაური და სხვა ენებიდან. გარდა ამისა, ასეთი მუშაობა წარმოებდა ბაღდადში, კორდოვოში, პალერმოსა და სხვა ქალაქებში.

აბასელთა პირველი ხალიფები ალ-მანსური და ჰარუნალ-რაშიდი ხელს უწყობდნენ მეცნიერების განვითარებას პრაქტიკული მიზნებისთვისაც. ამის გამო ამ პერიოდში ბერძნული, ინდური და სხვა ენებიდან ითარგმნა როგორც ძველი, ისევე იმ დროისათვის ახალი ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

მთარგმნელობითი მუშაობა და, საერთოდ, მეცნიერება თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს ხალიფა ალ-მა'შუნის დროს (813-833 წწ.). ალ-მა'შუნმა ბაღდადში დააარსა მთარგმნელთა კოლეგია საკუთარი ობსერვატორიითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ეს ინსტიტუტი ცნობილია بحلقة بيت "სიბრძნის სახლის" სახელწოდებით.

იმ დროის სამეცნიერო ტერმინოლოგია კარგადაა ასახული ისლამის ენციკლოპედიაში. ეს ენციკლოპედია შედგენილია X საუკუნის ბასრის სკოლის იმ მეცნიერების მიერ, რომელნიც "წმინდა ძმების" სახელით იყვნენ ცნობილი. ნაშრომი მოიცავს იმ ეპოქის სხვადასხვა მეცნიერის ყველა მიღწევას.

სამეცნიერო ლიტერატურის გარდა განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მხატვრული ლიტერატურის თარგმნასაც. თარგმნიდნენ უმთავრესად სპარსულიდან და ინდურიდან. მაგალითად, ბასრელმა სპარსელმა იბნ ალ-მუკაფამ ფალაურიდან თარგმნა "ქილილა და დამანა"; აბასელთა დინასტიის დროს ითარგმნა აგრეთვე "ვარლაამი და იოდასაფი", "სინდბადის წიგნი", "ქალის ცბიერების შესახებ", "მეფეთა წიგნი" და სხვ.

არაბული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა, კულტურისა და მეცნიერების სწრაფმა ზრდამ განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებები ენაში და, ბუნებრივია, პირველ რიგში, მის ლექსიკაში. საჭირო გახდა არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება.

ცნობილია, რომ X საუკუნის მეორე ნახევარში ალ-ხვარიზმიმ თავი მოუყარა იმდროინდელ არაბულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას ნაშრომში "მეცნიერებათა გასაღები". მის წიგნში ასახულია მეცნიერების მთელი რიგი დარგების ტერმინოლოგია (სამართლის, ისტორიის, თეოლოგიის, ლოგიკის, მეტრიკის, მუსიკის, მედიცინის, არითმეტიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის, მექანიკისა და ქიმიის).

X საუკუნისათვის არაბული ენა გაბატონებულია როგორც ადმინისტრაციულ აპარატში, ისე მეცნიერებასა და ლიტერატურაში. იმ დროისათვის იგი უკვე სამწერლობო ენაა, რომელსაც აქვს ზუსტად დადგენილი ნორმები და საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ტერმინოლოგია.

მონღოლების შემოსევას და ბაღდადის დაცემასთან ერთად (1258 წ.) არაბული ენის გავრცელების არე კიდევ უფრო იზღუდება. ენის სიწმინდის დაცვისათვის საჭირო გახდა ფილოლოგიური ხასიათის ახალი სახელმძღვანელოები და ნაშრომები. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს სელჩუკების "ნიზამიების" პროფესორ-მასწავლებლებმა. ისინი ადგენდნენ კრებულებს, სადაც დაწვრილებით იყო აღნუსხული არაბულისათვის მიუღებელი ფრაზეოლოგია. კრებულებს უწოდებდნენ "ლაჰნს" (لحن - "ენობრივი შეცდომა", "ბარბარისმები"). გამოდიოდა, აგრეთვე, "فقه اللغة" "ენის კანონმდებლობა".

არაბული ენის დაცვისა და განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი აქვს განმარტებით ლექსიკონებს, რომლებშიც აღნიშნულია ცვლილებები ლექსიკაში და ასახულია ძველი და ახალი სიტყვაფორმები.

უძველესი არაბული განმარტებითი ლექსიკონი შედგენილია VIII საუკუნის ბასრელი გრამატიკოსის ალ-ხალილის მიერ. ეს ლექსიკონი ცნობილია "ანის წიგნის" სახელწოდებით. ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია საარტიკულაციო ადგილის მიხედვით (ჭერ Ⴢ, შემდეგ Ⴢ- და ა.შ).

მოგვიანებით მუჰამად იბნ აჰმად ალ-აზჰარი (გარდ. 980 წ.) ადგენს ათტომეულ ლექსიკონს “ენის გაუმჯობესება”.

X საუკუნის დამლევსალ-ჯავჰარიმ (გარდ. 1003 წ.), რომელიც ენის შესწავლის მიზნით დიდხანს ცხოვრობდა ბედუინებთან, შეადგინა ლექსიკონი. იგი მოიცავს 40 000 სიტყვას. ძირები დალაგებულია ანბანის თანმიმდევრობით. XI საუკუნეში გამოდის იბნ სიდას (გარდ. 1066 წ.) 17-ტომიანი ლექსიკონი სათაურით: “მტიცედ დადგენილი არაბულ ენაში ანუ ზუსტი”. XIII საუკუნეში ბაღდადეღა ალ-საღანიმ (გარდ. 1252 წ.) შეადგინა ოცტომეული “გადმოსული ტალღები”, ხოლო იბნ მანზურმა (გარდ. 1311 წ.) აგრეთვე, ოცტომეული “არაბული ენა”.

XIV-XV სს. ალ-ფაირუზაბადიმ (გარდ. 1414 წ.) გააერთიანა იბნ სიდასა და ალ-საღანის ლექსიკონები ერთ სამოცტომიან ლექსიკონში “ყოველისმომცველი ოკეანე” (“კამუს” ამ ლექსიკონის გამოსვლის შემდეგ იხმარება საერთოდ ლექსიკონების აღსანიშნავად).

1767 წ. გამოდის “პატარძლის გვირგვინი კამუსის ახსნა-განმარტების შესახებ”. ლექსიკონი შედგენილია ევგვპტელი ალ-ზაბიდის მიერ (გარდ. 1791 წ.). მასში ვრცლადაა განმარტებული და კომენტირებული “კამუსის” სიტყვები, მოყვანილია სათანადო დოკუმენტაცია პოეზიიდან და გრამატიკოსთა ნაშრომებიდან.

XIX საუკუნეში ბუტრუს ალ-ბუსთანის ლექსში მრავალი გვიან წარმოებული სიტყვაა შეტანილი, მაგრამ ავტორს არა აქვს აღნიშნული, თუ როდის გვხვდება პირველად ესა თუ ის სიტყვა (ეს ლექსიკონი გამოიყენა დოზიმ (1820-1883 წწ.) თავისი ლექსიკონისთვის).

მუჰამედ ალის დროს (1769-1849 წწ.) იწყება არაბული ქვეყნების შინაგანი რეორგანიზაცია. მან დააარსა სამხედრო, სამედიცინო, საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და ინსტიტუტები ხელოვნებისა და მრეწველობის შესასწავლად. მუჰამედ ალი ფაშამ არაბული ოფიციალურ ენად გამოაცხადა. იმ დროიდან სკოლებში სწავლება არაბულ ენაზე იწყება.

მუჰამედ ალის ინიციატივით პირველ რიგში დაიწყო უცხო სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თარგმნა. მუჰამედ ალიმ, ისევე როგორც ალ-მა'ჟუნმა, დააარსა “ბაით ალ-ჰიქმის” მსგავსი სპეციალური დაწესებულება უცხო, ძირითადად ფრანგული და ინგლისური, ლიტერატურის სათარგმნელად. იმდროინდელ მთარგმნელებს შორის უნდა გამოვყოთ რიფა'ა რაფი'ი ალ-ტაჰტავი (დაბ. 1801 წ.). ალ-ტაჰტავიმ თარგმნა რამდენიმე ფილოსოფიური სტატია და ნაშრომი გეომეტრიასა და გეოგრაფიაში. ის, ამავე დროს, ხელმძღვანელობდა მთარგმნელობით მუშაობას. მისი სკოლიდან მრავალი მთარგმნელი გამოვიდა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობა ეროვნული ტერმინოლოგიის დამუშავების საჭიროება. ენის სიწმინდის მომხრე არაბები ყოველმხრივ ცდილობენ შექმნან საკუთარი ტერმინები ეკონომიკის, პოლიტიკის, ტექნიკისა და სხვა დარგებში. ტერმინოლოგიაზე მუშაობის დროს არაბებმა, პირველ რიგში, მიმართეს საკუთარ ენას და ამ მიზნით დაიწყეს ძველი ძეგლების თავიდან შესწავლა.

ამ ფილოლოგიურ მუშაობას დიდად შეუწყო ხელი არაბულ ქვეყნებში წიგნის ბეჭდვის შემოღებამ. წიგნის ბეჭდვა სირიელმა ქრისტიანებმა დაიწყეს, თუმცა მას არ ჰქონდა მასობრივი ხასიათი. იგი მოგვიანებით განვითარდა ეგვიპტეში. 1821 წელს მუჰამედ ალის ინიციატივით ბულაკში გაიხსნა სტამბა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არაბული გაზეთის დაარსებას. პირველი არაბული გაზეთი გამოუშვეს ფრანგებმა 1799 წელს კაიროში არაბ ჯარისკაცთათვის იგი ემსახურებოდა აგიტაციასა და პროპაგანდას და მისი გამოშვება შეწყდა ნაპოლეონის ექსპედიციის მიერ ეგვიპტის დატოვებისთანავე.

1828 წელს მუჰამედ ალის ინიციატივით გამოდის გაზეთი.

ენობრივი და ტერმინოლოგიური საკითხების მოწესრიგების მიზნით, იქმნება სპეციალური საზოგადოებები.

1892 წელს თაუფიკ ალ-ბაქრიმ დამასკოში დააარსა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც იხილავდა არაბული ენის პრობლემებს. ამ საზოგადოებამ 1893 წლამდე იარსება. 1907 წელს კვლავ დააარსეს საზოგადოება “მეცნიერებათა სახლი”, რომელიც 1908 წლიდან უშვებდა თავის ჟურნალს. ამ საზოგადოებამაც მცირე ხანს იარსება.

1917 წელს კიდევ ერთხელ სცადეს ანალოგიური საზოგადოების დაარსება. ეს საზოგადოება 1925 წლამდე არსებობდა.

1917 წელს ეგვიპტეშიც შეიქმნა ენის კვლევის სამეცნიერო საზოგადოება, რომელმაც მხოლოდ ორ წელიწადს იარსება.

1919 წელს დამასკოში სირიის განათლების მინისტრის მუჰამად ქურდ ალის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი არაბული მეცნიერებათა აკადემია. 1921 წელს დაიწყო ამ აკადემიის ორგანოს გამოქვეყნება.

1934 წელს ეგვიპტეშიც შეიქმნა ენის აკადემია. აკადემიის ძირითად ამოცანას შეადგენდა ენის სიწმინდის დაცვა, ლექსიკონების შედგენა, სპეციალური საკითხების დამუშავება ცალკეული სიტყვების ისტორიის შესახებ, დიალექტების შესწავლა და სხვ. ეს მუშაობა აისახა აკადემიის სპეციალურ ორგანოში.

არაბული ენის მეცნიერული შესწავლის მესამე კერას წარმოადგენდა ერაციის სამეცნიერო აკადემია. იგი დაარსდა შედარებით გვიან — 1947 წელს.

არაბული თანამედროვე ლექსიკისა და, კერძოდ, სამეცნიერო ტერმინოლოგიის, მოწესრიგებისა და შესწავლის მიზნით, გამოდის სპეციალური ხაშრომები და ტერმინოლოგიური ლექსიკონები. მაგ., 1929 წელს კაიროში გამოვიდა დოქტორ მუჰამად შარაფის მედიცინის, ბიოლოგიისა და სხვა მონათესავე მეცნიერებათა ინგლისურ-არაბული ლექსიკონი *Dictionary of Medicine, Biology and Allied Sciences*, 1930 წელს კი აჰმად ისას “მცენარეების სახელწოდებათა ლექსიკონი”.

მუჰამად ბრუჟშმა და გეორგ კამფმაიერმა გამოაქვეყნეს თანამედროვე არაბული ტერმინოლოგიის ვრცელი ცნობარი - “თანამედროვე არაბული ტერმინოლოგია”.

მუსტაფა ალ-შიჰაბის დიდი ღვაწლი მიუძღვის სოფლის მეურნეობისა და ბუნებისმეტყველების ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში. 1934 წელს დაიბეჭდა მისი სასოფლო-სამეურნეო ტერმინების ლექსიკონი. 1958 წელს კი - “მცენარეების ტერმინოლოგია”.

1943 წელს დამასკოში გამოდის მა'შუნ ალ-ჰამავის "დიპლომატიური ტერმინოლოგია".

1950 წელს დაიბეჭდა გეოლოგიური ტერმინოლოგია. ავტორები ცდილობენ წარმოადგინონ ყველა გეოლოგიური ტერმინის ზუსტი თარგმანი.

1951 წელს გამოდის მედიცინისა და ქიმიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

1952 წელს ბაღდადის აკადემიის ჟურნალში დაიბეჭდა "რკინიგზის ტერმინოლოგია". ამავე ჟურნალის V ტომში გამოქვეყნდა "ნავთობის წარმოების ტერმინოლოგია". დოქტორ იბრაჰიმ ანისის კვლევაში "არაბული დიალექტების შესახებ" წარმოდგენილია საინტერესო მსჯელობა მრავალ ფონეტიკურ ტერმინთან დაკავშირებით).

მუსტაფა ჯავადის ნაშრომში "ენათმეცნიერული კვლევა-ძიება ერაყში" განხილულია არაბული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის საკითხები.

სპეციალურ ნაშრომში "ფილოსოფიის ტერმინოლოგიის შესახებ" ქამილ სალიბამ შეაგროვა ის არაბული ფილოსოფიური ტერმინები, რომლებიც გვხვდება ფილოსოფიურ ნაშრომებში, სტატიებსა და ლექსიკონებში.

ზღვაოსნობის ტერმინოლოგია განხილულია დამასკოს აკადემიის ჟურნალის 1958 წლის მესამე ნომერში.

1991 მუჰამად ალი ალ-ხულის ავტორობით იბეჭდება თეორიული ენათმეცნიერების ლექსიკონი.

1995 წელს გამოიცა "ყურანის გრამატიკული ანალიზის ლექსიკონი" (A Dictionary of Grammatical Analysis of the Holy Quran), შესავალი დაურთო ეგვიპტის მუფთიმ მ.ს. ტანტავიმ. აღნიშნული ლექსიკონის მესამე გამოცემა 1998 წლით თარიღდება.

2002 წელს ბაჰრეინში გამოდის თანამედროვე არაბული საენათმეცნიერო ლექსიკონი.

2006 წელს ლიბანში გამოიცა ორენოვანი (არაბულ-ინგლისური) სამედიცინო ლექსიკონი, 2009 წელს კი — სამენოვანი (არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე).

ევროპაში არაბული ენით, კერძოდ, მისი ლექსიკით დაინტერესება XVII საუკუნეში იწყება. 1693 წელს გამოდის არაბულ-ლათინური ლექსიკონი. ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰოლიუსმა (1596-1667 წწ.) ლათინურ ენაზე დაამუშავა არაბული განმარტებითი ლექსიკონი (Jacobus Golius, Lexicon arabico latinum contextum exprobatioribus orientie lexicographi Lugdunt-Batevarum).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში იბეჭდება ფრაიტაგის (1788-1861 წწ.) ისევ არაბულ-ლათინური ლექსიკონი (G. W. Freytag, Lexicon Arabico-Latinum, T.I-IV, Halis Saxonum, 1830-1837), რომელმაც თავისი საბოლოო დასრულება ლეინის (1801-1870 წწ.) არაბულ-ინგლისურ ლექსიკონში ჰპოვა (E. W. Lane, Anarabic-english Lexicon. Part 1-8. London. 1863-1893). ამას მოჰყვა კლასიკური არაბულის ლექსიკონები შედგენილი ფიშერის, ნოლდეკესა და რეკენდორფის შეგროვებულ მასალაზე.

შემდგომ პერიოდში ევროპაში იბეჭდება მცირე მოცულობის ლექსიკონები. ფრაიტაგის ლექსიკონი გადაამუშავა ბიბერშტაინ-კაზიმირსკიმ (1808-1887): A. De Bibersteinkazimirski. Dictionnaire arabe-français. I-II, Paris, 1846, 1860).

1877 წელს გამოდის ვარმუნდის “თანამედროვე არაბულ-გერმანული ლექსიკონი”.

ჟ. ბელოს (1882-1904 წწ.) ცნობილ არაბულ ფრანგულ ლექსიკონში, ძირითადად, თავმოყრილია ძველი არაბული ენის ლექსიკა. იგივე შეიძლება ითქვას ჰავას არაბულ-ინგლისური ლექსიკონის შესახებ.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ილიასის ლექსიკონი. ავტორმა ამ ლექსიკონში წარმოგვიდგინა როგორც სალიტერატურო, ისე სპეციალური სამეცნიერო დარგების ლექსიკა.

1899 წელს გამოდის ჟ. ჰავას არაბულ-ინგლისური ლექსიკონი, 1913 წელს — მ. ატაიას არაბულ-რუსული ლექსიკონი.

პირველი სრული არაბულ-რუსული ლექსიკონის ავტორია კ. ოდე-ვასილევა (1929 წ.) მასში ასახულია თანამედროვე არაბული ლექსიკა.

ცალკე უნდა გამოიყოს ბარანოვის არაბულ-რუსული და ვერის არაბულ-გერმანული ლექსიკონები, რომლებიც სათანადო სისრულით ასახავენ თანამედროვე არაბულ ლექსიკას.

ბარანოვის ლექსიკონი ითვალისწინებს თანამედროვე პრესის - გაზეთის, ჟურნალის, პოლიტიკურ-ეკონომიკური ლიტერატურისა და, რამდენადმე შეზღუდულად, ბელეტრისტიკის ენას. გარკვეული ადგილი ეთმობა სამეცნიერო ტერმინოლოგიას.


“დიდი არაბულ-რუსული ლექსიკონის” ავტორია იუშმანოვი. ლექსიკონი მოიცავს 25 000 ათას სიტყვასა და გამოთქმას. ლექსიკონში შესულია ფართოდ გავრცელებული ლექსიკა და სპეციალური ტერმინოლოგია. რუსულ-არაბული ლექსიკონი ეკუთვნის ვ. ბორისოვსაც, რომელშიც 42 000 ლექსიკური ერთეულია თავმოყრილი. იგი გნკუთვნილია თარჯიმნების, სტუდენტებისა და მეცნიერ-თანამშრომელთათვის. გადამუშავებულია გეოგრაფიული ტერმინები.

აღნიშვნის ღირსია გირგასის ყურანისა და ჰადისების არაბულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც შედგენილია კლასიკური ტექსტების საფუძველზე. თითოეულ სიტყვა-სტატიას ხშირად სინონიმები და ანტონიმები ახლავს. მოცემულია ცალკეული ფრაზებისა თუ აიების თარგმანიც.

1938 წელს გამოიცა ს. ჯეფერის ლექსიკონი “ნასესხობები ყურანში” (The Foreign vocabulary of the Quran).

სამედიცინო ტერმინოლოგია განხილული აქვს გ. არსლანიანსა და ი. შუბოვს “რუსულ-არაბულ სამედიცინო ლექსიკონში”. ლექსიკონში თავმოყრილია 2000 ტერმინი მედიცინის სხვადასხვა სფეროდან და განკუთვნილია ექიმებისათვის, მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთათვის. ლექსიკონის შედგენისას ავტორებმა გამოიყენეს კაიროს, დამასკოსა და ერაყის მეცნიერებათა აკადემიების მიერ მოწოდებული არაბული სამედიცინო ლიტერატურა და ტერმინოლოგია.

1965 წელს მოსკოვში გამოდის “არაბულ-რუსული და რუსულ-არაბული სამხედრო ლექსიკონი. ლექსიკონის პირველი ნაწილი (შემდგენლები: ს. დანილოვი, ვ. რიჟკოვი, გ. აისიმოვი) მოიცავს 2000 ტერმინს, ტერმინოლოგიურ და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას, რომელიც უკავშირდება სამხედრო ტექნიკას, შეიარაღებას, მომზადებასა და ტაქტიკას, ყველა ტიპის შეიარაღებული ძალის სტრატეგიას. რუსულ-არაბული ნაწილი (შემდგენელი ი. დანილოვი) 4 ათას მთავარ ტერმინსა და გამონათქვამს აერთიანებს.



არაბული ენის სირიული დიალექტის ავტორები არიან მ. მასარანი და ვ. სეგალი (სირიული დიალექტის არაბულ-რუსული ლექსიკონი). მასში შესულია 12 000 ფართოდ გავრცელებული გამოთქმა. სიტყვები წარმოდგენილია არაბული და ლათინური გრაფიკით (1979 წ.).

სამეცნიერო ტერმინოლოგიაა თავმოყრილი “რუსულ-არაბულ ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ხაზვისა და ბიოლოგიის ლექსიკონში” (ავტორები: ნ. კუზნეცოვი, ა. ნიკიშინი). იგი მოიცავს 11 000 ტერმინსა და შესიტყვებას. რიგ სიტყვებს ახლავს განმარტებებიც. ლექსიკონი განკუთვნილია არაბული ქვეყნების სტუდენტების, სპეციალისტებისა და მთარგმნელებისათვის.

2009 წელს გამოცემული “მქადაგებლის რუსულ-არაბული ლექსიკონი” აერთიანებს ფართოდ გავრცელებულ ფრაზებსა და სიტყვებს, რომლებსაც ისლამის მქადაგებლები იყენებენ (ავტორი მუჰამად ფარას შანტა).

2009-2011 წლებში ლიდსის უნივერსიტეტის ენის კვლევის ჯგუფი ქმნის ყურანის ლექსიკონის ელექტრონულ კორპუსს <http://corpus.quran.com/qurandictionary.jsp>

როგორც ვხედავთ, არაბულ ქვეყნებსა და ევროპაში სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო ტერმინოლოგიის დარგში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ბელოვა, 1999- А.Г.Белова, Очерки по истории арабского языка, М., 1999;
- კ. ბროკელმანი, 1898 - Brockelmann, G, Ceshichte der arabishen Literatur, B.I, Weimar, 1998, გვ. 201).
- ვ. ზვეგინცევი, 1959 - В. Звегинцев, История арабского языкознания, М., 1958;
- ა. კრიმსკი, 1911 - А. Крымский, Арабская литература в очерках и образцах. М. 1911. стр. გვ. 52).
- Encyclopædia of Islam, 2nd Edition.**, 12 vols. with indexes and etc., Leiden: E. J. Brill, 1960–2005

LELA AVALIANI**FOR ARABIC SCIENTIFIC TERMS**

Arabic language attracts attention with the abundance and variety of lexis. For studying Arabic lexis and particularly scientific terms number of works and scientific dictionaries are published, scientific societies for language research are founded. In Arabic countries and Europe the work is being done in the field of scientific terms on a constant basis.

This work presents the history of development of Arabic scientific terms with the consideration of special literature.

თამარ ახვლედიანი

ებრაული თემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

აკაკი წერეთლის შემოქმედებას ებრაული თემაც მიუყვება ნაკადად. იგი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: ერთ მხრივ, ესაა ბიბლიურ ებრაელთა სახეები, “ძველი აღქმის” სამუდამო დანალექი მის მხატვრულ სამყაროში, მეორე მხრივ, კი აკაკის თანამედროვე ქუთაისელ ებრაელთა პორტრეტები.

საინტერესოა ისიც, რომ აკაკი ერთხელ, მატარებლით მგზავრობისას, კარაიმად, რუსეთის იმპერიაში პრივილეგირებულ ამ ებრაელთა ჯგუფის წარმომადგენლად ჩაუთვლიათ.

აკაკის პიესებში, მოთხრობებში გვხვდება ებრაელთა მეტყველების ნიმუშები. აკაკის მიერ ჩაწერილი ებრაული დიალექტი, ისევე, როგორც სხვა დიალექტები, ამბობენ, რომ უშეცდომოა. ის აკაკის მიერ ძირითადად კომიკური ელფერის შესაქმნელად გამოიყენება და წარმოადგენს პერსონაჟის ენობრივ დახასიათებას.

საინტერესოა აკაკის ერთი მეცნიერული ჰიპოთეზაც. იგი თვლიდა, რომ ასტროლოგები იყვნენ კოლხი ქალდეველები და არა ებრაელი ხალდეველები.

რადგან დრო და ადგილი არ გვაქვს, ზემოთ ჩამოთვლილ საინტერესო საკითხებზე ვერ ვიმსჯელებთ. თუმცა შეიძლება, ისინი რიგითი მკითხველისთვის უფრო მიმზიდველიც კი ყოფილიყო.

ამჟამად გვსურს გამოვყოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა.

შეიძლება თუ არა აკაკის რაიმე კავშირი ჰქონდეს კაბალასთან? ეს საკითხი, უეჭველი, ებრაულ თემას დაუკავშირდება. კაბალა ხომ ჩაისახა, როგორც ებრაული მოვლენა.

საერთოდ, რატომ უნდა დავსვათ ეს საკითხი აკაკისთან, რომელიც დაბადებით ქრისტიანი იყო, მშობლებს ღვთისათვის ჰყავდათ შეწირული, ბერად აღკვეცას უპირებდნენ და რელიგიურად შესანიშნავად იყო დამოძღვრილი?

ამის მიზეზი ისაა, რომ, აკაკის აზრით, რუსთაველის ღმერთი ორჰიპოსტასიანია. იგი წერს:

“ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”,
ასე შეჰკადრა დიდ მეფეს ჭიაბერ, ბრძენმა სოგრატმა,
და მით გამოსთქვა უტყუვრად მთლად საქართველოს გულისთქმა.
მაგრამ, რაცა თქვა, ვერა თქვა, ვერ გამოხატა სავსებით,
ის, ვინც მეტია ამქვეყნად ყოველთა არსთა არსებით,
ვინც მამაკაცი გონებით და გრძნობით დედათ სქესია,
სითბო-სინათლის შენათხზვა დღიურ მნათობთა წესია“.

ამას გარდა, წერს, რომ პოეტის ერთი “აღე” ანდროგენია, რომ პოეტს აქვს მამაკაცის უკიდურესობამდე განვითარებული გონება და ქალის უკიდურესობამდე განვითარებული გული; ამის გამო ის არამყარ არსებას ჰგავს. ხან რაციონალისტია, ხან გრძნობას აყოლილი, მაგრამ როცა ნამდვილი

შედევრები იქმნება, ეს ორივე საწყისი თანაბრად და ჰარმონიულად თანაარსებობს მასში. სწორედ ამ დროს სახლდება პოეტში ღმერთი თავისი როგორც გონითი, ისე გრძნობითი საწყისით. ამ დროს ის სრულად ატარებს ღმერთს, როგორც მისი ქადაგი; წერს, რომ პოეტი შექმნილია ანდროგენული ღვთის სახედ და მსგავსად, არ წერს, რომ “ადამ კადმონივით”.

ის ამბობს:

“არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ,
მონა ვარ მეუფისაო,
მის ნება-სურვილს ვასრულებ,
მორჩილი გულისთქმისაო”.

და საბოლოოდ გამოდის, რომ აკაკის ღმერთი ჰგავს არა მარტო ნეოპლატონურ და არეოპაგეტულ ან სუფიურ ღმერთს, რომელიც ემანირდება ერთიდან სიმრავლედ და მერე მასვე უბრუნდება და სამყაროში მბრუნავი სიყვარულის ენერჯიაა, რაც შეიძლება რუსთაველის და ალორძინების ხანის ქართული პოეზიის გავლენითაც მიიღო, არამედ ორჰიპოსტაზიან ანდროგენსაც, რაც, რასაკვირველია, უკვე აღარ მოდის ქართული აზროვნებიდან და რუსთაველიდან. ამას ვამბობ იმ მასალებზე დაყრდნობით, რაც რუსთაველთან დაკავშირებით ხელთ გვაქვს.

რუსთაველის მონოთეისტური, ფილოსოფიური ღმერთი თავსატეხი აღმოჩნდება ჯერ რელიგიურ მოღვაწეთათვის, მერე ლიტერატურათმცოდნეთა და ფილოსოფოსთათვის. ნიკო მარმა ის მაჰმადიანურ ძეგლადაც კი გამოაცხადა, რასაც აკაკიც მოესწრო. არაა გასაკვირი, რომ აკაკისაც ეძებნა “ვეფხისტყაოსნის” სხვა, არაორთოდოქსალურ-ქრისტიანული ფილოსოფიური წყაროები.

კაბალას პირველი წიგნი “ჰაეცირა” მე-9 საუკუნეში შეიქმნა, “ზოჰარი” (ციალი) მე-13 საუკუნეში, მასზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია მე-11 საუკუნის ებრაელ ფილოსოფოსს — გებიროლს. წერენ, რომ ის წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს რელიგიასა და ფილოსოფიას შორის, რომ კაბალაში გაერთიანდა ებრაული რელიგიის, სპარსული რელიგიის, ნეოპითაგორეიზმისა და ნეოპლატონიზმის ელემენტები.

მის მიხედვით ღმერთი შეუცნობი არარაა. დასაწყისში ის მოიცავს მთელს სამყაროს. მერე იკუმშება და ხელახლა იწყებს გაშლას. ტრანსცენდენტალური სიყვარული, მამა ანაყოფიერებს ტრანსცენდენტალურ სიცოცხლეს, დედას და შობს ძეს. ასე რომ, პირველი საფეხური არის მამა, რომელიც შემდეგ საფეხურზე (დაღმასვლისას) შობს ძეს, რომელიც არის არა იესო, არამედ ადამ-კადმონი.

ძე ერთდროულად არის სიტყვაც და საქმეც. ისაა “ტრანსცენდენტალური სამყაროს დიდი არქიტექტორი”.

წაკითხულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ის მიქელანჯელოს ადამივით კი არ იხილება, არამედ ცნებების, ციფრების, სინათლის რგოლების და ა.შ. სახით. ე.ი. ესაა არა ხორცშესხმული ადამიანის მსგავსი, არამედ ადამიანის გონითი აპარატი, რითაც იგი აწესრიგებს აღქმისას ნივთთა სამყაროს. იგი წარმოადგება პირველადი არქეტიპების, რაღაც პლატონის იდეების მსგავსი სახით, რომელიც ღებულობს 10 ციფრის და ებრაული ანბანის 22 ასოს სახეს.

ადამ-კადმონი თვითონ არის ადამიანის პირველი დედა. ადამ-კადმონის ტახტს შემოხვევიან სეფიროთები. პირველი სამი სეფიროთი წარმოადგენს გონის ეტაპს, შემდგომი სამი — სულისას, ბოლო კი — მატერიისას, ე.ი. მისგან გამოდინებული სულიერ-მატერიალური სამყარო არის ის, რადაც გვევლინება სამყარო, დედამიწაზე განლაგებული ადამიანთა სამფლობელო არის ადამ-კადმონიდან გამოსხივებული, მისით სავსე სივრცე, რაც ოდნავ სუბიექტურ იდეალიზმს ჰგავს. ადამიანის იდეა თვითონ ქმნის ადამიანურ სამყაროს.

კაბალაში არ წერია, რომ მამა ანდროგენია (სანამ დაიშლება მანამ მანც). აკი ვთქვით, რომ ის მამრული საწყისი სიყვარულია (სულიწმინდასავით), დედა, ყოვლისმშობელი ქალური საწყისი კი სიცოცხლე, მაგრამ ძე, ადამ-კადმონი ანდროგენია.

ბიბლიური, შუა საუკუნეების ფილოსოფიური და ლიტერატურული ტრადიციით, მისი ქალური ნაწილი, სიბრძნის ქალწული ან ევა, რომელიც მასშივე იყო, შემდეგ გაასხვისეს და განაცალკევეს მისგან და მარადი ლტოლვის საგნად უქციეს. როგორც ვხედავთ, კაბალაში ღვთის ემანაციას ქორწინებისა და შობის სახე აქვს. მერე ადამ-კადმონიც ანდროგენულ მთლიანობას კარგავს და თავისი ნაწილი საძებნი აქვს.

ოკულტიზმის ენციკლოპედიაში წერია, რომ ყოველ სეფიროთს ანდროგენული აგებულება აქვს, წარმოადგენს ჩაკეტილ სამყაროს და ჰყავს დემონი, რომელიც აქ მყოფ არსებებს წინააღმდეგობას უწევს, უფრო მაღალ სეფიროთში გადავიდეს.

საინტერესოა, რომ აკაკი “ვეფხისტყაოსანს” მე-12 საუკუნის კი არა, მე-13 საუკუნის ძეგლად თვლიდა. ე.ი. მისი ჰიპოთეზით, რუსთაველი შეიძლება და მოსწრებოდა არა მარტო “ჰაეცირას”, “ზოჰარსაც”.

საქართველოდან არც ისე დაშორებულ სახელმწიფოში, ხაზარეთში მე-8 ს.-ში იუდაიზმი მიიღეს ოფიციალურ რელიგიად. თან მათ მიიღეს კარაიმული განშტოება, რომელიც მხოლოდ თორას დებულობდა და უარყოფდა თალმუდს. შეიძლება ხაზარეთში ნამყოფი იყო “მოგზაური პოეტი” ჩანჩუხაძე. ასევე, რუსთაველმა იცოდა არაბული. არაბული გზითაც შეიძლება გასცნობოდა კაბალას (ჩვენ აქ ჩვენს კი არა, აკაკის სავარაუდო აზროვნების ლოგიკაზე ვწერთ). აკაკი თვლიდა, რომ რუსთაველმა თავისი შედევრი სიბერისას, იერუსალიმში დაწერა თამარის სიკვდილისა და საქართველოს მონღოლთაგან დაპყრობის მერე, როგორც “საწინასწარმეტყველო”. ცოდვათდაცემის მერე ადამს ხომ მიეცა “ზოჰარი” და “ჰაეცირა”, როგორც ხსნის იმედი, ქართველ ერსაც “ვეფხისტყაოსანი” მიეცა, როგორც სწავლება, თუ როგორ უნდა დაბრუნდეს დაკარგულ სამოთხეში (პარალელს კაბალასთან აკაკი არ აკეთებს, მაგრამ ზუსტად მის ლოგიკას იმეორებს).

მაგრამ მთავარი, ალბათ, არაა ის, როგორია აკაკის რუსთაველოლოგიური შეხედულებები, რამაც ის “ვეფხისტყაოსნის” მსოფლმხედველობრივი ძირების ძიებისას შეიძლება “კაბალას” ვარიანტის გადასინჯვამდე მიიყვანა. მთავარი ისაა, რომ აკაკის არაჩვეულებრივი სიზუსტით აგებულ მხატვრული სამყაროს მოდელს, რომელსაც აქვს ორი, ქალურისა და მამაკაცურის ურთიერთტოლვისა და ნათლის შრეები, შესანიშნავად კრავს და დასრულებულ სახეს აძლევს მის

მიერ სიცოცხლის ბოლო პერიოდში შემოტანილი ორჰიპოსტაზიანი ღმერთი. აკაკისთან ამ ღმერთის სახე არაა შემთხვევითი და გაუაზრებლად შემოტანილი. აკაკიმ აშკარად გაიაზრა თავისი ფიქსირებული (განმეორებადი) სახეებით აგებული მოდელი, მისი ორივე (ქალურისა და მამაკაცურის ურთიერთლოცვის და ნათლის) შრე და ასეთი, ქრისტიანობისათვის მაინც საჭოჭმანო, ორჰიპოსტაზიანი ღმერთით დაასრულა, რაც ძალიან საინტერესოა მხატვრული აზროვნების ლოგიკის შემსწავლელი სპეციალისტებისათვის. ეს, აკაკის შემთხვევაში, ალბათ, ნაკლებადაა რწმენის საგანი. მას, როგორც ხელოვანს, აშკარად სურს დასრულებული სახე მისცეს მისი მხატვრული სამყაროს მოდელს.

ნამდვილად საინტერესოა, რომ აკაკის ამ ორჰიპოსტაზიანი, მსოფლიო სულის შესაბამისი, ღმერთიდან სეფიროთებივით (რომელთაც თურმე ანდროგენული აგებულება აქვთ, ამას იმიტომ ვწერთ, რომ კაბალასთან ვაკეთებთ პარალელს) გამოედინებიან ანდროგენული ეროვნული ღმერთები, მათ შორის ქართულიც, რომელიც დასაწყისში ადამივით იყო ოქროს ხანაში, რუსთაველის და თამარის ხანის სამოთხეში, მერე მოხდა საქართველოს ცოდვითდაცემა. თამარი იქცა თამარ ცბიერად, მედეად, სიბრძნის ქალწული — ევად, ღვთისშობელი — მარიამ მაგდალინელად, რომლის მოსაქცევად ჩამოდის ეროვნული სულის მამაკაცური საწყისი, როგორც მესია და მოაქცევს მას. რა თქმა უნდა, ეს ქრისტიანული ელემენტია, მაგრამ ქრისტიანობა იუდაიზმიდან ამოიზარდა, იუდაიზმსაც ხომ მესიის მოლოდინი მსჭვალავს.

აკაკის სჯერა, რომ ეროვნულ პოლიტიკოსს და ერის შვილ ხელოვანს, რომელიც წარმოადგენს ერის სულის მამაკაცურ საწყისს, შეუძლია მოიშოროს უცხო ანდროგენული სულის მამაკაცური საწყისი, რომელიც დაუფლებია მის სამშობლოს და თვითონ ბედნიერი ქორწინებით დაქორწინდეს სამშობლოზე, მის მოქცეულ სამშობლო-სატრფოზე, რითაც “ოქროს ხანა” დაბრუნდება ცხოვრებაში. მაგრამ მის თანამედროვე საქართველოში ჯერ კიდევ ღამეა და განთიადის მოლოდინით დაყურსულა ქვეყანა.

რაც შეეხება “ზოჰარისებურ” ციალს და სინათლეს, რაც არეოპაგეტული და ნეოპლატონურია “კაბალაშიც”, მთლიანად მსჭვალავს აკაკის მხატვრულ სამყაროს, რადგან აკაკისთან მშვენიერი არის ის, რაც სიყვარულის ენერგიითაა სავსე, სიყვარულს კი სინათლის ფორმა აქვს (ვგულისხმობ არა არისტოტელურ ფორმას; არამედ შინაარსისა და ფორმის კატეგორიას).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აკაკის ორჰიპოსტაზიანი ღმერთი უფრო გერმანული მისტიკიდან, იაკობ ბემედან უნდა მოდიოდეს, მაგრამ თვითონ ბემეზე, მეცნიერთა თქმით, ზეგავლენა აქვს მოხდენილი კაბალას.

ამდენად, აკაკის ეს ორჰიპოსტაზიანი ღმერთი თავისი ქალურით და მამაკაცურით, კოსმიური ქორწინების მოდელით, თუნდ გაშუალებული გზით, რაღაც კავშირში უნდა იყოს კაბალასთან. მაგრამ საბოლოოდ აკაკის მოდელი ყველა რელიგიიდან აღებული სახეებისა და კონსტრუქციების სინთეზის მის არსებაში გადახარშვას წარმოადგენს და მათი არსის გატანით მე-19 საუკუნეში გავრცელებულ ეზოტერიზმს უნდა წარმოადგენდეს.

დამოწმებული ლიტერატურა

- თ. ახვლედიანი, 2001** - თ. ახვლედიანი, აკაკი წერეთლის სახეთა სისტემა და მოდელი, ქუთ., 2001.
- ზ. გამსახურდია, 1991** - ზ. გამსახურდია, თამარიანი და ვეფხისტყაოსანი, წერილები, ესეები, თბ., 1991.
- ნ. ბაბალიკაშვილი, 1950** - ნ. ბაბალიკაშვილი, კაბალა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.5, თბ, 1950.
- გ თევზაძე, 1996** - გ თევზაძე, ებრაული ფილოსოფია, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996.
- ა. წერეთელი, 1950** - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.5, თბ., 1950.
- ა. წერეთელი, 1960** - აკაკი წერეთელი, ცოცხალი სურათები, ტ.2 თბ., 1960.
- ა. წერეთელი, 1960** - აკაკი წერეთელი, შენიშვნები ("მედიასთვის") ტ. 13, თბ., 1960.
- ა. წერეთელი, 1960** - აკაკი წერეთელი, ნაღული, ტ. 11, თბ., 1960.
- ა. წერეთელი, 1961** - აკაკი წერეთელი, სიზმარი, ტ. 14, თბ. 1961.
- Энциклопедия окултизма, том 1, том 2, Москва, 1992 г.
- ინტერნეტ ლიტერატურა, კარაიმები <http://ru.wikisource.org/wiki> - / ЕЭБЕ / Караимы

TAMAR AKHVLEDIANI**JEWISH MOTIFS IN THE WORKS OF AKAKI TSERETELI**

Jewish images in the works of Akaki Tsereteli can be divided into two groups: 1) The fascinating images of Biblical Jews that have changed their colors throughout centuries. The author uses them to discuss his modern social and national problems. 2) Sometimes characteristic, sometimes slightly horrible images of Akaki's contemporary Kutaisi Jews.

What is more important, the model of Akaki's fictional world, built up with fixed images, is crowned by the two-hypostasis God – Androgynous from which two-hypostasis national gods or spirits emanate like sephirot, which for some brings associations with Kabbala. Among them is the Georgian national spirit as well with its male and female beginnings. The male beginning is intelligence (mind) and has the form of warmth. The female beginning is feeling and has the form of light.

Akaki writes that driving out Georgian God's female beginning from the national paradise (Golden Age of King Tamar and Rustaveli) for sins and then converting her by the Georgian male beginning is the philosophy of the history of Georgia. We think that androgenic God in Akaki's works is not of Jewish origin. It is likely to have derived from the German mysticism, for instance, from the works of Jacob Boehme.

To sum up, Akaki focuses on the sameness of essence of various religious models: Christian divine love, Neo-Platonism, Sufism, Kabbala, etc. Consequently, his model is close to Esotericism and belongs to the field of literary thought rather than to the subject of belief. It is more likely to attract the attention of the specialists of the logics of art reflection.

ნომადი ბართაია

ირანის ისლამური რესპუბლიკის დამოკიდებულება თავისი სახელმწიფო ენისადმი

ირანი ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც შიდა მოხმარების საშუალებად შეიძლება გამოიყენებოდეს საკუთარი დიალექტები და ენები, მაგრამ სპარსული კი, როგორც სახელმწიფო ენა, ყველასათვის საერთოა.

არსებობს სამი სპარსული ენა - ძველი, საშუალო და ახალი. ძველი სპარსული განეკუთვნება აქემენიანთა ეპოქას (ძვ. წ. VI-IV სს.), ამ ენაზე შემონახულია ავესტა და აქემენიდ მეფეთა კლდეებზე შესრულებული ლურსმნული წარწერები.

საშუალო სპარსული მოდის III-IX საუკუნეებზე, რომელიც სასანელთა (III-VII სს.) სახელმწიფო ენა იყო. მასზე, არასრული სახით, შემონახულია როგორც რელიგიური, ისე საერო ხასიათის ნაწარმოებები.

რაც შეეხება ახალ სპარსულ ენას:

ძველი და საშუალო სპარსული ენები დღეს მკვდარ ენათა რიგს მიეკუთვნებიან.

ირანში, არაბთა გაბატონების შემდეგ, ოფიციალურ და სალიტერატურო ენად არაბული დადგინდა. სამი საუკუნის მერე კი, არაბთა ხალიფატის დაცემასთან ერთად, ირანში წარმოიშვა პირველი ეროვნული დინასტიები, ერთ-ერთი ასეთი იყო სამანიდების დინასტია (X ს.), რომლის დროსაც ირანელები დაუბრუნდნენ მშობლიურ ენას და ახალი სპარსული ირანის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა გახდა.

ერთი საუკუნე გასტანა ირანში სამანიდების დინასტიამ, რომლის მერე თურქული მოდემის ხალხი დაეპატრონა პოლიტიკურად ჯერ ირანს და შემდეგ მანკობელ აღმოსავლეთს. ამ დროს მოსალოდნელი იყო სპარსულს ჩანაცვლებოდა თურქული ენა, მაგრამ ასე არ მოხდა და სპარსული დარჩა სახელმწიფო და კულტურის ენად ირანში, ხოლო მანკობელ აღმოსავლეთში თურქების იმპერიის გაფართოებისას, სპარსული ენის ასპარეზის გაფართოებაც მოჰყვა — იგი თურქულენოვან იმპერიის ელიტარული და სალიტერატურო ენა გახდა.

ეს უფლებები სპარსულს დარჩა მონღოლებისა და თემურელების დროსაც. სწორედ ამ პერიოდზე (X-XVI სს.) მოდის სპარსული მწერლობის მარგალიტების ის დიდი ნაწილი, რითაც სახელგანთქმულია მსოფლიოში სპარსული ლიტერატურა.

გარდა ირანისა, სპარსული სახელმწიფო ენაა ტაჯიკეთში - ტაჯიკურის სახელწოდებითა და ავღანეთში, ავღანურთან ერთად, დარის სახელწოდებით.

სპარსული მშობლიური ენაა: ირანში 40 მილიონი ირანელისთვის (58%), ავღანეთში — 20 და ტაჯიკეთში 5 მილიონი ტაჯიკისთვის, უზბეკეთში კი 7 მილიონი ადამიანისთვის. სპარსული გავრცელებულია ინდოეთსა და პაკისტანში, სადაც იგი მეორე ენად შეიძლება ჩაითვალოს. მთლიანად სპარსულად მსოფლიოში 110 მილიონი ადამიანი მეტყველებს.

ისლამურ სამყაროში, არაბულის მერე, სპარსული ყურანის მეორე ენად ითვლება.

ირანში, ისლამური რევოლუციის გამარჯვების მერე, საგანგებო ყურადღება ექცევა ირანულ კულტურას, რომლის სამსახურში დგას ირანის ისლამური რესპუბლიკის ისლამური დამოძღვრისა და კულტურის სამინისტრო და ისლამური კულტურისა და კავშირების ორგანიზაცია.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს ირანის სახელმწიფოს სპარსული ენისა და ლიტერატურისადმი, განსაკუთრებით, სპარსული ენისადმი:

ირანში არსებობს სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემია, რომელიც ერთ-ერთია ქვეყანაში არსებულ ოთხ აკადემიათაგან. იგი შეიქმნა 1990 წელს, რომელსაც მესამე აკადემიასაც უწოდებენ. მისი წინამორბედი იყვნენ ირანის აკადემია (1936 – 1955 წწ.) და ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემია (1969-1982 წწ.).

აღნიშნული აკადემია უზრუნველყოფს სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლებასა და განვითარებას ქვეყნის შიგნით, ენის ნორმების დაცვას. ამ მხრივ იგი წარმატებით აგრძელებს და ავითარებს ტრადიციას.

გარდა ამისა, ირანში არის მრავალი საზოგადოება, რომელიც ემსახურება სპარსული ენისა და ლიტერატურის კვლევას. ესენია: ირანის სპარსული ენისა და ლიტერატურის პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოება, სპარსული ენისა და ლიტერატურის მეცნიერული კვლევის საზოგადოება, ირანის სპარსული ენის და ლიტერატურის გავრცელების საზოგადოება და ასე შემდეგ, რომლებიც პერიოდულად მართავენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო ფორუმებს, აქვთ თავიანთი გამოცემანი. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია ოთხენოვანი (სპარსული, თურქული, არაბული, ფრანგული) საერთაშორისო სამეცნიერო კვარტალური გამოცემა - “ენათმეცნიერება”.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის სამუშაოები, რაც ლექსიკოგრაფიული მიმართულებით ტარდება. გამოდის სხვადასხვა სახის უამრავი სპარსული ლექსიკონი. ამ მხრივ ხომ ირანს, მოყოლებული X საუკუნიდან, დიდი ტრადიცია აქვს. ირანელთა მხრივ ლექსიკოგრაფიისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასზე მიუთითებს ის, რომ სეფიანთა ხანაში ლექსიკონები ილექსებოდა კიდევც.

სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხი უმაღლეს დონეზე აყვანილი ირანის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლებში ხომ თავისთავად და თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში არსებობს სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა.

ისლამურ სამყაროში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კალიგრაფიას. ამ მხრივ ირანი გამორჩეულია, სადაც ლამაზად წერა მხატვრობაშია გადაზრდილი.

კალიგრაფიის გაკვეთილები ტარდება სწავლების ყველა საფეხურზე. დიდად ფასობს კალიგრაფთა მიერ გადაწერილი ტექსტები. ამ სახით ძირითადად გამოიცემა კლასიკოს ავტორთა წიგნები.

ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში ახალი რეალობა შეიქმნა. დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გარეთ ირანული კულტურის, კერძოდ სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელებისადმი მეტი ყურადღების მიპყრობა.

ცნობილია, მოყოლებული XI საუკუნიდან, თუ რა კვალი დატოვა სპარსულმა კულტურამ, კერძოდ სპარსულმა ენამ და მწერლობამ, მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში. სპარსული ხომ ამ დროს ელიტარული

ენა იყო ამ რეგიონის ქვეყნებში. შესაბამისად, ამ ხალხებში დღესაც დიდი ინტერესი სპარსული ენისა და ლიტერატურისადმი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ირანის ხელისუფლებამ დასახა პროგრამა სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელებისა არა მარტო ამ რეგიონში, არამედ ყველგან, სადაც კი სურვილი ექნებოდა ირანული კულტურის გაცნობის, სპარსული ენისა და ლიტერატურის შესწავლისა, კერძოდ, სპარსული ენის დაუფლებისა.

საქართველოც იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დიდი იყო ირანული კულტურის, კერძოდ სპარსული ენისა და ლიტერატურის, გავლენა ქართულზე და, ბუნებრივია, ჩვენი მხრიდანაც დიდი ინტერესი სპარსული ენისა და ლიტერატურისადმი. ამდენად, ამ მიმართულებით, ჩვენთანაც წარმატებით ვრცელდება ირანის მხარის პროგრამა, რაზედაც მოკლედ ვისაუბრებთ:

1988 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის ისლამური კულტურისა და დამოძღვრის სამინისტროში დაარსდა “სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების საბჭო” (ورای گسترش زبان و ادبیات فارسی), ხოლო 1996 წელს, ისლამური კულტურისა და კავშირების ორგანიზაციაში შეიქმნა “სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების ჯგუფი” (گروه اجرایی گسترش زبان و ادبیات فارسی).

აღნიშნულმა ჯგუფმა 2004 წელს შეიკვალა სახელწოდება და გახდა “სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების ცენტრი (مرکز گسترش زبان و ادبیات فارسی).

ორივე მათგანი ემსახურებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელებას, რისი უკეთ განხორციელების მიზნითაც 2014 წელს დაარსდა საადის ცენტრი (بنیاد سعدي), რომელშიც შევიდა “სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების ცენტრი, რითაც ახალი ეტაპი იწყება ირანის ფარგლებს გარეთ სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და გავრცელების საქმეში.

სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების პროგრამა საქართველოში მას მერე ამოქმედდა, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და ირან-საქართველოს შორის დამყარდა დიპლომატიური კავშირი. მოყოლებული აქედან, ქართული ირანისტიკა ირანის მხარის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. დაიწყო ზრუნვა საქართველოში არსებული ირანისტიკის ოთახების განახლებასა და კეთილმოწყობაზე, მათ აღჭურვაზე თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ინვენტარითა და ლიტერატურით, ხოლო იქ, სადაც არ იყო ასეთი ოთახი და საჭიროდ ჩაითვალა მისი არსებობა, იგი დაარსდა.

ამავე დროს, პარალელურად, სპარსულ ენასა და ლიტერატურაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სისტემური ხასიათი მიეცა ირანისტ პროფესორ-მასწავლებელთა და ირანისტიკის სპეციალისტების სტუდენტთა გაგზავნას ირანის უმაღლეს სასწავლებლებში.

ტრადიციად იქცა თეირანის წიგნის ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე ქართველ ირანისტთა მიწვევა.

ქართველ ირანისტებს მიეცათ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა ირანში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში.

ასევე ქართველ ირანისტებს მიეცათ საშუალება, თავიანთი ნაშრომების, წიგნების სახით, მზის სინათლეზე გამოტანისა.

საქართველოს ირანისტიკის ცენტრებში ყოველწლიურად აღინიშნება ირანელ კლასიკოსთა დღეები, უძველესი ირანული დღესასწაული – ნოვრუზი.

ლექციების წასაკითხად ირანიდან ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ირანისტიკის სპეციალობაზე, აბიტურიენტთა მიზიდვის მიზნით, ბოლო წლებში ირანის მხარე პირველკურსელ სტუდენტებს გამოუყოფს გრანტს ერთი სემესტრის სწავლების საფასურის დასაფარავად.

ირანისტიკის სფეროში გამოქვეყნებული წიგნებისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის პრესტიჟული ჯილდოებით ჯილდოვდებიან ქართველი ირანისტები.

თბილისში გაიხსნა ირანული ჩაიხანა “გულანშარო”, სადაც სისტემატურად ტარდება ირანისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი შემეცნებითი შეხვედრები.

გამოიცა არაერთი ნომერი სტუდენტური ჟურნალისა “დიარეაშნა” (“ნაცნობი მხარე”).

განსაკუთრებით გააქტიურდა ირანის მხარე მას მერე, რაც ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოში გახსნა კულტურის განყოფილება, რასაც მოჰყვა კვარტალური ჟურნალ “კალმის” გამოცემა. აღნიშნულ განყოფილებაში ფუნქციონირებს სპარსული ენის შემსწავლელი უფასო კურსები.

და ყველაფერი ეს ხდება ირანის მხარის ფინანსური უზრუნველყოფით. რა სიახლეებს გვთავაზობს ახლადშექმნილი საადის ინსტიტუტი?

საადის ინსტიტუტის დაარსებით ახალი ეტაპი იწყება საზღვარგარეთ სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების საქმეში. იგი იქნება მსოფლიოში დღემდე არსებულ მსგავს ინსტიტუტთაგან (გოეთეს, შექსპირის, სერვანტესის...) შედარებით დიდი და განსხვავებული, რომელიც სრულად მოემსახურება სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას და გავრცელებას ირანის ფარგლებს გარეთ. თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიქმნება ახლებური სასწავლო პროგრამები, ადგილებზე ჩამოყალიბდება ამ ინსტიტუტთა ფილიალები...

ირანმა, ბოლო ხანებში, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი რევოლუცია და ერაყთან რვაწლიანი საშინელი ომი გადაიტანა. სახელმწიფოს, ამ ორი დამანგრეველი მოვლენის მერე, პირველ რიგში, თითქოსდა, მატერიაზე უფრო უნდა ეზრუნა, მაგრამ მან კრიზისიდან დაღწევის ერთ-ერთ გზად სულიერებაზე ზრუნვა გაიხანდა, რაც სპარსული ენისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში გამოვლინდა.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სპარსული ენა და მასთან დაკავშირებული ყველაფერი სტრატეგიულ იარაღად არის აღქმული სახელმწიფოსთვის.

დამოწმებული ლიტერატურა

<http://www.persianacademy.ir>.

<http://www.anjomanfarsi.ir>.

<http://www.persian-language.com>.

<http://fa.wikipedia.org>.

NOMADI BARTAIA

ISLAMIC REPUBLIC OF IRAN'S ATTITUDE TOWARDS ITS STATE LANGUAGE

Since the Islamic revolution Iranians have special approach as towards Iranian culture, in general, so to the Persian language, in particular, the official language of the country.

The government of the Islamic Republic of Iran takes equal care of the Persian language as within the country so beyond its borders. Domestically the responsibility of state language affairs lies on the Academy of Persian Language and Literature, while the Persian Literature and Language Spread Council, initially, and then the Persian Language and Literature Spread Centre have been engaged to serve the Persian language related issues abroad. In 2014 Persian Language and Literature Spread Centre was affiliated to the newly established Saadi Institute (Bonyad-E Saadi).

Saadi Institute will be one of the biggest of the similar instructions (like of Goethe, Shakespeare, Cervantes, ..) in the world, which in consideration of the country's specificities will work out the ways of teaching and spreading of Persian language and literature throughout the world. To this end the organization will have its offices all over the world..

Georgia is one those countries where Iran specialists have felt considerable good of Iran's official attitude towards its state language.

ღალი ბეთხოშვილი

**ქეთევან ნამეხულის მხატვრული სახე ალექსანდრე
ყაზბეგის დრამატული ნაწარმოების "ნამეხა ქეთევან
დელოზისა" მიხედვით**

ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ნაწარმოებებით — პროზით, დრამატული ნაწარმოებებით თუ პოეზიით ღრმად წარმოაჩინა ეპოქის სულისკვეთება, მოგვცა სამყაროს მხატვრული გააზრების განსხვავებული თავისებურებები, რაც მისი შემოქმედების ღრმა შრეებშია ჩაკარგული და სიღრმისეული ამოცნობა სჭირდება. მის შემოქმედებაში სხვაგვარი სუნთქვა და მოძრაობა იგრძნობა, რომელიც პერსონაჟთა სულიერი და გრძნობათა სამყაროდან მომდინარეობს, თითქოს მათით წარმოდგენილი სამყარო — სიცოცხლე და სიკვდილი სხვაგვარი ფენომენია და მეტად უხილავი, შეუცნობელი და მიუწვდომელი, სხვა ფერებით შემკული. ამიტომ ალ. ყაზბეგის მსოფლმხედველობრივი მრწამსი სულ სხვაგვარ და ახლებურ ჭრილშია საძიებელი და გასააზრებელი.

დასაწყისშივე უნდა შევნიშნოთ, რომ შემოქმედის საკვლევი დრამატული ნაწარმოების არა სცენურობა, არამედ, რა თქმა უნდა, მისი მხატვრული გააზრება გვჭირდება. თანაც, დასახელებული ნაწარმოები, ფაქტობრივად, ლიტერატურულად არაა გამოკვლეული და გაანალიზებული, ამიტომ ჩვენი ინტერესი და კვლევის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სიღრმისეულად და ახლებური ხედვით წაგვეკითხა და გაგვეანალიზებინა ნაწარმოები, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ ქეთევან წამებულის მოწამებრივ ღვაწლს, როგორც მისაბაძ თემას, ყველა ეპოქაში მიმართავდნენ და განსხვავებული შტრიხებით, ეპოქების სულისკვეთებიდან გამომდინარე, გადმოსცემდნენ წამებულის ხატ-სახეს.

ნაწარმოებში ისტორიული ფონია გაშლილი, რეალისტური სახეები დახატული, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგმა სხვა ელფერი, მხატვრულად გაფორმებული ფსიქოლოგიზმი მიანიჭა სათქმელს და, შესაბამისად, პერსონაჟთა სახეები ძველად მოხაზული სახე-ხასიათებია, რომელთა შინაგან სამყაროში ის ემოციურობაა ჩადებული, რითაც სუნთქავდა და საზრდობდა ავტორი იმ მსოფლმხედველობრივ სივრცეში, სადაც ის იმყოფებოდა. ავტორის მთავარი მიზანი, ჩემი აზრით, იქითკენაა მიმართული, რომ კიდევ ერთხელ შეეხსენებინა და ეჩვენებინა ქეთევან წამებულის ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი მხატვრული სახე, რადგან ოდნავ მაინც ამოვესო ის სიცარიელე, რაც მისი ეპოქის ადამიანის გაღარიბებული შინაგანი სულიერი სამყაროსთვის იყო ნიშანდობლივი. შემოქმედმა შეძლო ერისთვის თავდადებული წმიდანის სახის სრულყოფილად წარმოჩენა.

“მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი შემოქმედებითი მეთოდის გათვალისწინებას. ყველა დიდ მწერალს აქვს საკუთარი ლიტერატურული მრწამსი. იგი თავის შეხედულებებს აყალიბებს საგანგებო მსჯელობითი ხასიათის თხზულებებში ან ხორცს შეასხამს მხატვრულ შემოქმედებაში, — წერს აბ. მახარაძე (აბ. მახარაძე, 1962, გვ. 96).

ქართული მხატვრული სიტყვის ძალა არანაკლები სიღრმისეულობითა და ამადლებულობით გამოიქვეყნა ალექსანდრე ყაზბეგის დრამატულ ნაწარმოებებშიც, სადაც მისმა ფსიქოლოგიამ მეტი დასაყრდენი ჰპოვა, რადგან ამ ქანრში ძირითადი აქცენტი მხატვრის მიერ გადატანილია პერსონაჟთა შინაგან სამყაროში და იმ დრამატიზმით აღსავსე კოლიზიებში, რომელშიც არსებობს პერსონაჟი და მისი ბედნიერება თუ უბედურება სწორედ მასთან არის დაკავშირებული. დრამატურგიაში ალექსანდრე ყაზბეგს დიდი მხატვრული სრულყოფის ელფერი ემჩნევა, რაც მეტყველებს ავტორის ფსიქოლოგიურ “მეზე”, რადგან მის შემოქმედებას მეტი გასაქანი ეძლევა ტრაგიკული სცენები გადმოსცეს, თუმცა რითაც არანაკლებია ამ კუთხით მისი ყველა ნაწარმოები, რომელთაც ტრაგიკული ხაზი გასდევთ და, სწორედ, ამ ნიშნითაა თითოეული მათგანი გამორჩეული, მეტი მიმზიდველობა და ექსპრესიულობა რომ ახასიათებს.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც ყველა ნაწარმოებში, ასევე დრამატულ მხატვრულ შემოქმედებაშიც მიმართავს პერსონაჟთა სულიერი სამყაროს გადმოცემას, რადგან ამით მეტად ვლინდება საკუთარი მიზანდასახულობა, ის სათქმელი, რაც მეტად იზიდავს მკითხველს და ამიტომაც, რომ მისი დრამატული ნაწარმოებები არ კარგავს ინტერესს. ავტორი ერთნაირი სიძლიერით მუდგანდება პროზაშიც და დრამატულ მხატვრულ ნაწარმოებებშიც. ვ. კოტეტიშვილის სიტყვით, “...ყაზბეგი ბელეტრისტია, პოეტია თუ რა არის მწერლობაში მიღებული ტერმინებით? მე მგონია, რომ არც ერთის დატკევა არ შეიძლება. იგი საზღვრებგადალახული მწერალია...” (ვ. კოტეტიშვილი, 1959, გვ. 580). დრამატულ მხატვრულ ნაწარმოებებშიც ალ. ყაზბეგი თავისი დროის მანკიერ საზოგადოებრივ სინამდვილეს უპირისპირებს საქართველოს შორეულ თუ ახლო წარსულის გმირულ სურათებს, რითაც გამოკვეთილად წარმოჩნდება ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსი.

“ალ. ყაზბეგის სილიადე მდგომარეობს იმაში, რომ მან, როგორც ხალხის წილიდან გამოსულმა მწერალმა შემოქმედების საგნად გაიხადა ხალხის მდგომარეობა, მისი აწმყო და მომავალი“ (აბ. მახარაძე, 1962, გვ. 96).

გ. ასათიანის შეფასებით, “წამება ქეთევან დედოფლისა“ (ალ. ყაზბეგის დრამატული ნაწარმოები — დ. ბ.) რომანტიკული ისტორიული დრამის თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“ (გ. ასათიანი, 1988, გვ. 542).

ალექსანდრე ყაზბეგის საკვლევ ნაწარმოებს ეტყობა გავლენა ძირითადი წყაროსი, აღორძინების ეპოქის უდიდესი შემოქმედის, მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის გენიალური პოემის “წამება ქეთევან დედოფლისა“. ეს მეტყველებს იმაზე, რომ წარსულის კვალი ყოველთვის ჩანს შემდეგი პერიოდის მწერლობაში, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ყაზბეგთან მწერლის ინდივიდუალური სახეც მოჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟთა სახეები შეიძლება ისე გამოკვეთილი არ გვეჩვენოს, როგორც თეიმურაზ პირველის გენიალურ “წამებაში“. ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც ხელოვანის, საკუთარი ხედვა, უპირველესად, პერსონაჟთა შინაგანი სამყაროსკენაა მიმართული, მას სულიერი სამყაროც აინტერესებს და გრძნობებიც. მის ნაწარმოებებში, რა თქმა უნდა, გრძნობებია წინა პლანზე წამოწეული, რაც აძლევს მეტ შესაძლებლობას ჩანაფიქრის განხორციელებაში და მისი გადმოცემით მეტად ინტერესდება მწერალი, მაგრამ ამ ნაწარმოებში

არანაკლებად არის გადმოცემული მისი პერსონაჟის სულიერი სამყარო, სხვაგვარად ვერც შექმნიდა და ჩამოაყალიბებდა წმიდა ქეთევანის სახეს და მისი დროის სულიერად დაცლილ ქართველი ერის სულისკვეთებას ვერ შეურწყამდა მას. ალექსანდრე ყაზბეგი თავის დრამატულ ნაწარმოებში მეტ-ნაკლებად იცავს ისტორიულ მომენტებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტორი ამას აკეთებს მიზანმიმართულად, რათა სათქმელი ლიტერატურულად გაშალოს, გაამრავალფეროვნოს და მხატვრულ სახეებში გაცოცხლებული რეალობა უფრო სიღრმისეულად გადმოსცეს.

დრამატული ჟანრის ნაწარმოები, თავისი ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად გადმოსცემს გმირის დრამატული ცხოვრების, მისი შინაგანი სამყაროს მძიმე განცდებს, შინაგან წინააღმდეგობებს, ღელვას, ტკივილს სამშობლოს, ერის ტკივილთან გადაჯაჭვულს, ამიტომ ალ. ყაზბეგი ქეთევან წამებულის დრამატული შინაარსით აღვსებულ მხატვრულ სახეს გვიხატავს რთულ დრამატულ სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე, რითაც წმიდანის მხატვრულად გაფორმებული მაღლმოსილი სახე უფრო მეტყველი, შთამბეჭდავი, მიმზიდველი, ამაღლვებელი ხდება; პერსონაჟის ვნება, განცდა მოდის წინა პლანზე და უფრო მეტყველია შინაგანი განცდით მოძრავი პერსონაჟი.

ალექსანდრე ყაზბეგის “წამებაში”, რომელიც ხუთმოქმედებიანი დრამაა, ვრცელი სივრცეა ნაჩვენები — ალავერდიდან შაჰის მიერ განხორციელებული დედოფლის წამების ადგილამდე და ეს სივრცე კიდევ უფრო გამოკვეთს სათქმელს; ვრცელი და განსხვავებული სივრცე ხელს უწყობს პერსონაჟის სულიერი სამყაროს გარდაქმნას, მისი შეხედულებების სხვაგვარად ჩამოყალიბება-სრულქმნას, ერთი სივრცე ამზადებს ადამიანს შემდეგი საფეხურისათვის, სადაც პიროვნების სამყარო, სრულიად სხვა სივრცესა და გარემოში მოქცეული, განსხვავებული მსოფლმხედველობრივი არეალით გვევლინება და ყოველივე ეს პიროვნების სახეს სრულყოფს და, შესაბამისად, დასახული მიზანი და ღვაწლიც ღრმად და ურყევი; როგორც თეიმურაზ პირველის “ქეთევანიანში” დედოფლის არსებობა იცვლება დროისა და სივრცის მიხედვით (იხ.: დ. ბეთხოშვილი, 2010, გვ. 188-189, 197-203; 2012, გვ. 101-108; ძველ მწერლობაში დროსა და სივრცეს უფრო ღრმა და სხვა არსებითი დატვირთვა გააჩნია), ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვითაც, ქეთევან დედოფალი გადის დიდ სივრცეს — ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურისაკენ მიმავალს და ამ გადადგილებას ცვლილებები შეაქვს წმიდანის არსებაში, რაც გამოიხატება უდაბლესიდან უმაღლესისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ გადანაცვლებაში. სახარება შეგვანსენებს: “და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლნეს თქუენ” (იოან. 8, 32). წმიდა წერილი გვეუბნება: “ცისა და ქვეყნის შემოქმედი ადამიანს შთაბერავს რაღაც სხვას, არამიწიერს, რასაც ბიბლიაში “სული ცხოვრებისა” ეწოდება (დაბ. 2, 7).

ალექსანდრე ყაზბეგის საკვლევი დრამატული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში განფენილი აზრი მეტი სიძლიერით გვიჩვენებს დედოფლის, როგორც ერთ-ერთი მთავარი გმირი პერსონაჟის, ცხოვრებას, პერსონაჟისა, რომლის სახე თავიდანვე ცოცხალი და ამაღლებულია. ამ თხზულების მიხედვით, ქეთევან დედოფალი კახთა და მთელი ქართველი ერის იმედად არის დასახული, რაც ალავერდელი ხალხის სულისკვეთებიდან კარგად ჩანს. ისინი გატაცებით გაიძახიან: “სცოცხლობდეს ქეთევან დედოფალი, სცოცხლობდეს კახთა იმედად!

სცოცხლობდეს მრავალჯამიერ!“ (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 435). ქეთევან ასეც ამკობენ: „...მარტო თქვენი ხილვაცა კმარა, რომ კაცი ედემის სიამოვნებას მიეცეს...“ (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 436). ქართველთა სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი შემდეგნაირად მიმართავს ქეთევანს: „კურთხეულიმც იქნები დედათა შორის, ნაზო, გულ-კეთილო ქმნილებავ! ნეტარიმც არის ის ქვეყანა, სადაც შენებრივ ვარდი გაიფურჩქნება!..“ (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 438). როგორც ვხედავთ, ავტორი, თავისი პერსონაჟების დახმარებით, მაღალმხატვრულად ამკობს ქეთევან წამებულს და არ იშურებს ენერგიას, რათა დედოფლის სახე ღმერთის სასურველ, ღვთისმშობელთან შედარებულ სახიერ პიროვნებად წარმოსახოს. მართლაც, თავისი განუმეორებელი მოწამეობრივი ღვაწლით მრავალჯამიერ იარსებებს წმინდანის სახე, ასე შთამაგონებლად რომ ქცეულა ყველა ეპოქის შემოქმედთათვის.

ალექსანდრე ყაზბეგი ქეთევან დედოფალს წარმოგვისახავს ძმის მკვლელი გამაჰმადიანებული კონსტანტინეს გვერდით. ნაწარმოებში კონსტანტინე ძმის მკვლელ კაენთან არის შედარებული: „სიკვდილი კაენს, სიკვდილი მოლაღატეს! სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი კონსტანტინეს!“ (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 539-540). აქ შემოდის ბიბლიური თემატიკა, ბიბლიური პერსონაჟები იჩენენ თავს, შემოდის სიკვდილისა და სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების ცნებები, რაც სხვაგვარ მიდგომასა და განხილვას ითხოვს, მას სხვა ნაშრომში ვიხილავთ, რადგან აქ ვერ ვათავსებთ ფორმატის გამო, ამჯერად აღვნიშნავთ, რომ სიბოროტის ფონზე წარმოჩენილი ქეთევან დედოფალი სამშობლოსთვის გულანთებულ, ერის მოსიყვარულე და რწმენისთვის თავდადებულ წმინდანად კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს, რაც ნაწარმოებშიც ცხადად იკითხება: „ხალხისთვის თავის შეწირვა წმიდაა და შეუგინებელი, მისთვის ბრძოლა სასახელოა და მოვალეობაა ყოველის სულისა“, — ამბობს დედოფალი (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 446). ბუნებრივია, ავტორი ისტორიის ფურცლებს ვერ აუქცევს გვერდს, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაც ძეგს: მწერლის მიზანს შეადგენს სიბოროტის გვერდით კეთილი აჩვენოს და ამით იმედიანი მომავალი დასახოს, აჩვენოს, რომ თვინიერ ქრისტიანული მრწამსისა, ეროვნული ღირსებისა უკვდავება შეუძლებელია.

ალ. ყაზბეგს ქეთევან დედოფალი წარმოსახული ჰყავს, აგრეთვე, დედოფალზე შეყვარებული ქაიხოსროს პიროვნების გრძნობათა მოძრაობის ფონზე, რაც სჩვევია მწერლის კალამს, და ნაჩვენებია, რომ ქეთევანისთვის გრძნობა კი არაა, არამედ მოთაგარია სამშობლოსა და ერის სიყვარული, რაც გაძლევს გამძლეობას და ბიძგს აღმავლობისაკენ — იღვაწო სულიერი ღვწით, თვით თავის შეწირვითაც კი: „... სიხარულით გული თრთის, ჩემო ქაიხოსრო, როდესაც გესმის ხალხის ხმა, რომელიც შენ გენდობა, სიყვარულით შენს სახელს ასხენებს, შენგან შველას მოელის... ამ ხმას კაცის გაგიჟება შეუძლიან...“, — ამბობს ქეთევანი (ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 447). მართლაც, სულის შემძვრელია ქეთევანის სიტყვები, რომელშიც მისი თავდადება, უკანდაუხევედ ერისათვის თავის შეწირვა იკითხება; ამ კონკრეტულ პერსონაჟთა ფონზე — ერთი რწმენის მოლაღატე და სიკეთე დაკლებული, მეორე კი, გრძნობებს აყოლილი, ქეთევან დედოფლის მოწამეობრივ-ეროვნული ღირსებით აღსავსე მხატვრული სახე შთამაგონებელია, სულიერი კიბის მაღალ საფეხურზე მყოფია და ამაღლებული. იგი ასე ესახება ავტორს და სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა და შეუძლებელიც.

ქეთევან დედოფლის შთამბავნილებელი სახე ჩანს თხზულების იმ ადგილას, როდესაც სამშობლოს ზრუნვაზე დაღლილი დედოფალი ამბობს:

“დედავ ღვთისაო, შენ მომხედე, მომეც შენ ძალა,
რომ კისრად ვიდო ერისათვის ზრუნვა და ბრძოლა...
შენ გვედრები, რომ დღეს მტერი დამაძლინო,
და ერისათვის გზა ნათელი გამაკვლინო!”

(ალ. ყაზბეგი, 1949, გვ. 144).

დედოფლის სურვილი თითქმის ლოცვის ფორმით არის გამოხატული, რომელიც ბევრ სათქმელს იტევს... მასში ნათლად ჩანს წმიდა ქეთევანის მხატვრული სახე, მისი მისია და თხოვნა-სავედრებელი ღვთისმშობლის მიმართ, როგორც ქვეყნის მფარველი დედისადმი და ეს კიდევ მეტად გამოკვეთს ავტორის ჩანაფიქრს, ერის წინამძღოლი და გადამრჩენელი, საქართველოს მფარველი და მხსნელი დედის ანალოგიით და მის გვერდით რომ წარმოგვისახა. ერის ტკივილების მტვირთველი ქეთევან დედოფალი უფლის მსგავსად ერის მომავალ გზისმკვლევად, რწმენის განმამტკიცებლად და ნათლის მომფენად არის წარმოჩენილი ავტორის მიერ. ქეთევან დედოფალმა არაღ მიიჩნია საკუთარი ტკივილი, ოღონდ ერისა და სამშობლოსათვის საკუთარი მძიმე ჯვარი და ხვედრი შეემსუბუქებინა.

ალექსანდრე ყაზბეგი თავისი დრამატული ნაწარმოებით აცოცხლებს წარსულს, აკავშირებს აწმყოსთან და მასთან შეზავებით იმედიან მომავალს სახავს, რითაც სიცოცხლის უწყვეტობას ქმნის. წარსულის გაცოცხლებით, მან მკვეთრად წარმოაჩინა საკუთარი დროის მღელვარე სულისკვეთება და სამყაროს თავისებური მხატვრული გააზრება მოგვცა.

ადამიანის სულიერი ღვაწლი ყველაზე მასშტაბურად და სიღრმისეულად ალ. ყაზბეგმა გამოხატა თავისი დრამატული ნაწარმოებით “წამება ქეთევან დედოფლისა”, რომლითაც საკუთარი ჩანაფიქრი და მხატვრული აზროვნება კარგად წარმოჩნდა და მისი მეშვეობითაც ავტორს განეკუთვნა საპატიო ადგილი საერთო მხატვრულ ლიტერატურულ სივრცეში.

დამოწმებული ლიტერატურა

ალ. ყაზბეგი, 1949 — ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1949.

გ. ასათიანი, 1988 — გ. ასათიანი, ალექსანდრე ყაზბეგი, წიგნში: ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, თბ., 1988.

ახალი აღთქუმაი, 1963 — ახალი აღთქუმაი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963.

დ. ბეთხოშვილი, 2010, 2012 — დ. ბეთხოშვილი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის “წმიდა შუმანიკის წამება”, თეიმურაზ პირველის “წამება ქეთევან დედოფლისა”), ტ. I, თბ., 2010; ტ. II, თბ., 2012.

ვ. კოტეტიშვილი, 1959 — ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959.

აბ. მახარაძე, 1962 — აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, 2, თბ., 1962.

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, 1979 — ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, რედ., ივ. იმნაიშვილი, თბ., 1979.

DALI BETKHOSHVILI

ARTISTIC IMAGE OF KETEVAN MARTYR
ACCORDING TO DRAMATIC WORK OF ALEKSANDRE KAZBEGI
“SUFFERINGS OF QUEEN KETEVAN”

Aleksandre Kazbegi contributed greatly in development of Georgian literature with his dramatic works. Among them there is “Sufferings of Queen Ketevan”. The work is historical and it is distinguished with its high artistic level compared with other works.

Al. Kazbegi tries to follow historical moments in his dramatic work, but the major thing is that the author does it purposefully in order to spread his ideas literally, to give it different style and deeply express the reality in artistic characters.

Al. Kazbegi portrays dramatic character of suffering Queen Ketevan through the dramatic political –social background, so the artistic face of the saint queen becomes more impressive and more attractive. Queen Ketevan is described as hope of Kakhs and whole nation of Georgia. She is a national figure, she is like mother – Virgin Mary, she is an example of kindness, she is Queen-mother of Georgian nation, she is savior and protector of the country; her character in the work is shown as exalted, she undertook all pains of her nation like Christ and became future guide for her people; she is shown as a strengthener of faith and light.

The author has portrayed Queen Ketevan next to betrayer of the country - Konstantine. The author naturally aims to describe kindness against cruelty and evil and he wants to show hopeful future, to express that it is impossible to exist without Christian faith and national dignity.

Al. Kazbegi presented the spirit of his epoch through the past and he gave us opportunity to think of the universe specifically and artistically.

დავით ბერძენიშვილი

ბრინჯაოს ბალთა სვანეთშიდან

ლითონის მხატვრული დამუშავება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს შეადგენს. ნიშანდობლივია, რომ ეს დარგი დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

მხატვრული მელითონეობის ნაწარმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს წყაროს იმ რთული პროცესების შესასწავლად, რომელშიც ასახულია კავკასიის და, კერძოდ საქართველოს, უძველესი ხელოვნების განვითარების ძირითადი საფეხურები.

მხატვრული მელითონეობა განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ანტიკურ საქართველოში. ამ ეპოქაში, მეურნეობის ყველა სფეროში, რკინის იარაღის ფართოდ გამოყენებამ შეზღუდა წარმოებაში ბრინჯაოს როლი, მაგრამ განაპირობა ბრინჯაოს ნაწარმის ტექნიკური და მხატვრული დამუშავების დონის ამაღლება, გააუმჯობესა ბრინჯაოს ნაწარმის ხარისხი და მისი ესთეტიკური ღირებულება ხელოვნების დონეზე აიყვანა, რის შედეგად ბრინჯაო მხოლოდ სამკაულისა და საკულტო ძეგლების დასამზადებლად გამოიყენებოდა. არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოში სწორედ ამ პერიოდში იქმნება ბრინჯაოსაგან დამზადებული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები — მდიდრულად ორნამენტირებული კოლხური ტიპის ცულები, მრავალფიგურიანი კომპოზიციებით შემკული გრავირებული სარტყლები, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ადამიანთა და ცხოველთა ქანდაკებები, ამავე ტიპის აბზინდები, სამაჯურები და სხვ. ამ ხანაში ხდება დიდი ცვლილებები საზოგადოების სულიერი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სფეროში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ერთმანეთში მჭიდროდ იხლართებოდა პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, საგარეო ორიენტაციისა, თუ ქვეყნის შიდა სოციალური საკითხები. ანტიკურ ხანაში “ხელოვნება ინტერესის ძიების პროცესშია და ცდილობს გადაამუშაოს, აითვისოს მრავალფეროვანი მხატვრული ნაკადი, რომელსაც გზა გაუხსნა ახალმა ეკონომიურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ” (შ. ამირანაშვილი, 1961, გვ. 63). სწორედ ეს იყო ხელოვნების ჩასახვის ის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელმაც განსაზღვრა ქართული ხელოვნების თავისებურებანი. იქმნებოდა ახალი ესთეტიკა, სამყაროს ახლებური აღქმა, შეფარდებული ადამიანის აზროვნების თავისებურებასთან და ემოციურ წყაროსთან. იცვლებოდა ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე, დროზე, სივრცეზე. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების მაგიური ძალით აღსავსე გახდა მითი, სიმბოლო, ნიშანი, ხატი. დეკორის აგებასა და მხატვრულ გადაწყვეტაში მთელი სიახლეები იჩენს თავს. კომპოზიციაში შემოდის მარტივი სიუჟეტი და დგება იმ დროისთვის საკმაოდ რთული ამოცანა, რომელიც გულისხმობს სიბრტყეზე ადამიანთა და ცხოველთა განლაგებასა და ფიგურათა განაწილებას. ოსტატის ამოცანას წარმოადგენს, აგრეთვე, მოძრაობის

ჩვენება, სიმეტრიისა და მეტრის ელემენტების დაცვა. სარიტუალო ხასიათი აქვთ, აგრეთვე, ბრინჯაოს პლასტიკის მრავალრიცხოვან ნიმუშებს ანთროპომორფულ და ზომორფულ ქანდაკებებს.

საკულტო დანიშნულების მქონე ამ ძეგლების გადაწყვეტაში ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შეიმჩნევა: იქმნება და ფართოდ ვრცელდება ღვთაების ახალი სახე. ის წარმოგვიდგენს ადამიანს, ღვთაების გარკვეული ნიშნებით. ნაჩვენებია ღვთაებათა კავშირი ნაყოფიერებასთან, ბრძოლასთან, ხაზგასმულია მათი უფლებამოსილება და ძალა. აშკარად წარმოჩინდება ამ ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ახალი ნიშანი: იქმნება ადამიანთა მცირე ზომის ისეთი ქანდაკებები, რომლებიც პოზით, მოძრაობით, ატრიბუტებით მოითხოვენ ცხოველებთან და ფრინველებთან ერთად თანამონაწილეობას.

ქართული ეროვნული მხატვრული მელითონეობის ნაწარმს წარმოადგენს ქუთაისის მუზეუმში დაცული, სვანეთიდან შემოსული უჩარჩო, წაგრძელებილი ფორმის ბალთა (№ 5548ა-138; სურ. 1), რომელიც გამოირჩევა დამუშავების მაღალი ოსტატობითა და შესრულების დახვეწილი გემოვნებით. მისი სიგრძე 3,5 სმ-ია და სამიარუსიანი აგებულებაა და ერთ ვერტიკალურ სიბრტყეზეა წარმოდგენილი ადამიანის, კურდღლისა და გველის გამოსახულებით. ბალთის ზედა ნაწილი წარმოადგენს კურდღლის სკულპტურულ გამოსახულებას პროფილში. მკვეთრად არის გამოკვეთილი უკანა ფეხის ბარძაყი და წინა ფეხი. მოკლე კუდი დაშვებული აქვს. მოუჩანს ერთი გრძელი ყური, რომელიც განთავსებულია ზურგის გასწვრივ. თვალი გამოსახულია დიდი რელიეფური კოპით. კურდღელს პირი დაღებული აქვს და ფეხებით კაცის თავზე დგას. კაცის თავი გადმოცემულია მაღალი რელიეფით. შუბლზე ჩამოშვებული თმები გამოსახულია ღრმა ღარებით. თავი აქვს გრძელი ვიწრო სახით. თვალები გადმოცემულია ნაჭდევებით, ცხვირი მოგრძო, სწორი და ბოლოში წაკვეთილია, ქვედა ტუჩი დაშვებულია და გადადის ნიკაპში, რომელიც ვიწრო და ოვალურად მომრგვალებულია. ნიკაპის გაგრძელებას წარმოადგენს გველის ტანი, რომელიც, ამავე ღროს, კაცის კისრის შთაბეჭდილებასაც ტოვებს. გველის ტანი მის თვალებამდე დაფარულია ორმხრივი ირიბი ღარებით, რომლებიც წინა ნაწილში ერთდებიან. თავთან შედარებით ვიწროვდება, ბოლოში მომგვრალებულია და დაფარულია ჰორიზონტალური ღარებით. ბალთას ზურგის მხარეს სამაგრი აქვს.

ყურადღებას იქცევს ბალთაზე გამოსახული სიმბოლიკა და მდიდრული ხატოვანი ენა. შეიმჩნევა მჭიდრო სემანტიკური და სტილისტური კავშირი საქართველოში აღმოჩენილ მატერიალური კულტურის უფრო ადრეულ ძეგლებთან — ბრინჯაოს გრავირებულ სარტყელებთან, კოლხური ცულების დეკორთან, მარტივ ჰვირულ ბალთებთან. ქართველი ხალხის ცოცხალ ყოფაში დაცულ რწმენა-წარმოდგენებთან. ოსტატი ავლენს სურვილს — ახსნას და გაიაზროს, რომ მრავალფეროვან და რთულ სამყაროში მოვლენათა და საგანთა დაჯგუფებით გარკვეული წესრიგი შეიტანოს და რეაგირებას ახდენს სამყაროში მიმდინარე რთულ პროცესებზე, რადგან გამოსახულებანი ვერტიკალურ ხაზზე ორგანიზებულ სამყაროს და აუცილებლობის მთლიანობის იდეას განასახიერებენ. ადამიანის სიმბოლური აზროვნება მატერიალური ხატი ამოქმედდა და მასზე ადამიანი და ცხოველები ჩვენ უნდა განვიხილოთ არა, როგორც ცდა რეალური სინამდვილის გადმოცემისა მხატვრული საშუალებებით, არამედ როგორც

სიმბოლურ სახეებში გადმოცემული ადრეული ხანის რელიგიური წარმოდგენების გამოსახულება. ბალთაზე გამოსახულია ზესკნელში კურდღელი, ქვესკნელში გველი, ხოლო შუასკნელს, სამყაროს ცენტრს, წარმოდგენს ადამიანი, რომელიც აკავშირებს ზესკნელსა და ქვესკნელს. ეს დინამიკურად და რიტმულადაა გადმოცემული სივრცესა და დროში. ამით ადამიანის სიმბოლური აზროვნება მატერიალიზებული ხაზით ამოქმედდა და დროის ციკლურობის იდეით მოწესრიგებული სახე მისცა სივრცეს, განსაზღვრა ადამიანის ადგილი სამყაროში და მისი ადგილი სამყაროს ცენტრში მოათავსა, რადგან ადამიანი შეეცადა გაეზიარებინა სამყარო, როგორც ერთიანი და მოწესრიგებული მთლიანობა, შეექმნა მისი ვერტიკალური სამიარუსიანი აგებულების ზუსტი მოდელი. მან ქვესკნელში ძირითადად ქვეწარმავლები მოათავსა, ზესკნელში ფრინველები და უწყინარი ცხოველები, ხოლო შუასკნელში, დაასახლა რქოსანი ცხოველები ადამიანთან ერთად.

ჩვენ მიერ საკვლევი ბრინჯაოს ბალთის ყოველმხრივი შესწავლა და შედარებითი ანალიზი, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კულტურის საერთო დონეზე, წინამორბედი ეპოქების კულტურებთან მის გენეტიკურ კავშირზე, რადგან კვლევის სფეროში მოქცეული თითოეული ფიგურა წარმოდგენს სიმბოლოს, რომლის მართებულმა შეცნობამ შეიძლება ფასდაუღებელი სამსახური გაგვიწიოს იმ სულიერი სამყაროს სწორად გაგებაში, რომელსაც მოიცავს ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკვლევი მასალა.

ბრინჯაოს ბალთაზე სამყაროს ერთიანობაა განსაზღვრული და საკმაოდ მწყობრი სისტემით არის გადმოცემული. ოსტატის მიერ შექმნილი ნაკეთობა, საკმაოდ მაღალი რელიეფითაა შესრულებული და ფიგურათა ფორმების შესანიშნავი დამუშავებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მოდელირებულია, თუ სიბრტყეზეა განლაგებული, მაინც იგრძნობა ოსტატის მიერ ცოცხალი ნატურის შეცნობა, ხოლო შესრულების ტექნიკით მრგვალი ქანდაკების ნიმუშებთან სიახლოვე. ყოველ შემთხვევაში მომზადებულია ნიადაგი: ნაკეთობაში შეაქვს მრგვალი ქანდაკების ელემენტები, რითაც აცოცხლებს მხატვრულ დეკორს, თავისებურ ელფერს აძლევს მას და ბრინჯაოს მრგვალ ქანდაკებათა საწყის ეტაპს წარმოდგენს.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ძალიან ხშირია მამაკაცის კერპების აღმოჩენა, მათი არსებობა დადასტურებულია გუდაბერტყზე, ქვაცხელებზე, ამირანის გორაზე, ხიზანანთ გორაზე და სხვა (ტ. ჩუბინაშვილი, 1963, გვ. 67), როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურაში უკვე სავსებით მომზადებულია მამაკაცის ღვთაებად გადაქცევის რეალური საფუძველი. ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ ბალთაზე ანთროპომორფული ფიგურა ღვთაების სახითაა წარმოდგენილი. ბრინჯაოს ბალთაზე წამყვან როლს ასრულებს ცხოველთა გამოსახულებანი. ამიტომ ისინი თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ხელოვნების იმ ძეგლთა რიცხვს, რომელიც ე. წ. "ცხოველური სტილის" სახელითაა ცნობილი. ასეთი სტილი, როგორც ჩანს, კაცობრიობის კულტურული განვითარების გარკვეულ სტადიას ახასიათებს, ცხოველური სტილი ადამიანის იდეოლოგიურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული, მისი სახეები ხშირად რელიგიურ-სიმბოლურ შინაარსს მოიცავს (მ. ხიდაშელი, 1972, გვ. 80).

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ბალთა შეგვიძლია მივაკუთვნოთ “ცხოველური სტილით” შესრულებულ ხელოვნების ძეგლთა რიცხვს, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ვხვდებით ადამიანის გამოსახულებას.

ებრაულიდან ნათარგმნ 104,18 ფსალმუნში მოხსენიებულია ცხოველი, რომელიც კურდღელთან არის გაიგივებული. ის წარმოდგენილია, როგორც სუსტი და მშიშარა ადამიანის სიმბოლო [ვიკიპედია]. კურდღელს ცხოველთა მითოლოგიურ კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ფერის მიხედვით, რომლის ხატიც ძირითადად თეთრია, ცის სამყაროთა ღვთაებათა საბრძანის, ზესკნელს მიეკუთვნებოდა და თეთრი ფერი შეესაბამებოდა სამყაროს მიმართ სიმათლის ან უსამართლობის სიმბოლოს. მისი ნაყოფიერების გამო უკავშირდება სიყვარულის ღმერთის კულტს, აგრეთვე, გაზაფხულის ცხოველების სიმბოლოა (Neus grosses Lexikon in Farbe 2004, 876).

ადრექრისტიანულ ხანაში, კურდღელი ვაზთან და ყურძნის მტევანთან, ან ქრისტეს მონოგრამასთან ერთად გამოისახებოდა; როგორც პ. უვაროვა მიუთითებდა, კურდღლის გამოსახულება ხშირად კეთდებოდა სანათლავებზე, რაც ამ ცხოველის სიმბოლოს ნათლისღების საიდუმლოსთან აკავშირებდა. რაც შეეხება გვიანრომაული ხანის გემებზე გამოსახულ სიუჟეტებს, სადაც ძალიან მისდევს კურდღელს — პ. უვაროვას ვარაუდით, აქ გადმოცემული უნდა იყოს ახალმონათლული ქრისტიანების დევნა, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა I-III სს.-ის რომის იმპერიაში (პ. უვაროვა, 1904, გვ. 188).

კურდღელი (ბაჭია) ჭარბი სასიცოცხლო ძალისა და ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ამავე დროს, მისი წინა ფეხების თათები, როგორც ამულეტი, დედამიწასთან კავშირის აღმნიშვნელად და ბედნიერების წყაროდ ითვლებოდა. კურდღელი მიჩნეულია სიფრთხილის სიმბოლოდაც, ვინაიდან მას გახელილი თვალებით სძინავს და გარემოს ძილის დროსაც ხედავს (ქ. რამიშვილი, 2011, გვ. 27).

მეტად საინტერესოა ბალთაზე გველის გამოსახულება. ეს, რასაკვირველია, მისი, როგორც კულტის, როლით აიხსნება. იგი უძველესი დროიდან ფართოდ არის გავრცელებული არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ მსოფლიოში.

ბიბლიაში დიდ როლს ასრულებდა გველის სიმბოლური სახე, რომელმაც ევა შეაცდინა და კაცთა ტომი გააუბედურა იმით, რომ ქალს აკრძალული ხილი აჭამა (ა. გელოვანი, 1983, გვ. 113).

საქართველოში გველის გამოსახულებანი ჩანს უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურაში აღმოჩენილი რელიეფურკლაკნილიანი ორნამენტი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც გველის ამგვარ გამოსახვას (მ. ბარამიძე, 1977, 56).

გველის კულტი ერთ-ერთი ყველაზე ძველი წარმოშობის უნდა იყოს. ხალხთა უმეტესობაში გველი ისახება როგორც წყლის მფლობელ-დამცველი. ასევე ცის წყლებისაც, აქედან არის გველისათვის ფრთების აუცილებლობა და მისი გველშაპის სახეში გადაზრდა (ნ. ურუშაძე, 1988, გვ. 57). გველს დიდი როლი ენიჭება განაყოფიერებაში. მას განაპირობებს გველის მსგავსება ფალოსთან. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ახალი გვინეა, ავსტრალია, აბისინია, პორტუგალია და სხვა ქალებს გველი სახლში ჰყავთ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელის დედას ოლიმპიას სახლში გველი ჰყავდა და ალექსანდრეს მისგან შეძენილად თვლიდა (გ. ავალიშვილი, 1974, გვ. 88).

ზოგიერთ ქვეყანაში გველი საკულტო სიმდიდრის მცველ-შემნახველად მიაჩნდათ. ტუტანხამონის ცნობილ სამარხში საგანძურს “იცავდა” დიდი ოქროს გველი. ელზევისა და ათენის ტაძარში ინახავდნენ დიდ გველს და ყოველთვიურად სწირავდნენ თაფლიან კვერებს. გველი გვევლინება აცტეკების ერთ-ერთი ღმერთის კვეცაკოატლის სახით. ფინიკიაში გველი არის ცის ღმერთის ტააუტის სიმბოლო, ხოლო სკანდინავიაში მარადისობის გამომხატველი. ასევე, გველის სახით იხატება ძველი ეგვიპტური ღმერთი უტო. შუმერში გველი დაკავშირებულია ქალღმერთ იშთართან. გველის გამოსახულება ცნობილია ძველი ელამის და ბალესტინის გეომეტრიულ კერამიკაზე (ლ. შტენბერგი, 1936, გვ. 117, 118) საქართველოში გველის გამოსახულება ფართოდაა გავრცელებული. გველის გამოსახულება გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ ცულებსა და სამაჭურებზე. ასევე მისი გამოსახულება არის წარმოდგენილი გრავირებულ სარტყლებსა და ქარქაშის ფრაგმენტზე.

გველის გამოსახულება იცვლება იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულების ნივთზეა იგი წარმოდგენილი. საომარ იარაღზე გველი გამოსახულია სამკუთხა წაგრძელებული თავით აგზნებულ მდგომარეობაში, ხოლო ამულეტ-სამაჭურებზე უფრო “დამშვიდებული” სახით, როგორც დამცველი, კეთილი სული. საერთოდ, ცნობილია, რომ საკულტო ცხოველთაგან ყველაზე დუალისტური როლი გველს ენიჭება. გველი ხან სიბრძნის, სიცოცხლის, ადამიანის კეთილი სულის, ხან კი სიბოროტის უნივერსალური გამომხატვაა (გ. ავალიშვილი, 1967, გვ. 59).

ამ მხრივ საყურადღებოა ქუთაისის მუზეუმში დაცული ქარქაშის ფრაგმენტი (№ 5564, 154). მასზე გამოსახულ გველს ორივე მხარეს აქვს თავი, მას ხახა დაღებული აქვს, იგი დეკორატიულად იშლება. შუაში ენა უჩანს, გველი აგზნებულ მდგომარეობაშია (სურ. 2).

საქართველოს მთიან ადგილებში შემორჩენილია გველის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და თქმულებები. ფშავ-ხევსურეთში შემორჩა თქმულება, რომ ყველა ოჯახს ჰყავს თავისი “ოჯახის”, “სახლის” გველი, რომელსაც დილა-სალამოს ფინჯნით რძეს უდგამენ ხოლმე. სვანის რწმენით, “მეზირი” შეიძლება გველის სახითაც იყოს წარმოდგენილი - ოჯახის მფარველი, სიმდიდრის და ჯანმრთელობის მომცემი (ვ. ბარდაველიძე, 1955, გვ. 161). ისევე როგორც რიგ ხალხებში, საქართველოშიც გველი დაკავშირებულია განაყოფიერებასთან, როგორც სვანეთში, ასევე სამეგრელოში უკანასკნელ დრომდე იყო შემონახული ოჯახისა და კერის მფარველი გველის კულტი, რომელსაც ნაყოფიერების ფუნქცია უკავშირდებოდა (მ. ხიდაშელი, 1982 გვ. 47).

გველი, ასევე ძველთაგანვე, ხალხთა წარმოდგენაში სიბრძნისა და მკურნალობის სიმბოლოა. ცხოველთა სიმბოლიკაში გველს იმდენადვე დიდი ადგილი უჭირავს, რამდენადაც დიდია ადამიანთა შიში მის წინაშე, ეს დაედო საფუძვლად მის ორმხრივ მნიშვნელობას: როგორც სიკეთის მიმნიჭებელი და იმავე დროს დამლუპველი ღვთაება, ყოველი ხალხის ცრუ წარმოდგენაში რელიგიური სიმბოლიკის საგნად ქცეულა და უპირატესად მკურნალობის ატრიბუტად ითვლება. ქართულ მითოლოგიაში გველი სიმბოლოცაა და მკურნალობის ემბლემაც (ა. გელოვანი, 1983, გვ. 113, 114).

ჩვენ მიერ საკვლევ ბალთაზე გამოსახული გველის ტანი დაფარულია ორმხრივი ირიბი ღარებით, რომლებიც წინა ნაწილში ერთდება. გველის ამგვარი

სახით გამოსახვა დაკავშირებული უნდა იყოს “სიცოცხლის ხესთან” ნაყოფიერების იდეასთან.

“სიცოცხლის ხე” ყველა ერის ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს და მასთან ხშირად გვხვდება გველი გრაფიკული დეკორით გამოსახული, ირემთან და თევზთან ერთად. იგი ნაყოფიერების ღვთაებასთან არის დაკავშირებული, ან თვით განასახიერებს მას (ლ. ფანცხავა, 1988, გვ. 43, 44).

ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიულ მასალიდან კარგად ჩანს, რომ გველი და თევზი ერთსა და იმავე ღვთაებას ასახავდნენ. გარდა ამისა, ისინი ბუნების დიდი დედის ზოომორფულ სახეებს უნდა წარმოადგენდნენ (ლ. ფანცხავა, 1988, 87).

წარმოდგენები, თუ რომელი ცხოველის სახე უნდა მიიედო ამა თუ იმ ღვთაებას, დამოკიდებული იყო, თუ რა მიმართულებას იძენდა გამოსახულებაში ჩადებული მაგიურ-აბოტროპული ქმედება.

ჩვენ მიერ შემოთ წარმოდგენილი ბალთის ფორმალურ-სტილისტური ანალიზის შედეგად ეს ბალთა შეგვიძლია შევიყვანოთ იმ ძეგლთა რიცხვში, რომელნიც ცხოველთა მფარველ ღვთაებას და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს ასახავს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს დასკვნა დამაჯერებელი იყოს, უნდა შევეხოთ საკითხის მეორე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე მხარეს — ამ სიუჟეტის სემანტიკას და ვნახოთ, რამდენად არის შესაძლებელი ამ დეკორის სიმბოლიკის დაკავშირება ცხოველთა მფარველი ღვთაების სამყაროსთან.

ყოველგვარ რელიგიებში ცხოველთა კულტებმა სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულეს. როგორც ჩანს, ეს კულტი უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს.

სვანეთიდან შემოსულ ბალთაზე გამოსახული კურდღლის, გველისა და ადამიანის გამოსახულება უნდა იყოს ღვთაების ორგვარი სახე: ანთროპომორფული და ზოომორფული.

ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი ეჭირა ცხოველთა მფარველ ღვთაებებსა და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს (ელ. ვირსალაძე, 1964, გვ. 40). ამას ადასტურებს არქეოლოგიურ ნივთებზე (ცულებზე, სარტყელებზე, ბალთებზე და სხვ.) ნადირობისა და სხვა საყოფაცხოვრებო სცენების ამსახველი გამოსახულებანი.

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძეგლებში დღევანდლამდე შემორჩენილი ცხოველების მითოლოგიური კომპლექსი. ხოლო თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ხელოვნების ყველა დარგი სარგებლობდა რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტებით.

თავდაპირველად ადამიანთა გარკვეული გვარისა თუ თემის მფარველებად ზოომორფული არსებანი გვევლინება. შემდგომ ხდება ზოომორფულ მფარველთა ნაწილობრივი ან სრული ანთროპომორფიზაცია. ისინი ჯერ ქალღვთაების სახით, შემდეგ მამაკაცის ღვთაების სახით წარმოიდგინებიან. ეს ზოომორფული არსებანი კი ტრადიციით მტკიცედ უკავშირდებიან ამ მფარველ ღვთაებებს (ა. ლანგი, 1968, გვ. 615).

როგორც აღვნიშნეთ, ცხოველთა მფარველი ღვთაება, თავდაპირველად ზოომორფული არსებაა, ხოლო განვითარების უფრო გვიან საფეხურზე იგი ადამიანის მსგავს არსებად იქცევა. ზოომორფული ღვთაებები მის აუცილებელ

ატრიბუტებად იქცევიან და ძირითადი არსისა და თვისების გამომხატველნი არიან. სწორედ იმ მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენ მიერ საკვლევი ბალთა, რომლის ფორმალურ-სტილისტური ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, წარმოადგენს მასზე გამონათულ ღვთაების სახეს, რომელიც უნდა იყოს იმ მომენტთნ დაკავშირებული, როდესაც ხდება სამი საწყისის გაერთიანება ბუნების დიდი დედის სახეში.

კერძოდ კი, ცხოველები გაერთიანდნენ და ერთ-ერთი მათგანი რომელიმე (თევზი, ბაყაყი, გველი) დიდი დედის აუცილებელი ატრიბუტი გახდა, განასახიერებდა, რომ ის ბატონობს წყლის სამყაროზე, ზეცაზე, კარგად ჩანს აზიური დიდი დედის იშთარის სახეში. ხოლო ცხოველები მიწიერი სამყაროს ბატონად სახავენდნენ მას, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალღმერთის ყველა ეს ატრიბუტი, ზოომორფული არსებანი ადრე თვითონაც ღვთაებებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დიდი დედის ზოომორფული გამოსახულების ფუნქცია დაეკისრათ (მ. ხიდაშელი, 1972, გვ. 72). ამ ზოომორფული ღვთაებების წარმოშობა რელიგიური აზროვნების ტოტემურ საფეხურთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საკვლევ ბალთაზე, რადგანაც ადამიანის გამოსახულება მამაკაცის სახით არის წარმოდგენილი, უკვე ეს უნდა იყოს ის პროცესი, როდესაც ქალღვთაების სახე ასევე მამაკაცის ღვთაების წარმოსახვითაც ხდება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ბალთაზე წარმოდგენილი გამოსახულება წარმართულ კერპს შეგვიძლია დავუკავშიროთ, რომელიც უნდა ასახავდეს ბუნებისა და მისი ძალების კულტს, მსგავსად ბრინჯაოს ჭვირული ბალთებისა. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის ბალთაზე ფიგურები სტილიზებულია, ამ შემთხვევაში იმ საფეხურზეა აყვანილი, რომ ისინი არა იმდენად დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს, არამედ მთავარი ყურადღება გადატანილია მის იდეაზე, შინაარსზე და წარმოდგენილ ნივთის აზრობრივად დატვირთული ხატის ჩვენებით, მატერიალური, ხელშესახები სახე ეძლევა იმას, რაც უხილავია და სულიერ სამყაროში შედის კომპოზიციაში წარმოდგენილი ფიგურები. ადამიანისა და ცხოველთა გამოსახულებანი ოსტატისათვის რეალურად არსებულის მაგივრობას სწევს, აღბეჭდავს სამყაროს, მაგიურად მოქმედებს მასზე და ცდილობს მთლიანობაში შინაარსის საშუალებით გადმოგვეცეს ზუსტი ინფორმაცია მითოსური სამყაროს შესაცნობად და ქმნის სამყაროს ხატს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში მოქმედებდა.

ჩვენ მიერ საკვლევი ბალთის სახით საქმე გვაქვს უნიკალურ შემთხვევასთან, როცა ახალი ტენდენციები ტრადიციულ გამოცდილებასთან ორგანულადაა შერწყმული და მასზე აისახა კოსმიური, ანთროპომორფული და ტოტემური თემატიკის ერთობლიობა.

ბალთაზე მოთავსებული ანთროპომორფული გამოსახულება მსგავსია ბრინჯაოს სარტყელების ღვთაებებთან, რომლებიც უმთავრესად ძვ. წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება (მ. ხიდაშელი, 1982, გვ. 48). მოგვიანებით, ოსტატი მათგან იღებს იდეას და დაახლოებით ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ქმნის კოლხური მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავ ძეგლს, რომლის ანალოგია ჩერჯერობით არსად არ გვხვდება. ამავე დროს გემოვნებით შესრულებელი ბალთის ხაზოვანი დინამიკა, მხატვრული სტილი მტკიცედ არის დაკავშირებული ანტიკური ეპოქის ქართულ ძეგლებთან. ფორმების მნიშვნელოვანი დახვეწილობა, შემდგომი პერიოდის ქართულმა ხელოვნებამ განავითარა. ტრადიციების მრავალფიგურიანი

გადმოცემა თავს იჩენს ელინისტურ და გვიანელინისტურ ბრინჯაოს ქართულ ჭვირულ გამოსახულებიან ბალთებზე (სურ. 3) (მ. ხიდაშელი, 1972 გვ. 57), რომლებიც წარმოადგენს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს მხატვრული მელითონეობის უკანასკნელ ეტაპს და ავგირგვინებს ამ დარგის ბრწყინვალე ტრადიციებს.

დამოწმებული ლიტერატურა


- გ. ავალიშვილი, 1968** — გ. ავალიშვილი, ზოომორფული სამაჯურები ქვემო ქართლიდან, №8 თბ., 1968.
- გ. ავალიშვილი, 1974** — გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974.
- შ. ამირანაშვილი, 1961** — შ. ამირანაშვილი, ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
- ახალი გერმანული ლექსიკონი, 2004** — Neus grosses Lexikon in Farbe, Kiolni, 2004.
- მ. ბარამიძე, 1977** — მ. ბარამიძე, მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.
- ვ. ბარდაველიძე, 1957** — В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графические искусство, Тб., 1957.
- ა. გელოვანი, 1983** — ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
- ელ. ვირსალაძე, 1964** — ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964.
- ა. ლანგი, 1968** — A. lang, MythesCultes et Religion. 1968.
- ქ. რამიშვილი, 2011** — ქ. რამიშვილი, აღმოსავლეთ მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 2011.
- ბ. უვაროვა, 1904** — П. Уварова, Роездка в Ршавию, Хевсуретю и Сванетию, МАК, Моск., 1904.
- ნ. ურუშაძე, 1988** — Н. Урушадзе-Древнегрузинское пластическое искусство Тб., 1988.
- ლ. ფანცხავა, 1988** — ლ. ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნების ძეგლები, თბ., 1988.
- ლ. შტერნბერგი, 1936** — Л. Штернбер; Первоытная Религия, Моск., 1936.
- ტ. ჩუბინაშვილი, 1963** — ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.
- მ. ხიდაშელი, 1972** — მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972.
- მ. ხიდაშელი, 1982** — მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება აღრეულ რკინის ხელოვნებაში, თბ., 1982.
- გერმანულენოვანი ვიკიპედია**



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

DAVIT BERDZENISHVILI

BRONZE BUCKLE FROM SVANETI

Feature metalwork becomes extremely successful in antique Georgia. In this period fine works of art made from bronze are created - oxen of Kolkhi type made with rich ornamentation, engraved belts furnished with multi figure compositions, bronze statues of people and animals, wormwood and bracelets of this type, etc. With these works of defined for worship small size people statues are created, which require participation with birds and animals by their poses and attributes. The production of Georgian national feature metalwork is buckle from Svaneti, kept in Kutaisi museum (# 5548\ა-138; **pic. 1**). On vertical line there is three stored image of a person, rabbit and snake. On the buckle there is a rabbit in heaven, snake in hell and a person in the middle, as a presenter of the centre of the world, who connects the heaven and the hell. Work made by mater is done with quite a high relief, it's prominent with fine cultivation of figure forms and represents the beginning stage of round statues.

Cult of snake was quite common in Georgia. We meet snake image on kolkhi type oxen and bracelets of late bronze period. We also meet this image on engraved belts and parts of sheaths.

In this regard, part of sheath with the image of snake with two heads, kept in Kutaisi museum is very important. (**pic.2**).

Anthrophomorphic image made on the buckle resembles to gods of bronze belts, which mainly dates from IX-VII centuries BC. Lately, master gets the idea from them and creates the great work of feature mastery of Kolkha in VI-V centuries BC, the analogue of it is met nowhere yet, also line dynamic of the buckle, feature style is strictly connected with Georgian works of antique epoch. Important sophistication of forms were developed by Georgian art of next period.

Passing the traditions in Multi figure way is noticeable on Georgian buckles with curved image of Hellenistic and late Hellenistic periods (**pic.3**) which represent the last stage of Georgian feature metalwork of pre Christianity time and tower the excellent traditions of this field.

თამარ გასიტაშვილი

"რუსულანიაის" სპარსული ნასესხობებიდან:
თასი, გარფუში

ცნობილია, თუ რა მრავალფეროვანი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სეფიანურ ირანთან (XVI-XVIII სს.). ამ დროს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი გზით, დიდი რაოდენობით არის შემოსული ქართულ ენაში სპარსული ლექსიკა, რომელიც ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი.

ნაშრომში გამოვლენილი და გაანალიზებულია ამ ხანის უცნობი ავტორის თხზულების - "რუსულანიაის" (XVII ს.) ჭურჭლის აღმნიშვნელი ორი სპარსული ნასესხობა — **თასი** [تاس // طاس /tâs/] და **ზარფუში** [سرفوش /sarfuš/].

თასი

"რუსულანიაისში" ლექსემა **თასი** 17—ჯერ გვხვდება, აქედან ექვს შემთხვევაში ყაბახის მოსაპოვებლად გამართული შეჯიბრების დროს სახელდება (ყაბახი — მოედნის შუაგულს ამართულ მაღალ ძელზე დადგმული ნიშანი, სამიზნე, ჩვეულებრივად ოქროს ან ვერცხლის თასი, რომელსაც მხედრები ჩაუქროლებდნენ და ისარს ესროდნენ ჩამოსაგდებად; ვინც ჩამოაგდება ჯილდოდ ამ თასს იღებდა), დანარჩენ შემთხვევებში კი — როგორც სასმისი ჭურჭელი:

"ხოშგვარსა ღვინოსა სვემდენ იაგუნდისა, ლალისა და ფირუზისა **თასებითა**" (რუსულანიაი, 1957, გვ. 106₂₆); "ის ერთი პური და ერთი **თასი** იქნებოდა, ის ღვინო თვითო ლუკმა და თვითო ცვარი კმარობდა" (რუსულანიაი, 1957, გვ. 171₉); "წინა მინით ღვინო უთქს და ზურმუხტისა **თასი**" (რუსულანიაი, 1957, გვ. 204₈); "იაგუნდის და ლალის **თასებითა** ხოშგვარსა ღვინოსა სმა დაუწყეთ" (რუსულანიაი, 1957, გვ. 217₅); "დავხედით და დაუწყევით ზურმუხტისა **თასითა** ხოშგვარსა ღვინოსა სმა" (რუსულანიაი, 1957, გვ. 295₂₃); "სუფრა ყველა სტავრისა იყო, თეფში და ჯამი — ყველაი ფირუზისა, **თასი** — ყველა წითლის იაგუნდისა და სურა — ზურმუხტისა" (რუსულანიაი, 1957, გვ. 357₆); "და მოიღეს სუფრა ყოველი, მოთვალ — მომარგალიტული, სტავრისა და ნახლისა, თეფში და ჯამი — ყველაი იაგუნდისა, ზურმუხტისა და ფირუზისა, **თასი** და სურა — ყველა მრთელის იაგუნდისა და ლალისა, ფერად-ფერადი" (რუსულანიაი, 1957, გვ. 364₄); "და შევიდნენ მეფენი სადედოფლოსა და მოეგებნეს დედოფალნი წინა და გარდამოაყარეს წითლისა იაგუნდის **თასები**, ყვითლის იაგუნდით საესე" (რუსულანიაი, 1957, გვ. 373₃₉); "შეიქნა ლალისა **თასითა** ხოშგვარისა ღვინისა სმა და მეჩანგეთაგან ამოსა ხმისა თქმა და ასეთი ლხინი, რომ უკეთესობა აღარ იქნებოდა" (რუსულანიაი, 1957, გვ. 467₁₇); "ყველას ხელთ ოქროს თეფშები ეჭირათ, ზოგსა **თასი**, ზოგსა ნალბაქი, ვის როგორ შეეფერებოდა, სულ სხვასა და სხვას თვალითა და მარგალიტით საესე..." (რუსულანიაი, 1957 გვ. 478₁₂); "რა გამობრუნდიან, დავხედით, პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა ზოგი ოქროსა, ზოგი მურასა სურა, ლიტრა, ჯამ—თეფში, **თასი**, ნალბაქი — ამისთანა იარაღი თვითომ თვითო დადგის" (რუსულანიაი, 1957, გვ. 481₅)...

მომყავს მაგალითები, სადაც **თასი** სახელდება ყაბახობისას:

“ამართეს ყაბახი მაღალი და შესვეს **თასი** ოქროსი და დაუწყეს ყაბახსა სროლა” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 330₁₃); “მერმე ყაბახსა ზედა შესვეს **თასი** ოქროსა და დაუწყო სროლა” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 331₁₈); “მას ღღეს თორმეტი **თასი** ჩამოაგდო” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 331₂₂); “მოიყვანეს ცხენი და გამოიტანეს მურასად მოჭედილი **თასი**, შედგეს ყაბახსა ზედა” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 355₁₇); “დაიწყო სროლა, შესტყორცა, **თასშიგან** გაავლო ისარი. **თასი** ჩამოვარდა და ისარი მეორესა უამსა ჩამოვიდა, აწ მეორე და მესამე, ვიდრე ცხრამდი” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 355₁₉₋₂₀)...

“ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდის მასალებში, გარდა “რუსულდანიანისა”, ოქროს, ვერცხლის, იაგუნდის, ფირუზის, ლალის, ალმასის **თასი** გვხვდება მრავალ ძეგლში. კერძოდ: “უბრძანა ... **თასსაცა** ვერცხლისაცა, რომლითა მსუმელი იშუების, შთადებად მას შინა” (იუდაებრ., I, 143₄₃ (XI-XII/XIII)); “... ერთი **თასი** დედაბრისა ელენესი იყო და იმას არავინ ემართლებს” (ქრონიკ., II, 350₃₂) (1523 წ.); “... რაც დარჩომილი იყო — ანუ ქუაბები, ანუ თეფშები, ანუ **თასები** — ზოგი რამე ანდერმანს და იოთამს გაუყვია...” (სამართ., VI, 588₁) (1574-1605 წწ.); “დააყუჩნის მისნი მჭკრეტნი, დასცვივოდის ველთ **თასები**...” (ზილიზ., 80₃); “სურა დგას იაგუნდისა, სხვა ზურმუხტისა **თასები**” (შაჰნავაზ., 187₁); “... მანუჩარ ტანტზედან იჭდა მორჭმული, გვირგვინოსანი. და ველთა ფეროზისა **თასი** ჰქონდა, ხომგუარიათა ყირმიზითა ღვინითა სავსე, და პირ-მთუარეთა თანა გამოისუენებდა...” (შაჰნ., III, 279₅);

“აწ გათავდების შაირი ერთს რიგსა დაღვევაზედა,
ააყენებენ მაგლობელს, ვის თავი მოსწონს თქმაზედა,
იტყვიან ჭრელსა საამოდ **თასების** დაღვევაზედა,
მისცემენ სამგალობოსა, დასრულდეს ტკბილსა ხმაზედა”

(თეიმ. II, სარკე თქმ., 504₃);

“... აიღე : ნიახურის თესლი, ავსანთინი, ზარავანდი, ჯინტიანე თვითოსაგან ნახევარ მიტყალი, დანაყე ნახევარზედა და ორი **თასი** წყალი ზედ დაასხი, ამთონიერთი აღულე რომე ნახევრად მოიყაროს, გამოწურე, ცოტა თრიაყი, ალთისა გაურივე და შეასვი” (კარაბ., 410₃₂); “და საბრი და მური და აყიყიად და ლიჰითა **თასისა** აფშარად და თეთრი არჯასპი ყოველი ძმრითა დააღბოს და ფერბთა შემოსდვას და შასცხოს და მაგრად შეკრას” (სააქ., 253₃₆); “ვინცა ... პიტნის წვენი სამსა ღღესა ზედაზედ თვითო **თასი** უზმომან სვას, ტყირპი უშველოს” (იად. დაულ., 409₂₀); “საყიანთა ყმას მიართვეს იგი **თასი**...” (შვ. მთ., 999₁); “ხელთ ჰქონდათ **თასი** ღვინისა, ტკბილად სმენ არ თუ შხამათა, ჭირთავან ნააზატები სევდას ვერ დაეშამათა” (თეიმ. I, ლ. მაჯნ., 264₃); “მარნები გამდიდრდებოდეს, ქარახს მზადებენ, **თასებსა**, ვის ვისთან ლხინი ეწადოს — რა სჯობს არიფთა დასებსა!” (თეიმ. I, შედარ. გაზ. და შემ., 57₁); “გაგულისდა, **თასი** სავსე ღვინო პირსა შემაქცია” (არჩ., II, გაბ. თ. და რ., 1105₁); “მერმე ის **თასი** მიწით დაიჭირე, გახმეს” (ზეთ., 129₂₁); “მეფეს დიდად ეწყინა და წყურვილისაგან შეღონებულმა მეორედ მიუბყრა, და რა სავსე პირად მიიღო, აგრევე ქორმა შეფეთქა, სავსე **თასი** დაუქცია” (საბა, II-2, 53₁₉); “უკეთუ ვისმე ნებავს, რომ წავიდეს სადმე სტუმრად, და ეშინის მუნ

დათრობისა, ესე უცხო ღონისძიება არს, დილა უზმას ერთი მკვავე ვაშლი შეჭამოს და ზედ ერთი **თასი** ანუ სტაქანი ცივი წყალი შესვას” (კალმ., I, 260₁₉); “ხოლო ტრაპეზსა ოდესცა დაჯდის, ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ ძმათა ღწნისაგან ყოვლადვე **თასითა** ღწნოსა დაუდგმიდეს, და გემოსა იხილავნ” (იოვ.-ეფთ., 37₄); “მისრულსა მეფესა ყვენმან მისცა **თასი** სავსე ღწითა” (ვახუშტი, 221₇); “... ბეჟიტას აქვს ... ვეცხლის **თასი**, აზარფეშა...” (სიძვ., II, 276₂₄) (1711 წ.); “ბეჭედი ესრეთ სხენნ : დიდი ბეჭედი სასიგლე საგასახსნითე რომ ბეჭედი არის მით დაბეჭდულა, და მისი **თასი** ოქროსა გვერდსა უთქს, და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთ-უხუცესსა ველთა აცვია...” (ვ. კ. გარ. 6₉); “მივიდნენ, ნახეს, რომ იგი წყეული ცეცხლთან იჯდა და მრავალი გარეულის კანჯრების მწვადი ეწყოთ, შამფურებითა სწვევდნენ და მრავალი გულხელმოჭობილნი დევნი ადგნენ თავსა და ემსახურებოდნენ და ბრწყინვალენი ქალნი ღვინოს **თასებით** აწვდიდნენ” (ყარამ., 621₁₂); “ერთი წყვილი **თასი**, ერთი იათული, ერთი ქარვის კრიალვესანი, ოთხი ადლი და ნახევარ ჩარეჟი ყვითელი სტოფი მძიმე ზარიანი, სამი ლიტრა ნულლი ..., ესენი გაგვზავნე ორის ჩემი მსახურის ველით” (ცხ. ანდ., 102₄₀ (XVIII-XIX)).

ძველად ყველანაირ სასმელ ჭურჭელს ზოგად სახელად **წედა** ეწოდებოდა. საბას ნათქვამი აქვს: “წედა არს ყოველივე შესასმელი ჭურჭელი”, ხოლო ჭურჭელის ქვეშ მას ჩამოთვლილი აქვს ყველანაირი ჭურჭელი, რომელიც შესაძლებელი იყო წედად ყოფილიყო სახელდებული. **თასიც** აქვეა მოხსენიებული: “წედა არს ჭურჭელი სასმისი: ფიალა, **თასი**, ბარძიმი, სირჩა, ჩარა, ბიდახი, სტაქანი, დოსტაქანი, ორთომელი, კვანჩხი, სარიოში, ყანწი, კულა და მისთანანი” (საბა, 1991-1993, გვ. 409). საბა აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დიდი თუ მცირე ღვინის სასმისებია. ლექსიკონის ბოლოს უცხო შესატყვისობანში ვკითხულობთ: **თასი** — ლათინურად თაცა B, თურქულად ფიალა ZAaB. სომხურად მატრათას ZAa (საბა, 1991-1993, გვ. 512).

ივ. ჯავახიშვილი ჭურჭელს დანიშნულების მიხედვით როცა განიხილავს, გამოყოფს “სახლის ჭურჭელს”. ამ ჯგუფში შეჰყავს **თასიც**. 1523 წლის ბარათაშვილების გაყრილობის წიგნში ზოგადად არის აღნიშნული “სახლის ჭურჭელი” და ჩამოთვლილია: **თასები**, ჭიქები, ჩინურები, ქუაბები, თეფშები, ბარქაშები” (ქრონიკ., II, გვ. 350) (ივ. ჯავახიშვილი, 1965, გვ. 63).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **თასი** [არაბ. tāš] არის: 1) ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის სასმისი, ჯამის ფორმისა. მხედარმა მიაგლო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავლო ხელი **თასს** (აკაკი); მოიტანა ლამაზი ყუთი, გააღო და იქიდან გადმოაწყო სუფრაზე ვერცხლის მშვენიერი **თასები** (ნ. ლომ.); ასწიეთ **თასები**, გადავკრათ უცებ! (გ. ტაბ.) || ჯამის ფორმის ლითონის ან ფაიფურის საოჯახო ჭურჭელი, — ფიალა; 2) სპორტ. მხატვრულად გაფორმებული ლითონის, ბროლის ან ფაიფურის ძვირფასი ჭურჭელი შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად” (ქეგლი, 1950-1964, IV, გვ. 345).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში თასის სპარსული წარმომავლობაა მითითებული: **თასი** (სპარ.) ღვინის სასმისი, უფრო ვერცხლისა (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 554).

ლ. კოტაშვილს “აღმოსავლური რეალიები ქართულ ხალხურ ზღაპრებში” აღნიშნული აქვს, რომ ლექსემა **თასი** არაბულია: არაბ. **طاس** (tās) **თასი**.

ღვინის სასმისი, კოთხი, ფიალა, ღვინის დასალევი ჯამი. **თასი** — სასმისია, თასი — სათასე — წედად დადგმული, საწადე საღვინე (ლ. კოტაშვილი, 1985, გვ. 48).

სპარსული ლექსიკონის მიხედვით **تاس** || **تاس** [tâs] არის ტაშტი (ი. რუბინიჩიკი, 1985, გვ. 149).

მ. მოინის ლექსიკონში მრავალი მნიშვნელობიდან: I. არის დიდი ტაშტი; II. ჭურჭელი, რომელშიც აბაზანისთვის წყალს ასხამენ; III. ფიალა, კათხა (წყლის ან სხვა სასმელისათვის). აქვეა აღნიშნული, რომ **تاس** (tâs) არის **تاس** (tâs)-ის არაბიზებული ფორმა. ფალაური tâs (მ. მოინი, 1998, გვ. 2196).

ალი-აქბარ დეჰხოდა სხვადასხვა ლექსიკონების მიხედვით განმარტავს: სპარსული წარმომავლობით **تاس**-ს წერენ. სპარსულენოვანი არაბული ენის მკოდნეები **ط** ასოთი წერენ და ასე გავრცელდა სახელმძღვანელოებში. ღვინის ან წყლის სასმელი ჭურჭელია, მაგრამ არაფერია ნათქვამი, რომ არაბიზებულია. განმარტებებში კი წერია: **تاس** დიალექტურია, ანუ არაბული არ არის. მნიშვნელობით ეს არის ფინჯანი, ღვინის ჭურჭელი, ჯამი, თასი, ფიალა, რომლითაც წყალს სვამენ. გვხვდება ფირდოუსისთან. სპარსულ ენაში ჭურჭელია, რომელიც აბანოში დააქვთ დასაბანად. ამ ჭურჭელს თურქებაც თასს უწოდებენ (ა. დეჰხოდა, 1993-94, გვ. 13430).

შუშთარის ლექსიკონში “სპარსული სიტყვები არაბულ ენაში” შეტანილია ეს სიტყვა: **تاس** [tâs] მრ. რ. **تاسات** [tâsât]: თასი, ბოკალი, ფიალა, ჯამი. ბორჰანე ყათეშთან სიტყვა **تاس** [tâs] ჭურჭლის მნიშვნელობით მოიხსენიება. სიტყვა **تاس** [tâs] ამ მნიშვნელობებით არის ცნობილი მთელს ირანში და მაწვნის თასის აღმნიშვნელია. ხუზისტანში დიდ ფიალას **تاس** [tâs] -ს უწოდებენ და ასევე **توسی** [tusi]-საც, რადგან თიხის ჭურჭელს აღნიშნავს, რომელსაც ღრმა ტაფის ფორმისას აკეთებენ (შუშთარი, 1347, გვ. 446).

გამოყენებული მასალის მიხედვით “რუსულდანიანში” გვხვდება ძვირფასი თვლებით — იაგუნდით, ლალით, ფირუზით, ზურმუხტით — მოოჭვილი **თასი**, აგრეთვე, ოქროს **თასი**.

დანიშნულების მიხედვით, “რუსულდანიანში” **თასი** გვხვდება როგორც საღვინე ჭურჭელი და თვალ-მარგალიტის მისართმევი, აგრეთვე, როგორც სამიზნე ყაბაზობისას.

ამგვარად, **თასი** არის ლითონის ჭურჭელი, რომელიც ღვინისთვის, აგრეთვე, წყლისათვის და ძვირფასი თვლების მისართმევად გამოიყენებოდა. “**თასი** “ხელმწიფის კარის გარიგებაში” წყლის ჩასასხმელად განკუთვნილ ჭურჭლად მოიწანს. სიგელის დაბეჭდვაზე რომ მიდგებოდა საქმე, სათანადო მოხელეს სასიგელე ბეჭდის “**თასი** ოქროსა გვერდსა უთქს” და “მოლარეთ-უხუცესი განხნის, **თასსა** შიგან წყალს შთაასხამს” და სიგელს დაბეჭდავსო” (ივ. ჯავახიშვილი, 1965, გვ. 74).

“ვეფხისტყაოსანში” **თასი** გვხვდება ერთხელ: “ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი, ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი **თასი!**” (ვეფხისტყაოსანი, 1957, გვ. 1205₃₋₄).

ზარფუში

ლექსემა **ზარფუში** მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება “რუსულდანიანში”. I კარის ერთ-ერთ თავში “აქა მისრელის ხელმწიფისაგან ზავის გასტუმრება საშინაოდ” ვკითხულობთ: “მოასხეს ათი ათასი ჯორები, აკიდეს საჭულაბე და საღვინე კოკები, სასმელები, თეფშები, **ზარფუში**, სუფრები, მძიმედ მოთვალული” (რუსულდანიანი, 1957, გვ. 95₂₁).

“ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდის მასალებში, გარდა “რუსულდანიანისა”, **ზარფუში** გვხვდება მრავალ ძეგლში, კერძოდ: “არის სპილენძის იარაღი ... **ზარფუში** ერთი” (სამართ., III, 685₂₅); “მათვე აჰკიდეს ჩინური სუფრა — ოქსინო-კერული, თეფში, **ზარფუში** ოქროსი, არა სპილენძი ფერული...” (შაჰნ., I, 195₂) (1712 წ.); “თეფში, **ზარფუში** ოქროსი ეყარა, ვითა მჭელია” (შაჰნ., I, 267₄); “წარგვიტანებია ... დიდი საძროხე ქუაბი ერთი, ... ყაბი და ზარფუში შვიდი ...” (სიძვ., III, 491₁₄) (1712 წ.); “ერთი ახალი ჩარდახი დავდგი, სპილენძის ჯამი, შვიდი თეფში, რვა ქვაბი, ერთი თავისის **ზარფუშითა**” (ისტ. საბ., IV, 67₈) (1687 წ.); “... ერთს ქაშანურის ქვაბში ჩაყარე, ზედ **ზარფუში** დახურე ... სრულ თავს ზარფუშს მიეკვრის” (ზეთ., 88₁₂); “თავს ერთი თიხის **ზარფუში** დახურე” (ზეთ., 146₁); “... ესენი, ცომი და ყველა, აურიე კარგად, მოზილე და ერთს თიხის ქვაბში ჩადე. **თავისი ზარფუში** კარგა პირს შემოგლისე” (ზეთ., 156₁₅)...

სიტყვა **ზარფუში** გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც: “ღვთისავარი რომ მოვიდეს სთხოვე — გეებანოს და როცა ქვაბში ჩაჯდეს, ქვაბს **ზარფუში** დაჭხურე, მე ხმა მომე, მეც იქ გავჩნდები, **ზარფუში** ზედ დავჭედოთ და ზღვაში გადავაგდოთ”; “ორმოს **ზარფუში** დააპირქვავეს და ასფურცელა შიგ დატოვეს”; “ჩაჯდა ქვაბში, მოეპარა მდევის დედა ქვაბს, **ზარფუში** დახურა”; “შენ ჯანიანი ხარ, ჩაგვამ ერთ ქვაბში, ზვიდან დაგახურამ **ზარფუშს**, დავლურსმავ და აბა ააძრობ თუ არაო” (ლ. კოტაშვილი, 1985, გვ. 47).

“რუსულდანიანის” ბოლოს დართულ ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში **ზარფუში** განმარტებულია, როგორც “თავსახურავი, სარქველი, ხუფი”.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის ბოლოს დართულ გრაფაში “საჯმართ სახელები ესეცა გარდაცვლილი” მითითებული აქვს “**ზარფუში** — თათრულია, ხოლო ქართულია კეფანი” (საბა, 1991-1993, გვ. 649). კეფანთან კვითხულობთ: “კეფანი საჭმელთ თავს სახურავი ZA (საბა, 1991-1993, გვ. 368). II ტომის ბოლოში დართულ უცხო შესატყვისობანში (იტალიურ, თურქულ, სომხური) მინიშნებულია: თურქულია **სარფუშ BC**, **სარფუში E** (საბა, 1991-1993, გვ. 521).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ზარფუშის** გვერდით აღნიშნულია, რომ ეს არის სპარსული **ზარფუშ** და, აგრეთვე, შეიძლება წარმოადგენდეს ჩვეულებრივ ლითონის საარაყე ქვაბის მილიან ხუფსაც (ქეგლი 1950-1964, IV, გვ. 103).

სპარსული **سرفوش** [zarfuš] “მოოქროვილს” ნიშნავს, ხოლო **سرفوش** [sarfuš] ნიშნავს “სახურავს, თავსახურავს” (ი. რუბინიკი, 1985, გვ. 32; ბ. მილერი, 1953, გვ. 279; გ. ვოსკანიანი, 1986, გვ. 243). თურქულ ენაში **თარბუშ** არის “თეფშის სახურავი” (ლ. კოტაშვილი, 1985, გვ. 47).

მ. მოინის ლექსიკონში კიდევ უფრო დაზუსტებულია, რომ **سرفوش** [sarfuš] არის: I. ის, რასაც ქვაბზე, პურის გამოსაცხობ ყალიბზე, ჯამზე, თიხის დიდ ღვინისა და წყლის ჭურჭელზე ათავსებენ, რათა მათი შიგთავსი შეინახოს, შენარჩუნდეს; II. ქალის თავსახურავი (მ. მოინი, 1998, გვ. 1857).

ირანელები, ცხელი ფლავი რომ არ გაცივდეს (მაგალითად რესტორნიდან დაკვეთით მისატანი ფლავი), ზედ მომრგვალო, კონუსივით სარფუშს ადებენ.

سرفوش [sarfuš] დეტერმინატიული კომპოზიტი (tatpuruša-ს ტიპის). მისი პირველი კომპონენტი არსებითი სახელი سر [sar] მნიშვნელობით “თავი”. მეორე კომპონენტია ზმნის پوشيدن [fušidan] “ჩაცმა, ტარება (ტანსაცმლის); დაფარვა, დახურვა, დამალვა” (ი. რუბინჩიკი, 1985, გვ. 315) აწმყოს ფუძე پوش [fuš], რომელიც, როგორც რთული სიტყვის მეორე კომპონენტი, ნიშნავს: 1) რაიმეში ჩაცმულს. მაგ., زنده پوش [Zende fu] ა) ჩამოფლეთილი, დაკონკილი; ბ) დერვიში; (زنده [Zende // Zande] “დახეული, გაცვეთილი”); 2) დამხურავი, დამფარავი რამესი; 3) დამმალავი, მაგ., راز پوش [rāz fu] საიდუმლოს დამმალავი (راز [rāz] “საიდუმლო”) (ი. რუბინჩიკი, 1985, გვ. 314). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ سر [sar] სალაპარაკო ენაში ნიშნავს ა) თავსახურს (მაგ., ქვაბის), მაგ., سر دیگ [sar-e dig] “ქვაბის თავსახური”; ბ) საცობს, მაგ., سر تنگ [sar-e tong] “სურის, თუნგის, გრაფინის საცობი” (ი. რუბინჩიკი, 1985, გვ. 26).

როგორც “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდის მასალებიდან დავინახეთ, **ზარფუში** შეიძლება იყოს ოქროსი, სპილენძის, ვერცხლისა და თიხის მასალისაგან დამზადებული. ეს ჭურჭელი გამოიყენებოდა, აგრეთვე, საარაყე ქვაბის თავსახურად: “ცოტაოდენი ორთქლი საარაყე ქვაბში **ზარფუშს** ... ბუმბულივით მალლა შეისვრის ხოლმე” (ი. გოგებ.); “ერთიც ვნახოთ, ნავი არყის **ზარფუშივით** თავზე დაგებურა, გადმოტრიალდა!” (ა. ცაგარ.) (ქეგლი, 1950-1964, IV, გვ. 103); ეს იყო ლანგრის თავსახურიც (სიძ., II, გვ. 4353-4, (1692-1703 წწ.)).

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფერადი ლითონების ფონდში დაცულია არყის გამოსახდელი ქვაბი თავისი “ზარფუშით.” ქვაბის თავსახური შეკერილია სპილენძის ერთი ფირფიტისაგან, მოუკალავია. განიერი მილი ჩადგმულია ფართოდ ამოჭრილ წრებაში. მილი თავისკენ ვიწროვდება. სვანეთში ზარფუშს “ლაფრი” ეწოდება (ც. კაკაბაძე, 2007, გვ. 30).

ქართული ენის დიალექტებში გვხვდება **ზარფუშ**-ი, როგორც “ქვაბის სახურავი” (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 229); **ზარფუშ**-ი (ზემო იმერ.) “საარაყე ქვაბის ხუფი (სინონ. ქვაბისთავი)”. “საოტყე ქვაბის თავს ვეტყვით **ზარფუშს** (იხ. განმარტ. ლექს., გრიშ., ჭინჭარა., დიალექტ. კახ-ქიზ. ზარფუხი)” (ქ. ძოწენიძე, 1974, გვ. 154).

დიალექტებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფშაურში **ზარფუშის** მეორე მნიშვნელობამ - **თავის ქალა**: 1. საარაყე ქვაბის ხუფი, წაგრძელებული ხორთუმით, რომლითაც წყლიან გეჯაში გაყრილ მილს უერთებენ, ორთქლის გამციებელს. ლუდის პირველ ნახარშსაც მასში სწურავენ: გადმობრუნებულს შეუდგამენ ტომრებს, რომლებშიც თავდაპირველად იწურება, ზარფუშიდან მეორადი გადაწურვა; 2. გადატ. **თავის ქალა** (გ. ხორნაული, 2000, გვ. 101).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **თასი** ანალოგიური ფორმითა და შინაარსით შემოსულა ქართულ ენაში, ხოლო **ზარფუშს**, მცირე ფონეტიკური ცვლილებით (თავკიდური “ს” გადმოსულა “ფ” ბგერით), ქართული ენის ფშაურ დიალექტში ახალი სემანტიკური დატვირთვა - **თავის ქალა** - შეუძენია.

დამოწმებული ლიტერატურა

დეჰხოდა, 1993-94 — Dehkhoda Aliakbar, Loghatname (Encyclopedic Dictionari), TehranUniversity Publications, Tehran, 1993-94.

ვეფხისტყაოსანი, 1957 — შოთა რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბ., 1957.

გ. ვოსკანიანი, 1986 — Восканян Г.А., Русско-Персидский словарь, «Русский язык», Москва, 1986.

ც. კაკაბაძე, 2007 — ც. კაკაბაძე, სპილენძის ქართული ჭურჭელი, “მეცნიერება”, თბ., 2007.

ლ. კოტაშვილი, 1985 — ლ. კოტაშვილი, აღმოსავლური რეალები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, თბ., 1985.

ბ. მილერი, 1953 — Миллер Б.В., Персидско-русский словарь, «Государственное издательство иностранных и национальных словарей», Москва, 1953.

მ. მოინი, 1998 — Mo'in Muhammad, Persian Dictionary, I-VI, Amir Kabir Publishing Corporation, Tehran, 1998.

ო. რუბინჩიკი, 1985 — Персидско-русский словарь, под редакцией Рубинчика Ю.А., I-II, «Русский язык», Москва, 1985.

რუსულდანიანი, 1957 — “რუსულდანიანი”, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ივ. გიგინეიშვილმა, თბ., 1957.

საბა, 1991-1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბ., 1991-1993.

ქეგლი, 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950-1964.

ალ. ღლონტი, 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

შუშთარი, 1347 — محمد علی امام شوشتری، فرهنگ واژه های فارسی در زبان عربی، تهران

დ. ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბ., 1984.

ქ. ძოწენიძე, 1974 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

გ. ხორნაული, 2000 — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

ივ. ჯავახიშვილი, 1965 — ივ. ჯავახიშვილი, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბ., 1965.

TAMAR GASITASHVILI
**FROM PERSIAN BORROWINGS OF
“RUSUDANIANI” : BOWL, COVER**

It's a well known fact that Georgia had various and tight connection towards Safavids' Iran (XVI-XVIII centuries). At that time we have large amount of Persian vocabulary units in Georgian language, both verbal and written ones, which is not studied yet in proper ways.

In this work we identify and analyze two Persian borrowings from the creation of unknown author of that time “Rusudaniani”(XVII century) , denoting tableware - Tasi [تاس // طاس /tâs/] (bowl) and Zarfushi [سرفوش /sarfuš/] (cover).

In ‘Rusudaniani’ we meet lexeme “tasi” (bowl) 17 times, in six cases from this in the context of competition held for kabakhi (old Georgian horse game) and in other cases as a facility for drinking.

Lexeme “Zarfushi” (cover) appears only in one case in “Rusudaniani”

“Tasi” (bowl) became in Georgian with similar phonetic form and summary, as for “Zarfushi” (cover) adopted new semantic meaning - scalp in Pshavi dialect of Georgian language.

დავით გემეტკორი
ირმა გოგოლიძე

საერთაშორისო კონფლიქტები და რელიგიური უნდააგენტალიზმი

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფუნდამენტალიზმის როლი. არაერთი მაგალითია კონფლიქტებისა, რომლებიც რელიგიური ხასიათით განისაზღვრება: სამოქალაქო ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ჩრდილოეთ ირლანდიაში; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი; შეტაკებები ფილიპინებში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის; ასევე ავტორიტარული რეჟიმების აღზევება ირანში, სუდანსა და ავღანეთში; ურიცხვი ტერორისტული აქტი ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; შეტაკებები ქაშმირსა და ინდოეთში; კონფლიქტი ინდუსებსა და სიქებს შორის პენჯაბში, ომი ბუდისტებსა და ინდუსებს შორის შრი-ლანკაში... (კიუნგი). დღეისათვის რელიგიური ფუნდამენტალიზმი ასოცირდება მსოფლიოს ყველა ძირითად რელიგიასთან და გულისხმობს უფრო რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, ვიდრე საკრალური ტექსტების უტყუარობის ჭეშმარიტების მტკიცებას.

კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ მარქსიზმს, მსოფლიო წესრიგისათვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით, რელიგიური, ძირითადად კი – ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩაენაცვლა (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 337). ცივი ომის დასრულების შემდეგ, ისტორიულმა კულტურულმა განსხვავებამ დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის აქტუალურობა შეიძინა და გახდა კულტურული უნდობლობის ატმოსფეროს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. დისკუსიაში “ცივილიზაციათა შეჯახების” შესახებ დასავლური და ისლამური ცივილიზაციების დაპირისპირებას ეთმობა ფუნდამენტური ადგილი (გ. სანიკიძე, ნ. კიდურაძე, 2001, გვ. 197). XX საუკუნის მიწურულს საკმაოდ პოპულარული გახდა ამერიკელი პოლიტოლოგის სემუელ ჰანთინგტონის ნაშრომი “ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა”. ჰანთინგტონის თვალსაზრისით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიოსათვის კონფლიქტების წყარო იქნება არა იდეოლოგია და ეკონომიკა, როგორც ადრე, არამედ ცივილიზაციური კუთვნილება. ცივი ომის დროინდელი ბიპოლარული სამყარო ეტაპობრივად გადადის მულტიპოლარულ და მულტიცივილიზაციურ განზომილებაში. ბევრი სახელმწიფო კვლავაც დარჩება საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირად, მაგრამ გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კონფლიქტები გაიშლება ცივილიზაციათა შორის (ს. ჰანთინგტონი, 1996, გვ. 3). ჰანთინგტონის აზრით, ცივილიზაციის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტია რელიგია, ვინაიდან ხშირად ერთი და იმავე ეთნიკური ჯგუფის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ხალხები ერთმანეთს უმოწყალოდ ხოცავენ (მაგ., ლიბანი, იუგოსლავია, ინდოეთი).

ჰანთინგთონი ხაზს უსვამს აღმავალ საფრთხეს, რომელიც მოდის სამხრეთიდან და უკავშირდება მუსლიმურ და კონფუციანურ ცივილიზაციებს, რომლებიც უპირისპირდებიან მათთვის მტრულ და უცხო დასავლეთს. ჰანთინგთონის ჰიპოთეზის თანახმად, XXI საუკუნე იქნება მსოფლიო ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების ეპოქა და ძირითადი წინააღმდეგობა იმ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის არის მოსალოდნელი, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას მიეკუთვნებიან (დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, ისლამური, კონფუციანური, იაპონური, ინდური, ლათინურ-ამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული). ეს ცივილიზაციები, გარდა აფრიკულისა, ჰანთინგთონის განსაზღვრების შესაბამისად, ემყარება რელიგიას, როგორც ერთ-ერთ მსაზღვრელს, ზოგი კი მთლიანად რელიგიით განისაზღვრება (ჯ. ფოქსი, 2005). ვესტფალის ზავიდან (1648 წ.) საფრანგეთის რევოლუციამდე (1789 წ.) დასავლური ცივილიზაციის შიგნით მიმდინარეობდა დინასტიური ომები. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ბრძოლა ერებს შორის ნაციონალიზმის ნიადაგზე, ხოლო რუსეთის რევოლუციის (1917 წ.) შემდეგ დაიწყო იდეოლოგიათა ჭიდილი: კომუნიზმს, ფაშიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. ცივი ომის დასრულება გახდა ახალი ეპოქის დასაწყისი: კონფლიქტი გამოვიდა დასავლური ფაზიდან და გარდაიქმნა დასავლურ და არადასავლურ ფაზად (გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, 2001, გვ. 202). XX საუკუნის ბოლოს იდეოლოგიების ბატონობის დასრულებამ გაზარდა რელიგიათა როლი. დაიწყო “ამბოხი დასავლეთის წინააღმდეგ” და ცივილიზაციათა შორის დაპირისპირება. ამასთან დესტაბილიზაციის რეგიონებად მოგვევლინება ის ტერიტორიები, სადაც ცივილიზაციათა შორის საზღვრები გაივლის. გარკვეულ სირთულეებს შექმნიან ე.წ. “გახლეჩილი” ქვეყნები, ანუ ის სახელმწიფოები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ცივილიზაციას, ხოლო პოლიტიკური ორიენტაცია სხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებსა და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე აქვთ აღებული, მაგალითად თურქეთი, საბერძნეთი, მექსიკა (ზ. დავითაშვილი, 2004, გვ. 244-245).

ცივილიზაციური კონფლიქტის შესახებ მსჯელობისას ფოკუსირება ძირითადად ისლამზე ხდება. ისლამის როლის, მისი პოლიტიზაციისა და რადიკალიზაციის საქმეში შემობრუნების წერტილი გამოდგა არაბული სახელმწიფოების ფიასკო 1967 წელს ისრაელთან ექვსდღიან ომში. რადიკალური ისლამისტური მოძრაობები სწორედ ამ პერიოდიდან იღებს უკიდურესად ანტიდასავლურ ხასიათს (გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, 2001, გვ. 206). 90-იანი წლების დასაწყისში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისლამი წარმოადგენს “კრიზისის ნახევარმთვარეს” მოსაზღვრე ცივილიზაციებთან კონფლიქტების სახით ბალკანეთზე, აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ფილიპინებზე (იქვე, გვ. 203). ისლამურ სამყაროში დამკვიდრებული რწმენისათვის სრულიად უცხოა დასავლური ფასეულობები და ყველაფერი ის, რაც იგულისხმება მოდერნიზმში. ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს რწმენას იმისა, რომ ისლამის პოსტულატები წარმოადგენს სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის, აგრეთვე, მორალის, ძირითად პრინციპებს (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 353). ისლამურ ფუნდამენტალისტებს სურთ, განამტკიცონ რელიგიის პრიმატი პოლიტიკაზე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს “ისლამური სახელმწიფოს”, ანუ იმგვარი თეოკრატიის დაარსებას, რომელსაც

მართავს სასულიერო ხელისუფლება შარიათის კანონების მიხედვით. ისლამისტებისათვის ისლამი წარმოადგენს გლობალურ და ტოტალურ მსოფლმხედველობას და ნებისმიერი პოლიტიკური საკითხის განმსაზღვრელია. ისლამს ტოტალიტარული იდეოლოგიის სახე აქვს მიღებული (გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, 2001, გვ. 207). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთის მხრივ, ისლამი როგორც რელიგია, რომელიც აერთიანებს 50-ზე მეტ ქვეყანას, ისლამურ ერთობებს 120-მდე სახელმწიფოში და, მეორეს მხრივ, ისლამური ექსტრემიზმი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ-კონფესიური ხასიათის აგრესიულ მოძრაობას (ნ. ჩიქოვანი, 2006, გვ. 87). განსაკუთრებით თვალსაჩინოა რელიგიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში იმ ქვეყნებში, სადაც რელიგია და სახელმწიფო ოფიციალურად არ არიან ურთიერთგამოყოფილნი, მაგალითად, თანამედროვე ისლამური სამყარო, სადაც სეკულარიზმი აღიქმება იდენტურობისათვის მთავარ საფრთხედ. გასათვალისწინებელია ირანის ისლამური რევოლუციის მაგალითიც, ისტორიაში პირველად ისლამისტებმა მოახდინეს რევოლუცია და ხელისუფლების სათავეში მებრძოლი რადიკალი სამღვდლოება მოვიდა. ძალაუფლება გადავიდა ისლამური რევოლუციური საბჭოს ხელში, რომელიც 15 უზენაეს სასულიერო პირს აერთიანებდა აიათოლა რუჰოლა ხომეინის მეთაურობით. საბჭო უზრუნველყოფდა კონსტიტუციის შესაბამისობას ისლამური პრინციპებისადმი. ირანმა მძლავრი რევოლუციური თვითშეგნება გამოავლინა, რაც აისახა სახალხო სიძულვილში ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, აგრეთვე, სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მკაცრი ისლამური პრინციპების დანერგვაში. ისლამური რევოლუციის შედეგად წარმოშობილმა რელიგიურმა ნაციონალიზმმა ახალ სიმაღლეებს 1980-1988 წლებში, ირან-ერაყის ომის დროს მიაღწია (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 358). რელიგია, კერძოდ, შიიტური მიმართულების ისლამი, ირანული ნაციონალიზმის მთავარ კომპონენტი გახდა. ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა თავი იჩინა ლიბანშიც 1980-იან წლებში, როდესაც ქრისტიანებისა და მუსლიმების სამოქალაქო ომის შედეგად ისედაც დანაწევრებული ქვეყანა (ლიბანის სამხრეთი ნაწილი ოკუპირებული იყო ისრაელის მიერ, ჩრდილოეთ ნაწილს კი სირია დაეუფლა) ორად გაიყო. ასევე, ისლამური პარტიები ძირითადი ოპოზიციური ძალებია ალჟირში, ტუნისში, ეგვიპტეში.

იმ ისლამურ სახელმწიფოებში, სადაც რელიგიური ინსტიტუტები ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოების ცხოვრებაში, რელიგიური აღორძინების ტალღამ სახელმწიფო-სახელისუფლებო და არამართო სახელისუფლებო ურთიერთობების თეოკრატიზაცია გამოიწვია. შედეგად, მუსლიმურ სახელმწიფოებში სულ უფრო იზრდება პოლიტიკური ისლამისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის როლი და მათი მიმდევრები აქტიურად ახორციელებენ რელიგიის პოლიტიზირებას, რაც გულისხმობს რელიგიური ფაქტორის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. კონფლიქტი ისლამსა და დასავლეთს შორის XX საუკუნის ბოლოს რამდენიმე ფაქტორმა გაამწვავა: 1. მუსლიმთა რიცხვის ზრდას მოჰყვა უმუშევართა და უკმაყოფილო ახალგაზრდობის რიცხვის ზრდა, რომელთა რიგებიდან ისლამისტები სერიოზულ შეესებას იღებდნენ; 2. ისლამის აღორძინებამ მუსლიმები კიდევ ერთხელ დაარწმუნა საკუთარი ფასეულობების განსხვავებულობასა და უპირატესობაში დასავლეთთან შედარებით;

3. დასავლეთის მუდმივმა მცდელობამ: საყოველთაოდ და უნივერსალურად ექცია თავისი ფასეულობები და ინსტიტუტები, შეენარჩუნებინა სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა, ჩარეულიყო კონფლიქტებში მუსლიმური სამყაროს შიგნით, მუსლიმთა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია; 4. კომუნიზმის კოლაფსთან ერთად გაქრა დასავლეთისა და ისლამის საერთო მტერი, სანაცვლოდ თითოეული მათგანი ერთმანეთისადმი სერიოზულ საფრთხედ იქცა; 5. გაძლიერდა კონტაქტი დასავლელთა და მუსლიმთა შორის, რომელმაც ორივე მხარეს განუმტკიცა საკუთარი იდენტურობის შეგრძნება და შეგნება იმისა, რომ ეს იდენტურობა მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს და აშორებს (ს. ჰანთინგთონი, 1996). ცივილიზაციათა პრობლემატიკამ განსაკუთრებული სიმწვავე 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენათა ფონზე შეიძინა, როცა, თითქოს, რეალობად იქცა ცივილიზაციათა ურთიერთობის ჰანთინგთონისეული მოდელი (ნ. ჩიქოვანი, 2006, გვ. 59). გლობალური ტერორიზმის ტალღას საერთაშორისო შედეგები მოჰყვა. ჟორჯ ბუშის “ტერორიზმთან ომის” ეგიდით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემტევი და, გარკვეული თვალსაზრისით, ცალმხრივი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია. ამის მაგალითებია თალიბანის რეჟიმის დამხობა ავღანეთში და ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერაყში. 2001 წლის ტერაქტის ორგანიზატორებმა სტრატეგიულ მიზანს მიაღწიეს: ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობა გადაიქცა გლობალური მასშტაბის მოვლენად, ხოლო მისი თანმხლები ტერორიზმი – გლობალურ მოთამაშედ. ტერორისტებმა ასევე გადაჭრეს ფუნდამენტალისტებისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი სტრატეგიული ამოცანაც: ჩააბეს გარეშე ძალები (აშშ და ერაყის ოკუპაციაში მონაწილე ქვეყნები) შიდა-ისლამურ სისტემურ კრიზისში, გადააქციეს ისინი ამ კრიზისის თანმხლები მოვლენების აქტიურ მონაწილეებად (ვ. მელიქიძე, 2006, გვ. 87).

თანამედროვე კონფლიქტებიდან რელიგიური ნიშნები ჩნდება ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-პაკისტანის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ბოსნიის ომებში, დარფურის კონფლიქტსა და სხვა დაპირისპირებებში. *არაბულ-ისრაელური კონფლიქტი* - პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტი არაბული ქვეყნების ლიგასა და ისრაელს, არაბებსა და ისრაელელებს შორის. დაპირისპირება პალესტინელ ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და მრავალეტაპიან კონფლიქტს 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა. სამშვიდობო შეთანხმებებს ხელი მოეწერა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის 1979 წელს, ისრაელსა და იორდანას შორის 1994 წელს, 1993 წლის ოსლოს ხელშეკრულებამ პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის შექმნა განაპირობა, თუმცა საბოლოო სამშვიდობო შეთანხმებას დღემდე ვერ მიაღწია. 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას. მისი მთავარი მიზანი იყო შუალედურ პერიოდში პალესტინის გარდამავალი თვითმმართველობის შექმნა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ლაზის სექტორში¹, იმ ტერიტორიების ნაწილზე, სადაც გაერო-ს 1947 წლის

¹ ტერმინი “ლაზის სექტორი” ხელოვნურია, გამოიყენება 1947-1948 წლებიდან. ლაზის სექტორი 1948 წლამდე იყო პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის პროვინცია. 1949 წლის დროებითი ზავით გადაეცა ეგვიპტეს. 1967 წელს ისრაელმა მოახდინა სექტორის ოკუპაცია. მოსახლეობის უმრავლესობა (1996 წლის მონაცემებით) მუსლიმია.

29 ნოემბრის 181(II) რეზოლუციით უნდა ჩამოყალიბებულიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო² (თ. ჯაფარიძე, 2000, გვ. 265). 1995 წლის 28 სექტემბერს, ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა “ისრაელთა და პალესტინელთა შუალედური ხელშეკრულება დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის შესახებ”. ამ შუალედურ ხელშეკრულებას “ოსლო II”-საც უწოდებენ. ხელშეკრულებას უარყოფითად შეხვდნენ ისლამისტი ექსტრემისტები, ისრაელის მემარჯვენე ელემენტები, ლიკუდის პარტიის ლიდერი ბ. ნეთანიაჰუ. კვლავ დაიწყო სისხლიანი შეტაკებები ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის. დაპირისპირება ისრაელსა და ღაზას შორის, რომელიც დასრულდა 2009 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით, განიხილება როგორც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის და, შესაბამისად, არაბულ-ისრაელური კონფლიქტის ნაწილი. რელიგიური ფაქტორების როლზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: ანალიტიკოსთა ნაწილი მაპროვოცირებელ ფაქტორად რელიგიას, იუდეველებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირებას ასახელებს; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი რელიგიურ-ექსტრემისტული დაჯგუფებების (მაგალითად ჰამასი³, ისლამური ჯიჰადი⁴) ჩამოყალიბებამდე წარმოიშვა და შესაბამისად, ესკალაციასთან რელიგიური ფაქტორები არ არის დაკავშირებული. რთულია რელიგიური ასპექტების უგულებელყოფა, რადგანაც კონფლიქტის მხარეებში ეროვნული იდენტობა სწორედ რელიგიით განისაზღვრება. კონფლიქტის თანამედროვე ისტორიაში რელიგიები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ებრაელებს, მუსლიმებსა და ქრისტიანებს თავიანთი უკომპრომისო პოზიციის გასამყარებლად რელიგიური არგუმენტები მოჰყავთ. თანამედროვე ეტაპზე პრობლემათა ორი ჯგუფი არსებობს: გარე ძალებთან დაკავშირებული რადიკალური ისლამური დაჯგუფებები “ჰამასი” და შიიტური “ჰეზბოლა” და მეორე – არა გარედან ხელოვნურად შექმნილი, არამედ, ობიექტურად მართლაც რთულად მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა გადაჭრა მოლაპარაკებათა პროცესში დღემდე ვერ მოხერხდა: ა) იერუსალიმის სტატუსი, ბ) ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, გ) დევნილების დაბრუნება (შ. მალაშხია, 2011, გვ. 425).

² ეს სახელმწიფო 1948-1949 წლების არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემსხვერპლა.

³ ჰამასი – არაბ. ალ-ჰარაქა ალ-ჰუკავამა ალ-არაბია-ს აბრევიატურაა და ნიშნავს „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას“. თავისი არსებობის შესახებ მან განაცხადა დეკლარაციით, რომელიც ღაზის სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე გავრცელდა 1987 წლის 12-14 დეკემბერს. მისი დამაარსებელი გახდა შეიხი აჰმედ იასინი - კაიროს აინ შამსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ღაზის მუსლიმური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „მუსლიმი ძმების ხელმძღვანელი. ჰამასი ისრაელის შეფრიგებელი მტერია და მოითხოვს ბრძოლას გამარჯვებამდე და სიონისტებისაგან პალესტინის სრულ განთავისუფლებას, მთელ პალესტინაში ისლამური სახელმწიფოს შექმნას და ამ მხრივ უპირისპირდება პგო-ს (პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია), რომელიც მიზანიც სეკულარული სახელმწიფოს შექმნაა (იხ. თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.7, თბ., 2000).

⁴ პალესტინის ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაცია “ისლამური ჯიჰადი” აღმოცენდა ღაზის სექტორში ფუნდამენტალისტური მუსლიმური ძმობიდან 1980 წელს. “ისლამური ჯიჰადის” მიზანია პალესტინის განთავისუფლება შეიარაღებული ბრძოლით. ორგანიზაციის ტერაქტები ისრაელელთა წინააღმდეგ გავრცელდა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის შექმნის შემდეგაც (იხ. თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.7, თბ., 2000).

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი 1947 წელს დაიწყო, როცა მოხდა პოსტკოლონიური გაყოფა რელიგიური ნიშნით, შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინდოეთი და პაკისტანი, ხოლო ქაშმირის შტატი, შეთანხმების თანახმად, ინდოეთის ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა. მართალია, ქაშმირი, დე იურე, ინდოეთის შემადგენლობაშია, მაგრამ, ფაქტობრივად, ნიუ დელი აკონტროლებს მხოლოდ შტატის სამხრეთ ნახევარს, პაკისტანი აკონტროლებს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, ხოლო ჩინეთი - "აკსაი ჩინს", ტიბეტის მოსაზღვრე ყველაზე მაღალმთიან, უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს (შ. მალაშხია, 2011, გვ. 433). ინდოეთი წარმოადგენს რელიგიური თვალსაზრისით ჭრელ რეგიონს, მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობაა: ინდუსები, მუსლიმები, ქრისტიანები, სიქები, ბუდისტები, ჯაინიზმის მიმდევრები. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანში, იმავე აღმოსავლეთ ბენგალში (დასავლეთი ბენგალი ინდოეთის შემადგენლობაშია) დაიწყო შეტაკებები ინდუსებს, სიქებს და მუსლიმებს შორის, ხოლო 1972 წლის 26 მარტს ბანგლადეში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ აქტუალურ თემას ინდოეთ-პაკისტანის დაპირისპირება წარმოადგენს, რომელსაც საფუძვლად სწორედ რელიგიური ფაქტორები დაედო. ქაშმირში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენენ, ეთნოწმენდა ინდუსების მიმართ განხორციელდა (შ. მალაშხია, 2011, გვ. 484). ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში დიდ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი და ისლამისტური მოძრაობა, რითაც ის უშუალოდ უკავშირდება ავღანეთ-პაკისტანისა და საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას. ინდუიზმი გარეგნულად შედარებით მკაცრად ეკიდება ფუნდამენტალიზმს. ესაა იმგვარი რელიგიის ყველაზე მკაფიო ნიმუში, სადაც აქცენტი კეთდება უფრო წესჩვეულებებსა და სოციალურ პრაქტიკაზე, ვიდრე ტექსტებსა და დოქტრინებზე. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალისტური მოძრაობა მაინც ჩამოყალიბდა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად. (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 363). ინდოეთში ინდუსისტური, სიქური და ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოვლინებებს აქვს ადგილი. აქვე უნდა აღინიშნოს სიქური ფუნდამენტალიზმის თავისებურება: იბრძვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის და არ კმაყოფილდება ეროვნული თვითმყოფობის აღდგენით არსებული სახელმწიფოს ფარგლებში. სიქური ფუნდამენტალიზმი ლიბერალურ ნაციონალიზმს ჰგავს, თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ეროვნებას რელიგიურ მთლიანობად მიიჩნევს.

ჩრდილო ირლანდია — გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, უკავია კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. 1921 წლის ანგლო-ამერიკული შეთანხმებით ჩრდილოეთ ირლანდია (იგივე ოლსტერი) ინკორპორირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში. მოსახლეობის 46% პროტესტანტია, 40% - კათოლიკე. პროტესტანტების უმრავლესობა იმ შოტლანდიელთა და ინგლისელთა შთამომავალია, რომლებიც XVII საუკუნეში გადმოსახლდნენ კუნძულზე. 1922 წლის 6 დეკემბერს, როცა, ანგლო-ირლანდიური შეთანხმების შესაბამისად, გამოცხადდა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო, ჩრდილო ირლანდიის (ოლსტერის 6 საგრაფო) პარლამენტმა ბრიტანეთის სამეფოში დარჩენა ამჯობინა. გამოყოფის მიზეზად სწორედ რელიგიური ფაქტორი

წარმოჩინდა. ჩრდილო ირლანდიაში მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის მახასიათებელი არის რელიგიური კუთვნილება: პროტესტანტი გულისხმობს ირლანდიის გაერთიანების მოწინააღმდეგეს, კათოლიკე, კი, პირიქით – გაერთიანების მომხრეს (შ. მალაშხია, 2011, გვ. 546). ფუნდამენტალიზმმა ჩრდილოეთ ირლანდიაში ეთნიკური ნაციონალიზმის გამოაშკარავებას შეუწყო ხელი, ოლსტერის პროტესტანტთა ფუნდამენტალიზმი შეესატყვისება მათ ეროვნულ თვითყოფობას, მათ “ბრიტანულობას”, ანუ ეთნიკურ არსს (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 363).

შრი-ლანკა – 1972 წელს ცეილონი⁵ შრი-ლანკის რესპუბლიკად გარდაიქმნა და ამ სახელით გაწევრიანდა ბრიტანეთის თანამეგობრობაში. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაა: სინჰალები - 75%, ტამილები - 17%, მავრები – 7%, ბიურგერები (ევროპელების შთამომავლები) – 0,3%, ვედები (უძველესი მოსახლეობა) – 1,5 ათასამდე. სინჰალების თვითიდენტიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფაქტორი. ტამილთა თვითიდენტიფიკაცია კი რელიგიურზე მეტად ეთნიკურ ფაქტორს ემყარება. ტამილების რაოდენობა კუნძულზე გაიზარდა ბრიტანელთა მმართველობის დროს⁶. 60-იან წლებში ცეილონის მთავრობამ ტამილების შთამომავლობას მოქალაქეობა ჩამოართვა და ინდოეთში მათი დეპორტაცია დაიწყო. მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის საპასუხოდ შეიქმნა “ტამილთა განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტი”, რომელიც პროტესტის მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედებდა (შ. მალაშხია, 2011, გვ. 583). 1976 წელს მათ მოითხოვეს ტამილთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. 1978 წელს დაიწყო პოლიტიკური კონფლიქტი ტერიტორიათა გამიჯვნასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების გამო. ამ დროიდანვე ჩნდება ტამილთა შეიარაღებული ჯგუფები. 1997 წლიდან “ტამილის ვეფხვები” ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორისტული ორგანიზაციების სიაში იქნა შეტანილი. 2002 წელს ნორვეგიის შუამდგომლობით გამართული მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას შრი-ლანკის მთავრობასა და “ტამილის ვეფხვებს” შორის, ტამილებს, დამოუკიდებლობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ფართო ავტონომიური უფლებები გადაეცათ. 2005 წლიდან კვლავ გაგრძელდა თავდასხმები და ტერაქტები. 2009 წლის იანვარში სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს ამბოხებულთა დედაქალაქი კილინოჩი. “ტამილელმა ვეფხვებმა” აღიარეს დამარცხება და შეწყვიტეს წინააღმდეგობა, კონფლიქტის ზონა 120 ათასზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა. დღემდე ამ კონფლიქტს დაახლოებით 100 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბუდისტური ნაციონალიზმის გავრცელება შრი-ლანკაში ძირითადად განხორციელდა, როგორც კონფლიქტი უფრო მრავალრიცხოვან ბუდისტურ მოსახლეობას – სინჰალებსა და, მეორე მხრივ, ტამილებს შორის, რომლებიც ინდუისტებს, ქრისტიანებსა და მუსლიმებს აერთიანებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბუდიზმი გარეგნულად – სავალდებულო

⁵ 1948 წელს კუნძული, ცეილონის სახელწოდებით, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა ბრიტანეთის დომინიონის სახით.

⁶ ინგლისელებმა, ჩაის წარმოების გაფართოების მიზნით, ტამილები მასობრივად გადმოსახლეს კუნძულზე სამხრეთ ინდოეთიდან. ინდოეთის საზოგადოების ტრადიციული კასტური დაყოფა ტამილებს უმდაბლეს საფეხურს მიაკუთვნებდა და ჩაის მოყვანის შრომატევად სამუშაოს, ძირითადად, სწორედ ისინი ასრულებდნენ.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, რელიგიური შემწყნარებლობის და ძალმომრეობით მეთოდებზე უარის მხრივ — ყველაზე ნაკლებად ფუნდამენტალისტური რელიგიაა, ხელი შეუწყო ფუნდამენტალისტური ტიპის მოვლენებს, როცა ურთიერთს გადაეჯაჭვა ნაციონალიზმი და მოძრაობა რელიგიური აღორძინებისათვის (ე. ჰეიუელი, 2005, გვ. 365). შრი-ლანკაში კამპანიას ეროვნული თვითმყოფობის “სინჰალიზაციისათვის” სათავეში ჩაუდგა სამხედრო დაჯგუფება “თავისუფლების სახალხო ფრონტი”, რომელიც ბუდიზმის სახელმწიფო რელიგიად ქცევას მოითხოვდა. მსგავსმა ზეწოლამ ტამილთა სეპარატიზმი გააღვივა, რაც 70-იანი წლების ბოლოს “ტამილელი ვეფხვების” ტერორისტულ კამპანიაში გადაიზარდა. ცხადია, ბუდისტური ფუნდამენტალიზმი მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკური კონფლიქტის გამწვავებას.

ბოსნია და ჰერცეგოვინა ფედერაციულ-კონფედერაციული სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაა: ბოშნიაკები, სერბები, ხორვატები, თუმცა ბოშნიაკები ცალკე რელიგიური ჯგუფებია და არა ეთნიკური, რადგან ხორვატებისა და სერბებისაგან მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი რელიგიური აღმსარებლობაა. ბოშნიაკები მუსლიმები არიან, სერბები-მართლმადიდებლები, ხოლო სლოვენები — კათოლიკეები (შ. მალაშხია, 2011, გვ. 271). 1992 წელს ევროკავშირმა და აშშ-მა სცნო ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობა, იმავე წელსვე გახდა გაეროს წევრი. 1995 წლის 21 ნოემბერს აშშ-ში, დეიტონის სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე, 20-დღიანი მოლაპარაკების პროცესის შედეგად, პარაფირებულ იქნა ჩარჩოხელშეკრულება ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ხელისუფლების ფუნქცია დაეკისრა სამწევრიან პრეზიდენტს: სამი ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის მიერ არჩეული თითო წარმომადგენლით, ორპალატიან პარლამენტსა და ცენტრალურ მთავრობას. აღნიშნულ კონფლიქტში რელიგიური ფაქტორები განმსაზღვრელ როლს ასრულებს. ბოსნიელმა სერბებმა თავიანთ მაჰმადიან თანამოქალაქეებს, ანუ ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის უმრავლესობას, გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყვეს. ამის გამო დაუპირისპირდა მილოშვიჩისა და კარაჯიჩის მომხრე სერბებს მთელი საერთაშორისო საზოგადოება და ნატოს მიერ მათი პოზიციების დაბომბვა, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით ხორციელდებოდა, გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლთა დაცვას და მსგავსი მოვლენების პრევენციას ისახავდა მიზნად (შ. მალაშხია, 2011, გვ. 313). ბოსნიის კონფლიქტი (II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი) უმეტესწილად შიდა, ეთნიკური ხასიათისა იყო, თუმცა მასში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სერბეთი და ხორვატია. ამ კონფლიქტს თან ახლდა მასშტაბური ჰუმანიტარული ფაქტორის არსებობა: მეომარი მხარეების მიერ სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ძალდატანებითი გადაადგილება — მუსლიმების, ხორვატებისა და სერბების, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, მოსახლეობის გეგმაზომიერი განადგურება.

ამგვარად, რელიგიური ფუნდამენტალიზმი ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს ასრულებს პოლიტიკურ მოვლენებში. ისრაელის ებრაელ ახალმოშენეთა მოძრაობაში, შრი-ლანკას სინჰალელთა ბუდიზმის საომარ სულისკვეთებაში, ინდოელებისა და სიქების ექსტრემიზმსა და ოლსტერის პროტესტანტთა

წინააღმდეგობაში ირლანდიის გაერთიანების მიმართ რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა თავი იჩინა როგორც ეთნიკურმა მობილიზაციამ. ისლამიზმმა დაიკავა ის ადგილი, რომელიც ადრე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა და ნაციონალისტურ მოძრაობებს ეკავათ. კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მუსლიმი ხალხები წარსულში შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ისლამს. ამჟამად კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – ეროვნული საკითხის ნაცვლად წინა პლანზე გამოვიდა რელიგია. ერსაც ისლამისტები აღიქვამენ მუსლიმური სამყაროსათვის უცხო ცნებად და კოლონიალიზმის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ერთ-ერთ გამოხატულებად (გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, 2001, გვ. 207). დღეისათვის მსოფლიოს სახელმწიფოთა ურთიერთკავშირი სულ უფრო მყარ ხასიათს იღებს, შესაბამისად ძნელდება საზოგადოების გარდაქმნა რელიგიური პროექტების შესაბამისად, მათ შეიძლება შეეცვალოს რეჟიმის სახე (ირანის მაგალითი), თუმცა ნაკლებად შეუძლიათ ზემოქმედება საერთაშორისო წესრიგზე.

დამოწმებული ლიტერატურა

- ჰ. კიუნგი, 2006** - ჰანს კიუნგი, მსოფლიო მშვიდობა – გამოწვევა მსოფლიო რელიგიებისათვის, ქრისტიანობა და პოლიტიკა, ბ., №1, 2006.
- ენ. ჰეივუდი, 2005** - ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2005.
- გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, 2001** - გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001.
- ს. ჰანთინგტონი, 1996** - **Huntington S.** The Clash of Civilizations and Remaking of the World order. N.Y., 1996.
- ჯ. ფოქსი, 2005** - ჯონათან ფოქსი, ეთნორელიგიური კონფლიქტები მესამე სამყაროში: რელიგიის როგორც კონფლიქტის მიზეზის როლი, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2005.
- ზ. დავითაშვილი, 2004** - ზ. დავითაშვილი, საქართველო და დასავლეთი - “გახლეჩილი ქვეყნის” სინდრომი: ქართული დიპლომატია: წელიწდეული. ტ. 11, თბ., 2004.
- ნ. ჩიქოვანი, 2006** - ნ. ჩიქოვანი, რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში, თბ., 2006.
- ვ. მელიქიძე, 2006** - ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006.
- თ. ჯაფარიძე, 2000** - თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 7, თბ., 2000.
- შ. მალაშხია, 2011** - შ. მალაშხია, კონფლიქტების ანატომია, თბ., 2011.

DAVIT GEGETCHKORI, IRMA GOGOLIDZE**INTERNATIONAL CONFLICTS AND RELIGIOUS
FUNDAMENTALISM**

During the world political processes the role of religious fundamentalism is most important. We know many examples which are defined by religious character: civil war between Catholics and Protestants in the North Ireland; conflict of near west, clashes in Philippines between Muslims and Christians, the rise of authoritarian regimes in Iran, Sudan and Afghanistan; numerous terrorist acts in the near west, Europe and USA; clashes in Kashmir and India; conflict between Hindi and Sikhs in Punjab, war between Buddhist and Hindi in Sri Lanka... After the collapse of communism it is thought that Marxism is terms of being a threat to world safety was replaced by religious , in particular Islamic fundamentalism.

Nowadays religious fundamentalism is associated with all the basic world religions and means more religious-political movement, than assertion of the truth of sacral texts. In those Islamic states where religious institutions play important roles in the life of society, religion uprising wave made state-government relations and not only this kind of relations being led by theocracy. Consequently, the role of political Islam and Islamic fundamentalism gradually rises and its followers implement politicization of religion in an active way.

ოთარ გოგოლიშვილი

აკაკი ღა აჭარა

“...ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, მაგრამ დღევანდელი სხვაგვარია. მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო. ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული, ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება. ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რათა მათი ანდერძი ჭერ კიდევ არ გაგვიფუჭებია. ეს ანდერძი იყო დღდაენა და ერობა“.

ეს გულთბილი სიტყვა წარმოითქვა 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში მუხრან-ბატონის სასახლეში, ბანკეტზე, რომელიც მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა აჭარის დეპუტაციის დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნების აღსანიშნავად. იგი ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკი წერეთელს ეკუთვნის.

საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ აკაკი პირადად მონაწილეობდა მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებში, რომლებიც წინ უძღოდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს, აჭარის გათავისუფლებას ოსმალთა ოკუპანტებისაგან და დედა-სამშობლოსთან მის დაბრუნებას. აკაკი და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: დიდი ილია, ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ყაზბეგი, სერგეი მესხი და სხვები XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდანვე, აჭარელ და შავშელ პატრიოტებთან ერთად, საფუძველს უყრიდნენ საქართველოს ამ კუთხეების გათავისუფლების საქმეს.

ირკვევა, რომ ერთი აჭარელი, სახელად ოსმანი, დიდხანს ცხოვრობდა აკაკის ოჯახში, სოფელ სხვიტორში. პოეტს ერთგულ ოსმანზე მინდობილი ჰქონდა მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი საუნჯის — ხელნაწერებისა და სხვა საბუთების დაცვა. ოსმანის ამაგი ოჯახში ისე დიდი ყოფილა, რომ თვით პოეტი მას თავის შინაკაცების გამზრდელად იხსენიებს.

აკაკის სამწერლო ძოღვაწეობის დაწყების პირველი წლებიდანვე აწუხებდა უცხოელთაგან მიტაცებული აჭარის ბედი, რაც აისახა კიდევ პოეტის შემოქმედებაში. 1872 წელს დაწერილ ლექსში “ფოთი“ აკაკი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ძველ დროში ტკბილი ძმა - აჭარა დღეს ჩამოშორებულია საქართველოს. აკაკი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბათუმს, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს: “ვით სპილო არ მწამს სპილოდა,

თუ აღარა აქვს ხორთუმი,

ისე კავკასი კავკასად,

თუ არ ექნება ბათუმი“.

ან კიდევ: “ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას,
წაიღებს, შავ ზღვას შერთავსო,

თუ დაგვეკარგა ის წყალი,
ჩვენს “ვაის“ “უის“ შერთავსო“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი დიდ დაინტერესებას იჩენდა აჭარის მოსახლეობის მიმართ. 1875 წელს აჭარის მოსახლეობა აჯანყდა. მათ უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ იმ სისხლისმღვრელ ომში, რომელსაც ოსმალეთი აწარმოებდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. სწორედ ამ მოვლენებს ეხება აკაკის სამი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი. ერთ-ერთი წერილით, რომელიც ქუთაისშია დაწერილი, ირკვევა, რომ მგოსანი შეუხელებლად ადევნებდა თვალყურს აჭარა-ქობულეთის საკითხს. მას აჯანყების ერთ-ერთ მეთაურთან ხუსეინ გიორგაძესთან პირადი ურთიერთობაც დაუმყარებია. ხუსეინ გიორგაძე აკაკისთან სისტემატურად ჩადიოდა ქუთაისში და ხვდებოდა მგოსანს. ამის შესახებ ატყობინებს პოეტი ნიკო ნიკოლაძეს. ასევე, მეორე წერილით მგოსანი ისევ ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს, რომ ხუსეინ გიორგაძე ისევ ჩამოვიდა ქუთაისში. აკაკი ამბობდა, რომ მას სურდა ქობულეთში წასვლა, მაგრამ უსახსრობის გამო ამას ვერ ახერხებდა. მესამე წერილიც იმავე ხუსეინის აკაკისთან ჩასვლას ეხება. ამ წერილში აკაკი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ის აუცილებლად ჩავა ქობულეთში, რათა ყველაფერი იცოდეს, ამისათვის მას არც საზღვრის გადალახვის არ ეშინია. ამასთან, აკაკის დიდი იმედი ჰქონდა ცნობილი ქართველი საზოგადო და ეროვნული მოღვაწისა გრიგოლ გურიელისა, რომელთანაც მას თბილი ურთიერთობა აკავშირებდა. ამ საქმეში მგოსანი მის დახმარებას ელოდა.

ჩვენთვის უცნობია, შეძლო თუ არა აკაკიმ ქობულეთში ჩასვლა, მაგრამ ამ წერილით ირკვევა, რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ამბოხებული მოსახლეობა.

აკაკი გულთბილად მიესალმა ბათუმის გათავისუფლებას. იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ გათავისუფლებულ მაზრებში მმართველებად ქართველები დანიშნეს. ის მმართველებისგან მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სიფრთხილისა და გონიერების გამოჩენას.

მგოსანი მხურვალე მოწოდებით მიმართავდა მაჰმადიან ქართველებს, რომლებიც ბედუქუღმართობამ ჩამოაშორა თავის ძმებს: “ჩვენო ერთტომო და ერთგვარო ძმებო! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნეობრივი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშევრდომობით, მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით, იმგვარივე სისხლი სდღუს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენი ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხვედით... ჩვენ გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიდებთ, ეს არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა ენა არ გამქრალა. ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავთ... დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ და ერთს ბედ ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“.

დიდი მგოსანი კარგად იცნობდა ქართველ პატრიოტსა და საზოგადო მოღვაწეს ჰაიდარ აბაშიძეს. ჰაიდარ აბაშიძე აკაკის პირადად შეხვდა 1914 წლის 29 მაისს ქუთაისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე. ჰაიდარ აბაშიძე იგონებდა, რომ, აკაკის მითითებით, ილია ბახტაძემ შემიყვანა თეატრში

და დამსვა ლოჟაში, რომელიც გამოყოფილი იყო თვით აკაკისა და მისი სტუმრებისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მარტო მე არ მეკუთვნოდა, იგი იყო გამოხატულება იმ დიდი მშობლიური სიყვარულისა, რომელსაც მუდამ იჩენდნენ ჩვენი ბუმბერაზი ქართველი მოღვაწეები აჭარის მიმართ. აკაკი სცენიდან ლოჟაში შემოვიდა მომლიმარი სახით, სხვებთან ერთად მეც ხელი ჩამომართვა და დაჯდა. მისი პირველი სიტყვა იყო ის, რომ მიცნობდა გაზეთებში დაბეჭდილი ჩემი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილის და გაზეთ “ბათუმის გაზეთის” რედაქტორის ნაამბობით. აკაკიმ შემდეგ მოიკითხა მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჟებ ნიჟარაძე და თქვა: “მოხარული ვარ, რომ ახლა სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის... მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვინატრებდი, რომ მეც მოვსწრებოდე მის ბედნიერებას“.

დიდი მგოსნის გარდაცვალებამ თავზარი დასცა მთელ ქართველ ხალხს. მას გლოვობდა მადლიერი აჭარის მოსახლეობა, რომელმაც, ჰაიდარ აბაშიძის მეშვეობით, აკაკის დამკრძალავ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა: “ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყველილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვმორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუფიწყარმა, თავზარდამცემმა — საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ გადააჭარბა ყოველ ტანჯვას“. სამძიმრის დეპეშის გარდა, აჭარის მოსახლეობამ აკაკის დაკრძალვაზე წარგზავნა იმ დროისათვის განათლებული ადამიანი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე გულო კაიკაციშვილი, რომელმაც ამაღლებული სატყვეებით დაიტირა დიდებული მგოსანი: “გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭიროს, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით“.

გულო კაიკაციშვილის სამგლოვიარო სიტყვა ხატოვნად გამოხატა პოეტმა მამია ვარშანიძემ: “გვედრებ შენს ძმებს დაუბარო,
რომ გზა ძველი გაგვილამპრონ,
გვინდა შოთას მარგალიტი
დაკარგული დავიბრუნოთ.

გვინდა ბური გადავბერტყოთ,
ქუდ-ვარსკვლავი დავიბუროთ,
რომ გვასწავლონ დედა ენა,
დაუბარე ძმავ, ბულბულო.

ჩაჰბუტბუტებს ბერიკაცი,
მგლოვარეთა გული შესძრა
და ბულბულმაც ხმა გაიღო,
ყველას ძმობა უანდერძა“.

დიახ, დიდმა მგოსანმა მხურვალე სიტყვითა და მადლიანი კალმით ღირსეული კვალი დატოვა ამ კუთხის გათავისუფლებისა და აღორძინება-განვითარების მამულიშვილურ საქმეში.

დამოწმებული ლიტერატურა

- “საბჭოთა აჭარა“ 11. 04 - გაზ. “საბჭოთა აჭარა“ 11. 04, 1986.
 ა. გაჩეჩილაძე, 1966 - ა. გაჩეჩილაძე, აკაკი წერეთელი, თბ., 1966.
 ვ. კოტეტიშვილი, 1959 - ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959.
 ქართული ლიტერატურის ისტორია, 1974 — ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. VI, თბ., 1974.

OTAR GOGOLISHVILI

AKAKI AND ADJARIA

After finishing the war between Russia and Turkey in 1877-78, Batumi and Kobuleti were given back to our home-country. Georgian elite audience made warm welcome party for Adjarian Mps in the palace of Mukhran-Batoni in November 20, 1878. Akaki made the speech for Adjarian fellows in which he called the fact of getting back of Batumi “ the flawless and cloudless joy”. The writer finished his speech with the following words: “ Unfortunate fate divided us into two and distinguished us with religion faith ... until Georgia is alive ... we are the same people and we should share the same fate always”.

By studying archive materials it is asserted that Georgian public persons : Akaki Tsereteli, Ilia Tchavtchavadze, Ivane Kereselidze, Dimitri Bakradze, Niko Nikoladze, Giorgi Kazbegi, Sergei Meskhi, did their best to get independence for Adjara together with patriots from Shavsheti and Adjara.

In the house of Akaki Tsereteli, in Skhvitori lived Osman from Adjara for many years, who was confident for protecting the hand writings and documents of the writer.

Akaki supported the population of Adjara during the rebellion of 1875. From his letters to Niko Nikoladze it is clear that the poet was attentive and felt sensitive towards affairs in Kobuleti. He had personal relationship with one of the leaders of rebellion Husein Giorgadze.

After getting independence of Adjara Akaki made friends with famous Adjarian public persons: Haidar Abashidze, Memed Abashidze, Rejeb Nijaradze, Gulo Kaikatsishvili , the last one dedicated the verse of condolence to the poets death.

The great poet left big traits with his dedicated speeches and graceful pen in terms of Patriotic affair such as rebuilding and getting independence for Adjara.

ოთარ გოგოლიშვილი
რიტა წაქაძე

ებრაელთა ბათუმში დასახლების ისტორიიდან

ეთნიკური სახელი “ქართველი ებრაელი“ საქართველოში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ტერმინის წარმოშობა განაპირობა ხანგრძლივმა ისტორიულმა ურთიერთობებმა, ურთიერთერთგულებამ და ურთიერთსიყვარულმა. საქართველოში მცხოვრები ებრაელი სიმბოლურად აღიქმება, როგორც ორი ერის შვილი. იგი ქართულად მეტყველებს, ქართულად აშენებს, ქართულად მოიღებენს, გლოვობს, მაგრამ იმავდროულად არ დალატობს ბიბლიური ცხოვრების წესს, ლოცულობს ისრაელისათვის, ოცნებობს “აღქმულ ქვეყანაზე“, ისრაელში წასული კი მისტირის საქართველოს მიწას, აღორძინებს და პოპულარიზაციას უწევს ქართულ კულტურას. ამ მხრივ იგი არ ჰგავს არც ერთი ქვეყნის, არც ერთი კუთხის ებრაელს და თანამედროვე მსოფლიოში სრულიად ორიგინალურ მოვლენას წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრები ებრაელის სულში დაისადგურა ქართულმა ხასიათმა და იგი ჩვენი ერის ორგანულ ნაწილად აქცია (თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, 1995, გვ. 4). ისრაელში დამკვიდრებული ქართველი ებრაელობა პრაქტიკულად ქართული დიასპორაა უცხოეთში.

ებრაელები ერთ-ერთი პირველი ერია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდა უძველესი დროიდან. ისტორიული ცნობებით, ისინი განსახლებული იყვნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ქართული სახელმწიფო ძველი დროიდან ვერ არეგულირებდა როგორც ეთნიკურად, ისე რელიგიურ-კონფესიურად ჭრელი მოსახლეობის ერთმანეთს შორის ურთიერთობას. ეს იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობებით, ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული ტრადიციით განპირობებული ტოლერანტობისა და უცხო ეთნიკური ელემენტების საერთო სახელმწიფოებრივ სამსახურში ჩაყენების პოლიტიკა, როგორც ქართული საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი საფუძველი.

ფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოს ბევრი ქალაქი და დასახლებული პუნქტი (სურამი, ახალდაბა, ბაზალეთი, ცხინვალი, ატენი, ძეგვი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, ფანასკერტი, არტანუჯი, არტანი, ოლთისი, ახალქალაქი, ახალციხე, ბოდბისხევი, ზოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, ქუთაისი, ვანი, ფოთი, სენაკი, ბანძა, ონი, ოზურგეთი...) წარმოდგენილი იყო ებრაელთა კომპაქტური ჯგუფებით. ქალაქებსა და დაბებში ებრაელთა კონცენტრაცია ძირითადად სამლოცველოს ახლომდებარე უბნებში ხდებოდა, რადგან სამლოცველო წარმოადგენდა მათი რელიგიური, კულტურული, საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს.

რუსების დამკვიდრების შემდეგ კავკასიაში კვლავ გრძელდება ებრაელთა ჩამოსახლება. გენერალ-ლეიტენანტ შერემეტეივის ბრძანებულებით (1893 წლის

28 თებერვალი), კავკასიაში შეეძლოთ დასახლებულიყვნენ მთიელ ებრაელებს; ებრაელები, რომლებიც ცხოვრობდნენ სტავროპოლის გუბერნიაში და ეწეოდნენ მიწათმოქმედებას; გადამდგარ და ვადაზე ადრე განთავისუფლებულ პირებს, რომლებმაც მოიხადეს სამხედრო სამსახური მაშინ არსებული საკრედიტო წესით; რუსეთის იმპერიისა და პოლონეთის სამეფოს პირველი გილდიის ებრაელებს, ასევე მათ ქვრივებსა და ბავშვებს, ექიმებს, მექანიკოსებს, მეკრავებს, რაბინებს და მათ დამხმარეებს (საქართველოს ცსა, ფ. 12, აღწ. 3, საქმე 458, ფ. 1-2). ებრაელთა გარკვეული ნაწილი დასახლდა აჭარაშიც.

აჭარა საქართველოს ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, სადაც დასახლების ძირითად ერთეულს წარმოადგენდა სოფელი და სასოფლო თემი. აღნიშნული ფაქტორი განპირობებდა ეთნიკური სუბსტრატის მდგრადობას. აჭარის ასეთი მონოეთნიკური მოზაიკა სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული. მართალია გვარსახელებისა და ბუდე-შტოს სახელებში (ქურთენთი, ჰემშილიენთი...) შეინიშნება არაქართული ელემენტი, მაგრამ ის შეეთქვიფა მკვიდრ მოსახლეობას და ჩამოყალიბდა ქართული ცნობიერება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გარემოცვა, ძირითადი ეთნიკური მასა ქართული იყო.

აღნიშნული მონოეთნიკური სტრუქტურა მან შეინარჩუნა ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც, თუმცა ისტორიული ბედუკულობათობის, მესისხლეობის, სოციალური უთანასწორობისა თუ სხვა ფაქტორების გავლენით ხშირი იყო როგორც უცხო ეთნიკური ელემენტების მცირე ჯგუფების, ისე ქართული ხალხის სხვადასხვა ეთნოგრაფიული გაერთიანების ცალკეული წამომადგენლების ადგილმონაცვლეობისა და აჭარის ტერიტორიაზე დამკვიდრების შემთხვევები. ამის მიუხედავად, აღნიშნულ მოვლენას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმი თანდათანობით იქცა საქალაქო ტიპის დასახლებად. სტრატეგიულმა მდგომარეობამ, სავაჭრო, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფუნქციებმა გაზარდეს მისი, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობა. მან თავის მხრივ დააჩქარა მოსახლეობის ზრდა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, მათ შორის ებრაელების, მოზიდვა. ებრაელთა დიდი ნაკადი ბათუმში შემოვიდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ.

გადმოცემით, ქართველი ებრაელის იზეტ გაგულაშვილის წინაპარი აჭარაში დამკვიდრდა 1850 წელს. სწორედ მაშინ ყალიბდება აქ ებრაელთა ორი სათვისტომო: აშქენაზური (ევროპული) და ქართული ებრაელების. უმრავლესობას წარმოადგენდნენ აშქენაზები. მათი ძირითადი ნაწილი ცარიზმის შეიარაღებულ ნაწილებში მსახურობდა. ანტიებრაულმა პოლიტიკამ და ებრაელთა დარბევებმა კიევში, ოდესაში, რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში (ასეთ დარბევებს ჰქონდა ადგილი 1881, 1903, 1905-1907 წლებში) ხელი შეუწყო საქართველოში და, მათ შორის, ბათუმშიც ებრაელთა ახალი ნაკადის შემოსვლას.

არაქართველი ებრაელები ბათუმში მოემართებოდნენ, ძირითადად, ოდესიდან, კიევიდან, ვარშავიდან, ბალტიისპირეთიდან, ღნებროპეტროვსკიდან, იზმაილიდან, სიმფეროპოლიდან, ფეოდოსიიდან (მ. ლორია, ო. ტეიფ. აშქენაზური სინაგოგა ბათუმში, "საისტორიო მაცნე", №6, 1997, გვ. 50). ბათუმში მკვიდრდებიან, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან (თბილისი, სურამი, ფოთი, ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი...) წამოსული ქართველი ებრაელები.

ძირითადად “ვაჭრობისათვის მოსულნი“ (ზ. ჭიჭინაძე, 1904, გვ. 66). 1881 წლის მონაცემებით, ბათუმში ცხოვრობდა 179 სული ებრაელი (მ. ლორია, ებრაული სინაგოგა ბათუმში, “ჭოროხი“, №2, გვ. 139), ებრაელები დასახლდნენ ქალაქის ცენტრალურ უბნებში, აქტიურად ჩაებნენ სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობაში, გახსნეს მაღაზიები, სხვადასხვა სახის ობიექტები. თავიანთი შრომისმოყვარეობის წყალობით, დააგროვეს კაპიტალი და გახდნენ დიდძალი აქციების მფლობელები. 1895 წლის 21 ივლისის ერთი დოკუმენტის მიხედვით “ბათუმში ცხოვრობენ დიდი რაოდენობით ებრაელები. ისინი დასახლებული არიან ქალაქის ცენტრალურ რაიონში. მათი უმრავლესობა ეწევა კომერციულ საქმიანობას. მათ ეკუთვნით მაღაზიების უმრავლესობა და ფლობენ აქციებს ბათუმის ბანკებში“ (საქ. ცსია, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 101, ფურც. 18). ბათუმში დამკვიდრებისთანავე ებრაელებმა არაღლეგალურად დააარსეს სამლოცველო სახლი. მათ სამჯერ მიმართეს ხელისუფლებას თხოვნით, გაეხსნათ სინაგოგა, მაგრამ უშედეგოდ. განათლებულმა აშქენაზებმა ისაკ კალიჩევსკიმ, იოსებ პეიზელმა, მაისეი პოპლოვიჩმა, იზრაელ რაბინოვიჩმა უშუალოდ მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. მეფე დათანხმდა. 1899 წელს დაიწერა შესაბამისი ბრძანებაც. არქიტექტორ ლევ ვოლკოვიჩის პროექტით, 1904 წლისათვის აიგო ჰააგისა და ამსტერდამის სინაგოგების ტიპის სამლოცველო სახლი “ზეით-ქნესეთი“, რომელიც ებრაელთა თავშეყრის ცენტრად იქცა. 1929 წელს სინაგოგა დაიხურა და შენობა გადაეცა სპორტულ ორგანიზაცია “შევარდენს“, შემდეგ კი — “სპარტაკს“.

1992 წელს ებრაელებს დაუბრუნდათ სინაგოგის შენობა, სადაც ჩატარდა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები. იგი გადაიქცა ებრაული კულტურის ცენტრად. იქ არაერთი ღონისძიება ჩატარდა, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მიეძღვნა ისრაელის სახელმწიფოს შექმნის 50 და იერუსალიმის 3 ათასი წლისთავს. ზოგადად, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ებრაელთა ძირითადი საქმიანობა იყო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა. იმის მტკიცება, რომ ებრაელის, როგორც მეწვრილმანე ვაჭრის სტერეოტიპის ჩამოყალიბება თითქოს მისი ბუნებიდან მომდინარეობდეს, სრულიად მოკლებულია საფუძველს. აღნიშნული სტერეოტიპის ჩამოყალიბება დაიწყო მას შემდეგ, როცა ცარიზმმა ყმობიდან გათავისუფლებული ებრაელები კანონგარეშედ გამოაცხადა. მას შემდეგ მათი დიდი ნაწილი პოლიტიკურ-ეკონომიკურად ნიადაგამოცლილი და საზოგადოებრივ უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა და იძულებული გახდა, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით, ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი. XIX საუკუნის პერიოდული პრესის მონაცემებით, ვაჭრობისადმი მათი მიდრეკილების მიუხედავად “ებრაელებს შორის არ იყო არცერთი კაპიტალისტი“ (ააეაც, 1861, 72). ებრაელებისათვის უცხო არ იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეურნეობის სხვა დარგები. ქართველი ებრაელები მისდევდნენ მევენახეობას (აღმოსავლეთ საქართველოში), მემინდვრობას, ინტენსიურ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას. კინტრიშის ხეობაში მცხოვრებმა ებრაელებმა (15-მდე ოჯახი) (აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული, 1913-1923 წწ. გვ. 23) შესანიშნავად აითვისეს მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო გამოცდილება, ცოტა მოგვიანებით კი ჩამოაყალიბეს აჭარის ებრაელთა მიწათმოქმედების საზოგადოება. მათ გამოეყოთ შიშის ნაკვეთი ქობულეთის რაიონში და ჩამოაყალიბეს არტელი (აჭარის არცსა. ფ. 117, ს. 10). ქალაქში

მცხოვრები ებრაელები ვაჭრობასთან ერთად ჩაებნენ სამრეწველო საქმიანობაშიც. ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს 1895 წ. ივლისში უგზავნის შეტყობინებას: “ბათუმში არსებული ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაციის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ებრაელები. ისინი თანხებს აბანდებენ სხვადასხვა საქმეებში” (საქ. ცსია, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 101, ფურც. 18). ისინი მუშაობდნენ როტმილდისა (წარმოშობით ებრაელის - ო.გ.) და მანთაშევის (სომხების) ქარხნებში. 1884 წელს ებრაელებმა გახსნეს ბილონებისა და ხის ყუთების ქარხანა, მსხვილმა მეწარმე შუტცმა დააარსა კასრების დამამზადებელი საამქრო (ვ. სიორიძე, 1995, გვ. 80, 81). მარინეს (ეხლანდელი მემედ აბაშიძის) ქუჩაზე დავით კაპელმა დააარსა სტამბა, აქვე იყო ენკილევიჩის, ვოლზოვის, სიმხოვიჩის საათის შემკეთებელი საამქროები. ძველ ბათუმელებს კარგად ახსოვთ ცნობილი მკერავები: კლეიმინოვი, ლევიტოვი, ვაგანსკი, ბერშატსკი, გაბაი; მექუდეები: ბენო და აბრამ ბარდანაშვილები, დავით იაკობაშვილი... ებრაელებს ბათუმში დაუარსებიათ, აგრეთვე, კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაცია, “მართავდნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და შემოსული თანხით ეხმარებოდნენ ხელმოკლე ებრაელებს” (საქ. ცსია, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 101, ფურც. 18). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბათუმში აიგო სხვადასხვა სამრეწველო საწარმო, რომელთა ორგანიზაციასა და საქმიანობაში განსაკუთრებული იყო ებრაელთა წვლილი. დღესაც ბევრს ახსოვს საამქროს უფროს - ბორის კორსუნსკის, ინჟინერ-ოპერატორ — ინა უმჩეტკოვის, მთავარი ინჟინერ - ბორის იანკელევიჩის, მთავარი ენერგეტიკოს-როზალია შოხინას, ლაბორატორიის გამგე - შეინ აკუპცერის (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა), მთავარი ტექნოლოგ - იზრაელ გერშენგორინის, ინჟინერ-ელექტრიკოს - სიმა იაკობაშვილის (ელექტრომექანიკური ქარხანა), საამქროს უფროს - იმერ აბარდანაშვილის, კადრების განყოფილების გამგის მოადგილე - ვერა მეგრელიშვილის, უფროსი ინჟინერ დავით იაკობაშვილის (მანქანათსაშენი ქარხანა), საამქროს უფროს — როზა შეტმანის, ახალი ტექნოლოგიების ავტორის, განყოფილების გამგე — ბუსია ბოჭორიშვილის (კოფეინის ქარხანა), ხის დამამუშავებელი ქარხნის დირექტორ - ე. ლუბანოვის და მრავალ სხვათა შესაშური გულისხმიერება, მეგობრობისა და თანადგომის საოცარი ნიჭი, ადამიანური სიკეთე. ზოგიერთ მათგანს, ჭარმაგი ასაკის მიუხედავად, არ დაუკარგავს ჩვეული შრომისმოყვარეობა და დღესაც აგრძელებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

აჭარაში მცხოვრებმა ებრაელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მხარის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ებრაელების აჭარაში დამკვიდრებამდე (XIX საუკუნის 50-იან წლებში) ბათუმში რუსეთის ვიცე კონსულად დანიშნულმა პეტრე ჭულიჩმა უცხოეთიდან შემოატანინა იშვიათი ეგზოტიკური და დეკორატიული მცენარეები, გააშენა კერძო პარკის ტიპის პატარა ბაღი. ამ ბაღიდან ბევრი იშვიათი მცენარე გადაურგავთ ქალაქის პარკში. ბათუმის შემოერთების შემდეგ ნავსადგურის უფროსად დაინიშნა კონტრადმირალი გრევე-მან დიდი როლი შეასრულა საზღვაო ნავსადგურის დაპროექტებაში. იგი აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ბაზად, ნავსადგურად გადაქცევისათვის. ასევე ამტკიცებდა, რომ ბათუმის ბუნებრივ-კლიმატური პირობები განაპირობებდა ისეთი ნავმისადგომის აგებას, რომელიც საზღვაო

ხომალდებს დაიცავდა ქარისაგან. ამ მიზნით, აგრეთვე, მოითხოვდა ორი წყალქვეშა ჯებირის აშენებას, რომელიც შეაკავებდა ჭოროხისა და სხვა მდინარეების მიერ ჩამოტანილ ქვადორღს (ვ. სიჭინავა, 1958, გვ. 78). გრევს პროექტის მრავალი მონაცემი გათვალისწინებული იქნა შემდგომში ნავსადგურის მშენებლობისას. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ბათუმელმა ებრაელებმა. წლების განმავლობაში სანაოსნოს კომერციულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა რომან ვალგორსკი, პორტის სამსახურს ხელმძღვანელობდა ადოლფ ბაკში, სამეურნეო ნაწილს - ლეონიდ შუსტერი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას - სემიონ ვალდმანი, ხომალდების შემკეთებელ განყოფილებას - ნატან ბელოგოროდსკი, სანაოსნოს მთავარი ენერგეტიკოსის მოვალეობას შესაშური ენერგიით ასრულებდა მიშა ტაბანოვი. სხვადასხვა დროს სანაოსნოს პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდნენ: იაკობ ტაბანოვი, ვლადიმერ ხმელინსკი, სიმონ მარგოლინი, ლეონიდ როფე, სოლომონ ბერმესი. (გაზეთ "Liocyteocee"-ს რედაქციაში), ემილ კრუპნიკი (სასწავლო კომბინატის ხელმძღვანელი), ემა გალაგრსკაია, ლუდმილა ვიხტერმანი და სხვები. ზოგი მათგანი დღესაც ჩვეულებრივი ენერგიით აგრძელებს მოღვაწეობას. მრავალი ებრაელი მუშაობდა ბათუმის ნავსადგურშიც, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ბორის პოლონსკი - პორტის მთავარი ინჟინერი, აბრამ კლეიმანი - მთავარი დისპეტჩერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეფრემ ჩერნოვი - საბინაო კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელი, შემდეგში პორტის უფროსის მოადგილე ეკონომიკის დარგში, დამსახურებული ეკონომისტი, დავით სტუპელმანი (ამჟამად ხელმძღვანელობს სოჭის საზღვაო ნავსადგურს), სიმონ რუბინშტეინი-დისპეტჩერი, სოფი აკონფინო და ირინა სკარდანა — აღმზრდელები, ემილ კოვანი — ტანკერის კაპიტანი, ტოკარ და იოსებ ოსეტინსკები — დღესაც დაცურავენ მსოფლიო ოკეანეებში.

ებრაელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლება ებრაელებს პოლიტიკური თვალსაზრისით ნდობას უცხადებდა. ქუთაისის გუბერნატორის თქმით "ებრაელები პოლიტიკურად სანდო არიან და ჯერ არ შემჩნეულა გადახრები სხვადასხვა მიმართულებებით" (საქ. ცსბა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 101, ფ. 18).

1888 წ. ბათუმში ჩამოყალიბდა საქალაქო თვითმმართველობა. პირველი არჩევნების საბჭოს სათათბიროში შევიდნენ ებრაელებიც: ნ. პასეკი და ა. ჩიბერმი (ხ. ახვლედიანი, 1978, გვ. 207). საქალაქო თვითმმართველობაში ებრაელთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ შემდგომ წლებშიც. მაგ., 1920 წლის მუნიციპალურ არჩევნებში 36 ხმოსნიდან 2 ებრაელი იყო წარმოდგენილი (ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, 1996, გვ. 74) ბათუმელ ებრაელთა რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად ქალაქის საკრებულოს 1998 წლის არჩევნებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად აირჩიეს ებრაელი ემილ კრუპნიკი. მისი ინიციატივით 1989 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა ქართულ-ებრაული კავშირურთიერთობის ასოციაცია, რომელიც ებრაელი დიასპორის ხელმძღვანელიცაა. ასოციაციის ძირითადი ამოცანაა ქართველებსა და ებრაელებს შორის მეგობრობის განმტკიცება, ეროვნული ენის ივრითისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინება. ასოციასთან შექმნილია ებრაელების საკვირაო

სკოლა და საქველმოქმედო ორგანიზაცია. ასოციაციაში მონაწილეობენ ბორის იგუდინი, იხეთ ქობულაშვილი, ემილ კრუპნიკი და სხვები.

საქართველოს ებრაელ ქალთა ასოციაცია "შირიაჰ-ს" ხელმძღვანელობს ბათუმელი რივა კრუპნიკი. მან საფუძველი ჩაუყარა ებრაელთა პირველ საკვირაო სკოლას საქართველოში. რივა კრუპნი კი მისი უცვლელი დირექტორია. მანვე დააარსა პირველი ებრაული საოჯახო ბანკი – "სიმხა". ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის რივა კრუპნიკმა სულ ახლახან ამერიკელი კინორეჟისორი სტივენ სპილბერგისაგან მიიღო სამადლობელი წერილი.

ბათუმელმა ებრაელებმა ღრმა კვალი დააჩნიეს ქალაქის კულტურულ ცხოვრებას. აჭარის შესახებ საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები დაგვიტოვა ა. ფრენკელმა, ისტორიკოსებისათვის ცნობილი ნაშრომის "ნარკვევები ჩურუქსუსა და ბათუმზე". აჭარის წარსულის შესწავლისადმი დიდი ენთუზიაზმი გამოავლინა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ გომანმა. იგი 1899-1906 წლებში ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელში ასწავლიდა ხელგარჯილობას. მან საკუთარი ინიციატივით პუშკინის სახელობის სკოლის ეზოში გახსნა სასწავლო სახელოსნო, შეაგროვა არქეოლოგიური, ადგილობრივი ყოფითი კულტურის ამსახველი ნივთიერი მასალა, რომლებიც მოათავსა სასწავლებლის ერთ ოთახში და საფუძველი ჩაუყარა პირველ სასკოლო მუზეუმს. 1912 წელს, ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებით, სასკოლო მუზეუმი გადაკეთდა საქალაქო მუზეუმად. ის იყო ფაქტობრივად პირველი მუზეუმი ბათუმში, რომლის გამგედაც 1937 წლამდე მუშაობდა მისივე ფუძემდებელი ნ. გომანი (თ. კომპანიძე, 1996, გვ. 184).

საუკუნის დასაწყისში ბათუმის ცენტრში იაკობსონის თაოსნობით აშენდა ორი კინოთეატრი – "პალასი" (ყოფილი იტერნაციონალი) და "ოქტომბერი", სადაც კრასენბაუმის ოჯახის წევრებს არაერთხელ წარმოუჩენიათ თავიანთი მუსიკალური ხელოვნება. ებრაელმა ვლადიმერ კორშინმა კი საფუძველი ჩაუყარა ბათუმის საოპერო დასს. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა "აბესალომ და ეთერი", "ქეთო და კოტე", "თქმულება შოთა რუსთაველზე" და ა. შ. ბათუმელებს დღესაც კარგად ახსოვთ ბარდანაშვილების შესანიშნავი ოჯახი (წავიდნენ ისრაელში): იუზა ბარდანაშვილი — აჭარის დამსახურებული მხატვარი, რუბენ ბარდანაშვილი — არქიტექტორი, იოსებ ბარდანაშვილი — ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ეთერ და ევა ბარდანაშვილები — ეს იყო მათი დიდი ოჯახის ბენეფისი. ერთ ოჯახში წარმოდგენილი იყო ამდენი ტალანტი: მხატვარი, არქიტექტორი, მუსიკოსი, კომპოზიტორი... თითოეული მათგანი გამოირჩეოდა ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულების ორიგინალური სტილითა და მანერით. მათ ღრმა კვალი დააჩნიეს ჩვენი კუთხის კულტურულ ცხოვრებას.

ბათუმელმა ებრაელებმა ავტორიტეტული სიტყვა თქვეს მეცნიერებაშიც. აჭარის ისტორიულ წარსულს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ილია ჩულოკმა, ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებებში შესაშური გულმოდგინებით შრომობდნენ: მიხეილ პოპლოვიჩი, იაკობ ანჟელა, ლევანკინი, დავით ბერშადსკი, იოსებ ბუდგანი, სიმე ბუზიაშვილი, ანატოლი ბახერი, მიხეილ გაგულაშვილი და მრავალი სხვა. ზოგიერთი მათგანი დღესაც ცოცხალია და აქტიურად მონაწილეობს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბათუმელ ებრაელთაგან ორს: ი. კაზინცესა და ვ. შაპიროს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ბათუმელ ებრაელებს შორის ბევრი იყო სახელოვანი ექიმი. XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ჩამოყალიბდა ექიმთა საზოგადოება, რომლის 37 წევრიდან 12 იყო ეროვნებით ებრაელი. ბათუმის პირველი საავადმყოფოს (მშენებლობა დამთავრდა 1902 წლის ოქტომბერში) პირველ გამგედ და ქირურგად დაინიშნა პროფესორი ბორის ფუნკელშტეინი (ზ. ახვლედიანი, 1978, გვ. 238). ექიმ ქალთა შორის აჭარაში პირველი იყო ეროვნებით ებრაელი მ. კოვანი (იქვე, გვ. 38). ბავშვთა პირველი პოლიკლინიკის დამაარსებელიც ებრაელი იური ჩერტკოვი იყო. ბათუმის სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწეობდნენ (ზოგი მათგანი დღესაც მუშაობს) საქვეყნოდ ცნობილი დასტაქრები: ბორის ჩერტკოვი, სოლომონ ჩერტკოვი, ალექსანდრე ვორობიოვსკი, რუდოლფ ვორობიოვი, ლია ხუჩაშვილი, მარია ლიბერმანი, ევგენია შტრაამელი, ლანა ჯანაშვილი, ალიკ იაკობაშვილი, დინა დავარიშვილი, მიხეილ ბეგიაშვილი და სხვები.

როგორც ვხედავთ, ბათუმელ ებრაელთა საქმიანობის სფერო მრავალფეროვანი იყო. სტერეოტიპული შეხედულება ებრაელის, როგორც მეწვრილმანე ვაჭრის ტიპისა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მათი მოღვაწეობა საგანმანათლებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სამიწათმოქმედო, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში განპირობებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ხელსაყრელი პირობებით, ასევე ქართველი ხალხის გვერდით მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრებითა და თანამეგობრობით.

აჭარაში ებრაელთა რაოდენობა იზრდება 1917 წლის შემდეგ. 1922 წელს მათი რაოდენობა 3699 კაცამდე გაიზარდა, მათგან 2700-ზე მეტი რუსეთიდან იყო ჩამოსული. მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეამცირა ებრაელთა რაოდენობა. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ქართველ ებრაელებს აღმოაჩნდათ დიდი ეროვნული თვითმყოფადობა, რაც სხვა ქვეყნებიდან მოსულთათვის დიდი ხნის წინათ დავიწყებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელი 26 საუკუნე ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და იზიარებდა ქვეყნის ჭირ-ვარამს, ის მაინც თავს სტუმრად გრძნობდა, აღთქმულ ქვეყანაზე ოცნებობდა და ამ ოცნებით ასულდგმულებდა თაობებს. 26 საუკუნის შემდეგ ბრუნდება ქართველი ებრაელი სამშობლოდან სამშობლოში იმ იმედით, რომ მამა-პაპის საფლავების მოსანახულებლად დედა სამშობლოს კვლავაც ეწვევა.

1989 წლის აღწერის მიხედვით, აჭარაში ცხოვრობდა 798 ებრაელი, მათგან ბათუმში - 720, ქობულეთში - 54, დანარჩენი ხელვაჩაურის რაიონში. დღეისათვის, ებრაული დიასპორის მასალების მიხედვით, ქალაქში სამასამდე ებრაელი დარჩა. ებრაელთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების, აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების გარეშე შეუძლებელი იქნება დარჩენილი მცირე ნაწილის დამაგრება. საქართველოში მცხოვრებმა ბევრმა ემიგრანტმა ამ ქვეყანას თითო მახვილი დალატით ჩასცა ზურგში, მაგრამ ებრაელობა კვლავაც ერთგული დარჩა ისტორიულად დამტკიცებული იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც აღსავსეა ამ ორი ხალხის ისტორიული თანაცხოვრება.

- თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, 1995** - თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვინძობს შაშული შაშა-ჰაპათა, თბ., 1995.
- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 12, აღწ. 3, საქმე 458.**
- ზ. ჭიჭინაძე, 1904** - ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, ტფ., 1904.
- ვ. სიორიძე, 1995** - ვ. სიორიძე, ბათუმის როლი მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1916), ბსუ, შრომები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია I, ბათ., 1995.
- ვ. სიჭინავა, 1995** - ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1995.
- ხ. ახვლედიანი, 1978** - ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978.
- ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, 1996** - ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.
- თ. კომახიძე, 1996** - თ. კომახიძე, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათ., 1996.

OTAR GOGOLISHVILI, RITA TSAKADZE

FROM THE HISTORY OF JEWS' SETTLEMENT IN BATUMI

From the second part of XIX century Batumi gradually became the settlement of city type. Strategic condition, trade, economical and political functions rose its importance as a city of port. It accelerated the rising process of population and attraction of different ethnic groups, including Jews.

First group of Jews came to Batumi in 1877-1878 after Russia-Turkey war. According to verbal sayings the ancestor of Georgian Jew Izet Gagulashvili settled in Adjara in 1850. This is the tie when two communities of Jews' are formed, Ashkenazi (European) and Georgian. The majority are Ashkenazi. The majority of them worked in armed forces of Tsar movement. Anti Jew politics and raids of Jews in Kiev, Odessa, in different cities of Russian Empire (such raids took place in the years of 1881, 1903, 1905-1907) provided the fact of arriving new group of Jews in Georgia, including Batumi. Non Georgian Jews came to Batumi primarily from Odessa, Kiev, Warsaw, Baltic region, Dnepropetrovsk, Ismail, Simferopol, Feodosia (M. Loria, O. Teif, Ashkenazi synagogue in Batumi, "Historical News" N 6, 1997, pg. 50). Georgian Jews also settle in Batumi leaving from from different cities of Georgia (Tbilisi, Surami, Foti, Kutaisi, Akhaltsikhe, Akhalkalaki...) primarily "arrived for trade" (Z. Tchichinadze, Georgian Jews in Georgia, Tb., 1904, pg. 66). According to data of 1881, 179 Jews lived in Batumi (M. Loria, Jewish synagogue in Batumi, "Tchrokhi").

N 2, pg. 139). Jews settled in central districts of the city, actively took part in industrial and trade business, opened shops, different kind of objects. Due to their hard-work collected the capital and became the owners of numerous shares. According to one document of July 21, 1895 “ Huge number of Jews live in Batumi, they are settled in central part of the city. Majority of them do commercial jobs, They own majority of shops and have shares in banks of Batumi”. (Geo. Tsia, pg. 64, desc. 1, Geo. 101, pg. 18). Soon after settling in Batumi Jews found the temple house in illegal way. They requested government to open synagogue but without result. Educated Ashkenazi Isak Kalicheski, Ioseb Peizeli, Maiski Poplovich, Israel Rabinovich referred to Nikolai II. King agreed.

In 1899 relevant order was written. According to project of architect Lev Volkovich the temple house of Haag and Amsterdam synagogue types was built in 1904 “Beit-Kseneti”, which became the centre of meetings for Jews. In 1929 synagogue was closed and the building was passed to sport organization “Hawk” and then to “Spartak”

ეკა დადიანი

შერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ტაოურში

ფერების საშუალებით აღამიანი სრულყოფილად შეიმეცნებს გარე სამყაროს, აღიქვამს არსებულ საგანთა თუ მოვლენათა მრავალფეროვნებას.

ზოგადად, ფერებს ორ ჯგუფად ყოფენ: **ქრომატულ** და **აქრომატულ** ფერებად. აქრომატულ ფერებს მიეკუთვნება: **თეთრი, შავი და რუხი** (ნაცრისფერი). რუხი წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის და მიიღება თეთრი და შავი ფერების სხვადასხვა პროპორციით შეზავების შედეგად. აქრომატულ ფერებს ქრომატულისაგან განასხვავებს სინათლის ხარისხი (ნათელობა). აქრომატული ბერძნულად ნიშნავს “უფერულს” (ნ. მირიანაშვილი, 1986, გვ. 10).

დანარჩენი ფერები ქრომატულ ფერებს მიეკუთვნება. გამოიყოფა 7 ძირითადი სპექტრული ფერი: **წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი და იისფერი.**

სხვადასხვა ენაში ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები განსხვავებულია. ბევრ ენაში ფერები ზედსართავი სახელებით გამოიხატება. რიგ ენებში (ინდოევროპული, თურქული, მონღოლური, არაბული, იაპონური) დღესაც ლურჯსა და მწვანე ფერებს ერთი სიტყვით აღნიშნავენ. მსგავსი ვითარება დასტურდება ქართველურ ენა-კილოებშიც (მეგრულში...).

ფერის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ენის/დიალექტის ლექსიკურ ფონდში. ჩვენ შევისწავლეთ ტაოურში ფერის გამომხატველ ზედსართავ სახელთა გამოყენების სიხშირე, მათი სემანტიკური ველი, ხარისხის ფორმათა წარმოების უნარი ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართებით.

ფერის აღმნიშვნელი ქართული ზედსართავი სახელების დიდი ნაწილი ტაოელთა მეტყველებაში უცვლელადაა დაცული.

I. აქრომატული ფერებიდან ტაოურში გვხვდება: **თეთრი, შავი და მრეხი** (იგივე რუხი).

თეთრი ზედსართავი სახელით აღინიშნება სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები. მაგალითად:

სხეულის ნაწილები: გოგო, გოგო, შე მარმალე, ეგ **თეთრი** გული დამალე; ბგანო მუსლიმანი-ნა იყვეს, **თეთრი პირი**-ნა ქონდეს; თუ აჩენ, გამააჩინე **თეთრი** ყია (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 177).

მცენარეები: **თეთრი** ლებუო რი, აჲ დათესილი **თეთრია**; ეგეც თუ თავი გვინდა, **თეთრი** ლაჰანა, შორ-შორ დუასოფთ; **თეთრი** ლაზუდი აბლია; აყირო ორი სოდა: ერთი **თეთრი**, ერთი კაპარა, კაპარა ფენა მოვა და **თეთრი** არ მოლამის; კარული (ყურძენი) **თეთრი** და წმინდა.

ცხოველები, ფრინველები: გაღმი **თეთრი** ქათამი, გამოღმი მიკუკუნეფსო.

საქმელ-სასმელი: თეთრი ყუელი მოშლილ მუყარით.

გეოგრაფიული სახელები: თეთქედი (< თეთრი ქედი).

ტანსაცმელი: თქვენში არი ვალა? წითელი, ყუთელი, თეთრი ეიღებენ.

შავი ფერის გამომხატველი ზედსართავი სახელით აღინიშნება შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

სხეულის ნაწილები: შაი თმებ აქტუა, წვერიცა შაი აქტუა; შაი იქნება თვალიანი, ისე იქნება, ასე იქნება, ისინი სულა არ მინდა.

შავი ითქმის ადამიანის სხეულის მუქ ფერზე (შავგვრემანზე): შაი კაცი გომოჩთა.

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი: ნაილონი ლასთიქები შაებისაც არი და შაები წინდებ აშაეფს.

მცენარეები: ნაძვი შაია; შაი თუთა არი; შავი ცერცვი გომოჩნდება; ლაჰანა მოვა, შავი ლაჰანა; ხალი, მოხნარშავთ, აი შავი ხალი.

გეოგრაფიული სახელები: შაი ტბა; შაი ტყე.

ი წყაროსი ასე კუთხე შავია და იმისთუნ ღურქმევენთან დამბალწყარო.

რუხი ფერის აღსანიშნავად ტაოურში გამოიყენება მრეხი, რომელიც დიალექტური ფორმა ჩანს. არ დასტურდება ქართული ენის განმარტებითა და დიალექტურ ლექსიკონებში. მრეხი ზუსტად შეესაბამება რუხ ფერს. მაგ.: კატარი მომრეხაა ისა, მოთეთრო; სოჭისაც მრეხია; ნაილონი ლასთიქები მრეხი არი, წითელი არი, რაცხა გინდა, ისე ჩეიცვამ.

შღრ., საბა: მრეში – წაბლის ფერ(ი), მოსისო (სულხან-საბა, 1991).

სისვი – თეთრ-შავ არეული (სულხან-საბა, 1993).

მრეში (ქართლ., ქიზიყ.) - ყომრალი, მუქი წაბლისფერი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); მოწაბლისფრო, თეთრში რომ წაბლისფერი ან ყოლისფერი წინწყლებია შერეული (ს. მენთეშ.); გრემა, ლეგა, წაბლის მოფეროდ (ნ. ჩუბ.); გრემა, წაბლის მოფერო (დ. ჩუბ.) (ალ. ლლონტი, 1984); მრეში (იმერხ.) - თეთრისა და შავის საშუალი, რუხი (შ. ფუტყარაძე, 1993, 514).

II. ქრომატული ფერებიდან ტაოურში გვხვდება: წითელი, ყვითელი და მწვანე. ნარინჯისფერი, ლურჯი, ცისფერი და იისფერი არ შეგვხვდრია.

წითელი ფერით აღინიშნება:

მცენარეები, მათი ნაყოფი: ბალი წითელი იქნება; წითელ ლაზუდ მოხნარშავთ, ნეღლი ვჭამთა და წითელისაც ვაზმოფთ, გომოფქვათ; ბიბერი (პილპილი) წითელი; ჰაჟუჩი (სტაფილო) არი, წითელი ჰაჟუჩი, სალათა იჯები.

ტოპონიმები: წითელთი (შესაძლოა აღნიშნავდეს ადგილს, სადაც წითელი მიწაა); წითლობი (რესპონდენტის ახსნით: “წითელი მიწები არი და, იმბააზე წითლობ ვეტყვით”); წითელმიწა ყანა; წითელი მიწა.

ტანსაცმელი: თქვენში არი ვალა? წითელი, ყუთელი, თეთრი...

წითელი დადასტურებულია ფულის მნიშვნელობით: ბევრი წითელი იქნება ჩადებული, დავთხაროთ (შ. ფალავა., 2005, გვ. 155).

წითელი = “კარგი გამომცხვარი”: ისე ბიძპილი პურ გომოცხვება, წითელი, ისე ბიძპილი პურ გომოცხვება საყვარლა.

ყვითელი ფერით გამოიხატება:

მცენარეები, მათი ნაყოფი: ლაზუდი წითელი და ყუთთელისაც არი; ლაზუდი ყუთთელია, თეთრი არ აი, ყუთთელია.

ყუთთელი = “ქერათმიანი”: **ყუთთელთმიანი**, სულა დილბერი.

მწვანე ტაოურში გამოიყენება როგორც საკუთრივ “მწვანე” ფერის, ასევე “ლურჯისა” და “ცისფერის” აღსანიშნავად.

ა) **მწვანე** საკუთრივ “მწვანე” ფერს აღნიშნავს შემდეგ წინადადებაში: თივა (ბალახი) **მწვანე** რენგია (ფერია); ბიბერი წითელი, **მწვანე**, გურჯიჯა ისე არი; ლობიო **მწვანეა**...

ბ) **მწვანე** “ცისფერის” მნიშვნელობით:

ჰავა (ცა) **წვანეა**; ჰავა, ბითთავათ (ყველას) კითხე, ბითთაონი გეტყვიან ქი **წვანეა**; შეხედე, თივა **მწვანე** ემეთ (ბრეზენტით) დახურულია და, ახლა იქ-ნა გევდეთ.

ცისფერისა თუ ლურჯი ფერის თვალების აღსანიშნავად გამოიყენება

ჭეკალი/ჭაკალი:

აქა, დუგუნზე ბგანო დვენახე, სულა დილბერ იყო, **ჭეკალთვალისანი**, ყუთთელთმიანი; მუსლიმანი-ნა იყვეს, **ჭაკალთვალისანი**; ემე არ მინდა, **ჭაკალი** იქნება, შაი იქნება თვალისანი, ისე იქნება, ასე იქნება, ისინი სულა არ მინდა, გულიდამ უყვარდეს.

სხვადასხვა ფერის, ნაირფერის აღსანიშნავად გამოიყენება **ჭრელი**:

ლებუო **თეთრი** არი, **ჭრელი** არი; **თეთრი-შაი**, **შაი-თეთრი** — **ჭრელ** ვეტყვით, **ჭრელ** ლებუო; გდოლი ბეურია, **ჭრელი** გდოლია, წყალი არაა (მ. ფალავა., 2005, გვ. 154).

“ჭრელის” მნიშვნელობით შეგვხვდა **კაჭკაჭი**. რესპონდენტის ახსნით: **კაჭკაჭი** არის ლობიოს ჯიში, “შაი და თეთრი, ერთ თერეფი (მხარე) შაია, ერთ თერეფი თეთრი”.

შდრ., იმერ. **კაჭკაჭი** ლობიო — “წვრილი და ჭრელი ლობიო”. შდრ., **კაჭკაჭი/კაჭეჭი** — მცენარის გამზარი ღერო (ქართლ., ლეჩხ.) (ალ. ლლონტი, 1984).

რაც შეეხება ცალკეული საგნების, ცხოველის, მცენარისა თუ მათი ნაყოფის ფერის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს, როგორცაა: **იისფერი**, **შინდისფერი**, **ვარდისფერი**, **ოქროსფერი**, **ვერცხლისფერი**, **ნახშირისფერი**, **თაგვისფერი**, **მგლისფერი**, **მტრედისფერი**... ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებსა თუ გამოქვეყნებულ მასალებში არ შეგვხვედრია.

ტაოურში იშვიათად გვხვდება უცხოური (თურქული, არაბული) ზედსართავი სახელები. მაგალითად:

ყარაგოლი (ტოპონიმი) — “ზლენი გოლი, ჩუხური, შაი“. თურქ. Kara Göl “შავი ტბა“.

ყართალი (ტოპონიმი) — თურქ. Kara dağ “შავი მთა“.

ნაწველში ჩუაყრით შექერსა, ურევთ და ის ქი დილბერი შეიქნება, **ყირმიზი** (წითელი), გაწითლებული, ამა დავშქრით. არაბ. kırmız “წითელი“.

ხარისხის ფორმები

ფერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სინათლის ხარისხით (ანუ სიმუქითა თუ ღიაობით), რაც ლინგვისტურად სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. ტაოურში ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები იწარმოება როგორც ორგანულად, ისე აღწერითად. აღწერითი წარმოებებისა.

ჩვეულებრივ, გამოიყენება დამხმარე სიტყვები (ნაწილაკები, ზმნისართები), რომელთა საშუალებითაც ხდება საგნის ნიშან-თვისების (ფერის) მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატვა.

1. ოდნაობითი ხარისხი საგნის ნიშან-თვისების ნაკლები ოდენობით, მიახლოებით, მიმსგავსებით გამოხატვას გულისხმობს. ტაოურში ოდნაობითობის სემანტიკა გადმოიცემა როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოების ფორმებით. ორგანული წარმოებისას გამოიყენება **მო-ე** კონფიქსი:

ქლიავი არის ყუთელი, შავი, **მოწითლო** ფერის (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 180); ხალიტი ლებუო **მოწითლო ჭრელია, მოწითლო ჭრელი**; მიწა **მომრეხო** ეტყვიან; კატარი **მომრეხოა**, ისა **მოთეთროა; მოშაო, მოშაო** ვიშნა...

შდრ., მსგავსი წარმოების ფაქტები თითქმის არ გვხვდება იმერხეულში, სადაც ძირითადად აღწერითი წარმოებაა გავრცელებული. ამგვარი ვითარება დასტურდება ლივანურში, მაჭახლურში (შ. ფუტკარაძე, 1995), ინგილოურში (გრ. იმნაიშვილი, 1966), ჭანურში (თ. ზურაბიშვილი, 1957).

ოდნაობითობის გამოსახატავად ფერის აღმნიშვნელ ზედსართავებთან უმთავრესად წარმოდგენილია თურქული ზმნისართი **აბლი** “ცოტა”, რომელიც ძირითადად ოდნაობითის ორგანულ ფორმებს ახლავს; ამ შემთხვევაში ოდნაობითის სემანტიკა ორმაგად აღინიშნება:

მოშაო აბლი თიყურძენაი; ბალი **აბლი მოწითლოსაც** არი, **მოშაო** ზაბა გემრიელი იქნება; ცხენიძუძო (ყურძენი) **აბლი მოწითალო, მოშაოსაც** არი; **მოყუთლო** – **ყუთლის აბლი**.

შდრ., იმერხ.: **ცოტა დიდი** კაცი იყო; ბურ **ცოტა თბილი** წყლით მოვზელავთ; ისე **ცოტა სქელი** დავაყენეთ.

2. უფროობითი (აღმატებითი) ხარისხი ტაოურში აღწერითად იწარმოება; ზოგადად, ზედსართავ სახელებს, მათ შორის ფერთა გამომხატველ სიტყვებს ინტენსივობის გადმოსაცემად დაერთვის თურქული ნაწილაკები და ზმნისართები: **ენ** (თურქ. en) “უფრო, ყველაზე უმეტესი, განსაკუთრებული”, **დაჰა** (თურქ. daha) “უფრო, მეტად”, **ჩოხ** (თურქ. çok) “ძალიან, ძლიერად”... მაგ.: ყუჩ(ა) – ასე **წითლისი დაჰა** ემე იქნება ია, **დაა უღალი**; ზოგი ლებუო **ზაბა თეთრია**.

დასტურდება ზედსართავი სახელის გაორკეცებით მიღებული ფორმები: ქვაბავრი ურუმები, **შავ-შავი** ყურუმებიო (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 174).

როგორც ვნახეთ, ფერთა გამომხატველი ლექსიკა ტაოურში ძირითადად ქართულია. აქრომატული ფერები (თეთრი, შავი, მრეხი “რუხი”) სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ქრომატულ ფერთაგან გვხვდება წითელი, ყვითელი (აღნიშნავს “ნარინჯისფერსაც”) და მწვანე (რომელიც ითავსებს “ცისფერის”, “ლურჯისა” და “იისფერის” მნიშვნელობებს). არ დასტურდება ცალკეული საგნების ფერების აღმნიშვნელი სიტყვები (ვარდისფერი, ოქროსფერი... ტიპის ზედსართავი სახელები).

ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები აწარმოებენ ხარისხის ფორმებს. ორგანული წარმოების ფორმები გვაქვს ოდნაობითობის სემანტიკის გამოსახატავად. მაწარმოებელი საშუალებები ძირითადად სხვა ქართული კილოების მსგავსია. უფროობითი ხარისხის ფორმები აღწერითად იწარმოება (“უდიდესი” ტიპის ფორმები არ დასტურდება). იშვიათად გვხვდება უცხოური (ძირითადად, თურქული) დამხმარე სიტყვები.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. მირიანაშვილი, 1985** — ნ. მირიანაშვილი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულში, თბ., 1985.
- თ. ზურაბიშვილი, 1957** — თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.
- გრ. იმნაიშვილი, 1966** — გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
- სულხან-საბა, 1991-1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. — 1991, ტ. II — 1993.
- გ. რამიშვილი, 1978** — გ. რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბ., 1978.
- მ. ფაღავა, 2005** — მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.
- შ. ფუტკარაძე, 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- შ. ფუტკარაძე, 1995** — შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.
- ალ. ლლონტი, 1984** — ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- 2011-2013 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაში).

EKA DADIANI**LEXIS DENOTING COLORS IN TAO LANGUAGE**

Lexical-semantic group of color denoting adjectives has the important role in lexical fund of this or that language/dialect. We studied the frequency of using color denoting adjectives in Tao language, their semantic field, ability of using degree forms in Georgian literal language and in terms of other dialects.

Lexis denoting colors in Tao language is primarily Georgian. Achromatic colors (white, black, gray) are fully represented. From chromatic colors we meet red, yellow(denotes orange as well) and green (which combines the meanings of sky blue, blue and violet). We don't meet the words denoting the colors of certain things. (adjectives like pink, gold ...)

Adjectives denoting colors make the degree forms. We have organic forms to express the semantics of words formed by -ish suffix. Forming means primarily resemble to other Georgian moods. Comparative degree forms are used in representative regime (we don't meet superlative forms). Foreign (primarily Turkish) auxiliary words are seldom.

ნონა დათუაშვილი

პროკურორის მიერ ბრალის შეფასების ტექნიკა ბრალის წაყენება და ბრალის გამოცხადება

პროკურორის მიერ ბრალის შეფასების ტექნიკა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია სისხლის სამართლის პროცესში. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი, პროკურორი შესაძლო დამნაშავეს ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის შეფასებას ახდენს. პროკურორის მიერ მისაღები გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შეფასების შედეგის გათვალისწინებით ბრალის შეფასება შესაძლებელია ორ სახედ დავეყოთ:

- პირის ქმედებაში ბრალის დადგენა - ბრალის წაყენება,
- პირის ქმედებაში ბრალის გამოცხადება.

პროკურორის თითოეულ გადაწყვეტილებას ამ ორი არჩევანიდან მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები მოსდევს. თუ პროკურორი დაადგენს პირის ქმედებაში ბრალის არსებობას, იგი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას - გამოაქვს პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, რომელსაც პრეზუმფციური ძალა არ გააჩნია; ხოლო თუ გამოცხადებს პირის ქმედებაში ბრალის არსებობას, არ იწყებს ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას და გამოაქვს შესაბამისი საპროცესო დოკუმენტი - დადგენილება.

პირის ქმედებაში ბრალის დადგენა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, პირს ბრალი წაყენება იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამდენად, ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელსაც პროკურორი ბრალის შეფასების პროცესში იღებს, წარმოადგენს პირის ქმედებაში ბრალის დადგენა - ბრალის წაყენება.

იმ შემთხვევაში, თუ პროკურორმა პირის ქმედებაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებები ვერ გამოკვეთა, იგი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ; თუმცა მტკიცებულებების შეგროვების და გამოძიების პროცესში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ გამოიკვეთოს ისეთი გარემოებები, რაც ადრე არ იყო ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, კანონი აძლევს პროკურორს შესაძლებლობას, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა სსსკ-ის 105-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებზე დაყრდნობით და დისკრეციული უფლებამოსილების გათვალისწინებით.

პროკურორის მიერ წაყენებულ ბრალს არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა, სანამ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით არ დაადასტურებს ან არ უარყოფს მის არსებობას პირის ქმედებაში. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი მიხეილ მამნიაშვილი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესის სტადიაზე ბრალი ატარებს პრეზუმფციულ ხასიათს. სასამართლომ თავის განაჩენში, შესაძლოა, გაიზიაროს პროკურორის მიერ დადგენილი ბრალი და ბრალდებული

უარყოფითად გაკიცხოს, მის მიმართ დაადგინოს **გამამტყუვნებელი** განაჩენი ან, შესაძლოა, არ გაიზიაროს პროკურორის მიერ დადგენილი ბრალი და გამოიტანოს გამამრთლებელი განაჩენი (მ. მამნიაშვილი, 2010-2012, გვ. 58-59).

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ, პროკურორის მიერ წაყენებული “ბრალის” არსის სწორად წარმოჩენის მიზნით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა მოხდეს “პირობითი ბრალის” ტერმინის კოდიფიკაცია. “პირობითი ბრალის” შესახებ იდეა თავის სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმული აქვს სამართლის დოქტორ თათია დოლიძეს. იგი აღნიშნავს, რომ პროკურორის მიერ ბრალის დადგენის შემთხვევაში ბრალის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა არ არის მისი სტანდარტული ცნების იდენტური. საპროცესო სამართლებრივი გაგებით ბრალი პირობითია და მისი საბოლოო არსებობა მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (თ. დოლიძე, 2012, გვ. 75).

ამის საპირისპიროდ საზოგადოებაში პრეველირებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირი, რომელსაც ბრალი აქვს წაყენებული - დამნაშავეა, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციასა და სისხლისსამართლებრივი ბრალის არსს, რომლის თანახმად ბრალის გადაწყვეტის საკითხი მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა (ბრალის ნორმატიული თეორია). ამგვარი შეხედულების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ორი ფაქტორი ახდენს: ტელევიზია, რომელიც ისეთი სახით გადმოსცემს ინფორმაციას ბრალდებულ პირთა შესახებ, რომ საზოგადოებას მათი ბრალეულობის რწმენა უღვივდება და, რაც უფრო აქტუალურია, **გამამტყუვნებელ** განაჩენთა რაოდენობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ტერმინი “ბრალი”-ს “პირობითი ბრალით” ჩანაცვლება, ჩვენი აზრით, დადებით ტენდენციას მისცემს საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკას. “პირობითი ბრალის” ტერმინის დამკვიდრება არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში, არამედ მისი გადატანა ყოველდღიურობაში ხელს შეუწყობს ჯანსაღი შეჭიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. ამდენად, პროკურორის მიერ წაყენებული ბრალი ყველა შემთხვევაში პირობითია.

პირის ქმედებაში ბრალის გამორიცხვა. პროკურორი პირის ქმედებაში ბრალის გამორიცხვის პროცესში კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით და დისკრეციული უფლებამოსილებით ხელმძღვანელობს.

ა. **კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.** სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან მისი შეწყვეტის საფუძვლები-დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 თავში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ჩამონათვალი, რომელთაგან ბრალის მხოლოდ ორი გამომრიცხველი გარემოება: შეურაცხაობა ასაკის გამო და შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო გათვალისწინებულია სსსკ-ის 105-ე მუხლში. ამასთან ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქციით) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლად დანარჩენ ბრალის გამომრიცხველ გარემოებებსაც ითვალისწინებდა (ძვ. რედ. სსსკ-ის 28-ე მუხლი).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონმდებელმა სწორი პოზიცია აირჩია, ვინაიდან ასაკი და ფსიქიკური დაავადება იმდენად ცხადი ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია, რომ დავასაც არ იწვევს, ხოლო რაც შეეხება შეზღუდულ შერაცხადობას, შეცდომასა და ბრძანების ან განკარგულების შესრულებას, ეს ისეთი გარემოებებია, რომელთა შესახებ მოსამართლემ უნდა იმსჯელოს. ასევე, ისინი ბრალის, როგორც გამორიცხვის, ასევე, შემსუბუქების საფუძველს წარმოადგენს. გარდა ამისა, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ბრალის შეფასების პროცესში მას ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, პროკურორს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს იმ საფუძველზე, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ბრალის გამომრიცხველი დანარჩენი გარემოებების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველების კოდიფიკაციის აუცილებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე სასამართლოს კონტროლი არ წარმოებს. პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დაზარალებულს შეუძლია მხოლოდ ერთგერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო, უარის მიღების შემთხვევაში კანონმდებელი სხვა შესაძლებლობას მას აღარ ანიჭებს.

ბ. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში ახალი ინსტიტუტია, რომელსაც ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობდა. პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით (სსსკ-ის მე-16 მუხლი და 105 მუხლის მე-3 ნაწილი). იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, პროკურორისთვის დადგენილია ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მან უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესების შეფასების პროცესში.¹ დისკრეციული უფლებამოსილება პროკურორს პირის ქმედებაში ბრალის გამორიცხვის უფლებით ფართო ლავირების შესაძლებლობას ანიჭებს.

ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე პროკურორი, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, უფლებამოსილია, უარი თქვას ბრალდებაზე. კოდექსის მოცემულ ფორმულირებას, “უფლებამოსილების” ტერმინის თვალსაზრისით, არ ეთანხმება მეცნიერი პაატა კობალაძე იქიდან გამომდინარე, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს აკისრებდა “ვალდებულებას” უარი ეთქვა ბრალდების მხარდაჭერაზე იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებოდა, რომ არ არსებობდა ბრალდებისათვის საკმარისი საფუძველი. ხოლო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ვალდებულების ნაცვლად კანონში უფლებამოსილების ტერმინს იყენებს (სსსკ-ის 250-ე მუხლი). ავტორი მიიჩნევს, რომ სიტყვა “ვალდებულების” ამოღება პროცესიდან საშუალებას მისცემს პროკურორს დაუჭიროს მხარი აშკარად უკანონო ბრალდებას (პ. კობალაძე, 2010-2012, გვ. 77-78).

¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, თბ., 2010.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ (სსსკ-ის 250-ე მუხლი). სავსებით ვიზიარებთ მეცნიერთა იმ ნაწილის მოსაზრებას (შ. ფაფიაშვილი, ა. ფალიაშვილი, ი. გაბისონია, რ. გოგშელიძე, პ. კობალაძე და სხვები), რომლებიც მიიჩნევენ, რომ პროკურორის უარი ბრალდებაზე არ უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი (იქვე, გვ. 80-84). ჩვენი აზრით, სასამართლომ არ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანო, აფასებს პირის ქმედებაში ბრალს და გადაწყვეტილება გამოაქვს არა პროკურორის პოზიციაზე დაყრდნობით, არამედ კანონის და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ბრალის შეფასების კრიტერიუმები

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს სამოსამართლო პრაქტიკას, რთული არ იქნება დავასკვნათ, რომ პროკურორის მიერ დადგენილ ბრალს, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლოსთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამას მოწმობს სასამართლო გადაწყვეტილებათა სტატისტიკა, რომლის თანახმად პროკურორის მიერ შეკერილ საქმეებზე უმრავლესობა დამდგარი განაჩენებისა **გამამტყუვნებელია**. გამამართლებელი განაჩენები 2008 წელს 8645 საქმიდან მხოლოდ 21 საქმეზე დადგა, 2009 წელს 6720 საქმიდან — 9 საქმეზე, 2010 წელს 3486 საქმიდან — 7 საქმეზე, 2011 წელს 1854 სამიდან — 46 საქმეზე, 2012 წელს 1149 საქმიდან — 90 საქმეზე, 2013 წელს 6 თვის სტატისტიკით, 789 საქმიდან, 13 საქმეზე (<https://idfi.ge/ge/news-84>).

ამდენად, არანაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროკურორის მიერ პირის ქმედებაში ბრალის შეფასების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პროკურორის უფლებამოსილება კიდევ უფრო გაფართოებულია. ნოვატორული დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტი პროკურორს ბრალის გამორიცხვის საკითხში ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. ამდენად, პროკურორის პასუხისმგებლობის დონემ მისი უფლებების პროპორციულად უნდა მოიმატოს. ამ ფონზე მეტად აქტუალური ხდება კრიტერიუმები, რომლითაც პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს ბრალის შეფასების პროცესში. პროკურორი ბრალის შეფასების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი საქმიანობის ამოსავალი პრინციპებით. სახელმძღვანელო პრინციპების ზედმიწევნით, მართებულად განმარტება აუცილებელია, რათა არ ჰქონდეს ადგილი თვითნებობის გამოვლინებას პროკურორის საქმიანობაში.

განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ტერმინი “პრინციპი” ნიშნავს დასაბამს, დასაწყისს, ამოსავალ დებულებას, რასაც ეფუძნება ესა თუ ის თეორია, მოძღვრება თუ მეცნიერება (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

პროკურორის საქმიანობის ამოსავალი პრინციპების უმუშალო მომწესრიგებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კანონი პროკურატურის შესახებ, იუსტიციის მინისტრის ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, ძირითადი აქტები, რომლებსაც ეყრდნობა და რომელთაგანაც გამომდინარეობს ზემოხსენებული კანონები: საქართველოს კონსტიტუცია, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების

შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები ევროპული კონვენციით და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ნორმებზე დაყრდნობით არის აგებული და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ვრცელი ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი.

პროცესუალური ნორმების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ ფუნქციონალური პრინციპები: პიროვნების პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების თავისუფლებისა და პირადი ინტერესების ხელშეუხებლობის, დაცვისა და პატივისცემის პრინციპი; სამართლიანობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მხოლოდ სასამართლოს მიერ განხორციელების პრინციპი. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს პროკურორის საქმიანობას.

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღებას მეტწილად იმაზე ამახვილებენ, რომ პროკურორი, რომელიც მოწოდებულია აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების ხელმძღვანელობა, სახელმწიფო ბრალდებლის პოზიციაში გამოდის და პირის **გამამტყუვნებელ** მტკიცებულებებს აგროვებს, რათა სასამართლოს მეშვეობით დასაჯოს იგი. ამას საკანონმდებლო განსაზღვრებაც ადასტურებს და საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად პროკურორი ერთგვარი “ჯალათის” როლში გვევლინება. თუმცა, აღნიშნული მის მხოლოდ ვიწრო ფუნქციონალურ განმარტებას გვაძლევს და მის საქმიანობას სრულფასოვნად ვერ გამოხატავს.

პროკურორის საქმიანობა მხოლოდ ბრალდების ვალდებულებით არ შემოიფარგლება, იგი სისხლის სამართლის პროცესის ზემოთ მოყვანილი პრინციპებიდან გამომდინარე, მოწოდებულია არა მარტო იმისთვის, რომ ადამიანს ბრალი დასდოს, არამედ მას ზოგად მორალური და სამართლებრივი ვალდებულებები გააჩნია საზოგადოების წინაშე, რაც გულისხმობს ადამიანების პატივის, ღირსების და ინტერესების დაცვის პრინციპით როგორც დამნაშავეობის, ასევე უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებასა და მათ საფუძველზე ბრალის ჭეროვნად შეფასების ვალდებულებას.

პროკურორისთვის თავისი საქმიანობის პრინციპები ელემენტარულად სავალდებულო დებულებებია, აღნიშნავს გ. აბაშიძე. ავტორი თანმიმდევრულად განავრცობს თავის მართებულ პოზიციას და წერს, რომ საპროკურორო საქმიანობის არსი ის არ არის, რომ ნებისმიერ დროს დაადანაშაულოს პიროვნება, არამედ მან უნდა შეიცნოს და ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და ქმედების ჩამდენის მიმართ, საქმის გარემოებების სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევით დაადგინოს გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებას. მათ შორის თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც დამნაშავეობასა და უდანაშაულობაზე ან უფრო მსუბუქ ბრალეულობაზე მიუთითებს (გ. აბაშიძე, 2010, გვ. 92-93).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრალის შეფასების პროცესში პროკურორის ვალდებულებას წარმოადგენს როგორც ბრალის არსებობის, ასევე მისი არარსებობის ჭეროვანი შეფასება, ვინაიდან არაჭეროვნად შეფასებული ბრალი, საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგის მომტანია. მართალია, სასამართლო

არ არის შეზღუდული პროკურორის პოზიციით, მაგრამ როგორც სასამართლო სტატისტიკა აჩვენებს, პროკურორის ბრალდებას სასამართლოსთვის, უმრავლეს შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, იმისთვის, რომ არ მოხდეს უდანაშაულო პირის დამნაშავედ ცნობა ან, პირიქით, აუცილებელია, პროკურორმა, ბრალის შეფასების პროცესში, იხელმძღვანელოს თავისი საქმიანობის ამოსავალი პრინციპებით, ვინაიდან იგი სახელმწიფოს სახეა, ხოლო სახელმწიფოს მიზანია ადამიანის პატივსა და ღირსებაზე, მის უფლებებსა და თავისუფლებებზე ზრუნვა და მათი უზრუნველყოფა.

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. აბაშიძე, 2010** - გ. აბაშიძე, ბრალდება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მამოძრავებელი ძალა, ჟურნალი ინტელექტუალი 12, თბ., 2010.
- თ. დოლიძე, 2012** - თ. დოლიძე, დისერტაცია - ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა სამართლებრივი დახასიათება და მათი მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, თბ., 2012.
- პ. კობალაძე, 2010-2012** - პ. კობალაძე, პროკურორის უარი ბრალდებაზე - ფუნქცია თუ დისფუნქცია? სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010-2012.
- მ. მამნიაშვილი, 2010-2012** - მ. მამნიაშვილი, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010-2012.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება** “სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2010.
- საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ**, თბ., 2008 (ცვლილებებით და დამატებებით). www.matsne.gov.ge
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**, თბ., 2009 (ცვლილებებით და დამატებებით). www.matsne.gov.ge

NONA DATUASHVILI**THE TECHNIQUE OF FAULT VALUATION BY PROSECUTOR**

The reform carried out in recent years Georgian criminal law code of conduct procedure, offers us some new possibilities and therefore needs new investigations and approaches. In the presented report such current items of the process as the technique of fault valuation by prosecutor and criteria of this valuation have been discussed. Prerequisites for the determination and exclusion of guilt have been analysed. Also the basics provided by law and discrecional power and those legal results that follow this decision have been discussed. Underlying principles of prosecutor activity secured by legislative law which prosecutor must consider in the process of fault valuation has also been discussed.

During the process based on the fault analyses and investigation, legislative proposal as “optional fault” in the code of conduct has been presented. Also view of different scientist-lawyers are shared on the level of court review in case of fault cancel by prosecutor and about appropriateness of court proceeding termination.

ნათელა დანგაძე

სირიის კრიზისი - ქურთთა ავტონომიის
წარმოქმნის საკითხი და თურქეთის საგარეო
პოლიტიკის ორიენტირი

2011 წლის გაზაფხულზე სირიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის სამოქალაქო ომში გადაზრდის და საერთაშორისო ინტერვენციის შემდეგ, თვალსაჩინოა თურქეთის საგარეო პოლიტიკის აქტიური ჩართულობა ამ პროცესებში. თურქეთის პოლიტიკა ემყარება პრინციპს “ნულოვანი პრობლემა” მეზობელ სახელმწიფოებთან. თურქეთი ამ პროექტში თავის თავს მოიაზრებს როგორც წამყვან რეგიონულ ძალას. მას სირიასთან აკავშირებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და, რაც მთავარია, სირია წარმოადგენს კარებს, რომელიც გზას უხსნის მას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში გასასვლელად - ეგვიპტე, იორდანია და სპარსეთის ყურის სახელმწიფოები (Bayram Balci, March, 2012).

თურქეთის ექს-პრემიერ მინისტრი და ახლანდელი პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ცდილობდა ესარგებლა თავისი კარგი ურთიერთობით ბაშარ ალ-ასადთან და კონფლიქტი მოეგვარებინა მშვიდობიანი გზით, რაც მარცხით დამთავრდა. ასაღმა უარი განაცხადა რეფორმებზე, მრავალპარტიული სისტემის შემოღებასა და ოპოზიციასთან რაიმე დათმობაზე. ანკარის ხელისუფლებას სხვა გზა არ ღარჩა, გარდა იმისა, რომ მხარი დაეჭირა ოპოზიციისთვის. ანკარის დახმარებით დაარსებული სირიის ნაციონალური საბჭო (SNC) არის ოპოზიციური ძალა დამასკოს რეჟიმის წინააღმდეგ. იგი წარმოადგენს ოპოზიციის ძირითად ბირთვის და აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

თურქეთმა დაიწყო სამზადისი პოსტ-ასადის ხელისუფლების მოსამზადებლად, ისე რომ ვერ გათვალა ასადის რეჟიმის წინააღმდეგობის ძალა. სირიის კრიზისის ხანგრძლივობა თურქეთისათვის წარმოადგენს დილემას. უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში მწვავედ დგას ქურთთა საკითხი.

ქურთების პრობლემას თურქეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ათათურქის მიერ რესპუბლიკის დაარსების დროიდან დაიწყო. 1925 და 1937 წლებში ადგილი ჰქონდა ქურთთა დიდ აჯანყებებს. XX საუკუნის 60-იან წლებში იქმნება ქურთული პოლიტიკური პარტიები. აქედან ყველაზე დიდი გავლენა ქურთების მუშათა პარტიამ (PKK) მოიპოვა აბდულა ოჯალანის ხელმძღვანელობით. დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს მოძრაობა 80-იან წლებში (მ. სვანიძე, 2005, გვ. 246). თურქეთის მთავრობა ქურთების პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ სამხედრო გზას ირჩევდა და ამ საკითხის პოლიტიკურ მოგვარებაზე უარს აცხადებდა. 1999 წელს აბდულა ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ, თითქოს, ქურთების გამოსვლები შესუსტდა.

1998 წლის 19-20 ოქტომბერს ქ. ადანაში მედიატორების (ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ქემალ ჰარაზი და ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ამრ მოუსა) ხელშეწყობით მოეწყო თურქეთ-სირიის დელეგაციების შეხვედრა და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაფორმდა ერთობლივი ხელშეკრულება. ადანის ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია ქურთების მუშათა პარტიის (PKK) ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, წარმოადგენს ამ ორ ქვეყანას შორის ახალ ათვლის წერტილს პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების, კულტურისა და სხვა ურთიერთობების სფეროში (Adana agreement paves legal path for Turkish intervention in Syria, 9 April, 2012).

სტატიაში შევხებით იმ შეხედულებებსა თუ თვალსაზრისს, რომელთაც შეიძლება დაეფუძნოს თურქულ-ქურთული დიალოგი და კონცენტრაცია გაუუკეთოთ იმ იმპულსებს, რაც შეიძლება მოჰყვეს შედეგად სირიის კონფლიქტს. თურქეთ-სირიისა და ქურთების მუშათა პარტიის (PKK) თანაბარ სიბრტყეზე წარმოდგენისათვის უნდა შევეხოთ დამასკოს რეჟიმსა და დემოკრატიული ერთობის პარტიას (PYD) შორის ურთიერთობას. დემოკრატიული ერთობის პარტია (PYD) წარმოადგენს ქურთების მუშათა პარტიის (PKK) გაგრძელებას სირიაში. როდესაც სირიაში დაიწყო ამბოხება, დამასკოს მთავრობის მიზანს წარმოადგენდა, გამოეყენებინა ეს ალიანსი თურქეთისა და ამასთანავე სირიის ოპოზიციის წინააღმდეგ.

დემოკრატიული ერთობის პარტია (PYD) მხარს უჭერს რა ასადის ხელისუფლებას, ამავე დროს, ამზადებს დანარჩენ ქურთულ პარტიებს საბრძოლველად. ქურთების მუშათა პარტია (PKK) სირიაში ცდილობს, გააძლიეროს მათი პოზიცია და წარმომადგენლობა პოსტ-ასადის სირიაში ქურთების სასარგებლოდ, ვინაიდან დემოკრატიული პარტია ასადის მხარდაჭერის გამო დისკრედიტებულია. აქ ხდება მეტად რაციონალური კალკულაცია ქურთთა სასარგებლოდ თურქეთში. ქურთების მუშათა პარტია (PKK) ცდილობს აიძულოს ანკარა მისცეს თურქეთში მცხოვრებ ქურთებს ახალი უფლებები და კანონმდებლობით გაამაგროს (Bakır Sıdkı, March, 2012).

ანკარა კარგად ხედავს ამ სტრატეგიას და ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს სირიის ნაციონალურ საბჭოზე (SNC) და დაარეგულიროს ქურთული კომპონენტი სირიის ოპოზიციასთან. საპასუხოდ ქურთულმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სირიის ნაციონალურ საბჭოს. ისინი ამჯობინებენ დააარსონ თავიანთი ორგანიზაცია და ამგვარად ცდილობენ, სირიის ხელისუფლებისგან მოიპოვონ vis-à-vis საწინააღმდეგო დამოკიდებულება. სირიელი ქურთების მიერ მიღებული წინდახედული პოზიცია გაიზიარეს თურქეთის ქურთებმაც.

სირიის ოპოზიციის მხარდაჭერის გამო თურქეთისთვის ყველაზე ცუდი სცენარი იქნება ასადის რეჟიმის დამარცხება და ბუმერანგის ეფექტით სირიაში შექმნილი ქურთული ავტონომიის აღიარება, საიდანაც მოითხოვენ თურქეთში მცხოვრები ქურთების კულტურული და პოლიტიკური ავტონომიის გარანტიას. გარდა ამისა, სირიის ქურთთა ავტონომიური რეგიონის პერსპექტივა აწუხებს არა მარტო თურქეთს, არამედ სირიის მთელ დანარჩენ ოპოზიციურ ძალებს, რომელთაც შიში აქვთ ქვეყნის დეზინტეგრაციისა ქურთულ, არაბულ, სუნიტურ და ალავიტურ რეგიონებად. სირიის ნაციონალურმა საბჭომ (SNC) მიაღწია,

დაერწმუნებინა სირიის ქურთები, რომ ახალ სირიაში მათი უფლებები და პატივი იქნებოდა დაცული. ისინი აგრძელებენ თავიანთ დამოუკიდებელ გზას და ორ მთავარ ბლოკში არიან თავმოყრილი: ქურთთა ნაციონალური საბჭო (KNC), რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა პარტიები და დემოკრატიული ერთობის პარტია (PYD). ეს უკანასკნელი წარმოადგენს სერიოზულ ძალას, იმიტომ, რომ შეიარაღებულია (SNC:National Charter: 4).

ანკარის ხელისუფლებას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს როგორც სირიის ნაციონალურ საბჭოსთან (SNC), ასევე მუსლიმი ძმების პარტიასთანაც. ბევრ ანალიტიკოსს სჯერა, რომ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, რომელსაც პოლიტიკური ისლამის წარსული აქვს, მიზნად ისახავს დამასკოს ხელისუფლებაში მოიყვანოს მუსლიმი ძმები. თუმცა ერდოღანი 2002 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გარდაიქმნა ზომიერი ისლამის წარმომადგენლად (Utku Çakırözer, Erdoğan'ın İsteği Müslüman Kardeşleri Suriye'de İktidara Getirmemiş”, Cumhuriyet, February 29,11, 2012).

2012 წლის ივლისის ბოლოს დამასკოს რეჟიმმა ნება დართო დემოკრატიული ერთობის პარტიის (PYD) სამხედროებს კონტროლი გაეწიათ სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქურთებით დასახლებული მთელი რიგი ქალაქებისათვის (აფრინი, დერექი, ქამიშლი, ქობანე და ამოუდი). ამით ასაღმა თავისი ჭარები დაიცვა, მეტისმეტად გაფანტულიყვნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სირიელი აჯანყებულები ადანაშულებენ ქურთებს იმაში, რომ თავის დასაცავად ასადის რეჟიმთან ბინძურ გარიგებას აწარმოებენ. სირიელი აჯანყებულების რამდენიმე ჯგუფი 2013 წელს იბრძოდა Jabhat Al Nusra-ს და al-Qaida-ს სირიელი მოკავშირეების მხარეს, რათა ქურთებისაგან გამოეტაცნათ ქ. ქობანე (Ayn al-Arab) (www.economist.com/.../islamic-state-turkey-and-syria's-kurds, 22 September, 2014).

დემოკრატიული ერთობის პარტიასა (PYD) და ქურთულ ნაციონალურ საბჭოს (KNC) შორის გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ და 2012 წლის 12 ივლისს შეიქმნა ქურთთა უმაღლესი კომიტეტი (Kurdish Supreme Committee - KNC), როგორც სამთავრობო წარმონაქმნი, ქურთთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ქურთთა უმაღლესი კომიტეტის ადმინისტრაციით შეიქმნა სახალხო დამცველთა გაერთიანება (Popular Protection Unites - YPG). ქურთებით დასახლებული რეგიონის კონტროლის მიზნით. 19 ივლისს სახალხო დამცველთა გაერთიანებამ მიიტაცა ქ. ქობანე (Ayn al-Arab), ხოლო მეორე დღეს მიიტაცეს ამუდე და ეფინი. 24 ივლისს ქურთული ქალაქები დერიკა შემკო (Al-Malikiyah), სერე კანიე (Ra's al-'Ayn), დირბესი (Al- Darbsiyah) და გირკე ლეგე (Al-Ma'bada), აგრეთვე გადავიდა სახალხო დამცველთა გაერთიანების დაქვემდებარებაში. მთავარი ქურთული ქალაქები, რომლებიც რჩებოდა ასადის რეჟიმის ხელისუფლების კონტროლქვეშ, იყო ჰასაკა და ქამიშლი.

ცნობილია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში არსებობს ნავთობის მდიდარი რეზერვუარი. ბოლო წლის მანძილზე ევროკავშირის დამკვირვებლები აცხადებენ, რომ აჯანყებულ არაბებს შეუძლიათ გაყიდონ ნავთობი. ახლა ეს შეუძლებელია, რადგან რეზერვუარები მათ კონტროლს არ ექვემდებარება. Jabhat Al Nusra-ს და al-Qaida-ს მოკავშირე IS მებრძოლები ცდილობენ.

ქურთებს გამოსტაცონ ეს ტერიტორია და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ (www.economist.com/.../islamic-state-turkey-and-syria's-kurds, 22 September, 2014). როგორც ამბობენ, ისტორია მეორდება. ამიტომ თურქეთი ცდილობს, თავის საზღვართან არ დაუშვას, შეიქმნას მეორე ქურთული ავტონომია KRG სირიაში.

2014 წლის 23 იანვარს სირიელმა ქურთებმა გამოაცხადეს სირიის ქურთისტანის ავტონომია - ჯაზირას, ქობანეს და ეფრინის რეგიონის ჩათვლით. სირიის ქურთისტანს უწოდებენ, აგრეთვე, "როჯავას". ავტონომიის გამოცხადებით, თითქოს სირიელმა ქურთებმა თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები გამოიწვიეს. მათ გამოიყენეს დრო საამისოდ, რადგან რეგიონში საშინელი უწყესრიგობაა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ენევეაში II კონფერენციაზე ქურთებს არ ჰქონდათ უფლება, ჰყოლოდათ წარმომადგენელი. ამ ავტონომიის გამოცხადებამ ცხადყო მსოფლიოს ძლიერთა სისუსტე და უნაყოფობა სირიის მზარდი კონფლიქტის მოგვარებაში (Namo Abdulla, 23 Jan. 2014). როჯავას ხელისუფლება ფიქრობს, რომ ისარგებლებს სირიელი ქურთების მხარდაჭერით. დეკლარაციაზე ხელმოწერა განახორციელა 50 პარტიის წარმომადგენელმა. ახალი ადმინისტრაცია იმოქმედებს მხოლოდ 3 რაიონში ქამიშლის, აფრინისა და ქობანის ჩათვლით, სადაც ქურთები უმრავლესობას წარმოადგენენ. თუმცა იქ ცხოვრობენ არაბები და ასირიელებიც. რაღაცით ის ჰგავს ქურთისტანის რეგიონულ მთავრობას (KRG) ერაყში. სირიელი ქურთები აცხადებენ ფედერალურ მოწყობას სირიის ფარგლებში.

სირიის კრიზისით შეწუხებულია არა მარტო აშშ და თურქეთი, არამედ რეგიონში მოთამაშე სხვა პოლიტიკური ძალებიც, როგორცაა ირანი, რუსეთი და ერაყი. თურქეთს თითოეულ ამ ქვეყანასთან თავისი ინტერესები აქვს. მისთვის მეტად მნიშვნელოვანია ირანთან ურთიერთობის დაბალანსება, იმიტომ რომ იგი დამოკიდებულია ირანის გაზისა და ნავთობის რეზერვუარებზე. ირანსაც არ აწყობს ერთბაშად ურთიერთობის გაფუჭება თურქეთთან, იმიტომ რომ ინტერნაციონალური არენიდან სანქციებით არის სულშეხუთული. გარდა ამისა, ირანშიც არის ქურთი მოსახლეობა, რაც წარმოადგენს მათი ინტერესების თანხვედრის სფეროს და უბიძგებს თანამშრომლობისაკენ. ასე რომ, მიუხედავად სხვადასხვა ხედვისა სირიის მიმართ, ქურთთა ავტონომიის საკითხი აერთიანებს ირანისა და თურქეთის მთავრობებს (Bakır Sıdkı, "The Kurds and the Syrian Revolution", Heinrich Böll Stiftung, 3 March, 2012).

რუსეთს თავისი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები აქვს სირიაში, ამიტომ იგი დიდ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას უწევს ასადის რეჟიმს. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ძალას მსოფლიოში. შეუშლის თუ არა ეს ინტერესები რუსეთს ხელს თურქეთთან ბილატერალური ურთიერთობების შენარჩუნებაში? რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ მათ აქვთ საერთო ნაციონალური და ეკონომიკური ინტერესები. თურქული ფირმები მეტად აქტიურად მოღვაწეობენ რუსეთში. უბირველეს ყოვლისა, ამ ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს ბუნებრივი გაზის სფერო. თურქეთის ბაზარი ისევე ჭირდება რუსეთს, როგორც ირანს. თურქეთი არ ზოგავს დროსა და ენერჯიას შეინარჩუნოს რუსეთთან კარგი ურთიერთობა. ერდოღანი ჯერ კიდევ 2012 წლის ივლისში ეწვია მოსკოვს. მისი

მიზანი იყო დაერწმუნებინა რუსეთი, შეეხედა საკითხისთვის ახლებურად და ეფექტურად ახალ სირიაზე ასადის გარეშე (Haber Rus: 2012, July 19).

ანკარასთან ურთიერთობა ერაყისთვის სახიფათოა სირიის კრიზისის ფონზე. თურქეთი აწარმოებს მოლაპარაკებებს როგორც ბაღდადთან, ასევე ერბილთან, ქურთული ავტონომიური რეგიონის ცენტრთან. ბაღდადი ადანაშაულებს ანკარის ხელისუფლებას სირიელი სუნიტების მხარდაჭერისთვის, რომლებსაც პრივილეგირებული მდგომარეობა აქვთ, სირიის ნაციონალურ საბჭოში (SNC) და სადაც, აგრეთვე, მყარი პოზიციები აქვთ “მუსლიმ ძმებსაც”. სირიის კრიზისში კრისტალიზდება, აგრეთვე, შიიტებისა და სუნიტების შეუთავსებლობა, რაც კიდევ უფრო აფუჭებს ურთიერთობას ანკარასა და ბაღდადს შორის და ამავე დროს აახლოებს თურქეთის კავშირებს ერბილთან, იმის გათვალისწინებით, რომ სირიის ქურთთა ავტონომიის აღიარების შანსი არსებობს. იგი ცდილობს, მიიღოს გარანტია ერბილის მხრივ, როგორც საიდუმლო მედიატორისა, მას და სირიის ქურთებს შორის. სანაცვლოდ, ერბილს თურქეთთან აქვს პირდაპირი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, რაც საშუალებას აძლევს “დაიგრძელოს ხელი” ბაღდადთან. ერბილთან ურთიერთობას ანკარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თურქეთს უშუალო საზღვარი აქვს ნავთობით მდიდარ ერაყის ქურთისტანის ავტონომიურ რეპუბლიკასთან KRG, რაც საშუალებას აძლევს თურქეთს, იყოს ნავთობის სიდიდით მეორე ექსპორტიორი ქვეყანა (Namo Abdulla, “The Rise of Syria’s Kurds”, 23 Jan. 2014).

ბარადოქსულია, რომ ერბილთან ასეთი თანაბარი ურთიერთობით ანკარა ზრდის ერაყის ქურთთა ამ ავტონომიური “კვაზი” სახელმწიფოს მნიშვნელობას, რაც არ შეესაბამება მის ინტერესებს. გარდაუვალია, რომ სირიის კონფლიქტი თურქეთს უბიძგებს ახალი ქურთული დილემისაკენ. ქვეყანა, რომელსაც წნეხის ქვეშ ჰყავს საკუთარი ქურთი მოსახლეობა, ყოველგვარი პოლიტიკური პრაგმატიზმის გარეშე ამყარებს თანაბარ და სოლიდურ ურთიერთობებს ერაყის ქურთებთან, ეკონომიკური მოგების მიზნით.

თურქეთი ცდილობს დიდი დანაკარგის გარეშე დააღწიოს თავი ამ რთულ სიტუაციას. სირიის კრიზისის გაგრძელება და ქურთთა საკითხის სიმძაფრე დიდ ზეგავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე და საფრთხეს უქმნის მის რეგიონულ პოლიტიკასა და ლიდერობას. თურქეთის მცდელობა ფოკუსირებულია, აიცილოს სირიის დაყოფა. იმდენად, რამდენადაც რთულია იწინასწარმეტყველო როგორ დასრულდება კრიზისი და უცნობია სირიის მომავალი, თურქეთისათვის რთულია, გავლენა მოახდინოს ამ პროცესზე. ამასთანავე, ვფიქრობთ, თურქეთი არ ფლობს საკმარის ბერკეტს, ამ რეგიონში დაიცვას მისი ინტერესები პოსტ-ასადის სირიაში.

სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში 2014 წლის გაზაფხულზე ჩაება ე.წ. “ისლამის სახელმწიფოს” (ერაყისა და შამის სახალიფო ISIS) არმია. ისლამის სახელმწიფოს შექმნა უკავშირდება აშშ-სა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოების - საუდის არაბეთი, კატარი, კუვეიტი ინტერესებს. გარდა ამ ქვეყნებისა, ხშირად ასახელებენ მათ გვერდით იორდანისა, ისრაელსა და თურქეთს. ისინი იბრძვიან ტერორის წინააღმდეგ მახლობელ აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ ექსტრემისტური al-Qaeda-ს ჯგუფები, რომლებიც ემუქრებიან ერაყისა და სირიის სახელმწიფოს არსებობას, შეიქმნა და მომზადდა წლების წინათ ამერიკისა

და მისი სპარსეთის ყურის მოკავშირეთა ძალისხმევით (ISIS “Made in USA”, Iraq, “Geopolitical Arsonists” Seek to Burn Region, 18 June, 2014.).

2014 წლის 29 ივნისს ISIS-მა შეიცვალა სახელწოდება და დაირქვა ისლამის სახელმწიფო IS და სახალიფოს კონტროლქვეშ გამოაცხადა მისი ტერიტორია, ხოლო ხალიფად გამოაცხადა აბუ ბაქრ ალ-ბადდადი. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ISIS არის NATO-ს სადაზვერვო სამსახურების შექმნილი (თურქეთის ჩათვლით). მან დიდ ძალას მიაღწია და ეწევა ომის ექსპანსიას სირიაში. სირიასა და ერაყში დიდი ტერიტორიის მიტაცების შემდეგ, ისლამის სახელმწიფომ გამოიყენა ხელსაყრელი სიტუაცია და დაუქვემდებარა თავის კონტროლს გლობალური ჯიჰადისტური მოძრაობა. სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ისლამის სახელმწიფომ მხოლოდ 2014 წლის ივლისში 6 300-ზე მეტი მეომარი გაიწვია ჯარში და ბევრი მათგანი არის სირიის თავისუფალი არმიიდან FSA (ISIS, Turkey and, the Propaganda of Intervention, The Errogance of Empire, By Eric Draister, 10-11 October, 2014).

2014 წლის აგვისტოში ისლამის სახელმწიფომ მიიტაცა ნავთობის რეზერვუარით მდიდარი ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ჩრდილოეთ ერაყში და გაანადგურა დიდი რაოდენობით იეზიდის ქურთები. საპასუხოდ ამერიკამ მოაწყო საჰაერო შეტევა ისლამისტებზე და გააგზავნა ჰუმანიტარული მისია იეზიდის ქურთების დასახმარებლად (Islamic State, Turkey and Syria’s Kurds, 22 Sept. 2014).

2014 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ისლამის სახელმწიფომ დაიწყო შეტევა ქურთებით დასახლებულ ქ. ქობანეზე (აინ ალ-არაბ), რომელიც თურქეთ-სირიის საზღვარზე მდებარეობს. ისლამის სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ამ ქალაქს აქვს სტრატეგიული ადგილმდებარეობა, რადგან ახლოს არის სახალიფოს ტერიტორიასთან (Islamic State, Turkey and Syria’s Kurds, 22 Sept. 2014).

ამერიკა დაჟინებით მოითხოვს თურქეთისაგან შეუერთდეს IS წინააღმდეგ საბრძოლველად. პრეზიდენტ ერდოღანის მრჩეველმა კერძო საუბარში განაცხადა, რომ ეს “არ განიხილება”. ცხადია, თურქეთს ხელს არ აძლევს პროვოკაცია გაუკეთოს IS და საბრძოლო მოქმედებებმა თურქეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლოს (www.economist.com/.../islamic-state-turkey-and-syria's-kurds, 22 September, 2014).

თურქეთი ნებას არ აძლევს ქურთ მებრძოლებს, რომლებიც წარმოადგენენ ქურთების მუშათა პარტიას (PKK), გადაკვეთონ საზღვარი სირიელი ქურთების დასახმარებლად. თურქეთის ტერიტორიაზე სირიის საზღვართან ახლოს არის კარვების ქალაქი, სადაც თავმოყრილია დაახლ. 1,5 მილ. სირიელი ლტოლვილი. PKK-ს ლიდერი ჯემილ ბაიკი აცხადებს, რომ თურქეთი დახმარებას უწევს ისლამის სახელმწიფოს მებრძოლებს სირიელი ქურთების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოფიციალური თურქეთი უარყოფს ამ ბრალდებას. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ექნება მხოლოდ “დიპლომატიურ ვაჭრობას”. სირიის საზღვართან უნდა აიკრძალოს საჰაერო ფრენა და შეიქმნას ბუფერული ზონა (Islamic State, Turkey and Syria’s Kurds, 22 Sept. 2014).

თურქეთი არ დგამს კონკრეტულ ნაბიჯს სირიასთან ჰუმანიტარული კორიდორის გასახსნელად. თურქეთის ოფიციალურმა იცის, რომ ეს მოითხოვს შეთანხმებას სამხედრო ძალასთან, რომელსაც შეეძლება წინააღმდეგობა გაუწიოს შეიარაღებულ სირიელებს. თურქეთს არ სურს სირიის პირისპირ კონფლიქტში მარტო დარჩეს, როცა სხვა ქვეყნებიც არ აპირებენ მასში ჩართვას, მიუხედავად საულის არაბეთისა და კატარის მოწოდებისა (“SNC:National Charter: The Kurdish Issue in Syria“, Carnegie Endowment for International Peace, 13 April, 2012) .

გაზეთმა “გარდიანმა” გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო სტატია სადაც ასეთი პარალელია გავლებული მოვლენებს შორის და დასვა შეკითხვა: “რატომ ჩქარობს აშშ დაიცვას ერაყელი ქურთები - როდესაც ისლამის სახელმწიფოს ჯარებმა დაიწყეს წინსვლა ერბილისკენ და შეუდგნენ გენოციდურ ქმედებებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ იეზიდ ქურთებზე - მაგრამ გააკეთა თუ არა რაიმე სირიელი ქურთების დასაცავად ქობანეში, როდესაც მათ იგივე საფრთხე დაემუქრათ?” (ISIS, Turkey and, the Propaganda of Intervention, The Errogrance of Empire, By Eric Draister, 11 October, 2014).

რა არის საპირწონე ძალა აშშ-თვის, როცა არჩევანია გასაკეთებელი ამ ორ საკითხს შორის: ერაყის ქურთებისა და სირიელი ქურთების შორის.

რამდენად გამოიყენებს თურქეთი ისლამური სახელმწიფოს მზარდ ძალას, როგორც ბერკეტს თავისი “ქურთული პრობლემის” და რეგიონული კონკურენტის ირანის დასაბალანსებლად.

რატომ აქვს თურქეთს რეზერვში დატოვებული უფლება, გამოიყენოს სამხედრო ძალა ქურთების მუშათა პარტიის (PKK) წინააღმდეგ, როგორც “ტერორისტებისა”, მაშინ როდესაც უარს აცხადებს სირიელი ქურთების სამხედრო ძალით დაცვაზე IS ტერორისტებისაგან.

ნამდვილად სჯერა თურქეთს, რომ ეფექტური იქნება რეჟიმის შეცვლა სირიაში IS უფლებამოსილებით, და რამდენად უსაფრთხო იქნება ეს თურქეთისა და მისი მოქალაქეებისთვის.

დამოწმებული ლიტერატურა

- მ. სვანიძე, 2005** - თურქეთის ისტორია (1923-2000), ტ. III, თბ., 2005.
<http://www.ib.boell.org/.../bayram/-balci-persp>.
 Does the Syrian Crisis Imply the End of the Turkish Dream in the Middle East, Bayram Balci, Heinrich Böll Stiftung, 3 March 2012.
<http://www.ib.boell.org/.../bakir-sıdkı-the-kurds-and-the-syrian-revolution>, Bakır Sıdkı “The Kurds and the Syrian Revolution”, Heinrich Böll Stiftung, 3 March 2012.
 FerihaPerekli, “AK Party Model for Islamists” Insight Turkey, July 2012, <http://www.insightturkey.com/ak-party-model-for-islamists/articles/187>.
 İpek Yezdani, “Muslim Brotherhood debates Turkey model”, Hurriyet Daily News, 14/09/2012, <http://www.hurriyetdailynews.com/default.aspx?pageid=438n=muslim-brotherhood-debates-turkey-model-2011-09-14>.
www.globalresearch.ca/isis-made-in-usa-iraq-geopolitical-arsonists-seek-to-burn-region-/5387475/. ISIS “Made in USA”. Iraq “Geopolitical Arsonists” Seek to Burn Region, 18 June, 2014.
 OytunOrhan, Syria’s PKK Game, Weekly Zaman, 28 July, 2012.

“Rusya’ya Esedsiz Yönetim Yönerdik, Dükünecekler” Haber Rus, July 19, 2012, [URL:http://haberrus.com/politics2012/07/19/rusyaya-esedsiz-yonetim-onerdik-dusunecekler.html](http://haberrus.com/politics2012/07/19/rusyaya-esedsiz-yonetim-onerdik-dusunecekler.html).

“SNC:National Charter: The Kurdish Issue in Syria “,Carnegie Endowment for International Peace,13 April, 2012.[URL:http://carnegie-mec.org/publications/?fa=48436](http://carnegie-mec.org/publications/?fa=48436).

Utku Cakırözer, “Edoğan’ın İsteği Müslüman Kardeşleri Suriye’de İktidara Getirmekmiş”, Cumhuriyet, February 29, 2012, <http://t24.com.tr/haberler/erdoganin-istegi-musluman-kardesleri-suriyede-iktidara-getirmekmis/198170>.

www.aljazeera.com. Namo Abdulla, “The Rise of Syria’s Kurds”, 23 Jan. 2014.

www.economist.com/.../islamic-state-turkey-and-syria's-kurds, 22 September, 2014.

www.todayszaman.com. Adana agreement paves legal path for Turkish intervention in Syria, 9 April, 2012.

www.google.ge. ISIS, Turkey and, the Propaganda of Intervention, The Errogance of Empire, By Eric Draister, 10-11October, 2014.

NATELA DANGADZE

SYRIAN CRISIS – THE QUESTION OF AN AUTONOMOUS KURDISH REGION AND THE VIEWPOINT OF TURKISH FOREIGN POLICY

The fact, that the issue of Syria crisis is very painful for the Turkish foreign policy, was demonstrated within the context the creation of an autonomous Kurdish region in Syria in the early 21st century.

The Turkish government ruled by the Justice and Development Party (known as the AKP) has once again demonstrated its opposition to any project of Kurdish self-determination that would challenge its political interests.

The spectrum of the emergence of a Kurdish autonomous region at its border should impel Turkey to finally take up its own Kurdish problem with courage and will-power. However, the task is not easy. The public is no more prepared for it than the political elite. It is dismaying to see the Turkish government accords priority to recourse to force rather than engaging in dialogue. The Turkish President bears a personal responsibility in this cul-de-sac. While public debate exhausts the possibility of agreement and national consensus on the question of abortion, which was never a real issue in Turkey, the government fails to initiate a real dialogue with the kurds and rethink post-modern Turkey, all the imagining itself a regional leader of international stature.

რუსუდან ზეკალაშვილი

უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ

ქართველ ებრაელთა მეტყველება ენათმეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ფენომენია, რადგან მასში გაერთიანებულია როგორც შესაბამის რეგიონში გავრცელებული დიალექტის, ასევე მხოლოდ ქართველი ებრაელების მეტყველებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. სამწუხაროდ, თავის დროზე სათანადოდ არ შეუსწავლიათ ეს მეტყველება, ახლა კი ძალზე ძნელია ენობრივი ანალიზი, რადგან ცოცხალი მეტყველების ნიმუშები ან ჩანაწერები მცირეა, ხოლო ისრაელში (ან სხვა ქვეყნებში) წასული ქართველი ებრაელობა კომპაქტურად არ ცხოვრობს. რაც შეეხება ახალ თაობას, ძალზე ცოტამ იცის ქართული, ცხადია, დიდია ივრითის გავლენა ქართულად მოლაპარაკე ებრაელთა მეტყველებაზე, დაჩქარებულია ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესი¹.

ქართველ ებრაელთა მეტყველება, როგორც ქართულენოვანი კუნძული ივრითის გარემოცვაში და მისი ცვლილებები ამ გარემოში ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც უნიკალური მოვლენაა. ზეპირმეტყველების ნიმუშები უაღრესად ფასებულია დიალექტოლოგიური კვლევებისთვის, თუმცა ჯერ კიდევ გადასაწყვეტ პრობლემად მიიჩნევენ, რას მიეკუთვნება ქართველ ებრაელთა მეტყველება — ცალკე დიალექტს თუ ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტის განშტოებას.

ამიტომ საინტერესოა ყველა მასალა, რომელშიც შესწავლილია ქართველ ებრაელთა მეტყველება. მათ შორის უნდა დავასახელოთ დღემდე უცნობი გამოუქვეყნებელი ნაშრომი, შესრულებული 1959 წელს ქუთაისის პედინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტ ისაკ შამელაშვილის² მიერ (ხელმძღვანელი: ენათმეცნიერი, ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის ლექტორი ქეთევან ძოწენიძე). სავარაუდოდ, ის მოხსენებდა იყო წაკითხული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დასახელებულ წელს.

ისაკ შამელაშვილის ხელნაწერი ენება ქუთაისში მცხოვრებ ქარსკვლავ ებრაელთა მეტყველებას და დახასიათებულია მისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები.

¹ ამ ბოლო დროს ისრაელში გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები ივრითზე (ან ინგლისურად) ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, მაგრამ ჩვენთვის ისინი მიუწვდომელია. ეს კვლევები ეყრდნობა ტექსტებს, რომელთა გაცნობა ქართველი ენათმეცნიერებისთვის უაღრესად საინტერესო იქნებოდა.

² ისაკ შამელაშვილმა სკოლა წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სოფ. ბანძაში, შემდეგ, 1959 წელს, ასევე წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი; იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რაფიელ შამელაშვილის ძმა. მცირე ხანს მუშაობდა ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში ქართულის მასწავლებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, დაიღუპა ძალზე ახალგაზრდა, 1962 წელს, ავიაკატასტროფაში.

ნაშრომის **შესავალში** საუბარია საქართველოში ებრაელთა დასახლების, ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, მოყვანილია **ილია ჭავჭავაძისა** და **ზაქარია ჭიჭინაძის** საინტერესო მოსაზრებები ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ. შემდეგ მოყვანილია **ს. მაკალათიას** შეხედულება წარსულში ებრაელთა და ქართველთა შორის საყოფაცხოვრებო ურთიერთობასა და ხანგრძლივ კულტურულ-სოციალურ კავშირზე (იხ. რ. თავდიდიშვილი, 1940, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. 5).

ხელნაწერში აღნიშნულია, რომ კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა ავტორის მოპოვებულ მასალას, ჩაწერილ ტექსტებს, გამოყენებულია რ. თავდიდიშვილის ჩაწერილი ტექსტებიც. სამწუხაროდ, ეს მასალა ნაშრომს არ ახლავს და სამუდამოდ დაკარგულია. დებულებების განსამტკიცებლად ისაკ შამელაშვილს გამოყენებული აქვს **არნ. ჩიქობავას**, **ვარ. თოფურიასა** და **ქ. ძოწენიძის** მნიშვნელოვანი ნაშრომები (არნ. ჩიქობავა, 1923-24; მისივე, 1925; მისივე, 1926; მისივე, 1936; მისივე, 1937; ვარ. თოფურია, 1923-1924; ქ. ძოწენიძე, 1953).

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში გარკვეული ენობრივი მოვლენები დაკავშირებულია ქართული ენის სხვა დიალექტებში დადასტურებულ მსგავს მოვლენებთან.

ძირითად ნაწილში გაანალიზებულია უშუალოდ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული **ფონეტიკური**, **მორფოლოგიური** და **სინტაქსური მოვლენები**, საუბარია დერივაციისა და ლექსიკის შესახებ.

ფონეტიკური მოვლენები

ისაკ შამელაშვილის ნაშრომში ყველაზე ვრცლად და ღრმად გაანალიზებულია ფონეტიკური მოვლენები, გამოყოფილია **ასიმილაციის**, **დისიმილაციის**, **მეტათეზისის**, **ბგერათა დაკარგვისა** და **ბგერათა მონაცვლეობის** შემთხვევები სათანადო საილუსტრაციო მასალის მოშველიებით, სიტყვის **მანვილისა** და **ინტონაციის** სპეციფიკა კითხვით წინადადებაში.

აღნიშნულია: “არსებითი სახელის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ მოხვედრილი სახელობითი ბრუნვის -ი დ-ის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩვეულებრივ კი სრული ი აღინიშნება (ბარბალე-ი, მაია-ი, პელაგია-ი და სხვ.)” (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 3).

ზემოიშვრულის მსგავსება დადასტურებულია **პროგრესული ასიმილაციის** სიჭარბითაც რეგრესულთან შედარებით.

მოყვანილია თანხმოვანთა შორის **ასიმილაციური დაყრუების** მაგალითები: **დ** → **ტ**: კტარი, სიკვტილი; დამიწყტა, მოწყტა; **დ** → **თ**: მოხთა, წახთა; შემოხვთა, შემიხვთერე, დახვთენ; მონახთომი (მონახთომო, მოხვთი); გამოჩთა, ჩაფიქრთა, ჩატუცქთა, აღმოჩთა, გაქურთა, ვაჟკაცთება; **ბ** → **პ**: ტკპილი; **ბ** → **ფ**: მოთფინება...

რეგრესული ასიმილაცია: რიპკა, ტაპაკი, საპჭო, ყმაყოფილი, ხვთიანი, ხვთაება, რაძაღა.

ასიმილირებულია ზმნის ობიექტური პირის პრეფიქსებიც: **გ**- ყრუ ბგერის გავლენით იქცევა **ქ**-დ: ქყავსე, მოქშორდა, დაქწყევლა, დაქშუბა, დაქრჩა; **გვ** → **ქვ**: დაქვეხო და სხვ.

მომდევნო მჟღერი თანხმოვნის გავლენით III პირის ობიექტური პირის პრეფიქსი **ს**- იქცევა **ზ**-დ ან **შ**-დ: მიზღვეს, მიემზგავსა... შჭამს, შჯობს. შშხამავს...

ავტორის აზრით, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში ნაკლებად გვხვდება ქვემოიმერულისთვის დამახასიათებელი ნაწილობრივი ასიმილაცია ხმოვნებს შორის. ამ მხრივ მსგავსება დადასტურებულია არა იმერულთან, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებთან: ამოიქარგა, ამოიტანა, ამოიჭრა, ამოისუნთქა, ამოიღო (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 5; შდრ., ქ. ძოწენიძე, 1953, გვ. 71), მაგრამ გავრცელებულია **სრული ასიმილაცია** ზმნებთან მე-3 სერიის მე-2 თურმეობითში:

- ა** → **ე**: ეყყენებინა, ეყყვანა, ეენტო, ეექერცლა, ეეთვალეირებინა...
- და** → **დე**: დეელუბა, დეეფქვა, დენახა, დეეწერა, დენტო, დეეძინა...
- გა** → **გე**: გეეკრიფა, გეეთქვა, გეელვიძა, გეენტო...
- წა** → **წე**: წეეგო, წეეტება, წეექცია, წეეჩხუბა...
- ჩა** → **ჩე**: ჩეეყვანა, ჩეეგლო, ჩეეჩხო, ჩეერთყა...
- მო** → **მე**: მეუუკეტეს, მეუუტანონ...
- მო** → **მე**: მეეკლა, მეენდომებია, მეეგო, მეერთყა, მეექრა...

დადასტურებულია **გამო-**, **ჩამო-**, **ამო-**, **შემო-** ზმნისწინების სახეცვლილება: **გამო-**, **ამა-**, **ჩამა-**, **შემე-**: შემემელე თავზე; შემეეთრიე სახში; ამამავალი მზეა; გამამცემელი მუუკეტა; ჩამამეთხოვე, თუ კაცი ხარ (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 5-6).

ისაკ შამელაშვილის დაკვირვებით, “ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაში **მო-** ზმნისწინი **მა-**ს სახით გვევლინება იმ შემთხვევაში, როცა მოსდევს სონორი **მ-**: მამიკეტა, მამიტანა, მამიქვავეთ, მამეცით, მამყარეთ, მამითრიეთ, მამიშავე, მამითავე და სხვ.” (იქვე, გვ. 5). როგორც ცნობილია, ეს მოვლენა ბუნებრივია ზემოიმერულ კილოკავში ამავე პოზიციაში — როდესაც მას მოსდევს პირველი ობიექტური პირის ნიშანი, მ-, ხოლო ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში...) — ა-, ი-, უ-, ე-, მ- პრეფიქსების წინ (შდრ., ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 19).

ხელნაწერში განხილულია **დეზაფრიკატიზაციის** ნიმუშები: დეგესტრო, დაგასტრო, გასტორდა, გასტეთა...

სონორ ბგერებში **დისიმილაციის** მაგალითებად დასახელებულია: სიმტერით ვერაფელი გიქენი; ვაჭრებ არაფელი გაუვიდავე; არ ჭამე წრეული; ნაკრული გული გამიმზიარულე; კაცი რო თვრება, პირველად ბურბულია...

მეტათეზისი: დიდი სინდინდრე (სინდინდრე) დააგროვა; შვილო, როგორც ღვინოა ძრიელი, ისე იდრიელი; კაი სურიელი ვიყიდე; სიზმარი ნავხე; გელირსა რქმის ხელით დამარხვა და სხვ.

ისაკ შამელაშვილი ასახელებს **ბგერათა დაკარგვის** (სონორი **მ, რ, ლ-**ის, **ვ-** და **ჰ-**სი) მაგალითებს: ტერი, წვანე, კტარი (შენ კვდარ დადგა ნათელი), თვარე, მოაბძანე, მობძანება, მეცეცხური, გასაზღელი, პჭალები, ზღის... გალიგდა, პატისადები, ულაში... აერი, ექტარი, ავა...

ავტორს დასახელებული აქვს **ბგერათა მონაცვლეობის** ბევრი შემთხვევა, როცა სონორი ენაცვლება სონორს (**მ/ნ, ლ/ნ, მ/რ, ლ/რ**), სონორი — მჟღერ ბგერას (**მ/ბ**), სპირანტი — სონორს ან მჟღერ ბგერას (**ვ/მ, ვ/ბ**):

- მ/ნ**: ნეფე, ნეფე-დედოფალი; **ლ/ნ**: ხენმწიფე (ხენწიფის შვილი), რომენი;
- რ/მ**: ცხვიმ-პირი; **რ/ლ**: დაკეთლუანდი (დაკეთროვანდი);
- მ/ბ**: **ბრავალ** ასეთ დღეს დაასტროს ღმერთმა; **ვ/ბ**: საბარცხალი, თებზი, პარასკები, ბებრი (ბებრათ მაქ — ბევრი არა მაქვს რაო);

ვ/მ: ნამთი, მამნებელი, მემნე, სამსე, ამსო... (ასე ამსო შენი უბე);

ს/შ: შამუელი (სამუელი), იერუშალაიმი; **ს/ძ:** ძიმწარე; **ღ/ყ:** ლუყლუყი, მალუყლუყებელი...

ბგერათა **კომპლექსის** ცვლა: სახელუანი, ითხუა (**ოვა** → **!ოა** → **უა**) (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 6-7).

ფონეტიკური პროცესების ანალიზის დროს ავტორის მსჯელობაში საინტერესოა დაკვირვება, რომ ქუთაისელ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებულია როგორც ქვემოიმერული, ისე ზემოიმერული კილოკავების, ზოგჯერ კი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები.

აღსანიშნავია **მახვილისა** და **ინტონაციის** საკითხის წინ წამოწევა. ავტორის მოსაზრება, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდება კითხვითი წინადადების მელოდიურობით სალიტერატურო ქართულის აღმავალი ინტონაციის ნაცვლად (გააკეთე? შენთან წამოვიდა?): “პირდაპირ მახვილი ეცემა კითხვითი წინადადების ბოლო სიტყვის უკანასკნელ მარცვალს, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არაა: გუშინ დაუჭირიავე? წყალი მოიტანავე? (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 7)³.

მაგრამ თუ წინადადებაში **კითხვითი სიტყვაა**, მაშინ მახვილი ამ უკანასკნელზეც მოდის და ბოლო სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე: **როდის წავიდა? სად დაიკარქა? როდის** არიან მოსვენებულნი?” (იქვე, გვ. 8).

აღსანიშნავია დაკვირვება ბოლო ხმოვანი **ბგერის გაჭიანურებაზე**, როდესაც სიტყვა ჩაკითხვისთვისაა გამოყენებული: მართლაა? უთქვიავე? შენმაა? იცოცხლაა?

II. მორფოლოგიური მოვლენები

მორფოლოგიური მოვლენებიდან გამოყოფილია სახელთა ბრუნების რამდენიმე სპეციფიკური შემთხვევა: **სახელობითში** ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებზე **ი-ს** ან **ე-ს** დართვა: ბარბაღი, დავითი, სარაღ...

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა: მარტოხელამ **შვილებ** რა უყო; კაი მიეცა მაგის **გვარ** და **ჯილაგ**; **გულ** არ მიაკარო სევდა; **დვიძლ** ვიტკენ...

მართებულადაა ხაზგასმული მსგავსება **კახურსა** და **ქიზიყურთან**, დამოწმებულია არნ. ჩიქობავას ნაშრომი (იხ. არნ. ჩიქობავა, 1925, გვ. 66-67; მისივე, 1937, გვ. 66-67). აღსანიშნავია რ. ენობის ნაშრომი⁴, რომელშიც ავტორი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გამოყოფს **ს-** ბგერის დაკარგვის შემთხვევებს არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებში **ქვემდებარის, დამატების** ან **გარემოების** როლში ორივე რიცხვში, სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის წინ.

³ სხვადასხვა ტიპის წინადადების სპეციფიკური ინტონაცია შეისწავლა რუბენ ენუქაშვილმა. მისი აზრით: დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველების ინტონაციური თავისებურებები “ამ მეტყველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი “საცნობო“ ნიშანია, და იგი რიგ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტონაციისაგან” (რ. ენობი, 2011, გვ. 28).

⁴ იგივე შეხედულება გამოთქმული აქვს რ. ენუქაშვილს, რომელიც იმომწებს ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას მსგავსი მოვლენის შესახებ ქართული ენის სხვა დიალექტებში (რ. ენობი, 2011, გვ. 32; შდრ., ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 550-552); საინტერესოა გერმონ ბენ-ორენის დაკვირვებაც **-ს** ბგერის დაკარგვის შესახებ (ვიმოწმებთ რ. ენობის ნაშრომის მიხედვით: გ. ბენ-ორენი, 1993, გვ. 83).

ი. შამელაშვილის ხელნაწერ ნაშრომში განხილულია ემფატიკური ა-ს ჩანაცვლების შემთხვევები -ი ხმოვნით **ნათესაობით** ბრუნვაში: ე ქალი ვისია? მეზობლისი; რამდენი წლის ხარ? თვრამეტისი; დღევანდელისი, ყმაყოფილი ხარ? დღევანდელისი?

საყურადღებოა -დ-ს დაკარგვა ვითარებითში -იან სუფიქსიან სახელებში: გაწყვიტა დღეიან-ბუდიანა; გაანდიდრა შვილ-მამავლიანა; სხვებიან-თავიანა დაიღუპა.

წოდებითში ყველა ტიპის საზოგადო და საკუთარ სახელთან -ო ნიშანი გამოიყენება: დედაო ჩემო, მომხედე შენ შვილ; გაბრიელო, გაუკეთე ისი.

განხილულია ასევე **ორმაგი მრავლობითისა** (ჩემი დანები წასულან; კარქ ქმანებ ჩხუბი არ მოუავე) და **ზოგი თანდებულის** შეცვლილი ფორმების გამოყენების შემთხვევები: **-თვის** → **-თვის**: “ვაი ჩემთვის, მზითვეი შუაზე გემეყო; იყავი სახელუანი ქალი თემისა და ქვეყნისთვისაო; არც ისე ქალისთვისაო, იმ კარქი მოყვრისთვისაო, არც ისე მოყვრისთვისაო, იმ კარქი მოდგმისთვისაო; **-მდის** → **-მდინ**, **-მდე** → **-მდის/-მდისინი**: სახლამდინ ფეხით ვიარე; სახლამდისინი 15 კმ-ია; უკუნისამდისინი გამყოფოს გამჩენმაჲ (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 9-10).

ავტორის ყურადღება მიქცეულია **ნაცვალსახელთა განსხვავებულ ფორმებზე**: მაგალითად, პირის ნაცვალსახელები **შენე, ჩვენე, თქვენეს** სახით: შენე არ ხარ ჩემზე დიდი? არ შეგიძვრეს ახლა შენე ეშმაკეული; არ დაგეწვას თქვენე პირი. ჩვენე ჩვენი საქმე მოვათავეთ⁵.

III პირის ნაცვალსახელი **ის** **ისი** ფორმით: წავიდა **ისი**? ყოლიფერ წაგაგებინებს **ისი**; უნდა ქქონდეს **ისი**...

ზმნა

ზმნური ფორმების სპეციფიკიდან გამოყოფილია **-ავ** თემის ნიშნის ჩანაცვლება **-ამ** ფორმით: ხედამს, ერთმანეთის შესაფერი არიან; გულ მოგიკლამ; ლოცვა სანთელ შევწირამ; ხორც არ დაგკაპილამ; ზეით დაცურამდენ; ჩვენზე დიდები გვყლაპამდენ.

ამ-ის გამოიყენება მარტივფუძიან და ფუძედრეკად ზმნებთან: დავწერამ და გამოგიგზავნი; ვწერამ ახლა; შაბათ ვერ გავტეხამდი; სახეს იგლეჯამდა, ბაწარ გრეხამდა;

ებ/ევ ან **ევ/ებ**: ე პური გექმევა; ყველა ამას აკურთხევენ...

ნ- ბვერის ჩაროფი **თურმეობით** II-ში **-ა** სუფიქსის წინ: მოებარნა ი წყეულ(ს); გეყიდნა ნახევარ ფასში...

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისაც შამელაშვილის მოსაზრება **-ვე** ნაწილაკის ფუნქციების შესახებ⁶. ავტორი **-ვე** ნაწილაკს უკავშირებს ქართული ენის რამდენიმე დიალექტში გავრცელებულ **-ყე-** ნაწილაკს და მიიჩნევს მას ირიბი და პირდაპირი ობიექტების მრავლობითობის ნიშნად, ინვერსიულ ზმნებთან კი — რეალური ობიექტისად. ავტორს მოჰყავს ამ ნაწილაკიანი ზმნები ქუთაისელ ქართველ ებრაელთა მეტყველებიდან **წყვეტილსა** და II **კავშირებითშიც**, ხოლო **აწმყოში** — **-ე**-ს სახით (**ვ-**

⁵ ნაცვალსახელთა ეს ფორმები დასტურდება ზემოიშვრულ კილოკავში (იხ. ქლც).

⁶ ამ ნაწილაკის იგივე ინტერპრეტაცია შემოგვთავაზებს რ. ენუქაშვილმა და ნ. სურმაკამ (რ. ენუქაშვილი, 2005, 153-182; ნ. ს

დაკარგული ვარიანტი): “ვე თავისი ფუნქციით ისეთივეა, როგორც -ვე ნაწილაკი რაჭულში, ფერეიდნულში, ზემოიმერულსა და სხვა დიალექტებში” (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 11).

ა) **იზიბი დამატების** მრავლობითობის ნიშანი: ვატარებინევე ი საწყლებ ზურგით; მას უკან ბარე სამჯელ შევხვდივე და თავ-ბედი ვაწყველინევე; კაი საქმეები შეუხ(ვ)თირევე; ნუ გაუთამამდებივე იმათ.

ბ) **პირდაპირი ობიექტის** მრავლობითობის ნიშანი: გაბერტყევე, გალახევე, დაიჭირევე და წამომყვანევე მა ოხრის შვილები; გავგზავნევე და სალამომდისინი არ მოვლიან...

გ) **ინვერსიულ ზმნებთან** — რეალური ობიექტის მრავლობითობის ნიშანი: ბებრი ქონება აქვე (აქვსვე); რწყვილი ვაჟიშვილი ჰყავდავე; სასამართლოში, იცოცხლე, კი უთქვამსვე (შეიძლება იქნეს — უთქვამსვე).

შენიშნულია ასევე, რომ “თუ I სერიაში -ვე სუფიქსი ან თემის ნიშანი მოუდის ზმნას, მაშინ -ვე ნაწილაკის თანზმონითი ელემენტი ვ იკარგება და რჩება -ე ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად: ვინ რას აქმევსვე იმათ; ვინ ათრევესვე ახლა; ვის გინამსვე ჩემი ცოლი; ნეტავი გაუკეთებდესვე...”

ასეთი -ე წყვეტილშიც დაერთვის ზმნას მრავლობითობის ზედმიწევნით გამონათვის მიზნით: იყიდესვე სახლი; ივაჭრესვე ბლომათ...

შესაძლებელია ირ. დამატების მრავლობითობა კავშირებითშიც -ემ გამონათოს: წაოლოსვე, მიუტანოსვე ი კაცებ საქმელი (იქვე, გვ. 11-12).

ზმნების თავისებური წარმოების ნიმუშებად დასახელებულია: დაკეთლუანდი ავი კეთლუანებით; დატკბით, დატკბით, დაიამდით (=სიამე); თლათ არ გაღორდა ი კაცი, ყველა დაკბილა?! რამე გამოსარჩენ მეელით ი კაციდან და ანამუსიანებთ; რავა აცეკვდება პატარა ბალანასავით; ასე უკულმა არონე იმისი ოჯახი; დავწვრილშვილდი — დავიწვიე, დავფსხვილშვილდი — ავიწვიე...

დასახელებულია **ზმნიზედათა** რამდენიმე განსხვავებული ფორმა: აქანა, იქინა, ზეით, ქვეით: აქანა ექამა აწი ი მამაცხონებულ; აქანა ჩამამიტანე; ზეით ჩამამიკიდე; ქვეით შემხვთი;

“სხვიმის”: სხვიმის ჩამამივიდოდა დაკაპანებული (=დატვირთული, სავსე); სხვიმის არ იცოდა;

წარეუკან (წინათ ზმნიზედის ნაცვლად): წარეუკან ვხვდებოდი და ვესალმებოდი. წარეუკან ღღებში აღარ მინახავს;

მიზღღემჩი/მიდღემჩი: მიზღღემჩი არ მიქურდნია; მიზღღემჩი არ წავსულვარ და სხვ. მიდღემჩი არ ვწუნობდი;

“გვერჩი”: გვერჩი მიუჭდა (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 13).

IV. სინტაქსი

ხელნაწერში გამოყოფილია მხოლოდ რამდენიმე სინტაქსური მოვლენა:

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება სიმრავლის გამომნათველ სიტყვებთან: სამივე ქალიშვილები უკულმართები იყვენ; ყველა კაცები ტიროდენ; ბებრი მტრები ყამდავე...

სინეზისი (შინაარსობრივი შეთანხმება):

ჩამაათი თორას კითხულობდენ; სუყველაკანა ტიროდენ; მინიანი ლოცულობდენ (მინიანი =ათეული, მლოცველთა ჯგუფი, ათი კაცისაგან შემდგარი); გასწიეს სამივემ ერთად უცხო ქვეყანაში...

ლექსიკა ძალიან მოკლედაა განხილული და ხაზგასმულია უარგონების სიჭარბე ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.

ნაშრომის **დასკვნაში** ვკითხულობთ: “წარმოდგენილი მასალების თანახმად, ნათელია, რომ ქუთაისელ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში იმერული კილოსათვის ნიშანდობლივ ენობრივ მონაცემებთან ერთად გვხვდება რიგი მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენებისა, რომელთაგან ზოგი აახლოებს და ზოგიც განასხვავებს მას ქართული დიალექტებისგან” (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 15).

დასასრულს გამოთქმულია ავტორის საყურადღებო მოსაზრება: “ბოლოს გვებადება ასეთი კითხვა: საინტერესოა, რით აიხსნება ის, რომ ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველება ასე ძლიერ განსხვავდება ქუთაისში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებისაგან?”

ჩვენი აზრით, ამ საკითხს ნათელს მოჰფენს, ერთი მხრივ, საქართველოს სხვა რაიონებსა და სოფლებში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლა და, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს რაიონებში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების გაცნობა საშუალებას მოგვცემს საკითხის განზოგადებისათვის ამ ასპექტში” (ი. შამელაშვილი, 1959, გვ. 15).

განხილული მცირე გამოკვლევა შესრულებულია იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ბევრი ფუძემდებლური სამეცნიერო ნაშრომი ქართულ დიალექტოლოგიაში. ამდენად, განსაკუთრებით ფასეულია ავტორის მოკრძალებული ინტერპრეტაციები და პარალელები ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავს მოვლენებთან.

როგორც ჩანს, ხელნაწერში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ერთგვარი წინასწარი მონახაზი უნდა ყოფილიყო დიდი ნაშრომისა, რომლის დაწერაც ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევარს არ დასცალდა.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ბენ-ორენი, 1993 — გ. ბენ-ორენი, ქართველ ებრაელთა მეტყველების სპეციფიკური თავისებურებანი, სადოქტორო ნაშრომი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 1993.

რ. ენოხი, 2005 — რ. ენოხი (რ. ენუქაშვილი), ქართველ ებრაელთა მეტყველების რამდენიმე სპეციფიკური თავისებურება ქუთაის-ბანძის რეგიონის ებრაელთა მეტყველების მაგალითზე: მორეშეთ ისრაელ (ებრაული მემკვიდრეობა), 2005.

რ. ენოხი, 2011 — რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), ქართული დიალექტოლოგიის საკითხები — შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ: ბილინგვური განათლება 2011.

<http://www.bilingualeducation.ge/articles/id/131>

რ. თავდიდიშვილი, 1940 — რ. თავდიდიშვილი, ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების შრომები (წინასიტყვაობა და რედ. ს. მაკალათია), თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1940.

ვ. თოფურია, 1923-1924 — ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდული, I-II, 1923-1924 (იხ. ვ. თოფურია, შრომები, ტ. 2, ობ., 2002).

ნ. სურმავა, 2014 — ნ. სურმავა, -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, 2014, XXV <http://www.ice.ge/new/pages/inst/confer/Chiqobavas%20sakitkhavebi/XXV.pdf>.

ქდკ — ქართული დიალექტური კორპუსი: <http://www.mygeorgia.ge/GDC/About.aspx>

ი. შამელაშვილი, 1959 — ი. შამელაშვილი, ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება (ხელნაწერი), 1959 წლის 19 მარტი.

არნ. ჩიქობავა 1923-1924 — არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, ტფილისი, 1923-24.

არნ. ჩიქობავა, 1925 — არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი): კრებული “არილი“, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილისადმი, თფილისი, 1925, 13-4.

არნ. ჩიქობავა, 1926 — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი (ტექსტებითურთ): ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, XII, ტფილისი, 1926.

არნ. ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936.

არნ. ჩიქობავა, 1937 — არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმკის მოამბე, ტ. I, ტფილისი, 1937.

ქ. ძოწენიძე, 1953 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1953.

ბ. ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ. ჯორბენაძე, 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

RUSUDAN ZEKALASHVILI**UNKNOWN WORK ABOUT THE SPEECH OF JEWS
FROM KUTAISI**

Georgian Jews' speech from linguistic point of views is considered to be the most interesting phenomena, as it combines both dialectical speech of relevant region and common characteristic signs of speech of Georgian Jews. Unfortunately, Georgian Jewish speech wasn't studied relevantly from the starting point. Therefore all the works dedicated to this issue is very important.

We should mark the unknown manuscript (1959) about Georgian Jews from Kutaisi, written by philologist Isak Mikhel Shamelashvili (already expired) who was doing his fifth year at pedagogical institute of Kutaisi at that time (the supervisor of the work was Dr. Ketevan Dzotsenidze.)

This manuscript refers to the speech of Jews lived in Kutaisi and is characterized by its phonetic, morphological, syntactic, and lexical features. From phonetic occasions the author reviews assimilation, dissimilation, Meta thesis, losing of sounds and alternation, uses relevant illustration materials for discussion, briefly analyses the specifics the stress and intonation in interrogative sentence.

From morphological cases the matter of attention is observation on the noun cases: adding "i" on sound bases in nominative case, losing "s" in dative case, replacing emphatic "a" by "i" vowel in genitive, the author reviews the usage of prepositions - tvin, -(id)gan, -(mdin/-mdisin and different forms of pronouns (shene, chvene, tkvene, isi), specifics of verb forms (replacing theme signs -am and -ev in the place of -av and -eb, enrolling "n" sound in may + simple infinitive.

Most valuable is the idea about verb particle -ve(-e) functions and it's considered as a sign of plurality of subject or an object.

გურამ თაყნიაშვილი

ილია ნაკაშიძე ბავშვთა თავისუფალი აღზრდის შესახებ

ილია ნაკაშიძის წერილები ბავშვთა თავისუფალი აღზრდის საკითხებზე პერიოდულად ქვეყნდებოდა მე-9 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ პრესაში. ამ წერილებს პედაგოგიკის საკითხებით დაინტერესებული პირები ეცნობოდნენ ჟურნალ “განათლების“, “სახალხო გაზეთის“, “Свободное воспитание“-ს და სხვა გამოცემების ფურცლებიდან. თავის დროზე ილია ნაკაშიძემ მალაღმბატურული გემოვნებით დაწერილი სტატიები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის შემოქმედებას. ქართული პედაგოგიკის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა მისი ნააზრვეი ბავშვთა თავისუფალი აღზრდის საკითხებზე.

ბავშვთა აღზრდის საფუძვლად ი. ნაკაშიძე მიიჩნევს აზრის, ადამიანის გონების, მისი სულიერი სამყაროსა და აზრის მოძრაობას (ვ. ზამბახიძე, 1947, გვ. 36). პიროვნების სულიერი აღზრდის საფუძვლად მას მიაჩნია ადამიანის სიყვარული ადამიანისადმი: “ყოველივე არსებულის სუბსტრაქტი, სიცოცხლის აზრი და ძირითადი მიზანია სიყვარული, ეს უმაღლესი ცოდნა, რომელიც ჩვენ გვზრდის და გვაძლევს სულიერად“ (სხიფ—). ი. ნაკაშიძის აზრით, ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ ისეთი ცოდნაა, რომელიც სიყვარულის სხივით არის გაშუქებული. წერილში “ჰარმონიული ეტიუდი“ ი. ნაკაშიძე გამოხატავს თავის დამოკიდებულებასა და შეხედულებებს აღზრდის შესახებ: “ადამიანი სული და გულია ბუნებისა, ბუნებამ შობა ადამიანი და მათ შორის მამაშვილური სიყვარულია დამკვიდრებული და ამ სიყვარულს უღვიძებს, განწმენდს, წვრთნის და ასწავლის ადამიანი“ (“განათლება“, №9, 677). ბავშვის აღზრდა ნაყოფიერად მას მიაჩნდა ბუნების წიაღში. ეს აზრი უფრო დამაჯერებლად და ვრცლად ჩამოაყალიბა 1910 წელს “სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში “ქართული გიმნაზიები“. ავტორის აზრით საჭირო იყო, სოფლად გახსნილიყო სამეურნეო და სახელოსნო სკოლები, სადაც ბავშვები მიიღებდნენ პრაქტიკულ და პროფესიულ განათლებას.

ამავე წერილში ი. ნაკაშიძე აყალიბებს თავის შეხედულებებს მასწავლებლის პროფესიის შესახებ: “უსულოდ მასწავლებლობას ქუჩაში ქვების მტვრევა სჯობია, ცოდნის გაზიარება სკოლებში უნდა მიმდინარეობდეს არა ძალდატანებით, არამედ თავისუფალი, უნიშნო, უკლასო და უეგზამენო“ (“კვალი“, №38). ამრიგად ი. ნაკაშიძე ერთობ გატაცებული იყო თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეებით. მისი აზრით, არ იყო საჭირო სწავლების ორგანიზების რაიმე ფორმები, ცოდნის შეფასებისა და კონტროლის მექანიზმი. თავისუფლად აღზრდილი ადამიანი, ი. ნაკაშიძის აზრით, არ დაემონება მთავრობას და არ გახდება სახელმწიფო ჩინოვნიკი. ცოდნის შეფასების პირობად ი. ნაკაშიძე მიიჩნევს პიროვნების დაინტერესების, თავისუფალი არჩევანის კრიტერიუმს და ისეთი

მიდგომის შექმნას, როდესაც გული და გონება ერთად ისწრაფვის ცოდნის შეთვისებისათვის.

ჟურნალ “განათლებაში” გამოქვეყნებულ წერილში “სიცოცხლის ეგზამენი” ი. ნაკაშიძე წერს: “ცოცხალი ცხოვრების მანათობელი ცოდნა მხოლოდ ის არის, რომლის შეთვისებაში გული ურევია, რომელიც გულს სწყურია, როცა გული არ გულობს, ცოდნა ულამპარო და უსინათლო ოთახში შესულ სტუმარსა ჰგავს” (“სახალხო გაზეთი”, 19.09). ი. ნაკაშიძის აზრით, მხოლოდ ნათელი გონება არ არის საკმარისი ცოდნისადმი ინტერესის გაღვივებისათვის, გონების მოძრაობას გულის სითბო უნდა ახლდეს. სწავლაში წარმატების საწინდრად ი. ნაკაშიძეს მიაჩნია საგნის თავისუფალი არჩევანის პრინციპი. საგნის თავისუფალი არჩევანი წარმოადგენს თავისუფალი მოქმედებისა და გონივრული, გულწრფელი სიყვარულის ერთადერთ წყაროს. იქ, სადაც მოქმედებს იძულება, გამორიცხულია თავისუფალი არჩევანის საშუალება. იძულების წესი აღზრდასა და სწავლებაში დამლუბველად მოქმედებს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. თუ ბავშვმა დაძლია თავისი თავი და შეასრულა მისთვის არასასურველი დავალებები, ამ შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ პიროვნებას, რომელიც კარგად ხსნის მათემატიკის ამოცანებს, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს ადამიანური ცხოვრების მთავარ ამოცანებზე. “ცოდნისადმი სიყვარულის, ცოდნისადმი მისწრაფების ერთ-ერთი წყარო ეს არის არჩევანის თავისუფლება, წყურვილი ჭეშმარიტების შემეცნებისა” (“განათლება”, №10, 35).

“ჩვენი ზოგიერთი პედაგოგი, ი. ნაკაშიძის აზრით, მოსეს მოგვაგონებს, რაც უფრო მაგრად სცემენ ისინი ადამიანებს შეუვალი დისციპლინის ჯოხით, მით უფრო ღრმად ახშობენ პიროვნებაში იმ ნათელ და სუფთა ნაკადს, რომლითაც ცოცხალია ადამიანის სული” (“განათლება”, №10, 36). ავტორის აზრით, მთავარია ის, რაც ბუნებრივია, მიდრეკილება ეს სულიერი ნიადაგია, რომელშიაც ადამიანს შეუძლია გაიდგას ფესვები, რომელზედაც თვითონვე უნდა გამაგრდეს. აღზრდის უმთავრესი ამოცანა ასეთი მიდრეკილების მიგნება, შეცნობა და განვითარებაა. აღზრდა საბოლოო ჯამში გულისხმობს სრულყოფილი, თავისუფალი, განათლებული ადამიანის ჩამოყალიბებას. იგი უნდა ემყარებოდეს თავისუფალი არჩევანის საწყისს. თავისუფალ არჩევანს განაპირობებს პიროვნების მიდრეკილება, მისი სულიერი სამყარო და ნიჭი ადამიანის სიყვარულისა. მხოლოდ ამ გზით მიღებული ცოდნა არის ადამიანისათვის არა მკვდარი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, არამედ მჭიდროდ დაკავშირებული ცხოვრებასა და გარშემომყოფ ადამიანებთან. პიროვნებაში, მოსწავლეში, ი. ნაკაშიძის აზრით, აზრი და გონება უნდა მოძრაობდეს. პიროვნება თვითონ უნდა იყოს შინაგანად აღვსილი მოძრაობითა და სიცოცხლისადმი სიყვარულით. ბუნება პიროვნებისათვის გასაგებია მაშინ, როდესაც მისი სული და გული თავისუფლად ილტვის ბუნებისაკენ.

ი. ნაკაშიძე მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტების გამოსაკვლევად გულით გამთბარი გონების ნათელი მოძრაობაა საჭირო, მაგრამ მხოლოდ ნათელი გონება არ არის საკმარისი ცოდნისადმი ინტერესის გაღვივებისათვის; გონების მოძრაობას გულის სითბო უნდა ახლდეს. მხოლოდ გულისა და გონების ერთობა გვაძლევს სრულყოფილ ადამიანს, რომელშიც მძლავრად სცემს სიცოცხლის წყარო. სწავლაში წარმატების საწინდრად ი. ნაკაშიძეს მიაჩნია საგნის თავისუფალი არჩევანის პრინციპი. ჟურნალ “კვალში” 1896 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “ჰარმონიული

ეტიუდი” ი. ნაკაშიძე წერდა: “ადამიანი სული და გულია ბუნებისა, ბუნებამ შობა ადამიანი და მათ შორის სიყვარულია დამკვიდრებული” (“განათლება“, №9, 677). ბავშვის აღზრდას, წერილის ავტორი, უშუალოდ ბუნების წიაღში მიიჩნევდა ნაყოფიერად და მიზანშეწონილად. ადამიანის ბუნება უშუალოდ გაგრძელებაა საერთო სამყაროსი და ბუნებისა, სიცოცხლის აზრი და აღზრდის მიზანიც სიყვარულის დამკვიდრებაა. სიყვარული თავის მხრივ სათავეს იღებს ბავშვის შეურყვნელი, უანგარო სულიერი სამყაროდან; სიყვარული უმძლესი ცოდნაა, რომელიც ზრდის და სულიერად ამაღლებს ადამიანებს. გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ორგანული მთლიანობა, მათი დიალექტიკური ერთობა განაპირობებს მაღალზნეობრივი ადამიანის აღზრდას. ცოდნა ზოგადად და მეცნიერება კარგავს თავის შემეცნებით ღირებულებას, თუ იგი სიყვარულის ცეცხლით არ არის გამთბარი. სიყვარულის გრძობაზე დაფუძნებული ცოდნა მოზარდში აღვიძებს და ზრდის გულისხმიერებას, ამაღლებს ადამიანის პასუხისმგებლობას. სიყვარული, როგორც აღზრდისა და განათლების საფუძველი, არ შეიძლება იშვას და განმტკიცდეს დირექტივებითა და ბრძანებულებებით. სიყვარული უნდა ამოძრავებდეს და ასულდგმულებდეს ადამიანს, რომელსაც მინდობილი აქვს მოზარდი თაობის აღზრდა. თავისი შეხედულებით ი. ნაკაშიძე მიმდევარი იყო ლ. ტოლსტოისა და ჟან-ჟაკ რუსოს მოძღვრებისა იმ განსხვავებით, რომ იგი აზრისა და გონების, ადამიანის ინტელექტუალური ძალების მარადიული მოძრაობისა და განახლების მომხრე იყო.

ადამიანის თავისუფალი არჩევანის მიმდევარი მუდამ ეყრდნობოდა პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მის ინტერესსა და მიდრეკილებებს. ადამიანის ცხოვრებისეული ნიშან-თვისებები: სიზარმაცე და ბეჭითობა, შური და სიკეთე მის შემოქმედებაში ყოველთვის იყო ინდივიდუალური. ეს ნიშან-თვისებები დაძლეული უნდა ყოფილიყო სიყვარულით. 1912 წელს გამოქვეყნებულ წერილში ი. ნაკაშიძე გულისტკივილით წერდა: სიზარმაცე სხვა არაფერია, თუ არა უძრავი მდგომარეობა დაუკმაყოფილებელი სულისა, რომელმაც ცხოვრებაში ვერ ჰპოვა მისთვის საყვარელი საქმე. თანამედროვე სკოლაში სიზარმაცე წესია, შრომისმოყვარეობა კი გამონაკლისი. სიზარმაცე უცხოა ბუნების ცოცხალი ძალებისათვის, სიზარმაცე დამაზასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის, როგორც გონივრულად მოაზროვნე არსებისათვის. იგი მთელი სამყაროს ცენტრში დგას იმ დროიდან, წერს ი. ნაკაშიძე, როდესაც მასწავლებელი ბავშვს დააზებირებინებს მისთვის მოსაწყენ მასალას. იგულისხმება, რომ ამ დროიდან მის დაღებულ პირში შეფრინდება სიზარმაცის ბაცილა. მას არ შეუძლია გააღვივოს ადამიანის სული და ის ნებისყოფა, რომელიც ბავშვის სულშია ჩადებული. ბავშვის სულში ცოცხლობს მისწრაფება სიცოცხლისადმი. ბავშვი თავისუფლად მიელტვის იმ ცოდნას, რომელიც მას მიეწოდება ცოცხალი სიტყვით და სიყვარულით. ი. ნაკაშიძის აზრით, თუ მოსწავლე ითვისებს თავსმოხვეულ ცოდნას, ეს მიიღწევა უსათუოდ სიყვარულის ხარჯზე, ხოლო სიყვარულის გარეშე ათვისებული ცოდნა ქრისტეს უარყოფას ნიშნავს. აქედან გამომდინარე – ასკენის ავტორი, მოსწავლეს არ უყვარს ის, ვინც ამ ცოდნას ძალით ახვევს თავს. უფრო შემდგომდროინდელ წერილებში ი. ნაკაშიძე ეხება ბუნებისმეტყველების სწავლების საკითხებს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ “გაკვეთილის დროს მოწაფეს მზამზარეულ ცოდნას, უკვე შემუშავებულსა და გამოკვლეულ მეცნიერულ ჭეშმარიტებას

ასწავლიან, ამას შედეგად მოსდევს გონების დახშობა. ვინც ამგვარ სკოლას გაივლის, დამოუკიდებელი მუშობის, თვითშემოქმედების უნარი ეკარგება, ასეთი მოსწავლე კოდნის ზედაპირზე ნავარდობასაა მიჩვეული” (“განათლება“, №4, — 38).

ბუნებისმეტყველების სწავლება ჩვენს სკოლებში სწავლითაა გაჟღენთილი, მას დამჭკნარი ყვავილის ელფერი აქვს. მასწავლებელმა ბავშვის ბუნებრივ, სულიერ მისწრაფებას უნდა შეათანხმოს სხვადასხვა მეთოდი სწავლებისა და არა მეთოდს ანაცვალოს მოსწავლის თავისუფალი მისწრაფება. 1916 წელს გამოქვეყნებულ წერილში “ბავშვების დაღუპვის მიზეზნი” ავტორი ასახელებს სამ მიზეზს, სამ გარემოებას: სკოლა, საზოგადოება და ოჯახი. “ჩვენი ბავშვები იმიტომ იღუპებიან, რომ სკოლის ცივსა და სასტიკ რუტინას ღრმა ორგანული კავშირი აქვს აწინდელი ოჯახის ცივსა და მძაფრ განწყობასთან” (“განათლება“, №7 — 168). ბავშვი, ამთავრებს რა სკოლას, მიაქვს სიმწიფის ატესტატი, ანუ მოწმობა სხეულისა, რომელშიაც სული ჩამკვდარია: “ჩვენი ოჯახი დაკარგული კუთხეა, სადაც ყველას არ მიუწვდება ხელი, — წერს ავტორი, — გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ მხოლოდ ჩვენი ცოდვების სამართლის შეგნებას შუძლია მოგვეცეს ძალა გამოფხიზლებისა და იმ გზების გამოძებნისა, რომელიც დამპალი ჭაობიდან გამოგვიყვანს” (“განათლება“, №7 — 168).

ი. ნაკაშიძე სხვა წერილებსა და კორესპონდენციებში მასწავლებლებს მოუწოდებს, ბევრი რამ ისწავლონ მოსწავლეებისაგან, წერილში “ბავშვებისაგან ისწავლეთ”, ი. ნაკაშიძე წერს: “ჩვენ რომ ჩვენს ბავშვებს ყურს ვუგდებდეთ, მათგან ვსწავლობდეთ, მაშინ ხელოვნება არ გადაგვარდებოდა, ისე, როგორც ჩვენს დროშია” (“Свободное воспитание” №6 — 288). საკუთარ პედაგოგიურ მოძღვრებაში ი. ნაკაშიძე მკაფიოდ და თანმიმდევრულად აყალიბებს თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეებს და აღნიშნავს, რომ თავისუფალი აღზრდა, საგნის თავისუფალი არჩევანი არის საფუძველი კაცობრიობის პროგრესისა, ხოლო პროგრესის მიზანი ღვთის სასუფეველისადმი დაახლოებაში გამოიხატება. ი. ნაკაშიძე პიროვნებაში, მოსწავლეში ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს სულის მოძრაობას. წერილში “მშობელთა ერთობა” ავტორი წერს: “საკვირველი და უსამართლობა იქნებოდა მოგვეთხოვა ბავშვებისაგან მაღალი მიზნებისაკენ მისწრაფება, რომელიც ჩვენ თვითონ არ გვწამს, და რომლისკენაც თვითონ არ მივისწრაფვით, სულში სიამოვნება დაისადგურებს, როცა დავინახავთ, რომ ყველასათვის ძვირფასია ის, რაც თითოეულისათვის” (“Свободное воспитание” №1-2 — 402). ი. ნაკაშიძის აზრით, ადამიანის აღზრდა—განათლება, როგორც ადამიანებს შორის სიყვარულის გაღვივების წყარო და პროცესი, არავითარ პროგრამას, არავითარ სისტემას არ უნდა ემორჩილებოდეს.

ი. ნაკაშიძე თავის დაუმთავრებელ და გამოუქვეყნებელ წერილებსა და კორესპონდენციებში, პირად არაქივში დაცულ ხელნაწერებში არ დალატობს ერთხელ არჩეულ პრინციპს თავისუფალი აღზრდის შესახებ. ავტორი ყველგან თავისუფალი აღზრდის იდეებს საფუძვლად უდებს სიყვარულს, როგორც უმაღლეს ცოდნას: “სიყვარულით არჩეული საგანი, წერს იგი, ჩვენი პირმშო შვილია, რომელსაც მზად ვართ, მთელი ჩვენი ცხოვრება შევწიროთ. “ის საგანი ჩვენი სულიერი ცხოვრების უღრმეს ძალათა ნაშობია და შემდეგ, როცა იზრდება და ვითარდება, ვით შვილი მშობელის, ჩვენსავე სულსა და გულს უმაღლესი ნეტარებით ავსებს” (იქვე). ძალით მოხვეული საგანი მოსწავლეს აქცევს

წყობილების განუშორებელ ნაწილად, რომელშიც ნაკლებადაა დამოუკიდებლობისადმი ლტოლვის ძალები. ცოცხალი თაოსნობის უნარი ბავშვში მაშინ ჩნდება, თუ იგი თვალწინ თავისი ნებითა და სიყვარულით არჩეულ სამოქმედო ასპარეზს ზედავს.

ი. ნაკაშიძე ყოველთვის ცდილობდა საკუთარი ქმედებით შეესხა ზორცი თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეების განხორციელებისათვის. იგი თავის სტილსა და შეხედულებებს ასაბუთებდა ქრისტიანული მოძღვრების თვალთახედვით. ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ი. ნაკაშიძის თავისუფალი აღზრდის იდეას ჭერაც ვერ უკავია სათანადო ადგილი. ეს საკითხები ნაკლებადაა ცნობილი და შესწავლილი. მისი იდეები, სწავლების გზები და ფორმები ფრიად საყურადღებოა თანამედროვე პედაგოგიკისა და მეთოდის თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა

- ვ. ზამბახიძე, 1947 - ვ. ზამბახიძე, ილია ნაკაშიძე, თბ., 1947.
 სხიფ, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი 115, საქმე 137.
 ჟურნ. "განათლება", №9, 1913.
 "კვალი" №38 - ჟურნ. "კვალი", №38, 1896.
 "სახალხო გაზეთი" 19.09. - გაზ. "სახალხო გაზეთი", 19.09, 1910.
 "განათლება" №10 - ჟურნ. "განათლება", №10, 1911.
 "განათლება" №7 - ჟურნ. "განათლება", №7, 1913.
 "განათლება" №3 - ჟურნ. "განათლება", №3, 1916.
 "განათლება" №4 - ჟურნ. "განათლება", №4, 1916.
 "განათლება" №7 - ჟურნ. "განათლება", №7, 1916.
 "Свободное воспитание" №6 - ჟურნალი "Свободное воспитание", №6, 1912.
 "Свободное воспитание" №1-2 - ჟურნალი "Свободное воспитание", №1-2, 1910.

GURAM TAKNIASHVILI**ILIA NAKASHIDZE ABOUT FREE STYLE CHILDREN EDUCATION**

In Georgian periodical press at the end of the XIX and beginning of the XX century (“Education”, “Public paper”, “Free style education”) famous public person Iliia Nakashidze used to publish pedagogical works about free style education of children. He considered the love towards each-other as a basis of person’s spiritual education.

Iliia Nakashidze used to give great attention to teaching of the subjects of science . He considered that taking children to nature was the right way of their up bring. He widely explained this idea in his letter “ Georgian Gymnasiums” published in 1910 “Public Papers”. In his words it would be reasonable to found the schools of agriculture and handyman.

In the article “The exam of life” published in journal “Education” I. Nakashidze indicates that just the theoretical mind is not enough for knowledge. Mind should be accompanied by warmth of heart. I. Nakashidze thought that up bring in sum means the making of completed, free, educated person. Up bring should be based on the initial of free choice. During teaching he thought that free choice was the beginning of success. In his opinion the enforcement methods have the devastating effect on the mental development of children.

In the work “Harmonic Etude” published in “Kvali” in 1896 , the author says that teachers hold the role of great importance, who is responsible for bringing up the future generations.

Iliia Nakashidze develops the idea in his works that free choice of subjects is the base of progress of mankind, and as for the aim of progress - it’s shown in approaching the heaven of God.

In the history of Georgian pedagogy the idea of I. Nakashidze about free style teaching is not studied in relevant way and it needs further research.

ვახტანგ თევდორაძე

ჰიქმა ას-სამაჰალის კონცეფცია

მიუხედავად იმისა, რომ არაბეთში ისლამამდელ პერიოდში კერპთაყვანისმცემლობა იყო გაბატონებული, ორი ძირითადი მონოთეისტური რელიგია (იუდაიზმი და ქრისტიანობა) მაინც შეიქრა ნახევარკუნძულზე და დიდი კულტურული ზეგავლენა მოახდინა, როგორც ჯაჰილიის პერიოდზე, ასევე ისლამის ჩასახვაზე, მაგრამ ყურანში იუდაიზმს უფრო დიდი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ქრისტიანობას.

ისლამამდელ პერიოდში მექის ჩრდილოეთით მრავლად იყო იუდეური ტომები, ხოლო მედინის ირგვლივ კი სამი ტომის დასახლება არსებობდა: ბანუ კანუჯა, ბანუ ნადირი და ბანუ კურაჰზა (ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე, 2009, გვ. 22). მას შემდეგ რაც მუჰამედი გახდა მუსულმანური მექის ლიდერი, სავსებით მისაღები და გასააზრებელია ის აზრი, რომ მას საკმაოდ კარგი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ტომებთან, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში არ არის გადმოცემა იმის შესახებ, რომ იუდეველები დასახლებული ყოფილიყვნენ თავად წმინდა ქალაქში; ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრობდნენ ჩრდილოეთით, სადაც გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები, ამიტომ კონტაქტები არაბებსა და მათ შორის დიდ წილად განპირობებული იქნებოდა სწორედ ამ გარემოებით. საინტერესოა, თუ როგორ მოხვდნენ ეს ტომები ამ ადგილებში. ერთი ვერსიით, არის ცნობები იმისა, რომ ისინი იყვნენ თავად იუდეველთა შთამომავლები, რომლებიც იძულებით გადასახლდნენ წინა პერიოდში, კერძოდ ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში, როდესაც ადგილი ჰქონდა რომაელთა მხრიდან იერუსალიმის დაკავებას და სირია-პალესტინის დარბევას. სწორედ ამ დროს დასახლდნენ ისინი მედინის, თაიმის და ვადი ალ-კურის მიდამოებში, რომლებიც H-III საუკუნეებში ავსისა და ხაზრაჯის ტომებისაგან განიცდიდნენ დიდ შევიწროებას. მეორე ვერსიით, ესენი არიან თავად იუდაიზმზე მოქცეული არაბები, არც ეს ვერსიაა საფუძველს მოკლებული, რადგან სწორედ იმ გადასახლების შემდეგ, რომელზედაც ვისაუბრეთ, თითქმის მთელი მაშინდელი არაბული სამყარო, იემენისა და იანრიბის გამოკლებით, გაეცნო ამ მონოთეისტურ რელიგიას.

არაბული კულტურის ჩასახვისა და განვითარების საწყის ეტაპზე, ებრაელები უკვე ცხოვრობდნენ მათ შორის და საუბრობდნენ მათსავე ენაზე. ისინი თანდათანობით ქმნიან თავიანთ ქმნილებებს სწორედ არაბულ ენაზე, საბოლოოდ კი შექმნეს ისეთი ძეგლები, რომლებმაც აჯობა კიდევ თავად გაყალბებულ არაბულ ლიტერატურას. ამასთან ერთად, არაბულ-ებრაული ლიტერატურა ისეთი დიდია და მასშტაბური, რომ არ არის არანაირი საფუძველი, შესაძლებლობაც კი, რომ ეჭვი შეიტანო იმ საერთო მახასიათებელ შტრიხებში, რომლებიც მათ გააჩნიათ. სამწუხაროდ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ თემისადმი არ არსებობს რაიმე დიდი ნაშრომი, კვლევა. მხოლოდ ერთ მე-19-20 სს. გამოჩენილ ავსტრიელ მეცნიერს მ. შტეინშნეიდერს აქვს ამ თემაზე წიგნი "Die Arabische Literatur der Juden. Frankfurt am Main, 1902".

ახლა კი კონკრეტულად ვისაუბროთ ადრეულ, ისლამამდელ არაბულ ლიტერატურაზე. ამ პერიოდის არაბულ-ებრაული ლიტერატურული ძეგლები, საერთოდ არ განსხვავდება სუფთა არაბულისაგან (იგულისხმება ფორმა და მოტივები). ის ისეთივე ძველია, როგორც თავად არაბული პოეზია, უმრავლეს შემთხვევაში, ატარებს იმავე ნიშანსა და იმავე ფორმას. ამ ძეგლებს მიეკუთვნება პოემები, რომლებშიც ასახულია ის ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა V საუკუნეში. ძველ არაბულ-ებრაულ პოეზიაში შეგვიძლია გამოვყოთ ორი პერიოდი: 1. ისლამამდელი ლირიკა; 2. მოციქულ მუჰამედის პერიოდის პოლემიკური ხასიათის პოეზია. პირველ პერიოდს მიეკუთვნება და პირველი ებრაელი, ვინც ლექსი დაწერა არაბულ ენაზე, იყო პოეტი ქალი სარა. ის ცხოვრობდა მედინაში, მიეკუთვნებოდა ბანუ კურაიჯას ტომს. თავის ლექსებში დასტირის არაბთა მიერ დალატით მოკლულ საკუთარ თანატომელებს. თავის აპოგეას ამ პერიოდის არაბულ-ებრაულმა პოეზიამ მიიღწია პოეტ ას-სამავალის შემოქმედებაში; აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება და პატიოსნება სიტყვისადმი, მისი ბრძნული გამონათქვამები. წყაროების მიხედვით, პოეტი თავის დასახლების მახლობლად ნეჯდში ალ-აბლაკის ციხის სამხედრო მეთაური იყო, მისი წარმომავლობა გაურკვეველია; ზოგიერთი წყარო მას მოიხსენიებს ას-სამავალ იბნ ადიია ალ-იაჰუდ, სხვა წყაროები კი ას-სამავალ იბნ ღარიდ იბნ ადიია. მან გაწირა თავისი შვილი იმისათვის, რომ არ გაეტეხა სიტყვა და ჩაებარებინა იარაღი, რომელიც მას მისმა მეგობარმა იმრუ ლ-კასიმამ (ისლამამდელი არაბული პოეზიის მეფედ წოდებული) შესანახად დაუტოვა, როცა ის (იმრუ ლ-კასი) სირიისა და ბიზანტიისაკენ გაემართა. ამიტომ ას-სამავალი ყველა დროის არაბი მწერლებისათვის არის ერთგულების და გმირობის სანიშნო მაგალითი. მისი ერთ-ერთი პოემა სწორედ ამ ამბის აღწერას ეძღვნება. ის ბევრჯერ გადაიწერა და დაიბეჭდა, ამიტომ, ბუნებრივია, მასში იქნება ცვლილებები და ორიგინალს მცირედით დასცილდებოდა. საერთოდ, მას მიეწერება 9 პოემა, რომელთაგან პოპულარობა მხოლოდ ორმა ჰპოვა; ერთი შესულია ისეთი ცნობილი კრებულების ავტორის წიგნში, როგორიც არის აბუ თამამის “წიგნი გმირობებისა”. შემთხვევითი არ არის, რომ აბუ თამამმა ის შეიყვანა სწორედ კრებულში “წიგნი გმირობებისა”, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის თავისი ადამიანური თვისებებით სამაგალითო ადამიანი იყო. მეორე მისი პოემა ალ-ასმა'ის აქვს შეტანილი თავის კრებულში ალ-ასმა'იია (ენციკლოპედია, 1991, გვ. 1041). მისი რამდენიმე ფრაგმენტი ასევე გვხვდება იბნ სალამა ალ ჭუმაჰის წიგნში “პოეტთა კლასები”. ამ პოემაში ას-სამავალი საუბრობს დაბადებაზე, გარდაცვალებაზე, სიკვდილზე და რაოდენაც საინტერესოა — განკითხვის დღეზე. აი აქ აშკარად არის იუდაიზმის ზეგავლენა, კერძოდ აგადასი (არამეულად თხრობა) (თალმუდური ლიტერატურის ნაწილი, მნიშვნელოვანი დარგი, რომლის მიზანია ბიბლიაში წარმოდგენილი თვალსაზრისებისა და შეხედულებების განხილვა, მათი შემდგომი განვითარება, რომელიც შეიცავს რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის აფორიზმებს და რელიგიურ-ეთიკურ სწავლებებს, დარიგებებს, ასევე, ისტორიულ გადმოცემებსა და ლეგენდებს, თავად აგადა ჩამოყალიბდა ჩვ. წ. აღ. II საუკუნეში, და ისიც, ისევე როგორც მთელი ისლამამდელი არაბული პოეზია, ზეპირად გადაცემოდა, ქადაგებდა წერილს ძლიან მიმზიდველი პოეტური ფორმით) (ზ. ცხვედიანი, 2007-2008, გვ. 137).

რაც შეეხება ამ პოემების ავთენტურობას, ნოლდეკე მასზე უარყოფითად საუბრობს, ხოლო ლევი დელია ვიდა ამბობს, რომ ერთი პოემა ნამდვილად არის ას-სამავალის შთამომავლის, რომელმაც მიიღო ისლამი, მაგრამ მაინც განიცდიდა იუდაიზმის გავლენას (გ. ლევი დელია ვიდა, 1931, გვ. 53). ჩვენი მხრივ დავძინთ, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები საკმაოდ დამაჯერებელია და ეჭვგარეშეა, რომ ეს ლექსები, მართლაცდა, მისი დაწერილია.

ას-სამავალის ზემოთ ნახსენებ კასიდაში არის სამი ბეითი, სადაც პოეტი აყალიბებს თავის აზრს წუთისოფელსა და ამ ცხოვრების დაუნდობლობასთან დაკავშირებით, მთელი გულთ საუბრობს ადამიანზე, ადამიანობაზე, მის შეგნებაზე, ასევე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის სული; რა თქმა უნდა, უნაკლო და უმწიკვლო, რომ მან (ადამიანმა) ამ ცხოვრებაში მთელი თავისი გზა უნდა განვლოს პატიოსნად, სიკეთისა და მოწყალების კეთებაში; ლამაზად აღწერს, რომ ვინც ამას აკეთებს, მასზე “ყველა ტანსაცმელი კარგია”. პოეტი გვიზიარებს თავის აზრს, რომ როგორც არის ადამიანის შინაგანი სამყარო, ასეთივეა მისი გარეგნობა — მისი სულის ანარეკლი (შგავს გამონათქვამს: “თუ როგორიცაა ადამიანი შინაგანად, ასეთივეა ფიზიკურადაც”, ან საპირისპიროდ “მახინჯ სხეულში, მახინჯი სულია”):

“მანამ სანამ შენი გზა პატიოსანია, სანამ სული სუფთაა //

შენზე ყველა ტანსაცმელი კარგია”.

14 (إذ المرء لم يندس من اللوم عرضه * فكلى رداء يرتديه جميل). (الديوان السموال)

სინანულით და მთელი გულწრფელობით აღწერს იმ ადამიანს და მის განცდებს, რომელსაც შეიძლება ამ დაუნდობელ და გულქვა ცხოვრებაში ფეხი დაუცდეს და დაკარგოს სიყვარულის, შეწყალების ან შეწყნარების იმედი. ვერაფერი ცხოვრება არავის პატიებს შეცდომებს. ამიტომ საჭიროა, ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრება გაატაროს სუფთად, შეძლებისდაგვარად შეუცდომლად, რაც მთავარია, იყოს ყურადღებით:

“მაგრამ თუ დასუსტდები, ფეხი დაგიცდება და დაეცემი //

მაშინ არ დაელოდო სინანულს, არავის შექებას არ დაელოდო”.

14 (إذ المرء لم يحمل على النفس * فليس إلى حسن الثناء سبيل). (الديوان السموال)

და ასრულებს თავის ბრძნულ გამონათქვამებს საკმაოდ საინტერესო ბეითით, სადაც, გვეუბნება, რომ ჭეშმარიტი გმირისთვის (ვაჟკაცისათვის) ცხოვრების გზა მუდამ მოკლეა და ყველაზე უფრო შესაფერისი — სიკვდილი ბრძოლის ველზე:

“არა, გარდაცვალება კარგია ბრძოლაში, სასიკვდილო ბრძოლაში //

გმირისთვის გზა ყოველთვის მყარია და ძალიან მოკლე”.

პოეტის შემოქმედებიდან მოხმობილი ეს ბეითები სრულად წარმოაჩენს, თუ რა კარგად იცნობს იგი ადამიანობას, კერძოდ კი ვაჟკაცობას, აფასებს გმირებს, და მეომრებს, გვიხატავს ცხოვრების დაუნდობელ სურათებს, რომელიც არავის არაფერს პატიებს, არავის არ ინდობს, ყველას მიმართ ერთნაირი სისასტიკითაა განწყობილი.

და დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ მეცნიერთა ინტერესი ას-სამავალის მიმართ განპირობებულია მისი ებრაული წარმოშობით, რადგან მისი პოეზია ერთ-ერთი ნათელი წერტილია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომელიც შუქს მოჰფენს იმ საკითხს, როგორიცაა ებრაელთა ზეგავლენა ისლამამდელ არაბულ

პოეზიაზე. აქ, პირველ რიგში, გამოსაკვლევიან, თუ რომელი პოემა ან თუნდაც ბეითი არის ნაყალბევი; ას-სამავალის ლექსები შესასწავლიან, მაგრამ მისი შემოქმედება მოითხოვს სრულფასოვან ანალიზს, გამოკვლევას, რადგან ეს საკმაოდ კარგ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ პერიოდის როგორც ლიტერატურულ პროცესებზე, ასევე იუდაიზმის ისტორიაზე არაბეთის ნახევარკუნძულზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე, 2009 - ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე, ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), თბ., 2009.

ისლამის ენციკლოპედია -The Encyclopaedia of Islam. VOL VIII, Leiden - New York. E.J Brill 1991.

გ. ლევი დელია ვიდა, 1931 - G. LeviDelia Vida, *A proposito di as-Samaw'al*, in *RSO*, XIII (1931), 53-72 (fundamental)

ზ. ცხვედიანი, 2007-2008 - ზ. ცხვედიანი, ენობრივი კონტაქტები სემიტურ სამყაროში: იუდეური არაბული, სემიტოლოგიური ძიებანი VII, თბ., 2007-2008.

الديوان السموال

M. Steinschneider, 1902 - M. Steinschneider, *Die arabische Literatur der Juden*. Frankfurt am Main, 1902.

VAKHTANG TEVDORADZE

HIKMET IN THE POETRY OF AS-SAMAVALI

Despite the fact that before Islam in Arabia paganism was towering, two prime monotheistic religion (Judaism and Christianity) still invaded the peninsula and made great cultural influence on Jahili period and on the matter of emerging Islam as well, but in Quran more attention is given to Judaism than Christianity.

Before Islam period in the north of Mecca there were numerous tribes loyal to Judaism, after Muhammad became the leader of Muslim Mecca, the idea that he had quite good and tight relations with above mentioned tribes seems really reasonable. We see from this that at the initial stage of emerge and development of Arabic culture, Jews had already been living on peninsula.

Arabic-Jewish works of literature are almost the similar to pure Arabic. Most remarkable is the fiction literature of As-Samavali, his approaches and honesty towards words, phrases of wisdom, where the poet talks about birth, death and which is most interesting - about judgment day.

Here influence of Judaism is evident, in particular of “aggada”(means narration in Aramaic language). (Part of talmudical literature, important field, the aim of which is reviewing Biblical viewpoints and approaches, and it was verbally narrated as the whole poetry before Islam).

Poet expresses his idea about life and its ruthlessness, talks about a person with his whole heart, humanity, his awareness. He knows positive qualities of a person, particularly braveness, appreciates heroes and warriors, paints the ruthless pictures of life.

Poetry of As-Samavali is one of the light points to assert the idea which highlights the issue, such as Jewish influence on Arabic poetry before Islam. But here it needs to be researched which poem or beit is falsified.

ზურაბ თოდუა

ბრაჟიტის წვერზე მოხილი ბრაჟიკული სიმფონიები

“თოვლის მაღალი ქულები ფარავენ მათი სიმძიმის ქვეშ დახრილ ტოტებს, სახლების სახურავებს, ჭიშკრებსა და კიბეების საფეხურებს. სახლები თითქმის ნახევრად ჩაფლულია თოვლში და გზები, როგორც გვირაბები, ჯიუტად სერავენ თოვლის სისქეს. ბელურები ვერ პოულობენ ჩვეულ ტოტებს და ცურავენ თეთრ ბუმბულში. ყველაფერი მსუბუქი, ლამაზი და ზეიმურია. ისეთი ნათელი სიჩუმეა მოფენილი მთელ სამყაროში, რომ ყოველი ხმა თითქოს სადღაც შორეული შორეთიდან მოედინება...”

ასეთი ზამთარი უკვე დიდი ხანია არ გვინახავს იმერეთში, თუმცა ისინი სამუდამოდ დარჩა ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ჯადოსნური მოგონება, მოქსოვილი ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებიდან.

და აი — ცხადყოფა ამ საოცარი მოგონებებისა: ზამთრის ფანტასტიკურად ცოცხალი, ღრმა, რეალისტური და ამავე დროს განუმეორებლად ზღაპრული სიმფონია იშლება ჩვენს თვალწინ გრაფიკულ ფურცლებში, რომელთა ავტორი ჩვენი თანამემამულე და თანამედროვე გრაფიკის დიდოსტატი გურამ დოლენჯაშვილია.


დღეს დამსახურებული წარმატება და საყოველთაო აღიარება მოსავს მის სახელს. ეს აღიარება მისი გონების, მიზანსწრაფულობის, სიცოცხლისადმი, ბუნებისადმი, ადამიანისა და ხელოვნებისადმი ღრმა სიყვარულის და, პირველ ყოვლისა, ფანტასტიკური შრომისუნარიანობის სახსრებით ლოგიკური შედეგია.

გურამ დოლენჯაშვილი დაიბადა ქუთაისში 1943 წელს. 1968 წ. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. სწავლობდა ცნობილი ქართველი გრაფიკოსის, პროფესორ ლადო გრიგოლიას სახელოსნოში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის, პუშკინის სახელობის, აღმოსავლურ ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში, სანკტ-პეტერბურგის რუსულ, თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმსა და სახვითი ხელოვნების გალერეაში, ბათუმის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ასევე, ევროპის, ამერიკის, აზიის სხვადასხვა რანგის კოლექციებში. ყველგან იგი მიჩნეულია ბოლო დროის საუკეთესო გრაფიკოსად.

გურამის შემოქმედებითი გზა დაიწყო 1960-იანი წლების ბოლოს. ეს იყო დრო საბჭოთა ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა. როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკაში ე.წ. “მკაცრი სტილის” გაბატონებამ გამომეტყველებითი საშუალებების განახლების აუცილებლობა გამოიწვია. მხატვრები თანმიმდევრულად უარყოფენ წინა წლებში გავრცელებულ ილუზორულ სივრცობრივ ფორმებს, შემოაქვთ მეტყველი საშუალებების “ეკონომიის რეჟიმი”, რაც უფრო ლაკონურს და კონსტრუქციულს ხდის ვამოსახულებებს. 1950-იანი წლების შავი აკვარელით შესრულებულ

“სტანდარტულ” ნახატს, 60-იანი წლების დასაწყისში ენერგიულად ცვლის შავ-თეთრი ლინოგრაფიურა, 60-იანი წლების ბოლოდან კი უკვე “ტიპურად” ქცეული შავი ლინოგრაფიურა ადგილს უთმობს ფერად ესტამპს. მომდევნო ათწლეულის პირველ ნახევარში პოპულარული ხდება ოფორტი და შესამჩნევად იზრდება ინტერესი უბრალო ფანქრით შესრულებული ნახატისადმი. გრაფიკული ხერხების ამ მასობრივმა ცვლამ თავისი ანარეკლი ჰპოვა გ. დოლენჯაშვილის 60-70-იანი წლების შემოქმედებაშიც.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ახალგაზრდა მხატვარი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს მთიან რეგიონებსა და მეზობელ რესპუბლიკებში. სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში, დაღესტანში შექმნილ ნახატებში უკვე იკვეთება ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელი ხდება უფრო მოწიფული პერიოდის გრაფიკისათვის (“ქვედა სვანეთი, ს. ახალშენი, ნაკადული აშხაშური”, “ხევსურეთი, ს. ხახმათი”, “შატილი”, “დაღესტანი. აული ჩოხი”, “აული ბალხარი”, “აული სოგრატილი” და სხვ). ამ ნახატებში ფორმა კონსტრუქციულია, ხდება პანორამული ყველა საჭირო დეტალის შენარჩუნებით, ტექნიკა საოცრად მსუბუქი, ძალდაუტანებელი. ინარჩუნებენ რა საგზაო ჩანახატების ხასიათს, ეს ნახატები, ამავე დროს, დასრულებული სრულფასოვანი ნაწარმოებებია, რომელშიც ვერაფერს შეცვლი კომპოზიციური ჰარმონიის დაურღვევლად. უბრალო ფანქრის სხვადასხვა ინტენსიურობის მქონე ტონების მრავალხმიანობა ქმნის მათში ლამაზ ფერწერულ-პლასტიკურ წყობას, რომელიც კონკრეტული სიცხადით გადმოსცემს ადგილისა და შუქ-ჰაეროვანი გარემოს შეგრძნებას. ამ ნაწარმოებებში გამოსჭვივის ის დაკვირვება, რომელიც გურამმა მიიღო ი. შიშკინის, ი. კლევერის, XIX ს. და XX ს. დასაწყისის რომანტიკული პეიზაჟის ოსტატების გამოცდილების შესწავლიდან.



“შატილი”

ლინოგრაფიურის ტექნიკაში იყო შესრულებული გ. დოლენჯაშვილის სადიპლომო ნაშრომი “ქორწილი დაღესტანში” (1968). ამ სახის გრაფიურის კლასიკური ენის გამოყენება, რომელიც თეთრი და მსხვილი შავი ლაქების მკვეთრ კონტრასტზეა აგებული, კომპოზიციის ოსტატური პლასტიკური გადაწყვეტა, პანორამული ხედვით წარმოგვიდგენს მთიანი მასივების რკალში მოქცეული დაღესტანური სოფლის მკაცრ და თავისებურ სილამაზესა და ტრადიციებით განსაზღვრულ მექორწილეთა რიტუალის მნიშვნელობას. აქ უკვე შესამჩნევად მუდგანდება ახალგაზრდა მხატვრის უნარი ჩვეულებრივ მოვლენაში რომანტიკულად ამალღებული შეგრძნების შეტანისა. ამ წლებში გ. დოლენჯაშვილი მუშაობს გუაშისა და ზეთის ფერების ტექნიკაშიც და ქმნის საკმაოდ მეტყველ და ცოცხალ გამოსახულებებს (“ზედა სვანეთი, ს. ლატალი”, გუაში, “რაჭა, სეფე ბაბუას მარანი”, ტ.ზ.). მაგრამ გრაფიკის შავ-თეთრი

სამყარო მისთვის უფრო ახლობელი და საყვარელია გახდა, თუმცა ფერწერულობა სამუდამოდ დარჩა იმანენტურ თვისებად მისი გრაფიკული ნაწარმოებებისა.

70-იან წლებში გ. დოლენჯაშვილის მოგზაურობის გეოგრაფია კიდევ უფრო ფართოვდება

და მოიცავს როგორც ჩრდილოეთ ქვეყნებს პოლარულ წრემდე, ასევე მთელ შორეულ აღმოსავლეთს ჩუკოტკის, სხალინის, კამჩატკის ჩათვლით. პლანშეტიტ ხელში, სხვადასხვა გრაფიკული საშუალებების გამოყენებით, გურამი გულმოდგინედ ეცნობოდა დიდ სამყაროს, აღფრთოვანებული იყო



“სანიტარული დღე” სერიიდან “თეთრიზღვისპირეთი”

კუნძულ კიჟის ხის არქიტექტურის საოცრებით (“კიჟი”), აკვირდებოდა უზარმაზარი გემების მშენებლობას კლაიპედისა და სანკტ-პეტერბურგის გემთსაშენებზე (“გემთმშენებლები. კლაიპედა”, “გემთმშენებლები. სანკტ-პეტერბურგი”), ესკიმოსებთან ერთად გადიოდა ცივ ზღვაში, ეშვებოდა ვულკანის აკვამლებულ კრატერში კამჩატკაზე. ნამარხი ცხოველების ნეშტები (“მარადიული სასუფეველი”), კლდეების საოცარი მოხაზულობები ოკეანის სანაპიროზე, მეთევზეთა დასახლებები (“დასახლება სანგარი”, “პოლარული სადგური უსტ-ოლენიოკი”, “განგების ზღვის უბე”), თითქმის რიტუალამდე აყვანილი მათი საქმიანობა (“სანიტარული დღე”, “ბადეების გაშრობა”), საყოფაცხოვრებო საგნები, ნაგები, ზღვის ფრინველების უთვალავი გუნდი (“ჩიტების ბაზარი”) — ყველაფერი წარმოადგენდა მხატვრისათვის ინტერესისა და დაკვირვების საგანს, როგორც უჩვეულო და უზომოდ მდიდარი მასალა მომდევნო ოფორტული სერიებისათვის. გაეცნო რა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების მკაცრ რომანტიკას, მან შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც ცოცხალი შთაბეჭდილებების საფუძველზე არაჩვეულებრივად მხატვრულად ასახავენ ამ შორეული ადგილების მკაცრ სილამაზესა და ხალხის შრომით საქმიანობას (ჩანახატები მდინარე ლენაზე მოგზაურობის დროს). ეს შთაბეჭდილებები მან წარმტაცად გადმოსცა როგორც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოგონებებში, ასევე გრაფიკული გამოსახულებების ციკლებში (ოფორტული სერიები “არქტიკა”, “პოლარული წრე”, “თეთრიზღვისპირეთი”, “თეთრი ზღვის მეთევზეები”, “შორეული აღმოსავლეთი”, “ჩუკოტკა”). ამ სერიების ფურცლები იპყრობენ ყურადღებას სიუჟეტებისა და რაკურსების მოულოდნელობით, დეტალების განზრახ გულდასმით დამუშავებით, რომლებიც კონტრასტში იმყოფებიან თითქოს კოსმოსური სიცივით გამსჭვალულ გამოსახულ გარემოსთან მიმართებაში.

არ არის შემთხვევითი, რომ სერიები შესრულებულია ოფორტის ტექნიკაში. ნიუანსებით სავსე ეს ტექნიკა საუცხოოდ აერთიანებს კვეთითი გრაფიურის ასკეტურ სიმკაცრეს ფერწერული წარმოსახვის ახირებულობასთან. ოფორტის თავისუფალი, უშუალო ხაზი ხელს უწყობს მხატვრული სანის ემოციური წყობის ძალიან ფართო გრადაციის მიღწევას, განხილი ლირიზმიდან — დ ა ძ ა ბ უ ლ დრამატიზმამდე. ასე, მაგალითად, ფურცელში “ტიკსი. ძველი ნავსაყუდელი” (სერიიდან “არქტიკა”) ნემსის წვერი ზუსტად გადმოსცემს ყოველ



“განგების ზღვის უბე”

დეტალს, ყოველი საგანი ასრულებს თავის პარტიას ბოლომდე, ამჟღავნებს სახასიათო თავისებურებების მაქსიმუმს. მაგრამ, საოცარია, რომ ამ მრავალხმიანობაში არ არის ხმაშეუწყობლობა. როგორც დახვეწილ დირიჟორსა და რეჟისორს, გურამს შეუძლია ეს მრავალხმიანობა დასრულებულ გრაფიკულ სიმფონიაში გააერთიანოს. ხან კონტურების ხაზგასმით, ხან მათი სხვადასხვა მიმართულების მოკლე შტრიხებით ამოვსებით, ხან შტრიხების შავი ლაქების ხავერდოვნებამდე გასქელებით, ხან, პირიქით, ლაქების მკვეთრი გამოლიავებით, გურამი აღწევს რომანტიზებული ამბის ცხოველყოფელ მეტყველებამდე მიყვანას. სერიების ფურცლები სავსეა განსულიერებით, აშკარა თუ ფარული დინამიკით. სახლების კედლებს მიღმა იგრძნობა მათი მოზინადრეების მოფუსფუსე ცხოვრება, ადამიანები დაკავებულნი არიან ჩვეული საქმიანობით, ბოლავენ კარჭაპებისა და სამრეწველო შენობების მიღები, მთების მოხაზულობებს იმეორებენ კონტრასტული ღრუბლები (“განგების ზღვის უბე”). ოფორტში “ვერტმფრენი მოფრინდა”, რომელიც შესრულებულია ვერცხლისფერი ფანქრის ტონალობაში, განსულიერებული და დრამატიზირებულია თვით ჰაერი, რომელიც, როგორც ტალღები წყალზე, გაფანტულ წრეებად კონცენტრირდება, იშლება, იმეორებს რა ვერტმფრენის პროპელერის მოძრაობას, რომელსაც არქტიკის ამ შორეულ კუთხეში სიცოცხლე და განახლება მოაქვს.

სულიერი შეძრწუნება, რომელიც გურამმა განიცადა ვეშაპების სასაფლაოზე ჩუკოტკაზე, მხატვრულ განსახიერებას პოულობს დიდი ზომის ოფორტების სერიებში “გაფრთხილება”, “სამყარო იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე, ომს შეუძლია წამში დაშალოს იგი”, “თუ ხვალ ომია. განგამის ზარები...”. ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გაღერეაში დაცულ ამ სერიების ფურცლებში გამოიკვეთა მხატვრის ადამიანური და შემოქმედებითი პოზიციები, მისი ფიქრები და მღელვარებები, მისი მკაცრი გაფრთხილება, პროტესტი ადამიანის უფიქრელ ტექნოკრატიულ მოღვაწეობაზე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს წარმოუღვგენელი კატაკლიზმები, ომები და

ნგრევები. სიურეალისტურ მანერაში შესრულებული, ისინი იპყრობენ ყურადღებას კომპოზიციების ორიგინალურობით, უთვალავი დეტალების ნატურალისტური ცხადყოფით, ფურცლების მთელი ზედაპირის საოცრად გულდასმითი დამუშავებით, თუმცა ეს გრაფიკული სიურეალიზმი და მისტიკურობა არაორგანული აღმოჩნდა გ. დოლენჯაშვილის შემოქმედებისათვის შემდგომში. “ზელოვნების მიზანი უბრალოა — შემოიტანოს სამყაროში სიხარული. განსაკუთრებით ახლა...”, — წერდა იგი მოგვიანებით.



“ვეშაპები მოიყვანეს”

შორეული აღმოსავლეთის თემებზე შესრულებულ ფურცლებში ვხედავთ მხატვრის მისწრაფებას გადმოსცეს ბუნების, ყოფიერების საგნების, ადამიანის ცხოვრებასთან მათი მრავალმხრივი ურთიერთობების განსულიერება და შინაარსობრიობა, გადმოსცეს ეს ურთიერთობები ეპიკურ, გმირულ თუ ლირიკულ პლანში. ეს მეტყველი ნამუშევრები აქცენტირებას უკეთებენ არა წარმავალ მომენტებს, არამედ იმას, რაც მუდმივ ფასეული და მნიშვნელოვანია — ამა თუ იმ ადგილის ცოცხალ სულს, ბუნების მკაცრ სილამაზეს, ადამიანის რთულ ბრძოლას არსებობისათვის.

ჩრდილოეთში მოგზაურობისას, ოსტატმა აღმოაჩინა სივრცე, შეიგრძნო მისი გრანდიოზული პერსპექტივა, პლანეტარულობა, დაინახა, თუ როგორ უერთდება შუქი სიბნელეს, დღე — პოლარულ ღამეს. მან შეიგრძნო თოვლის ნამდვილი სიდიადე და სილამაზე, მას გაუჩნდა სურვილი. შეექმნა დიდი ნაწარმოებები, სადაც იქნებოდა ბევრი ცა და ბევრი თოვლი. მიღებულმა გამოცდილებამ განსაზღვრა გურამის მომდევნო ნაწარმოებების შინაარსობრივი, მხატვრული, ტექნიკური თავისებურებები. 1980-იან წლებში იგი მიმართავს თავისი სამშობლოს — იმერეთის თემებს, ქმნის გრაფიკულ სერიებს “იმერული ზამთარი”, “იმერული მოტივები”, “იმერეთის ესკიზები”, “იმერეთის მთვარიანი ღამეები” და სხვ., რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს მხატვარს.



“იმერული ზამთარი”

“დასახლებული სერიები ძირითადად შესრულებულია უბრალო გრაფიტული ფანქრის ტექნიკაში. როგორც აღვნიშნეთ, ინტერესი ფანქრით ნახატისადმი საბჭოთა გრაფიკაში გაძლიერდა 70-იანი წლების მეორე ნახევარში. მაგრამ, ფანქრისადმი მიმართვა არ იყო გურამისათვის მოდური ტენდენციისათვის ხარკის გადახდა. ფანქარი, გრაფიტული მასალა ყოველთვის მისი ხელოვნებისათვის ორგანული სახვითი საშუალებაა, რომლისადმი სიყვარულს იგი ამჟღავნებს მთელი შემოქმედების მანძილზე. 1980-90-იანი წლების სერიებში გ. დოღენჯაშვილის ფანქრის ტექნიკა პოულობს ნამდვილად ჯადოსნურ, ფანტასტიკურ გამოვლინებას. მან თითქმის უარი თქვა გრაფიკისათვის სახასიათო ხაზოვან-შტრიხულ მანერაზე, რაზედაც იყო აგებული მისი წინარე პერიოდის ნახატები და ოფორტული სერიები. იგი ახლა ხატავს გრაფიტული ფანქრის უნატიფესი ნიუანსებით, აგებს ნახატებს რუბი ტონების ფერწერულ გადასვლებზე. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული და მომდევნო წლების ნახატები — თავისებური გრაფიკული ფერწერაა იუველირული, ვირტუოზული ოსტატობით შესრულებული.



ამ სერიების ფურცლების მეორე ძირითადი თავისებურებაა მათი ფოტორეალისტური დოკუმენტურობა. მართლაც, მხატვრის ნახატების ნატურალიზმი გვაძლევს ასეთი შედარების საშუალებას. იგი თითქოს პაექრობას უწევს ფოტობიექტივს და თავისი საოცარი თვალის მეშვეობით არაფერში ტოლს არ უდებს მას. ასეთი მანერით გატაცება, ერთის მხრივ, იყო თვით მხატვრის თბრობითი ნახატისადმი სიყვარულისა და დეტალებისადმი გულდასმითი ყურადღების შედეგი, რასაც იგი ამჟღავნებდა საქართველოს მთიან რეგიონებსა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ ნაწარმოებებში, მეორეს მხრივ კი, მასში გამოვლინდა 70-80-იან წლებში ევროპულ ხელოვნებაში გავრცელებული ჰიპერ-რეალიზმისადმი ინტერესი.

იმერულ სერიებში გასაოცარია სამყაროს თვალთ მოცვის დიაპაზონი. გურამს აინტერესებს ყველაფერი — კოსმიურად უზარმაზარი ციდან დაწყებული, საიდანაც გვეჩვენება თითქოს დედამიწა იწყებს დამრგვალებას, თოვლის ნამქერის უნატიფეს ფიფქებამდე, ბოლო ბეწვამდე ბოჩოლას ზურგზე, სიმინდის ფოთლის უკანასკნელ ძარღვამდე... სილამაზის ეს სივრცე მის ნახატებში არსებობს ერთდროულად, მაყურებლის თვალი ერთობლივად მოიცავს მიკრო და მაკრო

კოსმოსს: კოსმოსური სიდიადით მშვენიერი ზეციდან — იმერელი გლეხის თოვლში თითქოს სამუდამოდ ჩაფლულ ურმამდე, უწვრილეს ბზარებამდე თიხის ქურქლის კედლებზე, ხის ღობის უხემ ხიწვებამდე, გასაოგნებლად რეალური თოვლის მასიდან ხის ტოტებზე — ისევ ენით გამოუთქმელი ცის სიმაღლემდე, ღრუბლებში იდუმალად მოცურავე მთვარემდე, უკიდვანო კოსმოსამდე... მაგრამ, ჰიპერრეალიზმის ცივი და მშრალი დოკუმენტალიზმისგან განსხვავებით, ყველაფერი, რასაც გურამი რომანტიკული ხედვით,




“მთვარის სიმფონია”

თბილი ადამიანური გრძობითა და ჭეშმარიტი ეროვნული სულით ასახავს, იძენს განსაკუთრებული პოეტური სუბსტანციების ხასიათს. თუმცა ეს ბურუსიც, ეს ჯადოსნური მთვარის შუქიც, ამ საოცარი ღრუბლების ატმოსფერული დრამაც, ეს თოვლის ნამქერიც და მთვარის შუქის ქვეშ გაყინული გუბის ბრწყინვალე ზედაპირიც — არა მხოლოდ მხატვრის პოეტურ მსოფლშეგრძნებაში წარმოშობილი სიმბოლოები, არამედ სავსებით კონკრეტული და მხატვრის საყვარელი სამშობლო — იმერეთია.

“იმერეთის ზამთრის” პეიზაჟებში ფაფუკი და მსუბუქი თოვლი მძიმდება მოხუცი ქალისათვის, რომელიც ნიჩბით ჭიშკრისკენ მიმავალ გზას ასუფთავებს. საოცრად ლამაზ ნახატში “იმერული ნატურმორტი. ზაფხული” გვირილების ველობი გათელილია სამეურნეო ინვენტარით და ამ უბრალო საგნების “პორტრეტები” დამუშავებულია მხატვრის მიერ უკიდურეს წვრილმანებამდე, მათ ზედაპირზე დროის თუ ადამიანის მიერ დატოვებულ დაზიანებამდე. მისი კომპოზიცია — თითქოს დიდი პანორამის ფრაგმენტი, რომელშიც მხატვრის სკურპულოზული დაკვირვება თითქმის სტერეოსკოპიულად შეისწავლის გაჩერებული კადრის ყოველი საგნის, ყოველი ფორმის ინდივიდუალურ ხასიათს, — მომხიბვლელი და საოცარია თავისი უშუალო ბუნებრიობით. ილუზორულამდე უტყუარი და ამავე დროს ფანტასტიკურია მისი პეიზაჟები — მთის სოფლები, ტყის პირები თუ ველები, რომლებიც სავსეა კაშკაშა მზის თუ ჯადოსნური მთვარის შუქით. ეს შუქი — გურამის ნახატების მთავარი გმირია, რომელიც უნატიფესი ოსტატობით ავლენს საგნების ფორმებს, ხან ივსება დრამატული ძალით, ხან უნაზესი ბრწყინვალეობით ეფინება გარემოს, ხან პოეტური ელეგიურობით, ხან კი რომანტიკული აღფრთოვანებით ავსებს მას.

საოცრად უნიკალურია გ. დოლენჯაშვილის ტექნიკა. მუშაობა იწყება უბრალო ფანქრით ან ვიწროგრიფელიანი კალმისტრებით კომპოზიციის ზოგადი ხასიათის ძიებით. შემდეგ იქმნება ქვეფენილი — საგნებისა და ფორმების მოკლე პარალელური შტრიხებით მონიშვნა, რაც საფუძველს უქმნის მომდევნო, ე.წ.

ლესირების, ანუ ქვეფენილზე გამჭვირვალე თუ ნახევრადგამჭვირვალე ტონების განლაგების პროცესის დაწყებას. აქ რაიმე შესწორება გამორიცხულია, რადგანაც შეიძლება დაიკარგოს ჰაერის ან შუქის სიფაქიზის შეგრძნება. უნატიფესი ლესირების მეთოდით გადმოიცემა შუქის ცხოვრება. სივრცეში, წარმოიშობა



“თეთრი ხიდი”

სივრცის ისეთი პლასტიკური უწყვეტობა და ისეთი ურთიერთმედწევადი შუქოვანი ნაკადები, რომლებიც ფანქრით ნახატებს თითქმის ფერწერულ სურათებად აქცევენ. ჩინელი და იაპონელი ოსტატებისგან განსხვავებით, რომელთაც იზიდავს სიბრტყითი ნახატის ესთეტიკა, გ. დოლენჯაშვილის პოეტური მსოფლშეგრძნება ემყარება ევროპული ტიპის აზროვნებას, დაფუძნებულს სივრცის საგრძნობი პლასტიკურობის უპირატესობაზე.

გურამ დოლენჯაშვილის ფანტასტიკური რეალიზმის ზემოქმედება რეალური ბუნების ზემოქმედების ტოლფასია. თითქოს გვეჩვენება, რომ მის ნახატებში არ არის მხატვრის გარდამსახველი ნების გამოვლინება. იგი ისწრაფვის, რაც შეიძლება ზუსტად და ობიექტურად გამოსახოს ბუნება, გამომდინარე რწმენიდან, რომ ასეთი ნაწარმოებები უფრო ძლიერად მოქმედებს მაყურებელზე, რამეთუ ბუნება თავისთავად უკვე მშვენიერი და მეტყველია.

დამოწმებული ლიტერატურა

- ბ. სოლოვიოვა, 1989 - Соловьёва Б.А. Искусство рисунка. М., 1989.
Мастер карандашного рисунка. Альбом-каталог выставки. М., 2006.
Советская графика-74, М.,1976.
Советская графика -7. М.,1983.

ZURAB TODUA**“GEORGIAN SYMBOLS BORN ON THE SUMMIT
OF GRAPHICS”**

In the article the author gives the consistent review of the graphic works of one of the best artist of graphics of modern time G. Dolenjashvili. He marks the thematic-plastic specifics, subdivides the signs which became the defining point for creative works of mature period, reviews some characteristic samples. Special attention is given to graphic series performed during the last 20 years (“Theses of Imereti”, “Imeretian Motives” “Moonlight nights of Imereti”, etc) , which gave the worldwide recognition to the master of drawings. The author analyses the unique techniques of graphics, composition and light-tonal specifics, some characteristic signs of the painter’s poetics.

სოფიო იმედაძე

“მანანა” ლექსება სულხან-საბა ორბელიანის
ლექსიკონში

მანანა — (+16,[32] გამოსლ. ZA) ზეცით შთამოვრდომილად ითქმის, ხოლო ენითა ასურულითა მანანა რაჟაო, ვინათ(გან) არა იცოდეს რა იყო, ამისთვის იკითხვიდენ რაჟაო, და მით ეწოდა მანანა (+მანანა თეთრი იყო, მსგავსი ქინძის მარცვლისა, თაფლებრ ტკბილი, მზე დაადნობდის ZA) ZAB (საბა, 1991, გვ. 433).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მანანა (მანანისა) რელიგიური ტერმინია: ებრ. “მან ჰუ - რა არის ეს”. ბიბლიის მიხედვით, “ტკბილი და ნოყიერი საჭმელია, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას” (ქეგლ).

“როცა ისრაელის შვილებმა პირველად დაინახეს (მანანა), ჰკითხეს ერთმანეთს: რა არის ეს? და მოსემ უთხრა მათ. ეს არის პური, რომელიც ღმერთმა მოგცათ საკვებად (გამოსვლა 16:15)”. ეს იყო “ვითარცა თესლი ქინძისა სპეტაკი და გემოჲ მისი ვითარცა კიპრუჭი თაფლსა შინა”. დავით ებრაელთა მეფე მანანას მოიხსენიებს “ზეცის პურად” (ფს. 77, 24) (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007, გვ. 538). “თეთრი თაფლნარევი პურის მსგავსი ნამცეცები, რომელიც უფალმა გამოუგზავნა ეგვიპტიდან გაქცეულ ებრაელებს, ცვიოდა ციდან ყოველდღე გარდა შაბათისა, ამით იკვებებოდნენ ისრაელიანები 40 წლის განმავლობაში, სანამ აღთქმულ ქვეყანაში არ შევიდნენ” (ბიბლიური ლექსიკონი, გვ. 37).

მ. ნედოსპასოვა ფრეიტაგსა და გეზენიუსზე დაყრდნობით მიუთითებს ამ ლექსემის ებრაულ წარმომავლობას: ID- იალლუნის. ერთ-ერთი სახეობის ნაყოფი, რომლის წებოვანი ტკბილი წვენი დამწიფების დროს მიწაზე ჩამოდის (მ. ნედოსპასოვა, 1978, გვ. 74). “საკვები, რომელსაც ჭამდნენ ისრაელის ძენი უდაბნოში სეტიალისას. “თორის” მიხედვით, ცვიოდა ციდან (ი. შვეიკა, 1997, გვ. 1058). ბოლო თანხმონის გემინირებული ფორმით დამკვიდრდა იგი ბერძნულ: $\mu\alpha\nu\nu\alpha$ /manna “მცენარე *Glyceria fluitans*” (ა. ვეისმანი, გვ. 1899), სირიულ manna (ბროკელმანი, 1893, გვ. 189), არამეულ (ს. ფრენკელი, 1886, გვ. 203) და არაბულ ენაში - مَنَّان mann “საჩუქარი, წყალობა, მადლი, მანანა” (გ. წერეთელი, 1951, გვ. 247; ვ. გირგასი 1881, გვ. 769). ღვთის მიერ ბოძებული საკვების მნიშვნელობებით დასტურდება ეს ლექსემა ყურანში: $\text{انزلنا عليكم المن والسلوى}$ /anzalna +alaikum almanna wa s-salwaa 2: 57 (მ. ბადავი, 2008). ამ უკანასკნელში იგი 27 -ჯერაა ნახსენები (ა. ომარი, 1986, გვ. 20).

ალ-ვასიტის ლექსიკონში ვკითხულობთ: “ مَنَّان 1. წებოვანი ნივთიერება, როგორც ნაყოფი, რომელსაც ზოგიერთი ხე გამოჰყოფს; 2. ცვივა ციდან, ხეებსა და ქვებზე ეწებება და ხმება, მიიღება როგორც წებოვანი მასა, რომელიც

საჭმელად ძალიან გემრიელია” (ალ-ვასიტი, 2004, გვ. 203). ალ-ჯავჰარი მას მოიხსენიებს, როგორც “ტკბილ საჭმელს, **მანანას** სოკოები” (ალ-ჯავჰარი, 112) არაბული წარმოშობის ლექსემა იგი ჯონსონის ლექსიკონში: “ციური ტკბილი ნამი, რომელიც გროვდება, როგორც ნაყოფი” (ფ. ჯონსონი, 1852, გვ. 1251).

არაბიზმია იგი “ციური **მანანას** მნიშვნელობით” სპარსულ ენაში (ანვარი, 1382, გვ. 2315). ებრ. **מַנַּן** > არაბ. **مَنَّان** > ქართ. **მანანა**. გემინირებულ თანხმოვანს შორის ნასესხობაში გაჩნდა “ა” ხმოვანი. ქართული და სომხური ენა ამ ლექსემის აღსანიშნავად იყენებს **მანანა/manana** ფორმას.

აქადური მითოლოგიის თანახმად, **“მანანა** იმ ათ საგანთაშორისაა, რომელიც პირველი პარასკევის ღამეს შეიქმნა. **მანანა** იმდენი რაოდენობით ცვიოდა, რომ შეეძლო მთელი ებრაელი ხალხის გამოკვება 2 ათასი წლის განმავლობაში. მასთან ერთად ცვიოდა, აგრეთვე, ძვირფასი თვლებიც, რომელთა ბრწყინვალეობაც, მხოლოდ აღმოსავლელი და დასავლელი მეფეებისთვის იყო თვალხილული. ერთი გადმოცემით, მორწმუნენი **მანანას** თავიანთ კარვებში პოულობდნენ, ნაკლებად მორწმუნეთ მოშორებით უხდებოდათ წასვლა, ხოლო უგუნურთ კიდევ უფრო შორს. მეორე ვერსიით, პირიქით, მორწმუნენი **მანანას** მინდორში აგროვებდნენ, ნაკლებ მორწმუნენი თავიანთ კარვებთან, ხოლო ზარმაცებს პირდაპირ საწოლში უცვიოდათ.

ციურ **მანანაზე** შექმნილი მითები უკავშირდება მწერებს, რომლებიც სინას უდაბნოში ამოზრდილი ველური იალღუნის ტოტებზე ბინადრობენ. მათი გამონაყოფი ტკბილი გემოს ნივთიერებაა. სინას ბედუინები მას დღემდე აგროვებენ და, “ციური **მანანას**” სახელწოდებით, საჭმელად იყენებენ (ფ. ბოდენჰეიმერი, 1929).

ქართულ დიალექტებში **მანანა** ლექსემა სხვადასხვა მნიშვნელობებით ფიქსირდება. “კუთხ. ქართლურ, გურულ დიალექტებში **მანანა** - მცირე, პატარა. ერთი მარტილი მასესხეო. ერთი პატარა **მანანა** ხან გაიცინებს, ხან არა (გამოცანა: ციცინათელა). ზრდაში ჩამორჩენილი, ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის ჭია (გ. შარაშ.), პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილი თითო-ოროლა წვნიკი აბრეშუმის ჭია (ს. მენტ.). იმერულ დიალექტში: წითელი საღებავი (კვერცხის შესაღებად). მანანით დაწითლებული თითები” (ქეგლ).

ქიზიყურში: “სინსლივით (ჟინჟლივით) წვიმს მზეში ივნისსა და ივლისში. იცის ცაცხვისა და კაკლის ფოთოლზე; ჭინჭარზეც. მზეზე ბრწყინავს. ფუტკარი თავლად აგროვებს” (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 342). იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: “მოულოდნელად მისწრებული დახმარება; სასიხარულო, სასიამოვნო რამ. ვაჟი მოგვცა [ღვდა ღვთისამ], მით გვიწვიმა ციდან **მანანა**ო (რ. ერისთ.) “ასი მანათი ახლა ციდან ჩამოვარდნილი **მანანა** იქნება (ნ. ნაკაშ.)” (ქეგლ).

მანანა გარდა ღვთიური საკვებისა, არის “ღმრთივდიდებულთა წმიდათათჳს შესხმანი, სულისა დამატკობელნი, რომელსა ეწოდების **“მანანა”** - კრებული, რომელიც შეიცავს ორმოც **“შესხმას”**: ღვთისმშობლისა, იესო ტკბილისა, ჯვარისა, ანგელოზისა, ნათლისმცემლისა, მოციქულებისა, მოწამეებისა, მღვდელმოდღვართა და ღირსთა მამათა. კრებული შედგენილია ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრის მოღვაწის, გაბრიელ მცირის (XVIII ს.) მიერ. ამ წიგნს, როგორც ბოლოსიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეწოდება **“მანანა”** ღვთისმშობლის

სიყვარულისთვის, ვინაიდან მისგან მივიღეთ ჩვენ ჭეშმარიტი პური ცხოვრებისა - იესო ტკბილი. ის შეიცავს 40 თავს იმის მომასწავლებლად, რომ 40 დღიანი წარღვნისაგან ნოე კიდობანში ვაღარჩა, 40 დღე მოსე გაბრწყინდა ღვთის ხედვითა, ილია 40 დღე მარხულობდა, იესო ქრისტე მე-40 დღეს ტაძარში მიიყვანეს, მან 40 დღის მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მეორმოცე დღეს ამაღლდა” (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007, 538).

ქართულ წერილობით ძეგლებში “**მანანა**” ლექსემა “ქართულ ოთხთავში” დასტურდება (ი. იმნაიშვილი, 1986). **მანანა** ძველებრაული წარმოშობის არაბიზებული ლექსემაა, რომელიც, სავარაუდოდ, ბერძნულის გზით დამკვიდრდა ქართულში.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ალ-ვასიტი, 2004** - المعجم الوسيط (2004). الطبعة الرابعة. مكتب الشروق الدولية
- ალ-ჯავჰარი** - www.almaany.com/ar/dict/ar-ar الجوهري - قاموس المعامي.
- ანვარი, 1382** - انوری ح. (1382). فرهنگ نشرده سخن. تهران: کتابخانه ملی ایران
- მ. ბადავი, 2008** - Elsaid M. Badawi Muhammad Abdel Haleem (2008). Arabic-English Dictionary of Qur’anic Usage. Leiden-Boston.
- ვ. ბერიძე, 1912** - ვ.ბერიძე, (1912). სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. ს.—პტ., Типография императорской академии наук.
- ბიბლიური ლექსიკონი** - www.bu.org.ge/books/844
- ფ. ბოდენჰეიმერი, 1929** - Ergebnisse de Sinai — Expedition 1927 der Hebräischen Universität, Jerusalem, Hrsg. Von F.S. Bodenheimer und O. Theodor, LPZ, 1929.
- ვ. ბროკელმანი, 1893** - Lexicon Syriacum Carolo Brockelmann Praefatus est Th. Nöldeke. Edinburg, Berlin 1893
- გეზენიუსი, 1910** - Hebräisches und aramäisches Handwörterbuch ber das Alte Testament, Leipzig 1910;
- გ. გასარასი, 2006** - Гиргас В. Ф. Арабско-русский словарь к корану и хадисам, М-СП, 2006, “ДИЛЯ” Москва.
- ა. ვეისმანი, 1899** - Вейсман А. Д. Гречесско _ русский словарь. С. Петербург. 1899.
- მ. ივანიშვილი, 2014** - მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, თბ., 2014.
- ი. იმნაიშვილი, 1986** - ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1986.
- მ. ნედოსპასოვა, 1978** - მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ., 1978.
- ა. ომარი, 1986** - ‘Abdul Mannan ‘Omar (1986). Dictionary of the Holy Qur’an. Editor, Encyclopedia of Islam.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2007.

საბა, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, “ლექსიკონი ქართული”, ტ. I ; II, თბ., 1991 და 1993.

მ. ფასმერი, 1964-1973 - Фасмер М.Р. (1964-1973). Етимологический словарь русского языка _ М. Прогресс.

ს. ფრენკელი, 1886 - Frankel S. (1886). Die aramaischen Fremdwörter im Arabischen. Lieden

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი” ტ. I- VIII (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი 1950-64: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”.

აღ. ლლონტი, 1984 - ლლონტი აღ. (1984). ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, “განათლება”, თბილისი

ო. შვეიკა, 1997 - Iakov Shveika (1997). Rav milim — hamilon hashalem ibri-ibri. Israel.

გ. წერეთელი, 1951 - წერეთელი გ. (1951): არაბულ-ქართული ლექსიკონი, “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”; თბ.

ფ. ჯონსონი, 1852 - Jonson F. (1852), A Dictionary Persian, Arabic and English. London: Published under the Patronage of the Honourable East-india company.

SOPHIO IMEDADZE

THE LEXICAL UNIT ‘MANANA’ IN SULKHAN SABA ORBELIANI’S ‘GEORGIAN DICTIONARY’

The lexical unit ‘manana’, which is the equivalent of biblical ‘heavenly food’ is confirmed in the ‘Georgian dictionary’ of Suikhan Saba Orbeliani. It derives from an ancient Jewish מָן /man/ man hu – form ‘what is it?’ According to the bible, the food, which has been falling from the sky. Alternatively, one of the variety species of tamari of which the ‘sticky sweet juice falls on the ground when it ripens. ‘Manana’ lexemes in Greek language with the last constant: $\mu\alpha\nu\nu$ /manna „plant Glyceria fluitans“ and in Arabic - مَنَّان /mann „gift, mercy, clemency, heather.” Georgian and Armenian languages use heather/manana form as a designation of this lexeme.

In Georgian writing monuments lexeme ‘heather’ is confirmed in ‘Georgian four chapter’.

It can be thought that the abovementioned lexeme could be derived in Georgian from Greek language.

ეთერ ინჟინირველი

იუდაისტური ღემონოლოგიური სახის
ტრანსფორმაცია ქართულ
გეამორსიტყვიერებასა და მწერლობაში

ერთი სვანური გადმოცემა - სათაურით “სამალ” - პირდაპირ ეშმაკის შეჩვენებით იწყება, სადაც მთქმელი მას სვანეთში ვენახის არარსებობის გამო წყველის. გადმოცემის თანახმად, როდესაც ქრისტე ქართლ-კახეთში ხეხილსა და ვაზს ქმნიდა, **სამაელი (სატანა)** ამ დროს სვანეთში იყო. სვანეთის გასაშენებლად წასულ ქრისტეს ის გზად დახვდა და უთხრა, რომ მან სვანეთში უკვე გააშენა ვაზი. გადმოცემის თანახმად, ქრისტეს დაუჭერებია სატანისთვის და უკან მობრუნებულა. მობრუნებისას თავისი რამის ფლოქვებით ანაბეჭდი დაუტოვებია ქვაზე, საიდანაც წყარო წამომსკდარა; იმ ადგილს ეწოდა “ქრისტე ნაჩონ”, რაც ნიშნავს “ქრისტეს მოსახვევს” (СМОНІК X, 1890, გვ. 245–251)¹. სვანები სვანეთის მიწის უნაყოფობას სწორედ ამ გადმოცემას, კერძოდ სამაელს, უკავშირებენ.

არც თუ პოპულარული პერსონაჟი, რომლის საკუთარი სახელიც კი ვარირებულია ფოლკლორში (სამაელი, სამაელი, სამოელი, სამველი), საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში განსხვავებული სახით გვხვდება; მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფოლკლორში სამაელს რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული ნარატივი უკავშირდება (რომელთაც სათითაოდ განვიხილავთ ქვემოთ), ის ყველგან ინარჩუნებს თავის წიგნურ-ფოლკლორულ სახეს, ანუ საწყის, პირველად ფუნქციასა და მნიშვნელობას და ყველგან ბოროტი ძალის მანიფესტაციას წარმოადგენს, თუმცა ფოლკლორში ეს პირველადი ფუნქცია სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული. ჩვენი აზრით, ქართულ ფოლკლორში ბოროტი ძალის (სატანის) ეს კონკრეტული პერსონიფიკაცია უძველეს წიგნურ წყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული: უძველეს იუდაისტურ და გნოსტიკურ აპოკრიფებში სამაელი სატანის, გაამბარტავებული ანგელოზის და ღმერთთან დაპირისპირებული (დემიურგული) ძალის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია იუდაისტური დემონოლოგიური სახის ტრანსფორმაციების შესწავლა ქართულ სივრცეში.

ზემოთ მოყვანილ სვანურ გადმოცემაში, რომელშიც **სამაელი** სვანეთში ვაზის დათესვას იბრალებს, მისი ერთ-ერთი ფუნქცია უნაყოფობასთან არის

¹ სხვა ვარიანტის თანახმად, ეს ამბავი სოფ. ცაგერიდან 10 კილომეტრში მოხდა და იმ ადგილს ეწოდება “აშარა”. ცხენისწყლის პირას, ზედ ვაზზე გდია დიდი და ბრტყელი ქვა. ზედ ამჩნევია კაცისა და ჯორის ფეხი. “ყველა სვანი დარწმუნებულია - წერს ბ. ნიჟარაძე - რომ ეს სახე კაცისა და ჯორის ფეხისა სწორედ ქრისტესი და იმის ჯორის ნაკვალევია... ქრისტემ აქამდე მოსვლის ნიშნად ფეხი დაარტყა ქვაზე და ჯორსაც უბრძანა, ქვას ფეხი დაჰკარაო”. ქრისტე შებრუნდა და ამიტომ სვანეთში არ ხარობს ვაზი; მხოლოდ სული დაჰბერა სვანეთისკენ, რომელმაც ლენტეხში ააღწია და ამიტომაც მხოლოდ ლენტეხში ხეირობს ვენახი (ბ. ნიჟარაძე 143-144).

დაკავშირებული. ეთიოპიურ აპოკრიფულ “ბარუქის წიგნში” სამაელს სინამდვილეშიც მიეწერება ვაზის დარგვა. ბარუქის წიგნის თანახმად, მცენარე, რომლის ნაყოფიც ადამმა და ევამ იგემეს, სამაელის მიერ დარგული ვაზის ღერწამი იყო, რის გამოც უფალი მას განუჩინებდა და შეაჩვენა (ბარუქი 4.10)². იმავე “ბარუქის წიგნის” მე-9 თავში კი ნათქვამია, რომ ადამისა და ევას ცდუნების დროს გველის ტყავი სწორედ სამაილმა გადაიკვა, რითიც სამაელის ფუნქცია ადამის ცოდვით დაცემის ინიციატორად და მონაწილედ განისაზღვრა³.

სამაელი-თხა. “ბარუქის წიგნის” ანალოგიურად, სვანურ კოსმოგონიურ გადმოცემაშიც ადამსა და ევას შეაცდენს სამაელი, ოღონდ არა გველის, არამედ თხის სახით. ბესარიონ ნიჟარაძის მოყვანილ ვრცელ ტექსტში სამაელის ფიზიკური შეხედულება თხას უკავშირდება (ბ. ნიჟარაძე, 1962, გვ. 139). ქართულ ფოლკლორში ეშმაკი ხშირად სწორედ თხის სახით არის წარმოდგენილი⁴; ჩუკულის ეკლესიის (ქვ. სვანეთი, XVII ს.) ფრესკაზეც კი, განკითხვის დღეს ეშმაკებს აქვთ თხის სახე, ხოლო თვითონ ფრესკას აქვს მინაწერი - “ჯოჯობეთისა პატრონი”.

სამაელის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ **ჯოჯობეთის პატრონობა**, სადაც ის ადამიანთა სულებს ამწყვედევს და აწამებს. სვანური კოსმოგონიური მითის თანახმად, სამაელი ღმერთს ადამიანთა სულებზე მბრძანებლობას გამოსტაცებს და ჯოჯობეთში მიდის. ერთადერთი, ვისაც ძალუძს, წინააღმდეგობა გაუწიოს სამაელს, არის არა ბიბლიური მამა ღმერთი, არამედ ქრისტე, რომელიც მიდის ჯოჯობეთში ადამიანთა სულების სამაელის ტყვეობიდან გამოსახსნელად, სამაელი კი ჯოჯობეთის კარს ჩაუკეტავს და ორი თვის განმავლობაში სიბნელეში ამყოფებს ქრისტეს. ბოლოს ქრისტე იპოვის გამოსავალს, გამოვა ჯოჯობეთიდან და გამოიხსნის ადამიანთა სულებს. სამაელისა და იესო ქრისტეს დაპირისპირების ამსახველი სვანური გადმოცემა თავისებურად აისახა სვანურ იკონოგრაფიაში. კერძოდ, ლაშთხვერის (ზემო სვანეთი, ლენჯერის თემი) თარინგზელის (მთავარანგელოზის) ეკლესიაში, ჩრდილოეთ კედლის ჯოჯობეთის წარმოტყვევნის ფრესკაზე (XIV-XV სს. მიჯნა) ეშმაკს ასომთავრულით თეთრად აქვს მიწერილი “სამაელ”⁵, რაზეც ხელოვნებათმცოდნე მარინე ყენიამ მიგვითითა და რომლის აზრითაც, ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკულ მონატულობაში რამდენიმე სცენა, და მათ შორის ზემოთ მოყვანილიც, განსხვავებულად არის წარმოდგენილი.

² Откровение Варуха, - Перевод выполнен по первому изданию текста в книге: М. R. James. Apocrypha anecdota. V. II. Cambridge, 1897. - http://www.gumer.info/bogoslov_Buks/apokrif/Otk_Var.php

³ იუდაისტური ლიტერატურაში, კერძოდ, თორას ტექსტის სწავლება-განმარტებებში - მიშნაში (Sota 10b) სამაელი აღნიშნულია, როგორც ედემის მფარველი ანგელოზი და მითითებულია, აგრეთვე, რომ ის არის პასუხისმგებელი ევას ცოდვით დაცემასა და კაენის მიერ აბელის მოკვლაზე. სწორედ ის ეცხადება ევას გველის სახით. თალმულში სამაელი მოიაზრება, ასევე, კაენის მამად.

⁴ კუმულატიური ტიპის მგერულ კოსმოგონიურ ლეგენდაში ღმერთის მიერ გაჩენილ ყურძენს ჭამს ეშმაკის მიერ გაჩენილი თხა, რომელსაც უფლის მიერ გაჩენილი მგელი შეჭამს - ქობალია, СМОМПК 1903, #32, III, გვ. 89

⁵ ზემო სვანეთი, შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა, შემდგ. მ. ყენია, 2010, გვ. 239.

სატანის მეწყვილე. სამაელის ერთ-ერთი ფუნქცია რელიგიურ ფოლკლორში სატანის მეწყვილეობაა. ასეთ შემთხვევაში მას პირველადი და ინდივიდუალური ფუნქცია კი არ მიეწერება, არამედ მეორეული, რამდენადაც სატანის მეწყვილედ მოიაზრება; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გავრცელებულია სამაელის მონაწილეობა ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის ნგრევასთან დაკავშირებულ რელიგიურ ლექსში “ჯოჯოხეთში ვინ არის”, რომელიც პეტრე უმიკაშვილის არქივშია დაცული ორ ვარიანტად⁶: ლექსი მოგვითხრობს ცოდვითა შესახებ, რომლებიც ჯოჯოხეთში არიან და საშინელი სასჯელით იტანჯებიან. ჯოჯოხეთში მათ ჩადებას უზრუნველყოფენ სამოელი და სატანა: “გამოსცვივდნენ ეშმაკები, სატანა და სამოელი, ერთს ეჭირა ჟინჟილი და მეორესა რკინის კვერი” (პოეზია, 1973, გვ. 148).

რაც შეეხება ლექსის უპასპორტო ჩანაწერს, მას განსხვავებული დასაწყისი აქვს:

“ზენთონ ეწვალა უფალი, სატანჯველი ნახა ბევრი.

ჯერ მოკვდა, მერე გაცოცხლდა, ივანე ლაზარეული.

ჩადგა რიგში, ამილო ეშმაკების ხელნაწერი

ათი კუთხე დაანგრია, მეთერთმეტეს მიჰყო ხელი

იქ ეშმაკები წამოდგნენ – სატანა და სამუელი:

თუ რომ ეგრეცა დანგრიე, შენ საქმე მოგივა ძნელი” (ფაუფ, 2218. გვ. 7-3, ID 25765).

ეს სააღდგომო შინაარსის რელიგიური ლექსი, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ ჩადის იესო ქრისტე ჯოჯოხეთში და როგორ ანგრევს მას, იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ნახსენები “ეშმაკების ხელნაწერი” ადამისა და სატანის ხელწერილზე მიუთითებს, რომელიც ადამმა ცოდვით დაცემის შემდეგ დაღო ეშმაკთან და მოგვიანებით იესო ქრისტემ გაანადგურა ის. მოსე ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტში, ადამის მიერ ეშმაკთან ხელწერილის დადება ევას სამშობიარო ტკივილებისგან გათავისუფლების მიზნით ხდება, სადაც ეშმაკის ფუნქციას სამაელი ითავსებს, ანუ ადამი სამაელთან დებს ხელწერილს (СМОНІК ОѲІІ, 1893, II, გვ. 144-145)⁷.

ასევე სატანის გვერდით არის მოხსენიებული **სამაელი** “იობის ლექსის” ზაქარია ვრაცხიშვილ ვარიანტში (ჩაწერილია აბ. ცანავას მიერ, ფ.არქ. №31681). ხალხური ლექსი ბიბლიური იობის ამბავს მოგვითხრობს, სადაც მთქმელი შესავალშივე განმარტავს, რომ სატანას გადაწყვეტილი აქვს იობის შეცდენა.

⁶ ერთ-ერთი დაბეჭდილია უმიკაშვილის I ტომში, №232, გვ. 152-153 და, აგრეთვე, ქართული ხალხური პოეზიის II ტომში გვ. 147-148. ხოლო მეორე - უპასპორტო ჩანაწერია, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში გვხვდება უმიკაშვილის ფონდში (ფაუფ2218. გვ. 7-3, ID 25765).

⁷ ადამის ეშმაკთან ხელწერილის დადება ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს. ფოლკლორული მოტივის ფაბულა ამგვარია: ადამი ხელწერილს დებს სატანასთან, რათა მან სიბნელიდან სინათლეში გაიყვანოს, ან ევა იხსნას სამშობიარო ტკივილებისგან. ეს ხელშეკრულება ინახება მდინარე იორდანეში ან ქვის ქვეშ. აესო ქრისტე ნააილისლებსას ანადგურებს ამ ხელწერილს.

ღმერთიც შეპირდება, რომ მის სულს ჩააბარებს, თუ ღმერთის ძვირს ათქმევინებს იოზს. მესტივირული ლექსის თხრობა ამგვარად გრძელდება:

“სატანამ და სამოველმა სულ ერთმანეთს პირი მისცა;

რა ვქნათ და რა მოვახერხოთ, თუ არ იტყვის ღმერთის ძვირსა!

ის შეილება დოუხოცეს, ერთი აღარ დარჩა ძირსა...” (პოეზია, 1973, გვ. 286).

მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ ქართულ სინამდვილეში სამოელი სატანასთან იყო გაიგივებული და არცთუ უსაფუძვლოდ. თუმცა მათი ერთად ხსენება ზოგჯერ გარკვეულ შაბლონს, ერთგვარ ფორმულასაც წააგავს, რომელსაც ესა თუ ის მთქმელი ხშირად გაუცნობიერებლადაც კი მიმართავს.

ოჯახის დამანგრეველი. სამაელს კიდევ ერთი ფუნქცია აქვს ქართულ

ფოლკლორში, კერძოდ, ის არის ეშმაკი, რომელიც არღვევს ოჯახურ კავშირს და ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებას ჩამოაგდებს. ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ქართლში, სოფ. გომარეთში ჩაწერილი ლექსი “ქართლელი ქალის ტირილი” (ვ. კოტეტიშვილი, 1961, გვ. 76) მოგვითხრობს ქმრის მიერ უდანაშაულოდ მოკლული ცოლის ამბავს ეჭვიანობის ნიადაგზე; მკვლევის მიერ დართული კომენტარის თანახმად, ეს ლექსი უძველესი თქმულების სასიმღერო ფორმას წარმოადგენს. მოყვანილია თქმულებაც: “ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ტკბილად და სიყვარულით. ერთხელ ქმარი სადღაც შორს უნდა წასულიყო. ერთმანეთს ასეთი პირობა დაუდეს: ნეკის ბეჭდები შევცვალოთ და ვისი ბეჭედიც გაშავდეს, ეს ღალატის ნიშანი იყვესო. წავიდა ქმარი. იმათ სიყვარულს სამალი (ეშმაკი) სდარაჯობდა. ეს სამალი გაჰყვა კაცს და ძილის დროს ბეჭედი შეუცვალა, შავი ბეჭედი გაუკეთა. გამოვლვიდა კაცსა, დახედა ბეჭედს, გულს შემოეყარა და გამოქანდა სახლისკენ. შემდეგ ის მოხდა, რაც ამ ლექსში არის მოთხრობილი” (ვ. კოტეტიშვილი, 1961, გვ. 359). ამგვარად, სამალი ასევე ბოროტ სულად არის წარმოდგენილი მესხურ გადმოცემაში, სადაც ის ცოლ-ქმარს შორის ეჭვიანობის ჩამომგდები და ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის ინსპირატორია⁸. მესხური გადმოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ სამალი, სხვა ტექსტებისგან განსხვავებით, სადაც ეშმაკთან ერთად არის ნახსენები, როგორც მისი მეწყვილე, ნარატიულ თხრობაშია ჩართული, ის ანტაგონისტური მოქმედი პირია და მისი ფუნქცია მისივე ქმედებებით განისაზღვრება.

მსგავსი ფუნქცია აქვს **სამაელს** “სოლომონი და კუნძულების ლექსის” ამერულ ვარიანტში, რომელიც ალექსი ოყრეშიძეს ჩაუწერია 1871 წელს

⁸ დემონოლოგიურ ლიტერატურაში უმეტესად ის გვხვდება, როგორც ქვეყნად სიკვდილის მომტანი ანგელოზი. კაბალაში სამაელის სახელი დაკავშირებულია ებრაულ დემონოლოგიაში ყველაზე უფრო შეზნუნელ მდებარეობით დემონთან - ლილითთან. სამაელი ზღბა ლილითის ქმარი, მას შემდეგ, რაც ის ადამს მიატოვებს და ისინი ერთად მართავენ უწმიდღურობის სამეფოს. შუა საუკუნეების ყველაზე ცნობილ დემონოლოგიურ წიგნში - “ოჰარში” სამაელი ასევე ლილითთან ერთადაა მოხსენიებული, როგორც “სხვა მხარის”, ბოროტების ანგელოზი. გველი არის ლილითის ნიშანი და სამაელი ამხედრებულია მასზე. შუა საუკუნეების გრავიურებში, სადაც ლილითი გველთან ერთად არის გამოხატული, გველი სამაელის ნიშანია. ზოგი გადმოცემით, სამაელი ბრმაა (Zohar Hadasch 31,4) და აქვს რქები (იქვე 101,3), სავარაუდოდ, სატანაზე ქრისტიანული წარმოდგენების გავლენით. ზოჰარში სამაელი არის, აგრეთვე, მამა და ქმარი დემონური მაცდური ქალებისა, რომლებიც საღვთო პროსტიტუციით არიან დაკავებულნი. სამაელისა და ლილითის კავშირი უკიდურესი ბოროტების კავშირად აღიქმება. თალმულში სამაელი გველის სახით აცდუნებს ევას, სინამდვილეში ამყარებს მასთან სექსუალურ კავშირს, რის შედეგადაც იბადება კაინი

წყალტუბოს რაიონის სოფ. სორმონში მოხუცებული მღვდლისგან: ვეზირი, რომელიც აღიარებს, რომ სოლომონ მეფის მოკვლა და მისი ცოლის ხელში ჩაგდება აქვს განზრახული, მკვლელობის ინსპირატორად სამუელს ასახელებს: “დღეში სამჯერ ამას ვიტყვი – თავს მოვჭრი სოლომონ ბრძენსა.

სამუელი მეუბნება – მოსჭერ, ბიჭო, რა იქნება.

მოღალატეს ჩავაფურთხებ, გაუშობ ცარიელსა” (ფაუფ, 0444 გვ. 1. ID 25239).

ლექის სხვა ვარიანტებში სოლომონის მოკვლას ვეზირს ეშმაკი შთააგონებს (ტექსტები იხ. პოეზია, 1973, გვ. 298-320). სამოელი ეშმაკის სახეს ცვლის ამ ვარიანტში.

შემოქმედებითი ძალა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც სამაელს სვანურ ფოლკლორში მიეწერება, ესაა კოსმოგონიური, შემოქმედებითი ძალა. სამყაროს პირველ შემადგენლობაში ღმერთთან ერთად არის ასევე სატანა – სამოელი. სწორედ მასთან არის დაკავშირებული სვანური დუალისტური კოსმოგონიის შექმნის მითი, რომლის თანახმად, ღმერთი კოსმოგონიურად უძლურია და ის სამყაროს სამაელის (ეშაკთა მთავრის) მითითებების თანახმად ქმნის. სამოელი სამყაროს თანაშემოქმედად თვლის თავს, ამიტომაც წილს სთხოვს ღმერთს. ეს წილი სვანურ ფოლკლორში ხან ადამიანთა სულების მბრძანებლობაში გამოიხატება, ხან - მიწისა და ცის გაყოფაში.

ამ ფუნქციით სამაელი, მართალია, არა სრულად, თუმცა გარკვეულწილად იმეორებს კოპტურ-გნოსტიკური აპოკრიფების სამაელის ფუნქციას, სადაც ის ბოროტი დემიურგის როლში გამოდის. ის არის ღემონი, რომელიც მფლობელობს ქაოსსა და მიწისქვეშეთზე და უპირისპირდება ძველი აღთქმის შემოქმედ ღმერთს. ზოგჯერ ის მოიხსენიება როგორც იალდაბაოთი, რაც ნიშნავს “ქაოსის შვილს”. მას ასევე ეწოდება საკლასი – ნიშნავს “ბრიყვს”⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ ნარატივში შემორჩენილი სამაელის სახე მხოლოდ ფრაგმენტულად ემთხვევა ებრაული და კოპტური ტექსტების სამაელს და არა სრულად, ფუნქციებიც მხოლოდ ნაწილობრივ მეორდება სვანურ ტექსტში, რომელიც თავისთავად ორიგინალურია იმით, რომ მსგავსი სიუჟეტი არსად გვხვდება; მიუხედავად იმისა, რომ სამაელი გახალხურებულია და მხოლოდ რამდენიმე სიუჟეტის ამარა კი არა, რწმენა-წარმოდგენების სახითაც არსებობს

⁹ 1945 წელს ეგვიპტეში, კერძოდ, ნაგ-ჰამადის არქეოლოგიური გათხრებისას ქრისტიანთა საფლავებიდან ამოღებული უძველესი ხელნაწერი კოპტურ-გნოსტიკური ტექსტის – “სამყაროს წარმოშობის შესახებ” - მიხედვით, სამაელი უმაღლესი მღვდრი ღვთაების - პისტის სოფიას შვილია, ლომთავა გველის სახით და ცეცხლოვანი თვალებით გამოხატული. სამაელი ფლობს უდიდეს ძალას, რომელიც მშობლისგან მიიღო და თავი ღმერთად გამოაცხადა. დაინახა რა დედამ მისი ცდომილება, უწოდა მას სამაელი, რაც ნიშნავს “ბრმა(თა) ღმერთს” (არამეულ ენაზე). http://apokrif.fullweb.ru/nag_hammadi/world.shtml

იოანეს გამოცხადების კოპტურ აპოკრიფში კი სამაელი დემიურგის მესამე სახელია. აქაც იგი გაიგება “ბრმა ღმერთად” (მითები, 1997, გვ. 397). ამის შემდეგ სამაელი “უმაღლესი ღმერთის” შესაქმნის ანალოგიით ქმნის სამყაროს, როგორც “პირქეში დემიურგი”, თუმცა გამუდმებით წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან, რადგან სმენია, რომ არსებობს მასზე უფრო მაღალი ღმერთი, რომელიც შემდეგ ხდება იესო ქრისტეს მამა. აქ იგი თავდაპირველ წყვილადს განასახიერებს, მეტიც: ის არის წყვილიაი, რომელშიც “სხვიის ნასახიც არ კრთება”.

ქართულ ყოფაში, მისი ხალხური წარმოშობის შესახებ კითხვაც კი არ იმის. მაგრამ ძნელია ასევე, დავადასტუროთ, კონკრეტულად რა იყო საფუძველში – გნოსტიციზმი, იუდაიზმი, კაბალა თუ სხვა რამ. გავრცელების წყარო მრავალი რამ შეიძლება იყოს: ებრაული დიასპორის ხანგრძლივი არსებობა საქართველოში; კობტების პერიოდული მიგრაციები საქართველოში; კობტურ ხელნაწერთა დიდი ნაწილის განადგურება ოფიციალური ეკლესიის მიერ; აპოკრიფების გავრცელების ძირითადად ზეპირი გზა და ფოლკლორში გადასვლა და სხვ.

სამაელი ქართულ წერილობით წყაროებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე შემორჩენილ აპოკრიფებში არსად დასტურდება სამაელის სახელი (ამ მხრივ სპეციალური კვლევა პირადად არ ჩამიტარებია, რადგან ბატონი ედიშერ ჭელიძის კომპეტენციას ვენდე), აშკარაა, რომ სამაელთან დაკავშირებით ფოლკლორში შემონახულია სწორედ აპოკრიფული ცოდნა (იგულისხმება კოსმოგონიურ მითოლოგიაში სატანის მონაწილეობა, რაც დუალისტური კოსმოგონიის პრეცედენტს ქმნის ქართულ ფოლკლორში), რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება ბიბლიურ მოძღვრებას.

ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად ხალხში პერიოდულად შემოდოდა და ვრცელდებოდა ეკლესიის მიერ არაკანონიკურად შეფასებული სხვადასხვა ტიპის სწავლება (თავის შესაბამის რელიგიურ ლიტერატურასთან ერთად), რომელიც, ეკლესიისგან დევნის მიუხედავად, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მკვიდრდებოდა კიდევ ხალხში. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, როცა წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოებას მხოლოდ არისტოკრატია და სამღვდელოება წარმოადგენდა, ნებისმიერი ცოდნის (კანონიკურის თუ არაკანონიკურის) გავრცელების ერთადერთი საშუალება ზეპირსიტყვიერება იყო. ეკლესიის მიერ დევნილ აპოკრიფულ ლიტერატურასთან შეხება ჰქონდათ არა მხოლოდ მათ გამავრცელებლებს (სექტანტებს), არამედ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სასულიერო პირებს, რომლებიც წყვეტდნენ ტექსტის კანონიკურობის საკითხს (მაგალითად, ექვთიმე ათონელი პირდაპირ მიუთითებს კანონიკურ და არაკანონიკურ ლიტერატურას). მიუხედავად ამისა, მაინც საკვირველად გვეჩვენება, რომ ებრაული დემონოლოგიის ყველაზე პირქუში დემონის და კობტური გნოსტიციზმის ბოროტი დემიურგის - სამაელის სახელს აპოკრიფულ ლიტერატურაში კი არა, მე-12 საუკუნის სასულიერო მოღვაწესთან - ნიკოლოზ გულაბერიძესთან ეხედებიან. ტექსტში “საკითხავე სვეტიცხოველისაჲ” ავტორი სამოელს ახსენებს, როგორც ეშმაკის საკუთარ სახელს: “ზოლო ვინაფთვან იგი წყეული მტერი ნათესავისა ჩუენისაჲ სამოელი სიამპარტავნითა და ზუაობითა ბოროტად დაეცა, ეგრეთვე უკუე ჩუენცა თავჯდობისა მიერ სიამპარტავნით განდგომილებითა ღმრთისა და შემოქმედისა ჩუენისათა დაგვმონა” (საბინინი, 1882, გვ. 82). ტექსტის თანახმად, წმინდა ნინო ჩვენი “გამომხსნელია სამოელის მონებისა და ტყვეობისაგან” (საბინინი, 1882, გვ. 71).

მკვლევარი ეკა ჩიკვაძე გულაბერიძის ტექსტის შესწავლისას მოიხმობს ჩვენთვის ნაცნობ დუალისტურ სვანურ მითს და გულაბერიძესთან დამოწმებულ ფორმას (სამოელი) უდარებს, აგრეთვე, ილია აბულაძის მიერ მითითებულ ორ ეპიზოდს მამათა ცხოვრებიდან: სამაელი – ეშმაკთა მთავარია: “ვიხილე სამაელ ყოველსა თანა მხედრობასა მისსა”/“შე სამაელ ვარ და სატანა” (ილ. აბულაძე, 1973, გვ. 361). მკვლევარი შენიშნავს საკუთარი სახელის ორ ფორმას -

სამაელი/სამოელი და მიიჩნევს, რომ “სამოელი” “სამაელის” დისიმილირებულ ფორმაა (ე. ჩიკვაიძე, 2009, გვ. 15).

სამჭერ იხსენიებს სამოელს ნიკოლოზ გულაბერისძე და თუმცა არავითარი აპოკრიფული სიუჟეტი არ მოჰყავს, მაინც ცხადი ხდება, რომ აპირისპირებს რა ერთმანეთს ქრისტესა და სამოელს, ავტორი მიაჩნის არაბიბლიური წარმოშობის ცოდნაზე, რაც ქართულ სინამდვილეში აპოკრიფული (თუნდაც ერეტიკული) ლიტერატურის არსებობასა და გავლენიანობაზე მეტყველებს.

ნიკოლოზ გულაბერიძე თავის სხვა თხზულებაშიც - “დაუჯდომელი სუეტისა და ცხოველისა და კუარტისა უფლისა” - მოიხსენიებს სამოელს ყრმათა დაკვლის მოსურნე დემონად, სატანად: “არმაზის ბაგინსა მას რაჟამს სისხლი ყრმათა ჩვილთა ორთქლოდა, სამოელისაგან ტკბილად იყნოსვიდა, ზოლო სული საწყალი მათი ჯოჯოხეთს სიმყარაღესა იგემებდა” (ნ. გულაბერისძე, 2007, გვ. 79).

დაცემულ ანგელოზად მოიაზრება სამოელი ქართლის ცხოვრებაში, კერძოდ თხზულების “ისტორიანი და აზმანი შარავეანდედთანი” ავტორის აზრით, სამოელი, რომელიც თავისი თავის და ადამიანთა მკვლელია, ციდან უფსკრულში ჩავიდა და ეშმაკად გადაიქცა.¹⁰ ტექსტის უფრო ადრეულ, კეკელიძისეულ რედაქციაში კი სამოელის ნაცვლად გვხვდება სამაელი: “სამაელისა, მკულელისა ჩუენისა და თვით თავისა მკულელისა” (კ. კეკელიძე, 1941, გვ. 71).

არაერთგზის მოიხსენიებს სამოელს დაცემულ ანგელოზად მე-17-18 საუკუნეებში მოღვაწე მეფე არჩილი თავის თხზულებაში “გაბაასება კაცისა და სოფლისა”. ავტორი საკმაოდ განავრცობს სამაელის თემას და ყველა შემთხვევაში ის ეშმაკის საკუთარ სახელად აქვს მოაზრებული:

ა) არჩილის აზრით, გაამპარტავნებული ანგელოზი სწორედ სამოელი და სატანაა, რომლებიც გადმოცვივდნენ ზეციდან და უფსკრული დაიმკვიდრეს, ნათელი ბნელით შეცვალეს და ეშმაკად გადაიქცნენ:

“სამოელსა და სატანას როს ესე დაემართოდეს,
იზრახეს ამპარტავნება, მაგრამ არ წარემართოდეს,
ანგელოზთ ბუნებისაგან უფროსად აღემართოდეს,
გარდახდეს საზღვარს უფლისას, რაზედაც დაემართოდეს” (არჩილი, 1936,

გვ. 25, №51).

ბ) თხზულებაში “გაბაასება კაცისა და სოფლისა”, რომელშიც მოცემულია ადამის სამდურავი საწუთროს მიმართ, ადამი უჩივის საწუთროს, რომ მისთვის (საწუთროსისთვის) ის (ადამი) მისალმები არ არის და რომ მას (საწუთროს) სამოელი მოსწონს:

“დედათა მალ ცთომილება შენვე იცი წამი ერთო,
ხან სიმდიდრის მომცემელო, მალე კიდევ წამიერთო,
მე არ გინდი, სამოელ გონავს, მეც დაგკარგე, წა მიერთო!

¹⁰ “ამას ესევეთარსა სისრულესა სოფლისა მონაგებთა და დიდებთასა აჰა მოიწია ჟამი ევას წყევისა და ადამის ცთომათაგან დანასაკი აბელ მართლისათ ვიდრე ზაქარიასა და ძმისა მისისა იოვანემდის, აღმსარებელთა მართალთასა, ჯოჯოხეთად ტვირთვად სამოელ მკვლელისა ჩუენისა და თვით თავისა მკვლელისა, ცით სათათ უფსკრულად ქუესკენელსა შთასრულსა, ანგელოზობისა და ნათელ-მოსილობისა სიბნელედ მყვისა და ეშმაკად გარდაქცეულსა, რომლისა ხხელთა შინა იპყრობოდეს მყუარებელნი და ყუარებულნი ღმრთისანი” (ს. ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 23).

დამემტერე ასეთ გვარად, ველარათი წამიერთო” (არჩილი, 1936, გვ. 24, №38).

გ) არჩილის მიხედვით, სამოელი არის ის, ვინც ადამმა აირჩია სამოთხის ნაცვლად:

“რად აირჩიე ამის წილ(სამოთხის წილ), ვაგლახ მე, შენ სამოელი? (არჩილი, 1936, გვ. 22, №26);

დ) სამოელს შეშურდა ადამის კეთილდღეობისა სამოთხეში:

“რადგან ეგზომი პატივი სამოელ ნახა შენია,

განალამც შეშურდებოდა, ეს ადვილ მოსასმენია (არჩილი, 1936, გვ. 23, №34);

ე) არჩილი კიდევ ერთგან რეპლიკის სახით მოიხმობს სამოელს ცილისმწამებელ ადამიანთან კავშირში: “უბადრუკის სიძე არის, სამოელის მზახალია”.

როგორც ვხედავთ, არჩილი საკმაოდ კარგად იცნობდა სამაელის სახეს, რადგან მას რამდენჯერმე მიმართავს, ერთ საერთო ფუნქციას შლის მიკროფუნქციებად, რითიც სამაელის სახეს თითქმის სრულყოფილად წარმოგვიდგენს, აღჭურავს რა მას სხვადასხვა ფუნქციით. ეჭვგარეშეა, რომ მეფე-პოეტი ეყრდნობა არა ყურმოკრულ ინფორმაციას, არამედ საფუძვლიან, გააზრებულ ცოდნას. თუმცა, არჩილის ტექსტის კვლევა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს, ისევე როგორც აკაკი წერეთლის ტექსტის ანალიზი.

თავის საისტორიო თხზულებაში აკაკი წერეთელს გამოყენებული აქვს როსტომ რაჭის ერისთავის (XVIII ს.) გალექსილი ეპისტოლე, რომელშიც სამოელი ასევე სატანასთან კონტექსტშია მოხმობილი:

“შენ-სა მოველ და შევამკობ შენ-სა ტან-დობასა

შენ-ი უდა-სტურობა კი არღვევს ბატონყმობასა” (აკ. წერეთელი, 1958, გვ. 322)

ლექსში სამმაგი ზმაა გამოყენებული, სადაც სამო(ვ)ელი, სატანა და იუდა ერთ კონტექსტში არის გამოყენებული სოლომონ პირველის მიმართ, რომელსაც მოტყუებით დაუძვრა მასთან სტუმრად მისული როსტომ ერისთავი.

სამოელის სახელს აკაკი კიდევ ერთ ლექსშიც - “უცნაური ამბავი” - მოიხმობს რუსის მოხელე ვოსტორგოვთან მიმართებაში: “სტაცეთ ხელი და წავგარეთ/სატანასა და სამოელს” (აკ. წერეთელი, 1954, გვ. 295), თუმცა, ჩვენი აზრით, აქ მესტვირულ პოეზიაში გავრცელებული ფორმულა “სატანა და სამოელი” - უნდა იყოს გამოყენებული აკაკის მიერ, ისევე ხალხური შემოქმედების გავლენით.

იუდაისტური დემონოლოგიური სახის, მოგვიანებით გნოსტიკური ფილოსოფიის მთავარი დემიურგის – სამაელის წიგნური წარმოშობის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში ეჭვს არ იწვევს. ჩვენ მიერ მოძიებული ტექსტების (ვგულისხმობთ როგორც ქართულ წერილობით, ისე ფოლკლორულ, ზეპირ წყაროებს) ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია (მე-12-20 სს.), მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ცოდნა სამაელის შესახებ გაცილებით ადრე შემოვიდოდა ქართულ სივრცეში, ვიდრე ამის წერილობითი დადასტურება შეგვიძლია. ჩვენ არ ვიცით, რა სახით (წერილობით თუ ზეპირად) მიიღო სამოელის შესახებ ინფორმაცია ნიკოლოზ გულაბერისძემ; ასევე, ვარაუდის გამოთქმაც კი გაჭირდება, მშობლიურ ენაზე გაეცნო ის ამ ინფორმაციას, თუ

უცხო ენაზე... ჩვენთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ნებისმიერ ტექსტს, ზეპირი სახით არსებობს ის თუ წერილობით, თავისი ფუნქცია და ღირებულება გააჩნია. ორივე შემთხვევაში ის არის ინფორმაციის მატარებელი. ზეპირი ტექსტის არსებობის არაწერილობითი ფორმა სულაც არ აკნინებს მის (როგორც ტექსტის) მნიშვნელობას. ზეპირი ტექსტი ზეპირ ტრადიციაში არსებობს თანმხლებ რწმენა-წარმოდგენასა და რიტუალთან ერთად და მისი მთავარი ღირებულებაც სწორედ ეს არის. აკრძალულ ლიტერატურას ებრძოდა ეკლესია და ებრძოდა ყველა ძალითა და საშუალებით - ლიტერატურის და ლიტერატურის შემნახველთა განადგურებით; ამ წიგნებს ატანდნენ მორწმუნეებს საფლავებში და ცდილობდნენ, რომ ზეპირად გაეცრელებინათ მათში გადმოცემული ცოდნა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართულ წერილობით წყაროებში ვერავითარ სიუჟეტს ვერ ვხვდებით სამოელ/სამაელთან დაკავშირებით, ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ქართულ ყოფაში ის ოდესმე არსებობდა და განადგურდა, არამედ ნიშნავს იმასაც, რომ **არსებობდა მხოლოდ ზეპირი სახით** და ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა ხალხში. პერიოდულად კი თავს იჩენდა და აისახებოდა სხვადასხვა ჟანრის - როგორც სასულიერო (გულაბერიძე, მამათა ცხოვრება), ისე საერო (ისტორიანი, არჩილიანი) - მწერლობაში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ილ. აბულაძე, 1973** - ილ. აბულაძე, ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- არჩილი, 1936** - არჩილი, თხზულებთა სრული კრებული ორ ტომად. ტ. I, საქართველოს მუზეუმი, ტფილისი, 1936.
- ბარუქი** - Откровение Варуха, - Перевод выполнен по первому изданию текста в книге: I. R. James. Apocrypha anecdota. V. I. Cambridge, 1897. http://www.gumer.info/bogoslov_Buks/apokrif/Otkr_Var.php (15.01.2015)
- ნ. გულაბერისძე, 2007** - ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი და გალობანი სვეტიცხოვლისანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ნ. სულავეამ, მცხეთა, 2007.
- კ. კეკელიძე, 1941** - ისტორიანი და აზმანი შარავანდედთახი, კ. კეკელიძის რედ., მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1941.
- ვ. კოტეტიშვილი, 1961** - ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თ., 1961.
- მითები, 1997** - Самаэль в кн.: Мифы народов мира. Энциклопедия в двух томах, под ред. С. А. Токарева, т. II, М.: «Олимп», 1997.
- ბ. ნიჟარაძე, 1962** - ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები I, თბ., 1962.
- პოეზია, 1973** - ქართული ხალხური პოეზია ტ. I, ნაკვთ. II, თბ., 1973.
- საბინინი, 1882** - საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურლი, 1882, გვ. 69-118.
- პ. უმიკაშვილი, 1937** - პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ფ. გოგიჩაიშვილის რედ., "ფედერაცია" ტფილისი, 1937.

ს. ყაუხჩიშვილი, 1959 - ს. ყაუხჩიშვილი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წიგნში - ქართლის ცხოვრება II, სიმონ ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1959.

ე. ჩიკვაძე, 2009 - ე. ჩიკვაძე, ერთი ბიბლიური სახის გააზრებისათვის ნიკოლოზ გულაბერისძის სვეტიცხოვლის საკითხავიდან (ვინ არის სამოელი?) – “რელიგია”, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, 2009, №3, გვ. 12-19.

აკ. წერეთელი, 1954 - აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, თბ., საბჭოთა საქართველო, ტ. III, 1954.

აკ. წერეთელი, 1958 - აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, თბ., ტ. VIII, 1958.

ფაუფ – თსუ ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, უმიკაშვილის ფონდი.

О происхождении мира - http://apokrif.fullweb.ru/nag_hammadi/world.shtml (15.01.2015)

Самаэль – Мифы народов мира, Энциклопедия в двух томах, под ред. С. А. Токарева, т.2, М.: «Олимп», 1997, стр. 397-398.

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа

ETERINTSKIRVELI

TRANSFORMATION OF THE JUDAIC DEMONIACAL IMAGE IN THE GEORGIAN ORAL TRADITION AND LITERATURE

Samael - a popular demon in Judaist mythology and agnostic literature is a proper name of Satan, angel who became proud and challenged God. It can be suggested that Georgian tradition was familiar with one of the dreariest demons and with his name known from Judaist and Coptic apocryphal stories.. However, in Svanetian tradition it had been modified in certain way: Samuel preserved the image of the subject who confronted God as well as he kept a zoomorphic image of the goat; however, having been engaged into the cosmological myth, Samael in fact created the precedent of dualistic cosmogony in Svanetian myth-ritual system. In general, the Georgian folklore preserves the book and folk image of Samael, although as expected, it has been transformed in a certain way and so is his name (Samael / Samal / Sameel), while his function persists and represents Evil, a personified image of Satan in Georgian written manuscripts (12th - 19th centuries) and in Georgian folklore in general. As usual, it is rarely connected with the narrative (Svanetian cosmological myth, which repeats the initial function of Samael and resonates with some widely known motives is an exception since it does not have an analogue in Judaist and agnostic texts and narratives that we studied); and basically is found in folk texts of eschatological character in passive form; and only together with Satan, and never on its own. In traditional perceptions, Samael is a king of Hell, which Christ destroys - and this fact is depicted in Svanetian Easter iconography; namely, the Harrowing of Hell Icon found in Svanetian Lashtkhveri community Taringzeli (archangel) Church (14th century) is captioned ‘Samael’ in old Georgian (Asomtavruli) alphabet.

რუსუდან კაშია

ქართულ ებრაელთა წვლილი XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში

XVIII ს. II ნახევარში საქართველოში იკვეთება ფეოდალური ურთიერთობების რღვევის ნიშნები, ყალიბდება ფულად-სასაქონლო, საბაზრო კონტაქტები, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა, რადგან გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელი და სომეხი მოსახლეობა, როგორც ცნობილია, ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობით იყო დაკავებული. “ესენი (ურები) მთელს საქართველოში ცნობილი იქნენ როგორც ვაჭრები და ისე სადმე სიტყვა ურია არ იხსენიებოდა, რომ იქ იგი მაშინათვე ვაჭრობით არ ყოფილიყოს ცნობილი” (ზ. ჭიჭინაძე, 1904, გვ. 39).

XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ “სხვებზე მეტი ვაჭრები იქ (ქუთაისში) სომხები არიან, სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი” (არქანჯელო ლამბერტი, 1937, გვ. 10).

XVII-XVIII სს. ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ჩანს, რომ აღმოსავლეთი საქართველოს ვაჭრობაში სომხური ელემენტი ჭარბობდა. დასავლეთ საქართველოს ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში კი დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა ებრაულმა მოსახლეობამ. ცნობილია, რომ ქართველი ებრაელები (სხვა ქვეყნებთან შედარებით) ვაჭრობისა და თავისუფალი ცხოვრებისათვის უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი დასავლეთი საქართველოს ქალაქებისა და დაბების აღწერისას შენიშნავს, რომ “აქ ცხოვრობენ სომეხ-ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ”, და ჩამოთვლის: ქუთაისი (“მოსახლე არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი”) სენაკი, ონი, ჩიხორი, ოზურგეთი, ქალატყე, კულაში, საჩხერე და ა. შ. (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 756, 758, 767, 791).

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქებში სავაჭრო საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებული იყო ებრაელი და სომეხი მოსახლეობის ხელში. ფულად-სასაქონლო, საბაზრო ურთიერთობებში მათი ზვედრითი წილი იმდენად დიდი იყო, რომ ნაციონალური სახელწოდება “სომეხი” და “ურია” საქმიანობის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 29).

დასტურად მოგვყავს რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი: ლევან დადიანის ერთ-ერთ სიგელში მოხსენებულია: “ვაჭრის შვილები ბაბადიში... ურია მაშოს ძენი”. 1644 წლის საბუთში ვკითხულობთ: “ვაჭრები ქუთათისს” და მერე ჩამოთვლილია: იორდანიშვილი, ფიხნაძე, დანელა ურია (ი. დოლიძე, III, 1970, გვ. 506).

1789 წლის საბუთში (შეწირულობის წიგნი სოლომონ II-ისა გელათისადმი) ჩამოთვლილია მეფის მიერ გელათის მონასტერს შეწირული “სამი მოსახლე

ურიები” და “ერთი მოსახლე სომეხი”, შემდეგ განმარტებულია: “ამ ვაჭრებს დაეადევით ბევრად... გენათელმა ვაჭრების საქმე გასინჯოს” (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 95). 1790 წლის საბუთში (ყმა ურიებისა და სომხების სითარხნის წიგნი იმერთა მეფის მიერ მისი სიძის სვიმონ აბაშიძისადმი), ვკითხულობთ: “რომელიც სომეხი და ჰურია შენი იმერეთს იქნას, არც ბაჟი, არც სამღებრო იჯარა და არც სხვა გადასახადი ჩვენი იმაზედ არ მოვიდეს” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1280). აქ “სომეხსა” და “ურისა” ქვეშ უდაოდ იგულისხმება ვაჭარი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა 1792 წლის საბუთი – შეწირულობის წიგნი, მიცემული გიორგი წულუკიძის მიერ ნიკორწმინდისადმი, სადაც სიტყვა “ურია” გაიგივებულია “ვაჭართან”: “განვიხილე... და ვსცან ტაძარი შენი მოსამსახურე ვაჭართაგან მოკლებულიყო... და შევსწირე... მოსახლე ერთი ურია მიხაელისშვილი შალომა” (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 100). ებრაელი ვაჭრებია ჩამოთვლილი 1770 წელს ანტონ ცაგარელის მიერ საირმისადმი შეწირულების წიგნში: “ნასყიდი ვაჭრები გვყავდა და ესენი შემოგწირეთ... ურია დავითია მოშიკა და კიდევ ერთი ურია. ვაჭრები ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა იხსენიებიან ორ საბუთში: 1767წ. (შეწირულების წიგნი კაცია დადიანისა მარტვილისადმი) ისინი მოიხსენიებიან, როგორც ურია ვაჭრები; ხოლო 1770 წ. საბუთში (შეწირულების წიგნი გრიგოლ ჭყონდიდელისა მარტვილისადმი) აღნიშნულია მათი ეროვნება და იგულისხმება სავაჭრო საქმიანობა (იქვე, გვ. 33-34; 42-43).

ამდენად, განსახილველ ხანაში ნაციონალური სახელწოდება “სომეხი” და “ურია”, საქმიანობის გამომხატველ ტერმინად იქცა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ებრაელების სასაუბრო ენა ქართული იყო. გიულდენშტედტი თავის “მოგზაურობაში” მიუთითებს დაბა ონის სავაჭრო მნიშვნელობაზე და აღნიშნავს: “აქ ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები, ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე” და აგრძელებს: “სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით...” (გიულდენშტედტი, I, 1962, გვ. 107).

ვაჭართა ფენის წარმომადგენელი, იქნებოდა ის ხელაზე მოვაჭრე თუ უშუალოდ ეწეოდა სავაჭრო საქმიანობას, ვალდებული იყო გადაეხადა როგორც სამეფო, ასევე სამოხელეო გადასახადი (ცენტრალური საისტორიო არქივი-1604, გვ. 4-5).

XVIII-XIX ს. I მესამედის დასავლეთი საქართველოს ისტორიული დოკუმენტები ტერმინ ხულას ზუსტ განმარტებას გვაძლევენ. ასე იწოდება არა მარტო სამეურნეო-საკუჭნაო, არამედ სავაჭრო ნაგებობა – დუქანი. XVIII ს. ქუთაისში დაახლოებით 100-მდე ხულა არსებობდა, სადაც ძირითადად “ურიები” ანუ ებრაელი მედუქნეები ვაჭრობდნენ.

სამეფო ხულების შემოსავალი სადედოფლო წილს შეადგენდა. ხულაზე მოვაჭრე მედუქნე ვაჭარი გადასახადს უხდიდა უპირველესად მიწის მებატრონეს (სამეფო, სათავადო, საეკლესიო). დაბეგრული იყო როგორც ხულის ადგილი, ასევე თვით ხულა (დუქანი), როგორც სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა.

როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლების მიერ ძირითადად მოწესრიგებული იყო ხულების საგადასახადო სისტემა, რადგან საბუთების მიხედვით, სავაჭრო

ნაგებობების საგადასახადო თანხის ოდენობები თითქმის ერთნაირია. XVIII ს. ხულის ქირა თვეში ერთი მარჩილის ტოლია. ასეა მითითებული მარიამ დედოფლის შეწირულების წიგნში გელათისადმი, სადაც ვკითხულობთ: “ამას გარდა შეგვიწირავს ერთი ხულის ქირა თვის თავზედ, თითოს ქირას მარჩილს წინამძღვარი აიღებდეს”. იმავე საბუთზე გვიანი მინაწერია, გულქან წულუკიძე ასევე სწირავს ანდრია მოციქულის ეკვდერის ხულის ქირას – მითითებულია ხულის გადასახადი – თითო მარჩილი თვის თავზე (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 119, 125).

ხულის ქირის ანალოგიური ოდენობაა მოხსენიებული გულქან დედოფლის შეწირულების წიგნში მიძინების ეკლესიისადმი: “ჩვენი ურია კაკია ჩვენს ქალაქში ქუთაისს ხულაზე ვაჭრობდა, თვეში მარჩილი ჩვენთვის ხულის ქირა უნდა მოერთმია. აწ დავევაჯა წინამძღვარი მაჭავარიანი დანიელ და ვისმინეთ მოხსენება მისი და შემოგწირეთ ჩვენი მისართმევი თვეში ერთი მარჩილი სანთლის და საკმეველის ფასად და ერთის ხულის ყოველ თვეში მოგერთმეოდეს ან მარჩილის სანთელ-საკმეველი და ან მარჩილი შეიწირე” – ვკითხულობთ 1762 წლით დათარიღებულ საბუთში (ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448-1050).

როგორც აღვნიშნეთ, ხულის ქირის გარდა, მეღუქნე, რომელიც ხულაზე ვაჭრობს, ვალდებული იმ მიწის პატრონს, სადაც დგას ეს სავაჭრო ნაგებობა, გადაუხადოს დაწესებული თანხა, რასაც საბუთებში ასეც უწოდებენ – “ხულის მიწის ქირა”. ვაჭარი მიწის მფლობელს (მეფეს, ფეოდალს, ეპისკოპოსს) უხდიდა გადასახადს ღუქნის გარკვეული მიწის ნაკვეთზე დაყენების უფლების მიცემისათვის. “მიწის ქირა” – მისი რაოდენობა განსაზღვრული იყო წელიწადში ორი ფლურიით (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 119-125).

სამწუხაროდ, დასავლურ დოკუმენტებს არ შემოუნახავს ცნობები სავაჭრო ხულების, როგორც ნაგებობების აღწერილობის, მათი სიდიდის შესახებ, როგორც ეს გვაქვს თბილისურ საბუთებში, სადაც ზოგჯერ მოცემულია გასაყიდი ღუქნების სიგრძე-სიგანე და ა. შ. იმდროინდელ თბილისურ ღუქანთა უმრავლესობა მცირე ზომის სავაჭრო-სახელოსნო საწარმოებია, ამიტომ ვფიქრობთ, ასეთივე ზომის ნაგებობებს წარმოადგენს ამ პერიოდის ქუთაისური ხულებიც.

დოკუმენტურ მასალაში ზოგან მოცემულია გასაყიდი ხულის ფასი. ჩვენს ხელთ მყოფი სამი საბუთი გვაძლევს საინტერესო ცნობებს ქუთაისში არსებული ორი ხულის შესახებ. თავდაპირველად (1796 წ.) ისინი ებრაელებს მიუყიდიათ ხეჩინაშვილისათვის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1176). 1797 წ. იგივე ხულები კაცია წულუკიძეს უყიდია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1177). საბუთში დასახელებულია ხულების ფასი – “ორასი მარჩილი”. მალევე იგივე ხულები ზურაბ წერეთელს შეუძენია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-1178). ფეოდალი, ცხადია, დაინტერესებულია ხულების (ღუქნების), როგორც შემოსავლის წყაროს შეძენით, ასევე, მეღუქნეთა მიზიდვითა და მათი დასაქმებით. გრიგოლ წერეთლის მიერ დანიელა ფიჩხაძისადმი მიცემული წყალობის წიგნით ვიგებთ, რომ ზურაბ წერეთლის ვაჟს – გრიგოლს, მიუღია ოსმალეთიდან ჩამოსული აბასთუმნელი ურია და უბოძებია მისთვის “ქუთაისს ორი თვალი ღუქანი”, და რადგან თავადს აინტერესებს ღუქნის სწრაფი ამოქმედება, წინასწარ აძლევს დანიელა ფიჩხაძეს გარკვეულ თანხას: “სამთავნო თეთრი მე მოგცე, ათი-თერთმეტი სარგებლით და თავნი და სარგებელი მე არ დამეკარგოს და სხვებრ შენ ხელი მოიბრუნო” – ვკითხულობთ საბუთში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd – 1311).

სხვაობა ვაჭართა გადასახადებში (ვაჭრები, როგორც წესი, ყმები იყვნენ) განპირობებული იყო მათი განსხვავებული ქონებრივი შეძლებით: 1610-30 წლებით დათარიღებულ საბუთში (შეწირულების წიგნი, მიცემული აბაშიძე პაატასა და მისი დედის გულბუდახის მიერ კაცხისადმი) მონასტერს შეწირულ ყმა ვაჭრებს ედებათ განსხვავებული გადასახადი: ქუთაისელი ვაჭარი ალხაზისშვილი ზურაბა იხდის “ოთხ ლიტრა სამთელს და ნახევარ ჩარეკ საკმეველს”, ხოლო ჭალატყელ ურია იოსებას დაედო ბეგარა – ერთი ლიტრა სანთელი და ერთი აბაზის საკმეველი (საისტორიო კრებული, III, გვ. 51-52).

განსხვავებული ოდენობით იხდიან ბეგარას 1789 წლის საბუთით, სოლომონ II-ის მიერ გელათის მონასტერს შეწირული ვაჭრები: “სამი მოსახლე ურია კოკიაშვილები” და “ერთი მოსახლე ანდრია მიქელაშვილი”; საბუთში ვკითხულობთ: “დავადევით ბეგრად, ურიას კოკიაშვილს თუთხმეტი მარჩილი თეთრი, ლიტრა სამთელი, მეორეს მოსახლეს კოკიაშვილს დანიელას დავადევით თუთხმეტი მარჩილი და ერთი ლიტრა სამთელი”; მესამე მოსახლე – კოკიაშვილი ნაკლებ ბეგარას იხდის: “დავადევით იოსებას რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი”. ვაჭართა ბეგარა რომ ქონებრივი ცენზით, სავაჭრო საქმის მომგებიანობით განისაზღვრებოდა, ამის დასტურს თვით საბუთი იძლევა, სადაც ვკითხულობთ: “გენათელმა ვაჭრების საქმე გასინჯოს, და თუმც შეიმატონ, ბეგარასაც მომატოს. წირვის საქმე მომატებულის მსგავსად განუწესოს, თუ დაიკლონ, ბეგარაც ისე შეზავებით ააღებინოს” – ვკითხულობთ საბუთში (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 95).

ამდენად, ქართული ისტორიული დოკუმენტების გაცნობა და შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ გვიანფეოდალური ხანის ფულად-სასაქონლო, საბაზრო ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა ებრაელებმა.

დამოწმებული ლიტერატურა

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973 - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1973.

გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962.

ი. დოლიძე, 1970 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970

ს. კაკაბაძე, 1921 - ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, II, თბ., 1921.

რ. კაშია, 2005 - რ. კაშია, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა დასავლეთ საქართველოში (XVII-XVIII) ქუთაისი, 2005.

ა. ლამბერტი, 1937 - არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, თბ., 1937.

მ. სამსონაძე, 1980 - მ. სამსონაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XVIII ს. I მესამედის საქართველოში, თბ., 1980.

ზ. ჭიჭინაძე, 1904 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ ებრაელნი საქართველოში, თბ., 1904 (გამოსცა ვ. ჩიქოვანმა 1990 წ.).

RUSUDAN KASHIA**CONTRIBUTION OF GEORGIAN JEWS IN XVIII CENTURY
SOCIAL-ECONOMICAL EXISTENCE OF WEST GEORGIA**

In the historical documents of Georgia of XVII-XVIII centuries it's eloquent that trading job in cities were entirely concentrated on Jewish and Armenian population. In relations referring to money-commodity or marketing their shares so huge, that national titles "Armenia?" and "Uriah" became the term denoting their occupation.

In historical documents of XVII-XVIII centuries it's clear that in west Georgia Armenian element was more in terms of trade. In money-commodity relations in east Georgia was greatly contributed by local Jewish population. It's the well-known fact that Georgian Jews were in better conditions (compared to other countries) in terms of trade and free life style.

Vakhushti Batonishvili remarks on the matter of mentioning trading points in west Georgia, that "here Armenian-Uriah traders are inhabited and make their living by trading".

Both whole seller or retailer were obliged to pay taxes for king and for mastery. Difference between the traders (they were pheasants as a rule) in terms of taxes was determined by different financial well-being.

Studying the Georgian historical document makes it eloquent that development of money-commodity, marketing relations in late feudal period was greatly contributed by Georgian Jews.

მერაბ კეჭევაძე

ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი
ქუჩები მე-19 საუკუნეში

ქუთაისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულია მე-19 საუკუნე როცა ფაქტობრივად ხელახლა დაიბადა ძველი და დიდი ტრადიციების გამგრძელებელი ახალი ქალაქი. საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება და აღმავლობა, რომელიც ქუთაისის თურქთაგან განთავისუფლებას მოჰყვა (1770 წ.), ხანმოკლე აღმოჩნდა. 1818 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებას, ქუთაისის სტატუსის დამცრობასთან ერთად, სხვა უბედურებებიც მოჰყვა—შავი ჭირი და მოუსავლიანობა, რამაც ქალაქის ისედაც მცირე მოსახლეობა კიდევ უფრო შეამცირა, რასაც საქალაქო ცხოვრების დაქვეითება მოჰყვა. ქუთაისის აღმშენებლობის ახალი ეტაპი იწყება 1820 წლიდან (იმერეთის საეკლესიო აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, როდესაც ფაქტობრივად რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა იმერეთში). დაიწყო რიონის მარცხენა სანაპიროს ინტენსიური განაშენიანება და ქალაქის თანდათან დაბლობში ვაკეზე "ჩამოსვლა". ყალიბდება დღეს ქალაქის ისტორიულ ნაწილად წოდებული "ცენტრი". პროცესი თავიდან ქაოტურად მიმდინარეობდა, მაგრამ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო, რაც დიუბუა დე მონპერესეულ გეგმაზე (1833 წ.) კარგად ჩანს. ქალაქის ვაკეზე "ჩამოსვლა" აბსოლუტურად სწორი იდეა იყო. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უნაკლო ადგილზე გაშენებულ ქალაქს ახლა უკვე სამრეწველო და სავაჭრო-კომერციულ ცენტრად ქცეული ქვედა ქალაქი ენაცვლებოდა და ავსებდა. ახალი გაშენებული ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი გახდა ე.წ. "ებრაელთა დასახლება-უბანი".

ებრაელები, რომელთაც საქართველოში მოსახლეობის 2000 წელზე მეტი ისტორია გააჩნიათ, ქუთაისში, უფრო სწორად, ქუთაისის ახლოს მდებარე სოფელ მწვანეყვავილაში მცხოვრებლებად მე-17 საუკუნიდან ჩანან, კერძოდ, 1644 წლის სიგელში, როცა გაენათელი მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი ყვება მისსა და მამამისის მიერ სოფელ მწვანეყვავილას დასახლებაზე, ახსენებს იქ დასახლებულ ოჯახს, "ფიჩხაძე დანიელას კომლი ერთი". მწვანეყვავილა არათუ იმ დროს, მე-19 საუკუნის შუა წლებამდე არ ეკუთვნოდა ქუთაისს, ამიტომაც ალბად, რომ მე-17-18 საუკუნეების არც ერთი უცხოელი მოგზაური (ლაშბერტი, შარდენი, ტოლოჩანოვი, იველევი, გიულდენშტედტი) არ ადასტურებს ქუთაისში ებრაელთა ცხოვრებას, რაც, ისტორიკოს დანიელ ხანანაშვილის, საქართველოს ებრაელთა ისტორიის დიდი მემატიანის, აზრით, "იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ, ამ პერიოდში ებრაელები ან ერთეულები იყვნენ, ან, რაც უფრო საფიქრებელია, არც კი სახლობდნენ".

ქუთაისში ებრაელთა პირველი მოხსენიება ეკუთვნის ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერს (1745 წ.), რომ ქუთაისის მოსახლენი "არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი".

1822 წელს ფრანგი მოგზაური გამბა აღნიშნავს: " ქუთაისში მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა, დაახლოებით 800 ებრაული ოჯახი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს". 1833 წელს კი დიუბუა დე მონპერე ებრაელებზე წერს: ისინი ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ ქუთაისში, სადაც უწინ არ ცხოვრობდნენ, ისინი მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ მათ დაუთმო მიწის ფართობი, სადაც მოთავსდნენ გუბერნატორის სახლის (დღევანდელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორია - მ. კ.) მახლობლად. დიუბუას ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვების სისწორეს, მაგრამ აჩენს კითხვას, რატომ არ ახსენებს ებრაელებს ქუთაისში 1771 წელს აქ ჩამოსული გიულდენშტედტი, რომელიც მწვანეყვავილადან (ოკრიბიდან მომავალი) შემოვიდა ქალაქში. ამ კითხვაზეც პასუხს დანიელ ხანანაშვილიდან დავიმოწმებთ, რომ 1770 წელს, ქალაქის ოსმალთაგან განთავისუფლებისას ისინი ქალაქიდან ბრძოლებს განერიდნენ, რაც სულ მალე, როცა ქალაქის აღმშენებლობა დაიწყო, მათი ისევ დაბრუნება-დასახლებით აღინიშნა.

1776 წელს აფხაზეთის კათალიკოსი იოსები ქუთაისში რამდენიმე ებრაელ კომლს ასახლებს. აქაური ებრაელები ჩანან 1782 წელს იმერეთის დედოფალ გულქანის გოგნის მონასტრისადმი შეწირულობის სიგელში. 1803 წელს იმერეთის დედოფალი მარიამი მოწამეთის მონასტერს სწირავს ქუთაისში აბრამ და დავით შამოელაშვილებს. სხვათა შორის, ქუთაისში მცხოვრები ამ დედოფლის კუთვნილი 68 კომლიდან 33 ებრაელთა იყო.

1855 წლის მონაცემებით, ქუთაისში ცხოვრობდა 1155 ებრაელი, რომელთაგან 537 მოქალაქე, ხოლო 430 საეკლესიო ყმა იყო. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 6589 ადამიანიდან 1290, 1885 წელს 23644 მცხოვრებიდან - 2488, ხოლო 1897 წელს 32476-დან 3464 ებრაელი იყო.

ქუთაისში ებრაელთა დასახლება "ებრაელთა უბნის" სახელწოდებით დატანილია 1833 წელს შედგენილ დიუბუა დე მონპერეს გეგმაზე და იგი მოიცავს დღევანდელი ნიუ-პორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისს და იერუსალიმის ქუჩას.

"ებრაელთა უბნის" ერთ-ერთი ძირითადი ქუჩა "ებრაელთა ქუჩა" იყო, რომელიც ქუთაისის პირველსახელდებულ ქუჩებს შორის მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან ჩანს. ის წარმოქმნილია მე-19 საუკუნის დასაწყისში. ქუჩა სახელდებულია აქ ებრაელთა ცხოვრების ფაქტის აღსანიშნავად, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. ჟურნალ "ცისკრის" 1860 წლის №16-ში დაბეჭდილი წერილის თანახმად, რომელიც ზ. ერისთავს ეკუთვნის, ეს ქუჩა იყო "ერთ ძუელ ქუჩათაგანი, რომელთა ნახვას ჩვენ ვართ მიჩვეული აზიის ქალაქებში. მისი სივიწროვე და აღმოუხუნელებელი ტალახი უშლიდა თვით ურიებს სიარულს. ქუჩას აქეთ-იქით ნაპირებში აქუს არხები, რომელთაც ჩაყვება ყოველგვარი უწმინდურება. სახლები ურიების სულ ხისა არიან და ნაწილ არიან დადგენილნი შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილი მთაზედა აქა-იქ ბაღებში. გარედან ისინი არ არიან გათეთრებული, როგორათაც შიგნიდან". მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ებრაელთა ქუჩა უკვე უკავშირდებოდა როგორც გაპონოვის (იმჟამინდელი გელათის), ასევე გელათის (იმჟამინდელი პოლიციის) ქუჩებს. ფაქტობრივად, მთელი ებრაელთა უბანი

ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ისე, როგორც თავად ქუჩაზე იყო მათი მჭიდრო დასახლება, აქ სახლი სახლზე იყო მიდგმული, რამაც ტრაგიკული შედეგი გამოიღო ამ უბანში გაჩენილი ორი ხანძრის დროს. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ებრაელების ქუჩა ორად გაიყო. ქვედა ნაწილს დღევანდელი პოლიციის მეორე განყოფილებიდან დიდ სინაგოგამდე ებრაელების ქუჩის სახელი დარჩა, ზედა ნაწილს კი სინაგოგიდან გელათის ქუჩამდე (იმჟამინდელი პოლიციის ქუჩა) ბერუჩოვის ქუჩა ეწოდა (დღევანდელი აზერბაიჯანის). 1921 წელს ეს ქუჩა ჩანს შაუმიანის (დღევანდელი ნიუ-პორტის) ქუჩის პირველ შესახვევად. 1926 წელს ეწოდა გამოჩენილი ქართველი ებრაელი რევოლუციონერის, აბრამ (იკვა) იოსების ძე რიჟინაშვილის სახელი. 1995 წლიდან კი მას ეწოდება იერუსალიმის ქუჩა.

ებრაელთა კომპაქტური დასახლებით გამორჩეული იყო გელათის ქუჩა (ამჟამად გაბონოვის ქუჩა), რომელიც იწყება ნიუ-პორტის ქუჩიდან და მთავრდება მწვანეყვავილას ქუჩასთან. აქ გვიანფეოდალურ ხანაში ჩანს უკვე ქართველ ებრაელთა დასახლება, რომელიც ქუჩის მიმართულუბასთან ერთად მწვანეყვავილასაკენ მიემართებოდა. იყო რა გელათის მონასტრისაკენ მიმავალი გზის ნაწილი, თავდაპირველად ქუჩას გელათის სახელი ეწოდა. როგორც დიუბუა დე მონპერეს გეგმიდან, ასევე იმავე პერიოდში შესრულებული ნ. ჩერენცოვის ნახატიდან ჩანს, რომ მე-19 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ მეჩხრადაა დასახლებული, 60-იანი წლებისათვის ქუჩაზე უკვე სახლების სიმჭიდროვეა, ხოლო 80-იანი წლებისათვის მთლიანად ათვისებულია. ამ ქუჩის მოშენების სახე, ისე როგორც იმდროინდელი "ებრაელების ქუჩისა", განსხვავებული იყო ქუთაისის სხვა ქუჩების დაგეგმარებისაგან. აქ ყოველი სახლი სახლზე იყო მიდგმული და ქუთაისის დასახლებისათვის ტიპური ეზო-საკარმიდამო სისრულე და კეთილმოწყობა არ გააჩნდა. ამ ქუჩაზე იდგა როგორც სინაგოგები, ასევე ებრაელების სკოლა. 1926 წელს ქუჩას მიენიჭა რევოლუციონერ სტეფანე შაუმიანის სახელი, ხოლო 1989 წელს ქუჩის საწყის მონაკვეთს (მე-ნ შესახვევამდე) ეწოდა ჩვენი თანაქალაქელის, "ვეფხისტყაოსნის" ძველებრაულად (ივრითზე) მთარგმნელის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, ბორის პანტელეიმონის ძე გაბონოვის სახელი.

ებრაელები წარმოადგენდნენ აზერბაიჯანის ქუჩის მოსახლეთა მნიშვნელოვან ნაწილს. ქუჩა, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა და რომელიც იმავე საუკუნის 60-იან წლებიდან ბერუჩოვის სახელს ატარებდა, ხანდახან ებრაელთა ქუჩის ნაწილად ფიქსირდებოდა. მას 1922 წელს ეწოდა აზერბაიჯანის სახელი. დროის მცირე მონაკვეთში 1997-2008 წლებში ქუჩა პოეტ ნიზამი განჯელის სახელს ატარებდა.

მე-19 საუკუნის მიწურულს ებრაული მოსახლეობა ჩანს ნიუ-პორტის ქუჩაზეც. ეს იყო ქუთაისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა, რომელიც სხვადასხვა დროს გენერალ-გუბერნატორის (ქუჩის ბოლოში მდებარე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის აღსანიშნავად), გაგარინის (ქუთაისის გუბერნატორ ა. ი. გაგარინის მოსაგონრად), მე-3 ინტერნაციონალისა და პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს ატარებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ებრაელები ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდნენ ებრაელების, გელათის, გაგარინის, პოლიციის ქუჩებზე. ზოგიერთი ქუჩის

მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ებრაელი იყო, მაგალითად 1880 წელს ებრაელების ქუჩაზე მცხოვრებ 39 კომლიდან - 38, ხოლო გელათის ქუჩაზე 64 კომლიდან - 63 ებრაელთა კომლი იყო. მე-19 საუკუნის ბოლომდე ქუთაისელ ებრაელთა ძირითადი საცხოვრისი "ებრაელების უბანია", სხვა უბნებში აქვთ ძირითადად დუქნები. სახლი თუ აქვთ, ფლობენ დროებით, კომერციის მიზნით (ყიდულობენ და ყიდიან), ხოლო მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ისინი უკვე ჩანან ქალაქის ცენტრალური ნაწილის სხვა ქუჩებზეც, 1903 წლის მონაცემებით მიხეილის ქუჩაზე 59 კომლიდან 18, ვორონცოვის ქუჩაზე 56-დან 18, პოლიციის ქუჩაზე კი 81-დან 13 ებრაელებისაა.

სამწუხაროდ, "ებრაელთა უბნიდან", მე-19 საუკუნის დროინდელი შენობებიდან გარდა სამი სინაგოგისა (დიდი სალოცავი, აგებული მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და ნაკურთხი 1887 წლის 14 მაისს, ზედა, ანუ მწვანეყვავილას სალოცავი (1863 წ.) და პატარა სალოცავი (მე-19 საუკუნის დასაწყისი - მეორე სართული დაადგეს 1912 წელს) თითქმის არაფერი შემოგვრჩა, რისი მიზეზიც გახდა ამ უბანში მომხდარი ორი დიდი ხანძარი, 1852 წლის 12 იანვარსა და 1928 წლის 10-11 მაისს. დღეს ქალაქში არსებული გამორჩეული ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობებიდან რამდენიმე ქუთაისელი ებრაელების მიერაა აგებული. ასეთია: ყოფილი "ვთბ ბანკის" შენობა, რომელიც აბრამ მოშიაშვილის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა (აგებულია 1915-1916 წლებში), ცენტრალურ მოედანზე მდგარი სამსართულიანი სახლი, რომელიც არონ რიჟინაშვილს ეკუთვნოდა, სასტუმრო „ორიენტი“-ს შენობა, რომელიც ს. კაკიტელაშვილის საკუთრება იყო, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის (საჯარო ბიბლიოთეკის) შენობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ა. ელიგულაშვილს ეკუთვნოდა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მესამე სართული დააშენა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ე. აიხვალდი, 2005 - ე. აიხვალდი, "საქართველოს შესახებ", თბ., 2005.
- ვ. ბატონიშვილი, 1973 - ვ. ბატონიშვილი, "აღწერა სამეფოისა საწართველოისა" (ქართლის ცხოვრება, ტ. 4. თბ., 1973).
- ჟ. გამბა, 1987 - ჟ. გამბა, "მოგზაურობა ამიერკავკასიაში", ტ. 1, თბ., 1987.
- გიულდენშტედტი, 1962 - "გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", ტ. 1. თბ., 1962, ტ. 2. 1964.
- ქ. კასტელი, 1975 - დონ ქრისტოფორო დე კასტელი, "ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ", თბ., 1976.
- გ. კობალიანი, 2010 - გ. კობალიანი, "ქუთაისის ქუჩები", ქუთ., 2010.
- ლოცვის კარები, 2009 - ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა", თელავი, 2009.
- ი. ივ. პურადაშვილი - ისაკ და ივანე პურადაშვილები, "მოგონებები", ქუთ., 2009.
- უ. ტოლოჩანოვი, 1970 - უ. ტოლოჩანოვი, იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, თბ., 1970.

ქსძ, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები", ტ. 3. თბ., 1970.

ქ.ც.ა. ფ. 1513, ს.70. ს.72.

ქუთაისი, მე-13 საუკუნის 60-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, ქუთაისი, 2013.

შარდენი, 1975 - შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში", თბ., 1975.

ჟურნალი „ცისკარი“, 1860, №16.

MERAB KEZEVADZE

MAIN STREETS OF JEW SETTLEMENTS IN XIX CENTURY

In XIX new stage of rebuilding began in Kutaisi. Intensive development of benches and process of settling in districts with flat landscape became measurable from 1930s. One of the important place of new “down” city became so called “Jewish settlement-district”.

Jews become noticeable from XVII century in village Mtsvanekvavila, near Kutaisi.

Vakhushti Batonishvili is first who mentions Jews in the city, he writes that the settlers of Kutaisi are: “people from Imereti, Armenia, Uriah traders”.

In 20s of XIX century , according to French traveler Gamba, almost half of Kutaisi population were the Jews living here.

Jewish settlement in Kutaisi with the title “Jew district” is denoted on the plan made by Diubua de Monpere in 1833 and it combines present day New Port street, the last part, beginning parts of Gaponovi and Azerbaijani streets and Jerusalem street.

Compact settlements of Jews were prominently noticeable on Gelati (then Shaumiani) street. On this street there were synagogues and school for Jews.

Nowadays the street is named after Boris Gaponov, a person who translated “A man in the Panther’s skin” into Hebrew.

Thus XIX century Jews used to live in streets of Jews, Gelati, Gagarini, Police. In other districts they usually had shops. For today we have three synagogues left from “Jew district”: bid and small shrines, up e.g. Mtsvanekhvavila shrine.

გიორგი კილაძე

სისტემის “საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის” რეორგანიზაციის საკითხისთვის

უდავო ფაქტია, ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტების ცვლილებები ორგანიზაციაში სტრუქტურულ ცვლილებას ითხოვს. სამეცნიერო ლიტერატურაში ორგანიზაციული ცვლილებების ორ ტიპს განიხილავენ (პ. ტოლიაშვილი, 2012). *რევოლუციურს* და *ევოლუციურს*. რევოლუციური ცვლილებების შედეგად “ყველაფერი (მოქმედების წესები და ნორმები, არსებული კავშირები და ა.შ.) სწრაფად და კარდინალურად იცვლება”. ევოლუციური ცვლილების შედეგად “ბევრი რამ თანმიმდევრულად და შედარებით ხანგრძლივ დროში მიმდინარეობს” (იქვე). ორგანიზაციული ცვლილებები ძირითადად სტრუქტურულ ცვლილებას გულისხმობს.

ნებისმიერი ორგანიზაცია, თავისი ბუნებით, რაღა თქმა უნდა, სტრუქტურულადაც, სისტემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რეორგანიზაციის დაწყებისას, პროცესის მიმდინარეობისას თუ დასრულებისას, როგორც სისტემას, ისე უნდა “მოვეპყროთ”.

ნებისმიერი სისტემის, განსაკუთრებით რთული, დინამიკური (სწორედ ასეთ სისტემებს წარმოადგენენ საჯარო, სამეცნიერო და, რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) შესწავლისთვის აუცილებელი არის ცალკეული შემადგენელი ნაწილებისა (ქვესისტემების) და მათ შორის არსებული და შესაძლო ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა.

აქედან გამომდინარე, მოცემული სისტემის (ვთქვათ, სისტემა “ბიბლიოთეკა”) დასახსიათებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შემადგენელი ქვესისტემების (რომლებიც თვითონ აკმაყოფილებენ სისტემის ძირითად ნიშან-თვისებებს — წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ელემენტებად შეიძლება იყვნენ მოაზრებულნი) შესწავლა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება მთლიანად სისტემის შესწავლა და მასში მიმდინარე რთული და დინამიკური პროცესების გამოკვლევა.

სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ “თანამედროვე ორგანიზაციები არსებითად განსხვავდებიან მისი წინამორბედებისაგან. კერძოდ, მომუშავეებს აქვთ ხარისხობრივად სხვა, განსხვავებული ხასიათი (უფრო მაღალი პირადული შესაძლებლობები, პერსპექტივის ხედვის უნარი, ცოდნის მაღალი დონე)” (ნ. ფარესაშვილი, 2010). “ხარისხობრივად სხვა, განსხვავებული ხასიათის” თანამშრომლის “ხედვის არეალი” არა მხოლოდ საკუთარი სამუშაო ადგილით, თუნდაც განყოფილებით, დეპარტამენტით, ამოიწურება, მისთვის მეტ-ნაკლებად ღირებული შედეგი არა მხოლოდ ფაქტია, არამედ პერსპექტივა. კარიერული წინსვლა, უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი და შესაძლებლობა ასეთი თანამშრომლების ლეგიტიმურ მოთხოვნას წარმოადგენს. ამგვარი ლეგიტიმური მოთხოვნების დაკმაყოფილება ხშირად თანამშრომელთა განყოფილებებიდან განყოფილებებში, განყოფილებიდან

დეპარტამენტებში, დეპარტამენტიდან დეპარტამენტში, ზოგადად ქვესისტემებში “მიგრაციის” აუცილებლობას საჭიროებს. სხვა საკითხია, თუ რამდენად არის მზად სისტემა ამგვარი “მიგრაციისთვის”. ბუნებრივია, ასეთი “მიგრაცია” ვერ გახდება საფუძველი სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაციისა, თუმცა, პერსონალის “ზედვის არეალის” ზრდა, სისტემასთან დაკავშირებული ახალი იდეები, რომლებიც ვეღარ “ეტევა” არსებულ სისტემაში, როგორც წესი, ამგვარი რეორგანიზაციის საფუძველი ხდება.


ზოგადად, ქვესისტემებს შორის მრავალმხრივი ურთიერთკავშირი არსებობს და ეს ურთიერთკავშირები დროთა განმავლობაში წარმოშობს ქვესისტემების ოპტიმალური ფუნქციონირების აუცილებლობას (რეალურად რეორგანიზაცია ამ მიზნით უნდა ხორციელდებოდეს). ამასთან, თავად სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია:

1. ქვესისტემებს შორის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება;
2. შესაძლო საზღვრებში თითოეულის მაქსიმალური განვითარება.

სისტემის ორგანიზაციული გაუმჯობესება გულისხმობს **ხარისხზე ორიენტირებულ რეორგანიზაციას** (უფრო ხშირად, ვიდრე **რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდაზე ორიენტირებულ რეორგანიზაციას**; როგორც წესი, ხარისხზე ორიენტირებული რეორგანიზაცია აუცილებლად მოიტანს რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდას), რაც ორგანიზაციული გაუმჯობესების მართვის სისტემის მეშვეობით მიიღწევა.

ორგანიზაციაში მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაცია, არც თუ იშვიათად, თანამშრომელთა შორის გაურკვეველობასა და უკმაყოფილებას იწვევს. თანამშრომლებმა ნაკლებად იციან რეორგანიზაციის დასაწყისში, პროცესსა თუ დასრულების შემდეგ რა ტიპის გადაწყვეტილებები შეუძლიათ მიიღონ დამოუკიდებლად, ნაკლებად ერკვევიან მენეჯერების მიერ უფლებამოსილების დელეგირების საკითხებში (ნ. ფარესაშვილი, 2010).

ზოგადად, ორგანიზაციული გაუმჯობესების მართვის სისტემას აქვს ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი (იხ. <http://techdigest.jhuapl.edu/td/td1604/potocki.pdf>). (იხ. ნახ. 1). მიგვაჩნია, რომ ამ ხუთი კომპონენტის გათვალისწინება უნდა დაედოს საფუძვლად ნებისმიერი სისტემის რეორგანიზაციისა თუ სტრუქტურულ ცვლილებას.



პირველი კომპონენტი *განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები*, ორგანიზაციას საშუალებას აძლევს ობიექტურად შეაფასოს, თუ რამდენად არის აუცილებელი ცვლილებების განხორციელება ან მივადწვეთ თუ არა არსებული აქტივობებით სასურველ შედეგს.

უკუკავშირის შეფასებისას განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები ფაქტობრივად ავლენენ სისტემაში არსებულ “ზავარდნებს”; ხელს უწყობენ ამჟამად არსებულის “რა არის” და სასურველი მომავლის “რა უნდა იყოს” დადგენას. “სასურველ მომავალზე” საუბრისას, გასათვალისწინებელია ორგანიზაციაში მიმდინარე ფარული, არაოფიციალური “რეორგანიზაციები” პიროვნულ ან განყოფილების დონეზე.

ამასთან, განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც წინასწარ განსაზღვრული პირდაპირი კავშირის მექანიზმი.

პირდაპირი კავშირის მექანიზმი ხელს უწყობს ორგანიზაციის მომავლის განჭვრეტას, მომავალი გარემოებების პროგნოზირებასა და საჭირო გაუმჯობესებების განსაზღვრას. *პირდაპირი კავშირის მექანიზმი* ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, შეცვალოს არსებული რეალობა, გაითვალისწინოს მოხმარებელთა მოთხოვნები და საჭიროებები ახალ პროდუქციასთან¹ და/ან ახალ მომსახურებასთან დაკავშირებით.

მეორე კომპონენტი არის **ლიდერობა**. ბუნებრივია, აქ საუბარია ლიდერ-მენეჯერებზე. “ლიდერობა”, პრაქტიკულად მენეჯმენტი, რომელსაც ლიდერ-მენეჯერი ახორციელებს. ლიდერ-მენეჯერს აქვს ხედვა და უჩვენებს ამ ხედვისკენ მიმავალ გზას, მიმართულებას, აძლევს გუნდს მოტივაციას და ქმნის შესაფერის გარემოს; მენეჯერი კი ანაწილებს რესურსებს იმისათვის, რომ გუნდმა ლიდერის ხედვას მიიღწიოს, თანაც სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ორგანიზაციებში ცოტა არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად ლიდერიც იყვნენ და მენეჯერიც.

მეორე კომპონენტი მუშაობს პრინციპით: “სისტემა უნდა იმართოს”. ლიდერი პასუხს აგებს თანამშრომელთა მუშაობის მოტივაციასა და აქტივობაზე; საკადრო უზრუნველყოფასა და პერსონალის სწავლებაზე. სწორედ ლიდერმა უნდა დასაბნოს სისტემის განვითარების სტრატეგიული გეგმა, დაიყვანოს მიღებული გადაწყვეტილებები “ზედა რგოლიდან ქვედა რგოლებამდე” და უზრუნველყოს სტრუქტურული რეორგანიზაცია მშვიდ და მოტივირებულ გარემოში. სწორედ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, **მშვიდი და მოტივირებული გარემო** განსაზღვრავს ორგანიზაციის წარმატებებს განვითარების მთელ ეტაპზე (ნ. ფარესაშვილი, 2010).

პრაქტიკოს-მენეჯერების პროფესიულმა ორგანიზაციამ - **მენეჯმენტის ამერიკულმა ასოციაციამ** (American Management Association-A) განსაზღვრა მენეჯერებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან უნარ-ჩვევათა საკუთარი ნაკრები. ნაკრები მოიცავს ოთხ ასპექტს: 1) კონცეპტუალურ ჩვევებს, 2) კომუნიკაციის ჩვევებს, 3) ეფექტიანობის ჩვევებსა და 4) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩვევებს. შეიძლება ითქვას, **ლიდერის პოზიცია ეს არის რეაქცია** მომხმარებლის

¹ ბუნებრივია, დღეს აღარავის უკვირს ბიბლიოთეკაზე საუბრისას ისეთი ცნებების გამოყენება, როგორებიცაა, მაგალითად, პროდუქტი, კონკურენცია, მარკეტინგი, ბიზნესი და მისთანანი.

ქცევაზე და ეს არის ფუნქციითა დელეგირება თანამშრომლებზე, ბიზნესპორტფელის შექმნასა და ფუნქციური სტრატეგიების კოორდინირებაზე.

მესამე კომპონენტი – არის **თანამშრომლები**. ორგანიზაციის წარმატებები ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შემოქმედებითად უდგება სისტემის განვითარების საქმეს თითოეული თანამშრომელი. სისტემის განვითარების პროცესში სწორედ თანამშრომლის ჩვევები და მოტივები განსაზღვრავს სტრუქტურული რეორგანიზაციის საბოლოო შედეგებს.

მეოთხე კომპონენტი, **პროცესთა სრულყოფა**, გულისხმობს ყველა იმ ბარიერის, ჩავარდნის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უშლის სრულყოფილ მუშაობას. ეს კომპონენტი პირდაპირ უკავშირდება ტექნიკურ, ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ ეფექტიანობას.

მეხუთე კომპონენტი არის მართვის **ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება** მომხმარებლის ცვალებად მოთხოვნათა შესაბამისად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ორგანიზაციის სტრუქტურული რეორგანიზაცია მოდერნიზაციის შესახებ საუბრით იწყება. სამეცნიერო ტერმინი "მოდერნიზაცია", ფრანგული სიტყვიდან *Moderne* (უახლესი, თანამედროვე) მომდინარეობს და დღევანდელ სამეცნიერო ბრუნვაში ორგანიზაციის განვითარების დონის შეფასებაზე დაფუძნებულ, ასევე თანამედროვე მოთხოვნებით გათვალისწინებულ ცვლილებებსა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას გულისხმობს.

ზოგადად, მოდერნიზაცია სტრუქტურულ, ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს ეფუძნება. მოდერნიზაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა არსებული კადრების უწყვეტ მომზადებას, მოზიდვას, ინტელექტუალური კაპიტალის სრულყოფასა და სტრუქტურულ რეორგანიზაციას ენიჭება. მოდერნიზაციის პროცესი სისტემური ცვლილებებით ხასიათდება, სისტემური ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ეხება არსებული პროდუქციის/მომსახურების გაუმჯობესებას და, მეორე მხრივ, ორგანიზაციაში სიახლეების, ახლის შექმნასა და დანერგვას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სიახლის დანერგვის შიში ორგანიზაციული ცვლილებების პროცესის თანმხლები ატრიბუტია და სწორედ სისტემური ცვლილებების სინქრონიზაციისა და შეთანხმებულობის მექანიზმების შექმნას მიიჩნევს ზოგიერთი მეცნიერი მოდერნიზაციის უპირველეს ამოცანად.

ორგანიზაციაში სიახლეების დანერგვა, როგორც წესი, წინააღმდეგობის გადალახვის ფონზე მიმდინარეობს. ახალი ყოველთვის ეჯახება ძველს და უკვე არაეფექტურს, არადა სიახლეებისადმი მოთხოვნა იგრძნობა ორგანიზაციის ყველა ქვესტრუქტურასა და პროდუქციის/მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

ორგანიზაციაში სიახლეთა დანერგვის პროცესი რამდენიმე პრობლემას წარმოშობს. პრობლემები თანდათანობით იჩენს თავს და ჯგუფებად ერთიანდება.

პირველი ჯგუფის პრობლემები დაკავშირებული არის ორგანიზაციაში შექმნილი პრობლემებისადმი ახალ და ტრადიციულ შეხედულებათა შეჯახებასთან. რეალურად საქმე მიდის ორგანიზაციაში არსებული პრობლემებისა (იდეათა ბრძოლა, ადრე ეფექტური, მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე უკვე ყავლგასული მუშაობის ფორმები, კავშირები) და მათი გადაჭრის გზების აღიარებასთან;

აქვე შევნიშნავთ, რომ ორგანიზაციაში არსებულ პრობლემებს დასაქმებულთა უმრავლესობა ამჩნევს და ხედავს; ორგანიზაციებში, როგორც წესი, არც თანამშრომლებს შორის აზრთა ურთიერთგაზიარების პრობლემა დგას, თუმცა პრობლემების გასაჭაროებისგან უმრავლესობა თავს იკავებს.

მეორე ჯგუფის პრობლემები იდეების რეალიზაციასთან (ურთიერთგამომრიცხავი შენიშვნები და წინადადებები, ბიუროკრატია და სისტემის ჩარჩოები, დოკუმენტები და ა.შ.) დაკავშირებულ პრობლემებს აერთიანებს. ხშირად იდეა რეალიზაციამდე ისეთ დიდ და რთულ გზას გადის, რომ სხვა იდეით ჩანაცვლების მოთხოვნილება დგება. თუმცა მხოლოდ დგება და ახალ პრობლემას – უმოტივაციობას წარმოშობს.

მესამე ჯგუფის პრობლემები სიახლის გარემოსთან და გარემოს სიახლესთან ადაპტირებას უკავშირდება. სიახლე-გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები არა მხოლოდ ექსპერიმენტს, არამედ სიახლის სრული დანერგვის პროცესსაც უკავშირდება.

მეოთხე ჯგუფი სიახლის გავრცელებასა და სრულად დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს აერთიანებს. მეცნიერები პრობლემათა ამ ჯგუფს ყველაზე კრიტიკულად აღიარებენ. აქ განსაკუთრებით იგრძნობა პროფესიონალთა გუნდის, მოტივირებულ ადამიანთა, ახალი პროფესიების ათვისების საჭიროება.

ორგანიზაციაში სიახლეთა დანერგვის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს ობიექტური საფუძველი გააჩნიათ; და მაინც, პასუხისმგებლობის დიდი წილი უნდა იტვირთოს მმართველმა რგოლმა, რამდენადაც არაინფორმირებულობა, გაურკვევლობა, არაკომპეტენტურობა, კადრების მოუმზადებლობა სუბიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება.

ადამიანებთან დაკავშირებულ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს პერსონალის (არც თუ იშვიათად, მმართველის/მმართველების) მიერ არასწორად აღქმული მიზნები და ამ მიზნების მიღწევაში კონკრეტული ადამიანის, ადამიანთა ფორმალური ჯგუფების უმოტივაციობა განსაზღვრავს.

იმისათვის, რომ პერსონალი თავად იყოს მოტივირებული სტრუქტურული რეორგანიზაციის ჩატარებისთვის, მმართველმა რგოლმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა ფაქტორებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანები ორგანიზაციაში მუშაობისას. რუსი მეცნიერი ი. ვ. შჩერბატინი ხუთ ფაქტორზე ამაზვილებს ყურადღებას:

- დახარჯული ძალისხმევის შესაბამისი მაღალი შრომის ანაზღაურება;
- კარიერული ზრდის პერსპექტივა;
- ჯანსაღი ურთიერთობები ხელმძღვანელობასა და კოლეგებთან;
- შრომის კომფორტული პირობები;

- სამუშაოსთან დაკავშირებული დადებითი ემოციები (თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, პროფესიონალიზმის აღიარება, სამუშაოთი გატაცება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, შემოქმედებითი თავისუფლება და ა.შ.).

ი. ვ. შჩერბატინის აზრით, ორგანიზაციაში რეორგანიზაციის დაწყებამდე, პერსონალის, საშუალო და დაბალი რგოლების მენეჯერების მოტივების რიგითობის დადგენა ზედა რგოლის მმართველთა უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს. ამ ამოცანის გადაჭრის პირველი ნაბიჯი კი სათანადო კვლევა უნდა გახდეს.

ამ ტიპის კვლევის ჩატარება მომავლის საქმეა, თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული წინასწარი კვლევის შედეგები რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას აწვდის იძლევა.

წინასწარი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოტივაციის 5 ფაქტორისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა. კვლევისათვის გამოვიყენეთ გამოკითხვის მეთოდი², რომელიც რესპონდენტებისთვის შეკითხვების დასმას გულისხმობს.

გენერალური ერთობლიობა - კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ ჩემი ფეისბუქელი მეგობრები, რომელთა რაოდენობა კვლევის ჩატარების დღისთვის შეადგენდა 3575-ს.

შერჩევის მეთოდი - რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ფეისბუქ-მეგობრებს კითხვარი ე.წ. “მესინჯერით” მიეწოდა.

კითხვარი და შეკითხვების ტიპი - გამოკითხვისთვის შემუშავდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ტიპის კითხვებს: ატრიბუტების შესაგროვებლად (სქესი, ასაკი, განათლება, თანამდებობრივი სტატუსი) და შესაფასებელი შეკითხვები.

კვლევის შეზღუდვები - დროის და ადამიანური რესურსის შეზღუდულობის გამო გამოკითხვის მეთოდის საშუალებით ვერ მოხდა ფეისბუქ-მეგობართა დიდი რაოდენობის გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 79 მეგობარმა.

აღნიშნული გარემოება, ბუნებრივია, დასაშვებს ხდის რეპრეზენტატულობისას გარკვეულ ცდომილებას. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკის, პროფესიის (ძირითადად, უმაღლესი განათლების) რესპონდენტი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის შედეგები მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს რეალურ სურათს და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ მხოლოდ კვლევის შედეგები გაგაცნოთ.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს პერსონალის მოტივაციაზე. რესპონდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ორ ფაქტორს:

- 1) დახარჯული ძალისხმევის შესაბამისი მაღალი შრომის ანაზღაურებას (38%);
- 2) კარიერული ზრდის პერსპექტივებს (35%).

განსხვავებულ სურათს ვხედავთ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შორის. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ორ ფაქტორს:

- 1) ჯანსაღი ურთიერთობებს ხელმძღვანელობასა და კოლეგებთან (37%)
- 2) სამუშაოსთან დაკავშირებულ დადებითი ემოციებს (34%) (ვფიქრობთ, მეტად დამაფიქრებელი საკითხია და შემდგომ ანალიზს საჭიროებს).

² სრულყოფილი გამოკითხვა, ბუნებრივია, მასობრივ გამოკითხვას გულისხმობს, “მასობრივი გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ფართო გაგებით, ის მოიცავს ნებისმიერ პროცედურას, რომელიც რესპონდენტებისთვის შეკითხვების დასმას გულისხმობს” (წულაძე ლია. 2008. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი).

სტრუქტურული ორგანიზაციის ჩატარების პროცესში, ასევე, აუცილებელია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა. მმართველებიც (განსაკუთრებით საშუალო, დაბალი დონის) ადამიანები არიან და მათი მოტივები დიდად არ განსხვავდება თანამშრომელთა მოტივებისაგან. შეიძლება თამაშად ითქვას, მმართველებისა და პერსონალის ორგანიზაციისადმი დამოკიდებულება მსგავსია; მმართველებსა და პერსონალს შორის განსხვავება მიზნის/მიზნების მისაღწევად გაზრდილ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაში უნდა ვეძებოთ, რამდენადაც, როგორც წესი, ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანიზაციის ძირითადი მიზნის/მიზნების შესაბამისია; ცვალებადი ორგანიზაციის მიზნები კი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ყალიბდება.

ორგანიზაციის მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა შეიქმნას სტრატეგიული კონცეფცია ანუ თეორიულ დონეზე მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ის, რასაც კომპანია მომავალში გააკეთებს (სასურველია, განისაზღვროს ის, რასაც კომპანია არ გააკეთებს) ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად (პ. ტოლიაშვილი, 2012).

სტრატეგია სამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს. "ვის?", "რა?" და "როგორ?" (პრაქტიკაში არსებობს სტრატეგიასთან დაკავშირებული კიდევ ორი კითხვა: ვინ? და როდის? თუმცა პირველი სამი კითხვა მაინც უმთავრესია) ვის უნდა მიყიდოთ თქვენი პროდუქცია? ბიბლიოთეკის შემთხვევაში მიყიდვა მომსახურეობად ტრანსფორმირდება. ვის უნდა მოვემსახუროთ: მოსწავლეებს? სტუდენტებს? პროფესორ-მასწავლებლებს? აბიტურიენტებს? შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს? პენსიონერებს და ა.შ. რა უნდა მივყიდოთ/მივაწოდოთ? წიგნები, ჟურნალები, აუდიო, ვიდეო მასალები, ელექტრონული პროდუქცია და სხვ.

"როგორ აპირებთ პროდუქტის გაყიდვას?" - ბიბლიოთეკაში, მათ შორის ინტერნეტით, ინტერნეტით, ადგილზე მიტანით, სპეციალიზებულ დარბაზებში და ა.შ.

ორგანიზაციაში სტრუქტურულ რეორგანიზაციამდე სასურველია ატესტაციის ჩატარება. ატესტაციას, როგორც წესი, საჯარო მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასების ინსტრუმენტად განიხილავენ. ვფიქრობ, ატესტაცია, ასევე, აუცილებელია ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში. ატესტაციის ჩატარების წესს საჯარო სამსახურში შესაბამისი კანონი განსაზღვრავს.

ატესტაცია, ჩემი ღრმა რწმენით, ორგანიზაციის, კერძო იქნება თუ საჯარო, მიზნების მიღწევის საუკეთესო ინსტრუმენტია. ატესტაციის შედეგებზე პასუხისმგებლობას, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, თანაბრად უნდა ინაწილებდეს დამსაქმებელი თუ დასაქმებული. უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ატესტაციის შედეგებით უნდა ხდებოდეს თანამშრომელთა წახალისება თუ კარიერული ზრდა. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ატესტაციის პროცესი თუ შედეგი უსარგებლო იქნება.

ატესტაციის შედეგები ორგანიზაციისთვის საკუთარი სახის დანახვისათვის სარკედ უნდა იქცეს. სწორედ ატესტაციის შედეგებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს მმართველმა გუნდმა მართვის ეფექტურობა საატესტაციო პერიოდში. პასუხი გასცეს ორგანიზაციისთვის ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორცაა: რამდენად სწორად ჩატარდა კონკურსი ორგანიზაციაში, რამდენად ეფექტურად განხორციელდა შიდა მიგრაცია ორგანიზაციაში, რამდენად

ადეკვატური იყო წინა ატესტაციის შედეგები, რამდენად სწორად შეაფასა ამა თუ იმ მმართველმა ცალკეული მუშაკი, რამდენად სწორად აფასებდა საკუთარ შესაძლებლობებს, უნარებსა და პროფესიონალიზმს თავად და ესა თუ ის მუშაკი და ა.შ.

ასევე, აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ატესტაციის პროცესში, ერთი მხრივ, უნდა შეფასდეს საატესტაციო პერიოდში მუშაკის, უშუალო ხელმძღვანელის მუშაობა და, მეორე მხრივ, გამოვლინდეს ორგანიზაციის ახალი გამოწვევებისადმი მათი დამოკიდებულება (ანუ პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რამდენად არის მზად ორგანიზაცია ახალი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად). ჩემს ამ მოსაზრებას იზიარებს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უმრავლესობა. ჩვენ მიერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული წინასწარი კვლევის მიხედვით, გამოკითხულ თანამშრომელთა 74% მიიჩნევს, რომ ატესტაცია წინ უნდა უსწრებდეს სტრუქტურულ რეორგანიზაციას; ამასთან, გამოკითხულ თანამშრომელთა 70% დადებითადაა განწყობილი ატესტაციის პროცესის მიმართ და თვლის, რომ ატესტაციის პროცესი არა მხოლოდ პერსონალის ან მენეჯერების პროფესიულ ჩვევებს, კვალიფიკაციის დონეს, პიროვნულ თვისებებს, ორგანიზაციისადმი დამოკიდებულებას უნდა ავლენდეს. თანამშრომელთა აზრით, ატესტაცია არის ორივე რგოლის შეფასება და შედეგებზე თანაბარ პასუხისმგებლობას, ასევე, ორივე მხარე უნდა იღებდეს (გამოკითხულთა 80%).

და ბოლოს, დასაწყისში განხილული ორი ტიპიდან, ბუნებრივია, უპირატესობას ორგანიზაციული ცვლილების ევოლუციურ ტიპს ვანიჭებთ; მიმაჩნია, რომ ეს არჩევანი საკამათოც კი არ შეიძლება იყოს. კამათისა თუ მსჯელობის საგანი ორგანიზაციებში, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სტრუქტურული ორგანიზაციის ჩატარების ვადებია. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები სტრუქტურული რეორგანიზაციის ჩატარების ვადას ხუთ წელიწადში ერთხელ “განსაზღვრავენ”.

დამოწმებული ლიტერატურა

პ. ტოლიაშვილი, 2012 - პ. ტოლიაშვილი, ორგანიზაციული სტრუქტურის ევოლუცია, რატომ და როგორ ხდება და როგორ უმჯობესია ხდებოდეს, <http://strategy.ge/2012/12/03/evolution-of-structur/>.

ნ. ფარესაშვილი, 2010 - ნ. ფარესაშვილი, ორგანიზაციული ქცევა: [დამხმ. სახელმძღვ.] / ნინო ფარესაშვილი, გიული ქეშელაშვილი; [მთ. რედ. დავით ნარმანია]. - თბ., 2010.

ლ. წულაძე, 2008 - ლ. წულაძე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი). <http://techdigest.jhuapl.edu/td/td1604/potocki.pdf>.

GEORGE KILADZE

ON THE ISSUE OF SYSTEM REORGANIZATION IN “NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA”

The changes of main organizational priorities require structural changes. These changes include two types of changes: Evolutionary and revolutionary changes.

Basically organizational changes imply structural changes.

Possible future structural changes in organization often cause some misunderstanding and discontent among the staff. The employees have very vague ideas about what kind of decisions they are able to make on the initial and final steps of reorganizations. They are not informed about the delegacy of authorities on behalf of managers. Improving of system organization means quality oriented reorganization. Which is followed by innovations' implementation process. This process cause some problems. This is the gradual process where the problems are united in various groups.

one of the main problems is the staff motivation problem.

In order to gain more motivation among staff, it is desirable for organization management to know clearly what factors are important for employees regarding their work. Before the reorganization process, the main task for management is to determine the order of priorities among the employees, middle and law groups. And resolving this task should be the case of further research.

Conducting of this type of research is the matter of the future. Though the results of our preliminary researches give the possibility to come to some conclusions.

The important thing in structural reorganization process is the transformation of management organizational structure itself. Managers (middle, law stages) are human beings too and their motivation does not radically differ from that of employees. It could be assumed clearly that the attitude of employees and attitude of management are alike. We should seek for the differences in enhanced duties and responsibilities on the way of achieving the goal/goals, because generally every organizational structure is relative to organization's main goals/goals. Changeable organization goals are formed according to modern needs.

After the main goal formation the strategic concept should be created. Which means that future organizational plans should be described and formed distinctly (what the company should do and what not) in order to achieve the goals.

Before the structural reorganization it is desirable to conduct the certification.

According to the preliminary research that was conducted in National Parliamentary Library 74 % of inquired stuff supposes that certification has to precede structural reorganization. 70 % have a positive attitude toward the certification process and presumes that together with the reflection of managers and employee's professional skills, the qualification degree, personnel traits and attitudes, the certification is the evaluations of both teams (management and employees) and both sides are to take responsibility on the results equally (80 % of inquiries).

The terms of certification before structural reorganization. According to preliminary research the employees of National Parliamentary Library “determine” the terms of certification every five years.

მარიამ კობერიძე

ფრონეს ხეობის ტოპონიმი 1715 წლის
რუსის ლავთარში

ტოპონიმების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოსახლეობა და მათი ლექსიკის მრავალფეროვნება. გეოგრაფიული სახელწოდება უკავშირდება კონკრეტულ შინაარსს, ქვეყნის ისტორიასა და ხალხის ყოფაცხოვრებას. ამიტომ ტოპონიმების გამოკვლევასა და შესწავლას, როგორც მოწმეს ენის ისტორიული პროცესისას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ფრონეს ხეობის ტოპონიმების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა რუისის სამწყოს დავთარი ანუ მათიანე რუისისა, რომელიც 1715 წელს შეუდგენია ნიკოლოზ მროველს ორბელიშვილს ანუ ყაფლანიშვილს. ეს დავთარი დაიბეჭდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში “არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები” (წიგნი I, ელექტრონული სტამბა გამომცემელი ქართველთა მხანაგობისა). ექვთიმე თაყაიშვილის შეფასებით: “ისტორიული, სტატისტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ამ დავთრისა ექვცარეშეა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მთლათ მოვიყვანოთ აქ ეს ნაშთი საქართველოს სიძველენისა” (ე. თაყაიშვილი, 1907, გვ. 126).

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუისის სამწყოსს შეადგენდა მთელი ზემო ქართლი ანუ უმეტესი ნაწილი ძველი შიდა ქართლისა. ფრონეს ხეობა, როგორც ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შედიოდა რუისის სამწყოსში. ფრონეთა ხეობის საზღვრებს ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნის შუა წლების მდგომარეობის მიხედვით ასე წარმოგვიდგენს: “ქვიშხეთ ზეით, ლიახვის მდინარეს იქით, ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-ვენი აღწერეთ, უწოდებენ, თჯიერ შოლისა, ფრონეთა” (ვ. ბაგრატიონი, 1941, გვ. 81). როგორც ჩანს, მას თავის გეოგრაფიულ რუკაზე დასახელებული აქვს: დვანის ფრონე, ალის ფრონე და ფცის ფრონე, რაც ბუნებრივად გულისხმობს აღმოსავლეთით დვანისწყალს (ახლანდელი მდ. ფრონე), ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებსა და ზნაურის რაიონს (ხეობა) ე. ი. ახლანდელი ხაშურის რაიონი მთლიანად, ქარელის რაიონის დასავლეთი და ზნაურის რაიონის სამხრეთის ზონა (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 3).

რუისის დავთარში ჩამოთვლილია ფრონეს ხეობის 84 სოფელი და თითოეულში აღწერილია იქ მოსახლე გვარები. დავთარში აღწერილი სოფლები გვხვდება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში “აღწერა სამეფოსი საქართველოსი”, რომელშიც 1725 წლამდე მონაცემებია შესული (ვ. ბაგრატიონი, 1941, გვ. 79-81). დავთარში დასახელებული სოფლები დასტურდება იოანე ბაგრატიონის მეფე ირაკლისა და მეფე გიორგის დავალებით ჩატარებულ ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერაში, სადაც ფრონეს ხეობის სოფლები დასახელებულია დვანის, ფცის, ალისა და სურამის წყლის ხეობის მიხედვით (ი. ბაგრატიონი, 1980, გვ. 368-369). რუისის დავთარი საშუალებას გვაძლევს, მივაღვენოთ

თვალი ფრონეს ხეობის ტოპონიმებს დღევანდელი მდგომარეობის მიმართებაში. კერძოდ: ტოპონიმები, რომელთა სახელწოდებები არ შეცვლილა, დღესაც ძველი სახელწოდებით დასტურდება; ტოპონიმებში გარკვეული ენობრივი პროცესების შედეგად მოხდა მცირე ცვლილება; ტოპონიმებში სახელწოდება შეცვლილია; ტოპონიმები დღეს აღარ გვხვდება, ზოგი ნასოფლარებად ქცეულა.

ქვემო და ზემო ძვიმლეთი — ვახუშტი ასახელებს ფცის ფრონის აღწერისას მძვიმლეთს, დღევანდელი **ძვიმლეთი**. **ძვიმლეთი** ← **მძვიმლეთი** ← **ძვიმლეთი**. აქ გვხვდება დვანიდან მიმავალი ცნობილი ძვიმლეთისგზა.

სხლითი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები მას ასახელებენ ფცის წყლის ხეობის სოფლებში, ახლანდელი **სხლითი**, სახელწოდება არ შეცვლილა.

ფრინევი — ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონიც, ფცის ფრონეს ხეობაში მდებარეობს, სახელწოდება არ შეცვლილა. იოანე ბაგრატიონის “ქართლ-კახეთის აღწერაში” არ დასტურდება (ი. ბაგრატიონი, 1980, გვ. 368-369).

ღვანი მდებარეობს ღვანის წყლის პირას, ქარელის რაიონია, დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონის ნაშრომებშიც. სახელწოდება არ შეცვლილა.

არკნითი — ვახუშტი ასახელებს ერკნეთს, იოანე ბაგრატიონი — არკნებს, დღევანდელი **არკნეთი**, მდებარეობს ღვანის ფრონეს ხეობაში.

არკნეთი ← **არკნითი**. - ით/-ეთ სუფიქსთა მონაცვლეობის ფაქტი აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: “ით გვხვდება როგორც ვარიანტი ეთისა რამდენიმე სოფლის სახელში: ღვანკ-ით-ი, როკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბელლ-ით-ი, ხრე-ით-ი (ღრე-ით-ი? სადაურობის სახელია: ხრე-ვ-ელ-ი) და სხვ. ამგვარადვეა ნაწარმოები: პირმზ-ით-ი და სომხ-ით-ი-ც” (ა. შანიძე, 1980, გვ. 139). საგულისხმოა — ეთ / -ით სუფიქსთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე ტოპონიმურ ფუძესთან. ვფიქრობთ, ეს სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ნული — აღნიშნული სახელწოდებით დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ნაშრომებში, სახელწოდება არ შეცვლილა, მდებარეობს ფრონეს ხეობაში.

ღვერთეთი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ასახელებენ **ღვერთეს**, დღეს ჰქვია **ღვერთევი**, მდებარეობს ღვანის ფრონეს ხეობაში.

თორმანეული — სახელწოდება არ შეცვლილა, ამ სახელწოდებით მუიარდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებისა, ღვანის ფრონეს ხეობაში მდებარეობს.

სოფელი **მდავი** დღეს არ გვხვდება.

გბეყმარი — უცვლელად დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან, სახელი არ შეცვლილა.

წორბისი — ღვანის წყალთან დაკავშირებით ასახელებს ვახუშტი წორბისს, ხოლო იოანე ბაგრატიონი კი - წორბისს, დღევანდელი **წორბისი**.

ხტანა — ფცის წყალთან დაკავშირებით მას ასხენებს ვახუშტი ბაგრატიონი, ხოლო იოანე ბაგრატიონი კი ასახელებს ხტონას, დღევანდელი **ვახტანა**.

თერეგვანი — სახელწოდება არ შეცვლილა, უცვლელად დასტურდება ის ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერაში ფცის წყლის ხეობასთან დაკავშირებით.

ოფორა — სახელწოდება არ შეცვლილა, მდებარეობს ფცის წყლის ხეობაში. ამ სახელწოდებით უცვლელად მეორდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან.

ძალინე — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ფცის წყალთან ასახელებენ ძალინას, დღესაც **ძალინა** ჰქვია. **ძალინა** ← **ძალინე**.

ახალშენი — სახელწოდება არ შეცვლილა. საქართველოში ახალშენი გვხვდება ხაშურის, გურჯაანის, ახმეტის, ბათუმის, ხულოსა და გარდაბნის რაიონებში. დამწვარი ახალშენის აღსანიშნავად გაჩნდა სახელწოდება **“ნა-ახალშენ-არ-ი”**.

კუნდას უბანი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ფცის წყალთან დაკავშირებით ასახელებენ **ხუნდის უბანს**, ამ სახელწოდებით დღესაც გვხვდება სოფელი ზნაურის რაიონში. რაც შეეხება **კუნდას**, სახნავ ადგილად გვხვდება დვანში, ამავე სახელწოდებიდან არის ნაწარმოები **კუნდავახვევი** — წყალი დვანში.

თიღვა — ასევე ასახელებენ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც, დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება.

ღარისთავი — ფცის წყალთან დაკავშირებით ასახელებენ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები. დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება.

შინდარა — აღნიშნული ტოპონიმი მეორდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერებშიც, დღესაც ამ სახელწოდებით დასტურდება სოფელი ზნაურის რაიონში. **შინდარას მიწები** გვხვდება ქვემო ოქონაში. უბანს ჰქვია შინდარა/შიდარა ხაშურში. შინდარი/შინდარა ადგილი, გზა სოფელ სათივეში (აღ. ღლონტი, 1988, გვ. 78).

მთავარეული — მთვარეული გვხვდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში, მთვარეული სათესი ადგილია ზნაურყავში.

მულნისი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ახსენებენ **მულრისს**. დღესაც გვხვდება ფცის წყალზე სოფელი **მულრისი**, ზნაურის რაიონში.

სუნისი — ფცის ფრონეს ხეობაში მდებარეობს.

წირეთი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც ასახელებენ ფცის წყალთან დაკავშირებით, დღევანდელი **ნაბაკევი**.

ოქონა — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც ასახელებენ იმავე სახელწოდებით მდინარე ფრონესთან დაკავშირებით. ცნობილია ზემო და ქვემო ოქონა ზნაურის რაიონში.

ტყისუბანი — ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ტყისუბანს, იოანე ბაგრატიონი- ტყსუბანს. დღეს გვხვდება ტყისუბანი.

ბალთა — აღნიშნული სახელწოდებით დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერებშიც.

ურმასხელი — ვახუშტი ბაგრატიონთან დასახელებულია ურმის-ველი, იოანე ბაგრატიონთან - ურმისხელი. სოფელი ამ სახელწოდებით აღარ გვხვდება, მაგრამ დასტურდება სახნავი ადგილის სახელწოდებად სოფელ ბრეძაში.

ფათქინეთი — ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან დასტურდება — ბათქინეთი. დღეს გვხვდება **ფათქინეთი**.

მეტეხი — უცვლელად დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან, დღესაც გვხვდება აღნიშნული სახელწოდებით.

ჭვრინისი — ვახუშტი ასახელებს ჭვრინისს, იოანე — ჭურუნისს. ღღეს გვხვდება **ჭვრინისი**.

წიფლითი — ღღეს ნასოფლარია და სათესი ადგილს წარმოადგენს ფრონეს ხეობაში.

ბეხამი — ტოპონიმი გამქრალია, ღღეს აღარ დასტურდება.

ავნევი — ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს ავნევს, ღღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება, მაგრამ ბოლო პერიოდში გაჩნდა სახელწოდება **ნაავნევიარი**. ეს სოფელი ღღეს ნანგრევებად არის ქცეული. **ავნევი** ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვისაგან **ნა-ვნ-ევ-ი** (ვნებაშიყენებული) ნ-ს დაკარგვით, აქედან **ნა-ავნ-ევ-არ-ი**. წინავითარებას აწარმოებს ორმაგი სუფიქსი (მ. კობერიძე, 2009, გვ. 281).

რუისის სამწყოს დავთარში აღწერილი ტოპონიმების ღღევანდებლობასთან მიმართებით ასე გამოიყურება: 1. სახელწოდება არ შეუცვლია ტოპონიმებს: **ავნევი, ბეყმარი, ნული, თორმანეული, თერეგვანი, ოჟორა, თიღვა, ოქონა, მეტეხი, ბალთა, ფრინევი, ღარისთავი, შინდარა, წორბისი, დვანი, სხლითი, ჭვრინისი, ავლევი, ავნევი**. 2. გარკვეული ენობრივი პროცესების შედეგად მოხდა მცირე ცვლილება შემდეგ სახელწოდებებში: **ახტანა ძვიმღეთი**. 3. სახელწოდება შეცვლილია: **წირეთი — ნაბაკევი; ტყისუბანი — ზნაურყავი**. 4. ნასოფლარებია: **მდავი, ბეხამი, მთავარყოლი**.

როგორც ვხედავთ, რუისის დავთარში წარმოდგენილი ფრონეს ხეობის სოფელთა სახელწოდებანი შედგენილია ქართული ტოპონიმების შესაბამისად, საწარმოქმნო ენობრივი ელემენტები და აფიქსაცია საერთოა სხვა რეგიონებისა.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. ბაგრატიონი, 1941 - ვ. ბაგრატიონი, აღწერაჲ სამეფოსა საქართველოდსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1973.

ი. ბაგრატიონი, 1980 - ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტოპონიმიკა, II, თბ., 1980.

ე. თაყაიშვილი, 1907 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი I, ტფ., 1907.

მ. კობერიძე, 2009 - მ. კობერიძე, ფრონეს ხეობის ქართლურში, გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია “ახალი მიმართულება განათლებასა და კვლევაში“, 2-3 ოქტომბერი, გორი, 2009.

რუისის სამწყსოს დავთარი, 1907 - რუისის სამწყსოს დავთარი: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი, I, ტფ. 1907.

ალ. ღღონტი, 1988 - ალ. ღღონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმიკა, თბ., 1938.

ა. შანიძე, 1980 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980.

MARIAM KOBERIDZE**FRONI VALLEY TOPONYM IN RUISI BOOK OF 1715**

In studying of Froni valley toponyms , one important source is Ruisi flock book or Ruisi Chronicles ,which is made by Nickoloz Mroveli, Orbelishvili or Kaplanishvili. By that time Ruisi flock consisted of whole Zemo Kartli or greater part of Old Shida Kartli. This book was printed in 1907 in Ekvtime Takaishvili's book "Archeological travellings and notes" (book I, electronic typography publisher of Georgian comradeship). According to Ekvtime Takaishvili: "historical ,statistical and legal importance of this book is doubtful, so we think it is important to mention this residue of Georgia's oldness".

Froni Valley , as an important part of Zemo Kartli, was a part of Ruisi flock. Ruisi book represents the description of paying villages and surnames of their residents. This gives us opportunity to follow toponyms of this part of Georgia in connection with modernity. In particular: 1. Toponyms haven't changed their names: Akhalsheni, Avnevi, Bekmari, Nuli, Tormaneuli, Teregvani, Ozhora, Okana, Balta... 2. As a result of some language process a little change happened in toponyms: Arkneti, Vakhtana, Batkineli, Sunisi... 3. By the influence of Ossetian language some changes happened in the following names: Tkisubani Znaurqavi; 4. Settlements are: Tsipliti, Mdavi, Mtavarzholi, Bekhami.

ნესტან კუტივაძე

მეათე კანის კონცეპტი გურამ ბათიაშვილის რომან "მეათე კანში"

მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნო-იანი წლები სწორედ ის მიჩნაა, როდესაც ახალი თაობა იწყებს მოღვაწეობას და მრავალ საყურადღებო ტენდენციას ამკვიდრებს, რის გამოც უაღრესად შთაბეჭდავად წარიმართება ლიტერატურული პროცესი. მიუხედავად მოჩვენებითი დათბობისა, ჯერ კიდევ მძლავრია საბჭოთა სისტემა, რომელიც საკუთარი ინტერესების ერთ-ერთ მყარ დამცველად კვლავ მწერლობას იგულვებს და ისიც გარკვეული თემების კულტივირებით, კოდირების არაერთხელ ნაცადი გზით ასახავს, განსჯის, თვალს უსწორებს ეპოქას და, არცთუ იშვიათად, ემსახურება კიდევ მას, მაგრამ მაინც განუხრელად ერთგულებს მარადიულ ღირებულებებს.

ამ პერიოდში იწყებს თავის მოღვაწეობას მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი გურამ ბათიაშვილი. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, განსაკუთრებით, დრამატურგიული ნაწარმოებები იმთავითვე იქცევა მკითხველის ყურადღებას და ხდება ქართული თეატრის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განპირობებულია სათქმელის უშუალოებით, მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალურობითა და ავტორის გულწრფელობით. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ა. ნიკოლეიშვილი პროზაიკოსის შემოქმედებას შემდეგნაირად აფასებს: მან "სიღრმისეულად დაანახა ქართველ მკითხველს ჩვენს მწერლობაში შედარებით მკაფიოდ და ზედაპირულად ნაჩვენები იმ ყოფითი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი სამყაროს შინაგანი შრეები, რომელსაც ქართველი ებრაელები ქმნიდნენ და ამკვიდრებდნენ საქართველოში მათი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შედეგად" (ა. ნიკოლეიშვილი, 2008, გვ. 5). სწორედ ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად მწერლის ინდივიდუალურ ხელწერას, რისი წყალობითაც მას გამორჩეული ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

გურამ ბათიაშვილის შესაძლებლობები თითქმის სრულყოფილად გამოვლინდა მის რომანებში, რომელთაგან გვინდა გამოვყოთ "მეათე კანი". მასში ასახულია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედსა და ბოლო ათწლეულში, ამასთან დასმულია ამ ეპოქებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი პრობლემები, ებრაელთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების წინაშე რომ წამოიჭრება. მეათე კაცად ყოფნის არსი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის რთულ გზაზე გადის და ჭეშმარიტ ფასეულობას, ყველგაუსვლელ ორიენტირს წარმოადგენს, რაც თითოეულ პიროვნებას ასწავლის, როგორ იპოვოს თავისი ამქვეყნიური დანიშნულება, როგორ გახდეს საკუთარი ქვეყნისათვის საჭირო ადამიანი. მეათე კაცის მხატვრული კონცეპტი გულისხმობს ურყევ რწმენას, საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადების უნარს, შინაგან მზაობას, ემსახურებოდეს საკუთარ

ხალხს, ატარებდნენ პასუხისმგებლობას შენი თანამემამულეების მიმართ და არა რაოდენობრივად ქმნიდნენ ათ მლოცველს.

რომანის კალენდარული დრო, რომელიც მოქმედება ხდება, 1990-იანი წლების დასაწყისის თბილისია, მაგრამ მხატვრული დრო მოიცავს საუკუნის პირველ მეოთხედსაც და რამდენიმე ბიბლიურ ისტორიასაც, როგორც მარადიულობას, როგორც ყოფის მუდმივად განმეორებად მოდელს.

„მეათე კაცი“ არ არის მრავალპერსონაჟიანი ტექსტი, რაც მკითხველს კარგ შესაძლებლობას აძლევს ზედმიწევნით გაადევნოს თვალი ეპიზოდური მხატვრული სახეების განვითარებასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავარ გმირებზე, რომელთა საშუალებით ავტორი თავის უმთავრეს სათქმელს ამბობს. რომანის მთავარი გმირის — დათოს — სულიერი ტრანსფორმაციით ცხადდება ნაწარმოების კონცეფცია. მისი სულიერი შფოთვა, საკუთარი თავის, დანიშნულების შეცნობისაკენ მტკივნეული სვლა სხვა არაფერია თუ არა დაკარგულ წილში დაბრუნება. სიმბოლურია, რომ დაეჭვებისა და ძიების ამ გზას გმირი აწმყოსათვის სახელის დარქმევით იწყებს. მრავლისმთქმელია ისიც, რომ შემეცნების ამ ფაზაში მყოფი გააცნობიერებს საკუთარ უფუნქციობას. „ზანი რომ გამოხდა, აღარც ლამობდა სახელი მოეძებნა თავისი დროისათვის - ცხოვრების შეფასებამ აზრი დაკარგა. და იყო კი ასეთი აუცილებელი, სახელი დაერქმია დროისა და ყოფისათვის, მაშინ, როცა სხვა, უფრო მძიმე რამ, - აღარავის ვჭირდებო, — აღმოაჩინა, — წერს გ. ბათიაშვილი (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 3). ამგვარი მძიმე სულიერი განწყობილების ფონზე დათოს სისხლსავსე ყოფა ახლო წარსულში, მისი, როგორც არქიტექტორის, რეალიზებული ცხოვრება, აღიქმება ბედნიერ, გარდასულ დროდ, რომელიც, ერთი მხრივ, რომანტიზებულ ელფერს ანიჭებს სევდიან გმირს და, მეორე მხრივ კი, ამძაფრებს თანამედროვეობის მიუღებლობის განცდას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასეთ სულიერ მდგომარეობაში მყოფი დათო მწერალს სინაგოგასთან თითქმის მექანიკურად მიჰყავს. იმ ნიუანსებს, რომლებსაც ბათიაშვილი წინა პლანზე წამოსწევს, უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გმირის შინაგანი სამყაროს აღსაქმელად. „იქ შესვლისთანავე მიხვდა, რომ სხვა სამყაროში შედგა ფეხი. სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ შემოვიდა ბეთ ქნესეთში და ეჩვენება, რომ წუთები კი არა, საუკუნე ამოიშრება იქ, გარეთ, ქალაქში ნანახსა და გაგონილს. ...აქ წლებს არაფერი შეეცვალა. კვლავ მშვიდად, უხმაუროდ ინავლებოდა სანთლები, კედელზე ძველებურად ეკიდა ვიდაცის ალერსიანი ხელით გადმოწერილი ლოცვანთა სტრუქონები, ციტატები ბიბლიიდან, ცენტრალურ ადგილს კი — მოსეს ათი მცნება (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 11). ბეთ ქნესეთში არსებული სიმშვიდის, უცვლელობის გამოც არის, ალბათ, რომ საკუთარ გაუცხოებას, დაეჭვებისა და სკეპსისის დამანგრეველ ძალას დათო უფრო მეტად გრძნობს, რაც ათეისტური ეპოქის შვილის განცდაა. გონებით გმირმა კარგად იცის, რომ რწმენა არ ემორჩილება წლებს, საუკუნეებს, ის მარადიული, უცვლელი ფასეულობაა, რომელიც ინახავს წინაპართა ცხოვრების წესს, გაძლევს ცოდნას, როგორც ემსახურო ქვეყანას, შენს ხალხს, „სამყაროს შემოქმედს“. ყოველივე იმას, რასაც მეათე კაცის კონცეპტი მოიაზრებს. დათოსათვის სწორედ ღვთის მცნებათა აღსრულებით ედარებიან ბედნიერი ადამიანები იმ ებრაელებს, სინაის მთის ძირში რომ იღვნენ და მოსეს ხელით იღებდნენ ღვთის მცნებებს, ერთნაირად

რომ ეკუთვნის ყველა ებრაელს, წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც. "გამოდის, რომ ჩვენი დროით კი არ უნდა ვიცხოვროთ, ყოველ დროში ერთი და იგივე საქმე უნდა ვაკეთოთ - ღმერთს უნდა ვემსახუროთ", — წერს პროზაიკოსი და იქვე შენიშნავს, რომ დათო "ამ აზრმა ლამის გააოგნა" (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 13).

ერთი შეხედვით, ეს ნათელი ჭეშმარიტება რატომ უნდა ყოფილიყო შოკისმომგვრელი აღმოჩენა რომანის გმირისათვის? იმიტომ ხომ არა, რომ უფუნქციობის განცდა სწორედ რწმენის დაკარგვით იწყება და მისი დაბრუნების კვლავ მსურველს ბარიერად ესახება. დროის ნიშნის მაძიებელ პერსონაჟს ოპტიმიზმითაც კი უნდა აღავსებდეს წელთა მდინარებაში უცვლელი ფენომენის თუნდაც თავიდან პოვნა. საბოლოოდ ის ამაში რწუნდება, მაგრამ აქეთკენ სვლა მისთვის მარტივი არ არის, რაშიც, ვფიქრობ, თავისი როლი აქვს დაკისრებული მის პირად, ოჯახურ დრამასაც.

1990-იანი წლების ვითარებისა და ბიბლიური იგავების შესახებ სინქრონიული თხრობით მწერალი ოსტატურად გადმოგვცემს სათქმელს. უდაბნოს თაობა რწმენით აღსავსე თაობაა, 90-იანი წლებისა კი სულიერ უდაბნოში მყოფი, რასაც ისიც ასევამს დაღს, რომ ისინი ათვისებული ეპოქის შვილები არიან და დიდი ტკივილის, ფიქრის, თვითშემეცნების მაღალი ხარისხის მიუხედავად, იმდენად არიან სულიერად დარღვეულები, ეგზისტენციური დაეჭვებით მთლიანად მოცული, რომ მათთვის მარტივი არ არის ამ კრიზისის დაძლევა.

რომანის ერთ-ერთი თავის სახელწოდებაა — "დრო". ნაწარმოების ეს მონაკვეთი ორმაგი პლანით გამოირჩევა. დათოს მიერ დასმული ფილოსოფიური კითხვის (რატომ ჩნდება ადამიანი ამ ქვეყნად) პარალელურად მასში აღწერილი პერიოდი მედროვეობისა და ხაზგასმულად უარყოფითი ნიშნით გამოხატული პრაგმატიზმითაა აღბეჭდილი. ამაზე მიგვანიშნებს სიმონისა (რომანის ერთ-ერთი ეპიზოდური პერსონაჟი) და ბრიუსელში დაარსებული ლიტერატურული პრემიის ეპიზოდები, რომლებშიც კარგად ტრავესტირდება ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი ნაკლი.

დათოს ხახამი აბრამი, მისი ყოფილი მასწავლებელი, შეახსენებს, რომ ადამიანის ვალია, სამყარო უკეთესი გახადოს, სწორედ ეს დააკისრა ღმერთმა, როდესაც თავისი სახიერებით შექმნა (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 104). ხახამის მტკიცე რწმენით, ამას ადამიანი მხოლოდ ღვთის გზით სიარულით შეძლებს. აქამდე ჯერ კიდევ ვერ მისულა დათო, რადგან მას თორის სწავლა ბოლომდე არ მიუყვანია. არადა მისი პროფესია — არქიტექტორობა ახლის ქმნის, შენების, ჩვენ ირგვლივ არსებული სამყაროს გამშვენიერების პირდაპირი და მკაფიო სიმბოლიზებაა.

რწმენის დაბრუნება, შერყეული სულიერების აღდგენა ნიშნავს დათოს გაუცხოების დასრულებას, გადარჩენას, რაც პირდაპირ დევს მეთე კაცის კონცეპტში. როდესაც დათო საკუთარ თავს მეთე კაცად აღიქვამს, სწორედ ეს იქნება საკუთარი დანიშნულების პოვნის მიმანიშნებელი და მისი სულიერი კრიზისის დასასრულიც.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩხეს, რომ საქართველოში 1990-იან წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, ფაქტობრივად, იყო ლოგიკური დასასრული ტოტალიტარული ეპოქისა, რომლის დასაწყისი რომანში რაბი

აბესალომის ისტორიითაა გადმოცემული. მისი ცხოვრება დაკავშირებულია ბოლშევიკურ სახელმწიფოსთან, ათეისტურ ტირანიასთან, იმ მოვლენებთან, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ვითარდებოდა. თუ დათო საკუთარ ფუნქციას ეძებს, საკანში მყოფი აბესალომისათვის სხვა რამ ქცეულა თავსატეხად — რატომ დასაჯა ღმერთმა? სიკვდილმისჯილთა საკანში მყოფი რაბინი საკუთარ განსაცდელს ღვთის სასჯელად აღიქვამს, რაც არცაა გასაკვირი, მაგრამ ყველაზე მოავარი მაინც ისაა, რომ ახსნა მოუძებნოს ვითარებას, რომელშიც ის აღმოჩნდა. "ამ დღეში იმიტომ კი არ ჩამავლო ღმერთმა, რომ მე დავისაჯო, იმათ აკეთებინებს ისეთ საქმეს, რომ ... ხალხის ასეთ დღეში ჩამვდებს დასჯის ღმერთი" (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 20). ესეც საკუთარი ცხოვრების დაუღალავი განსჯისას ნაპოვნი ერთ-ერთი კანონზომიერებაა, რაბინის მყარი რწმენაა, რომლის საფუძველი სათავეს მაქაბელების ბიბლიური ისტორიიდან იღებს. "მაქაბელების ცხოვრებამ, ბრძოლამ ასწავლა: ძლიერი მხოლოდ ის არის, ვისაც ღვთისმსახურება გაუხდია ცხოვრების მიზნად, ღვთის მსახურება კი მოძალადისაგან დაცვასაც საჭიროებს ხოლმე", — ამბობს ავტორი (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 24). რომანში ცხოველმყოფლადაა აღწერილი ბოლშევიკური ქვეყნის ბრძოლა ეკლესიის, რწმენის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკას ერთნაირად ეწირება მსხვერპლად რაბი და მის მიერ დიდი ძალისხმევის ფასად აშენებული ბეთ ქნესეთი, მართმადიდებელი მღვდელი და სამების ტაძარი.

რომანის საინტერესო ეპიზოდები ეხება ბოლშევიკების მიერ ტაძრების ნგრევასა და ახალი სამყაროს მშენებელი უღმერთო ადამიანების მიერ შექმნილი ატმოსფეროს მხატვრულ ინტერპრეტაციას, რომელიც მინიმალისტური ხერხებით, მაგრამ არაჩვეულებრივი ოსტატობითა და დამაჯერებლობითაა გადმოცემული.

"იცის იოხანანმა, შეგვახსენებს იოხანან ბენ ზაქაის ისტორიას ავტორი, ერი ბრბოდ იქცევა, თუ რწმენა დაკარგა. თუ ებრაელი რწმენას შეინახავს, სამშობლოს დაკარგვაც კი არ ნიშნავს მის ძლევას — რწმენა მთავარი და არა მიწა. მიწა, სამშობლო არსად გაიქცევა, შენია — სამშობლოსაც რწმენა ქმნის. რწმენა სამშობლოსაც დაგაბრუნებინებს" (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 67). ეს ძველი ბიბლიური სიბრძნე ყოველი ერისათვის მუდმივ ორიენტირად შეიძლება იქცეს, რადგან რწმენაში ყველაზე მეტად ფოკუსირდება ერის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი მახასიათებლები და სულიერი გადარჩენის, ოჯითშენახვის გზა კონცეპტუალურად აქ კიდევ ერთხელ იკვრება მეათე კაცის ფენომენიც, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს მთელ რომანში.

აბესალომის ისტორია პირდაპირ კავშირშია საბჭოთა ხელისუფლების ათეისტურ პოლიტიკასთან. სინაგოგის გადასარჩენად გაღებული მსხვერპლის გამო იგი იძულებული გახდა თბილისში დასახლებულიყო, თბილისმა კი არ მიიღო ახალი რაბინი. როცა ერთმა რაბიმ უსაყვედურა, ჯამაათი უპატრონოდ არ უნდა დაეტოვებინაო, მტანჯველ განცდად ექცა თავისი გადაწყვეტილება. ეს დამთრგუნველი გრძნობა, რა თქმა უნდა, არც ერთი ადამიანისათვის არ არის იოლად გადასალახავი. ასეთ დამოკიდებულებასთან ერთად მუდმივად არსებობს ალტერნატიული პოზიცია, რომელსაც მწერალი თავის გმირს ამგვარად ათქმევინებს: "ეგრე რომ გარჯილიყვნენ, ეგრე რომ მინებებოდნენ მოძალადეთ, ჩვენი ხალხი დღემდე ვერ მოვიდოდა (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 180). თავისთავად გაჩენილი ეჭვი საბოლოოდ მტკიცე რწმენით დაიძლევა. მცნებების ერთგულება

კი ყოველთვის მისი აღსრულებისათვის მოქმედებას გულისხმობს და არა პასიურ ცოდნას. ამ პოზიციის პრაქტიკული გამოხატულებაა აბესალომის დიდი ძალისხმევა ებრაული სკოლების გასახსნელად, რომ ლოცვის ტექსტი მამიდან შვილში ისე არ გადავიდეს, "როგორც რძე ბიღონიდან ბიღონში" (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 176). ეპოქის ტრაგიზმი კი იმით გამოიხატა, რომ ბოლშევიკების მიერ ძალიან შეცვლილ დროში მან ერთი ებრაელიც ვერ აიყოლია. კომუნისტური მორალი აღარ საჭიროებდა ძველ სიბრძნეს. ეს დროის ნიშანი იყო. ამას ერთვოდა საყოველთაო შიშიც, რომელიც ადამიანებს აიძულებდა, თავად ეთქვათ უარი საკუთარ რწმენაზე.

შთაბეჭდავია რომანის კიდევ ერთი მთავარი გმირის - ხახამ აბრამის მხატვრული სახე. სიმბოლურად ის შუა თაობას განასახიერებს. რაბინ აბესალომის მოწაფეა და დათოს მოძღვარი. სწორედ ის უნდა იყოს, არის კიდევ, ერთგვარი მედიუმი, ხიდი, რომელიც სხვადასხვა თაობის ფრაგმენტირებულ ყოფას ერის ისტორიად ამთლიანებს. მის ცხოვრებაში ხვდებიან ერთმანეთს აბესალომი და დათო. " — რატომ, რისთვის არის ჩვენში მეთე კაცი ღირსეული? განა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მომლოდინე ცხრა მლოცველს მდგომარეობას უმსუბუქებს. ბოლოს და ბოლოს, ეს მეთეც გამოჩნდება, შემოეხეტება ვიღაც სალოცავში და ლოცვაც დაიწყება — ეგ არ არის მთავარი. მთავარია, მეთე კაცის ფიქრით ცხოვრება — როცა კაცი მეთეს მომლოდინე ცხრა კაცზე ფიქრობს, იგი ფიქრობს ხალხზე, ქვეყანაზე, ესე იგი ღვთის გზით დადის. თქვენ კი არც ლოცვა გინდათ, არც ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრი, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობთ, საკუთარი თავი გაიხადეთ ღმერთად. ამიტომ ხართ მარტონი და სულცარიელი", — ეუბნება აბრამი დათოს (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 232). ეს სიტყვები, რომლებშიც კარგადაა ჩამოყალიბებული მეთე კაცის, როგორც კონცეპტის, არსი, მთავარი გმირისათვისაც გადამწყვეტი აღმოჩნდა საკუთარი თავის შემეცნების გზაზე.

საყურადღებოა ასეთი დეტალიც. დათოსა და აბრამის საუბარი მუდმივად ხმაურის ფონზე მიმდინარეობს, ამ ხმაურს თბილისის ომი და აფეთქების ხმა ქმნის. ეს ერთ-ერთი პლანია რომანისა, კონტექსტია, რომელშიც ცალკე არსებობს "არა კაც კლა", როგორც მცნება და ამ მცნებისაგან აბსოლუტურად დაშორებული რეალობა.

აბრამის მიერ წარმოთქმული თითქმის ბოლო ფრაზები: "— ურწმუნოება. უსიყვარულოება გტანჯავთ თქვენ და ამიტომ სულ ასეთი ცხოვრება გექნებათ — დაულაგებელი, აწეწილ-დაწეწილი! აბა, სცადეთ და იცხოვრეთ რწმენით! მალე, სულ, მალე იგრძნობთ, რა მთლიანია ადამიანი და ქვეყნიერება..." (გ. ბათიაშვილი, 2001, გვ. 233) ერთნაირად მიემართება მკითხველს, რომანის მთავარ გმირს და ეპოქას, რომელშიც გმირი ცხოვრობს. მასწავლებლის სიტყვები დათოს უკვე საბოლოოდ აჩვენებს ჭეშმარიტების გზას და ასრულებს მის გაუცხოებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მეთე კაცად იწყებს საკუთარი თავის აღქმას. სიმბოლურია ისიც, რომ ამ გზაზე უმთავრესი ფუნქცია მასწავლებელმა, მოძღვარმა შეასრულა.

რომანის სამი პლასტი — ბიბლიური იგავები, აბესალომის ცხოვრება და დათოს სულიერი კრიზისი — გამოკვეთს იმ მცნებების ყავლგაუსვლელობას, მოსეს ხელით რომ მიეცა სინაის მთის ძირში შეკრებილ ადამიანებს. მათ მიერ.

როგორც წინაპრების მიერ, დადებული ფიცის ურყევე მთლიანობა, ერთი მხრივ, გადაარჩენს თითოეულ პიროვნებას და, მეორე მხრივ, ამთლიანებს დროს, კრავს წრეს, რომელსაც გაივლის საკუთარი თავის მაძიებელი გმირი, მისთვის იმ ორგანულ წიაღში დასაბრუნებლად, საიდანაც ოდესღაც წამოვიდა. ამ თვალსაზრისით, ნაწარმოების სტრუქტურული მოდელი სხვა არაერთი ანალოგიის საფუძველსაც იძლევა, მაგრამ ამგვარი ანალიზი ჩვენს მიზანს არ შეადგენდა.

გურამ ბათიაშვილის "მეათე კაცი" კონცეპტუალური ხასიათის ტექსტია. რომანი გამოირჩევა თემის მხატვრული დამუშავების სიღრმითა და ორიგინალობით, მხატვრული ინტერპრეტაციის მდიდარი არსენალით და არა მხოლოდ ავტორის შემოქმედების, არამედ ქართული პროზის ერთ-ერთ გამორჩეულ და საინტერესო ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ბათიაშვილი, 2001 - გ. ბათიაშვილი, მეათე კაცი, თბ., 2001.

ა. ნიკოლეიშვილი, 2008 - ა. ნიკოლეიშვილი, ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, II, ქუთაისი, 2008.

NESTAN KUTIVADZE

THE CONCEPT OF THE TENTH MAN IN GURAM BATIASHVILI'S NOVEL "THE TENTH MAN"

In the Georgian literature of the 20th century the 60s is the boundary when a new generation appears on the arena and begins to set significant trends because of which an extremely interesting literary process starts to develop. Despite the false signs of warming of the era the Soviet system still remains to be powerful and considers literature to be a firm advocate of its own interests. Through actualization, encryption of certain topics, that has been a time-tested method, literature reflects, criticizes the epoch and often serves it, but still steadily remains loyal to the eternal values.

In this period a writer, playwright, essayist Guram Batiashvili starts his creative work. His creative success along with other works is conditioned undoubtedly by his novels. The novel "The Tenth Man" should be highlighted. It reflects the social and political situation in Georgia in the first quarter and the last decade of the 20th century. It also raises some ethical problems characteristic of the epoch that different generations of Jews had to face. The essence of being the tenth man follows the

difficult path of duties and responsibilities and represents a true value, constant reference point, which teaches every person how to find his mission in this world, how to become a man his own country needs. The artistic concept of the tenth man implies the conviction, the commitment to social work, inner readiness to serve your people, to bear the responsibility towards your countrymen.

Guram Batiashvili's novel is conceptual by its nature and is characterized by the depth of artistic processing and originality of the theme, the rich arsenal of artistic interpretation and it should be considered to be not only one of the most unique and interesting parts of the author's creativity but of the Georgian prose as well.

ოლენა მაჭეპოვა

**მწუხარებისა და სიხარულის ემოციების
მეტაფორული კონცეპტუალიზაცია
თანამედროვე სპარსულ ენაში**

სტატიაში ასახულია მწუხარებისა და სიხარულის ცნებების მეტაფორული კონცეპტუალიზაცია თანამედროვე სპარსულ ენაში. ნაშრომი ეფუძნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიას კოგნიტურ ლინგვისტიკაში — კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას, რომელიც 1980 წელს ჯორჯ ლაკოფისა და მარკ ჯონსონის მიერ იქნა შემოღებული. ყველაზე მნიშვნელოვანი შეხედულება, რომელსაც თეორიის ავტორები იზიარებენ არის ის, რომ ენასთან მიმართებაში მნიშვნელობას ცენტრალური ადგილი უჭირავს, და რომ ენობრივი სტრუქტურა ემსახურება ერთ მიზანს — მნიშვნელობის გამოხატვას. შესაბამისად, მნიშვნელობითა და ფორმით მიღებული ურთიერთგადაფარვა კოგნიტური ლინგვისტური ანალიზის ბაზისურ ეტაპს წარმოადგენს.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მიხედვით, მეტაფორა არ არის მხოლოდ ინსტრუმენტი ლიტერატურული შეხედულებებისათვის, მაგრამ ყველა ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს ადამიანის აღქმის სისტემა, რომელიც ძირეულად მეტაფორული ხასიათისაა.

სტატიაში მოყვანილია მტკიცებულებანი, რომლებიც ეფუძნება ენის შესწავლის შედეგად მიღებულ სტრუქტურულ მახასიათებლებს. წარმოდგინილია სპარსულ ენაში მწუხარებისა და სიხარული ემოციების გამოხატვის ასპექტები. საკვლევ მასალად გამოყენებულია 250 სიტყვა, ფრაზები და გამონათქვამები სასაუბრო ენიდან, სპარსული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, სპარსული მხატვრული ლიტერატურა და ინტერნეტ ტექსტები.

نظريه "استعاره مفهومي" برای نخستین بار در سال 1980 توسط جورج لیکاف و مارک جانسون مطرح شد. مناسب ترین ماخذ در این زمینه، دومنبع به زبان انگلیسی است: The contemporary theory of metaphor (1993) نوشته جورج لاکوف و (1980) Metaphors We Live By نوشته جورج لاکوف و مارک جانسون (ر.ک: کتابنامه). در اوکراین، برخی از این منابع، به صورتی پراکنده به زبان اوکراینی ترجمه شده است و در ایران- تا آن جا که نویسنده این مقاله اطلاع دارد- در این چند سال اخیر، پژوهش هایی صورت گرفته، اما نه به صورتی منسجم. درباره مفهوم استعاره، می توان به کتاب ارزشمند ترنس هاوکس اشاره کرد به نام استعاره (1377)، ترجمه فرزانه طاهری و نیز کتاب "استعاره، زبان شناسی و ادبیات" نوشته ه. واینریش (1386) ترجمه کورش صفوی. همچنین به این منابع نیز می توان اشاره کرد: جستاری با نام «نظریه معاصر استعاره» نوشته جورج لاکوف (1383)، کتاب "زبان استعاری و استعاره های مفهومی" به کوشش رضا داوری اردکانی، رضا نیلی پور، علی رضا قائمی نیا، آنتونی جی ان جاج، لطف الله یارمحمدی (1391)، مقالات "زبان شناسی شناختی و استعاره" نوشته گلفام و یوسفی راد (1381)، "نظریه استعاره مفهومی از دیدگاه لیکاف و جانسون" نوشته هاشمی زهره (1389) و بخشهای مربوط به استعاره از کتابهایی چون: "استعاره و شناخت" نوشته حبیب الله قاسم زاده (1378)، "نگاهی به تاریخچه ی مطالعات استعاره" نوشته آریتا افراشی (1383)، "بررسی استعاره در ادبیات فارسی از دیدگاه زبان شناسی شناختی" نوشته نیره صدیقی (1385)، "درآمدی بر زبان شناسی شناختی: نظریه ها و مفاهیم" نوشته محمد راسخ مهند (1392)، "مقدمه ای بر معناشناسی شناختی" نوشته بلقیس روشن و لیلا اردبیلی (1392).

3- مبانی نظری تحقیق

3-1. مطالعات عواطف در زبانشناسی معاصر

در آخرین چند دهه زبانشناسان به بررسی بیان عواطف در زبان های مختلف توجه زیادی داده اند. قبلا دانشمندان در مورد آنکه آیا زبانشناسی باید به مسائل بیان عواطف در زبان پردازد اختلاف نظر داشته اند. گروهی از آنها (کارل بولر، ادوارد سپیر، گوستاو گی یم) معتقد بودند که زبانشناسی نباید عواطف را مورد بررسی قرار دهد چون نقش اصلی زبان، شناختی است و اجزای عاطفی جزء نظام شناختی بشر نمی باشد. دسته دیگری از دانشمندان (شارل بالی، وان گینکن، میشل بره آل) بر عکس بیان عواطف را یکی از واجب ترین مطالب زبانشناسی می دانستند. اما در زبانشناسی معاصر شکی در آن نیست که عواطف بخشی از نظام شناختی و جزء لاینفک ساختار ذهن و تفکر بشر می باشد. بنا بر این مدتهاست که مسائل بیان عواطف در زبان های مختلف مورد توجه شاخه ای از زبانشناسی قرار گرفته که با عنوان "زبانشناسی عواطف" شناخته شده است (Shahovski 2008: 13).

امروزه مطالعات در حوزه عواطف از اهمیت زیادی در زبانشناسی شناختی برخوردار است. از میان زبانشناسانی که به مفهومسازی عواطف توجه داشته اند می توان یو (1995)، کووچش (2007)، ورژیبتسکا (1999) را نام برد. در مطالعات ایرانی در زمینه بررسی استعاره های حوزه عواطف، می توان به نوشته های افراشی (2011)، افراشی و حسامی (1392)، پیرزاد، پاژخ و حیاتی (2012)،

زوروز، افراشی و مصطفی عاصی (1392) اشاره کرد. بیشترین سهم این تحقیقات بر اساس تئوری "استعاره مفهومی" انجام شده اند.

2-3. استعاره مفهومی

موضوع استعاره در زبان، در طول قرنهای پیشین مورد توجه دانشمندان علمی چون ادبیات، فلسفه و زبان شناسی بوده است. دیدگاه سنتی، استعاره را یک آرایه ادبی محض قلمداد می کرد. اما مطالعات زبانشناسان شناختی طی سه دهه اخیر، ماهیت جدیدی برای استعاره تعریف کرده است. بر اساس برداشتهای جدید شناختی، استعاره دیگر فقط یک آرایه ادبی یا تنها یکی از صور کلام نیست؛ بلکه فرایندی فعال در نظام شناختی انسان شناخته می شود.

"استعاره مفهومی" اصطلاحی است که برای نخستین بار در سال 1980 در کتاب جورج لیکاف، زبان شناس آمریکایی و مارک جانسون، فیلسوف آمریکایی، با عنوان "استعاره هایی که با آنها زندگی می کنیم" (Lakoff, Johnson, 1980) در محافل زبان شناسان مطرح شد. نویسندگان این کتاب معتقدند که شناخت حوزه های مفهومی ذهنی، مبانی استعاری دارد و نظام مفهومی به میزان قابل توجهی نتیجه عملکرد مفهوم سازی استعاری است. این نظام مفهومی دارای نقشی اصلی در تبیین واقعیات روزمره زندگی است و از آنجا که این نظام، ساختاری استعاری دارد، شیوه اندیشیدن، تجربه اندوختن و عمل کردن ما نیز استعاری است (Lakoff, Johnson, 1980: 8). به عبارت دیگر آنها بر این باورند که استعاره عملاً ساختار ادراکات و دریافت های ما را تشکیل می دهد. برای بیان استعاره مفهومی آنها دو حوزه و یک فرآیند را پیشنهاد کرده اند: "حوزه مبداء" (source domain)، "حوزه مقصد" (target domain) و فرآیند "نگاشت" (mapping). در این تئوری، استعاره روشی معرفی می شود که از طریق آن گذر از یک حوزه مفهومی که بیشتر آشنا و ملموس است به حوزه مفهومی دیگر که اکثراً انتزاعی می باشد صورت می گیرد و مفهوم و اصطلاح "نگاشت"، ویژگی های دو حوزه شناختی (که در قالب استعاره به یکدیگر نزدیک شده اند) را با یکدیگر تطبیق می دهد. لیکاف و جانسون استعاره های مفهومی را با توجه به ویژگی های حوزه مبداء، در سه طبقه قرار دادند: استعاره های ساختی، استعاره های جهت، استعاره های هستی شناختی. در میان استعاره های ساختی که توسط آنها بر مبنای شواهد زبان انگلیسی تشخیص داده شد می توان استعاره های ذیل را نام برد: "مباحثه جنگ است"، "وقت پول است"، "تصورات اشیاء هستند"، "اصطلاحات زبانی ظرف هستند"، "عشق سفر است"، "عشق بیمار است"، "عشق جنگ است"، "زندگی ظرف است"، "زندگی بازی است" و غیره.

در این مقاله سعی شده تا بر اساس شواهد زبان فارسی بعضی استعاره های مفهومی عواطف "غم" و "شادی" مشخص شود و با لیست استعاره های مفهومی همین عواطف که توسط کووچس (Kövecses) (2007: 24-26) بر مبنای زبان انگلیسی تهیه شده مورد مقایسه قرار بگیرد. استعاره های مفهومی در این مقاله "مدلهای استعاری" نامیده می شود.

4- تحلیل داده ها

مبنای گردآوری داده ها در مقاله حاضر متون ادبی معاصر، فرهنگ های تعابیر مصطلح و امثال سخن زبان فارسی شده است که بر اثر تجزیه و تحلیل آنها 250 عبارت حاوی مدلهای استعاری "غم" و "شادی"

یافت شد. در پژوهش حاضر قرار بر این شد که به عنوان واژه های کلیدی حوزه مقصد مفهوم "شادی" کلماتی چون *شادی، خوشحالی، خوشی، خرسندی، وجد، شوق و نوق* و غیره دانسته شود، و کلماتی نظیر *غم، غصه، اندوه، دل‌تنگی، افسردگی* و غیره به عنوان واژه های کلیدی حوزه مقصد مفهوم "غم" مورد نظر قرار بگیرد.

1-4. نگاشتهای مشترک مفاهیم "شادی" و "غم".

پژوهش حاضر این نتیجه را دست داد که هر دو عاطفه با آنکه کلمات "شادی" و "غم" متضاد هستند در ذهن فارسی زبانان تا اندازه قابل توجهی شبیه هم مفهوم سازی شده اند. تشخیص نگاشتهای مشترک به این دلیل امکان پذیر شد که این دو مفهوم چند تا حوزه مبدأ مشترک دارند نظیر: *ماده، فضا، حریفی در نزاع، نیروی غیر طبیعی، دیوانگی، گیاه.*

1-4-1. نگاشت مشترک "شادی/غم ماده است".

در این مدل استعاری عاطفه به صورت ماده ای درک می شود که یک مخزن را پر می کند. برای مثال سه جمله زیر را در نظر بگیریم:

- (1) *آن شب وقتی سر بر روی بالش گذاشتم للم مالمال از شادی بود. نمی دانم چرا؟! ... (ناهِید پژواک، شب شراب، ص. 60).*
- (2) *للم پر بود، از غصه می‌ترکیم... (ناهِید پژواک، شب شراب، ص. 412).*
- (3) *تمام غمهایم فروکش کرد، همه غصه هایم آب شد... (ناهِید پژواک، شب شراب، ص. 337)*

در جمله (1) شادی به عنوان یک ماده ای درک می شود که دل پرسوناژ را مالمال کرده است. در جمله (2) خود انسان به عنوان یک مخزنی تصور می شود که نزدیک است از حجم زیاد غصه بترکد. در جمله (3) اثبات آن را می بینیم که غم به عنوان یک ماده فهمیده می شود که درون مخزنی جابجا می شود و غصه نیز مانند یک ماده قابل آب شدن می باشد.

1-4-2. نگاشت مشترک "شادی/غم فضاست".

یکی از خصوصیات این نگاشت آن است که شادی به صورت "بالا" مفهوم سازی می شود و غم به صورت "پایین" که با تنوری لیکوف و جانسون در مورد استعاره های جهتی مطابقت دارد. به وجود این مدل استعاری در ذهن سخنوران زبان فارسی تعبیر مصطلح متعددی دلالت می کنند مانند: *روحش پرواز کرد، سر دماغ آمدن، از خوشحالی کلاه خود را به آسمان انداختن؛ از دماغ / از دل افتادن، سر به گریبان خود/چیزی فرو بردن، سبیل‌های کسی آویزان شدن، لب و لوجه کسی آویزان شدن* و غیره. چند جمله زیر را در نظر بگیریم:

- (4) *وقتی زمان برگشتن به منزل فرا رسید، سر از پا نمی شناختم. بال در آوردم. (فتانه حاج سید جوادی، بامداد خمار، ص. 29-30).*

(5) و شاهزاده خانم سال ها و سال ها منتظر ماند تا سر آخر از غم و غصه سرش را زیر انداخت و آن گریه کرد که از اشکهایش برکه ای درست شد و قصر پادشاه رفت زیر آب. (زویا پیرزاد، چراغها را من خاموش می کنم، ص. 205).

(6) خیلی میل داشتم که بر شنت آن بیفزاید، در وجد ناگفتنی فرو رفته بودم، هر فکری که می خواستم می کردم... (صادق هدایت، زنده بگور، ص. 19).

در جمله (4) خوشحالی و شادی سبب آن می شود که پرسوناژ حاضر است به پرواز در بیاید. در جمله (5) با توجه به اینکه غم و غصه بر خلاف شادی در ذهن انسان بیشتر با پایین تداعی می شود، در اثر احساس غم و غصه شاهزاده سرش را زیر می اندازد. اما باید توجه داشت که در این جمله "سر را زیر انداختن" را می توان به عنوان یکی از موارد انعکاس مجاز مفهومی دانست چون در زیانشناسی شناختی عکس عملهای فیزیکی و رفتار انسان که ناشی از عواطف پشت سر گذاشته شده جزء مجاز مفهومی، نه استعاره مفهومی شناخته می شود (Kövecses 2007, 4-5). جمله (6) حاکی از آن است که در وجد مانند در یک فضایی می توان فرو رفت.

3-1-4. نگاهت مشترک "شادی/غم حریفی در نزاع است".

این مدل استعاری را در کلمات "نوق زده" و "غمزده" ساخته شده از ترکیب واژه های کلیدی مفاهیم مورد بررسی "نوق" و "غم" و صفت مفعولی فعل "زدن" می بینیم، مثلا:
هر شب احمد نقشه فرارشان را برای ربابه تکرار می کرد که همیشه یکجور بود، و ربابه با چشمهای نوق زده فکر و هوش برادرش را تمجید می کرد. (صادق هدایت، چنگال، ص. 163).

همچنین در جمله های (7)، (8)، (9) می بینیم که غم به مثابه یک حریفی که با انسان مبارزه می کند درک می شود چون واژه های کلیدی با فعلهای "شکستن" و "کشتن" در یک قرینه توأم می شوند:

(7) از غم تسکین ناپذیر دوری از وطن شکسته شده بود. (فرهنگ امیر قلی امینی).

(8) با از دست دادن برادر پشتش شکسته شد. (فرهنگ امیر قلی امینی).

(9) غم کشت مرا و غم گسار آگه نیست. (انوری 1384: 814).

4-1-4. نگاهت مشترک "شادی/غم نیروی غیز طبیعی است".

این مدل استعاری مفهوم شادی در تعبیر مصطلح در پوست خود ننگجین منعکس می شود. به درک غم به صورت یک نیرویی که می تواند انسان را فرا بگیرد یا فشار بدهد تعبیری مانند غم / غصه ام گرفت، انده مرا فرا گرفت، لدم گرفته است، حالم گرفته شد، حوصله ام تنگ شد، پرگار او تنگ شد، در نتگنا افتادن دلالت می کنند همانند عبارت غصه گلویم را فشار می داد در چنین جمله:

با وجود اینکه واقعا میل نداشتم و غصه گلویم را فشار می داد اما از سوال محبوبه رنجیدم... (ناهدی پژواک، شب شراب، ص. 81).

4-1-5. نگاشت مشترک "شادی/غم دیوانگی است".

انعکاس این مدل استعاره‌ای در زبان فارسی را در عبارت مصطلح *سر از پا نشناختن می بینیم* و همچنین این جمله:

حاجی صادق نامی از شادمانی یک دیوانگی از خود نشان می نمود... (احمد کسروی). تاریخ مشروطه ایران، ص. 181)

غم همچنین ممکن است سبب دیوانگی انسان شود که بطور آشکار در چنین نمونه های گرفته شده از شبکه اینترنت انعکاس می یابد: غم دیوانه واری دارد این عشق / چه شیرین انتظاری دارد این عشق [http://musiceiranian.ir/18427-dokhtari-be-name-ahoo-salar-aghili.html]؛ امشب که زغم دیوانه شدم / آواره ی هر میخانه شدم [http://www.iransong.com/song/12112.htm]؛ عاقبت از غم عشق تو دیوانه شدم / باده بر دست شدم راهی میخانه شدم [http://www.cloob.com/u/fardin_fashen].

4-1-6. نگاشت مشترک "شادی/غم گیاه است".

از آنجایی که فعلهای شکفتن و شکفته شدن به معنی "خوشحال شدن" و فعلهای پژمردن و پژورلین به معنی "غمگین شدن" به کار گرفته می شوند به این نتیجه می رسیم که شادی و غم با استفاده از حوزه شناختی گیاه (یا گل) مفهوم سازی می شود. این گمان را تعابیر مصطلحی مانند: *گل از گلش شکفت (باز شد)*، *مثل گل شکفتن*، *مثل گل از هم باز شدن*، کلمات اشتقاقی *پژمرده*، *پژمان* و غیره تصدیق می کنند. غم مانند یک گیاه در چنین مثل سخن توصیف می شود: *گر از روی زمین روید غم و درد / دل عاشق به روی بوست شاد است*. (انوری 1384: 470).

4-2. نگاشت‌های متفاوت مفاهیم "شادی" و "غم".

علاوه بر مدل‌های استعاره‌ای مشترک نگارنده مقاله موفق شد چند تا از مدل‌های استعاره‌ای خاص مفهوم غم از جمله "غم بار است"، "غم آتش است"، "غم موجودی زنده است"، "غم بیماری است" و چند تا از مدل‌های استعاره‌ای ویژه مفهوم شادی نظیر "شادی روشنی است"، "شادی مستی است"، "شادی مرگ است" مشخص کند. نمونه های اصطلاحات و جمله هایی را که بر مبنای آن ها این مدلها تشخیص داده شدند در جدول زیر ارائه می دهیم:

مدل استعاره‌ای	نمونه های تأیید کننده وجود مدل استعاره‌ای در زبان فارسی
غم بار است	بار غم، بار غصه بار بر دل داشتن؛ <i>تا مست نیاشی نبری بار غم یار / آری شتر مست کشد بار گران را</i> (سعدی) (انوری 1384: 234).
غم آتش است	دلسوخته، جگر سوخته، جانسوز، دلگداز؛ دماغ کسی را سوزاندن، مثل اسفند در آتش سوختن؛ <i>غم هجر تو ما را سوخت چندان / که با خاک سیه گشتیم یکسان</i> (وحشی) (انوری 1384: 827).
غم موجودی زنده است	غمه دلش را می خورد، غم بلم را چنگ می زند؛ <i>یک همدم باوفا ندیدم جز</i>

درد / یک مونس نامزد ندارم جز غم (حافظ) (انوری 1384: 1261).	
غم بیماری است غمباد، غمباد، غصه مرگ، غصه مرگ شدن؛ غصه بتتر از زهر است چون زهر یک دفعه می کشد ولی غصه به تدریج (انوری 1384: 708).	
شادی روشنی است چشمش به روشنایی افتاد، چشم ما روشن! چشم هزار بار روشن و قلبم هزار بار گلشن. عزیزم خوش آمدی مزین فرمودی قدمت بالای نو چشم من... (محمدعلی جمال زاده، دارالمجانین)	
شادی مستی است سرخوش، سرمست؛ با یک پیاله مست است؛ مست نشاط شدم... (محمد حجازی پریچهر)	
شادی مرگ است برای چیزی مردن: من برای آب می میرم. وقتیکه شنا می کنم مثل اینست که همه پرندگان همه طبیعت با من گفتگو می کنند... (صادق هدایت، گجسته دژ)	

همانطور که دیده شد بسیاری از مدلهای استعاری غم و شادی مشخص شده در این پژوهش با استعاره های مفهومی تعیین شده بر مبنای زبان انگلیسی توسط کووچس (Kövecses 2007: 24-26) مطابقت دارد. هر چند که بعضی از استعاره های انگلیسی مانند "انسان خوشحال حیوانی است که خوب زندگی می کند"، "شادی/غم حیوان اسیر است"، "غم فقدان گرماست"، "غم راهنمای اجتماعی" احتمالاً در زبان فارسی وجود ندارند. جلب حجم بیشتر مآخذ ادبی بعنوان مبنای گردآوری داده های زبانی اجازه خواهد داد این گمان را مورد بررسی قرار بدهیم.

5- نتیجه گیری

این مقاله با هدف معرفی بعضی از مدلهای استعاری و حوزه های مبدأ احساسات غم و شادی در زبان فارسی نوشته شد. پژوهش این نتیجه را دست داد که احساسات مورد مطالعه با وجود آنکه کلمات غم و شادی متضاد هستند تا اندازه قابل توجهی یکسان مفهوم سازی شده اند به آن معنی که در خلال مفهوم سازی استعاری این عواطف از حوزه های مبدأ یکسان استفاده می شود. نگارنده مقاله موفق به تشخیص 6 مدل استعاری مشترکی شد که دال بر این واقعیت است که سخنوران زبان فارسی این احساسات را در تا حدی معین شبیه هم درک می کنند. مقایسه با لیست استعاره های مفهومی عواطف مذکور که توسط کووچس تنظیم شده بود نشان داده است که در بسیاری از موارد این احساسات در دو زبان یکسان مفهوم سازی می شوند. هر چند که تفاوتی هم وجود دارند. بنا بر این شاید بتوان در باره درست بودن نظر های زیاتشناسان شناختی گفت که بر این باورند که با توجه به طبیعت بنولوژیک عام بشر و ماهیت استعاره به عنوان پدیده ای بر خاسته از ذهن، مغز و تن، بیشتر استعاره های مفهومی در حوزه احساسات در بسیاری از فرهنگ ها مشترکند. اما چون "هر فرهنگ یک شبکه زبانی خود را در مفهوم سازی احساسات می اندازد" (Wierzbicka, 1999: 240) ویژگی های منحصر این فرهنگ لزوماً در زبان نمایندگان آن منعکس می شوند.

کتابنامه

- 1- არიკათი، رضا داوری؛ نیلی پور، رضا؛ قائمی نیا، علی رضا؛ جی ان جاج، آنتونی، یارمحمدی، لطف الله (1391). زبان استعاره‌ی و استعاره‌های مفهومی، تهران: انتشارات هرمس.
- 2- افراشی، آریتا (1383). نگاهی به تاریخچه‌ی مطالعات استعاره، تهران: سوره مهر.
- 3- افراشی، آریتا؛ حسامی، تورج (1392). تحلیل استعاره‌های مفهومی در یک طبقه بندی جدید با تکیه بر نمونه‌هایی از زبان‌های فارسی و اسپانیایی، نشریه پژوهش‌های زبانشناسی تطبیقی، سال 3، شماره 5، بهار و تابستان 1392، صفحه 141-165.
- 4- امیر قلی امینی (1339). فرهنگ عوام با تفسیر امثال و اصطلاحات زبان پارسی، تهران.
- 5- انوری، حسن (1384). فرهنگ امثال سخن، دو جلد، تهران: سخن.
- 6- بهنام، ارسلان؛ یوسفی راد، فاطمه (1381). "زبان‌شناسی شناختی و استعاره"، مجله تازه‌های علوم شناختی، پاییز.
- 7- راسخ مهند، محمد (1392). درآمدی بر زبان‌شناسی شناختی: نظریه‌ها و مفاهیم، تهران: سازمان مطالعه و تدوین کتب علوم انسانی دانشگاه‌ها.
- 8- روشن، بلقیش؛ اردبیلی، لایلا (1392). مقدمه‌ای بر معناشناسی شناختی، تهران: نشر علم.
- 9- صدری، نیره (1385). بررسی استعاره در ادبیات فارسی از دیدگاه زبان‌شناسی شناختی، تهران: دانشگاه علامه طباطبایی.
- 10- زورورز، مهدیس؛ افراشی، آریتا؛ عاصی، سید مصطفی (1392). استعاره‌های مفهومی شادی در زبان فارسی: یک تحلیل پیکره‌مدار، مجله زبانشناسی و گویش‌های خراسان، شماره 9، پاییز و زمستان 1392، صص. 49-72.
- 11- قاسم زاده، حبیب الله (1378). استعاره و شناخت، تهران: فرهنگان.
- 12- گل یوا، گالینا (گردآورنده) (2000). فرهنگ اصطلاحات و تعبیرات زبان فارسی با ترجمه روسی (در حدود 6000 اصطلاح و ضرب‌المثل)، مسکو: گراال.
- 13- لیکاف، جورج (1383). «نظریه معاصر استعاره»، استعاره، مبنای تفکر و ابزار زیبایی‌آفرینی، به کوشش فرهاد ساسانی، تهران، حوزه هنری سازمان تبلیغات اسلامی، صص 195-298.
- 14- واینریش، ه. (1386). استعاره، زبان‌شناسی و ادبیات، تاریخچه چنداصطلاح. گردآوری و ترجمه کورش صفوی، تهران: هرمس.
- 15- هاشمی، زهره (1389). نظریه استعاره مفهومی از دیدگاه لیکاف و جانسون، مجله ادب پژوهی، تابستان، شماره 12، صص. 119-139.
- 16- هاوکس، ترنس (1377). استعاره. ترجمه فرزانه طاهری، تهران: مرکز.
17. Afrashi, A. (2011). Semantic analysis of shame in Persian: a cognitive and cultural perspective. In Emotion-Cognition-Communication Conference, Sorbonne and University of Cyprus.

18. Kövecses, Z. (2007). *Metaphor and Emotion: Language, Culture, and Body in Human Feeling*. New York: Cambridge University Press.
19. Lakoff, G. and Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
20. Lakoff, G. (1993). *The Contemporary Theory of Metaphor*. New York: In Ortony, A. (Ed). *Metaphor and Thought* (2nd Ed.). Cambridge: Cambridge University Press. pp. 202-251.
21. Pirzad, Sh., Pazhakh, A. and Hayati, A. (2012). "A comparative study on basic emotion conceptual metaphors in English and Persian literary texts". In *International Education Studies*, Vol.5, No.1, pp. 200-207. Canada: Canadian Center of Science and Education.
22. Selivanova, O. (2006). *Suchasna linguistica: terminologichna entsiclopediya*. (The modern linguistics : terminological encyclopedia). Kyiv: Dovkillya.
23. Shahovskiy, V. (2008). *Lingvisticheskaya teoriya emociy*. (The linguistic theory of emotions). Moscow: Gnosis.
24. Wierzbicka, A. (1999). *Emotions across Languages and Cultures: Diversity and Universals*. Cambridge University Press, 1999.
25. Yu, N. (1995). "Metaphorical expressions of anger and happiness in Chinese and English". *Metaphor and Symbolic Activity*, 10(2), 59-92. London: Routledge.

فهرست منابع انبی

- پژواک، ناهید (1377). *شب شراب، رشت: مهارت*.
 جمال زاده، محمدعلی (1379). *یکی بود و یکی نبود*، تهران: سخن.
 پیرزاد، زویا (1380). *چراغ ها را من خاموش می کنم*، تهران: نشر مرکز.
 هدایت، صادق (1372). *زنده بگور*. سه قطره خون، تهران: چاپخانه رخ.
 حاج سید جوادی، فتانه (1377). *بامداد خمار*، تهران: نشر البرز.
 کسروی، احمد (1383). *تاریخ مشروطه ایران*، تهران: امیر کبیر.
 حجازی، محمد (1352). *پریچهر*، تهران: خوارزمی.

OLENA MAZEPOVA**“THE METAPHORICAL CONCEPTUALIZATION OF THE EMOTIONS OF SADNESS AND JOY IN THE MODERN PERSIAN LANGUAGE”**

Today in modern linguistic researches metaphor is regarded as a phenomenon far more sophisticated and far more important than it used to be. Traditionally the metaphor used to be regarded either as a figure of speech (at the Antic times), or as an instrument for semantic developing of word (in historical semantics), or as one of figurative meaning varieties (in synchronic lexicology and lexicography). Yet, when the theory of conceptual metaphor appeared and was substantiated in “Metaphors We Live By” by George Lakoff and Mark Johnson (1980) – the book, which became a benchmark for contemporary cognitive researches – it became obvious that “metaphor is pervasive in everyday life, not just in language but in thought and action. Our ordinary conceptual system, in terms of which we both think and act, is fundamentally metaphorical in nature” [Lakoff, Johnson 1980].

The theory of conceptual metaphor regards the process of metaphorization as the motion from exact, well-known, and structured matter of fact towards new, unknown, less structured, and more abstract object of cognition. Metaphorization is based on the interaction of two structures of knowledge: source domain and target domain. In the process of metaphorization some areas of target domain are getting structured after the pattern of source domain, which results in metaphorical mapping. In other words, metaphorization is the way of thinking about one segment of our experience through our knowledge about another segment of it, the one that we have already understood.

This paper comprises attempt to determine the set of conceptual metaphors or metaphoric patterns used for conceptualizing emotions of SADNESS and JOY in the Persian conceptual system. Material for the research were 250 words, phrases, and expressions of every day usage chosen by the method of continuous sampling from lexical and phrase dictionaries of Persian, Persian fiction literature, and Internet texts.

In the result of the research it was determined that Persian lingual consciousness, when realizing emotions of sadness and joy, in some cases conceptualizes them after same metaphoric patterns. These are following coupled patterns: JOY/SADNESS – SUBSTANCE, JOY/SADNESS – SPACE, JOY/SADNESS – SUPER NATURAL FORCE, JOY/SADNESS – INSANITY, JOY/SADNESS – PLANT. Beside these coupled patterns, several patterns attributed to single emotion were also determined. In particular sadness can be conceptualized after following metaphoric patterns: SADNESS – BURDEN, SADNESS – FIRE, SADNESS – A LIVING CREATURE, SADNESS – ILLNESS; while joy is comprehended through the patterns: JOY – LIGHT, JOY – RAPTURE, JOY – DEATH.

The analysis gave us an idea about similar and distinguishing features of conceptualizing emotions of sadness and joy in English and Persian. It appeared that

most of chosen patterns coincided with those, which Z. Kövecses had chosen in English. Results of the Persian material analyzing, however, did not provide any reasons to declare about existence of certain English metaphorical patterns in modern Persian. e.g. HAPPINESS / SADNESS IS AN ANIMAL, SADNESS IS A LACK OF HEAT, SADNESS IS A SOCIAL SUPERIOR, etc. (Kövecses Z. 2007: 24-26).

Thus, as the analysis proved, when realizing metaphorically *sadness* and *joy* emotions the Persian lingual consciousness demonstrates both universal and ethno-specific particularities. Bearing in mind universal character and biologic background of emotions, one can apparently speak about existence of certain set of conceptual metaphors, which are common for many cultural areas. Therefore, determining balance of universal and ethno-specific shares – when representatives of various languages and cultures realize metaphorically different aspects of life using conceptual metaphors – allows not only shedding light on the particularities of linguistic conceptualization of the world around, but also enables formalizing obtained results.

მარიამ მარჯანიშვილი

დიდი ქართული საქმის მსახურნი (იოსებ ელიგულაშვილი, ილია გოლდმანი)

დღეს მთელი მსოფლიოსათვის ნათელია, თუ რა მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით იხსენებენ საქართველოდან წასული ქართველი ებრაელები ქართულ კულტურას, მის ისტორიასა და ხალხს.

ქართველების მხრიდანაც ერთობ დიდი დაინტერესებაა ჩვენში 26 საუკუნის მანძილზე მცხოვრებ ებრაელთა მიმართაც, რომლის ერთ-ერთი გამოძახილია 2014 წლის ქართულ-ებრაული ურთიერთობის წლად გამოცხადება.

ისტორიულად ქართველები ყოველთვის პატივს სცემდნენ სოლომონ ბრძენის ერს. ქართველები კარგად იცნობდნენ ებრაელთა ერის ტანჯვით აღსავსე ისტორიას, რომელთაც ძვ. წ. VI საუკუნეში ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ, ხოლო შემდეგ კი რომაელებმა ახ. წ. I-II საუკუნეებში მრავალი განსაცდელი დაატეხეს თავს.

ასე რომ, თავდაპირველად ტერმინი – დიასპორა – პალესტინის გარეთ მცხოვრებ ებრაელთა დევნიდან იღებს სათავეს.

მძიმე ქართველების მიუხედავად, ებრაელ ერს არ დაუკარგავს ენა, კულტურა და სარწმუნოება. მათ ცივილიზებულ მსოფლიოს მისცეს სტენდალი და შტეტვან ცვაიგი, შალომ ალეიხეიმი და ბორის პასტერნაკი... უფრო ადრე კი დიდი ებრაელები ჰეგელი, მარქსი, ნიუტონი, აინშტაინი და სხვ.

“მრავალჯერ მოსულა საქართველოში სისხლის წვიმა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ებრაელებს არ გაეზიარებინათ ქართველის ტკივილი. ამის დასტურია 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, რომელმაც ჩამოშალა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული სხეული. ახალ რეჟიმთან შეუთავსებლობისა და საერთაშორისო სამართლის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის მებრძოლი მთავრობისა და მოწინავე ინტელიგენციის გვერდით დადგა ქართველი ებრაელობაც, მათ შორის აღსანიშნავია იოსებ ელიგულაშვილის ღვაწლი.

იოსებ ელიგულაშვილი 1890 წლის 12 ნოემბერს, ქუთაისში, მდიდარი ებრაელის ოჯახში დაიბადა. მამამისი – არონ ელიგულაშვილი – ქუთაისის სინამდვილეში თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ, რომელიც სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრად, ხოლო 1917 წლის არჩევნებში, რომელიც მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ჩატარდა, იყო ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით.

“ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის მიერ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის გელათის ქუჩიდან წარდგენილი იყვნენ არონ ელიგულაშვილი (ვაჭარი); იოსებ ხაზანაშვილი (ვაჭარი); კალისტრატე

ჩიკვაიძე (ვექილი) და შიმშონ იაკობიშვილი (ვაჭარი)” (გაზეთი “ჩვენი ქვეყანა”, 1917, გვ. 3).

ქართულ მიწა-წყალზე ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება მიმდინარეობდა, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს ურთიერთობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ორი ერის წინაპრების სულიერი სიახლოვის ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. ბიბლიისა და “ვეფხისტყაოსნის” შემქმნელ ერებს სხვაგვარად არც შეეძლოთ, რადგან ეს წიგნები ზრდიდა და ზნეობრიობის, სულიერი წონასწორობის უნიკალურ მაგალითს აძლევდა თითოეულ მათგანს.

იოსებ ელიგულაშვილი ფესვებით იყო შეზრდილი ქართველი ერის ქირავართან. მან საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო უმაღლესი — მოსკოვში, სადაც დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი.

ძირძველ ქართველ ებრაელთა ოჯახში დაბადებული იოსებ ელიგულაშვილი ახალგაზრდობიდანვე იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ციხეშიც იჯდა და სულ ახალგაზრდა ქუთაისიდანაც იყო გადასახლებული.

რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ი. ელიგულაშვილს საშუალება მიეცა თუ არა, თავისი ცოდნა მაშინვე თავისუფალი ქვეყნის, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩააყენა.

ძალიან ახალგაზრდა იოსებ ელიგულაშვილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე იქნა მოწვეული. ზოგს ეს გარემოება შიშს ჰგვრიდა, — შეეფერება ეს ახალგაზრდა კაცი ამ დიდ თანამდებობას? მაგრამ, როცა მას საქმეზე საუბარში გაეცნობოდნენ, იგი თვით ძველი და გამოცდილი ქართველი დიდი მოხელეებისა და საქმის კაცების ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებდა.

როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იოსებ ელიგულაშვილი წამოაყენა დეპუტატად პარტიული სიით (№93) ქუთაისიდან, ასევე მეორე ქუთაისელ ებრაელ მოშე დავარაშვილთან (№51) ერთად. 1920 წლის აგვისტოში იოსებ ელიგულაშვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიკურ აგენტად როტენდამსა და საფრანგეთში, რის გამოც იგი განთავისუფლებულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრობიდან. 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იოსებ ელიგულაშვილმა გაიზიარა ეროვნული მთავრობის ხვედრი და ემიგრაციაში გაიზიარა.

“საქართველოს ოკუპაცია და უცხოეთში გადმოხვეწა მისთვისაც ისე მწარე იყო, როგორც დიდი უმრავლესობისათვის. დიდი ოჯახი — სულ 28 სული ვართო, — იტყოდა განსვენებულის მამა — მისი ზრუნვის საგანი იყო დიდი ხნის განმავლობაში და თავისი დიდი ენერგიით იოსებმა შეძლო ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი საკუთარ ფეხზე დაეყენებინა” (გ. შარაძე, 1993, გვ. 118).

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, იოსებ ელიგულაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1921 წელს საქართველოდან ეროვნული განძის გატანისა და გადარჩენის საქმეში:

“წოე ჟორდანიამ მომისმინა და მაშინვე გამოაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი — თანაშემწე ფინანსთა მინისტრის, კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი.

მან იოსებს უთხრა: შენ თანაშემრომლობ ექვთიმესთან, გეძლევა სრული უფლება იმოქმედოთ საქმის შესრულებისად მიხედვისთა განსჯულობის შესაგროვებად.

გაძლევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს.

იოსებ ელიგულაშვილის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭიერებით ჩვენი დავალება ბრწყინვალედ შეეასრულეთ” (ქურნალი “ჩვენი დროშა”, 1986, გვ. 78-82).

საქართველოს განძის გადარჩენის გარდა, როგორც ნინო სალია თავის მოგონებაში აღნიშნავდა: “იოსებ ელიგულაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ საქართველოს მთავრობამ 1922 წელს შეიძინა პარიზთან ახლოს დაბა ლევილში მამული და ორსართულიანი სასახლე (“შატო”), რომელიც დღესაც საქართველოს ეკუთვნის და 70 წლის მანძილზე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ემიგრაციას (გ. შარაძე, 1990, გვ. 15).

პარიზში იოსებ ელიგულაშვილი აირჩიეს ქართული ეროვნული საბჭოს წევრად, აგრეთვე, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველი ებრაელების ასოციაციის თავმჯდომარედ. მან დიდი ენერგია და თავგანწირულობა გამოიჩინა ქართველი ებრაელობის გადასარჩენად მეორე მსოფლიო ომის დროს.

“იოსები დიდი მადლობით იხსენიებდა ყველა მათ, ვინც ამ საქმეში მას დაეხმარა; და, უპირველეს ყოვლისა, იგი იხსენიებდა საქართველოს ისტორიას, რომელმაც – მისი სრულიად სამართლიანი აზრით – ისეთი ნიადაგი მოუშადა ქართველი ებრაელობის მდგომარეობას ქართველი ხალხის არსებობის ძლიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რომ მან ხელი შეუწყო იმათ შორეულ უცხოეთშიც საშინელი ტრაგედიიდან უმტკივნეულოდ გამოსვლას.

ამ საქმემ გააცნო იოსები და დაახლოვა იგი უცხოელ ებრაელობას და მათ წრეში დიდი პატივისცემა მოუპოვა. თვითონ კი, იოსები ამ უცხო წრეში მუდამ წინ სწევდა საქართველოს ისტორიას და ქართველი ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთობას ქართველ ებრაელობასთან დამოკიდებულებაში” (გ. შარაძე, 1993, გვ. 119).

ცნობილია, რომ უცხოეთის ცის ქვეშ ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი ეროვნულმა სულისკვეთებამ “ფაშისტად” აქცია, ანუ ისინი შეეცადნენ უცხოური ძალის გამოყენებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, გაეთავისუფლებინათ სამშობლო ბოლშევიკური ტერორისაგან. ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა. ისინი ძირითადად, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ქართველ ტყვეთა გათავისუფლებით იყვნენ დაკავებულნი.

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველ ტყვეთა სიცოცხლის გადასარჩენად “კავკასიური შტაბის” წევრებმა ვ. ნოზაძემ, კ. სალიამ, ზ. ავალიშვილმა, მ. წერეთელმა, შ. მაღლაკელიძემ, ა. ასათიანმა, დ. სინჯიკაშვილმა, ის. მანწყავამ, მ. ტულუშმა და სხვებმა ენერგიული მუშაობა გასწიეს. მათ ფაშისტური რისხვისაგან დაიცვეს ტყვე ქართველი ებრაელები და ასევე რუსეთის ებრაელობაც.

“ომის დროს მთელი ქართველი ებრაელობა იოსებ ელიგულაშვილთან იყრიდა თავს და მისგან შველას მოელოდა: მისი ცოდნის, მისი ენერჯის, მისი თავდადების იმედი ჰქონდათ. იოსებ ელიგულაშვილის ინიციატივით, მთელი ქართველი ემიგრაცია ერთსულოვნად დაირაზმა ებრაელების გადასარჩენად.

ამ საქმეში მან, როგორც ქართველების, ისე უცხოელების დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი, ქართველების ძალისხმევით, სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდად ასწია ქართველთა პრესტიჟი უცხოელი ებრაელების თვალში და საქართველოსაც ბევრი მეგობარი შესძინა” (გ. შარაძე, 1993, გვ. 120).

ქართველ ემიგრანტთა მიერ ებრაელთა დაცვით აღდგა უცხოეთში საქართველოს ძველი ისტორიული ტრადიცია – ყველა ერისა და ყველა სარწმუნოების პატივისცემისა და დაცვისა. თავად ი. ელიგულაშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობდა: “ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება!... “ (გ. შარაძე, 1993, გვ. 120).

იოსებ ელიგულაშვილი საუკეთესო გამოცხადებული იყო იმ ერთობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ებრაელებს ქართველ ხალხთან აკავშირებდა და რომელიც ებრაული საკითხის მცოდნეებს საბუთს აძლევდა დაენახათ ქართველ ებრაელებში სრულიად განსაკუთრებული თვისებები, საერთოდ, ებრაელობასთან შედარებით, არც თუ ზნე-ჩვეულებით, არამედ ფიზიკურადაც. ეს გარემოება და ქართველი ერის მათდამი დამოკიდებულება საბუთს აძლევდა ქართველ ებრაელობას თავისი თავი “მოსეს რჯულის” ქართველებად ელიარებინათ. ამავე გარემოებამ და ამ მოტივმა ხელი შეუწყო ქართველ ებრაელობას თავი დაეხსნათ იმ საშინელებიდან, საერთოდ ებრაელობას რომ დაატყდა ნაცისტური გერმანიის მიერ დაკავებულ ქვეყნებში უკანასკნელი ომის დროს” (ყურნალი “ჩვენი დროშა”, 1953, გვ. 40).

იოსებ ელიგულაშვილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარიზში. 1952 წლის 20 ოქტომბერს და დიდი პატივით დაკრძალეს ბანიოს სასაფლაოზე (თ. პაპავა, 1973, გვ. 23).

საერთოდ, “ქართველი ხალხის ცნობიერებაში არასოდეს ყოფილა გაიგივებული ებრაელობა ქრისტეს მწვალებლებთან. ჩვენი ეკლესიის წინამძღვრებს არ უცდიათ შეექმნათ ებრაელებისაგან “მტრის ხატი” (მ. სტეფანია, 1996, გვ. 21).

ზემოთქმულის დასტურია ქართველებსა და ებრაელ ილია გოლდმანს შორის არსებული მეგობრობა, რომელიც ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

რუსეთში დაბადებული ილია გოლდმანი პროფესიით იურისტი გახლდათ, რომელიც საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს მოხვდა. სოციალ-დემოკრატი, ანტიბოლშევიკი ი. გოლდმანი 1917 წლის რევოლუციას ქუთაისში შეხვდა; იგი დაუკავშირდა მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს გრიგოლ ურატაძესა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს. რუსეთის ჯარის დაშლის შემდეგ, მოსკოვის ბოლშევიკური რეჟიმში, სამოქალაქო ომი და გამძვინვარებული ანარქია მას აღარ იტაცებდა. რუსეთში დაბრუნებას საქართველოში დარჩენა, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარედ ყოფნა არჩია.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იგი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გვერდით დადგა. თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, ი. გოლდმანმა ოსმალეთის ფრონტიდან გამოქცეული რუსის ჯარის აოხრებისაგან გადაარჩინა ქუთაისი.

ვეგენი გეგეჭკორის ინიციატივით, ილია გოლდმანი თბილისში შრომის სამინისტროში მიიწვიეს მინისტრის ამხანაგად ანუ მოადგილედ.

მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა შრომის კოდექსის პროექტი, რომელიც შემდგომ კანონად იქნა გამოცხადებული.

ილია გოლდმანის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კანონით დაწესებული ორგანოები: სატარიფო პალატა, მომრიგებელი კამერა და სხვ. როგორც უცხო ენების მცოდნე, იგი იყო მრავალი სავაჭრო ხელშეკრულების პროექტისა თუ სტატისტიკური მონაცემების ავტორი.

1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ილია გოლდმანი წამოყენებული იყო დეპუტატად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით ქუთაისიდან. იგი ქართველებთან ერთად ჩართული იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში. 1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ილია გოლდმანიც, იოსებ ელიგულაშვილთან ერთად, თან გაჰყვა ემიგრაციაში გახიზნულ ეროვნულ მთავრობას, როგორც მისი ერთგული წევრი, იმ იმედით, რომ ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დახმარებით, კვლავ აღადგენდა საქართველოს დაკარგულ დამოუკიდებლობას.

ამ რწმენით ილია გოლდმანი უცხოეთში 26 მაისის დროშას 43 წელი ემსახურა. თუ ევროპაში იოსებ ელიგულაშვილი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დამხმარე და შემწე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა ილია გოლდმანი. იგი იყო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოსა და “საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს” გამგეობის წევრი.

“საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს” მორალურ და ნივთიერ დახმარებას უწევდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები. “განსაკუთრებით ზურაბ ჩხორტუა, თამარ და პავლე კვარაცხელიები, ნიკოლოზ ამილახვარი, ლევან დადიანი, თევდორე სარჯველაძე, ნესტორ ალავიძე, ვანდა აბაშიძე, აგრეთვე, დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრის მოადგილე ილია გოლდმანი” (გ. შარაძე, 1992, გვ. 158).

ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ბუნებრივია, თავისი საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოც უნდა გაეჩინა. და აი, 1953 წლის თებერვლიდან ნიუ-იორკში გამოსვლა დაიწყო ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენმა “ცნობის ფურცელმა”, ხოლო იმავე წლის ივნის-ივლისიდან მას მიემატა საკუთარი პერიოდული ორგანო “ჩვენი გზა”, რომელიც იყო პირველი ნაბეჭდი, თუმცა არა სტამბური, ქართული პერიოდული ორგანო, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში გამოცემული.

“ჩვენი გზა” იყო საზოგადოებრივი აზრის მიუდგომელი და სინდისიერი გამომხატველი; ქართული საქმის ერთგული მეურნე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დაუღალავი მქადაგებელი” (გ. შარაძე, 1992, გვ. 159).

1953-61 წლებში ჟურნალ “ჩვენი გზის” სულ 5 ნომერი გამოვიდა ნიუ-იორკში. იგი ორენოვანი იყო: ნაწილი წერილებისა დაბეჭდილია ინგლისურად, ხოლო ნაწილი — ქართულად. მიზეზი “ჩვენი გზის” ორენოვნებისა ის გახლდათ, რომ “საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს”, რომელიც 1962 წლამდე ძლიერ აქტიური ორგანიზაცია იყო, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის კონგრესთან (სენატი, პალატა). აშშ-ის კონგრესი, საჭიროებისას, სახელმძღვანელოდ იყენებდა “ჩვენი გზის” ინგლისურ ნაწილს.

“ჩვენი გზის” ფურცლებზე ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი ილია გოლდმანის რეცენზია წიგნზე: კონსტანტინე კანდელაკი, “საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე” (“ჩვენი გზა” 1953, გვ. 1-2).

ასევე ყურადღებას იპყრობს ჟურნალ “ჩვენი გზის” ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი “ევგენი გეგეჭკორი” – ერის კანონმცოდნე და სახელმწიფო მოღვაწე (“ჩვენი გზა” 1955, გვ. 4). ამავე ჟურნალში ქართულ ენაზეა დაბეჭდილი ი. გოლდმანის სტატია “ერთა თვითგამორკვევა და კერენსკი” (“ჩვენი გზა”, 1953, გვ. 1-2).

ჟურნალ “ჩვენი გზის” სარედაქციო კოლეგიაში, გვიო კობახიძესთან ერთად, სხვადასხვა დროს რედაქტორ-გამომცემლებლად მწვეული იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ემიგრანტები: გრიგოლ დიასამიძე, პავლე კვარაცხელია, ლადო არველაძე, ნესტორ ალავიძე, ვანო ნაწუაშვილი და ილია გოლდმანი.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია გოლდმანს ერთგულად ედგა მხარში მისი მეუღლე – პოლინა ევსევის ასული, რომელიც ფლობდა მრავალ უცხო ენას. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დიდი თავდადებით მოჰყიდა ხელი საქართველოს დაცვას.

დიდი ქართული საქმისათვის ბრძოლაში ისრაელის შვილნი ილია გოლდმანი და მისი მეუღლე პოლინა ევსევის ასული არც ერთ მნიშვნელოვან თუ არამნიშვნელოვან მომენტს ან შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რათა საქართველოს რესპუბლიკის ძალით მიტაცებული თავისუფლების საკითხი დაეყენებინათ აშშ-ის უმაღლეს ორგანოებში და ქართული საქმის პროპაგანდა გაეწიათ.

ნიშანდობლივია ისიც, როგორც ემიგრანტი გიორგი ერაძე აღნიშნავდა: “ამა წლის იანვარში სიკვდილმა მოსტაცა მას მისი ერთგული მეუღლე პოლინა ევსევენა. ამ მწუხარებით გულდათუთქული, ავადმყოფი, ღონემიხდილი, მაინც არ ივიწყებს ქართველი ერის სადღესასწაულო დღეს – 26 მაისს და ქართველი პატრიოტების მიერ ნიუ-იორკში გამართულ კრებაზე ტრიბუნიდან ამხელს მოსკოვის მთავრობის ვერაგობას – საქართველოს ერისადმი ჩადენილ ჯალათობას. გრძნობის ღელვამ, გულის ფორიაქმა დაასუსტა იგი. ვეღარ შესძლო დაემთავრებინა თავისი მგრძნობიერი სიტყვა და 26 მაისის დროშის წინ მის სამსახურშივე დაღია სული...” (გ. შარაძე, 1993, გვ. 123).

ილია გოლდმანი და მისი მეუღლე 1963 წელს გარდაიცვალნენ ნიუ-იორკში (ჯერ იანვარში პოლინა ევსევის ასული, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ილია გოლდმანი).

ასე დაიფერფლნენ ებრაელობის სასიქადულნო შვილნი – იოსებ ელიგულაშვილი და ილია გოლდმანი ქართველი ერის სამსახურში.

დამოწმებული ლიტერატურა

- გაზეთი “ჩვენი ქვეყანა“, №18, 30 აპრილი, თბ., 1917.
 თ. პაპავა, 1973 – თ. პაპავა, ლტოლვილთა საძველენი, პარიზი, 1973.
 უურნალი “ქართულ-ებრაული ურთიერთობანი“, ქუთაისი, 1996.
 უურნალი “ჩვენი დროშა“, №14, პარიზი, 1953.
 უურნალი “ჩვენი დროშა“, №108, პარიზი, 1986.
 გ. შარაძე, 1990 – გ. შარაძე, “ფრანგული დღიური“, თბ., 1990.
 გ. შარაძე, 1992 – გ. შარაძე, “ამერიკელი ქართველები“, თბ., 1992.
 გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, “უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 2, თბ., 1993.
 გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, “უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 3, თბ., 1993.

MARIAM MARJANISHVILI

THE OFFICERS OF GREAT GEORGIAN AFFAIR

Historically the relationship between Georgians and Jews counts 26 centuries. During whole these period these two nations had always been firmly connected both in good and hard times. One of the best examples of this is the solidarity for Georgian government escaped abroad during the occupation of Georgia by Bolshevik Russia.

While being in emigration Ioseb Eligulashvili, Jew from Kutaisi and Ilia Goldman - Jew of Russian origin fought with Georgians for Georgian affair. The last one living in Kutaisi was his own choice.

Ioseb Eligulashvili took active participation in taking national treasury in Europe together with academician Ekvtime Takaishvili in 1921 and surviving it.

Apart from surviving treasury, as Nino Salia remarked in her memories : “ We should be grateful for Ioseb Eligulashvili for the fact that Georgian government bought the land in borough Lavelle, near Paris and two floor house (“Shato”) in 1922 which still belongs to Georgia and helped the great deal to Georgian emigration during 70 years.

Ioseb Eligulashvili was the great supporter to Georgian political emigration in Europe, but in USA the same kind of affair was done by Ilia Goldman. He was the member of Georgian community in New York and also the member of “American council of rebuilding independence for Georgia” board.

From June-July of 1953 Ilia Goldman founded first print house - journal “Our Way” together with Georgian political emigrants, which expressed the public ideas in impartial and honest ways.

It was a bilingual press, where the part of letters were printed in Georgian and part in English, as the “American council of rebuilding independence for Georgia” had close connections with American congress (senate, palate).

This is how the prominent members of Jews Ioseb Eligulashvili and Ilia Goldman dedicated their lives to Georgia.

გიორგი მელანაშვილი

შარმანეგბული პროლუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის გობიერთი საკითხი

შესავალი

20 წელიწადზე მეტი გავიდა მასშტაბური რეფორმირების სათავედან, რასაც დაექვემდებარა სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა საქმიანობის სფერო, მათ შორის დანაშაულის პრევენციის სისტემები, რომლის მიღწევები და ეფექტურობა თავის დროზე აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ტრანსფორმაციის შედეგად სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ბევრი რამ უკვალოდ დაიკარგა. რეფორმირების პროცესი დღესაც გრძელდება. უკვე სახელმწიფო დონეზე ხდება იმის აღიარება, რომ არ იყო საჭირო მუშა და ეფექტური მექანიზმების საფუძვლიანი შეცვლა, ალტერნატიული საშუალებების შეთავაზების გარეშე. ამასთანავე, სიჩქარე გამოძულავდა არა მხოლოდ დანაშაულთან ბრძოლის ძველი პრევენციული მეთოდების უარყოფისას, არამედ ახალი გარდამავალი სამართლებრივი წყაროების შემუშავებისას, რაც გამოიხატა მრავალი ნორმატიული აქტის არასათანადოდ მომზადებაში. შედეგად, დაგროვდა ურთიერთგამომრიცხავი ნორმატიული აქტები სხვადასხვა კანონმდებლობაში, რომლებიც არეგულირებენ მსგავს ურთიერთობებს, რამაც გამოიწვია გაუგებრობები კონცეპტუალურ აპარატში. აღნიშნული სრული მნიშვნელობით ეხება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის ამ სფეროს დანაშაულის პრევენციის ნაწილში.

განსაკუთრებით პრობლემურია ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებულ უკანონო სამეწარმეო საქმიანობასთან ბრძოლის საკითხი. საგამოძიებო-სამართლო პრაქტიკა დღესაც აწყდება ამ სახის დანაშაულს. ამ მიმართულებით უკანონო საექიმო, ფარმაცევტული და სამეწარმეო საქმიანობისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ახორციელებს გამოძიებას. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დამნაშავეები უკანონო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის შენიღბვის მიზნით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში წარადგენენ ოფიციალური ორგანოების ყალბ დასკვნებს, რომელთა თანახმად, თითქოს მათ მიერ შემუშავებული სამკურნალო პროდუქტი გამოცდილი იქნა და დადებითი შედეგი მიიღო. როგორც მორფოლოგიური ინსტიტუტიდან გამოძიებას ეცნობა რეალურად მსგავსი სამედიცინო კვლევა პროდუქტზე არ ჩატარებულა და დასკვნის შინაარსი არ შეესაბამება სინამდვილეს. კუსტარული მედიკამენტებით დამნაშავეები მათ იმედოდ მყოფ ადამიანებს ატყუებენ. აღნიშნული პროდუქტის ნაწილს დამნაშავეები

ელემენტარული ჰიგიენური და სამედიცინო წესების დარღვევით, კუსტარული წესით ამზადებენ.

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ორმაგი საშიშროების მატარებელია. ამ საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, რადგან პირი თავისი მოქმედებით ქმნის საშიშროებას მოსახლეობის სიცოცხლისათვის.

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის პრევენციის პრობლემატიკა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

1. სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დანაშულის ჩადენა დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ორგანიზაციების გამოყენებასთან სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმებით. დღესდღეობით შექმნა ან შეძენა მსგავსი კომპანიებისა არ წარმოადგენს პრობლემას. ამიტომ მნიშვნელოვან როლს იძენს ნორმატიული აქტების კონტროლი, რომელიც ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებულ უკანონო სამეწარმეო საქმიანობაზე გავრცელდება;

2. სამეწარმეო დანაშაულობა წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას, რომელიც არსებობს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, არამედ ყველა ქვეყანაში, სადაც კი წარმოებს სამეწარმეო საქმიანობა. ამდენად, დანაშაულის გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, ასევე მიზეზებისა და პირობების საფუძვლიანი და თავისდროული ნეიტრალიზაციის გამოვლინებები, უნდა განიხილებოდეს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად პრევენციულ საქმიანობაში, როგორც სახელმწიფო (სამართალდამცავი და მაკონტროლებელი) ორგანოების, ასევე, კერძო საწარმოების უსაფრთხოებისა და შიდა აუდიტის სტრუქტურების მიერ;

3. სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შესახებ ცოდნის სიღრმესა და ხარისხზე, მისი მიზეზების არსებითი მახასიათებლების შემეცნებაზე. მიუხედავად ამ დანაშაულის მადეტერმინირებელი ფაქტორების და მიზეზების სიმრავლისა, არსებობს რამდენიმე ძირითადი. ეს ძირითადად არის ის მიზეზები, რომლებიც კავშირშია ქვეყანაში მეწარმეობის საერთო მდგომარეობასა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული სამეწარმეო საქმიანობის მახასიათებლებთან. მიზეზებს განეკუთვნება, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებები და სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ხარისხი, დაბალი სამეწარმეო კულტურა და ბიზნესის სოციალური ორიენტაციის არარსებობა;

4. ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის პრევენცია მოიაზრებს არამარტო მის გამომწვევ მიზეზებსა და პირობებზე ზემოქმედებას, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანოების სისტემის შექმნით, რომლებიც იქნებიან ურთიერთზემოქმედების ქვეშ და ქმედითი ღონისძიებები მიმართული იქნება დანაშაულისა და მისი შემადგენლობის მინიმინიზაციისა და

ნეიტრალიზაციისკენ, არამედ, ასევე, იმ დანაშაუვითა პიროვნებების დეკრიმინალიზაციას, რომლებიც ჩადიან დანაშაულს აღნიშნულ სფეროში. დღესდღეობით ასეთი სრულყოფილი სისტემა ბოლომდე შექმნილი არ არის, მიუხედავად არსებითი აუცილებლობისა;

5. სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციული სისტემის შექმნისას გამოყენებული უნდა იყოს, არა მხოლოდ ხარისხობრივად ახალი პარამეტრები (ეკონომიკური თავისუფლება და საბაზრო ურთიერთობების განვითარება, ანტიკრიმინალური სტრატეგიის გადალახვა და წარსული გამოცდილების გამოყენება გონივრულ ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვა და საკუთრების უფლების პრიორიტეტები, კონკურენტუნარიანობა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების გამოცდილებისა და შრომის გამოყენება და ასევე სხვა სუბიექტების, რომლებიც თამაშობენ როლს სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის საქმეში), არამედ ამ ტიპის დანაშაულზე არსებული პრობლემების პრევენციული ზემოქმედების ღრმა და ყოველმხრივი სამეცნიერო ანალიზი.

6. პრაქტიკულად შესუსტებული დარჩა ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მიზეზები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციების დაბალ კორპორატიულ და სამეწარმეო კულტურასთან და მათ სუსტ სოციალურ ორიენტაციასთან. გარდა ამისა, მეწარმეობა, როგორც ეკონომიკის სტრუქტურული ელემენტი, წარმოადგენს მის მეტად მობილურ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებს. ასეთი ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც კი შესაძლოა შეადგინოს მეწარმეობამ, რაც გარდაუვალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სახელმწიფოც კი, თავისი მოუქნელობის მიუხედავად, უფრო და უფრო ხშირად მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში, ქმნის რა სახელმწიფო კორპორაციებსა და საწარმოებს. ეს გარდაუვალს ხდის ახალი ურთიერთობების აუცილებლობას, რაც საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დაცვის კუთხით. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის მიმართ ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა და, ასევე, ამ ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე პირობებთან მისადაგებული თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება;

7. აქტუალურია ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მიზეზების კვლევის მნიშვნელობა. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო დანაშაულობის თეორიული და თანმდევნი საფუძვლების კომპლექსური დამუშავების და ამ საფუძველზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი პრაქტიკული გამოყენების კუთხით რეკომენდაციების შესამუშავებელი გზების დასახვა და მათი აუცილებლობის დასაბუთება. კერძოდ, საჭიროა:

- თანამედროვე ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი, სამეწარმეო დანაშაულობის განვითარებაზე მისი გავლენის ხასიათისა და ხარისხის იდენტიფიცირება;

- სამეწარმეო დანაშაულობის ადგილის განსაზღვრა ეკონომიკური დანაშაულების და მთლიანად დანაშაულობის სტრუქტურაში;

- სამეწარმეო საქმიანობის არსის ეკონომიკური და იურიდიული ასპექტების შესწავლა;

- სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულობების გამოვლენა და სისტემატიზაცია, მათი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის განსაზღვრის გზით;

- სამეწარმეო დანაშაულობის შემადგენლობის ანალიზი;

- ორგანიზებული სამეწარმეო დანაშაულობის ფენომენის გამოკვლევა;

- სამეწარმეო დამნაშავეის პიროვნების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა და ამ ტიპის დამნაშავეთა ცალკეული ინდივიდების თავისებურებების და მათ შორის განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და ანალიზი;

- სამეწარმეო დანაშაულობაში იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობების გამოვლენა;

- სამეწარმეო დანაშაულობის მსხვერპლის შესწავლა;

- სამეწარმეო დანაშაულობის მიზეზობრიობის კომპლექსური ანალიზი;

- სამეწარმეო სფეროში დამნაშავეობაზე სამეწარმეო კულტურის გავლენის დონის შესწავლა;

- სამეწარმეო დანაშაულობაზე პრევენციული ზემოქმედების საერთო სოციალური და სპეციალური ზომების ანალიზი;

- სამეწარმეო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლა და ურთიერთგამომრიცხავი რეგულაციების იდენტიფიცირება;

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის და მისი პრაქტიკული გამოყენების კუთხით რეკომენდაციების მომზადება;

- საკვლევი ობიექტის განსაზღვრა, სამეწარმეო დანაშაულობის მდგომარეობის, მისი დინამიკის, სტრუქტურისა და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, დამნაშავეის პიროვნების დახასიათება;

8. კვლევისას გამოყენებულ უნდა იქნეს შემეცნების თეორიული და ემპირიული მეთოდები, რამაც უნდა მოგვეცეს საშუალება, ავსახოთ თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი, დავადგინოთ შესასწავლი ობიექტის ფორმა და შემადგენლობა, ასევე, განსახილველი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი გამოვლინებების დინამიკის განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. თეორიულ დონეზე გამოიყენება, როგორც ისტორიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური სწავლებების ანალიზი და სინთეზი, ასევე სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური შემეცნება, რითიც უნდა აიხსნას და დასაბუთდეს სამეწარმეო დანაშაულობის ურთიერკავშირი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ცხოვრების ცვლილებებთან.

კვლევისას, როგორც წესი, გამოიყენება სხვადასხვა სპეციალური მეთოდი: სტატისტიკური – სამეწარმეო დანაშაულობის რაოდენობრივი მახასიათებლების შესასწავლად; კრიმინოლოგიური – სამეწარმეო დანაშაულობის მდგომარეობის, მისი დინამიკის, სტრუქტურის ანალიზისთვის და თავისებურების ასახსნელად; ასევე, სამეწარმეო საქმიანობის სფეროს კონცეპტუალური აპარატის შედარებით მთლიანად ეკონომიკური დანაშაულობის კონცეპტუალურ აპარატთან, თავად სამეწარმეო დანაშაულობის გაგებისა და მისი შემადგენელი ელემენტების ფორმირება; დოკუმენტაციის შესწავლა და სისხლის სამართლის კონკრეტული

საქმეებისა და მათთან დაკავშირებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი, ასევე ისტორიული და თანამედროვე დოკუმენტების შესწავლა, ექსპერტული შეფასების მეთოდი – კრიმინოგენული სიტუაციის განვითარების შესახებ კრიმინოლოგიური პროგნოზირების გზით.

დასკვნა

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის კრიმინოლოგიური ასპექტების შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს შედარებით ახალი გაგებაა კრიმინოლოგიის დარგში; არ არსებობს ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევის მაგალითები, აღნიშნული მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულობათა რიცხვს და იშვიათად გამოიყენება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, დაბალია სამეწარმეო და კორპორატიული კულტურა ორგანიზაციებში, ორგანიზაციების უმრავლესობაში არის შიდა რეგულაციებისა და კონტროლების ნაკლებობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე; არ არსებობს ან სუსტია სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა.

დამოწმებული ლიტერატურა

Beare M., Schneider S. Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars Publisher: University of Toronto Press. 2011

Cohen N., S.Mizrahi, F.Yuval. Black market Medicine and Public Opinion Towards the Welfare State: Evidence from Israel. Social Policy and Administration, Volume 46, Number 7, 1 December 2012, pp. 727-747(21)

Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud (Edited By Jay S. Albanese). Published New Jersey. 2009;

Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud: Transaction Publishers (J. Albanese), New Brunswick, NJ, 2009;

Julia P.,N. Deon, A.Stewart. Reaching and influencing consumers in the prescription medicine market. Marketing Intelligence & Planning, Volume 27, Number 7, 2009, pp. 909-925(17)

GIORGI MELANASHVILI

ON SOME ISSUES OF THE ILLEGAL BUSINESS ACTIVITIES RELATED TO THE DISTRIBUTION OF PHARMACEUTICAL COMMODITIES

The study describes several issues related to illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines. The analysis is made of actuality and problems encountered during preventive activities of business and economic crimes. The study presents methods of fighting with business crime, its specifics and importance. The proofs are presented which emphasize the necessity of study related to illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines, at the same time, the particular technical and theoretical recommendations are given. The study offers criminal concept of business crime on the basis of example of illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines, which represents the system of criminal studies related to business crime, rule of its development, reasons of its existence and means to affect it.

New criminal category, special form of crime – business crime or crime in the sphere of business, is offered to be introduced due to highly spread instances and huge public threat.

რუსულან მიქაუტაძე

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გაგავრცელებელი
საზოგადოების ქუთაისის განყოფილების
საბანმანათლებლო საქმიანობა
(XX საუკუნის 10-იანი წლების ქუთაისის პრესის
მასალების მიხედვით)**

რუსეთის იმპერიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს საფუძვლიანი გარდაქმნის საკითხი დღის წესრიგში 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ დადგა. რევოლუციამ მოსახლეობის ფართო ფენებს გაუღვივა ინტერესი და მისწრაფება სწავლისადმი, გაუზარდა კულტურული მოთხოვნილებანი. ქართველმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა ესარგებლა იმ დათმობებით, რაც მეფის ხელისუფლებამ გაიმეტა რევოლუციურად განწყობილი ხალხისათვის და მახვილგონივრული აგიტაციითა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების შექმნით მძლავრი ბიძგი მიეცა ქართველი ერის სულიერი აღორძინებისათვის. მათ მიზნად დაისახეს, შეექმნათ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ხალხის განათლებას, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და სწრაფვას კულტურული წინსვლისაკენ.

ქართველთა შორის წკგის-ის (დაარსდა 1879 წელს) წესდება ითვალისწინებდა წერა-კითხვისა და დაწყებითი სწავლის გავრცელებას. ამისათვის ის ვალდებულებას იღებდა, დახმარებოდა დაარსებულ სკოლებს, სადაც საჭირო იყო, თვითონ გაეხსნა ისინი; მათ უფლება ჰქონდათ გაეხსნათ სამკითხველოები, მოეწყობათ სახალხო კითხვები, დაებეჭდათ სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები, გამოეცათ ჟურნალ-გაზეთები, დაეარსებინათ ბიბლიოთეკები, მოემზადებინათ მასწავლებლები, მოეწყობათ პედაგოგიური კურსები და ა. შ. (ტრ. ხუნდაძე, 1960; გვ. 7).

წკგის-ის ქუთაისის განყოფილება 1909 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მასში შევიდნენ: გიორგი ზდანოვიჩი, იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, იოსებ ფანცხავა, იასონ ბაქრაძე, ბართლომე მოსეშვილი. სხვადასხვა დროს მისი წევრები იყვნენ: ისიდორე კვიციანიძე, სიმონ ხეჩინაშვილი, ტრიფონ ჭაფარიძე, ვეტ. ჩხატარაიშვილი, გრ. გიორგაზე, ს. რობაქიძე, გ. ტუშკია, ქალები: მელანია გველესიანისა, მარიამ ვარდოსანიძე, ელისაბედ ტყეშელაშვილისა და სხვ.

წკგის-ის განყოფილების მუშაობა ერთობ მოკრძალებული იყო, რადგან ქუთაისის საზოგადოება ზოგადად მოუზადებელი შეხვდა ცარისტული რეჟიმის დათმობებს ნებაყოფლობითი ორგანიზაციების შექმნის კუთხით. შესაძლებელია, მიზეზი ისიც გახლდეთ, რომ პერიფერიებში არსებული ინფორმაციის სიმწირე და ინტელიგენციის სიმცირე არ იძლეოდა საშუალებას ერთ პატარა ქალაქში ამდენი საქველმოქმედო ორგანიზაციის შექმნისას. ამას ემატებოდა ისიც, რომ აქაური ინტელიგენცია საკმაოდ ღარიბი იყო და ვერ ახერხებდა ერთდროულად

სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსურად შენახვას. თუმცა ქუთათურ პრესაში ჩნდება სტატიები, სადაც გულისტყვილია გამოთქმული ამ მდგომარეობის გამო. "ისეთ ქალაქში, სადაც 40 ათასი ქართველია და 1000 ინტელიგენტი, წკგ-ის წევრი მხოლოდ 100-მდე კაციაო". იმავეს შენიშნავდა ტრ. ჯაფარიძე 1915 წელს: "წერა-კითხვის წევრთა რიცხვი ძალიან მცირეა. 60 ათას მცხოვრებზე 406 წევრი. იგი ირონიით მიუთითებდა იმ პირებზე, ვისაც ეკონომიური შესაძლებლობა ჰქონდა და მათი გვარები ამ საქვეყნოდ ცნობილ საზოგადოებაში არ ჩანდა" (გაზ. "კოლხიდა", 1912, № 16; გაზ. "სამშობლო", 1915, № 17).

ქუთათური პრესა იწყებს აქტიურ პროპაგანდას წკგ-ში ინტელიგენციის ჩაბმის მიზნით. ვრცელი წერილები ეძღვნება საზოგადოების დანიშნულებას, როლს ხალხის განათლებისა და კულტურის ამოღებაში. გაზ. "კოლხიდა" წერდა: "წკგ საზოგადოება ძირითადია ქართულ დაწესებულებათა შორის... ფასდაუდებელიცაა მისი მიზანი... ეს საზოგადოება ხსნის სკოლებს, აარსებს წიგნსაცავ-სამკითხველოებს, ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს, ბეჭდავს სხვადასხვა სასარგებლო შინაარსის წიგნებს. ამგვარი საშუალებით შეაქვს მას ხალხში განათლების სხივი, რითაც თანდათან უკაფავს გზას საუკეთესო მომავლისაკენ" (გაზ. "კოლხიდა", 1912, №17).

საზოგადოების მუშაობას ხელს უშლიდა მატერიალური სახსრების სიმცირე. იგი საწევროსა და გამართული ღონისძიებების შემოსავლებზე იყო დამოკიდებული. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ცალკეული პირები გაიღებდნენ ხოლმე უხვ შემოწირულობებს. მაგ., სვანეთის უკანასკნელი მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის ასულმა, ნინომ საზოგადოებას დაუტოვა 3 ათასი მანეთი, ნინო აბაშიძემ 5 ათას მანეთად ღირებული მამული, გრ. გველესიანმა 1500 მან., ზურაბ გველესიანმა 1500 მან., ვასილ ქორქაშვილმა 16 ქცევა მამული, სიმონ ქვარიანმა უძრავ-მოძრავი ქონება სოფ. დიმში, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ 60 მან. და სხვ. (დ. გურეშიძე, 1993, გვ. 79). განყოფილებას დიდ დახმარებას უწევდა თ. მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნის მალაზია, რომელიც კისრულობდა სკოლებისათვის ბიბლიოთეკების შედგენას, სოფლის სკოლებს ეხმარებოდა წიგნების იაფად შეძენაში (გაზ. "კოლხიდა", 1911, № 9).

წკგ-ის ქუთაისის განყოფილებამ არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველოების დაარსებას, რადგანაც ისინი მოსახლეობის დაბალ ფენებში ქართული წერა-კითხვის და ქართული წიგნის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებებად მიაჩნდა. მართალია, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს მთავრობა რევოლუციურ ძალად მიიჩნევდა და ყოველმხრივ ზღუდავდა მის განვითარებას, მაგრამ მაინც, 1912 წლის დასაწყისში, წკგ-ის ქუთაისის განყოფილებას 8 ბიბლიოთეკა ჰქონდა, წლის ბოლოს კი 11; 1913 წელს - 18. გაზ. "იმერეთის" ინფორმაციით, 1912 წლისათვის მას ბიბლიოთეკები ჰქონდა ქუთაისში არქიელის გორაზე, სიმონეთში, კურსებში, ხრესილში, სვირში, სუფსაში, დიმში, წესში, მუხიანში, ქვემო კვიტირში, ბაღდათში, რადგან მისი სამოქმედო ასპარეზი იყო ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის მაზრები. დაბა ლაილაშში სამკითხველო გაიხსნა 1913 წელს, 1914 წელს ხრეთში/ შორაპნის მაზრა/ და სორში /რაჭის მაზრა/, სოფ. როდინაულში, სოფ. საყულიაში და თვით ქუთაისში ბალახვანში (გაზ. "იმერეთი", 1914, №№ 5, 79). 1917

წლისათვის გამგეობას ქუთაისში 4 ბიბლიოთეკა ჰქონდა - შ. რუსთაველის სახელობისა ბალახვანში, აკ. წერეთლის სახელობისა არქიელის გორაზე, დ. კლდიაშვილის სახელობისა საფიჩხიაზე და ვაჟა-ფშაველას სახელობისა დულაძისეულ მოედანზე.

მანამდე კი ქუთაისში, 1896 წლის 29 დეკემბერს, არქიელის გორაზე წკგის დახმარებით გაიხსნა გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. ბიბლიოთეკა, რომლის გამგე იყო ელენე ჭინოვისა /ჭინოშვილი/. მოგვიანებით მას ქალთა წრე ინახავდა. ყოველდღიურად ის ემსახურებოდა 30-მდე მკითხველს. ესენი ძირითადად იყვნენ ნოქრები, ხელოსნები, დაბალი მოხელეები, მოსწავლეები. ბიბლიოთეკა ნაქირავებ ბინაში იყო მოთავსებული და ელენე ჭინოვისა ენერგიას არ იმუშრებდა, რომ მისთვის შენობა შეეძინა. მისი ინიციატივით, ხშირად, იმართებოდა კონცერტები, უფასო კინოსეანები. მისი დაჟინებული მოთხოვნით ადგილობრივმა გამგეობამ გამოყო ადგილი ბიბლიოთეკის ასაშენებლად, შერჩეული იქნა კათოლიკეთა მოედანი, შედგა პროექტი, რომელშიც დაცული იყო ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა უფასოდ დაეთმოთ ეკლარის ქვა, შენობის ასაგები 1000 თუმნიდან 600 უკვე შეგროვილი იყო. მაგრამ მისი აგება მაინც ვერ მოხერხდა უსახსრობის გამო (ტრ. ხუნდაძე, 1960, გვ. 74-75; გ. მჭედლიძე, 1995, გვ. 171).

1915 წლის მარტში, წკგის-ის ქუთაისის განყოფილებამ გუბერნატორთან აღძრა შუამდგომლობა ნება დაერთო საფიჩხიაზე უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ. გამგედ დაინიშნა საფიჩხიის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მარიამ კაპანაძე. ივნისის თვეში აკურთხეს სამკითხველო. მას დავით კლდიაშვილის სახელი მიენიჭა. ბინა ამალღების ეკლესიის მახლობლად იქირავეს, ლ. სირბილაძის სახლში. სამზრუნველო კომიტეტის თავ-რედ არჩეულ იქნა აკ. ნიშნიანიძე. გამგეობა და სამზრუნველო კომიტეტი ღონეს არ იმუშრებდნენ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმართებოდა სპექტაკლები, სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიებები, სეანსები კინოთეატრ "მონ-პლეზირში", ეწყობოდა ყულაბებით ვაჭრობა, სამკითხველოს ეხმარებოდნენ კერძო პირებიც; მაგრამ მას სტაბილური შემოსავლის გარეშე ძლიერ უჭირდა. მცირე იყო საწევრო შენატანები, ქველმოქმედება შემთხვევითი, ამიტომ სამკითხველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოველწლიურად იდგა დღის წესრიგში (გ. მჭედლიძე, 1995 გვ. 485; გაზ. "სამშობლო", 1913, № 136, 193, 208, 250; 1916 №№ 380, 511).

1915 წლის აგვისტოში, მთავრობამ ნება დართო წკგ ქუთაისის განყოფილებას დაეარსებინა დულაძისეულ მოედანზე ვაჟა-ფშაველას სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველო. სამზრუნველო კომიტეტში თითოეული ქუჩიდან არჩეული იქნა 2-3- წარმომადგენელი. სამკითხველოს პასუხისმგებელი მდივანი იყო ლადო ბზვანელი, რომელიც ხშირად აქვეყნებდა წერილებს პრესაში და მოუწოდებდა ქუთაისის საზოგადოებას. დახმარებოდნენ სამკითხველოს როგორც ფულით, ასევე წიგნებით, სურათებით და სხვა საშუალებებით. თუმცა სამკითხველოს ასაშენებელი ფული სხვადასხვა მაქინაციებში გაიფლანგა და დარჩა ის შენობის გარეშე.

1914 წელს ბალახვანში გაიხსნა სამკითხველო მარიამ თაყაიშვილის, ვერა კოსტავას, მღვდლების სპ. ლეკვიშვილის და კ. შანიძის პასუხისმგებლობით.

მას შ. რუსთაველის სახელი მიენიჭა. მაგრამ ვერც მკითხველთა მომსახურების დონით და ვერც წიგნადი და გაზეთების ფონდით იგი სათანადოდ ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წკგს ქუთაისის განყოფილებაში შემავალი სამკითხველოები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს. ღარიბი იყო წიგნადი ფონდი, ვერ იწერდნენ მრავალფეროვან ჟურნალ-გაზეთებს, ნაჭირავეები ბინებიც არ იყო შესაფერისი, არ ჰქონდათ სკამები, მაგიდები. მომუშავე პერსონალის უყურადღებობის გამო, ხშირად იკარგებოდა და ფუჭდებოდა წიგნები, ზოგჯერ, დღის უმეტეს ნაწილში ბიბლიოთეკები დაკეტილი იყო, რაც ხალხის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

წკგს გამგეობა დროადადრო აკონტროლებდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების მუშაობას. ამ მიზნით წევრები დადიოდნენ დაბებსა და სოფლების სამკითხველოებში და ატარებდნენ რევიზიას. 1911 წლის დეკემბრის თვის ნომერში გაზ. "კოლხიდა" გამოაქვეყნა მათი რევიზიის შედეგები, რაც ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ მატერიალურ სიდუხჭირეს, რასაც განიცდიდნენ ადგილობრივი ბიბლიოთეკები (გაზ. "კოლხიდა", 1911, №№ 197, 204).

წკგს ქუთაისის განყოფილება ცდილობდა გაეუმჯობესებინა ბიბლიოთეკების მატერიალური მდგომარეობა. ყველა ბიბლიოთეკას გამგეობის წევრებიდან დაენიშნა მეთვალყურე, 1915 წლის ბოლოს შეიქმნა საბიბლიოთეკო კომისია (ს. ყიფშიძე, გრ. გიორგაძე, რ. კანდელაკი). დაადგინეს, რომ საზოგადოების ყველა ბიბლიოთეკას მისცემოდა გარკვეული თანხა შენობების ასაგებად და ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების გამოსაწერად. კონტროლის გაძლიერებამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. ბიბლიოთეკების მუშაობა ბევრგან გაუმჯობესდა. მაგ., სოფ. ვანში ადგილობრივმა განყოფილებამ მოაწყო წიგნსაცავი, დანერგა ხალხში ლექციების ჩატარება აგრონომიულ, კომერციულ და სხვა საკითხებზე; მათვე გადაწყვიტეს სახალხო სახლის დაარსება ვანში. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაარსებას. ამგვარი საკითხები მკაცრი მსჯელობის საგანი ხდებოდა პრესის ფურცლებზე (გაზ. "კოლხიდა", 1911 № 103; გაზ. "სამშობლო", 1916, №№ 486, 492).

მიუხედავად არაერთი ცდისა, გაეუმჯობესებინათ მდგომარეობა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, მზარდი ეკონომიკური კრიზისი და საერთო არეულობა წკგს არ აძლევდა საშუალებას, შეენარჩუნებინა ადრე გახსნილი სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ან გაეხსნა ახლები.

იყო შემთხვევები, როცა ქართული გაზეთები სთხოვდნენ წერა-კითხვის საზოგადოებას ამა თუ იმ საზოგადო საქმის მოგვარებას. ამ კუთხით საინტერესოა ებრაელთა განათლების საკითხების წინ წამოწევა. გაზ. "კოლხიდა" სარედაქციო წერილში სთხოვდა წკგს, რომ ებრაელთა უბანში დაეარსებინათ სკოლა და სამკითხველო, რომ მათ განათლება მიეღოთ (გაზ. "კოლხიდა", 1912, № 114; აქ სამკითხველო გაიხსნა 1916 წელს).

წკგს ქუთაისის განყოფილების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სახელმძღვანელოების, სახალხო წიგნების გამოცემა და გავრცელება. ამ მიზნით და თავისი ნივთიერი სახსრების გასაუმჯობესებლად, მან მოაწყო საკუთარი სტამბა, რომლის მიზანი იყო ქუთაისში სასტამბო საქმის მაღალ დონეზე

დაყენება, განყოფილების საგამომცემლო საქმის გაადვილება და შემოსავლის მუდმივი წყაროს გაჩენა. სტამბის საქმეს, გამგეობის დავალებით, ს. ხუნდაძე და მ. დოლაბერიძე ჩაუდგნენ სათავეში. სტამბამ 1913 წლის ნოემბერში დაიწყო მუშაობა. ივანე პურადაშვილი იგონებდა: "საუტხოო სტამბა იყო გამოწერილი გერმანიიდან. გაიმართა სტამბა წითელ ხიდთან, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, ქვედა სართულში. სტამბის გამგედ დაინიშნა მელიტონ დოლაბერიძე" (დ. გურეშიძე, 1993. გვ. 87).

თუმცა სტამბის შექმნას ყველა ერთნაირი სიხარულით როდი შეხვდა. სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი "მერცხალი" დიდი კონკურენციის გამო, სტამბას სწრაფ დაკეტვას უწინასწარმეტყველებდა (გაზ. "მერცხალი", 1913, №). იმისათვის, რომ სტამბას მუდმივი სამუშაო ჰქონოდა, წკგის-ის მთავარ გამგეობაში გაიგზავნა ი. ოცხელი და ტ. ჯაფარიძე, რათა ცენტრალურ გამგეობას ქუთაისის ახალ სტამბაში დაებეჭდათ თავიანთი გამოცემები იმავე პირობებით, როგორც მთავარი გამგეობა აბეჭდინებდა კერძო სტამბებში. მაგრამ მთავარ გამგეობას უარი უთქვამს. გაზ. "სამშობლო" შენიშნავდა, რომ ქუთათურთა ამ მოთხოვნას თბილისში "დიდი თავაზით ვერ მოპყრობიან, უარით გამოუსტუმრებიათ" (გაზ. "სამშობლო", 1915, № 18, №20).

1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ ხანაში, წკგ საზოგადოებაში და არა მარტო აქ, იწყება დაპირისპირება ე.წ. ძველ და ახალ თაობებს შორის. ახალთაობის ნაწილი თავს მოსახლეობის, მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველად აცხადებდა და იბრძოდა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების დემოკრატიზაციისათვის, მასში მოსახლეობის დაბალი ფენების ჩაბმისათვის. წკგის-ის ხელმძღვანელები კი თავს იკავებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს საზოგადოებას პოლიტიკური პარტიების დაპირისპირების ასპარეზად გადააქცევდა და საფრთხეს შეუქმნიდა მის არსებობას. ამ მიზეზით საზოგადოების გამგეობა ინარჩუნებდა მაღალ საწევრო გადასახადს - 3 მანეთს, მოწინააღმდეგენი კი მოითხოვდნენ მის შემცირებას 1 მანეთამდე. აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე დადგა წკგის გამგეობის სხდომაზე განსახილველად, მაგრამ შეაჩერეს. იგივე მდგომარეობა იყო ქუთაისის განყოფილებაშიც. 1915 წლის ივნისში, ია ეკალაძემ დააყენა საკითხი საწევროს შემცირების შესახებ, მაგრამ მთავარი გამგეობიდან უარი მიიღეს (გაზ. "მერცხალი", 1913, № 89; გაზ. "სამშობლო", 1915, № № 3, 105).

რადგანაც ქუთაისის გამგეობის მუშაობა მთლიანად ცენტრალურ გამგეობაზე იყო დამოკიდებული და მათ ინიციატივებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, საზოგადოების მუშაობა საკმაოდ უფერულად მიმდინარეობდა. მართალია, მან გარკვეული როლი შეასრულა ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერების, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ ის მაინც ვერ გადაიქცა იმ მასობრივ ორგანიზაციად, რომლის გარშემო შეეძლო თავი მოეყარა დემოკრატიულ ძალებს, რათა ხალხი ეროვნულ-კულტურული აღორძინების გზით წაეყვანა.

დამოწმებული ლიტერატურა

- გაზ. "იმერეთი", 1914, №№5, 79.
გაზ. "კოლხიდა", 1911, №№ 9, 103, 197, 204.
გაზ. "კოლხიდა", 1912, №№ 16, 17, 114.
გაზ. "მერცხალი", 1913, №№ 4, 89.
გაზ. "სამშობლო", 1913, №№ 136, 193, 208, 250.
გაზ. "სამშობლო", 1915 №№ 3, 17, 18, 20, 105.
გაზ. "სამშობლო", 1916, №№ 380, 484, 492, 511.
დ. გურუშიძე, 1993 - დ. გურუშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993.
გ. მჭედლიძე, 1995 - გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, თბ., 1995.
ტრ. ხუნდაძე, 1960 - ტრ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თბ., 1960.

RUSUDAN MIKAUTADZE

**EDUCATIONAL ACTIVITIES OF ORGANIZATION OF SPREADING
READING-WRITING SKILL AMONG GEORGIANS KUTAISI DEPART-
MENT /ACCORDING TO KUTAISI PRESS OF 1910S/**

The organization the aim of which was to spread read and writing skills in Georgia was formed in the beginning of 1909. It was focused on spreading read-writing and first step education, opening reading halls and libraries, printing books, publishing journals and newspapers, training teachers, etc. The first goal for it was to pay attention to public libraries and reading halls, as it was considered it to be the one of the main things to spread reading-writing skills and popularize Georgian books in law social classes. The members of this society were quite few, that's why they often had to hold different activities and actually they got financial resources from this way and from donations of different individuals, public persons from Kutaisi were too restricted in money matters and they found it difficult to finance different public organizations simultaneously.

The management of the organization didn't pay much attention to their activities, initiatives, which was evident about printing house finding events, this was one of the reasons why their working style gradually became dull. It's true that Kutaisi department of the organization played the certain role in terms of educating people and making them aware of things, for national consciousness, but it didn't manage to reach the level by which it would lead the majority of society to cultural uprising.

მაია მიქაუტაძე

ცვლილებანი იმერხეულში საუკუნის მანძილზე – I
(ნ. მარისა ლა თანამედროვე ტექსტების
მონაცემთა მიხედვით)

ნიკო მარის "შავშეთისა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები" საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოვიდა. იგი ძალიან დიდხანს (თითქმის 80 წელი), ცნობილი მიზეზების გამო, იყო ერთადერთი სანდო წყარო ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის როგორც ფოლკლორის, ასევე ეთნოგრაფიისა და მეტყველების შესწავლის თვალსაზრისით.

დღეს ტაო-კლარჯეთის შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ფასდაუდებელია ნ. მარის "დღიურების" ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა. "დღიურების" გამოსვლიდან (უფრო სწორედ ექსპედიციიდან – 1904წ.) იმერხეულში ბევრი რამ შეიცვალა: ზოგი რამ გაქრა, დავიწყებას მიეცა...

თანამედროვე იმერხეული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მონაცემები სხვადასხვა მკვლევრის მიერ არის ჩაწერილი და გამოკვლეული (შ. ფუტყარაძე, ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. მგელაძე, მ. ფაღავა...). ჩვენ მიერ, 2006-2012 წლებში ტაოსა და იმერხეულში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ექსპედიციების ფარგლებში, საკმაო მასალა იქნა მოპოვებული. ამ მასალის შესწავლა-გაანალიზების შედეგად ძალიან საინტერესო სურათი წარმოჩინდა იმერხეული მეტყველების საუკუნის წინანდელი და თანამედროვე მონაცემების შედარება-შეჯერების თვალსაზრისით.

სხვაობა სახეზეა როგორც ფონეტიკა/ფონოლოგიის, ასევე გრამატიკულ (მორფოლოგიისა და სინტაქსის) დონეზე. ხელშესახებია სხვაობა ლექსიკაშიც.

ამჟამად შევვხებით იმერხეული დიალექტის ფონეტიკა/ფონოლოგიაში მიმდინარე პროცესებს საუკუნის მანძილზე.

ბუნებრივია, იმერხული მასალის ბევრად უფრო გამოწვლილვითი ფონეტიკური ანალიზია გაკეთებული როგორც ქ-ნ შ. ფუტყარაძის, ასევე ჩვენ მიერაც, მაგრამ მოცემულ ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ის მონაცემები წარმოვადგინეთ, რომლებიც ნ. მარისეულ ტექსტებში დაფიქსირებულ მასალასთან შეჯერება-შედარების შედეგად მივიღეთ.

I. [ა] ალოფონი

ნ. მარი [ა]-ს იმერხეულ დიალექტში ადასტურებს როგორც სახელებში, ასევე ზმნებში:

პაწაჲ ზროხა; **პაშტაჲ** დათვები; ეს თვე რომ დაილევა, **მარიოხაჲ**, ართუხ სიცივე მოვა; **ანაჲც** მოუკლა; ჰემ ერბო გამოა, ჰემ **წოვან** ან **დონთხაჲ**; რა და **რაჲ** გინდა საქმელი; ასწია ერთი **კაჲ** ზოფან...

წყეყვანეს ბიჭი ტყეში; ორ საათ იქით **გამეფიშმანა**; რატომ **შამენახავ** გლახა კაცს? სანდული თან **გამეფტანეს** გოლიდან გარეთ; თუ **მეფყვანე** ცხენი? წინ **გეაარა** დევრიშმა... (ნ. მარი, 1911, გვ. 55-71, 79-84).

შ. ფუტყარაძე თვლის, რომ დღეს იმერხეულში **ფ** თითქმის აღარ გამოიყენება. მკვლევარი წერს: "ქართულ სიტყვა-ძირებში **ფ**-ს გამოყენების ერთეული შემთხვევებიც ვერ დავადასტურეთ. სიტყვები, რომლებშიც ნ. მარის მონაცემების მიხედვით მოსალოდნელია **ფ**", როცა სალექსო სტრიქონებშია მოქცეული, მათში სრული **ფ** ხმოვანი ისმის, მარცვლის შემქმნელი..." (შ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 6).

ჩვენ მიერ 2006-2007 წლებში იმერხეულში ჩაწერილი დიალექტური ტექსტების შესწავლამ, იმერხეველთა მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებამ განსხვავებული ვითარება წარმოაჩინა: [ფ] საკმაოდ ხშირად დასტურდება, კერძოდ:

[ფ] ალოფონი გვხვდება:

1. პაუზისწინა პოზიციაში **ა, ე, ო** ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად:

ცოტა**ფ**; პატარა**ფ**; ნანა**ფ**; იქითა**ფ**; აქეთა**ფ**; წოვა**ფ**; ფარა**ფ**; შაზი**ფ**; ნენ**ფ**; დედ**ფ**; ბაბო**ფ**; დრო**ფ**; დრო**ფ** ...

შ. ფუტყარაძის აზრით, იმერხეულში "ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი არიან სრული ბრუნვის ნიშნით ... " (შ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 8).

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ [ფ] სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტად საკმაოდ ხშირია.

2. [ფ] წარმოდგენს მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტს:

ქირქიტი **იმაფ** ქვია; ყურძნის ფურცელ მოჰკრეფ, **იმაფ** ააღუღეფ წყალში, **იმაფ** უკან დაახუეგ; **იმაფ** იქით არ იყო; **იმაფ** უკან გედვეიდა...

როგორც ცნობილია, "იმ დიალექტებში, სადაც მიცემითი ბრუნვის ნიშნის **-ს** > **ფ**, გამოირიცხება სახელობით ბრუნვაში **-ი** > **ფ** (ან **-ი** არის შენარჩუნებული: დედა-ი, ან საერთოდ მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი: დედა). ერთგვარ გამონაკლისს წარმოდგენს ინგილოური, სადაც შესაძლოა დაჩნდეს როგორც **-ი** > **ფ** (მამაი > მამაფ, კალოი > კალოფ), ასევე: **-ს** > **ფ** (მელას > მელაფ; მელაფ მუცლის ტყვილიც ეეს ყოფილ)" (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 551).

ინგილოურის მსგავსი მოვლენა დასტურდება იმერხეულშიც. ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთმანეთის პარალელურად შესაძლოა შეგვხვდეს როგორც **-ს**, ასევე, მისი ფონეტიკური ნაირსახეობა **-ფ**.

3. [ფ] იშვიათად გვხვდება უკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში V-C პოზიციაში:

ტლაპო**ფ**; ორთან**ფ**; ფენჯერ**ფ** ...

4. [ფ] მორფემათა ზღვარზე დადასტურდა თანხმოვნის წინ; ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად ხმოვანპრეფიქსი **ი** > **ფ**:

მეფყრიფა; ჩეფტან; დეფწავლი; გეფბარგენ, გეფქნიო; წყეფუანდენ, მეფუანდენ; მეფთიბუის; დეფწუის, დეფბრუკუის; გეფარებენ...

ამგვარ პოზიციებში [ფ] დაფიქსირებული აქვს ნ. მარსაც (იხ. ზემოთ).

5. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ფუძისეული **ი** > **ფ**, რასაც ხშირად სხვა ფონეტიკური პროცესები უსწრებს წინ:

მემრე სობები **გამოდდა** (< გამოიდა < გამოვიდა); სერბესობა **მოიდა** (< მოიდა < მოვიდა)...

სხვა მაგალითები: შენ მარტო **აი** (<ადი) (ნ. მარი); აგზეც **გამოდ** (< გამოდი); არდაგან **ვიყაი** (< ვიყაი < ვიყავი)...

მსგავსი ფაქტები დაფიქსირებულია გურულში, იმერულში, აჭარულში, ინგილოურში (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 71).

6. [ა] დასტურდება ზმნისართებთან და თანდებულის ფორმებთან: უჩუმალაი; მოსაკლელაი; ჩქარაი; მალეი (ნ. მარი).

გადმოედენ **საყიდელაი-მაყიდელაი**; უჩუმალაი ლაპარიკობენ დანი, **თავიდათალაი**; წავალთ **სასამურაი**; **სამღერელაი** წავდიოდით ...

ანალოგიური მოვლენა გვხვდება სხვა დიალექტებშიც (აჭარ., ინგ.) (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 547).

შდრ.: შ. ფუტკარაძის ტექსტებში განხილულ შემთხვევებში **ი** ხმოვანი წარმოდგენილი და იგი სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევა (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 8).

7. [ა] ალოფონი ხშირია თურქულიდან შემოსულ სიტყვებში. მაგ., **ი** გვხვდება ხმოვნის წინ თავკიდურა პოზიციაში:

ზილსა არ უნდა **იასტული** (< თურქ. *yastık* 'ბალიში') (შ. ფუტკარაძე); **იადლებში** (< თურქ. *yayla* 'საძოვარი'); ავლენ და მედარებენ, ვიცით **იანი** (< თურქ. *yanı* 'ანუ'); **იასალი** (< თურქ. *yasak* 'აკრძალული'); გაჰკადეს; **იადსაც** (< თურქ. *yağ* 'ზეთი'); დავაწუავთ...

თურქ. ნაწილაკი და კავშირი **ya** 'ზომ, აკი', 'ან' **ი** ფორმით წარმოითქმის: ახლა თველი დიობანში გეგრიფა, დაცოტავდა **ი** ხალხი; სახლიდამ მექთებში წევდოდით **ი** სასწავლებელში...

[ა] დასტურდება სხვა შემთხვევებშიც:

იუნიაში უსაქმია ცოდვა; **იადრამისთვინ** ისტამბოლ მევარე; კარგი **მეფა** იცის აქა (შ. ფუტკარაძე); არ იყო მაშინ **იოდლობა** ...

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს, რომ იმერხელ დიალექტში /ი/-ს უმარცვლო [ა] ალოფონი დღესაც არცთუ იშვიათია და მისი რეალიზაციის ფაქტები მსგავსია სხვა ქართველური დიალექტებისა; გარკვეულ შემთხვევებში მისი გამოვლენა თურქულ ენის გავლენით შეიძლება აიხსნას.

II. ძ თანხმოვანი

ნ. მარის მიერ ჩაწერილი ტექსტების მიხედვით, **ძ** ბგერა იმერხელში ჩვეულებრივ გამოიყენება, თუმცა მის ადგილს ცალკეულ შემთხვევებში **ზ** იკავებს, მაგ.:

ძ დაცულია: წაბანდებით; ძლებს; ძაფს; ბძანე; ვაძოვო; დუუძახა; ძირში; ძალიან; დააძახნია; დოუძახა, ძმის; შეიძლება; დეეძინენ; ეძება; სიძემა; მოაძრო ...

ძ > **ზ**: ზროხას ეტყვის; მოზებნა; ზველია; ის ზე დამწყვედელი დარჩა...

ნ. მარის ტექსტებში **ძ/ზ** ბგერათა გამოვლენის სიხშირე ასეთია: მოსალოდნელი **ძ** ბგერა გამოვლინდა 87,5%, ხოლო **ძ**-ს ნაცვლად **ზ** — 12,5%.

შ. ფუტკარაძე იმერხელში **ძ** თანხმოვნის არსებობას არ ადასტურებს. მკვლევრის მტკიცებით: "იმერხელში "ძ" თანხმოვნის გამოყენების ერთეული

შემთხვევებიც კი არ დაიძებნა. იგი შეუცვლია "ზ"-ს: ზალი, გზელი, ნაზვი, ზველი, ყურზენი... ეს მოვლენა სისტემად ქცეულა თურქული ენის გავლენით, რადგან თურქულს "ძ" ბგერა არა აქვს. მსგავსი ვითარებაა ინგილოურშიც ხუნძური ენის გავლენით, შეინიშნება ზემოაჭარულში და მესხურში" (შ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 8-9; 2008, გვ. 99-100).

ჩვენ მიერ ჩაწერილ იმერხეულ ტექსტებში ასეთი სურათია: ძ ბგერის გამოვლენის შემთხვევები არცთუ იშვიათია, თუმცა მის ნაცვლად ზ უფრო ხშირად ისმის. მაგ.:

დამაძრესო; ძაფებით; ძოვენ; ძროხას; ძეწნით; ყურძნის; ძტელათ ...

ძ > ზ: ზტელები; თერზი; ზტელათ; სიგზე; ზაფსავეფ; დიგიზახავს; დავზახვედით; ზე (რძე); გზელი; ზირში ...

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთმანეთის პარალელურად შესაძლოა შეგვხვდეს ძ და ზ ბგერები.

ძ/ზ ბგერათა გამოვლენის პროცენტული მაჩვენებლები ასეთია: მოსალოდნელი ძ ბგერა დადასტურდა 25%, ხოლო ძ-ს ნაცვლად ზ გამოვლინდა 75%.

ამდენად, ჩვენ მიერ შესწავლილი იმერხეული დიალექტური მასალის მიხედვით, ნ. მარისეულ ტექსტებთან შედარებით, დღეს იმერხეველთა მეტყველებაში ძ ბგერის გამოყენების სიხშირე გაცილებით დაბალია, ვიდრე ერთი საუკუნის წინ. ეს მოვლენა თურქული ენის გავლენის შედეგია, თუმცა იგი უგამონაკლისო სისტემად ჯერ არ ქცეულა.

III. ვ, ჟ, უ

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდაა ქცეული Ⴆ, Qd, ვ, ჟ, უ გრაფემებით გამოსახული ბგერების კვალიფიკაციისა და ურთიერმიმართების საკითხი (ლიტერატურის მიმოხილვისთვის იხ. მ. მიქაუტაძე, 2005, ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, 2008).

ჩვენ არაერთგზის შევხებივართ აღნიშნულ სადავო საკითხს (იხ.: მ. მიქაუტაძე, 2004; მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 19-45, გვ. 42-43 ...).

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში, როგორც ცნობილია, მკვეთრად გამოხატული წყვილბაგისმიერი ჟ ქართული ენის დიალექტთა უმეტესობაშია დადასტურებული: მოხეურში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, იმერხეულში (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 80). სვანურში საერთოდ არ არის კბილბაგისმიერი ვ.

იმერხეულში, სხვა დიალექტების მსგავსად, ხშირად ისმის წყვილბაგისმიერი ჟ; მკვლევართა დაკვირვებით, ეს ბგერა ძირითადად გვხვდება:

1. სამწიგნობრო ენაში კბილბაგისმიერად მიჩნეული სპირანტის ნაცვლად:

ვაჟდა; ერქვა; ბეჟრი; ყჟელიფრიდან; დეჟრიშის (ნ. მარი); გჟაქ; დაგჟატყვილეს; მოგჟყავს (შ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 6).

2. უ ხმოვნის რეფლექსად. უ>ჟ პროცესი ინტენსიურად ვითარდება ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ, კერძოდ, -ურ/-ულ სუფიქსისეული უ ხმოვანი ე, ა ხმოვნების წინ, ჩვეულებრივ, ვიწროვდება:

დეკაჟული (ნ. მარი); აქეჟრი (შ. ფუტყარაძე). შ. ფუტყარაძის აზრითვე, მოსალოდნელ ჟ-ს ხშირად ენაცვლება კბილბაგისმიერი თანხმოვანი:

მემთევრად; დამწყრველი; აქვევრია; მირთმევლ; წრველ; მემთევრები; გარველი ... მკვლევრის მიერ ანალოგიური მასალა დადასტურებულია ტაოურში, მაჭახლურში (შ. ფუტკარაძე, 1995). აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც ბ. ჯორბენაძე, ასევე შ. ფუტკარაძე, კბილბაგისმიერ ვარიანტს მაინც ძირითად სახეობად მიიჩნევენ.

ჩვენი დაკვირვებით, იმერხეულ დიალექტში **წყვილბაგისმიერია** თითქმის ყველა ის ბგერა, რომელიც სხვა მკვლევრების მიერ ჩაწერილია ვ გრაფემით; მაგ.:

ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ C_N-V და C_S-V პოზიციებში:

ერქუა; ყუალა (ნ. მარი); **მარჯუნა; ეხუეწებიან შუელას; ხუალაც; კხერცხი; სიტყუა; თქუა; ვსუემლი** (შ. ფუტკარაძე); **გუაქ; ბალუბე; ქუაბში; დეგუესწავლა ბალუბეს; ჩაგარჩუებენ; მააქუან...**

ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ V-C პოზიციაში:

წეუდა; ჩამეუტან; ბეურათ; მეუთავეფ (ნ. მარი); **მიუსცემთ; წეუდოდით; იმცხოურებენ; შეუბარგავთ; შეუფუთი; თაურობის...**

გ) თანხმოვნებს შორის C-C პოზიციაში:

მისულა-მოსულა; გამოსულამდის; იყუნენ; წურილი; ქუყავს

დ) თანხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ #-C პოზიციაში:

უთქუათ; ულაპარიკობდით; უქნა; უქამთ...

ე) ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ V-# პოზიციაში:

დაქსელაუ; შეინახაუ; გოგოუ, გოგოუ, ფაცია; ჩაქყლეტაუ ...

როგორც ჩანს, იმერხეულში უ-ს გამოვლენა პოზიციების მიხედვით არ იზღუდება; ყველაზე ხშირად იგი თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ გვხვდება.

ბაგისმიერი სპირანტის წყვილბაგისმიერობის მიმანიშნებელია იმერხეულში დადასტურებული **ვ/ბ, ბ/ვ, ვ/მ** მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევებიც: **ვიწრო > მიწრო, სავსე > სამსე, ვარსკვლავი > მასკულავი, დამავიწყდა > დამაბიწყდა, დაგავიწყდებოდა > დაგუაბიწყდებოდა, ვეუბნებით > ვებნევით, ვეუბნებით > ვეგნევით, ვკერავდი > ვკერევი > უკერებდი, ჩადებდნენ > ჩადეუდნენ, გადაიკიდებდნენ > გედვიკიდეუდნენ...** ერთმანეთს უშუალოდ შეიძლება შეენაცვლოს მხოლოდ ის თანხმოვნები, რომელთაც ორი მარკერი საერთო აქვს. **ფფიქრობთ, დამაბიწყდა, ვებნევი** ტიპის ფორმებში სულაც არ არის სავარაუდო **გარდაშავალი საფენჭურის დაშვება: ვ > ბ და ბ > ვ** მონაცვლეობა დასაშვებია ვ-ს წყვილბაგისმიერად გაგების შემთხვევაში (მარკერთა შენაცვლების კანონზომიერების შესახებ იხ. ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 297-299).

როგორც მოსალოდნელი იყო, სამწიგნობრო ქართულს საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილმა იმერხეულმა დიალექტმა კარგად შეინარჩუნა ის მდგომარეობა, რაც ცოცხალი მეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი XV-XVI საუკუნეების ქართულში.

იმერხეული დიალექტის მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართველთა მეტყველებისათვის ყოველთვის ძირითადი და ბუნებრივი იყო სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი სპირანტი, რომელიც, არაიშვიათად, მიიღებოდა უ ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციითაც (სხვა ხმოვნის მეზობლობის გამო), ხოლო ძირითადად ბაგისმიერ თანხმოვნებთან მეზობლად, იშვიათად

რეალიზდებოდა კბილბაგისმიერ მკდერ თუ ყრუ ვარიანტებადაც (ვსტავლობ, ჭფლობ...) (ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, 2008, გვ. 316-319).

IV. ჳ ბგერა

იმერხეულ დიალექტში ჳ ფონემის არსებობა-არარსებობის საკითხი მეცნიერთა შორის დავის საგანი გახდა.

შ. ფუტკარაძე თვლის, რომ იმერხეულ დიალექტში დღემდე დაცულია არქაული ვითარება და ძველი ქართულის ფარინგალური ფშვინვიერი ჳარი ბგერა სახეზეა (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 6).

მ. ფაღავას თავდაპირველად მიაჩნდა, რომ "იმერხეულს (ისტორიული შავშურის კილოკავს) ჳ არ შემოუნახავსო" (მ. ფაღავა, 2005, გვ. 47). მოგვიანებით, როგორც თვითონვე აღნიშნავს, იმერხეულში ჳ-ს არსებობაზე ყურადღება კვლავ გაამახვილა, თ. უთურგაიძის რჩევით, შეხედულება შეიცვალა და ვარაუდობს, რომ "რამდენადაც ჳ გვხვდება იმერხევის ყველა ქართულენოვანი სოფლის მკვიდრთა მეტყველებაში, იგი ისტორიულად მთელი შავშურისათვის იყო დამახასიათებელი (იქვე).

იმერხეველ ქართველთა მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებისა და დღემდე არსებული იმერხეული ტექსტების გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ იმერხეულ დიალექტში ჳ ბგერის არსებობა-განაწილების შემდეგი სურათია სახეზე:

ჳ დასტურდება იმ ფუძეებში, რომლებშიც იგი V-XI სს. სალიტერატურო ქართულში გვხვდება: ჳიდი; თიჳა; ჳარი; ჩოჳა; საჳადი; ჳმა; ჳელი; ფეჳი; მარჳილი; ჳმელი; უღელტეჳილი; დაგრეჳილი; კაჳამბალი; უჳმარი; ჳბო; ჳვნა; ჳაჳა; ჳმიადი; ჩაჳვი; ნაჳევაო; ჳუნდი; ჳსენი; ჳვიმირი; ჳეჳეჳური; ჳორცი ...

ჳ გვხვდება საკუთრივ იმერხეულ დიალექტურ ფუძეებსა თუ გეოგრაფიულ სახელებში: უჳედლები; ბაჳალა (გოგონა); ფარჳიელი (საბძლის წინა ადგილი); ქორის წინა ადგილი ფარჳიელია; ფერჳვა (მეკვლეობა) ...

მოჳლვევი; იფჳრველი; ჩიჳისჳევი; იმერჳევი; ჳევწვრილი/ჳემწვრილი; ჩიჳორი; ჳერთვისი; სათჳარა ჳევი; ჩიჳეტა; ციჳიზირი; მიჳლყმიენთი ...

ჳ იშვიათად ვლინდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებშიც: საჳალი (თურქ. საკალ — წვერი); ჩაჳალი (თურქ. ცაკალ- ტურა)...

სახეზეა, რომ იმერხეულ დიალექტში /ჳ/ ახლაც საკმაოდ აქტუალურია. ჳარის გამოვლენის ბოზიციათა რაიმე კანონზომიერება, ბუნებრივია, არც აქ ჩანს.

აღსანიშნავია, ასევე, რომ ერთსა და იმავე სიტყვაფორმაში ჳოგჯერ ჳ ისმის და ჳოგჯერ — ხ. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ბგერათა ფუძეში მონაცვლეობა ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც დასტურდება:

ახლა გევჳადე ჳაკეთი; ჳმა ჳეირ-ზუნჳში გოუნადა! დააცმენ ჳორცსა შიშზე/გარგანზე; ხორცი თუ გინდა; გაცჳრეტა; ცხენი განრიტა ტყვიამა; იმა კარჳა მოვთჳრით; თოჳით მოვთხრით; ჳმელი; კლერტაი ბალახი თევეჳელი არ განჳება...

ნ. მარის მიერ საუკუნის წინ ჩაწერილ იმერხეულ ტექსტებშიც ერთი პირის მეტყველებაში ჳ:ხ მონაცვლეობა აქა-იქ ვლინდება: ჳელი||ხელი, ფეჳი||ფეხი, ჳარი||ხარი... (ნ. მარი, 1911). ბ. ჳორბენაძის აზრით, ჳ:ხ მონაცვლეობის ეს მაგალითები არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ იმერხეულში

(კლარჯულში) **ვ** მოშლის გზაზე, ვინაიდან იგი სისტემებზე გვხვდება **ვე**, **ველი** და მისთანა ფორმებში (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 65).

საუკუნის შემდგომი იმერხეული ტექსტების ანალიზი და ზემოთ მოტანილი ერთი პირის მეტყველებისას დაფიქსირებული **ველი** და **ვე** და სხვა პარალელური ფორმები გვაფიქრებინებს, რომ **ვ**-ს გამოყენების სისტემა დღეს არც ისეთი მყარია. შეიძლება დავასკვნათ, რომ იმერხეულ დიალექტში ფონემატური დაპირისპირება **/ხ/-სა** და **/ვ/-ს** შორის კვლავ სახეზეა, თუმცა ამ ოპოზიციის ნეიტრალიზაცია უკვე დაწყებულია.

ფონეტიკური პროცესები

განვიხილავთ იმერხეული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ამსახველ მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებიც შეგვხვდა ნ. მარის ტექსტებში და შევადარებთ მათ თანამედროვე მონაცემებს.

ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ნ. მარის ტექსტების მიხედვით გვაქვს სახეზე, იმერხეული დიალექტისათვის დღესაც ბუნებრივია, თუმცა ფორმათა გარკვეული ნაწილი არ შეგვხვედრია.

ასიმილაცია:

აე > **აე** სრული რეგრესული ასილიაციით: დამესიზმრება > დემესიზმრება; დამეზინება > დემეზინება; დაგეტყობა > დეგეტყვება; დაებმიან > დეებმიან; დამელია > დემელია; დაგეწიე > დეგეწიე; წაველი > წეველი...

აე > **ეე** სრული რეგრესული ასილიაციით: > **იე**: (რეგრესული დისიმილაცია): თმაები > თმეები > თმიები; გაღმაველი > გაღმეველი > გაღმიველი ...

აი, აო > **ეი/ეო** ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით; პროცესს ვერ აბრკოლებს ზმნისწინისეული ან აფიქსისეული თანხმობები: “მტრად დამიდგა” > “მტრათ ემიდგა”; აილე > ეილევი; გაიჭუნუნებს > გეჭუნუნუნებს; დაიჭირა > დეიჭირა; დაიმაღვი > დემაღვი; მოიტირა > მეიტირა; გამოვიგონოთ > გამევიგონოთ; მომიგონე > მემიგონე; გადავირბინე > გედვირბინე; გამიყვანე > გემიყვანე; გამოვირჩიე > გემვირჩიე; დამიკლო > დემიკლო; გაგიხარდა > გეგიხარდა; დამიწყი > დემიწყი; ამოვიღებ > ამევიღებ...

აუ > **ოუ** > **უუ** სრული რეგრესული ასიმილაციით: გაუხსნა > გოუხსნა > გუუხსნა; გაუხარდა > გუუხარდა; დაუბა > დუუბა...

აუ > **უუ** სრული რეგრესული ასიმილაციით: მოუყვანა > მუუყვანა...

აი > **უი** სრული რეგრესული ასიმილაციით: მიუყვანა > მუუყვანა... დადასტურდა **მუტანე** ფორმაც (< მუუტანე)...

აო > **აო** ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: შემოგიტვლი > შამოგიტვლი...

აუ > **აუ** ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: დაუკარი > დოუკარი; დაუძაბა > დოუძაბა; გავუძელი > გოუძელი; წაუყვანა > წოუყვანა... ზოგჯერ პირველადი **აუ** და **აუ** კომპლექსები უცვლელია: მოუპარავს, მოყვანა; წაუყვანა ...

ზემოთ მოტანილი ასიმილაციის ყველა მაგალითი დამახასიათებელია როგორც საუკუნის წინანდელი, ასევე დღევანდელი იმერხეული დიალექტისათვის.

სრული რეგრესული ასიმილაციის იშვითი ნიმუში, რომელსაც ი-პრეფიქსი იწვევს: ხელი **ამომიწყე** > ხელი **ამომიწყევი** დაფიქსირდა ნ. მარის ტექსტებში, თუმცა არ შეგვხვედრია თანამედროვე იმერხეულთა მეტყველებაში.

ასევე მხოლოდ ნ. მართან დადასტურდა ა > ე ნაწილობრივი რეგრესული დისტანციური ასიმილაციით მიღებული **დარდი** > **დერდი**, **გავდარდიანი** > **გავდერდიანი** ფორმები.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის ნიმუშები: მოკდა > მოკტა, ვინცაღა > ვინცლა > ვინცხა, რაცაღა > რაცლა > რაცხა, კარგი > კარქი ... დამახასიათებელია როგორც საუკუნის წინანდელი, ასევე დღევანდელი იმერხეული დიალექტისათვის....

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციით მიღებული ჯაჭვი > ჳაჭვი ფორმა შეგვხვდა მხოლოდ ნ. მარის ტექსტებში.

საუკუნის წინაც და თანამედროვე იმერხეულთა მეტყველებაშიც ჩვეულებრივია სიტყვის ბოლოს დ-ს დაყრუება: ღვარად > ღვართ; ავად > ავათ; სანახავად > სანახავათ; ბევრად > ბევრათ; თვალტანადა > თვალტანათ...

ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია:

ეე > **იე**: კლდეები > კლიები; ტყეები > ტყიები; შეებრალა > შიებრალა; შეეყარა > შიეყარა; შეეხვეწა > შიეხვეწა; შეეძლება > შიეძლება ...

ეა > **ია**: შეადნო > შიადნო ...

აა > **ეა**: წავა > წევა ...

ოა > **უა**: მოვათავე > მუათავე; მოვახსენებ > მუახსენებ; მოვა > მუა ...

ოე > **უე**: მოველი > მუელი; გოგოები > გოგუები; მოეწია > მუეწია; გამოეკიდა > გამუეკიდა ...

ხშირად **ოა** და **ოე** კომპლექსები უცვლელია.

თანხმოვანთა დისიმილაცია:

კურკა > **გურკა**; მოსლული > მოსრული > მოსული; წლეულ > წრეულ; სულ მთელი > სუნთელი; ფუტკარი > ფუთკარი ...

ზემოთ მოტანილი დისიმილაციის ყველა მაგალითი დამახასიათებელია როგორც საუკუნის წინანდელი, ასევე დღევანდელი იმერხეული დიალექტისათვის.

ნ. მარის ტექსტებში გვხვდება დისტანციური რეგრესული დისიმილაციის შედეგად მიღებული მომჭარი (< "მომჭერი"), გამოვჭარი (< "გამოვჭერი") ფორმები, რომლებიც ჩვენ აღარ შეგვხვედრია.

ნიკო მართან დაფიქსირებულია რთული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მიღებული ფორმები, რომლებიც დღესაც გვხვდება:

დიდრიანი "დიდი, დიდროვანი (//დიდრივანი): დიდროვანი > დიდრუანი (რეგრესული დისიმილაციით) > დიდრვიანი (უ > ვი პროცესის შედეგად) // დიდრიანი (ვ-ს დაკარგვით);

ანალოგიურად **დატიეს**: დატოვეს > დატოეს > დატუეს > *დატვიეს > დატიეს; ასევე **დავტიოთ**: დავტოვოთ > დავტოოთ > დავტუოთ > *დავტვიოთ > დავტიოთ.

ვე > **ო**: ქვემო > ქომო, შედღებენ > შედლობენ...

ევ კომპლექსის პოზიციაში გვაქვს **ო**: კილო "კიღევ"

ბევრათა დაკარგვა და განვითარება:

ნ. მარის ტექსტების მიხედვით, იმერხეულთა მეტყველებაში ხშირად იკარგება -ს: მიცემითის ნიშანი ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი: "ახლიან პირ(ს)", "შიართვამს საჭმელ(ს)", "ბევრ(ს) ინადირებენ, დათვ(ს)-მათვ(ს) ბევრ(ს) მოკვლენ, კურღღელ(ს) მოკვლენ" "შინდი(ს) გურკა";

“ქოროლი(ს) ბეგებ(ს) დეეძინენ“; “ციხიძირი (<ციხის ძირი) ზედა“; “ჯამი(ს) კარსა ველარ მიველი“; “ორ საათ(ს) იქით“; “ბაღჩი(ს) ბოლოს“, “სული(ს) სიმწართა“...

იკარგება მ (ავადმყოფი > ავათყოფი, მტკაველი > ტკაველი, მთა > თა, მთლად > თლათ, მზითვადა > ზითვათა), **რ** (რკო > კო, ბრძანა > ბძანა > ბზანა, მობრძანდით > მობძანდით, დამრჩა > დამჩა), **დ** (სად წავიდე > სა წევდე, შენ ადი > შენ ად, წადი > წაი, წელიწადს > წელიწას), **ვ** (წაკვდენილი > წაკტენილი, მოვკვდე > მოკდე), **ნ** (საითკენ > სითკე, კინწი > კიწი), **ლ** (სახში) თანხმონები.

მარტივდება ორი იდენტური თანხმონის კომპლექსი: ხანუ**შა** > ხანუ**შა**...

ვითარდება ვ (უჩუქებია > უჩუქებია, აჩუქა > აჩუქვა//აჩუქტა; თოკი > თოკვი) და **ნ** (დავრჩით > დავრჩით) ...

იცვლება **სწ** და **სტ** კომპლექსები: **სწ** > **წ** (ასწავლის > აწავლის); **სტ** > **შტ** (დასტვენა > დაშტვენა, პისტოლეტი > ფიშტოლი).

თანამედროვე იმერხველთა საუბარშიც ჩვეულებრივია ზემოთ აღნიშნულ ბგერათა დაკარგვისა თუ განვითარების მსგავსი შემთხვევები:

იკარგება მ: მთვარე > თვარე, მკლავი > კლავი, მკვდარი > კდარი, მჭადი > ჭადი ...

იკარგება რ: ზრდის > ზდის, დამრჩა > დამჩა, ბრძანდები > ბზანდები...

იკარგება -ს: მიცემითი ბრუნვის ნიშანი: “**უღელ** შუაში კოტა აქ“; “**მარკილ** აქ საცურავი, კოფო“; “**ცაცხვ უხლამურ** ვეტყვით“ ...

იკარგება -ს: ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი: “**ლახნი** შორვა ფენა მიყუარს“; “**ლეკი** ხეს მოვსჭრი“; “პაწა **ზმი** სახელია მემედი“...

სწ ბგერათკომპლექსშიც **ს** დღესაც თითქმის ყოველთვის იკარგება: სწორე > წორე; უსწავლია > უწავლია; დუუსწორე > დუუწორე...

ვითარდება ვ: საჩუქარი > საჩუქვარი; საცოდავად > საცოდავათ; ვჭამოთ > ვჭვამოთ...

თანხმოვანთა სუბსტიტუცია:

ნ. მარის ტექსტებში თანხმოვანთა სუბსტიტუცია შეინიშნება როგორც საკუთრივ ქართულ (ვიწრო//მიწრო, ჭოროხი//ჭოროლი, ფირალი//ბირალი), ასევე ნასესხებ (ხიდმეთი//ხიზმეთი “სამსახური, პატრონობა“, სანდუკი//სანდული “ზანდუკი“, სილადი//სილაჰი//სილაი “იარალი“) სიტყვებში.

თანამედროვე იმერხველ მეტყველებაშიც ხშირია საკუთრივ ქართულ სიტყვებში თანხმოვანთა სუბსტიტუციის შემთხვევები (განსაკუთრებით ხშირია **ვ**, **მ**, **ნ**, **ბ** ბგერათა შენაცვლება): სავსე > სამსე; ვარსკვლავი > მასკვლავი; შეცვივდნენ > შეცვინდენ; დამავიწყდა > დამამბიწყდა; მრუდე > ბრუდე; მზე > ბზე...

საინტერესოა ნ. მართან **ვ//ქ**, **ჩ//ჭ**, **კ//ქ** ბგერათა სუბსტიტუციის შედეგად მიღებული **ქუმირი** (< კვიმირი), **კოკლიეთი** (< ქოქლიეთი) და **ჭუარები** (< ჭუარები) ფორმების დადასტურება. თანამედროვე იმერხველთა მეტყველებაში მხოლოდ **კვიმირი** და **ქოქლიეთი** ფორმები გვხვდება. **ჭვარი** ფორმა ადგილის სახელად დადასტურდა.

თურქულ "F", "P" ბგერებს ენაცვლება ქართული "ფ", "G" ბგერას – "ღ", "K"-ს ენაცვლება "ყ"; თურქულ "H"-ს – "ხ"; ნ. მართან აღნიშნულის ამსახველი მაგალითები, დღევანდელ მონაცემებთან შედარებით, მცირერიცხოვანია. მასთან, ისევე როგორც დღეს, გვხვდება ფორმები: **ფენა** (fena – 1. ცუდი, ბოროტი; 2. ძლიერ, ძალიან, 3. შემძლე, მოხერხებული); **ღალიბა** (გალიბა – ალბათ, როგორც ჩანს); **ორყათი** (kat – სართული); **ყალე** (kale – ციხე); **ხარითა** (harita – რუკა) ...

საუკუნის შემდეგ უცვლელად დასტურდება **კონტამინაციის შემთხვევა**: სცოდავს > ცოდვა // ეცოდება > ეცოდება (ნამყო ძირითადი: შეეცოდვა – ვ ფუძისეულ ელემენტად გააზრიანდა).

როგორც საუკუნის წინ, ისე დღესაც, იმერხეულში ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში შეინიშნება თანხმოვნებისა თუ ხმოვნების **გადაბგერება**: დათვი-მათვი, სისხლი-მისხლი, ბაღანა-ბუღანა ...

იგივე შეიძლება ითქვას **მეტათეზისის** შედეგად მიღებული ფორმების შესახებაც: ღრუბელი > ღურბელი, გაგაგებინებ > გაგაგებიფ, ლექსი > ლესკი (მეტათეზისის შემდეგ ქ/კ მონაცვლეობა) // ლესგი (მეტათეზისის შემდეგ სქ>სგ მონაცვლეობა).

საუკუნის მანძილზე იმერხეული დიალექტის ფონეტიკა/ფონოლოგიაში მიმდინარე პროცესების განხილვა/გაანალიზების შედეგად დავინახეთ, რომ ცვლილებები ძირითადად სახეზეა ძ/ზ, ხ/ჭ, ვ/წ, ი/ა ... ბგერათა გამოყენებისას; რაც შეეხება კანონზომიერ ფონეტიკურ მოვლენებს, მათი განსხვავებულობა ნ. მარისეული და თანამედროვე ტექსტების მიხედვით ხელშესახები ნამდვილად არ არის.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. მარი, 1911** - Марр Н.Я., Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: «Георгий Мерчуле. Житие св. Григория Хандзтийского», С.- Петербургъ, 1911.
- მ. მიქაუტაძე, 2005** - მ. მიქაუტაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
- მ. მიქაუტაძე, 2005** - მ. მიქაუტაძე, პალატალიზებულ დიფთონგთა საკითხი V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
- მ. ფალავა, 2005** - მ. ფალავა, ფარინგალური ჯ იმერხეულში, XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2005.
- ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, 2008** - კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ (იმერხეული მასალის ანალიზი), ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008.
- შ. ფუტკარაძე, 1993** - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- შ. ფუტკარაძე, 1995** - შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუშაჭირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.

- შ. ფუტყარაძე, 2008** - შ. ფუტყარაძე, იმერხეული კილოს ბგერითი შედგენილობა: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 2008.
- შ. ფუტყარაძე, 2008** - შ. ფუტყარაძე, ფონეტიკური პროცესები იმერხეულში: ქართველური შემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2008.
- ბ. ჯორბენაძე, 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე, 1998** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.
- 2006-2014 წლებში იმერხეულში ჩაწერილი დიალექტური მასალა** (დაცულია აწეს ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაში).

MAIA MIKAUTADZE

CHANGES IN IMERKHEULI DURING A CENTURY (According to N. Mari and modern text data)

“Travel diaries in Shavsheti and Klarjeti” by N. Mari was published more than a century ago. During a long time it was (almost 80 years) for well-known reasons it was the only reliable source of historical Shavsheti and Klarjeti in terms of studying folk culture, ethnography and speech.

Today studying process of Tao-Klarjeti became active. Due to this fact historical-scientific importance of N. Mari “Diaries” is valuable. After publishing “Diaries” (after expedition 1904) many things changed in Imerkheuli: some became extinct and forgotten...

Characteristic data for modern Imerkheuli speech are recorded and explored by different researchers (Sh. Putkaradze, N. Mgeladze, M. Paghava...). Proper sum of materials were collected by us in 2006-2012 in Tao and Imerkhevi, expedition organized by scientific-researching institute of dialectology of Akaki Tsereteli State University. As a consequence of studying-research of these materials we got very interesting picture in terms of comparing-matching viewpoints of modern and long established data of Imerkheuli speech.

The difference is visible on phonetic, grammatical (morphology and syntax) levels. The difference on the levels of vocabulary is also tangible. We referred to current processes occur in Phonetic/ phonology of Imerkheuli dialect.

Of course more detailed phonetic analysis about Imerkheuli material is done by Sh. Putkaradze and by us as well, but in this work we presented only the data which we got on the consideration-match basis fixed in N. Mari works.

Due to reviewing and analyzing processes taking place in phonetic/phonology of Imerkheuli dialect we saw that main changes refer to sounds Z/z, (dz/z) x/Ā, (kh/ the sound between kh and h) v/uE(v/u), i/Ā (i/iota) ; As for the rigid phonetic occasions, their difference according to the texts of modern time and N. Mari really doesn't seem tangible

დიანა მოსეშვილი

არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნის პრინციპები

არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნა არის ენობრივ-სამეცნიერო პროექტი, რომელსაც ახორციელებს კერძო სამეცნიერო ორგანიზაცია (არაბული ენის სამეცნიერო აკადემიების გაერთიანება), რომელიც 1971 წელს შეიქმნა კაიროში. ამ ორგანიზაციაში კაიროს, დამასკოს, ბაღდადის, იორდანის, ალჟირის, ლიბიის, სუდანის, პალესტინის ენის პალატები გაერთიანდა. ორგანიზაციის მთავარი მიზანია სამეცნიერო წრეებს შორის კავშირის ორგანიზება, მთელი ძალისხმევით დახარჯვა ისეთ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება არაბულ ენას და მის ენობრივ და სამეცნიერო მემკვიდრეობას.

არაბული ენა განსაკუთრებით საჭიროებს ისტორიულ ლექსიკონს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ფართო გავრცელების ენა, ხანგრძლივი ისტორიითა და მდიდარი მემკვიდრეობით, რომელზეც არაერთმა ხალხმა შექმნა თავისი კულტურული მემკვიდრეობა და ეს ენა მათთვის თვითგამოხატვის საშუალება გახდა.

ისტორიული ლექსიკონითა და არაბული ენისათვის ასეთი მოდელის შექმნით 1932 წელს პირველი დაინტერესდა პროფესორი ფიშერი, აღმოსავლეთმცოდნე ლაიფციგის უნივერსიტეტიდან, არაბული ენის სამეცნიერო აკადემიის წევრი და არაბული **სალიტერატურო ენის ლექსიკონის** ავტორი (გამოიცა 1933 წელს), როცა მან არაბ ლექსიკოლოგთა გაერთიანებას, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ პირველ შეკრებაზე კაიროში არაბული ენის “დიდი ლექსიკონის” განახლება შესთავაზა. უკვე 1937 წლის ზაფხულზე წარუდგინა კიდევ მათ დამუშავებული სანიმუშო მასალა, მაგრამ ფიშერის გარდაცვალების (1940 წ.) შემდეგ ამ პროექტზე მუშაობა შეწყდა. 1964 წელს პროფესორმა იბრაჰიმ მადქურმა არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნის ახალი პროექტი წარუდგინა არაბ ლექსიკოლოგთა ასოციაციას. პროექტი მოიწონეს, მაგრამ მაშინ იგი ვერ განხორციელდა.

1971 წელს არაბული ენის სამეცნიერო აკადემიების გაერთიანების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება არაბული ენის “დიდი ლექსიკონის” ხელახლა შესწავლასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის სალექციო დარბაზში სხვადასხვა ავტორის მიერ წაკითხული იქნა არაერთი ლექცია: ისმაილ მადრუქი — “არაბული ენის ისტორიული ლექსიკონი საქმესა და იმედს შორის”, ქემალ ბაშარის — “არაბული ენის ლექსიკონთან დაკავშირებით”, აჰმად შაფიკ ალ-ხატიბის — “არაბული ენის ისტორიული ლექსიკონი”, აბდ ალ-‘აზიზ ‘უსმან ალ-თფვიჯრის — “არაბული ენის ისტორიული ლექსიკონი “ალფიაში” ცვლილებების შუქზე”, აბდ არ-რაჰმან ალ-ჰაჯ სალიჰის — “სამეცნიერო ლექსიკონი და მისი მეცნიერული განხორციელების პირობები”, აბდ ალ-ქარიმ ხალიფას — “არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის მნიშვნელობა”, მუჰამად რაშად ალ-ჰამზავის -

“არაბული ისტორიული ლექსიკონი, მისი პრობლემატიკა და შესრულების გზები”, მუჰამად ბენ მუჰამად ბენ შარიფას — “ისტორიული ლექსიკონის ტიპის ბელეტრისტიკის საფუძვლები ჩვენს ეპოქაში”, რაიფ ჯურჯ ჯურჯი - “ძველი და საშუალო სალიტერატურო არაბული”, ალი ალ-კასიმის — “ისტორიული ლექსიკონის მასალები” და ასე შემდეგ.

მუჰამედ ჰასან აბდ ალ-აზიზის მოხსენების ტექსტში ისტორიული ლექსიკონის დანიშნულების შესახებ ვკითხულობთ: “ისტორიული ლექსიკონის გაკეთება პირამიდის აშენებას ჰგავს, ოღონდ მნიშვნელობებით. მამებისაგან გადმოგვეცა ჩვენ არაბული ენა მთელი სისრულით, როგორც ცოცხალი ენა მეცნიერებისა და ხელოვნებისა. თავისი გრამატიკითა და მორფოლოგიით, განზოგადების წესებით, თავისი მდიდარი ლექსიკით. ჩვენი მემკვიდრეობაა ეს ენა თავისი სალიტერატურო და დიალექტური ფორმებით, უცხოური წარმოშობის არაბიზებული ფორმებით, თავისი საზომებითა და წარმოთქმით, რომელიც უადრესად მდიდარია მნიშვნელობებით. ძველი არაბული ლექსიკონები შემოიფარგლებიან სიტყვებისა და მათი სინონიმების შეგროვებითა და განმარტებებით, მათი მნიშვნელობებისა და სტრუქტურის ცვლილებების ჩვენებით. ეს საპატიო საქმეა, მაგრამ არაბი პოეტების, ფილოლოგების, მეცნიერებისა და ფილოსოფოსების წყალობით, არაბულ ენაში შევიდა იმ სიტყვათა მნიშვნელობები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ სამეცნიერო ან მხატვრული მიზნებისათვის და, აგრეთვე, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მათ მოახდინეს სპარსულ, ბერძნულ და ინდურ ფორმათა არაბიზაცია, რომელსაც საჭიროებდნენ თარგმნისას, მას შემდეგ, რაც გაეცნენ სპარსულ, ინდურ, ბერძნულ და სხვა ხალხების ცივილიზაციებს. სამწუხაროდ, ბევრი ასეთი მნიშვნელობა და არაბიზებული ფორმა ენის ლექსიკონებში არ შესულა და დარჩა გაბნეული (დაწუნებული) და გადაეცემოდა მეცნიერების თაობებიდან ერთმანეთს. ისინი მხოლოდ წერილობითმა მასალამ შემოინახა. გვსურს, რომ მათი შექმნის ისტორიას ხელახლა მივუბრუნდეთ. არაბული ენის ისტორიული ლექსიკონი მკვლევართათვის რევოლუციას მოახდენს ენისა და ისტორიის შესწავლის საქმეში, აღმოაჩენს დამარხულ განძს იმ მნიშვნელობებისა, რომლებიც წინათ არ იყო ხელმისაწვდომი.

არაბული ენის ისტორიული ლექსიკონი არ იქნება მხოლოდ არაბული ენის დივანი, რომელიც თავის თავში მოიცავს ენის სიტყვა-ფორმებს, მის სტრუქტურასა და მნიშვნელობებს, რასაც გამოიყენებს, ან რაც მოკვდა ან გაქვავდა, რა ცვლილებებსაც განიცდიდა დროდარდრო, სხვადასხვა რეგიონში, არამედ ეს იქნება მუსლიმთა და არაბთა ისტორიის, მისი დიდი მოვლენების, დაპყრობების, ომების, გადასახლებებისა და კატასტროფების, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური სისტემების, მატერიალური და სულიერი ასპექტების, მათი ფიქრებისა და შეგრძნებების, მათი ცოდნის, მეცნიერებისა და გამოცდილების, მათი სხვა ერებთან ურთიერთობის ამსახველი დივანი”.

ისმაილ მუჰჰარის მონოგრაფიაში — “არაბული ენა და ისტორიული ლექსიკონის საჭიროება” — ვკითხულობთ: “თუ ჩვენ გვინდა, მივუბრუნდეთ სიტყვათა გამოყენების ისტორიას, რომელთა მნიშვნელობებიც იცვლებოდნენ (ან პარალელურად არსებობდნენ) ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ

ლექსიკონებით, რადგანაც ესენი გადატანით მნიშვნელობებს განეკუთვნებიან, ან სამეცნიერო გამოყენება აქვთ, ხოლო ამის მსგავსს ვერაფერს ვპოულობთ ენის ლექსიკონებში, რადგანაც, ლექსიკონები შემოსაზღვრულია სიტყვათა ძირითადი მნიშვნელობებით, ხოლო ენა მრავალფეროვანია იმ გადატანითი, ან კიდევ სამეცნიერო, ფილოსოფიური, და სხვა მნიშვნელობებით, რომლებიც ახლავს ამა თუ იმ სიტყვას.

ისტორიული ლექსიკონი უნდა მოიცავდეს ყველა სიტყვას, რომელიც გვხვდება თანამედროვე და სამწერლობო ენებში, მათი არსებობის სხვადასხვა ფორმასა და სხვადასხვა დონეზე. აქ საუბარია ენის სალიტერატურო (ძუსჰა), სამეცნიერო (ილმია), უცხო ენის (აჯნაბია), საერთო (მუშთარაქა), ტექნიკურ (თაქნია), დიალექტის (ამია), მშობლიურ (ლაჰჯი) და ჯგუფური ენების დონეებზე”.

მუხზარი შენიშნავდა: “ლექსიკონისათვის, იმისთვის, რომ ახლოს იყოს იმასთან, რასაც გულისხმობს თავის თავში ისტორიული ლექსიკონი, სასურველია ისეთ სიტყვებს მოიცავდეს ცოცხალი მეტყველებიდან, რომლებიც გამოიყენება წერილობით ტექსტებში, ან რაიმე ფორმით უკავშირდება სალიტერატურო ძირს. რადგანაც ენობრივი ერთეულები (არც აწმყოში და არც წარსულში), როგორც წესი, ცნებებით “ქეშმარიტი” ან “მცდარი” კი არ იზომება, არამედ ენაში მისი ფუნქციის და სხვადასხვა ადგილას მისი ჰარმონიული გამოყენების ვადით”.

არაბული ენის სამეცნიერო აკადემიების გაერთიანების შეკრებაზე წარმოდგენილი იქნა არაერთი მოხსენება ისტორიული ლექსიკონის შექმნის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. განხილული იქნა იმ ისტორიული ლექსიკონების მეთოდოლოგია, რომელიც უკვე მომზადებული იყო სხვა ენებისათვის, ასევე განიხილეს არაბული “დიდი ლექსიკონისა” და ფიშერის “სალიტერატურო ენის ლექსიკონის” მეთოდოლოგიები. წარმოდგენილი იქნა მოსაზრებები არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის ახალ გეგმა-პროექტთან დაკავშირებით. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ან მიმართულება, რომელთა დამუშავებაზეც მუშაობენ ისტორიული ლექსიკონის შექმნისათვის საჭირო საქმიანობათა განმახორციელებელი სპეციალური კომიტეტები:

I. ჩაწერისა და დამოწმების კომიტეტი — იგი ახდენს იმ განმარტებათა, კატალოგთა და ჩანაწერთა შეგროვებასა და ჩაწერას, რომლებიც შეირჩა სხვადასხვა ეპოქიდან.

II. აღწერისა და რედაქტირების (დესკრიფციის) კომიტეტი — იგი ახდენს ლექსიკონის ერთეულთა აღწერას, შემოწმებას, კლასიფიცირებას, სტრუქტურებად დალაგებას, ასევე სიტყვის ფუძესა და მის მნიშვნელობებში მომხდარ ცვლილებათა, გადატანით მნიშვნელობათა და განმარტებათა აღნუსხვას.

III. წარმოდგენისა და პუბლიკაციის კომიტეტი — იგი მოამზადებს ლექსიკონის პუბლიკაციის საბოლოო ელექტრონულ ვერსიას და გამოაქვეყნებს მას.

იმისთვის, რომ შეფასდეს და დაფიქსირდეს არაბული ენის ლექსემათა სტრუქტურისა და მათი მნიშვნელობების ცვლილებები ენის უძველესი პერიოდიდან დღემდე, რაც წარმოადგენს ისტორიული ლექსიკონის მთავარ მიზანს,

აუცილებელია, ენის არსებობის პერიოდი დაიყოს რამდენიმე ეტაპად. ამ გზით მოხდება სიტყვის ფუძისა და მისი მნიშვნელობის ამა თუ იმ პერიოდში ჩაწერა და შემდეგ მათი შედარება, რათა დადგინდეს ცვლილება, რომელიც მასში განხორციელდა (ალ-მაზჰარი).

პერიოდიზაციის საკითხი უშუალოდ უკავშირდება **არაბული ენის დასაბამის დათარიღების** პრობლემას. ალი ალ-კასიმი (ზოგი სხვა მეცნიერი) თვლიდა, რომ არაბული სალიტერატურო ენის დასაბამად შეიძლება მივიჩნიოთ ქრისტეშობით მე-5 საუკუნე, მაგრამ თუ მივუბრუნდებით ფულის ერთეულებს, რომლებზეც არაბული წარწერები შეუსრულებიათ არაბებს, ისინი ახალი წელთაღრიცხვით მე-2 საუკუნეს განეკუთვნებიან. თუ ამითაც არ დაკმაყოფილებით და მივუბრუნდებით საფაურ, ლიზიანურ და სამუდურ წარწერებს, რომლებიც ეკუთვნით ჩრდილოეთის არაბებს, ასევე, უნდა მივუბრუნდეთ სამხრეთარაბულ ტექსტებს. ასეთ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება მივუბრუნდეთ, აგრეთვე, სემიტურ ენებს, როგორც ეს გვაქვს “დიდ ლექსიკონში”, სადაც ყოველ ძირთან მიმართებით მინიშნებულია, გვაქვს ეს ძირი ყველა სემიტურ ენაში, თუ მხოლოდ რომელიმე მათგანში. ამიტომაც ენის პერიოდიზაციის პირველ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ სემიტური პერიოდი.

ისინი, ვინც ემხრობოდნენ ალი ალ-კასიმს, ენის ისტორიაში ხუთ პერიოდს გამოყოფდნენ: **1) სემიტური პერიოდი** — ეს არის პერიოდი, რომელშიც არაბული ენა იწყებს გამოყოფას სემიტური ენებისაგან და საკუთარი თავისებურებების ფორმირებას; **2) კლასიკური არაბული** — ეს არის ეტაპი არაბული ენის გამოყენებისა, რომელიც მოიცავს ჯაჰილიის ეპოქას, ვიდრე შიჯრით მეორე საუკუნის შუა ხანებამდე; **3) ნეოკლასიკური, ან ახალი კლასიკური არაბული** — ეს არის არაბული ენის ისლამის გავრცელების შედეგად ნახევარკუნძულის გარეთ გამოყენების პერიოდი, როცა აყვავდა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება და ცივილიზაცია. იგი გაგრძელდა შიჯრით მეხუთე საუკუნის ბოლომდე; **4) საშუალო არაბული** — ის მოიცავს ცივილიზაციის დაცემის შემდგომ პერიოდს, რომელშიც თურქები, ირანელები და მონღოლები განაგებენ არაბულ სამყაროს. ეს პერიოდი გაგრძელდა თანამედროვე არაბულის ეპოქამდე **5) თანამედროვე არაბული** — ეს პერიოდი ემთხვევა არაბული აღორძინების პერიოდს. იგი დაიწყო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან და დღემდე გრძელდება.

ასეთი კლასიფიკაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ორი საკითხი: 1) სემიტური პერიოდისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ნაკლებად გასაგებია ჩვენთვის, რადგანაც მისი ფუძეებისა და მნიშვნელობების განსაზღვრისათვის საკმარისი ტექსტები არ გვაქვს. 2) ჯაჰილიისა და ისლამის პირველი საუკუნენახევრის ისტორიის ერთ პერიოდად გაერთიანება მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, რადგან ყურანის შექმნამ და ისლამის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია არაბულ ენასა და არაბთა ცხოვრებაში.

მეცნიერთა მეორე ნაწილი ემხრობა შემდეგ პერიოდებად დაყოფას: 1) **ჯაჰილიის ეპოქა**, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ისლამამდელი პერიოდის პოეტთა შემოქმედებიდან და ეს არის საერთო საურთიერთო ენა არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები არაბული ტომებისათვის. ამ პერიოდის ყველაზე ძველი პოეტური ნაწარმოები კი ისლამამდე ორი საუკუნით ადრეა შექმნილი;

2) **ისლამური ეპოქა** — ისლამის გამოჩენიდან ომაელთა დინასტიის დამხობამდე ქრ-ით 750 წელს; 3) **აბასელთა ეპოქა** — აბასელთა სახელმწიფოს შექმნიდან მის დაშლამდე და ბაღდადის დაცემამდე 1258 წელს ქრ-ით და 656 წელს ჰიჯრით; 4) **საემიროების პერიოდი** — აბასელთა პერიოდის ბოლოდან ოსმალური სახელმწიფოს ბოლომდე, ვიდრე არაბული სამყაროს კოლონიალიზაციამდე ევროპელების მიერ მეცხრამეტე საუკუნეში; 5) **თანამედროვე აღორძინების ეპოქა** - მუჰამად ალის მმართველობიდან (1220 ჰ.) დღემდე.

ისინი ვინც თვლიდნენ, რომ ეს დაყოფა უფრო შეეფერება არაბულ სამყაროს, იქვე შენიშნავდნენ ორი მომენტის შესახებ: 1) უმნიშვნელოვანესია ის დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, რომლებიც იწყებს და ამთავრებს ამა თუ იმ ეპოქას და გავლენას ახდენს ენის ცხოვრებაზე და არა კონკრეტული თარიღი, რომელიც იწყებს ან ამთავრებს ამა თუ იმ ეპოქას. 2) რაც შეეხება სხვა პერიოდიზაციებს, როგორცაა, მაგალითად, ბროკელმანის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაცია, რომელიც ცხრა პერიოდს მოიცავს, აძნელებს შედარების პროცესს და მხოლოდ ართულებს ლექსიკოლოგთა ამოცანებს (ბროკელმანის - არაბული ლიტერატურის ისტორია).

ერთი მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, მუშაობის პროცესი თანამედროვე არაბული ენის ჩაწერით დაწყებულიყო, რათა შეედარებინათ იგი სხვა პერიოდების წერილობით მასალასთან და ასე მისულიყვნენ ჯაჰილიის ეპოქამდე, როგორც ეს გაკეთდა ოქსფორდის ისტორიული ლექსიკონის შექმნისას, რომელიც არის მსოფლიოს ენებიდან ისტორიული ლექსიკონის შექმნის პირველი და ვრანდიოზული ნიმუში. სხვა მეცნიერთა მოსაზრებით კი, პროცესი უნდა დაწყებულიყო პირიქით: უნდა შეესწავლათ ყველა ის მასალა, რომელიც ჩაწერილია და რომელთა შექმნის პერიოდი განეკუთვნება ჯაჰილიის ეპოქას, შემდეგ უნდა შეედარებინათ იგი მომდევნო ეპოქის მასალებისათვის და ასე მოსულიყვნენ თანამედროვე ეპოქამდე. ორივე შემთხვევაში მოხდება სიტყვის გაჩენის, მისი გაქრობის, ან მისი ახალი მნიშვნელობის განვითარების ისტორიაზე დაკვირვება.

ენის ეტაპებად დაყოფის რომელი გზისთვისაც არ უნდა მიენიჭებინათ უპირატესობა, პროცესი, ყველა შემთხვევაში, თითოეული ეპოქისათვის მასში შერჩეული ტექსტების სახელმძღვანელო კატალოგების მომზადებით უნდა დაწყებულიყო.

ლექსიკონისათვის სიტყვა-სტატიების შეკრება ხდება სალიტერატურო ტექსტებიდან (იქნება ეს ხელნაწერი თუ ბეჭდური ტექსტი) არაბული ენის ყოველი ეპოქიდან. სიტყვები იკრიბება, როგორც **ძირითადი**, ანუ პირველადი (საიდანაც ვადგენთ სიტყვა-სტატიებს უშუალოდ), ისე **მეორეული** (რომლითაც ვსარგებლობთ აღწერისას, ან სალექსიკონო სივრცის გარეთ) წყაროებიდან. მათ განსაზღვრავს ისტორიული ლექსიკონის შექმნის სპეციალური ორგანიზაცია და რომელთაც, საჭიროების შემთხვევაში, დაემატება ახალი წყაროები.

ცალკე უნდა აღინიშნოს **ზეპირი წყაროების პრობლემის** შესახებ. ტელე და რადიო გადაცემების ენა სხვაობს ქვეყნიდან ქვეყანაში. ის პროგრამები, რომლებიც ისმის სალიტერატურო ენაზე, ნათელი და გასაგებია ნებისმიერ არაბულ ქვეყანაში, მაგრამ არის გადაცემები, რომლებიც, შინაარსიდან გამომდინარე, თავისუფალ ზეპირ სამეტყველო ენაზე მზადდება და მისი ენა სხვაობს ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ალი აღ-კასიმის მიერ წარმოდგენილ არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნის გეგმა-პროექტში საუბარია არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის საფუძვლად შერჩეული ტექსტების თემატურ განაწილებაზე: “გთავაზობთ, რომ ლექსიკონი შედგებოდეს 10 000 000 ერთეულისაგან. ტექსტები უნდა მოიცავდეს 20 თემატურ სფეროს. თითოეულ ამ სფეროს პირობითად ვუწოდოთ სუბკორპუსი (კერძო კორპუსი). თითოეული მათგანი უნდა დავეყოთ ქვეკორპუსებად. მაგალითისთვის თუ ავიღებთ სპორტის სფეროს, როგორც ერთ-ერთ სუბკორპუსს, მასში შეიძლება იქნას წარმოდგენილი: ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის და ასე შემდეგ ქვეკორპუსები.

შემოთავაზებული იყო ასევე ტექსტების განაწილება გეოგრაფიული პრინციპით, შემდეგი სქემით: დაყოფა უნდა მომხდარიყო 4 რეგიონად 1) არაბეთის ნახევარკუნძული (მასში იგულისხმება იემენიც); 2) ერაყი და შამის ქვეყნები; 3) ეგვიპტე (აქვე სუდანს და ლიბიას); 4) არაბული დასავლეთი და ანდალუსია. რაც შეეხება ისეთ არაბულ წყაროებს, რომელთა შემდგენელებიც არიან აფრიკელი, აზიელი, ან ევროპელი არაარაბი ავტორები, ისინი უნდა მივაკუთვნოთ იმ ჯგუფს, რომელთანაც უფრო ახლოა გეოგრაფიული თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსიკოლოგისათვის არაბული ენის თანამედროვე ეპოქა არ მთავრდება 2000 ან 2010 წლით, რადგანაც ლექსიკონის შექმნის პროცესი ათობით წელი გასტანს და ამიტომაც საჭიროა, რომ არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნის ორგანიზაციაში შეიქმნას სპეციალური მიმართულება, რომელიც პარალელურად ჩაიწერს თანამედროვე სამეცნიერო და სხვა სფეროს სიახლეებს, ვიდრე ლექსიკონის საბოლოო მომზადებამდე. ეს ტექსტებიც და მისი კონტექსტები უნდა დამუშავდეს იმავე პრინციპით, როგორც ყველა დანარჩენი ტექსტი.

სალექსიკონო ერთეულთა (სიტყვა-სტატიათა) შედგენა-მომზადება ხორციელდება შემდეგი გზით: თითოეული სიტყვისა და ფრაზისათვის მზადდება ბარათი, რომელშიც კონკრეტული სიტყვის გვერდით, მარჯვნივ, მითითებულია სიტყვა იმ ფორმით, რომლითაც არის მოყვანილი წყაროში, საიდანაც არის აღებული. ზმნასთან მარცხნივ მითითებულია უსრული ასპექტის ფორმა, ხოლო სახელთან სახელობითი ბრუნვის ფორმა, მის ზემოთ კი ფუძე. ამასთანავე, მოკრეშულია წინადადება ან ბეითის ნაწყვეტი, ან, თუ ამას მოითხოვს საჭიროება, მთლიანად ბეითი, რომლისგანაც არის ამოღებული ეს სიტყვა. შემდეგ მოდის სიტყვის კომენტარი, შემდეგ მოხსენიებულია მთქმელი ან წყარო, გვერდისა და სტროფის ნომერი კონკრეტული წიგნიდან, შემდეგ ლექსში კასიდისის, ნაწყვეტის, ან ბეითის ნომერი.

ამის შემდეგ, ხდება აღწერილ სალექსიკონო ერთეულთა პრინციპული დათვლა და აღწერა. დაითვლება ყველა სიტყვა, რომელიც გამოიყენებოდა ჯაჰილის ეპოქაში. შემდეგ იმავეს აკეთებენ მომდევნო ეპოქასთან დაკავშირებით და შევადარებთ მიღებულ სურათს. ასე გრძელდება თანამედროვე ეპოქამდე. ეს საჭიროა, ერთი მხრივ, ლექსიკონის მეცნიერთა შორის საქმის განაწილებისა და, მეორე მხრივ ლექსიკონის მოცულობის დადგენისათვის.

აღწერა კი გულისხმობს სიტყვათა დაჯგუფებას: 1) მნიშვნელობის მატარებელ მარტივ სიტყვებად; 2) შედგენილ და ნაწარმოებ სიტყვებად; 3)

ფრაზეოლოგიზმებად და კონტექსტუალურ ფრაზებად; 4) ფუნქციონალურ სიტყვებად;

სალექსიკონო ერთეულთა აღწერისას სიტყვა განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით:

1. გამოყენების დონეები, კერძოდ:

- რომელი და რამდენი სიტყვა გადიოდა ხმარებიდან და ხდებოდა არქაული და პირიქით, როდის და როგორ წარმოიშვა ახალი სიტყვები ამა თუ იმ ეპოქაში.

- როგორია თითოეული სიტყვის გამოყენების სიხშირისა და გავრცელების ხარისხი.

შესაბამისად გვაქვს შემდეგი კრიტერიუმები:

ცოცხალი — საერთო — ხშირი — მრავალი — იშვიათი — მცირე — გამონაკლისი — უცხო.

2. მომხმარებელთა შეფასება; რამდენად დაშვებულია ან აკრძალული მისი გამოყენება.

აკრძალული — ვულგარული — პლებეური — სახალხო — სოფლის — “შავი”.

3. საზოგადოების ჯგუფის ან საზოგადოებრივი დიალექტების კუთვნილების მიწინააღმდეგ:

კულტურული ფენის — დიალექტის — გაუნათლებელი ფენის — ხელოსანთა და სხვა პროფესიული.

4. მნიშვნელოვანია ძველი არაბების შეფასებაც სიტყვების შესწავლისას. სალიტერატურო ენა — სწორი მეტყველება — ძველი ენა — ახალი ენა — დიალექტი.

მითითებული უნდა იქნას, თუ კონკრეტული სიტყვა სალიტერატურო ენიდან რომელ რეგიონში გამოიყენება. უნდა გაეთვალისწინებინათ: მარკოვილი, ეგვიპტური და ასე შემდეგ. შესაძლოა, სიტყვა დამკვიდრებული იყოს მთელს არაბულ რეგიონში, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ რეგიონში ჰქონდეს განსხვავებული მნიშვნელობა; ასეთ შემთხვევაში, უნდა იქნეს შენიშნული ამის შესახებ.

თითოეული ტერმინი შესწავლილი უნდა იქნას განსაზღვრული მნიშვნელობებით, რომელიც გამოიყენება ყველა დონეზე, ასევე ის, თუ რა გამოიყენება და რა არა.

მაკრო სტრუქტურების აგებასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რადგანაც სემიოტური ენები მთლიანად და განსაკუთრებით არაბული აბსოლუტურად განსხვავებულია ევროპული ენებისაგან სიტყვათწარმოების თვალსაზრისით, სადაც მაკროსტრუქტურის (თითოეული ბუდის) შესავალში მოცემულია სიტყვა (მასდარი ან ინფინიტივი), არაბულში უნდა იდგეს ძირი, რომელიც შემდეგ გაიშლება მისგან ნაწარმოებ ქვესტრუქტურებად (ქვებუდეებად), როგორც ეს გვაქვს დიდ ლექსიკონში.

- ლექსიკონში ბუდეები დალაგებული იქნება ძირეული ბგერების ჯერ პირველი, შემდეგ მეორე და მესამე ძირეულის მიხედვით, როგორც ეს გვაქვს ზამახშარისთან წიგნში “ასას ალ-ბალადათი” და სხვა ლექსიკონებში. განსაკუთრებით, “დიდ ლექსიკონში”.

• ბუღის თავშივე უნდა იქნას მითითებული სემიტური ენებიდან მაგალითები, თუკი ასეთი მოიპოვება.

• არაბიზებული სიტყვები უნდა განვაკუთვროთ მათ საფუძველს (ძირის თავისებურებების აღნიშვნისას, თუ იგი არაბულია, შეიძლება, დავეყრდნოთ აჰმად აბი ფარისის “შაკაის ალ-ლუღას” და, ასევე, დავიდ კოენის ნაშრომს “სემიტური ძირების ლექსიკონი”. ხოლო თუ არაარაბული ძირი გვაქვს, ვეყრდნობით სავარაუდო ლექსიკონებს სპეციალურად არაბული ენისათვის და ასეთი ძალიან ცოტაა.

• ძირეული დაიწერება ფურცლის შუაგულში და წარმოადგენს მაკროსტრუქტურას.

• იმავე ძირიდან მომდინარე სხვა სიტყვები განლაგებულია მომდევნო ხაზის დასაწყისში ვერტიკალურად. ყოველი ასეთი სიტყვა განსხვავდება იმით, რომ გვხვდება ფრჩხილებში ან განსხვავებული ფერის შრიფტით, ან ვარსკვლავებით, რითაც მინიშნებულია, რომ ეს არის ამავე ძირისგან მომდინარე სიტყვების მიკროსტრუქტურა.

ძირიდან მომდინარე ან ნაწარმოები სიტყვების განლაგება ხდება შემდეგი პრინციპით:

ზმნები: ზმნები წინ უსწრებენ სახელებს, სამთანხმოვნია — ოთხთანხმოვნია, პირველადი — ნაწარმოებს, გარდაუვალი — გარდამავალს. მათი მიმდევრობა მიჰყვება იმ წყობას, რომელიც გვაქვს “დიდ ლექსიკონში”.

ზმნისგან ნაწარმოები სახელები: ზმნის შემდეგ მოყვანილია მხოლოდ ის წესისამებრ ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ინარჩუნებენ ზმნის მნიშვნელობას, როგორცაა მაგალითად: “მუსაჯილ”, როგორც მოწყობილობა, რომელიც ხმას ჩაიწერს.

სახელები: ნაწარმოები სახელები წარმოდგენილია ზმნების შემდეგ და ანბანური პრინციპითაა დალაგებული. რაც შეეხებათ ოთხთანხმოვნია და სიტყვებს, რომლებშიც მომხდარია ცვლილება, ან ბგერათა გადანაცვლება, მიჰყვებიან იმავე მეთოდს, რომლითაც ისინი განლაგებულია დიდ ლექსიკონში.

არაბიზებული ფორმები: ისინი, რომელთაც არაბები წარმოებისას მთლიანად უქვემდებარებენ ფლექსიას, ჩვეულებრივ მითითებულია სამთანხმოვნია ძირით. მაგ.: “ლიჯამ” (ლ-ჯ-მ); ხოლო ისინი, რომლებიც არ ექვემდებარებიან ფლექსიას, მაგ.: “ისთაბაკა”, მოყვანილია მასში ბგერათა თანმიმდევრობის მიხედვით და მინიშნებულია მათი ძირის არაარაბულ წარმომავლობაზე.

სპეციალური წესების მიხედვით ხდება: 1) მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა განლაგება; 2) იმ სიტყვის ადგილის განსაზღვრა ერთ ან რამდენიმე სტრუქტურაში, რომელიც სინტაქსური სტრუქტურის (შესიტყვების) წევრია 3) ფუნქციონალური და გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვების განთავსება; (ისმაილ მუჰზარის რეკომენდაციით, ისინი შეიძლება განთავსდნენ ანბანური პრინციპით, როგორც კერძო მაკროსისტემები). ესენია: ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, კავშირები, ზმნები და ნიშნები, რომლებიც ასრულებენ სინტაქსურ ფუნქციებს, ასევე ქაანა და მისი დები, ინნა და მისი დები, ქაადა და მისი დები. აგრეთვე: ნაწილაკები, წინდებულები, კითხვითი, უარყოფითი და პირობითი ნაწილაკები; 4) რთული და ნაწარმოები, ან რამდენიმე ფუძისაგან შემდგარი ერთეულების განთავსებასთან დაკავშირებით.

ისტორიული ლექსიკონის შექმნის მეთოდოლოგიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მნიშვნელობათა დალაგების საკითხი. მეცნიერთა მიერ ყველაზე მეტად გაზიარებული გზაა:

- სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა წინ უსწრებს მის გადატანით მნიშვნელობას, როგორც გვაქვს ეს ზამახშარისთან “ასას ალ-ბალაღამი” და ბევრ სხვა ლექსიკონში.

- ცენტრალური (ძირეული) მნიშვნელობა წინ უსწრებს მისგან ნაწარმოებ მეორეულ მნიშვნელობას, როგორც ამას აკეთებდა იბნ ფარისი “შაკაიის ულ-ლულაში” და როგორც არის მოცემული “დიდ ლექსიკონში”.

- უფრო მეტად გავრცელებული მნიშვნელობები წინ უნდა უსწრებდეს ნაკლებად გავრცელებულ მნიშვნელობებს, როგორც ეს გვაქვს ზოგიერთ თანამედროვე ლექსიკონში, როგორცაა: “ლექსიკონ სტანდარტი” და კობალდის ლექსიკონი (მნიშვნელობების გავრცელების სიხშირის მიხედვით დალაგების შემოთავაზება ალ-ხატიბის ეკუთვნის, თუმცა ეს საჭიროებს დამატებითი აღწერილობითი სამუშაოს ჩატარებას, რაც არაბულ ენასთან მიმართებით აქამდე არ გაკეთებულა).

- კონკრეტული მნიშვნელობები წინ უსწრებს ზოგად მნიშვნელობებს. ასეთივე სურათი გვაქვს სამ დიდ ლექსიკონში.

- ჯერ დავასახელებთ სიტყვის უძველეს მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ სხვა უფრო ახალ მნიშვნელობას, ვიდრე არ მოვალთ თანამედროვე ეპოქამდე. ნაწილობრივ ეს წესი გასდევს “დიდი ლექსიკონისას”, რომლის შედგენის მეთოდოლოგიაში ნათქვამია: მნიშვნელობა დამოწმებული უნდა იყოს ძველი პოეზიით, თუკი იქ დასტურდება ეს სიტყვა, ასევე, თანამედროვე პოეზიის მეშვეობით ვეცნობით სიტყვის სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამგვარად ხდება ენის ერთეულის დადგენა, გამთლიანება ისტორიული ლექსიკონის მეთოდით” (იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენ, შესაძლოა, გვქონდეს ორი მიმართულება ჯაჰილის პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე და პირიქით).

უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი ციტირების შესახებ:

- ციტატების მეშვეობით ხდება ნათელი სიტყვის მნიშვნელობა და ის, თუ როგორ გამოიყენება და რა ცვლილებები განიცადა;

- თუკი სიტყვა მკვდარია ან არქაული, ლექსიკონში მივუთითებთ მისი ბოლო გამოყენების შემთხვევას. ციტატებით განმარტებულია ყველა ის მნიშვნელობა, რომლითაც გამოიყენებოდა სიტყვა თავისი არსებობის მანძილზე;

- იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვის არსებობის პერიოდი, ჯაჰილის პერიოდიდან დაწყებული თანამედროვე ეპოქამდე, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი იყოს, თითოეულ მნიშვნელობასთან მინიშნებულია მხოლოდ ერთი ციტატა, თითოეული ფუძის ან მნიშვნელობის ცვლილების ასახვისთვის, რადგან სხვაგვარად მოსალოდნელია, რომ სიტყვა-სტატია მიიღოს უზარმაზარი მასშტაბი;

- ციტატების შერჩევა ხდება ყველა ეპოქის ტექსტიდან და წყაროდან;

- თუ ეს შესაძლებელია, ხდება ციტატების წარმომავლობაზე მითითება: კონკრეტულად, აქ იგულისხმება საჭირო ბიბლიოგრაფიული ცნობები: წყაროს სათაური, ავტორი ან შემდგენელი, გამოცემა და ასე შემდეგ;

- პოეტური ნაწარმოებიდან აღებული ყველა ციტატა უნდა გაფორმდეს ვარსკვლავებით, რათა გარჩეული იქნას ერთმანეთისაგან პოეტური და პროზაული ფორმები;

- ყოველი მცენარისა და ცხოველის სახელი, შეძლებისდაგვარად, წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებებით, რაც გამოარჩევს მას თავისი სქესის (ან კლასის) წარმომადგენლებისაგან. ზოგჯერ წარმოდგენილია მათი მსოფლიო ხალხებს შორის გავრცელებული სამეცნიერო სახელწოდებებიც;

- განმარტებულია ყველა თანამედროვე ტერმინი და მათი სამეცნიერო სახელწოდება;

- ციტატების განლაგება ხდება ისტორიული პრინციპით თითოეული ეპოქისათვის: აღწერის დასაწყისიდან ბოლო ეპოქამდე. თუ დავიწყებთ ჯაჭილის ეპოქით, ციტირება მოხდება უძველესი ციტატიდან მოყოლებული;

- ციტატისათვის აუცილებელია ახლდეს: სიზუსტე, სინათლე, ასევე, სწორად შერჩევა, რაც გულისხმობს, ციტატაში გადმოცემული აზრის განმარტებასა და კომენტარებასაც, თუ ამის საჭიროება არსებობს.

ლექსიკონის შედგენილობა შემდგენიანი იქნება: შესავალი: არაბული ენის ისტორია, სხვა ენებთან ურთიერთობა, გამოყენების წესები, დანომვრისა და ნიშანთა ჩამონათვალი, სიმბოლოთა და შემოკლებათა ჩამონათვალი, ლექსიკონის წყაროები. შესავალს მოჰყვება ლექსიკონის ძირითადი ნაწილი.

არაბული ენისათვის ისტორიული ლექსიკონის შექმნის გრანდიოზულ სამუშაოს ბევრი სირთულე ახლავს. საკმარისი იქნებოდა მიგვეთითებინა თუნდაც იმაზე, რომ ძალიან გრძელია დროის მონაკვეთი, რომელშიც ცოცხლობს არაბული ენა თავისი დასაბამიდან დღემდე; უზარმაზარია ტერიტორია, რომელზეც ცხოვრობენ ის მრავალრიცხოვანი ერები, რომლებიც ამ ენას იყენებენ და, შესაბამისად, ის მასალა, რომლის დამუშავებაც უხდებათ არაბ ლექსიკოლოგებს. ამიტომაც მოხდა ისე, რომ ლექსიკონზე მუშაობის ისტორიაში რამდენიმეჯერ განისაზღვრა ლექსიკონის შექმნის ბოლო თარიღი, მაგრამ დადგენილ ვადებში ვერ დასრულდა სამუშაო.

2004 წლის აპრილში კაიროს სამეცნიერო ორგანიზაციამ (არაბული ენის სამეცნიერო აკადემიების გაერთიანება) მიიღო გადაწყვეტილება, შექმნილიყო ამ ორგანიზაციაზევე დაქვემდებარებული არაბული ენის ისტორიული ლექსიკონის შემქმნელი სპეციალური ორგანიზაცია. შეიქმნა თემის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა ამავე ორგანიზაციის წევრებისაგან და ასევე რამდენიმე პირისაგან ორგანიზაციის გარედან. კომიტეტის წევრი ლექსიკოლოგები ლექსიკონის შექმნის პროცესს რეგულარულად აკონტროლებენ და ეს გრანდიოზული შრომა თავის ფინალს უახლოვდება.

დამოწმებული ლიტერატურა

- ملاحظات على مشروع الخطة العلمية للمعجم (2008) - إبراهيم بن مراد.
الكتب و الوثائق القومية للنشر القاهرة. دار التاريخي
- المقدمة (عرض وتعليق على بعض البحوث (2008) - احمد بن محمد الضبيب
من اعضاء لجنة المعجم التاريخي.(دار الكتب و الوثائق القومية
القاهرة. دار الكتب الإلكتروني للنصوص العربية - احمد بن محمد الضبيب
و الوثائق القومية
- منهج معجم أكسفورد في معجم اللغة الإنجليزية (2008) - داود حلمي السيد
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية. على أسس تاريخي
- تطور الألفاظ الدنية بين الشعر الجاهلي و (2008) - صباح عمر حلبي
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية القرآن الكريم
مشروع الخطة العلمية للمعجم التاريخي للغة (2008) - علي القاسمي
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية العربية
- مذكرات عن منهج المعجم التاريخي للغة (2008) - محمد حسن عبد العزيز
من أعمال لجنة المعجم التاريخي (القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية) العربية
القاهرة. دار المعجم التاريخي للغة العربية (2008) - محمد حسن عبد العزيز
الكتب و الوثائق القومية
- القاهرة. دار الكتب و الوثائق معجم فيشر (2008) - محمد حسن عبد العزيز
القومية
- القاهرة. بحوث معجمية عن المعجم التاريخي (2008) - محمد حسن عبد العزيز
دار الكتب و الوثائق القومية
- عرض وتعليق على بعض البحوث (2008) - محمد حسن عبد العزيز
القاهرة. دار الكتب و الوثائق المعجمية. المعجم التاريخي بين الأمل و العمل
القومية
- معجم أكسفورد التاريخي. بحوث و نماذج (2008) - محمد حسن عبد العزيز
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية
- نماذج مختار لمواد من المعجم التاريخي للغة (2008) - محمد حسن عبد العزيز
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية العربية و مصادرها
- المعجم الكبير يغني عن المعجم (2008) - ناصر الدين الأسد
القاهرة. دار الكتب و الوثائق القومية التاريخي
- جامعة عين العربية. دراسات في اللغة و اللهجات (1980) - يوهان فك=
شمس

DIANA MOSESHVILI

PRINCIPLE OF COMPILING ARABIC LANGUAGE
HISTORICAL DICTIONARY

Arabic Language Historical Dictionary is a linguistic-scholarly project carried out by a Cairo private scientific agency (amalgamation of the Arabic language scientific academies) established in 1971.

Arabic as one of the widely spread language of longstanding history and rich heritage on which quite a number of peoples have created their culture and identity and referred to as the means of self-expression is in the need of Historical Dictionary.

The present paper discusses in details the recommendations related to principles and methods of creating historical dictionary worked out by the members of the organization having in mind the experiences of producing historical dictionaries of other (European) languages.

Arabic Language Historical Dictionary should comprise all the words occurring in the modern literary languages with their various forms and levels, like fiction (*fusha*), scientific (*ilmia*), foreign words (*ajnabia*), common (*mushtaraka*), technical (*taknia*), dialect (*amia*), native language (*lahjii*) and group languages' levels.

Arabic Language Historical Dictionary will not serve only as Divan of the Arabic language with word forms, their structures and meanings, which are presently in use or the ones that have turned obsolete, or have been modified from time to time in different regions, but also it will be a Divan reflecting great events of the Moslem and Arab histories, of their social life, political systems, material and spiritual aspects, of their thoughts and feelings, knowledge and wisdom, science and experience, and of their relationships with other peoples and ethnoses.

The recommendations proposed by the scientific organization are related to: the issue of division the language history into periods (aimed at evaluating and identifying changing the structures and meaning of lexemes of the Arabic language from the ancient period to the present); **the problem of dating the origination the Arabic language** (a few alternative systems have been proposed); the issue of **selecting dictionary resources** and distinguishing between the basic, secondary and oral sources; **rules of preparing entries**; principle of **constructing macro-structures** in the dictionary, and **rules of providing quotations** and more. **In April, 2004, in the Cairo Scientific organization** (amalgamation of the Arabic language scientific academies) a special committee of studying historical dictionary of the Arabic language was organized under the guidance of the aforementioned scientific organization whose members, lexicologists, come together regularly to supervise and monitor the process of the production of the dictionary. This grandiose project is nearing its final stage.

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე

ებრაული საკითხი ქართულ საისტორიო და
სასულიერო მწერლობაში

(ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნის – "ებრაული თემა
ქართულ მწერლობაში" მიხედვით)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართველთა და ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი, კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების შესწავლას. მან მრავალი საინტერესო წერილი და გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს. მწერალმა სპეციალური ჟურნალიც კი დააარსა, "ნოსტალგიის" სახელწოდებით, რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონ არის. ამავე დროს, ბატონი ავთანდილი გახლავთ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის პრეზიდენტი.

აღსანიშნავია, რომ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი "ებრაული თემა ქართულ მწერლობაში" პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით. წიგნი ძალზე საინტერესო და მეტად აქტუალურია, რომელშიაც წარმოჩენილია ქართველ მწერალთა თვალთახედვით აღქმული და წარმოსახული ებრაული სინამდვილე.

წიგნში გაშუქებულია ებრაული თემა, როგორც ძველ, ისე XIX და XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. ამჟამად ამ საკითხს ჩვენ ავტორის წიგნის მხოლოდ ერთი ნაწილის მიხედვით განვიხილავთ. ეს არის "ებრაული საკითხი ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში".

წიგნის შესავალ ნაწილში ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში ქართველი ებრაელების შემოსვლა-დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ქართულმა საისტორიო და სასულიერო მწერლობამ არაერთი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა შემოგვინახა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელია ზოგად ასპექტში გაიყაროს ჩვენს ქვეყანაში ამ ერის ხანგრძლივი ისტორიის უმთავრესი მომენტები და იწყებს ქართულ წერილობით წყაროებში არსებული მასალის მიმოხილვით.

უპირველეს ყოვლისა, იგი მიმართავს "მოქცევაჲ ქართლისაჲს" (IX ს.) და ცნობილი ქართველი მემკვიდრის – ლეონტი მროველის ისტორიული ქრონიკის (XI ს.) უმნიშვნელოვანეს ცნობებს, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ბაბილონის მეფის – ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ებრაელები საქართველოში პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ჩამოსახლებულან. თავდაპირველად ისინი მცხეთის მახლობლად დასახლებულან, შემდეგში ამ ადგილს ხერკი დარქმევია, რადგანაც, ლეონტი მროველის ცნობით, ებრაელებისათვის იქ დასახლების უფლება თავიდან ხარკის გადახდის პირობით მიუციათ. ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც. უფრო მეტიც, ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაციით, ეს არ ყოფილა მათი პირველი ჩამოსახლების

ფაქტი. მკვლევარი იმოწმებს ე. მამისთვალის შვილის აზრს, რომ ებრაელები საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიამდე ორი საუკუნით ადრე, VIII საუკუნეში ჩამოსახლებულან. მეორე ეტაპი მათი ჩამოსახლებისა ქართლის მეფე-ადერკის და მისი შვილების – ბარტომისა და ქართამის ზეობის პერიოდში მომხდარა (“ქართლის ცხოვრება”). ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს ვახუშტიც “ქართლის ცხოვრებაში”. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, სადაც მინიშნებულია, რომ იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთაგან ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ და მაგალითად მოჰყავს ვახუშტის ცნობა, რომ, როდესაც საქართველოში ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. აღ. IV ს.) შემოჭრილა, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ტომის ხალხთაგან მას განსაკუთრებული ლობიერება მხოლოდ ქართლოსიანთა და ებრაელთა მიმართ გამოუჩენია. ა. ნიკოლეიშვილის თქმით, ე. მამისთვალის შვილი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ “ებრაელები არ იყვნენ ის ხალხი, რომელთა მიგრაციას ქართლში რაიმე უარყოფითი შედეგი მოჰყვებოდა, რომ ისინი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებს, ადათ-წესებს, ზნეობრივ ნორმებს პატივს სცემდნენ და არ ლახავდნენ, ან კიდევ, აქ ხომ არ უნდა ვეძიოთ ქართველებისა და ებრაელების გენეტიკური ნათესაობის გამოძახილი?” (ე. მამისთვალის შვილი, 1995, გვ. 19). ასე რომ, თავიდანვე დამყარებულია ამ ორ ხალხს შორის მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

ა. ნიკოლეიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართლის ცხოვრების მემატთანის – ლეონტი მროველის მოწვილ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს იმის შესახებ, რომ მემატთანემ ამ მოვლენას ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების შემდგომი განმტკიცების პროცესიც დაუკავშირა; კერძოდ, ის რომ, ქართულმა ენამ სწორედ ებრაელთა ჩამოსახლების პერიოდში მოიპოვა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ერთმანეთთან შემაკავშირებლისა და გამაერთიანებლის ის ფუნქცია, რომელიც მას მანამდე არ ჰქონია. ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იმხანად საქართველოში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ექვსი ენა ყოფილა. ქართული, სომხური, ხაზარული, ასურული, ბერძნული, ებრაული.

საქართველოში დამკვიდრებულ ებრაელებს, ლეონტის გადმოცემით, მიუხედავად ჩვენთან კარგ პირობებში ცხოვრებისა, ერთი წუთითაც არ დავიწყნიათ თავიანთი სამშობლო; იქ ღარჩინილი თანამოსამყების ყოველ გასაქირს საკუთარ ჭირად მიიჩნევდნენ. ისინი ძლიერ დაამწუხრა იერუსალიმიდან მოტანილმა ამბავმა – სპარსელების მიერ ებრაელთა წმინდა ქალაქის დაპყრობის თაობაზე, რის გამოც, საყოველთაო გლოვა გამოაცხადეს – აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი და იქვე ხაზს უსვამს იმასაც, მიუხედავად იმისა, რომ “ქართველებს ქართული საეკლესიო და საგანმანათლებლო კერები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰქონდათ აგებული, იერუსალიმი მათ შორის ყველაზე წმინდა ადგილად მიჩნეულ ქალაქს წარმოადგენდა. ქართველებს ეს ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდ ჰქონდათ დასახული, რის გამოც მის მიმართ მუდამ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი”. ყოველივე ამის დასტურად მათიანებიდან წიგნის ავტორს ნიმუშად მოჰყავს გელათი, რომელიც დავით აღმაშენებელმა “აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად” ააგო; ასევე, შუა საუკუნეებში თვით იერუსალიმში ქართველების მიერ

აგებული ათეულობით ეკლესია-მონასტერი, თამარ მეფის მიერ აგებული ეკლესია-მონასტრები პალესტინაში, იერუსალიმში, შავ მთაზე და სხვაგან და დასძენს, რომ ამავე დროს, ვახუშტის ცნობით, “მეფენი ქართლისანი ყოველთა საქართველოსა შინა” არსებული მათი მამულებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს “ვერცხლად გზავნიდა იერუსალიმს” (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 374).

საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის ქცეული ებრაელთა დამოკიდებულება ქრისტეს ჯვარცმისადმი... მისი თქმით, ქართული წერილობითი წყაროებით, ქრისტეს მოწამებობრივი სიკვდილის თემაზე დაწერილი ქართველ მემკვიდრეთა და ჰაგიოგრაფ მწერალთა ყველა ნაწარმოები ადასტურებს, რომ ამ ტრაგიკულ მოვლენაში ქართველ ებრაელებს, ფაქტობრივად რეალური მონაწილეობა არ მიუღიათ. მწერალს “ქართლის ცხოვრებიდან” და, აგრეთვე, “შატბერდის კრებულიდან” მოჰყავს ამონარიდი იმის შესახებ, რომ როდესაც იერუსალიმიდან მცხეთაში მოსულმა მოციქულებმა ქართველ მოძმეებს შემოუთვალეს იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში მონაწილეობის მისაღებად მათაც წარგზავნათ იერუსალიმში “მეცნიერნი სჯულისანი”, მცხეთელმა ებრაელებმა იერუსალიმში წასვლა ელიოზს დაავალეს. წასვლის წინ ცრემლმორეული დედა შეევედრა ელიოზს, რომ მონაწილეობა არ მიეღო ქრისტეს დასჯა-წამებაში. აბიათარ მღვდლის გადმოცემით, – აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი, – ელიოზ მცხეთელს და მასთან ერთად წარგზავნილ ლონგინოზ კარხნელს, მართლაც, უფლის ჯვარცმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, სწორედ ელიოზი და ლონგინოზი გახდნენ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის შემომტანი ... სწორედ მათ “ჩამოიტანეს ქართლში მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ წილადრგებული უწმინდესი რელიქვია – ქრისტეს კვართი” (ა. ნიკოლეიშვილი, 2008, გვ. 14).

“ქართლის ცხოვრებისა” და ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებზე დაყრდნობით, წიგნის ავტორი იმასაც გვამცნობს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების პირველი მიმდევრები საქართველოში მცხეთელ ებრაელთა წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ელიოზის დედა და და. უფლის ჯვარცმის შედეგად განცდილი ტრაგედია იმდენად ძლიერი აღმოჩენილა, რომ ელიოზის დედა და და კიდევ შესწირვიან ამ საქმეს. ელიოზის დას “სასურველი კუართი მსხნელისა ჩვენისა” გარდაცვლილს მკერდში ისე მაგრად და სასოებით ჰქონია ჩაკრული, რომ მისი გამოღება ვერაფრით მოუხერხებიათ და კვართთან ერთად დაუმარხავთ.

ქრისტეს ჯვარცმასთან და კვართთან დაკავშირებულ ამბებს, განაგრძობს ა. ნიკოლეიშვილი, მეტ-ნაკლები არარსებითი დეტალებით, სხვა ძეგლებიც გვიამბობენო. ამ მხრივ, მას ერთ-ერთ ნიმუშად მოჰყავს “წმინდა ნინოს ცხოვრება”. ასევე, მკვლევარი “მოქცევაჲს” ავტორის, ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოში რელიგიური მისიით ჩამოსული ნინო (IV ს.-ის 20-30-იანი წლები), პირველ ყოვლისა, თუ როგორ ამყარებს ურთიერთობას სწორედ აქაურ ებრაელებთან. იგი ნინოს თანამდგომ ებრაელთაგან, უპირველესად, ქართველ ებრაელთა მღვდელმოდღვარ, “ფილოსოფობითა შემკულ” აბიათარსა

და მის ასულს – სიდონიას ასახელებს. აღნიშნავს შემდეგ, თუ როგორ შეემატნენ მათ სხვებიც; თუ როგორ მოინათლა ახალ სარწმუნოებაზე ორმოცდაათი ებრაელი, რომელთაც მირიან მეფემ სანაცვლოდ “ციხედიდად” წოდებული დაფა “მიუბოძა” (მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 347).

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ქართულ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აბიათარი, სიდონია და სხვა ებრაელები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევით, პირველ ყოვლისა, იმ ცოდვის გამოსყიდვას ცდილობდნენ, რომელიც მათმა თანამოძმეებმა ქრისტეს ჯვარცმით ჩაიდინეს. მათ აქტიურად იწყეს ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მონდომებას აბიათარ მღვდელი იჩენდა, რომელსაც ახალ პავლე მოციქულს უწოდებდნენ. ყოველივე ამას მცხეთელ ებრაელთა დიდი აღშფოთება გამოუწვევია. მათ გადაუწყვეტიათ აბიათარის ჩაქოლვა. აბიათარი მირიან მეფეს უხსნია სიკვდილისაგან.

„ამ დროიდან ის ებრაელები – წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი, – რომლებიც არ გაქრისტიანებულან, მთელ საქართველოში მიმოფანტულან, რათა განკერძოებული ცხოვრება მეტ საშუალებას მისცემდათ, რომ მეტად დაეცვათ თავიანთი რჯული და ადათ-წესები. ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, არც ერთ დროსა და არც ერთ ეპოქაში ებრაელებს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენში არანაირი შევიწროება არ განუცდიათ და ეროვნულად და რელიგიურად ისინი თავისუფალნი და ხელშეუხებელნი იყვნენ, როგორც ხელისუფლებისაგან, ისე ადგილობრივი მოსახლეობისაგან“. ამის უფრო დასადასტურებლად მწერალს მოჰყავს საყურადღებო ფაქტი – “ქართველი ებრაელის” ეთნონიმის დამკვიდრების შესახებ.

მწერალი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიულ ფესვებზე საუბრის დროს, ყურადღებას აქცევს ძველ საქართველოში ფართოდ დამკვიდრებულ თვალსაზრისს ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივ-ბიბლიური წარმომავლობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გვაწვდის გიორგი მერჩულეს, (გრიგოლ ხანძთელი), კორნელი კეკელიძის, მემატინაეების – სუმბატ დავითის ძის (XI ს.), ჯუანშერ არჩილ სტეფანოზის ძის (VIII ს.), “ახალი ქართლის ცხოვრების”, “მატიანე ქართლისაჲს” ანონიმი ავტორის, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები დიდი ებრაელი წინასწარმეტყველების მოსეს; დავითის, სოლომონისა და სხვათა პირდაპირი შთამომავლები არიან, “რომელთა ღმერთი ეზრახებოდათ“. ასევე ა. ნიკოლეიშვილი წერს, რომ “ბიბლიურ მეფეთაგან ქართველ მეფეთა პირდაპირ გენეალოგიურ წარმომავლობას მათ ტიტულატურაშიც ხშირად ესმებოდა ხაზი. კერძოდ, ქართველი მეფეების მიერ გაცემული ბევრი სიგელი ხშირად ამ სიტყვებით იწყებოდა: “შეწვენითა და ბრძანებითა ღვთისითა ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატონიანმან“.

მეცნიერ-მკვლევარი ამის შემდეგ გვაწვდის საინტერესო მასალას ებრაული საკითხებისადმი, თუ როგორ იყვნენ დაინტერესებული მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერლები. ამ თემას იგი ტიმოთე გაბაშვილის იერუსალიმური შთაბეჭდილებებით იწყებს, რომელსაც წმინდა ადგილების მონახულებისა და მოლოცვის მიზნით, 1755–1759 წლებში

საბერძნეთსა და პალესტინაში უმოგზაურია, რის შედეგადაც მიღებულ მთაბეჭდილებები ვრცლად და საინტერესოდ აღუწერია მოგზაურული ხასიათის ნაწარმოებში – “მომოსვლა”.

წინამდებარე ნარკვევის დაწერის მიზანი, ავთანდილ ნიკოლეიშვილის თქმით, ის ყოფილა, რომ მკითხველისათვის გარკვეული წარმოდგენა შეექმნა იმ რელიგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც მე-18 საუკუნის 50-იანი წლების ისრაელში დაუხვდა ტიმოთე გაბაშვილს. ავთანდილ ნიკოლეიშვილი “მომოსვლიდან” გვიამბობს ისრაელში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ იმას, რომ მთელი ქვეყანა უცხოელ დამპყრობთა, თურქ არაბთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული, რომლებიც ძარცვავდნენ და აწიოვებდნენ როგორც მკვიდრ, ასევე იქ ჩასულ უცხოელ მორწმუნეებს. ებრაელები როგორც ძველად, იმჟამადაც იღვებებოდნენ და სხვადასხვა ქვეყნებს ეხიზნებოდნენ; მათ ადგილებზე კი უცხო ტომელები მკვიდრდებოდნენ. თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა წმინდა მიწა, რომელიც არა მარტო ებრაელებისათვის, არამედ ქართველებისათვისაც მეტად არასასურველი ფაქტი იყო, ვინაიდან, ამ დროიდან “გაუარესდა ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმში და გაძლიერდა ბერძენთა გავლენა, რომლებიც თურქთა ხელშეწყობით ხელში იგდებდნენ ქართულ სავანეებს. შემცირდა ქართველ მოგზაურთა რიცხვი” (ტ. გაბაშვილი, 1956, გვ. 187).

მწერალი (ა. ნიკოლეიშვილი) მოგვითხრობს, თუ რა ხიფათისა და რისკის ფასად ჩასულა ტიმოთე გაბაშვილი იერუსალიმში, რომელსაც ეკლესია-მონასტრების მონახულების მიზნით უმოგზაურია და დაუთვალეირებია: ნაზარეთი, ბეთლემი, გალილეა, ბეთანია, ლოდი, კესარია, იაფო, ღაზა, ტიბერია, გოლგოთის, სიონის, ლიბანის, ქარმელისა და ზეთისხილის მთები. მას განსაკუთრებული ყურადღება გამოუჩენია იმ ეკლესია-მონასტრებისადმი, რომლებიც წარსულში ქართველების კუთვნილებას წარმოადგენდა. ტიმოთე გაბაშვილი, ა. ნიკოლეიშვილის თქმით, გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ დაიბყრეს ქართველებმა იერუსალიმი, ვინ ააგო და განაახლა იქ ეკლესია-მონასტრები. რომ, მიუხედავად იმისა, ამ სალოცავებში იმხანად აღარც ერთი ქართველი ღვთისმსახური აღარ იყო, ხელნაწერები და მნიშვნელოვანი ფრესკები განადგურებულა, მაინც შემორჩენილი ყოფილა ქართული სიწმინდეები, კულტურულ-მატერიალური ფასეულობები და წარწერები. განსაკუთრებით, ამ მხრივ, მისი ყურადღების ცენტრში ჯვრის ძოხასტერია მოქცეული.

წიგნის ავტორი (ა. ნიკოლეიშვილი) გვამცნობს ტიმოთე გაბაშვილის უსაზღვრო გულისტკივილს, თუ რატომ ამოიკვეთეს ქართველებმა ფეხი ისტორიულად მათთვის კუთვნილი ღვთიური ადგილიდან და დასძენს, რომ “მიუხედავად იმისა, რომ ამ გულისტკივილის გამოთქმიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, სამწუხაროდ, ვითარება დღემდე არ გამოკეთებულა არსებითად. ის სიწმინდეები, რომელთაც ფასდაუღებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის, არა მარტო გასულ საუკუნეთა განმავლობაში მოისპო და განადგურდა, არამედ დღესაც ვანდალურად ნადგურდება. ამგვარი ვანდალიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს 2004 წლის ივლისში შოთა რუსთაველის პორტრეტის ფიზიკური ხელყოფა ჯვრის მონასტერში. ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალსაზრისით, “მსგავს ქმედებათა უმთავრესი მიზანი ისტორიიდან იმ

უმნიშვნელოვანესი როლის უტყუარად დამადასტურებელი ფაქტებისა და არგუმენტებს ამოშლის მზაკვრული სურვილია, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ასრულებდა საქართველო მთელს ქრისტიანულ სამყაროში.“

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ასკვნის, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული საკითხებისადმი ტიმოთე გაბაშვილის დამოკიდებულება, ფაქტობრივად, მისი იერუსალიმური შთაბეჭდილებების გადმოცემით შემოიფარგლება, მისი “მონათხრობი XVIII საუკუნის 50-იანი წლების ისტორიის შესასწავლად აშკარად მნიშვნელოვან წერილობით წყაროდაც თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ“.

წიგნის ავტორი (ა. ნიკოლეიშვილი) მიმოიხილავს, აგრეთვე, XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი მესამედის ცნობილი მწერლის, მეცნიერის, მწიგნობარ-განმანათლებლისა და სახელმწიფო მოღვაწის იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებს “ხუმარსწავლას“, ანუ კალმასობას“.

ის შესავალშივე აღნიშნავს, რომ “როგორც წიგნში წარმოდგენილი ებრაული საკითხების გაანალიზებით“ ვაწმუნდებით, მწერალი (იოანე ბატონიშვილი — ნ.ნ) საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ებრაელთა ისტორიას, სარწმუნოებასა და ყოფა-ცხოვრებას და მათ შესახებაც გვაწვდის უაღრესად საგულისხმო ცნობებსო“.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალთახედვით, “ხუმარსწავლის“ ებრაულ ფრაგმენტებში იოანე ბატონიშვილის მსჯელობის უმთავრეს საგნად, პირველ ყოვლისა, ძველი აღთქმიდან ფართოდ ცნობილი ის მოვლენები არიან ქცეულნი, რომლებიც ებრაელი ხალხის ისტორიის სისხლხორცეულ ნაწილსაც წარმოადგენენ“ და იგი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს “ხუმარსწავლის“ II ტომს, რომელშიაც ქრისტიანობამდელი ამბებია მოკლედ მოთხრობილი.

მეცნიერს წიგნში მოჰყავს ძველი აღთქმიდან მოყვანილი სიუჟეტური ეპიზოდები, ებრაელი ხალხის ბიბლიური შეილების ცხოვრებისეული ამბები. მისი ღრმა რწმენით, ძველი აღთქმიდან ამ ეპიზოდების გახსენებით (ეგვიპტეში ებრაელთა ტყვეობა, მათი განთავისუფლება ღვთის მფარველობით), მწერალი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის იმ სირთულეებზე, რომელთა გადალახვა აღთქმული მიწისაკენ მიმავალ ებრაელებს მოუხდათ მოსეს წინამძღოლობით.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, “ხუმარსწავლა“ ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად მიზანმიმართული ნაწარმოებია, ავტორი ებრაელთა სარწმუნოების მიმართაც გამოხატავს თავის პატივისმცემლურ დამოკიდებულებას და ამის დასტურად მას მოჰყავს მოსეს მიერ ნაქადაგები ათი მცნება. ასევე, აქცენტს აკეთებს იმაზედაც, რომ იოანე ბატონიშვილის ნაწარმოებში მრავალგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ებრაელთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრაგედიის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი ამ ღვთაებრივი მცნებებისადმი დალატი და გაორგულებაა.

მკვლევარ-მეცნიერი გვაცნობს, “კალმასობაში“, გადმოცემულ სხვა მნიშვნელოვან ეპიზოდებსაც, როგორცაა დავით წინასწარმეტყველის, მოსეს, სოლომონ ბრძენისა და სხვათა ცხოვრების ფრაგმენტები. ამ უკანასკნელის შესახებ წერს, რომ “სამწუხაროდ, სოლომონ ბრძენის სიკვდილის შემდეგ ისრაელის სახელმწიფოს ძლიერებას საფუძველი გამოეცალა; სამეფო ტახტი ორად გაიყო, ასევე სარწმუნოებაც. ამას მოჰყა VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა, იერუსალიმის დამხობა და მშობლიური მიწიდან ებრაელთა დევნა.“

ფართოდ ცნობილი ამ მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ი. ბატონიშვილი ჭეშმარიტი ღვთისაგან მათ განდგომასა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში მოქცევას მიიჩნევს“.

ამავე დროს, ნიკოლეიშვილს აზრით, იოანე ბატონიშვილი მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის იმ გმირულ თავგანწირვაზე, რის შედეგადაც ებრაელებმა ათასგვარ განსაცდელს გაუძლეს და ეროვნული თვითმყოფადობა და რელიგიური რწმენა შეინარჩუნეს“. მას მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, როდესაც ნაბუქოდონოსორმა დატყვევებულ ებრაელებს უბრძანა თაყვანი ეცათ მისი კერპებისათვის, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს; განსაკუთრებით ჭეშმარიტი ღმერთისადმი მსახურებით ყველაზე მეტად სამი ძმა გამოირჩეოდა. ისინი მსახურებმა ცეცხლში ჩაყარეს, მაგრამ ღმერთმა ისინი ცეცხლისაგან დაიცვა, ხოლო თვით მსახურები კი დაიწვნენ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ყურადღებას აქცევს იოანე ბატონიშვილის მსჯელობას ებრაელთა ენის, დამწერლობისა და საქართველოში მათი ჩამოსახლების შესახებ. მისი თქმით, “ხუმარსწავლის“ ავტორს არაბულ, ბერძნულ და რომაულ ენებთან ერთად ებრაული ენა მსოფლიოს უძველეს ენად მიაჩნია, რომელ ენაზედაც არის დაწერილი “საღმრთო წერილნი ძველისა აღთქმისანი“.

მწერალი წიგნში – “ებრაელი თემა ქართულ მწერლობაში“ გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ებრაულ ეპიზოდებში ძალზე ცოტა რამ არის ნათქვამი საკუთრივ ქართველ ებრაელთა შესახებ, რაც აუხსნელ და გაუგებარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს“. მიუხედავად ამისა, მას მიაჩნია, რომ იოანე ბატონიშვილის ეს ნაშრომი ქართული ებრაისტიკის ერთ-ერთ საგულისხმო და მნიშვნელოვან ნიმუშად უნდა იქნას მიჩნეული.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიმოიხილავეს, აგრეთვე, XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის (1769–1850 წწ.) წიგნს “მგზავრობას“, რომელშიაც დაწვრილებით, დღიურების ფორმითაა აღწერილი ავტორის მოგზაურობის ამბავი. მწერლის თქმით, გ. ავალიშვილი წმინდა ადგილების მონახულების მიზნით, 1819 წლის ივლისს გამგზავრებულა თბილისიდან და 1820 წლის 17 ივლისს დაბრუნებულა. მას მოუვლია თურქეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, პალესტინა და განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა წმინდა მიწაზე უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრების მოძიებით; თუმცა იმ პერიოდში მათი რაოდენობა ძალზე შემცირებული ყოფილა და იქ აღარც სასულიერო პირები იმყოფებოდნენ. მას იერუსალიმში მხოლოდ ერთი დიაკონი – იოსტოსი უნახავს, მწერალი (ავთ. ნიკოლეიშვილი) გულისტკივილით შენიშნავს, რომ ამჟამად ქართული მონასტრიდან ქართული სულის ნაკვალევი ფაქტობრივად მხოლოდ ერთში – აწ უკვე ბერძნების საკუთრებად ქცეულ ჯვრის მონასტერშია შემორჩენილიო“ (იქვე, გვ. 43).

მეცნიერ-მკვლევარი გვაწვდის გიორგი ავალიშვილის მოგზაურობის მარშრუტებს, მოგზაურის ინფორმაციებსა და შთაბეჭდილებებს; კერძოდ, რომ პირველად გ. ავალიშვილი “კაიროდან“ ქალაქ “ლაზაში“ ჩასულა, რომლის მცხოვრებნი ძირითადად არაბები ყოფილან, ებრაელები კი მხოლოდ 400 კომლამდე, “თვის-თვისითა ეკლესია-სინაგოგითა“. ეს ქალაქი მატერიალური სიმდიდრით გამორჩეული ყოფილა, შემდეგ იგი პალესტინის ქალაქს – “რამლას“

სტუმრებია. “ლაზასაგან” განსხვავებით ეს ქალაქი მოუვლელი და უბადრუკი ყოფილა. “თათარნი, არაზნი და ურიანი” 600 კომლს შეადგენდნენ.

ნაწარმოების მეორე ნაწილი – ა. ნიკოლეიშვილის თქმით, – “იერუსალიმური შთაბეჭდილებების აღწერით იწყება”. გ. ავალიშვილის სიყვარულს ამ “ღვთის ქალაქისადმი, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ იგი ქრისტიანული სარწმუნოების აკვანია. თუმცა მწერალი არც მის ქრისტიანობამდელი წარსულის უმნიშვნელოვანეს მომენტებს ტოვებს უყურადღებოდ”.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ გ. ავალიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციული მასალა ზოგჯერ არაზუსტი და სუბიექტურიცაა, მაგრამ მას მაინც უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც ეს ყველაფერი იმეამინდელი იერუსალიმისა და ისრაელის სხვა ქალაქების უშუალოდ თვითმხილველი კაცის მიერაა მოთხრობილი.

გ. ავალიშვილის ინფორმაციით, – წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი, იმ პერიოდში იერუსალიმში 10 ქუჩა ყოფილა და ქუჩათა ერთი ნაწილი ეროვნული ნიშნით ყოფილა დასახლებული; ერთ-ერთ ქუჩაზე თურმე “მშფოთარნი და ავაზაკნიც ცხოვრობდნენ”.

მწერალი შემდეგ ყურადღებას ამახვილებს გ. ავალიშვილის მიერ იერუსალიმზე ისტორიული წარსულის საუბრის შესახებ, კერძოდ, ბაბილონის მეფის ნაბუქოდნოსორის, რომის კეისრების – ტიტუს და ადრიანეს, ეგვიპტის სულთნის – სალადინის, თურქ-ოსმალების და სხვათა თავდასხმებზე. აღნიშნავს იმასაც, თუ როგორი პატივისცემით იხსენიებს მოგზაური იერუსალიმის განმაახლებელ მეფე დავითს, საბერძნეთის მეფეს – კონსტანტინეს, სოლომონის ტაძრის აშენების ფაქტს და ა.შ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გ. ავალიშვილის ინფორმაციით, მიუხედავად სხვა ხალხებთან მიმართებით ებრაელთა აშკარა რაოდენობრივი უპირატესობისა (10790-ს შეადგენდნენ), იმეამინდელი იერუსალიმის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი მაინც მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ. განსაკუთრებით იმ პერიოდში არაბები, თურქები, ბერძნები, ფრანგები და სომხები ყოფილან აღზევებულნი. ეს უკანასკნელნი საკმაო აგრესიულობით ცდილობდნენ იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეთა და სხვა სიმდიდრეთა (ქართველთა კუთვნილის) დაპატრონებას. მისივე ინფორმაციით, მთელ პალესტინაში ადგილი ჰქონია მგზავრთა ძარცვა-დაყაჩაღებას. ყოველივე ეს ჩვენს მოგზაურს თავის თავზეც უწევდა.

ამის შემდეგ წიგნის ავტორი განიხილავს გიორგი ავალიშვილის მიერ უცხოეთში აღნიშნულ ქართულ წარწერებს, ხელნაწერებსა და სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს. მაგალითად მოჰყავს აბრაამის ტაძრის მხატვრული წარწერა, რომლის მიხედვით, წმინდა გოლგოთის ადგილი 1599 წელს იოანე აბაშიძის მიცემული ფულით განუახლებია აზნაურს – გიორგი ჩიკოიძეს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯვრის მონასტერში არსებულ ქრისტიანულ სიწმინდეებს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი გადმოგვცემს, რომ ქართველთა ჯვრის მონასტერში ყოფნისას, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, გიორგი ავალიშვილისათვის “საკუთრად ანუ ეკლესიასათვის საქართველოსა” გადაუციათ

საკმაოდ დიდი კოლექცია მონასტერში დაცული ქართული წიგნებისა და ხელნაწერებისა, რადგანაც ისინიც გაქრობის მოლოდინში ყოფილან. სამწუხაროდ, “მგზავრის” ავტორს ძვირფასი საჩუქრის მთლიანად წამოღება ვერ მოუხერხებია და მხოლოდ 11 ხელნაწერი და 4 ნაბეჭდი წიგნი წამოუღია. მის მიერ გადარჩეული და სამშობლოში ჩამოტანილი ხელნაწერები, – აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი, – იერუსალიმური კოლექციის საუკეთესო და უძველესი ნუსხებია“.

გარდა ქრისტიანული სიწმინდეებისა, ა. ნიკოლეიშვილის თქმით, გიორგი ავალიშვილს დაუთვალეირებია იერუსალიმის შემოგარენი ადგილები: “წმინდა იერემიას ქუაბი“, “სიონის მთა“ და სხვ.

წიგნის ავტორს საინტერესოდ მიაჩნია მოგზაურის სინაგოგაში შესვლის ამბავი, რომლის მიხედვითაც იერუსალიმში მცხოვრები ებრაელები იმდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან, რომ სინაგოგის რიგიანად მოვლა-პატრონობა არ შეეძლოთ. სინაგოგაში ისეთი ცუდი სუნი ყოფილა, რომ გ. ავალიშვილსა და მის მეგზურებს იქ მხოლოდ რვა წამი დაუყვიათ. გარდა ამისა, არაბი მაჰმადიანები თურმე სინაგოგებში ქრისტიანებს შესვლასაც უკრძალავდნენ, რის გამოც გ. ავალიშვილი იძულებული გამხდარა მაჰმადიანთა ჯამეები თათარი მორწმუნეების მონათხრობით გარედან აღეწერა.

მწერალი მიანიშნებს, რომ გ. ავალიშვილის მოგზაურობის დროსაც იერუსალიმი, როგორც წმინდა ქალაქი, უდიდესი ინტერესის ობიექტი ყოფილა მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით, ქრისტიანულ სამყაროში; რომ ამ ქალაქის შესახებ იმხანად მრავალი წიგნი იბეჭდებოდა და ამის დასტურად მას მოჰყავს წმინდა ადგილებისადმი მიძღვნილი ორი წიგნი რუსულ ენაზე და ბერძნულად დაბეჭდილი, რომელიც მოგზაურობისას გიორგი ავალიშვილისათვის საგანგებოდ უჩუქებიათ. მკვლევარ-მეცნიერი გვაწვდის ცნობებს იერუსალიმიდან სხვა ქალაქებში ავალიშვილის მოგზაურობის შესახებაც: მას ჯერ ქალაქ “ლიდიაში“ გამოუვლია, სადაც დაუთვალეირებია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მისივე ინფორმაციით, ამ ქალაქში იმ დროს თურმე არც ერთი ებრაელი არ ცხოვრობდა. “ლიდიიდან“ ის “იაფაში“ მისულა, რომლის მოსახლეობა ჭრელი ყოფილა. არაბნი და ურიანი ორივენი ერთად – მხოლოდ 3 კომლს შეადგენდა. ამ ქალაქს მასზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია, ვერც ესთეტიკური და ვერც უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ასკვნის, რომ, მართალია, გიორგი ავალიშვილის იერუსალიმსა და ბალესტინაში მოგზაურობის შთაბეჭდილებების უმოაფრესი მიზანი იქაური წმინდა ადგილების აღწერა-დახასიათება იყო, ... მაგრამ, მწერალი იმდროინდელი ებრაული ყოფის ღირსშესანიშნაობის შესახებაც გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს. ამ თვალსაზრისით “მგზავრობა“ ებრაელი ხალხის ისტორიის შესასწავლადაც უაღრესად ფასეულ და მრავალმხრივ საინტერესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ კი დავძენთ, რომ ა. ნიკოლეიშვილის ეს წიგნი საწინდარია ქართველთა და ებრაელთა შემდგომი კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელებისა.

ა. ნიკოლეიშვილი, 2008 - ა. ნიკოლეიშვილი, ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, ქუთაისი, 2008.

NORA NIKOLADZE-LOMSIANIDZE

JEWISH IN GEORGIAN HISTORICAL AND THEOLOGICAL WRITINGS (According to “Jewish theme in Georgian writings”-by Avtandil Nokoleishvili)

PHD Professor, Avtandil Nikoleishvili contributed to a special study of Georgian and Georgian Jews many centuries , neighbourly and friendly co-existence.

In 2008, he published an extensive monograph, which covers the Jewish theme in as old as XIX and XX century’s Georgian literature.

Now we discuss “Jewish question in Georgian historical and theological writings”. Foreword of the book Avtandil Nokoleishvili mentions that Georgian historical and theological literature preserved a number of important documentary material about the Jews entry and establishment. According to this, the most important moments of this country’s long history can be considered in general aspects. A.Nikoleishvili recalls “Moqsevai Qartlisai”, historic chronicles by Leonti Mroveli, Vakhushti Batonishvili’s notes, E. Mamistvalishvili’s notes and according to this it’s approved that at first the Jews settled to Georgia in VI AD and they lived friendly with Georgians.

The writer emphasizes the mutual respect of these two people’s religion and churches and monasteries.

Scientist-researcher A. Nikoleishvili provides information about famous Georgian writers being interested about Jews in the first part of XVIII and XIX centuries. These writers were: Timote Gabashvili, (“Mimosvla”), Ioane Batonishvili (“Khumarstsvla”), George Avalishvili (“Mgzavoba”). A. Nikoleishvili reviews their work and concludes that they have a great importance in the study of Jewish people’s history, religion and lives.

We consider that the book written by A. Nikoleishvili is precondition of continuing Georgian and Jewish people’s further neighbourly and friendly co-existence.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქართველ ებრაელთა ქრნალისტურ-პუბლიცისტური
მოღვაწეობის საწყისი ქრონოლოგიური მიჯნა

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ქართველ ებრაელთა ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა საქართველოსა და ისრაელში მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად არის დამკვიდრებული, ამ კუთხით ბევრი რამ ჯერ კიდევ არაა სასურველ დონეზე გამოკვლეული. გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესებისა, ამ თვალსაზრისით არსებული ხარვეზის დასაძლევად მუშაობის გააქტიურებას, მეტ აქტუალობას გამორჩეულად კეთილმეზობლური ის ურთიერთობაც სძენს, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის დამკვიდრდა საქართველოში მათი ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთობა ისტორიულ სამშობლოში ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილის დამკვიდრების შემდეგაც ისეთი დიდი წარმატებით გრძელდება, რომ ორი ქვეყნის — საქართველოსა და ისრაელის — სახელმწიფოებრივ თანამშრომლობაზეც ახდენს უაღრესად კეთილისმყოფელ ზეგავლენას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ სათანადო მეცნიერული სიღრმით გამოუკვლევველ იმ საკითხთა შესწავლა, რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად წარმოაჩენს ქართველთა და ებრაელთა მეგობრული თანაცხოვრების ისტორიას, არსებითად განსაზღვრავს ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევა-ძიების აქტუალობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების შესწავლის საფუძველზე კონკრეტულად იქნეს გარკვეული, ქართველი ებრაელი ავტორები პირველად როდის ჩნდებიან ჩვენი ბეჭდური მედიის ასპარეზზე და თავიანთ პუბლიკაციებში რა უმთავრეს საკითხებზე გამოთქვამდნენ მოსაზრებებს. როგორც ქართველ ებრაელთა ისტორიის ცნობილი მკვლევრის — დანიელ ხანანაშვილის მიერ ქართულ პრესაში ებრაელებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალების მოძიების შედეგად შედგენილი ბიბლიოგრაფიით ირკვევა, ქართველ ებრაელთა ავტორობით გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციას წარმოადგენდა გაზეთ “ივერიის” 1887 წლის მე-100 ნომერში ქუთაისელი ებრაელის — შაფათა რიჟინაშვილის ხელმოწერით დაბეჭდილი წერილი “ქუთაისში ახალი სინაგოგის კურთხევაზე.” სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციამდე ქართველ ებრაელთა ავტორობით არათუ ბეჭდური, არამედ წერილობითი სახით შექმნილი არც ერთი ტექსტი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველ ებრაელებს ინტელექტუალური ცხოვრების სფეროში მანამდე არაფერი გაუკეთებიათ საგულისხმო და მნიშვნელოვანი. ეს რომ ასე არ არის, ამის დასტურად აქ სამეცნიერო წრეებში ამ ბოლო დროს ფართოდ განხილული ერთი მეცნიერული მიკვლევის გახსენებაც იქნება საკმარისი —

ცნობილი ებრაისტიკისა და ქართველოლოგის, პროფესორ რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) მიერ ჩაწერილი და მეცნიერულად გამოკვლეული ის ზეპირი ტექსტები, რომლებიც ქართველ ებრაელ რაბინებს ჯამათისთვის თორის კომენტარების მიზნით შეუქმნიათ ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში და ამ დროიდან მოყოლებული ზეპირი ფორმით გადაეცემოდა თაობიდან თაობას (ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: რ. ენოხი, 2013).

რაც შეეხება ქართველ ინტელექტუალებს, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები (მწერლები, ისტორიკოსები, საზოგადო მოღვაწეები და ა. შ.) ებრაელთა ყოფასა და საჭირბოროტო საკითხებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ხოლმე, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიმართულებით გამოვლენილმა ინტერესმა იმდენად დიდი მასშტაბებიც კი შეიძინა, რომ იმ პერიოდის ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემადაც იქცა. მათ ნაწერებში მწვავედ და აშკარად გამოხატული მხარდამჭერი პოზიციებიდან დაისვა როგორც ქართველ ებრაელთა, ისე, საზოგადოდ, მთელი ებრაელობის ისტორიული თუ იმდროინდელი ყოფის საჭირბოროტო პრობლემები. ეს ინტერესი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მეოცე საუკუნეში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ებრაულმა თემამ ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა იმხანად გამომავალი ქართული პრესის ფურცლებზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა პუბლიცისტურ—ჟურნალისტური მოღვაწეობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად სწორედ ზემოთ ხსენებული წერილის გამოქვეყნების თარიღი — 1887 წელი უნდა მივიჩნიოთ.

იმისათვის რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ხსენებულ პუბლიკაციაზე, მოვახდენ მის სრულ ციტირებას:

“ქუთაისი, 20 მაისს. თოთხმეტს ამ თვეს ქუთაისის ებრაელებმა დიდის ამაბითა და დღესასწაულით აკურთხეს ახალი ჩინებულად ქვით ნაგები თორა (სინაგოგა), რომელიც დაუჭდა ორმოც ათასს მანეთამდე აქაურ ებრაელ საზოგადოებას და რომელსაც აშენებდნენ თითქმის ათის წლის განმავლობაში. ამ იშვიათის დღესასწაულის გამო, რომელსაც დაესწრო ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა მრავალი წარჩინებული კაცი, სინაგოგას ეზოში გამართული იყო საგრილობელი ფარდული, ყვავილებით მშვენივრად მორთული. ამ ფარდულში მოწვეულ იქმნენ ცერემონიის შემდეგ პატივცემულნი სტუმარნი სასაუზმოდ. ცერემონია გაგრძელდა დილის რვა საათიდან პირველ საათამდე. როცა გაათავეს კურთხევა, ბატონმა რაბინმა ჩინებული სიტყვა წარმოთქვა ქართულად. რაბინმა სთქვა, რომ ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, გვმართებს ერთობა, ძმური სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემაო. ამ სიტყვამ სასიამოვნოდ იმოქმედა საზოგადოებაზე. საუზმის დროს პირველად ვიცე-გუბერნატორმა, — გუბერნატორი არ დაესწრო, რადგანაც ამ დროს არ იყო სამსახურის გამო ქუთაისს, — მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა და შემდეგ ბ-ნ ქალაქის თავმა რაბინის სადღეგრძელო დალია. მუსიკა უკრავდა საღამომდე და როცა წაბრძანდნენ მოწვეულნი სტუმარნი,

ყველას შეეძლო მისულიყო სუფრასთან და ესაუბმა. ვისურვებთ, რომ ჩვენებურმა ქართველმა ებრაელობამ არ დაივიწყოს თავისი რაბინის სიტყვა და ერთობითა და სიყვარულით ეწეოდეს ცხოვრების მძიმე უღელს”.

მიუხედავად დამოწმებული პუბლიკაციის მოცულობითი სიმცირისა, ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მაინც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას როგორც ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა სრულიად თავისუფალ და შეუზღუდველ ეროვნულ-სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, ისე იმ კეთილგანწყობით დამოკიდებულებაზეც, რომელიც ქუთაისელ ებრაელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებობდა. სწორედ ამ მოვლენათა დადასტურებას წარმოადგენს, ერთის მხრივ, ქართველ ებრაელთა უდიდეს დიასპორად ქცეულ ქუთაისში მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე გრანდიოზული და დღესაც არქიტექტურული ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშად აღიარებული სინაგოგის აგება, მეორეს მხრივ კი ამ სინაგოგის კურთხევასთან დაკავშირებით გამართულ დიდ რელიგიურ დღესასწაულში ხელისუფლების მესვეურთა და ქართველი საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა. როგორც პუბლიკაციის ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, ხსნებული საზეიმო ცერემონიალი ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრული თანაცხოვრების საუკუთესოდ წარმომჩენ კიდევ ერთ ღისსახსოვარ და მეტად მნიშვნელოვან მოვლენად ქცეულა.

ამ ინფორმაციის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს სძენს გაზეთ “ივერიის” 1905 წლის 13 ნოემბრის ნომერში კ. ბ.—შვილის ხელმოწერით გამოქვეყნებული “წერილი ოდესიდან,” რომელშიც ამ ქალაქში ებრაელთა დარბევის შემზარავი ამბავია მოთხრობილი. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: “საზიზღარი ეპიზოდი ვნახე ოდესაში. მე მოვედი ოდესაში სწორედ იმ დროს, როდესაც კაცთა საშინელი ჟღერა იყო. ოხ, მხეცი, საშინელი მხეციც კი შედრკებოდა და ცხარე ცრემლებით ატირდებოდა ამ სურათების დანახვით! მკვლელობა და ასეთი?! ბავშვებს შუაზე ზღეჩდნენ, მოხუცებულებს ყელებს სჭრიდნენ!

აგერ სამი ქალიშვილით ერთი დედაბერი!.. ეს დედაბერი ფეხებით დაჰკიდეს, ქალიშვილებს ნაშუსი აჰხადეს და მერე ყელეები დასჭრეს.

ყოვლად წაბილწული პოლიცია! მაგრამ სად ვეძიოთ ის სიტყვა, რომელი ენის მცოდნე მომცემს მე იმ ტერმინს, რომლითაც შეიძლებოდა დახასიათება ამ პირუტყვი ხალხისა? ქალაქის ერთმა წევრმა მითხრა: სამმა ქართველმა ოცდახუთ ხულიგანს სარდაფში ყელეები დასჭრესო. ახალგაზრდობა ყრილობდა ხულიგნების ჯავრს.

საცოდავი კლდიაშვილი! ჩვენი სტუდენტობა ამ კაცის გაბედული მოქმედებით გაოცებული იყო. ჩემს თვალწინ უმიზეზოდ მოჰკლეს ერთი სტუდენტი.

სულიან-ხორციანად მოშხამული ვეგდე ერთის პროფესორის სახლში. სწორედ ჯოჯოხეთი იყო იქ ყოფნა. ჩვენ არ ვიცოდით, რა საათში დაუშენდნენ ჩვენს სახლს ტყვისმტყორცნელით ტყვიებს და ზარბაზნებს. ჩვენ ვიდექით ერთ ურიის სახლში. შემდეგ პროფესორი თავის ბავშვებით აქედან სხვაგან გაიხიზნა. დავრჩი მარტო. ორი საათის შემდეგ შეიქმნა ფანჯრებზე ტყვის სხაპა-სხუპი. მე მივიმალე ბავშვების ოთახში...

21-ს ელოდნენ უფრო საშინელებას. უქადოდენ დანგრევას ყველა ებრაელების სახლებს. ათ საათზე გავბედე სადგურისკენ წასვლა. გზაზე ოპრიჩნიკმა სალდათებმა გამძარცვეს. წამართვეს ჩემი მშვიდნიერი საათი და 35 მანათი ფული, მხეცურად, დაურიდებლად.

შემდეგ კონსულებმა თავი მოიყარეს და მოახსენეს ნეიდგარდს, თუ არ შეგიწყვეტიათ ეს საშინელება, დეპეშით გამოვიწვევთ ევროპიის ესკადრონებსო. ნეიდგარდმა უპასუხა: “ზვალ ყველაფერი დამშვიდდებაო.”

და მართლაც ასე მოხდა!..”

სამწუხაროდ, წერილის ავტორის ინიციალების გაუშიფრაობის გამო, იმის დაზუსტებით თქმა, იგი ქართველია თუ ებრაელი, ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, ავტორი ქართველი უნდა იყოს. ამისდა მიუხედავად, დამოწმებული პუბლიკაციისთვის ყურადღების მიქცევა თუნდაც იმიტომაც ჩავთვალე მიზანშეწონილად, რომ იგი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არსებითად განსხვავებულ იმ მდგომარეობაზე, რომელშიც საქართველოსა და რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში მცხოვრები ებრაელები იმყოფებოდნენ იმხანად. როგორც მკითხველი ციტირებული ფრაგმენტიდანაც დაინახავს, 1905 წელს ოდესაში მომხდარ სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენას შეეწირა მსხვერპლად იქაურ უნივერსიტეტში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი საბა კლიაშვილი, რომელიც აქტიურად აღუდგა წინ ებრაელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ვანდალიზმს.

ქართულ პრესაში ქართველ ებრაელთა ავტორობით გამოქვეყნებული შემდეგი პუბლიკაცია იყო გაზეთ თემის 1913 წლის 17 ივნისის ნომერში დაბეჭდილი გ. თავდიდიშვილის კორესპონდენცია “შოთა რუსთაველის ძეგლის აგების საქმე.” ხსენებული კორესპონდენციისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს უაღრესად პატივისმცემლური იმ დამოკიდებულებისას, რომელიც ქართველებსა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს შორის იყო დამკვიდრებული. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ აღნიშნული კორესპონდენციის ტექსტს:

“ეს რამოდენიმე ხანია, ქართველ საზოგადოებაში აღიძრა საკითხი შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ, რაც მომასწავებელია იმისა, რომ ქართველი ვერი, რაც დრო გადის, არამც თუ არ ივიწყებს თავის გულის მესაიდუმლეს, არამედ უფრო მეტის შეგნებით, უფრო მეტის სიყვარულითა და გრძნობით ემსახურება მას. მეც, როგორც ქართველი ებრაელი, მოწიწებით ვიდრეც თავს დიდებულ მგონის აჩრდილის წინაშე, აგრეთვე იმედი მაქვს, რომ სხვა ქართველი ებრაელებიც გამოსთქვამენ თავიანთ აზრს შოთას ძეგლის შესახებ და თავის მოძმე ქართველებს ამოუდგებიან გვერდში.

შოთას ძეგლი იქნება ნათელი საბუთი იმისა, რომ შოთას აჩრდილი ვერ დაჩრდილა საუკუნეთა მთელმა ქედმა.”

სამწუხაროდ, 1887 წლიდან მოყოლებული 1915 წლამდე ქართულ პრესაში უშუალოდ ებრაელთა ავტორობით სხვა რაიმე მასალა აღარ დაბეჭდილა. 1915 წლიდან კი, სამოღვაწეო ასპარეზზე რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიღებული ქართველი ებრაელების გამოსვლის შემდეგ, ვითარება უკვე არსებითად იცვლება და ჩვენს პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად ქვეყნდება ქართველ ებრაელ ავტორთა

პუბლიცისტური წერილები და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც უაღრესად სანტიერესოდაა წარმოჩენილი როგორც საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა, ისე ქართველი ხალხის იმჟამინდელი ყოფის საჭირბოროტო საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ მათი პუბლიცისტური ნააზრევი იმხანად გამოძავალი თითქმის ყველა ქართული ჟურნალისა და გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა შეუზღუდველად, ყველაზე მეტ აქტიურობას ამ თვალსაზრისით მაინც “სამშობლო,” “ჩვენი მეგობარი,” “ჩვენი ქვეყანა,” “სახალხო საქმე,” “სახალხო ფურცელი,” “საქართველო,” “ერთობა,” “საქართველოს რესპუბლიკა” და “ტრიბუნა” იჩენდნენ.

მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან ქართველ ებრაელთა ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების აქტიურად დაწყება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, იგი წარმოადგენდა პირდაპირ გამოძახილს იმ დადებითი პროცესებისას, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობდა აქტიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ებრაელთა ყოფაში. ამ დროიდან მოყოლებული, ებრაელი ხალხი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ძალით იწყებს ბრძოლას ეროვნული ინტერესების დასაცავად და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ამ ბრძოლის გამძაფრებას დიდად შეუწყო ხელი პირველმა მსოფლიო ომამაც.

ქართველი ებრაელობის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაზე, ასევე, კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინეს იმ მოვლენებმაც, რომლებიც იმხანად განვითარდა საქართველოში. კერძოდ, აზროვნების შედარებითმა თავისუფლებამ, მსოფლმხედველობრივად განსხვავებული პარტიების თანაარსებობამ, ქართული მწერლობის, პრესისა და პუბლიცისტის მალაღმა დონემ, ქართველი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე შვილების დიდმა დაინტერესებამ ეროვნული, მათ შორის, ებრაული პრობლემებით და ა. შ.

არც ის ფაქტი ყოფილა შემთხვევითი, რომ პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი “ზმა ებრაელისა” ქუთაისში გამოიცა. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ქართველ ებრაელთა ციტადელად სახელდებულ ამ ქალაქში ებრაელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღიასპორა იყო. და, მეორეც, იმხანად, მეოცე საუკუნის ათიან წლებში, ქუთაისი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ერის სახელოვანი შვილები. ყოველივე ამან, როგორც ითქვა, დიდად შეუწყო ხელი ქართველი ებრაელობის ეროვნულ-ინტელექტუალურ გამოფხიზლებას, რასაც შედეგად 1918 წელს აქ პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემაც მოჰყვა (ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: ა. ნიკოლეიშვილი, 2003, გვ. 185-199).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს იმხანად მოღვაწე ქართველ ებრაელ ავტორთა პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის მასშტაბებზე, აქ მათ არასრულ სიასაც დავასახელებთ (სამწუხაროდ, ჩამოთვლილთაგან ბევრი მათგანის შესახებ ჯერჯერობით იმდენად ცოტა რამაა ცნობილი, რომ ზოგიერთის სახელიც კი უცნობია): დავით ბააზოვი, მიხაკო ხანანაშვილი, იოსებ ხანანაშვილი, გერცელ ბააზოვი, მოშე დავარაშვილი, ნათან ელიაშვილი, მოშე შიმშილაშვილი, იოსებ ელიგულაშვილი, ილია ებრაელიძე,

დიტო კრიხელი, შაფათა რიჟინაშვილი, დანიელ აჯინაშვილი, სტ. ელიგულაშვილი, ე. ელუაშვილი, მ. თავდიდიშვილი, გ. თავდიდიშვილი, ბ. კაკიტელაშვილი, ი. მოშიაშვილი, გ. ფიჩხაძე, ფ. შიმშილაშვილი, ა. ხანანაშვილი და სხვები.

მიუხედავად მეტ-ნაკლებად საგულისხმო იმ დამსახურებისა, რომელიც დასახელებულ ებრაელ ავტორებს მიუძღვით შესაბამისი პერიოდის ქართველი ებრაელების ყოფასთან დაკავშირებულ საჭირობოროტო საკითხთა წარმოჩენის საქმეში ქართული პრესის ფურცლებზე, მათ შორის ლიდერის როლს, უწინარეს ყოვლისა, მაინც დავით ბააზოვი (1883-1947 წწ.) ასრულებდა (დავით ბააზოვის შესახებ უფრო ვრცლად იხ: ა. ნიკოლეიშვილი, 2003, გვ. 3-85).

დ. ბააზოვის აქტიური რელიგიური, საგანმანათლებლო და ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული მის პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან. ქართული კულტურის ისტორიაში ის იმ პირველ დიდ ებრაელ პუბლიცისტად მოგვევლინა, რომლის კვალდაკვალ შემდგომში არაერთი ებრაელი მწერალი და პუბლიცისტი შემოემატა ჩვენს ლიტერატურას.

სამწუხაროდ, ქართველ ებრაელ ავტორთა პუბლიცისტიკის ნიმუშები, რომლებიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს დიდმნიშვნელოვან პირველწყაროებად შესაბამისი პერიოდის ქართველ ებრაელთა ისტორიის შესასწავლად, იმდროინდელი პრესის ფურცლებზეა მიმოხილული და ნაკლებად ცნობილი არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი.

ქართველ ებრაელთა პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ ახალი მასშტაბები შეიძინა საქართველოში გამოცემული პირველი ქართულენოვანი გამოცემების — “ზმა ებრაელისას” და “შაკავეელის” ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გაზეთი “ზმა ებრაელისა,” რომელიც ქართველი ებრაელობის ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების პირველ ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს, 1918 წელს გამოიცა ქუთაისში. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (სულ გამოიცა შვიდი ნომერი), მის ფურცლებზე მაინც მოესწრო დასმულიყო არაერთი მწვავე ეროვნული პრობლემა.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები შინაარსობრივად შეიძლება შემდეგ ძირითად მიმართულებებად დავაჯუფოთ: 1). ზოგადებრაული პრობლემებისადმი. მიძღვნილი წერილები, რომლებშიც საუბარია ებრაელი ხალხის ისტორიასა და თანადროულ ყოფაზე, სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, ანტიემიტიზმზე, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების როლზე ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეში და ა. შ. 2). საგანმანათლებლო ხასიათის სტატიები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქართველი ებრაელობისთვის აუცილებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ებრაელი ხალხის შესახებ. 3). საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საჭირობოროტო პრობლემებზე საუბარი.

1924 წელს, “ზმა ებრაელისას” გამოცემის შეწყვეტიდან ექვსი წლის შემდეგ, ამჯერად უკვე თბილისში, გამოსვლას იწყებს ახალი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი — “შაკავეელი.” მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (გამოიცა სულ სამი ნომერი), “შაკაველმა”

მაინც შეძლო რამდენადმე გამოეხატა ქართველ ებრაელთა ეროვნული მისწრაფებანი და გარკვეული წარმოდგენა შეექმნა იმჟამინდელი მათი ყოფისათვის დამახასიათებელ საჭირბოროტო საკითხებზე.

ქართველ ებრაელ პუბლიცისტთა მიერ გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში დასმულ უმთავრეს პრობლემათა არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ქვემოთ შევეცდები მოკლედ და რამდენადმე განზოგადებული სახით წარმოვაჩინო ხსენებული პერიოდის მათი პუბლიცისტური მემკვიდრეობის უმთავრესი მიმართულებანი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქართველ ებრაელთა რელიგიასთან, სწავლა-განათლებასა და კულტურულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე არაერთმა ქართველმა ებრაელმა გამოაქვეყნა წერილები იმხანად, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ აქტიურობას დავით ბააზოვი იჩენდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღეებიდან მოყოლებული, თავისი წერილებით დ. ბააზოვმა, როგორც განმანათლებელმა, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოცოცხლებისა და ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

ამ თვალსაზრისით დ. ბააზოვის სამომავლო ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის განზოგადებულად წარმომჩენ საპროგრამო პუბლიკაციად ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ გაზეთ “სამშობლოს” 1915 წლის 30 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მისი პირველი პუბლიცისტური წერილი “ებრაელის ამონაკენისი,” რომლითაც მან, ქართველ ებრაელთაგან პირველმა, აქტიურად ცადა მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური უმოქმედობისაგან გამოეყვანა თავისი მოძმეები და ფართო საზოგადოებისთვის ნათლად დაენახებინა მათი ჭირ-ვარამი.

ახალგაზრდა პუბლიცისტის მოწოდება არ გაწბილებულა და მას იმთავითვე მოჰყვა ფართო გამოხმაურება არა მარტო თავად ებრაელთა შორის, არამედ ქართველ მოღვაწეთა შრიდანაც. ამ თვალსაზრისით პირველი ბანძელ ებრაელთა სულიერი ლიდერი დ. აჯიაშვილი იყო, რომელმაც პალესტინელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში “წერილი ონის ებრაელობის რაბინ დ. ბააზოვისადმი” (“სამშობლო,” 1915 წ. №116, 117, 118) დ. ბააზოვის მიერ წამოწყებულ საუბარს კიდევ უფრო ფართო მასშტაბში შესსინა და ახალგაზრდა თანამოაზრის მოთხოვნებს ამ სიტყვებით დაუჭირა მხარი.

ქართველ ებრაელთა მიერ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას მკითხველისთვის სიონიზმთან, პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს აღდგენასა და ანტისემიტოზმთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაც წარმოადგენს. იმის გამო, რომ იმდროინდელი ჩვენი ებრაული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი სათანადოდ არ იყო გარკვეული აღნიშნულ მოვლენათა (განსაკუთრებით კი სიონიზმის) არსში, ეს საკითხები ებრაელ პუბლიცისტთა შორის ხშირად მწვავე პოლემიკისა და დაპირისპირების საგნადაც იქცეოდა ხოლმე.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ის დისკუსია, რომელიც დავით ბააზოვსა და მის მომხრეებს გაუმართეს მათმა მოწინააღმდეგეებმა იმხანად. როგორც ცნობილია, დ. ბააზოვი სიონისტურ მოძრაობაში ადრეული

ახალგაზრდობიდანვე, კერძოდ კი სლუცკის იეშიბაში სწავლის დროიდანვე, ჩაება ძალზე აქტიურად.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ იმდროინდელ ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი სათანადოდ არ იყო გარკვეული სიონიზმის არსში, ბევრი მათგანი არათუ მხარს არ უჭერდა საქართველოს სიონისტთა ლიდერად აღიარებულ ახალგაზრდა ებრაელ მოღვაწეს, არამედ აქტიურადაც ეწინააღმდეგებოდა მას და ჩვენი ქვეყნის ლალატშიც კი სდებდა მას ბრალს. როგორც ხსენებული პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც ნათლად ჩანს, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ქუთაისელ ებრაელთა რაბინი რეუბენ ელუაშვილი და ძმები: იოსებ და მიხაკო ხანანაშვილები აქტიურობდნენ.

გასული საუკუნის ათიანი წლების ქართულ პრესაში ქართველ ებრაელთა შორის საკმაოდ მწვავე პოლემიკის საგნად იქცა მათ ეროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებული პრობლემის განსჯა-განხილვა. კერძოდ, დავით ბააზოვი და მისი მომხრეები პრინციპულად არ იზიარებდნენ და უმკაცრესად აკრიტიკებდნენ ძმების — მიხაკო და იოსებ ხანანაშვილებისა და მათი თანამოაზრეების თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველი ებრაელები ეთნიკური წარმომავლობით ქართველები არიან და ებრაელებს მხოლოდ სარწმუნოებრივად ენათესავებიან. ხანანაშვილების ამგვარ თვალსაზრისს “ებრაელ ნაციონალისტებად” სახელდებული დ. ბააზოვი და მისი თანამოაზრეები “დიდ შეცდომასა და გაუგებრობას” უწოდებდნენ და თავიანთი მხრიდან “ახალგაზრდა ასიმილატორებად” შერაცხულ ძმებს ისტორიის არცოდნასა და გაყალბებაში სდებდნენ ბრალს.

რაც უფრო ახლოვდებოდა 1918 წლის 26 მაისი — ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე — საქართველოს მხარდამჭერ ქართველ ებრაელთა მოქალაქეობრივი აქტიურობა მით უფრო იზრდებოდა. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას გაზეო “საქართველოს” 1917 წლის 13 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ეს ინფორმაციაც ადასტურებს: “14 მარტს ონის (რაჭაში) ებრაელებმა რაბინ დავით ბააზოვის მეთაურობით დ. ონში გამართა ადგილობრივ შეგნებულ ახალგაზრდა ებრაელთა კრება ბ. ა. ჩაჩაშვილის თავმჯდომარეობით. რაბინმა ბააზოვმა დაუსურათა კრებას ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მიუთითა ძმურ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფევს საქართველოში ქართველებისა და ებრაელების შუა. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ექნებათ სრული შვება და თავისუფლება. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიმართოს ქ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტაციას, ... მედგრად დაუჭიროს მხარი სამართლიან ქართველი ერის მოთხოვნილებას, როგორც ტანჯულმა ებრაელის შვილმა თანაუგრძნოს ტანჯულ ქართველ ერს და ამით გააძლიეროს ჩვენში ძმობა და ამხანაგობა”.

ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილთან ერთად, ქართველი ებრაელებიც სიხარულით შეხვდნენ 1917 წლის რევოლუციას, რასაც შედეგად რუსეთის იმპერიის დანგრევა მოჰყვა. გარდა იმისა, რომ ეს მოვლენა რეალურ საფუძველს ქმნიდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, იგი რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ “წვრილ” ხალხებსაც უსახავდა თავისუფალი განვითარების პერსპექტივას. ხსენებულ ისტორიულ მოვლენას იმდროინდელ

ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში ქართველი ებრაელებიც სწორედ ასეთ შეფასებას აძლევენ. მაგალითად, 1917 წლის 27 აპრილს გაზეთ “საქართველოში” დაბეჭდილ სტატიაში თავისი დიდი სიხარული და სამომავლო მოლოდინი დ. ბააზოვმა ამ სიტყვებით ასე გამოხატა: “117 წელიწადია, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. მას შემდეგ იტანჯება... დაჰკარგა თავისი ბედნიერება... ჩვენ, ქართველი ებრაელები, მასთან ერთად და კიდევ უარესად ვიტანჯებოდით... ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველმა ერმა გამოიღვიძა, თავის თავი იცნო და თავისი მამა-პაპის სამკვიდროს ითხოვს... ყველა ჯგუფის პირით გაისმის ავტონომია საქართველოსაო! ეს არის სამართლიანი მოთხოვნილება და თუკი რუსეთის ახალი მთავრობა სამართლიანობას ემსახურება, მან უნდა შეასრულოს ქართველი ერის ეს მოთხოვნილება... ჩვენ, ქართველი ებრაელები, ვალდებული ვართ ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ მას”.

როგორც დ. ბააზოვის მოღვაწეობა ადასტურებს, ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისაკენ თავის მოძმეებს იგი არა მარტო სიტყვიერად მოუწოდებდა, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა ამ მიმართულებით იმხანად განვითარებულ მოვლენებში. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ონელმა ებრაელებმა უშუალოდ მისი ინიციატივით, პეტროგრადში ებრაელ დეპუტატებს: ფრიდმანსა და მის მეგობრებს სპეციალური დეპეშა გაუგზავნეს იმის თხოვნით, “როგორც დაჩაგრული ერის შვილთ, ყოველი ღონისძიებით დაეცვათ ქართველი ერის მოთხოვნილება, რადგან კადეტთა პარტიაში მათი გავლენა დიდი იყო... ჩვენ, — წერდა იგი დეპეშის ბოლოს, — დიდი სიხარულით ველით, რომ საქართველომ ავტონომია მიიღოს! ჩვენ მზად ვართ ქართველ ერთან ერთად ამას თავი შევწიროთ!”

სამწუხაროდ, დ. ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ მათი ოპონენტების ბრძოლა არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამცხრალა და ისინი მათ ამჟერად კიდევ უფრო მეტი აგრესიით დაუპირისპირდნენ. კერძოდ, დ. ბააზოვის მიერ ასიმილატორთა სახელით მონათლული ჯგუფის წევრები ამჟერად უკვე იმაშიც სდებდნენ ბრალს, თითქოს თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ისინი ქართველ ხალხს ღალატობდნენ და მათი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს ქართველებისაგან ებრაელთა ჩამოშორება წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა იოსებ ხანანაშვილი. 1919 წლის 25 ოქტომბერს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნებულ წერილში მან დავით ბააზოვს კიდევ ერთხელ დასდო ბრალი სიონისტობაში და იგი საქართველოს მოღალატედ გამოაცხადა. თავის საპასუხო წერილში (გაზ. “ერთობა,” 1919 წლის 7 ნოემბერი) დ. ბააზოვმა არა მარტო ზოგადად უარყო მის მიმართ წაყენებული ეს უსაფუძვლო ბრალდებები, არამედ კონკრეტული ფაქტებითაც და არგუმენტებითაც წარმოაჩინა მისი აქტიური თანამონაწილეობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში.

იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიული მეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ეროვნულ პრობლემათა კვლევას ან ნაკლებ

ყურადღებას აქცევდა, ანდა იმდროინდელი იდეოლოგიური პრინციპების ზეგავლენით წარმართავდა, ქართველ ებრაელთა პუბლიცისტიკის იმ ნიმუშებს, სადაც მათი ეს პრობლემები იყო დასმული და გაანალიზებული, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. აღნიშნულმა გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა პუბლიცისტიკის ბევრი ნიმუში თითქმის მთლიანად დარჩა მეცნიერული ინტერესების მიღმა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ ებრაელთა მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტიკური წერილების მოძიება და შესწავლა არა მარტო ქართველ ებრაელთა წარსულის კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააზრების საქმეში შეიტანს უაღრესად მნიშვნელოვან წვლილს, არამედ ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების უნიკალურ ისტორიასაც გაამდიდრებს ახალი მასალებით.

დამოწმებული ლიტერატურა

დ. აჯიაშვილი, 1915 - დ. აჯიაშვილი (პალესტინელი), “წერილი ონის ებრაელობას რაბინ დ. ბააზოვისადმი,” გაზ. “სამშობლო,” 1915 წ. №116, 117, 118.

დ. ბააზოვი, 1915 - დ. ბააზოვი, “ებრაელის ამონაკვნესი,” გაზ. “სამშობლო,” 1915 წ. №87.

დ. ბააზოვი, 1916ა - დ. ბააზოვი, “1915 წელიწადი და ებრაელობა,” გაზ. “სახალხო ფურცელი,” 1916 წ. №474.

დ. ბააზოვი, 1916ბ - დ. ბააზოვი, ჩემი პასუხი “არა-ებ-ლს,” გაზ. “სამშობლო,” 1916 წ. №399, 400, 401.

დ. ბააზოვი, 2000 - დ. ბააზოვი, ფურცლები წარსულიდან. ბააზოვების ოჯახი, თელ-ავივი, 2000 წ.

დ. ბააზოვი, 2012 - დ. ბააზოვი, საქართველოს ებრაელთა ისტორიის შრომები, VIII, ებრაელობა. ქართულ-ებრაული ურთიერთობანი. დანიელ ხანანაშვილის არქივში დაცული საქართველოს გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. გამოსაცემად მოამზადეს დ-რმა შალვა წიწუაშვილმა (ისრაელი), დ-რმა გერმონ ბენ-ორენმა (წიწუაშვილმა. ისრაელი), თბ., 2012 წ.

გაზ. “ერთობა”, 1919 წ. №254.

გაზ. “სამშობლო”, 1915 წ. №226; 1916 წ. №366.

გაზ. “საქართველო”, 1916 წ. №117; 1917 წ. №84, 93.

გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1919 წ. №331.

გაზ. “სახალხო ფურცელი”, 1915 წ. №449; 1916 წ. №661, 663.

რ. ენოხი, 2013 - რ. ენოხი (ენუქაშვილი რ.), ფესახის აგადის (პასქის ლეგენდა) ტრადიციული თარგმანი ქართველ ებრაელთა მიერ, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), 2013 წ.

გ. თავდიდიშვილი, 1913 - გ. თავდიდიშვილი, შოთა რუსთაველის ძეგლის აგების საქმე. იხ: გაზ. “თემი,” 1913 წ. №128.

კ. ბ-შვილი, 1905 - კ. ბ-შვილი, წერილი ოდესიდან. იხ.: გაზ. "ივერია," 1905 წ. №205.

ა. ნიკოლეიშვილი, 2003 - ა. ნიკოლეიშვილი, ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, I, ქუთაისი, 2003 წ.

შ. რიჟინაშვილი, 1887 - შ. რიჟინაშვილი, ქუთაისში ახალი სინაგოგის კურთხევაზე. იხ.: გაზ. "ივერია," 1887 წ. №100.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

THE STARTING CHRONOLOGICAL BOUNDARY OF JEWISH JOURNALISTIC-PUBLICISTIC ACTIVITIES

Despite the fact that recently the study of the issues related to the history of the Georgian Jews has become one of the important directions of scientific research, a number of aspects have not been studied at the desired level yet. Apart from pure scientific interests, intensifying works in this direction in order to overcome the deficiencies is supported by good neighborly relations between the Georgian and Jewish peoples that have been formed as a result of their coexistence for twenty six centuries.

Based on the study of the materials published in the Georgian Press it has precisely been determined when the Jewish authors and their publications first appeared on the arena of print media and what key issues were discussed. As it turns out, the first publication was the letter «The Blessing of the New Synagogue in Kutaisi» that was signed by the Jew from Kutaisi_ Shaphata Rizhinashvili published in the 100th issue of the newspaper «Iveria» in 1887. Unfortunately, any other written texts by the Georgian Jews prior to the above mentioned one has not been found. In the Georgian press the next publication by the Georgian Jew was G. Tavdidishvili's correspondence "Concerning the Construction of Shota Rustaveli's Monument", published in the newspaper "Temi" in the issue of June 17, in 1913.

Unfortunately, since then until 1915 any other printed material by Jewish authors has not been published in the Georgian press. From 1915 the situation substantially changes and the correspondence and journalistic letters of the Georgian Jews are regularly published in the Georgian press.

ოთარ ნიკოლეიშვილი

“ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის” ისტორიიდან

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩართვის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მოსახლეობაში, განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, ანტიფაშისტური განწყობილების კიდევ უფრო გაძლიერებას. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენდა “ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის” ჩამოყალიბებაც.

“კომიტეტის” დაარსებაზე საუბარს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ იმ დროიდან იწყებენ, როდესაც მას სათავეში რუსეთის ებრაული სახელმწიფო თეატრის ცნობილი მსახიობი სოლომონ მიხოელსი (Solomon Mikhoels) უდგება, მის წინარე მოვლენებზე კი არაფერია ნათქვამი. სინამდვილეში აღნიშნული ორგანიზაციის სათავეებთან პოლონეთში ებრაელთა სოციალისტური პარტიის (General Jewish Labor Bund in Poland) ცნობილი წევრები: ჰენრიკ ერლიხი (Henryk Erlich) და ვიკტორ ალტერი (Wiktor Alter) იდგნენ. აი, როგორ გადმოგვცემს “კომიტეტის” დაარსების ისტორიას დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield) 2004 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ თავის წიგნში “სტალინი და მისი ჯალათები” (Stalin and His Hangmen): 1939 წლის შემოდგომაზე, ჰენრიკ ერლიხისა და ვიკტორ ალტერის დაკავების შემდეგ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (NKVD) “მათ პოლონეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდო ბრალი და სიკვდილით დასჯა შეუფარდა, თუმცა, მოგვიანებით, აღნიშნული განაჩენი ათწლიანი პატიმრობით იქნა შეცვლილი” (დ. რეიფილდი, 2004, გვ. 381).

ცოტა ხნის შემდეგ კი მათ საერთოდ გათავისუფლება შესთავაზეს, თუკი ისინი სტალინის მიერ 1941 წლის 24 აგვისტოს გამოცემული ბრძანებით შექმნილ ებრაელთა ანტიფაშისტურ კომიტეტს ჩაუდგებოდნენ სათავეში. აღსანიშნავია ისიც, რომ სტალინს ხსენებული კომიტეტის “საერთაშორისო ორგანიზაციად ქცევა ჰქონდა ჩაფიქრებული” (რ. ბრეჟმენი, 2001, გვ. 374). დ. რეიფილდის ხაზგასმით, “სექტემბრის შუა რიცხვებში მათ უკვე გააჩნდათ ოფისი სასტუმრო “მეტროპოლიში” და ახორციელებდნენ თავიანთ მუშაობას ბერიას მიერ მიჩენილი თანამშრომლის უშუალო მეთვალყურეობით. ბერიას ინიციატივით, ერლიხს პრეზიდენტობა შესთავაზეს, ალტერს — მდივნობა, მსოფლიოში ცნობილ ებრაელ მსახიობ სოლომონ მიხოელსს კი — ვიცე-პრეზიდენტობა” (დ. რეიფილდი, 2004, გვ. 381).

ის, რომ აღნიშნული “კომიტეტის” ჩამოყალიბება საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ თავისი მიზნების გამოსაყენებლად სჭირდებოდა, ხოლო ებრაელთა ინტერესების დაცვა—გათვალისწინება არც კი უფიქრია, არაერთხელ გამოჩნდა ამ ორგანიზაციის არსებობის პერიოდში. უფრო მეტიც, ხელისუფლებასთან თუნდაც ერთი შეუთანხმებელი ნაბიჯის გადადგმაც კი “კომიტეტის” ნებისმიერ

როდესაც მან ინიციატივა გამოიჩინა და დაუკავშირდა მოსკოვში პოლონეთის ელჩს — სტანისლავ კოტს, რომელსაც შესთავაზა პოლონელი ებრაელების ლეგიონის შექმნა და საბჭოთა ჯარის მხარდამხარ საბრძოლველად ანდერსის არმიასთან ამ ლეგიონის შეერთება (რ. ბრეკმენი, 2001, გვ. 374).

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ამგვარი ქმედება საბჭოთა სახელმწიფოსთვის ხიფათისა და რისკის შემცველი არ იყო, ბერიამ ალტერი მაინც უშეკერესად დასაჯა იმისა და მიუხედავად, რომ “ელეონორა რუზველტმა და ალბერტ აინშტაინმა 1941 წლის 4 დეკემბერს წერილობით მიმართეს სტალინს კუიბიშევში დაპატიმრებული ერლიხისა და ალტერის გათავისუფლების თხოვნით” (ჟ. შტაინბერგი, 1971, გვ. 424-425). სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ორივე მათგანს ქვეყნის “ღალატის მუხლი შეუფარდა და 1941 წლის 23 დეკემბერს ისინი დახვრეტილ იქნენ... შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი სერგეი ოგოლცოვი მთავრობის კუიბიშევში ყოფნის პერიოდში პირადად ხელმძღვანელობდა დასჯის პროცესს...” (დ. რეიფილდი, 2004, გვ. 382). საინტერესო ფაქტია ისიც, რომ, უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, 1991 წლის 8 თებერვლის დეკრეტით, უკანონოდ სცნო ერლიხისა და ალტერის სიკვდილით დასჯის ფაქტი და მოახდინა მათი რეაბილიტაცია.

სწორედ ერლიხისა და ალტერის სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1942 წლიდან, ხდება სოლომონ მიხოელსი პრეზიდენტი ზემოთ ხსენებული “კომიტეტისა”, რომელიც ამავე დროიდან კუიბიშევიდან მოსკოვში გადადის. ს. მიხოელსის მმართველობის პერიოდი ძალზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ამავდროულად უაღრესად ტრაგიკული აღმოჩნდა ორგანიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1942 წლის 7 აპრილს “კომიტეტი” “აქვეყნებს თავის პირველ მიმართვას “მსოფლიოს ებრაელებისადმი”, რომელსაც ხელს აწერდა 47 ადამიანი, მათ შორის მწერლები, მსახიობები, ექიმები და გერმანელებთან ომში სახელმძღვანელო ებრაელი ჯარისკაცები” (http://rehes.org/prbook/vest13_eak.html). აღნიშნული მიმართვის უმთავრეს სულისკვეთებას, როგორც ეს წყაროებითაც ნათლად დასტურდება, საბჭოთა ჯარისთვის დახმარების გაწევა წარმოადგენდა. ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ ზემოთქმული მიმართვა მხოლოდ ერთჯერად ხასიათს არ ატარებდა და აღნიშნული ტიპის მეორე შეკრება იმავე წლის 24 მაისსაც იქნა გამართული. მესამე ფორუმს კი, რომელიც 1944 წლის აპრილში შედგა, თავად მოსკოვის რაბი სოლომონ შლიფერიც ესწრებოდა. “კომიტეტს” ასევე ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი ტიპის ებრაულ გაერთიანებებთანაც. მაგალითად, ბულგარეთთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, საფრანგეთთან და ა. შ

1942 წლიდან “კომიტეტი” ასევე იწყებს საკუთარი პერიოდული ორგანოს, გაზეთ “ერთობის” (ებრაულად “Eynikayt”) გამოშვებას, რომლის რედაქტორებიც იყვნენ, ცნობილი ებრაელი პოეტი ლევ კვიტო (1890-1952 წწ.) და ჟურნალისტი და ორგანიზაციის მდივანი შახნო ეფშტეინი (1883—1945 წწ). გაზეთის პირველი ნომერი გამოცემულ იქნა 1942 წლის 7 ივნისს (ზოგიერთი წყაროს (www.jewishvirtuallibrary.org – Jewish Virtual Library) მიხედვით კი 6 ივლისს) კუიბიშევში. იგი თავდაპირველად თვეში სამჯერ გამოდიოდა, 1945 წლის თებერვლიდან კი კვირაში სამჯერ. გაზეთის უკანასკნელი ნომერი 1948 წლის 20

ნოემბერს გამოიცა, ანუ ზუსტად მაშინ, როდესაც “კომიტეტმა” ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ებრაელებისათვის მან შეძლო რადიოგადაცემების ორგანიზებაც ებრაულ ენაზე კვირაში ოთხჯერ. ორგანიზაცია, ასევე, აგროვებდა ინფორმაციებს ნაცისტების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე ჩადენილ საშინელებათა შესახებ და აქვეყნებდა მათ როგორც “ერთობაში”, ასევე საბჭოთა კავშირის გარეთ გამოშვებულ სხვა ებრაულ გაზეთებში”.

ის, რომ “კომიტეტი” საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, უმთავრესად იმ ღვაწლმოსილ პიროვნებათა დამსახურება იყო, რომლებიც მისი ნამდვილი წევრები გახლდნენ. 1946 წლისათვის “კომიტეტის” წევრთა რიცხვმა უკვე 70-ს მიაღწია, რომელთაგანაც 19 აღმასკომის შემადგენლობაში შედიოდა.

თუმცა, აქვე, ობიექტურობისთვის, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ზემოხსენებული ღვაწლმოსილი პიროვნებებისა, “კომიტეტში” ასევე მრავლად იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნული ან შეგზავნილი ადამიანებიც, რომელთა პირდაპირ მოვალეობასაც ორგანიზაციის საქმიანობის ყველა დეტალის შესწავლა და გაკონტროლება წარმოადგენდა.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი კონტროლის განხორციელებისა, “კომიტეტის” ქმედითუნიანობასა და მოხერხებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1943 წელს, ს. მიხოელსისა და ი. ფეფერის მეთაურობით, განხორციელდა შვიდთვიანი ტურნე დასავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, აშშ-ში, მექსიკაში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში. აღნიშნული ვიზიტების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის უცხოეთში წარმოება. აშშ-ში ისინი დიდი პატივით იქნენ მიღებულნი ალბერტ აინშტაინისა და მწერალ ბენ-ციონ გოლდბერგის (Ben-Zion Goldberg) მიერ.

საბჭოეთის მხარდამჭერი ყველაზე მასშტაბური აქცია იქნა გამართული აშშ-ში 8 ივლისს, რომელშიც 50 ათასამდე ადამიანი მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ იგი, ფაქტობრივად, წარმოადგენდა პირველ მცდელობას საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში მცხოვრებ ებრაელებს შორის ურთიერთობის განახლებისას, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ იქნა შეწყვეტილი. აღსანიშნავია, რომ “ბენ-ციონ გოლდბერგი თავადაც რამდენჯერმე (1945, 1946 და 1959 წლებში) იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში”. საინტერესოა ისიც, რომ “იგი გახდა პირველი ამერიკელი ებრაელი მწერალი, რომელიც II მსოფლიო ომის შემდგომ ეწვია საბჭოთა კავშირს” (www.jewishvirtuallibrary.org – Jewish Virtual Library).

მიუხედავად იმისა, რომ “კომიტეტის” მიერ განხორციელებული ყველა ზემოხსენებული ღონისძიება საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდას ემსახურებოდა, ხელისუფლება ხსენებული ორგანიზაციის საქმიანობას მაინც ეჭვის თვალთ უყურებდა და მას საფრთხის შემცველად მიიჩნევდა. აღნიშნულის დასტურად დავიმოწმებ მოხსენებით ბარათს, გაგზავნილს 1946 წლის 21 ივნისს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორ მიხეილ სუსლოვისადმი. აღნიშნულ წერილში, რომელსაც “კომიტეტის” პრეზიდენტი ს. მიხოელსი და აღმასკომის წევრი ი. ფეფერი აწერდნენ ხელს,

დეტალურად იყო საუბარი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ხსენებული დოკუმენტით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, თუ რაოდენ აქტიურ და ქმედით ორგანიზაციას წარმოადგენდა “კომიტეტი” მისი არსებობის არცთუ ისე დიდი ხნის განმავლობაში.

საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდის საწარმოებლად “კომიტეტის” ძალზე აქტიურმა მოღვაწეობამ და ამ საქმეში ებრაელთა როლის წინა პლანზე წამოწევის მცდელობამ საბჭოთა ხელისუფლებაში არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია. ებრაელთა დევნა-შევიწროება, რომელიც II მსოფლიო ომის მიწურულს დაიწყო, ომის დასრულების შემდგომ რეპრესიებში გადაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან უშუალოდ ორგანიზაციის წევრთა დევნა-შევიწროება კი ჯერ კიდევ 1947 წლის მიწურულს დაიწყო, როდესაც 28 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ზაქარია გრინბერგი (1887-1949) დააპატიმრეს (<http://old.ort.spb.ru/nesh/jewworld/eak.htm>). რეპრესიული მანქანის პირველი მსხვერპლი კი თავად ორგანიზაციის პრეზიდენტი აღმოჩნდა.

ძალზე საყურადღებოა, რომ, როგორც ერლიხისა და ალტერის, ისე ს. მიხოელსის დახვრეტის ბრძანებაც თავად სტალინმა გასცა, ამჯერად არაპირდაპირი გზით, მოაწყო რა მისი სიკვდილის შემთხვევითობის ინსცენირება. ამ ფაქტის გათამაშება სტალინს კი, ჩემი აზრით, იმისთვის დასჭირდა, რომ განსხვავებით 1941 წლის დეკემბრისაგან, როდესაც “კომიტეტი” არსებობის მხოლოდ რამდენიმე თვეს ითვლიდა, 1948 წლისათვის, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ორგანიზაცია უკვე საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. შესაბამისად, სტალინი მოერიდა საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევას, რასაც შედეგად ს. მიხოელსის გმირად ქცევა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. იმისათვის, რომ მეტი წარმოდგენა შეგვექმნეს აღნიშნული მკვლელობის დაგეგმვისა და განხორციელების დეტალებზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს დ. რეიფილდის ზემოხსენებული წიგნიდან:

“ერლიხისა და ალტერის მსგავსად, ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის ხელმძღვანელებმა 1941 წელს ძალზე ბევრი რამ გაბედეს. სტალინმა გამოსავლის ძიების დროს უპირატესობა საბჭოთა ებრაელობის მკვლელობას მიანიჭა. კომიტეტის პრეზიდენტის — სოლომონ მიხოელსის დაპატიმრების შემთხვევაში, იგი გახდებოდა წამებული, ამდენად სტალინმა მისი მოკვლა გადაწყვიტა... ვიქტორ აბაკუმოვმა (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა 1946-1951 წლებში — ო. ნ.) მოიფიქრა სცენარი: სვეტლანას (საუბარია, სტალინის ქალიშვილ სვეტლანა ალილუევაზე (1926-2011) — ო. ნ.) პირველი ქმრის (გრიგორი მორაზოვის — ო. ნ.) მეგობარს ი. ი. გოლდშტეინს (იგულისხმება, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ისააკ იოსების ძე გოლდშტეინი — ო. ნ.) წამების შედეგად ათქმევინეს, რომ სოლომონ მიხოელსი სტალინის ოჯახის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა ამერიკელებს. აბაკუმოვს დაევალა მიხოელსის ლიკვიდაცია... (1948 წლის 12 იანვარს — ო. ნ.) მიხოელსი, მის მეგობარ (თეატრალურ კრიტიკოს — ო. ნ.) ვლადიმირ გოლუბოვ-პოტაპოვთან ერთად, რომელიც თავის მხრივ მგბ—თვის (სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო — ო. ნ.) მუშაობდა, გაემგზავრა მინსკში. სამმა მთავარმა ჯალათმა: აბაკუმოვის მოადგილემ — სერგეი ოგოლცოვმა, კონტრდაზვერვის თანამშრომელმა შუბნიაკოვმა და ბერიას ახლო

მეგობარმა, ბელორუსიის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელმა ლავრენტი ცანავამ მკვლელობა 13 იანვარს დაგეგმეს. გოლუბოვ—პოტაპოვის მიხოელსის სასტუმროს ნომრიდან გამოყვანა დაევალა. შემდეგ ორივე მათგანი მანქანაში ჩასვეს და ცანავას აგარაკზე წაიყვანეს”, სადაც ისინი მოკლულ იქნენ. შემდეგ კი მათი გვამები გზაზე დააგდეს, რათა აღნიშნული ვანდალური ფაქტი ავტოავარიისათვის დაებრალეზინათ. ცინიზმის უდიდეს გამოვლინებას წარმოადგენდა ისიც, რომ “მკვლევებიც და მსხვერლნიც ორთავენი პატივმიგებულნი იქნენ: ცანავა, შუბნიაკოვი და მგბ—ს მძღოლი მეღლებით დააჯილდოეს; მიხოელსის შესახებ ნეკროლოგი კი პრავდაში იქნა დაბეჭდილი”. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ მიხოელსის გარდაცვალების შესახებ მწუხარება გამოთქვეს და “სამძიმრის წერილი გამოაგზავნეს ალბერტ აინშტაინმა და მარკ ჩაგალმა” (დ. რეიფილდი, 2004, გვ. 440-441).

აღნიშნული შემზარავი ფაქტიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ, 1948 წლის 20 ნოემბერს, “კომიტეტი” უკვე ოფიციალურად წყვეტს არსებობას. თუმცა ამით მის წევრებზე ძალადობა სულაც არ დასრულებულა. პირიქით, 1948—1952 წლებში ამგვარმა ძალადობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია, რომ რეპრესიები შეეხო არა მხოლოდ “კომიტეტის” წევრებს, არამედ ებრაული წარმომავლობის ყველა წარჩინებულ წარმომადგენელს. მთლიანობაში, 1948—1952 წლებში, “შპინონაჟისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით დაპატიმრებულ იქნა ებრაელი ეროვნების ყველა პარტიული მუშაკი, სწავლული, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, მსახიობი... სულ 110 ადამიანი” (<http://old.ort.spb.ru/nesh/jewworld/eak.htm>).

1952 წლის 8 აპრილს კი იწყება სასამართლო პროცესი, რომლის წინაშეც “კომიტეტის” 15 წევრი წარსდგა. ესენი იყვნენ: სოლომონ ლოზოვსკი, იციკ ფეფერი, სოლომონ ბრეგმანი, იოსებ იუზეფოვიჩი, ბორის შიმელიოვიჩი, ლევ კვიტო, პერეც მარკიში, დავით ბერგელსონი, დავით გოფშტეინი, ბენჯამინ ზუსკინი, ლინა შტერნი, ლეონ ტალმი, ილია ვატენბერგი, ემილია ტეუმინი და ჩაიკა ვანტენბურგ-ოსტროვსკაია. აღნიშნული პროცესი იმავე წლის 18 ივლისს დასრულდა. ორგანიზაციის ზემოხსენებული წევრებიდან მხოლოდ ორი გადაურჩა დახვრეტას — ლინა შტერნი და სოლომონ ბრეგმანი. დანარჩენი პიროვნებანი კი 1952 წლის 12 აგვისტოს დახვრიტეს. ეს თარიღი ისტორიაში, ხსენებული ფაქტის გამო, “მოკლულ პოეტთა დამედაც” იწოდება. “სამშობლოს მოღალატე პირთა”, როგორც მათ საბჭოთა უშიშროებამ უწოდა, ოჯახის წევრები და ნათესავები კი იმავე წლის დეკემბრის თვეში გადასახლებულ იქნენ.

რაც შეეხება დახვრეტას გადარჩენილ ლინა შტერნს, მას სამწლიანხევრით შრომაგასწორების ბანაკში ყოფნა და ხუთი წლით გადასახლება მიესაჯა, თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცა. სიკვდილით დასჯას გადარჩენილი კიდევ ერთი პიროვნება — სოლომონ ბრეგმანი კი ციხეში ყოფნის დროს უმძიმესად დაავადდა და იქვე გარდაიცვალა 1953 წლის 23 იანვარს.

ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლინა შტერნის მსგავსად, სტალინის გარდაცვალებისთანავე “კომიტეტის” დახვრეტილ თუ რეპრესირებულ სხვა წევრთა რეაბილიტაციაც მოხდა. კერძოდ, 1955 წლის 22 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ორგანიზაციის წევრებისთვის წარდგენილი ბრალი უსაფუძვლოდ მიიჩნია და საქმე დახურა” (ჟ. რუბენშტეინი,

2001, გვ. 504). 1988 წლის 29 დეკემბერს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ საბოლოოდ დაასრულა “კომიტეტის” ყველა წევრის სრული რეაბილიტაცია.

მოკლედ, ასეთია “ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის” საქმიანობის ზოგადი ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა ორგანიზაციამ არცთუ ისე დიდხანს იარსება, მან მაინც შეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე იმის მხილების პროცესშიც, თუ რაოდენ სასტიკ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა რეპრესიული მანქანა თავად მისი ერთგული მოქალაქეებისთვისაც კი.

1947 წლის მიწურულიდან დაიწყო ორგანიზაციის წევრთა დევნა-შევიწროება საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ამ მოვლენამ განსაკუთრებულად ფართო მასშტაბები შეიძინა 1948-1952 წლებში. თავად “კომიტეტმა” კი ოფიციალურად არსებობა 1948 წლის 20 ნოემბერს შეწყვიტა.

დამოწმებული ლიტერატურა

რ. ბრეკმენი, 2004 - Brackman R, *The secret file of Joseph Stalin: a hidden life*, Routledge, 2001.

დ. რეიფილდი, 2004 - Rayfield D, *Stalin and His Hangmen*, Random House, 2004.

უ. რუბენშტეინი, 2001 - Rubenstein J, *Stalin's Secret Pogrom*, New Haven: Yale University Press, 2001.

უ. შტაინბერგი, 1971 - Steinberg J, *Verdict of Three Decades: from the Literature of Individual Revolt against Soviet Communism: 1917-1950*, Ayer Publishing, 1971.

<http://old.ort.spb.ru/nesh/jewworld/eak.htm>

http://rehes.org/prbook/vest13_eak.html

<http://www.loc.gov/exhibits/archives/m3antfac.gif> Library of Congress

<http://www.library.upenn.edu> – Library of University of Pennsylvania

www.jewishvirtuallibrary.org – Jewish Virtual Library

OTAR NIKOLEISHVILI**FROM THE HISTORY OF “ANTI-FASCIST COMMITTEE OF JEWS”**

After involving the Soviet Union into the world war II, the state government did its best to strengthen the anti fascist attitude in population despite their ethnic origin. Founding “Anti fascist committee of Jews” by Stalin in 1941 was one of the endeavors of this kind. This organization was headed by famous members of Jew social party Henrik Erlikh and victor Alter in Poland.

In 1942 the president of “committee” became the famous actor of the state theatre of Jews in Russia Solomon Mikhoels, the governing period of him turned to be the most various, interesting and at the same time tragic for organization. In 1942-1948 the organization had its periodic authority the newspaper “Unity”, directed by Lev Kito and Shakhno Epshtein. The committee had relations with Jew organizations of the same type from Bulgaria, Poland, Czech Republic, France.

For Jews living in the USA and Great Britain the “Committee” managed to organize radio transmission in Jewish language four times a week, in 1943 seven month tour was embodied in western countries, in USA, Mexico, Canada and Great Britain headed by S. Mikhoeli and I. Peperi.

From the last period of 1947 Soviet government started persecution of organization members. This occasion became wide in the years of 1948-1952 . As for the “committee” itself was abolished in November 20, 1948.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ლარგვისის მონასტრის 1470 წლის ტიპიკონის
რობიერთი ენობრივი თავისებურება

სოფელი ლარგვისი მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში, მარცხენა მხარეს, ხოლო მონასტერი მარჯვენა მხარეს ქსნისა და ჭურთის წყალს (ჭურთულა) შესართავში.

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით "...არს მონასტერი ლარგვისი, წმინდა თევდორესი. აღმოსავლეთ უდის ქსანი, სამხრით ჭურთისწყალი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა" (ვახუშტი, 1997).

"აღწერაში" ჩანს მონასტერი და არა სოფელი ლარგვისი, რომელიც შესაძლებელია იქვე იყო მონასტრისა და ციხე-სიმაგრის ახლოს. აქ ახლაც არის ნანგრევები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების კვალზე მიუთითებს.

ლარგვისი, რომელიც მთისა და ბარის შესაყარზე მდებარეობს, ქსნის ერისთავების რეზიდენცია იყო საუკუნეების განმავლობაში. შემდგომ, მეთექვსმეტე საუკუნიდან ერისთავებმა რეზიდენცია ლარგვისიდან ახალგორში გადაიტანეს, სადაც დიდი თავდაცვითი კომპლექსი და სასახლე ააგეს.

ლარგვისის მონასტრის აშენებას აღნიშნავს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეიანე "ძეგლი ერისთავთა", თითქოს "როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისის VI საუკუნეში და განასრულა, შეამკო ყოვლითურთ ეკლესია"; აღნიშნულ ცნობებს მკვლევრები უარყოფითად ეკიდებიან.

წყალდიდობას ძეგლი დაუზიანებია და, ისევ "ძეგლი ერისთავთა" მიხედვით, იოანე ერისთავს აუშენებია. შემდგომ კი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შალვა ქვენიფნეველს განუახლებია, რაც მოთხრობილია მის მიერ დაწერილ ტიპიკონში. "შე მინდობილმან თქვენმან ქვენიფნეველმან ერისთავმან შალვა ვიგულისმოდგინე შემდგომათ ჩემთა ჩამომავალთა ერისთავთა და ხელგყავ მათგან სასოებით აშენებულსა საუკუნოსა სამკვიდრებელსა, საძვალესა ჩვენსა მონასტერსა ლარგვისისა რომელი პაპათა, მამათა და ჩამომავალთა ჩვენთა აღეშენა და ყოვლითურთ უნაკლო შეემკო... დავაწერინე ახალი საულ-დავითი და საწინასწარმეტყველოდ ერთ წიგნად" (შეწირულობის წიგნი, 1470).

როგორც ჩანს, არამართო ქსნის, არამედ სხვა ხეობებში მდგარი ეკლესია-მონასტრები იყო თავისებური ტიპის ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულები, რომლებიც სათავადოებში შედიოდნენ და წარჩინებულ პირთა საძვალეა. არაერთი მაგალითი არის იმისა, როცა თავადი ან ერისთავი მონასტერს ტიპიკონს უდგენდა და მათ შორის შალვა ქვენიფნეველი, რომელმაც თავის მიერ განახლებულ ლარგვისის მონასტერს ტიპიკონი შეუდგინა და დაუმტკიცა 1470 წელს. ერისთავი წერს: "და განუჩინეთ ესე რომე ნურცა ვინ იკადრებს შულს სიძვასა, პარვასა, ანუ ღალატისა მოგონებასა, ანუ მღვდელთა, მონაზონთა, დედაბერთა უპატიობასა" (შეწირულობის წიგნი, 1470).

ლარგვისი დიდი კულტურული ცენტრი ყოფილა. ამ დროისათვის იქ მოღვაწეობდა ავგაროზ ბანდაისძე, რომელიც რამდენიმე ხელობას ფლობდა და ამშვენიერებდა მონასტერს. იგი მიჩნეულია ერისთავთა საგვარეულო მატთანის "ძველი ერისთავთა" ავტორად. ეს მნიშვნელოვანი მატთანე სწორედ ამ მონასტერშია დაწერილი 1348-1400 წლებში.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის, როგორც საეკლესიო-დოგმატური სტილის რღვევა მეთორმეტე საუკუნიდან იწყება. შემდგომ საუკუნეებში სალიტერატურო ენის ძირითადი ნიშანი არის ხალხურობა. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა სიჭრელე რაც კარგად გამოჩნდა ლექსიკაში, ენის სტრუქტურაში.

როგორია ამ ბრწყინვალე ძეგლის ორთოგრაფია?

ცნობილია, რომ ძველ ქართულს, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, მოეპოვება რამდენიმე ასო-ბგერა, რომლებიც დიდხანს შემორჩა ქართულ ორთოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ შეესაბამებოდა ხსენებულ მეთხუთმეტე და შემდგომი დროის ფონემატურ სისტემას, მიგვაჩნია, რომ სამი სტილის თეორიამ და სხვა მიმდინარეობებმა ხელი შეუწყო მათ შენარჩუნებას. ცნობილია, რომ ორთოგრაფიის გამარტივებაში დიდი წვლილი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც ბრძოლის გადატანა მოუხდა ძველ თაობასთან.

ძველი ორთოგრაფიის ნიმუშებიდან აღსანიშნავია *ჟ* (იოტა) ბგერა, რომელიც გვხვდება ბრუნებად და უღლებად სიტყვებში როგორც ხმოვნის წინ, ისე შემდგომ, როგორც სიტყვის თავში ისე ბოლოში. მაგალითად: დაუჭკნობელი წყაროდ უკვდავებისაჟ; სიბრძნე კაცთაჟ და რიტორობაჟ; მონასტერი ესე საუკუნოჟ; საეშმაკოჟსა დახსნილსა; ღვაწლითა წამებისაჟთა; ეკლესიაჟ ნათლისმცემლისაჟ...

რადც ეკლესიისა შემკობილობაჟ; მაშინღა გადბრჭობოდენ; უბატობაჟ დადბრჭობოდეს; რადგინღა უმართლე იყოს და სხვები.

ტიპიკონში ორი ერთნაირი ბგერა ხმოვანი და თანხმოვანი ჩვეულებრივია, რომ ერთად იყოს: სამებისა წმიდისსა, ქადაგსა მეუფისსა, სანთელს წინააღნთებულისა (გვ. 126); თქვენ გადაახდევინეთ (130); მისი სისხლი გაცუდღეს და მოკლულსა დაურუდღეს (გვ. 131).

ამ ბგერათაგან ერთი მაწარმოებელია ან ნაწილია ზმნისწინისა. ეს მოვლენა გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც და მიზეზი შეიძლება იყოს "ძველი და ახალი ქართულის საერთო ენობრივი საფუძველის ვარიანტები და არა სხვადასხვა საფუძველისა" (ა. ჩიქობავა, 1952).

ტიპიკონში მართალია გვხვდება *ჟ* (ეი), მაგრამ სულ რამდენიმე შემთხვევაა: შუჭლად (შველად), ქუჭნიფნეველი, არასუჭითი - არასეთი (გეოგრაფიული სახელი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოტა არის უმარცვლო ი, რომელიც წარმოითქმის ენის შუაწელის მიახლოებით სასასთან. ეს მიახლოება ჰაერისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს, მაშინ ის სპირანტად იქცევა და თანხმოვანია. ასეთი თავისებურების გამო მას ნახევარ ხმოვანს უწოდებენ (აგ. შანიძე, 1976).

გ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ქართულში ისტორიულად ჭარბობს დამავალი დიფთონგები, რომლებიც დიფთონგის უმარცვლო ნაწილად არის გამოყენებული უმრავლეს შემთხვევაში (გ. ახვლედიანი, 1949).

მართალია, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში **ღ** გრაფემა აღარ იხმარება, მაგრამ ქართულურში, ქსნის და არაგვის ხეობების მეტყველებაში დღესაც შენარჩუნებულია.

ტიპიკონში ხშირია ემფატიკური **-ს** გამოყენების შემთხვევები ძირითადად მიცემით და ნათესაობით ბრუნვებთან: პატივი ეცით ჩვენსა საძვალესა, საუკუნისა აღდგომისა მოსალოდებელსა (გვ. 130).

უკეთესისა სულმყალისა, ვეშაპისა შემმუსვრელისა, ძოძეულისა ბრწყინვალისა, შემმოსელისა მენავეთა თანამოგზაურისა, ჭირველთა შემწესა დიდისა მეფისა (გვ. 128).

ტიპიკონში სისტემატურად იხმარება მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა: ღმერთ**მან** და ნათლისმცემელ**მან** ქრისტეს**მან** და წმინდან**მან** მოწამე**მან**, ღმერთ**მან** უტყუელ**მან** (გვ. 130). მე მინდობილ**მან** თქვენ**მან** მსასოებელ**მან** ქვენიფნეველ**მან** ერისთავ**მან** შალვა ხელყავ მათგან აღშენებულსა საუკუნოსა საძვალესა ჩვენსა მონასტერსა ლარგვისსა (გვ. 128). ტიპიკონის ავტორი **მან** დაბოლოებიან ფორმას უპირატესობას ანიჭებს მის გამარტივებულ **მა** სახეობასთან შედარებით, ეს, ალბათ, **კეთილზმოვანების** გამო და იმდროინდელი ნორმების გათვალისწინებით.

ტიპიკონში **ნარ-თანიანი** მრავლობითი ერთგვარი გამოვნილებაა, რადგან ის ძველ ქართულში გაბატონებული იყო, ხოლო **-ებიანი** შედარებით იშვიათად გვხვდებოდა, მაგალითები: შემოვავლენ ზღუდე**ნი**, აღვაშენენ ტრაპეზ**ნი**, მოვაწყვენ ჩარდახ**ნი**, შევხურენ სიპითა, აღვაშენენ მარან**ნი**, ჩარდახთა წინაით, მოვაწყვენ ჭურებითა, მოვჭედენ კარნი კოშკისა**ნი** და ზღუდისა**ნი**, აღვაშენე ზღუდისა კართა ზედა სამრეკლოდ, დავხურე სიპითა, დავდგენ ბედელ**ნი** (გვ. 198). აღვაშენენ სოფელნი, მეჭუდის ხეც სოფელ ახალუბანი, შემოუკრიბენ მამულ**ნი**, გაუჩინენ სავენახე**ნი** (გვ. 129).

ასეთი ფორმების გამოყენება ტიპიკონში არის ნორმა, რომელიც სტილისტური მოთხოვნითაც არის გამოწვეული. **-ებიანი** მრავლობითი ორჯერ არის გამოყენებული: **ჭურ-ჭურები**.

ზმნისწინები გვხვდება როგორც ძველი, არქაული ფორმით, ისე გამარტივებულად: აღვაშენე, აღვაშენენ, განვადიდე, აღმიშენებიან, განუჩინეთ (გვ. 130).

არქაიზმები ვლინდება თანდებულების გამოყენებაში: მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი, მონასტერსა შინა, მამულსა შინა..., რომლებიც რამდენჯერმეა ტექსტში გამოვრებული.

გან თანდებული გამოყენებულია ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში: მისგან, რომლისაგან, ადამისითგან, კაცისაგან, გაბრიელისაგან, ჩამომავალთაგან, ხელისუფალთაგან...

ტიპიკონში რამდენჯერმეა გამოყენებული **-ით** სუფიქსიანი ფორმები: ჭლებით, ღმრთისით, სოფლით... ასეთი მოქმედებითი ბრუნვა ძველ ქართულშია გამოყენებული, რაც ნიშნავდა სოფლიდან. ახალ ქართულში კი გამოყენებულია გარკვეულ კონტექსტებში.

ტექსტში ხშირად გამოყენებულია **და** კავშირი: ოხერი აღვაშენე და ზვარი, ასევე **თუ** კავშირი. ასევე გვხვდება **“რომე“** არქაული კავშირი: განუჩინეთ ესე რომე, ითქუმოდეს ამას რომე, გაეგლინებოდეს რომე...

ტიპიკონი არის უკვდავი ძეგლი, რომელიც ჩვენი ისტორიის მატიანეა; მან შემოგვინახა ჩვენი წარსულის მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული ფაქტი, ენობრივი მოვლენები და ყოველივე ის ნიუანსი, რომელიც დღესაც არის

გამოყენებული საერთო ქართულ ენასა და დიალექტში, რაც სამომავლოდ კიდევ გახდება კვლევის ობიექტი.

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
 ვ. ბაგრატიონი, 1997 - ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეორგაფია, თბ., 1997.
 ს. შაკალათია, 1968 - ს. შაკალათია, ქსნის ხეობა, თბ., 1968.
 ქართული მწერლობა, 1988 - ქართული მწერლობა, ტ. V, შეწირულების წიგნი შალვა ქვენიფხველ-ერისთავისა ლარგვისისადმი, 1470, თბ., 19
 ა. შანიძე, 1976 - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
 ა. ჩიქობავა, 1952 - ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

NIKOLAZ OTINASHVILI

SOME LANGUAGE PECULIARITIES OF TYPICONS OF LARGVISI MONASTARY MADE IN 1470

The village of Largvisi is situated on the left side of Ksani Gorge and the Monastary itself on the right side. The village was the residence of the Ksani Eristavis for ages and then since the 16th century the Eristavis moved their residence to Akhlagori where a big defense complex was built.

Largvisi Monastery was restored for a few times and among them it was in fact newly-rebuilt by Shalva Kvenipneveli, who made typicons (regulations) and confirmed it in 1470. What is the orthography of this wonderful document like? From the old orthographical model we can distinguish ð (jota), ñ (ei), which are used in the text. We can often meet emphatic –a mainly in the possessive case. Archaic endings such as gmertman, eristavman etc are widely used throughout the text.

We can often see the plurals ending by nar which was dominated in old Georgian for example: zgureni, chardakhni, trapezni and the plural names ending by eb are used only twice. In the typicons we can meet various kinds of verbs as the old ones as well as the archaic ones with simplified forms like ganvadide, davakhatvine, davaskveni and so on.

There are widely used old and new conjunctions and prepositions.

Typicon is an immortal document which is the part of our history and language and it will always be the research object.

ნათია სვინტრაძე

ებრაელები ირანში

ებრაელები ირანში ძვ.წ. VIII საუკუნიდან ცხოვრობენ. ებრაელთა აჯანყების შემდეგ (ძვ. წ. 721 წელს ასურელებმა დაიპყრეს ისრაელი, 683 წელს კი იუდეა) ისინი მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ. ირანში ისლამურ რევოლუციამდე ებრაელთა რაოდენობა 80 ათასს აღწევდა. დღეისათვის კი მათი რიცხვი 25 ათასს აღემატება. ირანის ებრაული თემის მოსახლეობის აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმინი - “ირანელი ებრაელები“, რომელიც ზშირად გამოიყენებოდა ავღანეთის და ბუზარის (უზბეკეთი) ებრაელებთან მიმართებით. XVIII საუკუნეში ირანის, ავღანეთისა და შუა აზიის ებრაელები ფაქტობრივად ერთ თემს მიეკუთვნებოდნენ, რომლის დაშლა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა. რიგი პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ებრაელთა შორის კავშირი შესუსტდა.

ებრაელები საუბრობენ დიალექტზე - ჯიდი, რომელიც წარმოადგენს სპარსულის, არამეულისა და ივრითის ნარევის და ივრითზე. ირანში ებრაული თემები არსებობს თეირანში, ისპაჰანში, შირაზში, იეზდში, ქერმანში, მეშჰედში და ა.შ.

ირანელი ებრაელები ცხოვრობენ არა მხოლოდ ირანში, არამედ, ისრაელში, აშშ-ში, ავსტრალიაში. ირანელ ებრაელთა საერთო რაოდენობა 350 ათასს აღწევს.

ირანელ ებრაელთა სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, ირანის პოლიტიკური ორიენტაციისა თუ მმართველთა პირადი სურვილების შესაბამისად.

დღევანდელ ირანში ეთნიკურ ებრაელებს არა აქვთ უფლება, დაიკავონ მაღალი სამხედრო თანამდებობები, თუმცა, მათ მტრულ სახელმწიფოში - ისრაელში მოგზაურობის უფლებას აძლევენ. ირანელ ებრაელებს მეჭლისში ერთი წარმომადგენელი ჰყავთ.

ნათია სოინტრადზე يهوديان در ايران

جمعیت یهودیان ایران در حال حاضر حدود سی هزار نفر برآورد می‌شود که قسمت عمده آن در تهران و شهرهای شیراز، اصفهان، کرمانشاه، یزد، کرمان، رفسنجان و بروجرد و بطور پراکنده در سایر شهرهای ایران زندگی می‌کنند. یهودیان ایرشی به زبان‌هایی ایرانی که در زیر شاخه زبان‌های ایران مرکزی جای دارند صحبت می‌کنند مانند گویش کلیمیان اصفهان، گویش کلیمیان یزد، راجی در همدان و گویش کلیمیان کاشان. تعداد یهودیان ایرانی، ۳۰۰ تا ۳۵۰ هزار نفر است که هم اکنون ۲۵۰ هزار نفر از آنها در اسرائیل، ۸۰ هزار نفر در آمریکا زندگی می‌کنند. گفتنی است که بنابر آمار موجود بیش از ۱۳۵،۰۰۰ ایرانی تبار در کشور اسرائیل زندگی می‌کنند که بسیاری از آن‌ها با وجود سال‌ها زندگی در اسرائیل، هنوز ایران را وطن و کشور نخستین و واقعی خود می‌دانند؛ و بر گفته صدای اسرائیل در حدود ۲۵۰،۰۰۰ ایرانی و ایرانی زاده در اسرائیل زندگی می‌کنند. منظور از ایرانی و ایرانی زاده ایرانیانی که فرزندان آنها نیز با اتباع سایر کشورها ازدواج کرده‌اند نیز هست.

قابل توجه است که موشه کاتساو هشتمین رئیس جمهور کشور اسرائیل، نمونه‌ای از ایرانیان موفق در کشور اسرائیل است. وی که در شهر یزد در ایران و از یک خانواده کلیمی ایرانی متولد شده و در کودکی به همراه خانواده اش اسرائیل مهاجرت کرده، اولین ایرانی تباری در تاریخ ایران است که توانسته در پروسه و روند دموکراسی و انتخابات آزاد به بالاترین مقام سیاسی در کشوری جز ایران نایل آید (۲). سابقه حضور یهودیان در ایران نزدیک سه هزار سال پیش شروع می‌شود. مهاجرت‌های اجباری یهودیان از اسرائیل به آشور، بابل و بخش‌های غربی و مرکزی ایران در طی چند دوره متوالی. اینان در طول تاریخ با دیگر ایرانیان ارتباط تنگاتنگ فرهنگی و دینی داشته‌اند به طوری که در سیاهکل یهودیان در ماه رمضان همراه با مسلمانان روزه می‌گرفتند و در کردستان در مراسم صوفیان شرکت می‌جستند. یهودیان در زندگی فرهنگی ایران حضور فعال داشته‌اند و برای خود هویت ایرانی قائل هستند.

یهودیان در سرزمین ایران فعلی از ۲۷۰۰ سال پیش زندگی کرده‌اند. اولین مهاجرت آنها به ایران از زمان شلمنسر پنجم و تسلط او بر پادشاهی شمالی اسرائیل و اخراج یهودیان به سمت خراسان است. در ۵۸۶ قبل از میلاد، بابلیان بر یهودیان چیره شدند و آنها را در بابل به اسارت گرفتند. یهودیان ایران معمولاً فقط در جوامع خود زندگی می‌کردند. یهودیان ایران قدیم امروزه جزئی کوچکتر از یهودیان کشورهای ایران بزرگ نظیر افغانستان، آذربایجان، شال هند، قرقیزستان، تاجیکستان، ترکمنستان و ازبکستان هستند. بعضی از این جوامع از جوامع دیگر به دور بودند و با آنها در

ارتباط نبودند. در زمان اوج قدرت امپراتورى هخامنشى، تخمين زده مى شود كه يهوديان حدود ۲۰ درصد جمعيت ايران را تشكيل مى دادند. وضعيت سياسى و اجتماعى يهوديان ايران در طول قرن ها تغيير مى شد بر اساس گرايش هاى سياسى و آرزوهاى شخصى حاكمان ايران. در زمان كورش بزرگ، يهوديان اجازه يافتند به سرزمين اسرائيل كه بخشى از امپراتورى هخامنشى شده بود، بازگردند و معبد خود را بازسازى كنند. اما گروهى از آنها در ايران ماندند و آزادانه دين و فرهنگ خود را حفظ كردند. اين روايت روادارى كورش نسبت به يهوديان در عهد عتيق از كتاب مقدس آمده است و يهوديان جهان به همين دليل او را يكي از ناجيان قوم خود مى دانند.

در دوران اسلامى عمده ترين مراكز سكونت يهوديان در عراق و شهرهاى همانند سورا، پومبديتا و تيسفون و پس از آن در شهرهاى ايران از جمله همدان، نهاوند، جندى شاپور، شوش، تسر و مناطقى چون قهستان و جرجان بود. يكي ديگر از نواحى يهودى نشين محلى به نام يهوديه در سرزمين اصفهان بود كه بلاذرى به قرارداد صلحى كه در فتح اصفهان در يهوديه بسته شد اشاره کرده است.

پس از اسلام يهوديان نيز مانند ديگر اقليت هاى دينى مجبور به پرداخت جزيه بودند. گرچه قوانين محدود كننده اى همانند ممنوعيت ساخت كنيسه، اجبار به کوتاه بودن كنيسه ها از مساجد، حمل نكردن سلاح و پوشيدن لباس هاى خاص گاه گاه به صورت پراكنده درباره يهوديان اجرا مى شد اما با اين حال وضع يهوديان در حكومت اسلامى بسيار بهتر از وضعى بود كه در امپراطورى بيزانس داشتند.

در دوران غزنويان و سلجوقيان رشد جامعه يهودى ادامه يافت به صورتى كه بسيارى از ايشان به دربارهاى اين حكومت ها راه يافتند از اين جمله مى توان از اسحاق نامى كه در دربار محمود غزنوى مامور اداره معادن سرب بلخ بود و همچنين چندين يهودى كه در دستگاه خواجه نظام المللك به امور ديوانى مشغول بودند را نام برد. در يورش مغول يهوديان نيز مانند ديگر ايرانيان آسيب هاى فراوان ديدند اما از ميان رفتن مرزهاى دينى در اين دوره به ايشان فرصت شركت فعالانه در امور حكومت را داد تا جايى كه در دوران سلطنت ارغون شاه فردى به نام سعدالدوله به منصب وزارت دست يافت. در دوره جانشينان ارغون شاه جزيه دوباره برقرار شد و يهوديان مورد تعقيب آزار و تاراج قرار گرفتند. تيمور نيز به قول ابن عربشاه دستور داد مسلمان و اهل زمه را يكسان تباه سازند (۳).

در دوران خلفاى راشدين و پس از آن در دوره امويان و عباسيان، يهوديان دوره جديد از حيات فرهنگى و اجتماعى را آغاز كردند. در اين دوره رهبرى سياسى و اجتماعى يهوديان بر عهده شخصى به نام راس جالوت بود كه توسط دستگاه خلافت به رسميت شناخته مى شد. راس جالوت از ميان يكي از روساى مدارس مذهبى شهرهاى پومبديتا و سورا كه به گائون يا غائون معروف

بودند انتخاب می‌شد. یهودیان ایران علاوه بر پرداخت جزیه به گائون اعاناتی هم برای او می‌فرستادند و در مقابل گائون قضات و روحانیون یهودی را برای اداره جوامع و اجرای شعائر به این مردم گسیل می‌کرد. همین فرستاده‌ها باعث شدند که همدان و اصفهان در قرن ششم هجری به مراکز عمده فرهنگی یهودیان تبدیل شوند.

در دوران صفویان که مذهب رسمی ایران «تشیع» اعلام شد، یهودیان بیش از هر زمان دیگری در مضیقه و در معرض تبعیض قرار داشتند. شاه عباس از زمانی که پایتخت خود را از قزوین به اصفهان انتقال داد، بر شمار مأموران خارجی بیش از پیش افزوده شد و نتیجه آن که وجود فزون از شمار این مأموران سبب گردید تا روز بروز بر کار ترویج مسیحیت و بیدار ساختن نفرت بر علیه یهودیان و عثمانیان افزوده گردد، و طولی نکشید که نفرت و انزجار نسبت به پیروان حضرت موسی سر تا سر کشور و در بار را در خود گرفت و در نتیجه کار و کسب آنان تعتیل و فقر و بیچارگی مردم آنان گشت که با انتشار کتاب «جامع عباس» این تشنج خانان‌سوز به اوج خود رسید. در حالی که جوامع مسیحی مستقر در ایران، هر روز امتیاز تاره ای بدست می‌آوردند و پایگاه استوارتری می‌یافتند تا جایگاه مبلغان آنان حتی شاه را نیز دعوت به ترک دین خود و پیوستن به عیسویت می‌نمودند و شاه متظاهر و ساده اندیش و نا آگاه از سیاست پشت برده بین المللی نیز با آنان هم آوازی نموده، در تقویب عیسویت اورپایی و تضعیف یهودیان ایران کوشش بسیار من کرد و برای خوشایند کشیشان عربی مقیم ایران، از ابراز انزجار نسبت به کلیمیان، کوتاهی نمی‌کرد، بطوریکه بنا به نوشته یکی از سیاحان اسپانیایی در دربار شاه عباس، وی به کشیش اسپانیایی می‌گوید: «... نیز خوانده ام که چگونه یهودیها او را (عیس را) به خاج (صلیب) کشیدند و به این جهت است که من از آن ملت این قدر کراهت دارم و تا این دقیقه یک تن از آنها را نگذاشته ام که در کشور من ساکن شود» (۱).

بر مبنای چنین اندیشه و سیاستی، نظر خوبی نسبت به رعایای یهودی خود در ایران نداشت و آنان را به بهانه های مختلف می‌گشت، گاه به بهانه جادوگیری آنان را به دار می‌آویختند، و زمانی به جرم دغانویسی ایشان را در مقابل سگهای آدم خوار می‌انداخت.

از شاه عباس کبیر که بگذریم، دیگر شهزادگان صفوی نیز نسبت به هم وطنان کلیمی خود نظر خوشی نداشته اند و و هنواره بدیشان به چشم تنفر و بدبینی می‌نگریستند، مگر شاه عباس دوم که در زمان فرمانروایی وی تقریباً آزار یهودیان بطور موقت قطع گردید اما پس از در گذشت وی، دیگر باره تیره روزی آنان آغاز شد که تا ایان سلسله صفوی ادامه یافت (۱).

دوره حضور افغانیان در ایران برای مسلمانان ایران و هم برای ایرانیان یهودی شورهختی بوده. تا عهد نادری و کریم خانی که در آن هوقت، چون تا اندازه ای از

ნფოჯ დ دخالت سياستهاي خارجي در ايران كاسته شده بود و دست مردم فريبان روحاني نماي داخلي نيز کوتاه شده بود، كليميان ايران نيز مانند هم ميهنان مسلمان خود، نفسي كشيده و چند صباحي زيستند، ولي باز هم، با ظهور سلسه بيگانه تبار قجر در ايران، دري از دوزخ به روي مردم ايران گشوده شد كه جمعيت چهل ميليوني ايران به ۶ تا ۹ ميليون تقليل يافت و تعداد زرتشتيان ايران به هشت هزار تن كاستي گرفت و يهوديان تهديد به انقراض شدند و بطوري كه پولاك نوشته است، تعداد آنان به هزار خانوار رسيد. و ديگر اقوام ايراني نيز روز گاري بهتر از ديگران نداشتند .

در دوران قاجر زندگي يهوديان ايران چنان تنگ بود كه بيشتاري از آنان را وادار شدند كه زادگاه چند هزار ساله خود را ترك كنند و بكشورهاي هم جوار بگريزند. جمعيات يهوديان در ايران به بيست هزار تن کاهش داد. آن تعداد از يهودياني كه در روستاهاي دورافتاده مستقر بودند، زندگي آرام و راحتري را طي مي نمودند تا آنان كه مقيم شهرهاي بزرگ چون تهران، همدان، اصفهان و تبريز بودند (۶).

در دوران مغول يهوديان نيز مانند ديگر ايرانيان آسيبهاي فراوانديدند اما از ميان رفتن مرزهاي ديني در اين دوره به ايشان فرصت شركت فعالانه در امور حكومت را داد تا جايي كه در دوران سلطنت ارغون شاه فردي به نام سعدالدوله به منصب وزارت دست يافت. در دوره جانشينان ارغون شاه جزيه دوباره برقرار شد و يهوديان مورد تعقيب آزار و تاراج قرار گرفتند. تيمور نيز به قول ابن عربشاه دستور داد مسلمان و اهل زمه را يكسان تباه سازند.

در زمان سلطنت رضاشاه پهلوي و محمد رضا شاه پهلوي به تدريج وضع اجتماعي يهوديان در ايران بهبود يافت. بعد از انقلاب ۱۳۵۷ موجي از مهاجرت در ميان يهوديان ايران آغاز شد و جمعيت ۸۰ تا ۱۰۰ هزار نفری آنان به مرور کاهش يافت و اکنون به کمتر از ۲۵۰۰۰ نفر رسیده است. بيشتري مهاجران يهودی ايراني كه بعد از انقلاب ايران را ترك كردند در كاليفرنيا و نيويورك در آمريكا ساكن شدند و گروهی نيز در اسرئيل و اروپا. شهردار بورلي هيلز در شمال لس آنجلس اکنون (۲۰۰۷) يك يهودی ايراني تبار است كه سالها پيش از انقلاب به آمريكا مهاجرت کرده بود. بخش مهمی از جمعيت اين محله اعيان نشين را كليميان ايراني تبار تشكيل مي دهند.

در زمان تشكيل کشور اسرئيل حدود ۱۴۰۰۰۰ تا ۱۵۰۰۰۰ نفر يهودی در ايران ساكن بودند. بيشتري از ۸۵ درصد اين افراد به اسرئيل و يا آمريكا مهاجرت كردند. در بين يهودياني كه در ايران ماندند بسياري هويت يهودی خود را از دست دادند و تعداد زيادی به حزب توده و ديدهگامهاي كمونيستي كشيده شدند. در حين انقلاب ايران بسياري از يهوديان ايراني نقش موثري در سرنگوني حكومت شاه داشتند. اين يهوديان بر خلاف نظر بزرگان قوم خود، به انقلاب ملحق شدند. آنها آرزو داشتند كه هويت ايراني سكولار خود را از دست دهند و در جامعه ايراني به صورت بهشتي كه انقلاب وعده مي داد حل شوند. وليكن بعد از

انقلاب اسلامی مهاجرت یهودیان از ایران شدت یافت و جمعیت یهودیان از ۱۰۰۰۰۰۰ به ۴۰۰۰۰۰ نفر کاهش یافت. در اوائل انقلاب یکی از تجار یهودی به نام حبیب القانیان که رهبر جامعه یهودیان بود دستگیر شده و به جرم فساد، ارتباط با اسرائیل و صهیونیسم، دوستی با دشمنان خدا و امپریالیسم اقتصادی اعدام شد. او یکی از ۱۷ یهودی است که از زمان انقلاب تاکنون به جرم جاسوسی اعدام شده‌اند. در زمان جنگ ایران و عراق تمامی اقلیتهای دینی رسمی به غیر از یهودیان در میدان جنگ استفاده شدند. یهودیان در تامین منابع مالی و تهیه تراکتور و دستگاههای سنگین نقش داشتند. تنها در سال ۱۹۸۶ دولت ایران از یهودیان در میادین جنگ استفاده کرد. قوانین اعزام به جنگ برای مردان در ایران به یهودیان اعمال نشد. یهودیان در سالهای پایانی جنگ در آن شرکت داشتند ولیکن شرکت آنان در مقایسه با زرتشتیان و ارمنیان بسیار ناچیز بود (۴).

نظرها در مورد کیفیت زندگی یهودیان در ایران متفاوت است. هارون یشیایی از رهبران یهودیان ایران اعتقاد دارد که ایران یهودیت و صهیونیسم را دو مطلب جدا میداند. در خفی بسیاری از ایرانیان یهودی از تبعیض به مصاحبه کنندگان اروپایی شکایت می‌کنند.

بیش از نیمی از یهودیان باقی‌مانده در ایران در تهران ساکن اند و مابقی در شهرهایی چون شیراز و اصفهان و شمار اندکی در یزد و همدان و دیگر مناطق پراکنده‌اند. بیشتر کلیمیان به دلیل دشواریهای استخدامی به مشاغل آزاد رو می‌آورند. البته از نظر قانون منعی برای استخدام آنها در اکثر مشاغل وجود ندارد.

هم اکنون این جامعه دارای کنیسه‌های متعدد، مدارس خاص، مجتمع‌های فرهنگی، سازمان‌های جوانان، دانشجویان و بانوان، سرای سالمندان، کتابخانه مرکزی، تالار اجتماعات و فروشگاه‌های مواد گوشتی طبق شرع یهود در مناطق و شهرهای یهودی نشین است. اطلاع‌رسانی و نشر آثار فرهنگ یهودی به صورت کتابها و نشریات متعدد با افت و خیز، همواره جریان داشته و پس از انقلاب علاوه بر بولتن‌های داخلی دوره‌ای، نشریه تموز (تا سال ۱۳۶۸) و ماهنامه افق بینا (ارگان انجمن کلیمیان از سال ۱۳۷۸) عهده‌دار این امر بوده‌اند. کلیمیان تهران، فعالیت‌های ورزشی خود را در قالب باشگاه ورزشی گیبور انجام می‌دهند. این باشگاه متولی کلاس‌های ورزشی و مسابقات داخلی و نیز مسابقات بین اقلیتهای مذهبی بوده و از همکاری مربیان کلیمی و غیر کلیمی بهره می‌برد. سازمان بانوان یهود نیز در زمینه ورزش بانوان با این باشگاه همکاری دارد. کانون خیرخواه از دیگر نهادهای نیکوکاری جامعه کلیمی است که مهم‌ترین فعالیت آن، اداره بیمارستان دکتر سپهر در جنوب شهر تهران است که به ارائه خدمات به همه شهروندان مشغول است. هزینه اداره این بیمارستان عمدتاً توسط نیکوکاران کلیمی تأمین می‌شود.

کلیمیان تهران، مدارس متعددی از گذشته احداث و بهره‌برداری کرده‌اند. مدارس آلیانس یا اتحاد از جمله این مدارس هستند که ابتدا در دوره قاجار و با حمایت موسسه آلیانس در

فرانسه تشکيل شدند و گسترش يافتند. اين مدارس در دوران خود داراي کيفيت آموزشي بالايي بودند و زبان فرانسه نيز در آنها تدریس می‌شد. در سال‌های اخير به علت کاهش جمعيت و نيز پراکندگي دانش‌آموزان کلیمي در ساير مدارس عام، تعدادی از اين مدارس در اختيار آموزش و پرورش و دانش‌آموزان مسلمان قرار گرفته‌اند. در سال ۲۰۰۵ پنج مدرسه اختصاصی آموزش کلیميان در تهران فعال بوده‌اند. اين مدارس با مديريت و قوانين آموزش و پرورش اداره می‌شوند اما تسهيلاتی متناسب با ضروريات دين يهود و اعياد مذهبي آنها در برنامه‌ها در نظر گرفته می‌شود و دانش‌آموزان کتاب دينی خاص خود را فرا می‌گیرند (۵).

رئيس کلیميان تهران می‌گويد: مشکلات ميان ايران و اسرائيل، تأثيری بر يهوديان ايراني ندارد. يهوديان ايران، قبل از هر چيزی، ايراني هستند. آنها هم در کنار ساير هموطنان خود، با مشکلات اقتصادی فعلی زندگی می‌کنند (۷).
يهوديانايران در سالهای آخر در فضايی بهتر می‌گذرانند چرا که حسن روحانی در انتخابات رياست جمهوری اخير ايران به پیروزی رسيد کسی که مواضعش با رئيس جمهور سابق متفاوت بود.

کتابنامه

۱. علی اصغر مصطفوی، نگاهی به زندلی ايرانيانیهودی، ۱۳۶۹، چاپخانه «آشنا»

۲. https://fa.wikipedia.org/wiki/يهوديان_ايران

۳. www.iraniewish.com/vahood%20Iran.htm

۴. https://ru.wikipedia.org/wiki/Персидские_евреи

۵. www.7dorim.com/.../Zivarat_Estermordekhav.a...

۶. https://fa.wikipedia.org/wiki/يهوديان_ايران تاریخ

۷. سياسي (صفحه نخست) www.asriran.com

NATIA SVINTRADZE**JEWS IN IRAN**

Jews live Iran since VIII BC. After the rebellion of Jews (Assyrians conquered Israeli in 721 BC and Judea in 683 BC) they became scattered across the world. Before Islamic revolution the amount of Jews in Iran used to reach 80 thousand. Nowadays their number is more than 25 thousand. For marking the Jewish population they use term “Iranian Jews”, which was often used in terms Jews living in Afghanistan and Bukhari (Uzbekistan). In XVIII century Jews living in Iran, Afghanistan, and middle Asia Jews actually belonged to the same community, which began to split from the second part of XVIII century. Due to number of political occasions connection between the Jews living at those places gradually became weak.

Jews talk on the dialect - Jidi, which is the mixture of Persian, Aramaic and Hebrew and on Hebrew. In Iran you will meet Jewish communities in Tehran, Isfahan, Shiraz, Yardi, Kerman, Mashhad, etc.

Iranian Jews used to live not only in Iran, but in Israel, USA, Australia. Total amount of Iranian Jews reaches up to 350 thousand. Social and political condition of Iranian Jews used to change during centuries according to political orientation of Iran and personal wishes of its rulers.

In modern Iran ethnic Jews have no right to hold high military posts. Though they have the right to travel in Israel - in antagonist country. Iranian Jews have one representative in Iran’s Majlis.

ზაზა სუხიშვილი

საკონცესიო ურთიერთობების სამართლებრივი
მონუსრიგება, კონცესიის წარმომავლობა

კონცესიის ისტორია ანტიკური სახელმწიფოებიდან იწყება. გავრცელებული იყო სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის გარიგების ისეთი ფორმა, რომელიც კონცესიის საინტერესო თავდაპირველ სახეობას წარმოადგენდა. ასეთი გარიგებები ძველ დროში აქტიურად გამოიყენებოდა. ეს იყო სახელმწიფოს მიერ გადასახადების ამოღების უფლების კერძო პირისათვის გადაცემა. ამ ურთიერთობას ინგლისურ ენაზე "tax farming"-ს (ფარმინგ) უწოდებენ, რუსულ ენაზე – "Откуп налогов"-ს (Откуп), ასეთ კერძო პირებს კი "tax farmer"-სა და "откупщик"-ს.

გადასახადის იჯარამ პირველად გავრცელება ჰპოვა ძველ ირანში (ჩვ. წ. აღ-მდე VI ს.), ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში (ჩვ. წ. აღ-მდე IV ს.). შუასაუკუნეებში (XIII ს.-დან) გავრცელდა საფრანგეთში, შოლანდიაში, ესპანეთსა და ინგლისში. გადასახადის იჯარა გახდა საწყისი კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვანი წყარო.

გადასახადის იჯარა ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთის იმპერიაში XVI ს.-ის დასასრულიდან XVII ს.-ის დასაწყისამდე (გაუქმდა 1925 წელს), ირანში X–XII საუკუნეებიდან XX ს.-ის 20–30-იან წლებამდე, ინდოეთში XIII–XIV საუკუნეებიდან XIX-მდე არსებობდა. გადასახადის იჯარა თავისებური ფორმით შემორჩა XX ს.-ის იტალიაში, ზოგიერთ გადასახადს კერძო ბანკები კრებდნენ, ხოლო აშშ-ში XIX ს.-ის დასასრულ და XX ს.-ის დასაწყის წლებში გადასახადის იჯარა გამოიყენებოდა საგადასახადო დავალიანების ამოსაღებად.

ძველი საბერძნეთის ყველა სახელმწიფოში გადასახადების აკრეფა კერძო პირების მიერ ხორციელდებოდა. ათენში ხშირად გადასახადის მოიჯარეები დიდ გაერთიანებებს ქმნიდნენ. ისინი გადასახადებს უშუალოდ ანდა დაქირავებული პირების მეშვეობით კრეფდნენ.

რომში გადასახადების ამოღების უფლების გასაცემად ვაჭრობა (თანამედროვე გაგებით აუქციონი) იმართებოდა. გადასახადის მოიჯარე "პუბლიკანად" იწოდებოდა (ლათ. publicani. Publicum – სახემწიფო ქონება, შემოსავლები).

მე-13 საუკუნის საფრანგეთში, თითქმის მთელ სამეფოში, გადასახადების დიდი ნაწილის ამოღების საქმე კერძო პირებზე იქნა გადაცემული. ამ საქმიანობის მომწესრიგებელი საერთო ნორმები ამ დროისათვის არ არსებობდა. ხშირად მეფემაც არ იცოდა ამა თუ იმ შემთხვევაში გადასახადის აკრეფის უფლების იჯარით გაცემა მომგებიანი იყო თუ არა.¹

¹ <http://ru.wikipedia.org>. определение – Откуп

საქართველოსთვისაც არ იყო უცხო საკონცესიო ურთიერთობები და შეთანხმებები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე ერეკლე II-ის დამსახურებით, აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა. ამ პერიოდში ჩნდება და აღორძინებას განიცდის მთელი რიგი საწარმოებისა. კერძო პირებთან ერთად მათი დამაარსებელი, უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფო იყო (საქ. ისტ. ნარკ., 1973, გვ. 546).

კერძო საწარმოები ფართო მოხმარების პროდუქციას ამზადებდნენ. ასეთთა შორის აღსანიშნავია იოსებ ყორღანაშვილის მიერ გამართული ზეთსახდელი ქარხანა, თამბაქოს ქარხანა, იოანე პენტელაშვილის თიხის ქურჭლის ქარხანა, გლანა ბაგაშვილის აგურის ქარხანა და სხვა. გარდა ამისა, “1770 წელს, ერეკლეს ნებართვით, მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა თბილისში თოფისწამლის ქარხანა ააშენა. თოფისწამლის დამზადება და მისი გაყიდვა ამიერიდან თაყუაშვილის მონოპოლია გახდა“. შემდეგ ეს საწარმო მეფის საკუთრებაში გადავიდა.

სამთამადნო წარმოება მეფე ერეკლე II-ის დროს აღორძინდა. იგი მოიცავდა სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის საბადოების დამუშავებას. მეფე ერეკლემ თურქეთიდან მოიწვია ბერძენი “მადანშიკების“ ერთი ჯგუფი, რომელმაც ახტალის მონასტრის მიდამოებში ვერცხლის საბადოს დამუშავება დაიწყო. ცლა წარმატებული გამოდგა. იქვე სპილენძის მადანსაც მიაკვლიეს. 1763 წელს ფართოდ გაიშალა სამთამადნო წარმოება და ფეხზე დგებოდა. მადნების დასამუშავებლად თურქეთიდან ჩამოიყვანეს უფრო მეტი საქმისმცოდნე ბერძენი - 800 კომლი ანუ 2000 სული (გაზ. “Тифлисские ведомости, 1832) “აშენდა ვერცხლის სადნობი ქარხანა ახტალას და სპილენძის სადნობი - დამბლულს. 7 წლის შემდეგ კიდევ სპილენძის ორი ქარხანა ჩადგა მწყობრში - ალავერდისა და შამბლულის. წარმოებას კარგი პირი უჩანდა და წარმოებაც გაფართოების გზას განუხრელად ადგა“ (ს. ერაძე, 1903, გვ. 168).

საინტერესოა მეფისა და ჩამოსული ბერძენი ოსტატების საქმიანი გარიგება. წარმოების მეპატრონედ მეფე ითვლებოდა. მეფესა და ბერძენ “მადანჩებს“ შორის შემდგევი პირობების შემცველი ხელშეკრულება დაიდო: ახტალის ქარხნებში მიღებულ ოქროს ბერძენები მთლიანად მეფეს აძლევდნენ, ხოლო ვერცხლიდან 25%-ს. დარჩენილ 75%-ს მეფე მათ უბრუნებდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის აბაზების სახით. ალავერდის ქარხნიდან, რადგან ბერძენები საკუთარი ზარჯებით აწარმოებდნენ მადანს, მიღებული სპილენძის მხოლოდ 12% ერგებოდა მეფეს. ბერძენ მადანისმწარმოებლებს სახელმწიფომ პრივილეგიები მიანიჭა. ისინი სპილენძით და ტყვიით ვაჭრობის დროს არ იხდიდნენ საბაჟო გადასახადებს და არ გადაიოდნენ ჯარში (დ. გოგოლაძე, 1966, გვ. 211).

საბჭოთა საქართველოს დროს ყველაზე ცნობილი და ფართომასშტაბიანი იყო ჭიათურის შავი ქვის კონცესია, რომლის შესახებ ხელშეკრულება საკავშირო საკონცესიო კომიტეტსა და ცნობილ ამერიკელ მრეწველ უილიამ ავერელ ჰარიმანს შორის 1925 წლის 12 ივნისს 20 წლის ვადით დაიდო. მთელი მოპოვებული მარგანეცი ჰარიმანს საზღვარგარეთ უნდა გაეტანა (გაზ. “კომუნისტი,“ 1925).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება წარმატებული არ იყო. საკონცესიო ხელშეკრულება შეწყდა 1928 წლის 28 აგვისტოს. ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის საქმე სასამართლოში წარიმართა. სასამართლომ ჰარიმანს

დავალიანების გადახდა დააკისრა. იგი გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და დავა ნიუ-იორკის საერთაშორისო არბიტრაჟში გაგრძელდა. მან საქმე ვერც იქ მოიგო. ნიუ-იორკში საბჭოთა დელეგაციას ცნობილი ქართველი იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეთაურობდა (ჟურნ. "დროშა", 1960).

კონცესიის სამართლებრივი განსაზღვრება

კონცესიას საინტერესო სამართლებრივ ინსტიტუტად ხდის მისი არაერთბუნებრიობა. იგი ან მის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც კერძოსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულსამართლებრივი ბუნების.

კონცესიის სამართლებრივი ბუნების შესახებ პირველი ნაშრომები გამოჩნდა მე-19 საუკუნეში. ამ პერიოდში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა კონცესიისადმი პირველი შემდეგი სახის მიდგომები: 1) როგორც ადმინისტრაციული აქტი; 2) როგორც შერეული აქტი, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ აქტს და მხარეთა შეთანხმებას და 3) როგორც ხელშეკრულება (ა. ბაგდასაროვი, 2009, გვ. 19).

კონცესია, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განიხილებოდა შვეიცარულ-გერმანული დოქტრინით, რომლის მომხრესაც წარმოადგენდა ცნობილი შვეიცარელი იურისტი ანდრეი ჰეისლერი (შენიშვნა: ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი, დაბ.: 1834 წ.). იგი ამბობდა, რომ კონცესია არის სახელმწიფოს უმაღლესი უფლების გამოვლინება და არ მომდინარეობს სამოქალაქო სფეროდან. მას ვერ ექნება ხელშეკრულების მნიშვნელობა, რადგან ხელშეკრულების მხარე - კონცესიონერი არ ფლობს შესაბამის სამართალუნარიანობას და არ მონაწილეობს უმაღლესი სახელმწიფო უფლებების განხორციელების სფეროში. ეს არის სახელმწიფოს პრივილეგია, რომელიც ვერაფრით შეიზღუდება.

კონცესიის, როგორც შერეული აქტის, საფუძვლები მომდინარეობს მსჯელობიდან, რომლის მიხედვით იგი არის ადმინისტრაციული აქტისა და სამოქალაქო ხელშეკრულების ერთობა. ასეთი მიდგომა ჰქონდა მაგალითად ლატვიელ სახელმწიფო მოღვაწესა და სამართლის დოქტორს პ. მინცს (დაბ. 1868 წ.). ამ კომპლექსური მიდგომის თეორიის პრობლემად დღემდე რჩება საკონცესიო ურთიერთობის მოწესრიგების მეთოდების საკითხის გადაწყვეტა.

კონცესიის ხელშეკრულებითი თეორია განვითარდა საფრანგეთში, სადაც იგი განიხილებოდა როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ვინაიდან, საქმე ეხებოდა ქონებრივ ინტერესებს საკონცესიო ურთიერთობა წესრიგდებოდა სამოქალაქო და საჯარო სამართლის საწყისებით (ლ. ტალი, 1961, გვ. 123). კონცესიონერი არ იყო რა საჯარო მოხელე, მას ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემოდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების უფლება. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო უფლებამოსილი იყო, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება კონცესიონერისათვის ზარალის ანაზრაურების პირობით (ჟ. ვედელი, 1973, გვ. 478-479).

ფრანგული დოქტრინის მიხედვით, კონცესიონერი ახორციელებს საჯარო სამსახურებრივ (service public) უფლებამოსილებას, რადგან მისი საქმიანობა

მიმართულია საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. კონცესიონერი თითქოსდა ითავსებს საჯარო ხელისუფლებას ხელშეკრულების საფუძველზე და მისით ეძლევა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კომპეტენცია (ნ. კურისი, 2005, გვ. 170).

კონცესიის თანამედროვე განსაზღვრება, ამა თუ იმ განმარტებებით, შეიცავს ადრე შემუშავებულ ძირითად დებულებებსა და თეორიებს. კონცესიის ქვეშ მოიაზრება აქტი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო კერძო პირს აღჭურავს უფლებით, მონაწილეობა მიიღოს მეურნეობის სფეროში ზოგიერთი მისი ფუნქციის განხორციელებაში.

საკონცესიო კანონმდებლობა

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო მზარდი საკონცესიო ურთიერთობების ფონზე დღის წესრიგში დგება კონცესიის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის საკითხი. ვინაიდან ასეთ ურთიერთობებში სახელმწიფოსთან ერთად ხშირად ჩართულნი არიან ხოლმე ინვესტორები და ბანკები, კანონმდებლობის დახვეწა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, გამძაფრებული ფინანსური ინტერესების დაკვისა და გარანტიების მოთხოვნის ფონზე.

უცხოური ელემენტის მონაწილეობით საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) განვითარებამ გამოიწვია საკონცესიო შეთანხმებების მომწესრიგებელი ჯეროვანი სამართლებრივი ნორმების არსებობით მსხვილი ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების დაინტერესება. მათთვის მნიშვნელოვანი გახდა საკონცესიო შეთანხმებებში ჩართულობა, აგრეთვე, თანამედროვე ხედვით ამ ურთიერთობების მოწესრიგება და რჩევების შეთავაზება.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (Organization for Economic Co-operation and Development - OECD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის კომისიისა (United Nations Commission on International Trade Law – UNCITRAL) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (European Bank for Reconstruction and Development - EBRD) მიერ ჩატარებული კვლევები და შემუშავებული რეკომენდაციები.

საკონცესიო შეთანხმებების შესახებ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ შექმნილი ძირითადი ელემენტები და არსებითი პრინციპები საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის კანონმდებლობას.

საკონცესიო შეთანხმებისა და პირდაპირი ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობის ძირითადი ელემენტები შემუშავდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), სტამბულის საფონდო ბირჟისა (ISE) და საინფორმაციო მომსახურების ქსელის (NIS) ექსპერტთა ჯგუფის, აგრეთვე, შავი ზღვისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტის შედეგად. ფაქტობრივად ეს კვლევა არის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ინფრასტრუქტურაში მომუშავე კერძო საინვესტიციო სექტორის წარმომადგენლების საქმიანობაში შეტანილი წვლილი.² ზემოაღნიშნული ძალისხმევა გაწეული იყო იმისათვის, რომ გარდამავალი ეკონომიკის სისტემის

² Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), „OECD Basic Elements of a Law on Concession Agreements“, August, 2006, p. 6. - <http://ppp.worldbank.org/public-private-partnership/library/oecd-basic-elements-law-concession-agreements>

ქვეყნებში მომხდარიყო დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაციისათვის ფართომასშტაბიანი კაპიტალდაბანდებების განხორციელება.

საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო მეთოდების განსაზღვრისა და განვითარების მიზნით UNCITRAL-მა შეიმუშავა და 2000 წლის ივნისში მიიღო “კერძო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების სამართლებრივი სახელმძღვანელო”.³ სახელმძღვანელოში მოცემულია სარეკომენდაციო საკანონმდებლო პრინციპები თანდართული განმარტებებით, ე.წ. “საკანონმდებლო რეკომენდაციები”, რომლებიც მთავრობებს დახმარებას გაუწევს საკანონმდებლო სტრუქტურისა და კერძო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.

საკონცესიო კანონმდებლობის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD). საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) სფეროში სამართლებრივი რეფორმების პროექტის ფარგლებში მან შეიმუშავა კონცესიის შესახებ თანამედროვე კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები. მათი დანიშნულება იყო EBRD-ის მოქმედების ქვეყნებში თანამედროვე პრინციპების გამოკვეთა და პრობაგანდა. თავისი მიზნების გასაგებობის, სამართლიანობის, სტაბილურობის, პროგნოზირებადობისა და მოქნილობის ხელშესაწყობად. ძირითადი პრინციპები მიმართულია ინვესტორების დაცვისა და სახელმწიფო სექტორში უსამართლობისა თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისაკენ. ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცედურებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მხარის უპირატესობის გამოკვეთას.⁴

სამწუხაროა, რომ საზღვარგარეთ არსებული საინტერესო კვლევებისა და თანამედროვე კანონმდებლობის ფონზე საქართველოს საკონცესიო კანონმდებლობა კრიტიკას ვერ უძლებს. მასში კონცესიის აკადემიური განმარტებაც კი არ არის ჯეროვნად მოცემული, რომ აღარაფერი ვთქვათ მხარეთა უფლებებზე, ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო საქმიანობისა და საკონცესიო ურთიერთობების წარმატებულად გაძღოლაზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. **ბაგდასაროვა, 2009** - А. В. Багдасарова „Концессионное соглашение в гражданском праве России и зарубежных стран“. Автореферат диссертации. Москва, 2009 г. - http://www.mgimo.ru/science/dissert_cons/7092/events/n117400.phtml.

გაზეთი “კომუნისტი”, 1925 - “ჭიათურის შავი ქვის კონცესია. ხელმოწერა საკონცესიო ხელშეკრულებაზე“, გაზეთი “კომუნისტი“, 1925 წლის 14 ივნისი.

³ United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL). „Legislative Guide on Privately Financed Infrastructure Projects“. New York, 2001 - <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurement/pfip/guide/pfip-e.pdf>.

⁴ European Bank for Reconstruction and Development (EBRD), „Core principles for a modern concession law (MCL)“, 1991, p1. - <http://www.ebrd.com/downloads/legal/concessions/mcl.pdf>.

გაზ. "Тифлисские ведомости", 1832 - "ბერძენი ოსტატის მოგონება", გაზეთი „Тифлиссские ведомости“, 1832.

დ. გოგოლაძე, 1966 - დ. გოგოლაძე, „სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხები“, ჟურნალი „მეცნიერება“, თბ., 1966.

ს. ესაძე, 1903 - С. Есадзе, „Очерк истории горного дела на Кавказе“, Тифлис, 1903.

ჟ. ვედელი, 1973 - Ж. Ведель, „Административное право Франции“, Москва, 1973 г., - <http://www.twirpx.com/file/1065465/>.

ბ. კურისი, 2005 - Н.В. Курьсы, „Детерминация понятия концессии и концессионной соглашения в отечественной историко-правовой мысли“, Вестник Ставропольского государственного университета, Вып. 41, Ставрополь, 2005 г., Издательство Ставропольского государственного университета - http://law-library.ucoz.ru/vestniki/vestniki_vsgu/2005_41.pdf.

ჟურნალი „დროშა, 1960 - „ჭიათურის კონცესია და ჰარიმანის ეკონომიკური დიპლომატიის დამარცხება“, ვახტანგ ჟვანია. ჟურნალი „დროშა“, 1960წ., 12.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973 - „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თავი XI, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, XVIII ს. 40-80-იანი წ.წ.;

ლ. ტალი, 2013 - Л. С. Таль, „Концессионные договоры городских общественных управлений“. Петроград, 1916 г., - http://ihtik.lib.ru/2013.05_ihtik_no-big-razdely/.<http://ru.wikipedia.org>. определение – Откуп ; Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), „OECD Basic Elements of a Law on Concession Agreements“, August, 2006, - <http://ppp.worldbank.org/public-private-partnership/library/oecd-basic-elements-law-concession-agreements> ;

United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL). „Legislative Guide on Privately Financed Infrastructure Projects“. New York, 2001 - <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurem/pfip/guide/pfip-e.pdf> ;

European Bank for Reconstruction and Development (EBRD), „Core principles for a modern concession law (MCL“), 1991, - <http://www.ebrd.com/downloads/legal/concessions/mcl.pdf> .

ZAZA SUKHISHVILI**LEGAL REGULATION OF CONCESSION RELATIONSHIP**

Detailed understanding of any event requires a study of its history and development, which in turn enables awareness of every aspect thereof. This is one of the purposes of this study which covers the history of Concession starting from the ancient world, through medieval to modern period. The study describes a history of utilization of Concession as well as forms thereof under the history of Georgia and foreign countries.

Concession constitutes quite interesting legal institution along with its multinotion character, multiple conceptions, diverse legal interpretations and modification in legal fields, which inspires legal scholars.

This study describes those criteria which shape a legal notion of concession and basis of affiliation of concession to various legal fields, as well as sets out concrete benchmark of its definition. The study also describes an issue relating to differentiation of concession from similar legal institutions. Legal notion of concession agreements, as discussed separately, has been analyzed and presented from private as well as public law perspective.

მანანა ტაბიძე

როგორ მიტყველებენ ებრაელები
ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელები საქართველოს მოსახლეობის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და ქართულ ინტელიგენციაშიც მნიშვნელოვანი როლითა და პატივისცემით სარგებლობენ, შეიძლება ითქვას, რომ ებრაელთა სამეტყველო თავისებურებათა შესწავლის საქმეში ჯერაც ბევრი საკითხია მოსაგვარებელი და თანამედროვე სამეცნიერო თვალსაზრისით შესაფასებელი. როგორც ქართველი ენათმეცნიერი, ამჟამად ისრაელის მოქალაქე და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი)¹ მიუთითებს, “ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება: არ არის შესწავლილი ქართველ ებრაელთა მეტყველება მათი განსახლების ადგილების მიხედვით, არ გარკვეულა, რა ზოგადი ნიშნები აქვს ამ მეტყველებას მთელ საქართველოში, არ არის შესწავლილი ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული წმინდა წიგნების ზებირი თარგმანების უმეტესი ნაწილი; ჯერ არა გვაქვს პასუხი უმთავრეს შეკითხვაზე, ქართველ ებრაელთა მეტყველება ე.წ. ებრაელების ენათა წყებას მიეკუთვნება (როგორცაა, მაგალითად, იდიში, თუ იგი მხოლოდ და მხოლოდ ქართულის რიგითი დიალექტია)...“; “; თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასახლებული თემებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია: ქართველ ებრაელთა საქართველოში ცხოვრების ისტორიასა და თავისებურებებს სხვადასხვა დროს აკვირდებოდნენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, კულტუროლოგები, ენათმეცნიერები², მათგან გამოვყოფდით საკუთრივ ენობრივი საკითხების შემსწავლელ სპეციალისტებს, როგორებიცაა: კ. წერეთელი, ნ.

¹ არიელის (ისრაელი) საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი

² მაგალითისათვის დავასახელებთ შემდეგ ნაშრომებს: ჭიჭინაძე ზ., «ქართველი ებრაელები საქართველოში», თბ., 1990; მეტრეველი რ., «ებრაელები საქართველოში», თბ., 2002; მამისთვალისვილი ე., «ქართველ ებრაელთა ისტორია», თბ., 1995; დანიელ ხანანაშვილის შესავალი წერილი წიგნისათვის, «საქართველოს რაბინები, რელიგია და ისტორია», ისრაელი, 2000.; ბოსტანაშვილი შ., «საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე», თბ., 1998; არონ კრიხელი, «ქართველი ებრაელები თავიანთ მეზობელთა შორის», კრებულში ჰათფუცა, აღმოსავლეთ ევროპა, იერუსალიმი, 1976, გვ. 121-125; Арон Крихели, «Исторический обзор пребывания иногородных (русских и европейских) евреев на Кавказе», Труды Историко-этнографического музея евреев Грузии 3 (1945), стр. ..135-166 და სხვ.

ბაბალიკაშვილი, გ. ბენ-ორენი, ვ. მოსკოვიჩი, ი. გაგულაშვილი, მ. დანიელაშვილი, კ. დუმბაძე, რ. ენოხი, კ. ლერნერი და სხვ.³

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თავად ქართულ ენაშიც მრავლად მოიძევება ებრაელთა ყოფისა და სამეტყველო სპეციფიკის ამსახველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რომელიც ასევე საკვლევი და ბევრი საინტერესოს აღმოჩენის პერსპექტივას შეიცავს. ამ რიგისაა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: “ებრაელის ჭკუა”, “ებრაელის სიღინჯე”, “ურის ვალი”, “საწყალი ურია” და სხვ. და სხვ.). კავკასიის მკვიდრთა შეგნებაში ღრმადაა გამჯდარი საერთოკავკასიური თვითაღქმა და არეალური ერთობის თავისებურებანი. კავკასიელები ადვილად ცნობენ ერთმანეთს ეროვნული ნიშნის მიხედვით (ზოგჯერ ოლქებისა და სოფლების სიზუსტითაც კი), ქართული ენა ამ არეალურ ერთობას თავისებურად ასახავს და ამ არეალს გარეთ მოხვედრილთა, “სხვათა”, მარკირებისასაც საინტერესო სურათს გვიჩვენებს. “სხვა” ანუ არაკავკასიელი ქართველთათვის ასევე იყოფა ასე ვთქვათ, შორეულ “სხვად” და საკუთარ, ახლობელ “სხვად”. ამ დიფერენციაში სრულიად განსაკუთრებულ ადგილზე დგანან ებრაელები, რომელთა ისტორია თუ მითური ისტორია უკამათოდ აღნიშნავს ამ ეთნოსის არაკავკასიურ წარმომავლობას, მაგრამ ამასთანავე ეს არის ერთადერთი ეთნოსი, რომლის ახლობლობაშიც ქართველებს არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი. ამის დასტურია გამოთქმები: “ჩვენი ებრაელები”, და “ქართველი ებრაელები”. თავისთავად მოსახლეობის ეთნიკურ თუ სოციალურ-კულტურულ ჯგუფებად დაყოფის ენობრივ მარკერებში ბევრი საინტერესო ინფორმაციისა თუ კონტაქტის ამოკითხვა შეიძლება. ქართულს ამ მხრივ დიდი ლექსიკური მრავალფეროვნება ახასიათებს. ზოგ შემთხვევაში ეროვნული ჯგუფები დაყოფილია გეოგრაფიული ნიშნით: “ახალციხელი სომხები”, “თბილისელი სომხები”, “სომხეთის სომხები” და ა.შ. ამ დაყოფაში ჩადებულია იმ სხვაობათა დაფიქსირების

³ გ. წერეთელი, საჩხერის ებრაელთა მეტყველება, ხელნაწერი ნაშრომი. კონსტანტინე წერეთელი, “ქართულში ტერმინ ივრითის ხმარების გამო (უცხოური ტერმინი მშობლიური ქართულის ნაცვლად”, მენორა, ნოემბერი, 1998; ნ. ბაბალიკაშვილი, “ქართველ ებრაელთა ივრითული წარმოთქმა”, ლემონენუ, 1980, გვ. 66-70 (ივრითზე); ბენ-ორენი და მოსკოვიჩი, 1982 - Wolf Moskovich ' Gershon Ben-Oren, The Hebrew-Aramaic and Georgian Components in the Spoken Language of Georgian Jews, Proceedings of the Eighth World Congress of Jewish Studies, Division D, Jerusalem 1982 pp. 19-24. გერშონ ბენ-ორენი და ვოლფ მოსკოვიჩი, “ქართველ ებრაელ ვაჭართა არგო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ებრაელ ვაჭართა არგოსთან მიმართებით, მესოროთ, 2, (1986), გვ. 49-56. გერშონ ბენ-ორენი, ქართველ ებრაელთა მეტყველების სპეციფიკური თავისებურებანი, სადოქტორო ნაშრომი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 1993 წ.; მოსე დანიელაშვილი, დუმბაძე, 1979 - კ. დუმბაძე, “ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ყარგონში”, ჯავანმარდი 2, 1979 წ., გვ. 28-37; რეუვენ ენოხი, დაკვირვებანი თავსილზე ბერეშითის მიხედვით, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 (ივრითზე); Reuven Enoch, Peculiarities of the Georgian Jews Speech, 2a, International Scientific Conference Tbilisi - Jerusalem 2, Academy of Sciences of Georgia, Tbilisi 1998, Theses Summaries, pp. 65-66.; რეუვენ ენოხი, “ძველი ქართულის ელემენტები თავსილში. I. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები”, ქართველოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, № 14, 2007. და სხვ.

სურვილი, რომელიც ერთი ეროვნების ხალხს სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში ინდივიდუალობის სახით აქვს გამოხატული და მათ დანარჩენი გეოგრაფიული სივრცის ჯგუფებიდან გამოარჩევს. “უცხონი”, “სხვები” სხვადასხვაგვარად გაირჩევა: ა) რელიგიური ნიშნით — “ურჯულო” (ეს იგივე არაა, რაც “ურწმუნო”, რადგან ქართულ მახასიათებლებში არაქრისტიანი საერთოდ რელიგიის უქონელს ნიშნავდა); ბ) ეროვნული ნიშნით (“არაქართველი”, “სხვა”, “უცხოელი”, არაჩვენებური...); აქ საინტერესოა ლექსემა “უცხოეთი”, რომელიც განზოგადებულ სხვა ქვეყანას ნიშნავს, იმას, სადაც უცხოეთელები “უცხოელები” ცხოვრობენ. გ) უცხოებს ზოგჯერ აზოგადებენ ისეთი მარკერით, რომელიც აღსანიშნის სიმორაუხე მითითებას წარმოადგენს (ჩინელივითაა (თუმცა დღეს ჩინეთი უფრო მოახლოვდა), “ჩემთვის ჩინურია”; დ) ყველა, ვინც ჩვენებური არაა, არის “გარეშე” (სხვა ადგილწარმოშობასთან დაკავშირებული); ამ რიგისაა “შინაური” და გარეშე” ოპოზიცია; გაერთიანების ფორმაა ყველა კათოლიკესთვის “ფრანგის” წოდება, ყველა გრიგორიანელის (მათ შორის ქართველისაც) “სომხად”, ხოლო მე-20 საუკუნის II ნახევარში რუსულენოვანი ებრაელების “გერმანელებად” მოხსენიება; ე) ქართველები, რომლებმაც დაკარგეს ეროვნული იდენტობის ზოგი ნიშანი და სრულად ან ნაწილობრივ დაკარგეს დედაენა, სხვადასხვაგვარად აღინიშნებიან “გადამთიელი”, გაუცხოებული”, “უჯიშო”, “რუსაპეტა” (რუსის თვისებები აქვს) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის დიდი სიტყვაწარმოებითი და ფორმაწარმოებითი პოტენციალი მოცემული ლექსიკის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს და ენის მატარებლებს შესაძლებლობას აძლევს, საქართველო-კავკასია-დანარჩენი სამყაროსა და ან საქართველო-კავკასიის მიმართებაში “უცხოების” თითქმის ყველა ნიუანსის მარკირება მოახდინონ (მ. ტაბიძე, 2009, გვ. 167-180); ქართულში სათანადო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიუხვე და კონოტაციური მრავალფეროვნება ამ მსჯელობის სამართლიანობას ადასტურებს.

“სხვა” (“უცხო”) ქართველისათვის ის ადამიანია, რომლისთვისაც არა მარტო მისაღები არ არის, არამედ მაინცა და მაინც არც გასაგებია ქართველთა ყოფა-ცხოვრება, წესი და ადათი (ამგვარი ადამიანისთვის ენას აქვს კიდევ თავისი სახელი: “გადამთიელი”; ისეთი უცხოელები კი, რომელნიც ქართველთა მიმართ კეთილგანწყობილ ხალხად მიიჩნევიან, სათანადო მსაზღვრელით არიან აღნიშნულნი: “ჩვენი” “ჩვენი ებრაელები”, (შლრ. “ქართველი ებრაელები”, მაგრამ “საქართველოს სომხობა”) (მ. ტაბიძე, 2011, გვ. 79-86).

ამჯერად ჩვენ გვიანტერესებს ებრაელების ქართული მეტყველების ზოგი ასპექტი, რაც, ვიმედოვნებთ, ებრაელთა ქართულის სოციოლინგვისტურ თავისებურებათა დანახვაში (და ზოგ შემთხვევაში, ახსნაშიც) დაგვეხმარება. ებრაელები საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ და სრულიად ადაპტირებულნი არიან ქართველთა გარემოში, მათი მშობლიური ენა ქართულია და საყოფაცხოვრებო კულტურაც ძალიან ახლოა არამტუზ ზოგად ქართულთან არამედ იმ კონკრეტული კუთხის ყოფასთანაც, რომელშიც ისინი სახლობენ. შესაბამისად, ქართულ მწერლობას არ სჭირდება ებრაელი პერსონაჟის

ხელოვნური (დადებითი ან უარყოფითი) სტერეოტიპის შექმნა,⁴ ებრაელი, ქართულ ნაწარმოებში მისი ლიტერატურული ამოცანის შესაბამისად, შეიძლება დახასიათდეს სოციალური როლის მიხედვით, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველი. და მიუხედავად ამისა, პერსონაჟის პორტრეტის შესაქმნელად მწერალი მაინც მიმართავს იმ სამეტყველო სტერეოტიპებს, რომლითაც ქართულენოვან მეტყველებაში ებრაელის ამოცნობა მოხერხდება. ეს სტერეოტიპი არაფრით გაირჩევა სხვადასხვა კუთხის ქართველთა “სახასიათო” მეტყველებისაგან (მაგ., იმერელს, ა/ე ხმოვანთა შესატყვისობა გამოარჩევს, აჭარელს “ჯო!”, მოხვევს მთის დიალექტების ძველქართული წყობა: “გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ...” (ილია) და სხვ.), ებრაელის მეტყველებას დანარჩენი ქართველები ინტონაციითა (ენოხი რ. 2005, გვ. 153-182; და ენოხი რ. <http://www.nplg.go>) და “დაგენაცვლეთი” ცნობენ, ანუ ეს ორი ელემენტიც კია საკმარისი სცენიდან ებრაელის განსახიერებისათვის...

მაგალითად:

“არა, მოშიას **დაგენაცვლე**, ცოტა საიდუმლო როგორ იცი, პირიქით, რაც იცი, ისიც არ უნდა გცოდნოდა... (ნ. დუმბაძე, 1989, გვ. 305)

“მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი **ურიანი** მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყენა ხარკითა, , მისცა და დასხნა არადუსა ზედამ წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი - ასე სწერია ქართლის ცხოვრებაში.”

“**ვენაცვალე** საბურთალოს ბაზრის დუქნებს,

სავსე ურიებით არიან...

ორი ათასმანეთიან დრაპის პალტოს

ხუთას თუმანში ყიდიან,

ყიდიან, ყიდიან, ყიდიან,

უგალონში მიდიან.

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს,

სავსე ურიებით არიან

(ნ. დუმბაძე, თეთრი ბაირაღები... 1989, ტ.2).

წავალ, მოშია, წავალ, ცოტა აცალე. **დალოცვილო**, იმ ხალხს.

მოშია ამბობს:

“ლიმონ, საყვარელო, მე სევდიან სიმღერებს ვმღერი, ეგ კი ძალიან **საზეიმო რაღაცას** მღერის, ჯერ ტექსტი ნახე:

“**ვენაცვალე** საბურთალოს ბაზრის დუქნებს,

სავსე ურიებით არიან...

თუმცა რეალურად ებრაელთა მეტყველება შესაბამის ქართულ დიალექტში კილოკავად უნდა გამოიყოს და ისე დახასიათდეს, რათა მოხერხდეს იმ სოფლების (ან ქალაქური დასახლებების, ე.წ. ებრაელთა უბნების) სამეტყველო

⁴საინტერესოა თარგმანის ენაში იგივე პრინციპი; მაგ., როგორ არის ეს “ვენეციელი ვაჟის” დიმიტრი ყიფიანის თარგმანში.

თავისებურებათა უკეთ შემჩნევა და გამიჯვნა იმავე სოფლის, კუთხის დიალექტური (ან სოციოლექტური) მეტყველებისაგან.

ვფიქრობთ, ცნობილი ქართველი (ებრაელი) მწერლის გერცელ ბააზოვის⁵ შემოქმედება საუკეთესო წყაროა ებრაელების ქართულის არატენდენციური (ანუ სტერეოტიპებისაგან თავისუფალი) დახასიათებისათვის.

გერცელ ბააზოვის შემოქმედებაში ებრაელები მისი პიესების ცენტრალური პერსონაჟები არიან. ის არ ცდილობს ებრაელის მეტყველებას სტერეოტიპულად მიუღდეს, რადგან **შიგნიდან** ახასიათებს ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, თავადაც ამ საზოგადოების წევრია და, შესაბამისად, მას ყურს არ ჭრის ის თავისებურებები, რომელიც შეიძლება ქართულენოვანი სხვა პირისთვის მეტყველების სახასიათო თავისებურებად ჩანდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერცელ ბააზოვი რაბინის შვილია⁶ და სხვებზე (სხვა ებრაელებზე) უკეთ არის გარკვეული რჯულისმიერ საკითხებში, რაც მას საბჭოთა ეპოქაშიც კი განსაკუთრებული კომპეტენტურობით გამოარჩევს და შესაძლებლობას აძლევს ისეთ ნიუანსებსაც კი მიაქციოს ყურადღება, როგორც ჩვეულებრივი მეტყველების გადმოცემისას არამცთუ ქართველ მწერალს, ზოგ ებრაელ (ქართველ ებრაელ) მწერალსაც კი შეიძლება გამოარჩენოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერცელ ბააზოვის ერთ-ერთი განსაკუთრებული ცნობილი პიესაა "მუნჯები ალაპარაკდნენ" (ოთხმოქმედებიანი დრამა), რომელიც პირველად კ. მარჯანიშვილმა დადგა 1932 წელს აპრილში, ქუთაისში კი იმავე წელს, აპრილშივე, დადგა გრ. სულიაშვილმა. ვფიქრობთ, ერთდროულად განხორციელებული ერთი და იმავე პიესის ეს ორი გადაწყვეტა ძალიან საინტერესოდ გამოავლენდა არა მარტო გამოჩენილ რეჟისორთა სრულიად განსხვავებულ შემოქმედებით ხელწერას, არამედ თბილისელ და ქუთაისელ მსახიობთა მიერ ებრაელთა მეტყველების

⁵ გერცელ დავითის ძე ბააზოვი (1904, 1938) ქართველი მწერალი. დაიბადა ონში ებრაელი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის ოჯახში. სწავლობდა თბილისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია), 1926 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. ერთხანს ადვოკატად მუშაობდა, შემდეგ იყო ჟურნალ "საბჭოთა სამართლის" რედაქციის პ/მგ. მდივანი. 1918 წელს ქუთაისის გაზეთ "ებრაელის ხმაში" გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. 1922 წლიდან თბილისის ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, წერილები და თარგმანები. 1924-1925 ბააზოვის ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითშემოქმედი დრამატული დასი "კადიმა". ერთსულოვანი აღიარება მოუტანა ბააზოვს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველმა პოემამ "მუნჯები ალაპარაკდნენ" (1931). იგი მოსკოვში დააპატიმრეს (სადაც მოსკოვის ებრაულ თეატრში სამოელ მიხოელსის რეჟისორობით მისი პიესა იდგმებოდა), თბილისში გადმოიყვანეს და 1938 წელს დახვრიტეს 33 წლის ასაკში.

⁶ ჩატარდა რაბი დავით და მწერალ გერცელ ბააზოვების დავაწლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, <http://www.georgianjews.org/stat.php?id=383&lang=gr&PHPSESSID=62a997c79680215469f4838cca732952>

⁷ "ქართველ ებრაელთა მეტყველების ინტონაციურ თავისებურებას განაპირობებს მრავალგვარი მოდულაციები, რომლებიც, არსებითად, მხოლოდ მისთვის არის ნიშანდობლივი, დაწყებული მახვილის თავისებური გამოყენებიდან, და აგრეთვე, ფონეტიკური მახასიათებლები, განსაკუთრებით ხმოვანთა დაგრძელება" (იხ., რეჟენ ენობი (რუბენ ენუქაშვილი), ქართული დიალექტოლოგიის საკითხები - შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ, ჟურნ., ბილინგუური განათლება, #5, <http://www.nplg.gov.ge/godl/cgi-bin/library.exe?>

იმიტაციისას თავიწინილ თავისებურებებსაც, რადგან ქუთაისისთვის ებრაელთა სახასიათო მეტყველება უფრო ახლობელი და საცნაური უნდა ყოფილიყო⁷ (დასავლეთ საქართველოში ებრაელთა მოსახლეობის შედარებითი სიმრავლის გამო), ვიდრე თბილისისათვის, სადაც გაცილებით მეტი კოლორიტული მეტყველება ირეოდა ერთმანეთში და სპეციფიკურობა გაცილებით მეტად იქნებოდა წაშლილი. ამ თვალსაზრისით, საინტერესო უნდა იყოს უფრო გვიანდელი ებრაელპერსონაჟებიანი სპექტაკლების ჩანაწერების შესწავლა.

გერცელ ბააზოვის პიესაში “მუნჯები ალაპარაკდნენ” თითქმის ყველა მოქმედი პირი ებრაელია. სახელებიც ტიპობრივია (**დანიელ შათარაშვილი, იოხაბედ (ცოლი), ყაზარია (შვილი), იეხისკიელ ყვითელაშვილი, ნაყომი (ცოლი), დავიდ, მირიამ, მეირ სეფიაშვილი, ზებო დავითაშვილი, რაბი შიმყონ მანაშერაშვილი, იშაი მამისთვალი**, პიესას ახლავს ებრაული სიტყვების ახსნა (სულ 32 სიტყვა, შესიტყვება თუ ფრაზაა გამოყენებული. ყოველი მოქმედების (სულ 4) და სურათის (სულ 14 სურათია) მიხედვით. მოქმედება ხდება დასავლეთ საქართველოში, 1928 წელს. სხვადასხვა ნაწარმოებში სახელებისა და გვარების ჩამონათვალს არაერთხელ ვხვდებით; მაგ., როცა ხელმოკლე ებრაელები კოლმეურნეობაში ეწერებიან: იეუდა ჭინჭინაშვილი, ელიშყე დანიელაშვილი, სიმანტობ ნაფთალიშვილი, რიბკა შიმშილაშვილი, ხაიმ ბერიძე, ელიაჟ როკეთლიშვილი, ბათუმეაყ ხეტუაშვილი, შაულ კრიხელი და სხვ. ებრაული სახელებისა და გვარების ლინგვისტური თავისებურებები მეტ-ნაკლებად შესწავლილია და ამჯერად ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.⁸

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გერცელ ბააზოვის პერსონაჟთა მიერ გამოყენებულმა თვითსახელმა, ეთნონიმმა “ებრაელი”, რომლის რამდენიმე ვარიანტს წვააწყდით, ესენია ებრაელი, ისრაელი, ურია... ცხადია, ამ ეთნონიმებს ჩვენ უამრავი ენობრივ-ლიტერატურული მასალიდან ვიცნობთ, მაგრამ საინტერესოა ის გარკვეული წესრიგი, ან უფრო სწორად, სოციოლინგვისტური იერარქია, რომელიც ბააზოვთან მათი გამოყენებისას შეინიშნება.⁹

საყურადღებოა, რომ საძიებელ ნაწარმოებებში ტერმინს “ებრაელი” სალიტერატურო ენის დანიშნულებით ხმარობენ, როგორც ნაკლებად მარკირებულს სოციალური ან რელიგიური კონოტაციის თვალსაზრისით (-თქვენ მოისმინეთ, **ღარიბო ებრაელებო... მშრომელმა ებრაელობამ** უკვე დასახა თავისი გზა...”), რელიგიურ-სოციალური კონოტაციით კი ძირითადად ორ ტერმინს იყენებენ: “**ისრაელი**”, და “**ურია**”, თუმცა “ებრაელიც” ხშირად გვხვდება,

⁸ ილია გაგულაშვილი, საკუთარი სახელები: ებრაულ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993; ენოზი, 2005 - რეუვენ ენოზი, “ებრაული საკუთარი სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში”, თეზისების კრებული “და ესაა სახელები”, ებრაულ სახელთა კვლევისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 2005 წ. და სხვ.

⁹ ამ კუთხით საინტერესოა ჩანს მ. მამისთვალაშვილის ნაშრომი, რომლის მოძიებაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოგვიხერხდა: მამისთვალაშვილი მ. - ტერმინები: “ებრაელი”, “ისრაელი”, “ურია”. - საჭ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1940, ტ. 1.

ძირითადად, ე.წ. “ნეიტრალური” მნიშვნელობით (მაგ., “**ებრაელებს მიწას აძლევენ**, კოლექტივი უნდა გააკეთონ”), ზოგჯერ “იბრაელი” ფორმით (“ხარიტონ: უკაცრავად, **შენ ურია ხარ**, დანიელი კი **იბრაელია**); ამავე კატეგორიაშია: “**ჩვენი ხალხი**”, “**ჩვენებური ისრაელები**” (მაგ., **ჩვენებურ ისრაელებში** სირცხვილია მაგბელა ქალიშვილის ყოლა”), “**ჩვენს ბაბუას არ გაუკეთებია**” (მამა-პაპის მნიშვნელობით), **ისრაელის ხალხი** (“**ისრაელის ხალხი** - ამორჩეული ხალხია ხალხებს შორის და მას არა ჩვევია მიწაზე მუშაობა: რაც **ჩვენს ბაბუას** არ გაუკეთებია - **ჩვენ** რაზე უნდა გავაკეთოთ? ...

დღევანდელი ქართულისათვის “**ისრაელი**” ქვეყნის სახელწოდებაა, მის წარმომადგენელს კი “**ისრაელელს**” უწოდებენ. გერცელ ბააზოვთან ქვეყნის სახელწოდებად ეს ტერმინი არ გამოიყენება და მხოლოდ ხალხის აღმნიშვნელია. ებრაელთა მოდემის ერთიან სახელად კი ბააზოვთან შეგვხვდა ტერმინი “**საისრაელო**” (“**რაბი შალომ: - დაჩუმდი, ნუ წრიპინობ! როდის იყო **საისრაელოში** ახალგაზრდა ასული რაბის წინაშე ხმას იღებდა? (პიესა “იკვა რიენაშვილი”)**”).

მაგალითად:

იშაის სიტყვები: “...ყველა მე მემდურის: ქრისტიანი და **ისრაელი**... ვეგზანები დანიელ შათარაშვილს - ბრაზი მოსდის: მკედარი ხარო, თავს დაბლა ვუკრავ ხარიტონ აბზიანიძეს - თვალებიდან ცეცხლს ჰყრის: ფეხებში ნუ მებლანდები, **ურია ხარო. მე ურია ვარ**, დანიელ შათარაშვილი ვილა?”

იესისიტყვები: - აი შვილო, სად გაგონილა: **ისრაელი** და გლეხკაცობა? კაი დაგემართა, მალე ამოვა შენი და ჩემი დათესილი პური?..

¹⁰ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ებრაელთა ეთნონიმების ეტიმოლოგიური კვლევა, თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხისადმი ინტერესი უდიდესია უცხოეთშიც და ჩვენშიც, და თვალსაზრისებიც მრავალგვარია. მოვიყვანთ მაგ., პროფესორ გ. ქავთარაძის მოსაზრებას: “ყურადღებებს იპყრობს” მოქცევა “ქართლისადს” “ქალდეეების ჰონნების” მიერ დაკავებული მიწების აღვილმდებარეობისა და მათი აქ დამკვიდრების ხასიათისა და პირობების თითქმის სრული თანხვედრა “შეფეთა ცხოვრების” “ურიათა” მცხეთაში დასახლების ამბავთან; სიტყვებიც კი ერთნაირია გამოყენებული; აშკარაა, რომ ორივე თხზულებაში ერთი და იგივე ამბავია აღწერილი. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ე. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ “მოქცევა ქართლისადს” დედანში ქალდეველთაგან “გამოსხმული” “ჰურიანნი” დაქარაგმებული უნდა ყოფილიყო, როგორც “ჰონხი”. ეს მოსაზრება მისაღებად არის მიჩნეული იმის გამო, რომ “ჰონნები” ქალდეველბთან, ე.ი. ბაბილონელებთან დაკავშირებით არიან მოხსენიებულნი. მართალია, “მოქცევა ქართლისადს” “ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონნების” ნაცვლად “შეფეთა ცხოვრებაში” “ურიათა” დასახლებული, მაგრამ “შეფეთა ცხოვრებაც” იცნობს ქალდეველების ქართლში გადმოსახლების ამბავს, ოღონდ “ჰონნთა” მოუხსენიებლად: “...გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაამენეს იგინიცა ქართლს...”. ქართველთა წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა არსენ ბერის ზემომოყვანილი ციტატა: “ჩვენ ქართველი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთან და ენა მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან”; ამ ციტატაში სამჯერ არის ხაზგასმული – ეტყობა არავის არავითარი ეჭვი რომ არ დარჩეს – “არიან-ქართლის” მოსახლეობის ქართული ხასიათი: 1. ქართველების უშუალო მემკვიდრეობითი კავშირი (“შვილნი ვართ”) “არიან-ქართლიდან” წამოსულ მოსახლეობასთან; 2. ქართული ენის “არიან-ქართლიდან” შემოტანა (“ენა მათი უწყით”); 3. ქართლის მეფეთა მემკვიდრეობითი კავშირი “არიან-ქართლის” სამეფო კართან (“ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან”).

იშაი: _ მე ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგარამ მე და დანიელ შათარიშვილი ორივენი ერთი რჯულისა ვართ.

ხარიტონ: უკაცრავად, **შენ ურია ხარ**, დანიელი კი **იბრაელია**.¹⁰

გ. ბააზოვთან ტერმინი ისრაელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება და მისი სრული სახელური პარადიგმის დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს:

მრავლობითი რიცხვი, თანდებულიანი მიცემითი:

დანიელ: განა არ იცი, რომ **ჩვენებურ ისრაელებში** სირცხვილია მაგზელა ქალიშვილის ყოლა.

წოდებითი ბრუნვა:

- ისრაელის ხალხი - ამორჩეული ხალხია ხალხებს შორის და მას არა ჩვევია მიწაზე მუშაობა. რაც ჩვენს ბაბუას არ გაუკეთებია _ ჩვენ რაზე უნდა გვაკეთოთ? ასე არაა **ისრაელებო?**

რაბი შალომ: - აქა მშვიდობა **ისრაელებო!**"

თანდებულიანი ნათესაობითი:

- ნალოგებს ნულარ შეგვაწერო, სალოცავში ჩვენთვის დაგვაყენეთ და მაშინ გვეცოდინება, რომ მთავრობამ **ჩვენი ისრაელობისთვისაც** კარგად იანგარიშა.

შედგენილი შემასმენელი:

- დანიელ: იეზისკიელ ყვითელაშვილი **პატიოსანი ისრაელია** და მის სახლში მაგისტანა ამბებს არ შეიძლება ექნეს ადგილი.

საანალიზო ტერმინთა გამოყენებისა და ინტერპრეტაციის ქართულ ტრადიცია კარგად ჩანს ილია აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში":

ჰურია ებრაელი, ურია: ერთი იგი ჰურიაჲ იყო"

ჰურიება გახდომა ურიად: "ვითარ წარმართთა აიძულე ჰურიებად"

ჰურიაებრ - ებრაულად: "ნუ მეტყუჳ ჰურიაებრ"; "ვმა-ყო ვმითა დიდითა ჰურიაებრ"; "არა იცოდეს ჰურიაებრ"

ჰურიაებრ-ი - ებრაული; ნუ ერჩით ჰურიაებრთა ზღაპართა".

ჰურიაისტან-ი: "მაშინ ჰურიაისტანისანი ივლტოდედ მთად".

ებრაელ-ი ებრაული, ისრაელი; ებრაელი დედაკაცი;" მათე ... ებრაელითა ენითა დაწერა";

"მოუწოდა ასულთა ებრაელთასა უბიწოთა"; "განარინოს... კაცად-კაცადმან მონაჲ თჳი ებრაენი, ებრაელი თავისუფლად."

ებრაელებრ - ებრაულად: "წერილ იყო ებრაელებრ. ფრომინებრ და ბერძლ".

ებრაელებრ-ი - ებრაული: "იყო წიგნი, წერილი მას ზედა... ებრაელებრითა"; "ასწავებდა ებრაელებრითა ვმითა"; "თქუა ფილიპე ებრაელებრითა ენითა."

მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც გვინდა გამოვთქვათ აზრი, რომ გერცელ ბააზოვის ნაწარმოებებში "ურიასა" და "ისრაელს" თავად ებრაელთა შორის ქრისტეს მიმართ სარწმუნოებრივი ერთგულების მიხედვით განარჩევენ, გარედან (მაგ., ქართველთა დაკვირვებით) ეს სხვაობა სოციალური შინაარსით განპირობებული ჩანს - წარმატებული ებრაელი "ისრაელია", ლტაკი კი - "ურია", ხოლო რელიგიურობის მხრივ ნაკლებად მარკირებული და მხოლოდ ეთნოსზე მიმანიშნებელი ტერმინი "ებრაელია", რომელიც საბჭოეთის ეროვნული და

სოციალური პოლიტიკის ვითარებაში კიდევ უფრო ფართოდ დამკვიდრდა მასში სოციალურ კონოტაციათა ნაკლებობის გამო.

კიდევ რამდენიმე საინტერესო მომენტზე შევჩერდებით, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით კვლევას საინტერესო პერსპექტივა უჩანს:

1. გერცელ ბააზოვის პერსონაჟთათვის დამახასიათებელია საალერსო და კნინობით-საალერსო ფორმების გამოყენება, რომლითაც გამოირჩევა საერთოდ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მეტყველებაც, ხოლო დასავლეთის ქართველები ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოარჩევენ ებრაელების საკომუნიკაციო მანერას (შეიძლება ვთქვათ, საკომუნიკაციო ეტიკეტს)

მაგალითისათვის:

- **შემოვევლე ჩემს დავიდს.** რა კარგი გული აქვს.

იოხაბედ: - ნუ მომკალი, ჩემო კაცო, სიცილით.

2. გერცელ ბააზოვის პიესებში ხშირია ებრაული სიტყვებისა და გამოთქმების სპეციფიკური ლექსიკური ჩანართები, თუმცა ამ მოსახლეობამ ებრაული არ იცის:

-...**მაზალ-ტობ! სიმან-ტობ!** ღვინო, ღვინო დაასხით! **ლეხაიმ,** ჩვენო ახალო მოყვრებო!

იეხსიკელ: -**აღონაიმ** ჰკითხოს (და არა მოკითხოს) ჩემი ცოდვა დანიელ შათირაშვილს

- ბატონი ბრძანდები, მიათხოვე **მალახ-ჰამავეთს.**

3. ავტორი ხშირად უსვამს ხაზს იმ საყოფაცხოვრებო თავისებურებებსაც, რომლებიც ებრაელობას დანარჩენი მოსახლეობისაგან გამოარჩევდა. ასეთია ტრადიციების, ან ცხოვრების წესის ამსახველი გამონათქვამები. მაგალითად:

- **ებრაელებს მიწას აძლევენ,** კოლექტივი უნდა გააკეთონ.

- **იმათ რა უნდა გააკეთონ? მიწის ყადრი რა იციან?...**

- **იწყებენ გლახაობას.**

- ჩვენი ხალხი **და თოხი!** სასაცილოა, **თორის მზემ!**

- **ისრაელის ხალხი** - ამორჩეული ხალხია ხალხებს შორის და მას არა ჩვევია მიწაზე მუშაობა. რაც **ჩვენს ბაბუას** არ გაუკეთებია — **ჩვენ** რაზე უნდა გავაკეთოთ?

რაბი შალომ: - დაჩუმდი, ნუ წრიბინობ! როდის იყო **საისრაელოში** ახალგაზრდა ასული რაბის წინაშე ხმას იღებდა?

4. გენდერული თავისებურებების ასახვა მეტყველებაში:

ებრაეანი - ებრაელი მამაკაცი: “განარინოს... კაცად-კაცადმან მონად თქი ებრაეანი, ებრაელი თავისუფლად.”

ებრაელა - დედაკაცი ებრაელი: “უკუეთუ იყილო ძმაე შენი ებრაელი ანუ ებრაელად”.

ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, ებრაელობის სქესის მიხედვით განსხვავება ძველ ქართულ ტექსტებში დაჩნდება, თუმცა მოგვიანებით ეს სხვაობა აღარ ჩანს:

მაგალითად:

მეირის სიტყვები: “განა არ იცი, რომ **ებრაელი ქალი** არ არის თავის თავის ბატონ-პატრონი?”

როგორც ამ პატარა სტატიიდანაც ჩანს, გერცელ ბააზოვის ნაწარმოებები, მათი ცოცხალი დიალოგური (დრამატურგიული) ხასიათის გამო, ძალიან ბევრ საინტერესო მასალას გვაწოდის ქართული ებრაელების მეტყველების შესახებ. კვლევა შესაძლებელია გაგრძელდეს სპეციფიკური ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, ებრაული ლექსიკის ქართული ბგერათსისტემის მიხედვით გადმოტანის, სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებათა შესწავლისა და სხვა მრავალი მიმართულებითაც.

დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1973** - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- ნ. დუმბაძე, 1989** - ნ. დუმბაძე, თეთრი ბაირაღები, თბ., 1989.
- რ. ენოხი, 2005** - რ. ენოხი, “ქართველ ებრაელთა მეტყველების რამდენიმე სპეციფიკური თავისებურება ბანძა-ჭუთაისის რეგიონის ებრაელთა მეტყველების მაგალითზე“, ებრაული მემკვიდრეობა, № 2, 2005, გვ. 153-182.
- რ. ენოხი** - (რუბენ ენუქაშვილი), ქართული დიალექტოლოგიის საკითხები-შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ, ჟურნ., ბილინგვური განათლება, №5, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?>
- მ. ტაბიძე, 2009** - მ. ტაბიძე, “უცხო“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში, კავკასიოლოგიური ძიებანი, I, თბ., 2009.
- მ. ტაბიძე, 2011** - მ. ტაბიძე, ენობრივი თვითაღქმა, როგორც “ყოველთა ქართველთა“ ერთიანობის ერთ-ერთი საფუძველი, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში, II, ბათუმი, 2011.
- გ. ქავთარაძე** - გ. ქავთარაძე, “არიან-ქართლის“ საკითხისათვის <http://saunje.ge/index.php?id=888&lang=ka#>

MANANA TABIDZE

SPECIFIC CHARACTERISTICS OF JEW SPEECH IN GEORGIAN LITERATURE

The article give the review of some aspects of Jew speech , which will help us to see the socio linguistic specifics (and in some cases to make explanations) of using Georgian language by Jews. As the material we take the creation works of famous Georgian (Jew) writer Gertsel Baazov, which is the best resource to give the non biased characterization (e.g. free from stereotypes) of Georgian language used by Jews.

In the creative works of Gertsel baazov Jews are the central figures of his plays. He has no endeavors to take stereotypic approaches to Jew speech, as he characterizes the representatives of this ethnical group from the inner space, he is the member of this audience and doesn't find the specific characteristics as a something strange , which might be considered as special characteristic features to people who speak Georgian as a mother tongue. We shouldn't forget that Gertsel Baazov is the son of Rabbis and has the better knowledge of religious issues than others (ordinary civilian Jews), which distinguishes him with special competence even in the Soviet epoch and enables him to pay attention to nuances which might have been missed by some Jew (Georgian Jew) writers not only Georgians.

It's stated in the article that in creations of Gertsel Baazov "Uriah" and "Israel" are distinguished among Jews according to the religious loyalty towards Christ, from the outer space (e.g. by Georgian observations) this difference seems to be conditioned by social content - successful Jew is considered to be "Assyrian" and the poor is - "Uriah".

In terms of religiousness "Jew" is less marked term with the meaning of ethnos which became more common in condition of national and social politics of Soviet Union for lacking social connotations.

ტარიელ ფუტყარაძე

**საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დაბეჭდვისათვის
(2014 წელს საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ
ინიცირებული კანონპროექტი “სახელმწიფო ენის შესახებ”)**

შესავალი

რთულ გეოპოლიტიკურ ველში არსებული და ნაწილობრივ ოკუპირებული საქართველოს ხელისუფლება **ორი ძირითადი გამოწვევის წინაშე დგას:**

1. მეცნიერულად გააზრებული საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზებით თავი დააღწიოს რუსეთისგან პროვოცირებულ დეზინტეგრაციულ პროცესებს და შეძლოს ქვეყნის დეოკუპაცია;

2. ისე დაგეგმოს და განახორციელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი, რომ ზიანი არ მიაყენოს, ერთი მხრივ, ქართველი ერის, როგორც საქართველოს დამფუძნებელი ერის **სასიცოცხლო ინტერესებს**, მეორე მხრივ, განუზრვლად დაიცვას საქართველოს ყველა მოქალაქის **ყველა სახის უფლება**. აქვე აღვნიშნავ:

ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს ინტერესების უკეთ დასაცავად გვჭირდება და არა - ახალი პრობლემების შესაქმნელად; ჩვენთვის ევროკავშირი მიმზიდველია იმდენად, რამდენადაც ევროპული კავშირის ველში შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, ასევე, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა (შდრ., აფხაზი თუ ოსი უმცირესობის უფლებების დაცვის პროცესში არსებით ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რუსეთის მიერ აფხაზებისა და ოსების ერთი ნაწილის გამოყენება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ); წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი საქართველოსთვის ერთი საფრთხის შემცველი იქნებოდა.

არაიშვიათად, მძიმე შედეგებიანი პოლიტიკური კონფლიქტები იწყება ენობრივ-კულტურული კონფლიქტებით, შესაბამისად, რთულ გეოპოლიტიკურ არეალში არსებულ ქვეყანას კარგად გააზრებული ენობრივი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, რამდენადაც, **ენობრივი პოლიტიკის სტრატეგია ბევრად განსაზღვრავს როგორც ეროვნულ-კულტურულ თუ სახელმწიფოებრივ ერთიანობას, ისე მოქალაქეთა ენობრივი უფლების დაცვის ხარისხს.**

საქართველოს სინამდვილეში ენობრივი პოლიტიკის გააზრება-დაგეგმვა გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული ენის, აფხაზეთში: ქართული და აფხაზური ენების სტატუსის დაცვის პარალელურად, საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების ენობრივი უფლებების დაცვას; შესაბამისად, ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა დაბალანსებული უნდა იყოს, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ისე **ენობრივი იდენტობისა და ენობრივი უფლებების** დამცავ საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობაში; საერთაშორისო დოკუმენტებში ვგულისხმობთ:

- 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს მიერ სტრასბურგში მიღებულ “ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ”, რომლის მიზანია ისტორიული/ავტოქთონი უმცირესობის ენის, როგორც **იდენტობის განსაზღვრელი კულტურული ფენომენის დაცვა**;

- გაეროს დეკლარაციას: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები”¹ და “წარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ” (სტრასბურგი; 01.11.1995), რომელიც თავისი არსით **გაეროს დეკლარაციის გაგრძელებაა: კონვენციის** მიზანია არაძირითადი მოსახლეობის - ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის - **ენობრივი უფლებების განსაზღვრა** (თუმცა ამ დოკუმენტში მოცემული არ არის “**ეროვნული უმცირესობის**” განსაზღვრის კრიტერიუმები)².

ზემოთქმულის ფონზე საინტერესოა ერთი გარემოება:

ბოლო 15-17 წლის მანძილზე პოლიტიკოსთა (და მეცნიერთა) ერთი ჯგუფი მიზანმიმართულად აქტიურობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს “კანონი სახელმწიფო ენის შესახებ”, მეორე ჯგუფი კი ლობირებს “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიცირებას... როგორც გარეგნულად ჩანს, **ამ ორ პოლიტიკურ ჯგუფს შორის არ არის ლოიალური დამოკიდებულება**, მაგრამ ერთი ჯგუფის აქტიურობა განაპირობებს მეორის მოქმედებათა ცხოველმყოფელობას; საბოლოო ჯამში, პირველი ჯგუფისგან მივიღეთ კანონპროექტი “სახელმწიფო ენის შესახებ”, რომელიც არ ეფუძნება საქართველოს ენობრივი სიტუაციის ანალიზს, მეორე ჯგუფმა კი “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” ნაკლებად ადეკვატური და **სახიფათო ინტერპრეტაციის** შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად შესთავაზა, აღიაროს 12-მდე რეგიონული ან უმცირესობის ენა³.

ვფიქრობთ, ბევრად უკეთესი იქნება, ენობრივი პოლიტიკის დასახელებული ორივე მიმართულება ხელისუფლებისა და მეცნიერების მიერ ერთიან კონტექსტში ყოფილიყო. გააზრებული და დაბალანსებული; **წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ სულისკვეთებით დაიწერა.**

¹ მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0141111111).

² შტრ., მაგ., მუხლი 14:

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს თავისი უმცირესობის ენა.

2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

³ ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე (<http://www.parliament.ge/files/erovnul-umciresobata2005.doc>).

³ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ” და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დადგენის საკითხი, თბ., 2009. “უნივერსალი”; “European Charter for Regional or Minority Languages” and An Issue of Plannig Linguistic Policy in Georgia, Tb. 2009. <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>.

დისკუსია “სახელმწიფო ენის შესახებ” კანონპროექტის გარშემო.

2001 წელს, საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ინიციატივით, პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანილ იქნა კანონპროექტი “საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ”. ჯ. ხეცურიანის ცნობით, კანონპროექტის მომზადებაში ჩართული იყო ეუთო. 2002 წელს პარლამენტმა კანონპროექტი განიხილა, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო; 2004 წლის 23 აგვისტოს კი ეს კანონპროექტი ახალმა პრეზიდენტმა (მ. სააკაშვილმა) პარლამენტიდან გაიწვია⁴. აქვე საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ თავი შეიკავა “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” ხელმოწერაზეც და, შესაბამისად, ამ ქარტიის რატიფიცირებაზეც.

2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოში ისევ გააქტიურდა “ევროპული ქარტიის” რატიფიცირების თემა⁵; **პარალელურად, საქართველოს ახალ პარლამენტში - დაიწყო მსჯელობა “საქართველოს სახელმწიფო ენის კანონის” მიღებაზეც; კერძოდ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში თავის გასვლით სხდომაზე 2013 წლის 16 ივლისს განიხილა და მოიწონა თითქმის იგივე კანონპროექტი, რომელიც ამჟამად წარმოადგინეს:** თამაზ გამყრელიძემ, ავთანდილ არაბულმა, გუჩა კვარაცხელიამ და ლევან ღვინჯილიამ **(სხდომის ოქმი # 26)**⁶.

საზოგადოებისა და მასმედიის ნაწილი კანონპროექტს კრიტიკით შეხვდა მასში გათვალისწინებული ჯარიმების გამო, რის გამოც კანონპროექტი ნაწილობრივ გადამუშავდა და ისე გადაეცა პარლამენტს, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს. კომიტეტმა 2014 წელს კიდევ ერთხელ მოიწონა კანონპროექტი “სახელმწიფო ენის შესახებ”

⁴ <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/233791-joni-khecuriani?ar=A>

⁵ დოკუმენტური მასალებისათვის იხ., მაგ.: - ენების ევროპული ქარტია - მთავრობის ევროპული თავსატეხი,

<http://www.eugorgia.info/index.php/2014-03-13-20-46-17/152-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90;>

- ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ხელი მოაწეროს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიას, <http://www.interpressnews.ge/ge/politika/299261-evrosabtco-saqarthvelos-khelisuflebas-moutsodebs-kheli-moatseros-regionuli-an-umciresobatha-enebis-evropul-qartias.html?ar=A>;

- რის საფუძველზე ითხოვენ “რესპუბლიკელები” სომხური ენისათვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას? [http://sknews.ge/index.php?newsid=1250#.VEcXdlczMjM](http://sknews.ge/index.php?newsid=1250#.VEcXdlczMjM;);

- “ევროპის ქარტიის რატიფიცირება ავტომატურად სომხური ენისთვის რეგიონულის ენის სტატუსის მინიჭებას არ ნიშნავს”, <http://news.ge/ge/news/story/49067-evropis-qartiis-ratifitsireba-avtomaturad-somkhuri-enistvis-regionulis-enis-statusis-minichebas-ar-nishnavs>;

- ევროსაბჭო საქართველოს კვლავ რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიაზე ხელმოწერისკენ მოუწოდებს “ვიდეო”, 2014 წლის 7 ოქტომბერი | 11:57; <http://garbonline.tv/news/evrosabtcho-saqarthvelos-kvlav-regionuli-an-umtsiresobatha-enebis-evropul-qartiaz-kheltotserisken-moutsodebs/>

სოციალურ ქსელში დისკუსიისათვის იხ., აგრეთვე: <http://www.palitravt.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/29261-patriarqi-umciresobebis-enebze-evropuli-qartiis-shesakhebganckhadebas-avrcebs.html?fullComments=1>

⁶ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/ganatlbebis-mecnierebis-dakulturis-komiteti/komitetis-sxdomebi/36-4197.page>

და საკანონმდებლო წინადადებით შევიდა პარლამენტის წინაშე. პარლამენტმა კანონპროექტი ჯერ გადაუგზავნა ვენეციის კომისიას⁷, მოგვიანებით კი, **2014 წლის 2 სექტემბერს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დაარეგისტრირა: “სახელმწიფო ენის შესახებ კანონის პროექტი”⁸. აქვე გამოცხადდა, რომ ახალდარეგისტრირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვები 9-დან 23 სექტემბრამდე პერიოდში გაიმართებოდა. კანონპროექტი განსახილველად გადაეცათ, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლობით ორგანოებს.**

2014 წლის 15 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ენათმეცნიერთა ერთ ჯგუფს (თ. გვანცელძე, ტ. ფუტყარაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, ე. დადიანი...) მოგვმართა, გაგვეანალიზებინა შემოთავაზებული კანონპროექტი და მონაწილეობა მიგველო მის განხილვაში; ჩვენი თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. კანონპროექტის დასაწყისშივე შემოთავაზებული ახალი ტერმინი: **“ქართული სახელმწიფო ენა”** (რომელიც შემდეგაც ხშირად მეორდება) ბუნდოვანი და გაუგებარია.

2. კანონპროექტის ტექსტში ხშირად გამოიყენება ტერმინი: **“არასახელმწიფო ენა/ენები”**. ტერმინი “არასახელმწიფო ენა” მოიზარებს როგორც საერთაშორისო ენებს: ინგლისურს, გერმანულს, რუსულს..., ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნოსების ენებს: სომხურს, აზერბაიჯანულს, რუსულს, ქურთულს, ბერძნულს... დასახელებული ტერმინის ასეთი მრავალფეროვანი გაშინაარსიანება ბევრი გაუგებრობის სათავე შეიძლება გახდეს; მაგ., მე-15 მუხლში ვკითხულობთ:

“სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ბეჭდების, შტამპების, შტემპელების, ბლანკების ტექსტი დგება სახელმწიფო ენაზე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შესაბამისი ტექსტი პარალელურად გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ არასახელმწიფო ენაზე”... როგორც ჩანს, კანონპროექტის ავტორები უშეგებენ, რომ მაგ., სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბეჭდისა თუ შტამპის ტექსტი შეიძლება იყო ინგლისურ, რუსულ, სომხურ, ქურთულ... ენებზეც.

ვფიქრობთ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების **ბეჭდების, შტამპების, შტემპელების, ბლანკების ტექსტი** უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე; იმ შემთხვევაში, როდესაც წერილი საქართველოს ფარგლებს გარეთ იგზავნება, მხოლოდ ბლანკი შეიძლება იყოს ინგლისურ ენაზეც (რამდენადაც ინგლისური ენა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ენაა).

3. უმჯობესია, წარმოდგენილ კანონპროექტს დაემატოს რამდენიმე მუხლი, რომლებიც **შეეხება საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების ენების დაცვას; მსგავსი შინაარსის დამატებითი მუხლების დამატების შემთხვევაში დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოიხსნება**

⁷ <http://news.abkhazia.gov.ge/?p=4499>; იხ., ასევე: http://www.maestro.ge/menu_id/12/id/7842/lang/

⁸ კანონპროექტის ინიციატორად დასახელებულია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი, ავტორებად კი - ენათმეცნიერებისა და იურისტების ჯგუფი (ხელმძღვანელები: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული); <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/119885/>

“რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, “სახელმწიფო ენის შესახებ” კანონის მიღება საფუძველს მისცემს დაინტერესებულ ძალებს, დღის წესრიგში ახალი სიმძაფრით დააყენონ “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის საკითხი (საქართველოს დეოკუპაციამდე ამ ევროპული ქარტიის რატიფიცირება ბევრ სერიოზულ პრობლემას შექმნის).

4. კანონპროექტით შემოთავაზებულია (მუხლი 36) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - “სახელმწიფო ენის დეპარტამენტი”, რომლის დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა... ამ დეპარტამენტის შექმნის შემთხვევაში გაუგებარია “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს” ფუნქცია.

5. 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით “სახელმწიფო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი”... ვფიქრობთ, უმჯობესია, ქართულ ენაში, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენაში, სახელმწიფო გამოცდის ჩატარებას ორგანიზება გაუკეთოს “შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა”, რომელსაც გააჩნია სათანადო გამოცდილება და ინფრასტრუქტურა.

ამგვარი გადაწყვეტილება თავიდან აგვაცილებს “სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა” და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციების აღრევასა თუ პარალელიზმს;

6. მე-11 თავი მოიცავს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევებზე პასუხისმგებლობასა და სანქციებს... ვფიქრობთ, სანქციების ნაწილი უნდა გადავიდეს სხვა კანონებში (მაგ., “რეკლამის შესახებ კანონში”, “თვითმმართველობის შესახებ კანონში”, “პრესის კანონში” და სხვ.).

7. კანონპროექტის განმარტებით ნაწილში **საბჭოთა პერიოდი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ნორმალური ფუნქციონირების პერიოდადაა გამოცხადებული;** კერძოდ, კანონპროექტის ტექსტის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულ ენაზე კომუნიკაცია რეგიონის ყველა მოსახლეს შეეძლო... თავი რომ დავანებოთ ტერმინ “რეგიონის” უადგილო გამოყენებას, სიმართლეს არ შეეფერება ის, თითქოსდა, საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების (“ეთნიკური უმცირესობების”) ყველა წარმომადგენელი ქართულად მეტყველებდა; ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა იმპერიის ძალისხმევით, იმ პერიოდის საქართველოშიც ეთნოსთა შორის საკომუნიკაციო ენა იყო რუსული ენა. ვფიქრობთ, ასეთი მნიშვნელობის დოკუმენტით არ უნდა გავრცელდეს და დაკანონდეს რეალობის დამახინჯება...

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში გვქონდა კიდევ სხვა განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთაც აქ აღარ განვიხილავთ.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, “კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ” განიხილა და მოიწონა “ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო

ინტეგრაციის კომიტეტმა”⁹, მაგრამ კანონპროექტის მიმართ სერიოზული შენიშვნები ჰქონდა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს¹⁰.

პირადად მე 2014 წლის ოქტომბერში ვავეცანი ვენეციის კომისიის “არაოფიციალურ დასკვნასაც”¹¹, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ, სერიოზულად გადაამუშავოს კანონპროექტი; სანიმუშოდ წარმოვადგენთ ვენეციის დასკვნის სამ რეკომენდაციას:

- “(24) სახელმწიფო ენის დაცვა და განვითარება უნდა იყოს უმცირესობების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების დაცვისა და განვითარების საპირწონე... (27) კანონპროექტი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ჰყავს მრავალფეროვანი საზოგადოება, რომლის მოქალაქეებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ენობრივი იდენტობა და სახელმწიფო ენის სხვადასხვა დონის ცოდნა. სახელმწიფო ენის განმტკიცების და დაცვის ლეგიტიმურ მიზანსა და უმცირესობათა ენობრივი უფლებების დაცვას შორის ბალანსის დამყარების საჭიროება არასაკმარისადაა გათვალისწინებული... (28) **ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების შესახებ დებულებების კანონპროექტში არ არსებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მათი პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაზე, და შეაფერხოს ეროვნული უმცირესობების პირთა განათლების უფლება, ისევე როგორც მათი წარმომადგენლობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში, განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, სადაც ისინი დიდი რაოდენობით ცხოვრობენ. ეს საკითხი განსაკუთრებულ შემოთვალისწინებას იწვევს... (82) კანონპროექტი თითქმის მთელ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ენის დაცვასა და გამოყენებას და **ადეკვატურად ვერ ითვალისწინებს ქვეყნის ენობრივ მრავალფეროვნებას.****

- (29) უმცირესობების ენათა სტატუსი, როგორც ჩანს არაფრით განსხვავდება ნებისმიერი უცხოური ენის სტატუსისგან საქართველოს ტერიტორიაზე. კანონპროექტის მე-6 მუხლი (5) აღნიშნავს, რომ “არასახელმწიფო ენების გამოყენება თავისუფალია, თუ ამით არ იზღუდება სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი”. **შესაბამისად, უმცირესობათა ენები მოიაზრება “არასახელმწიფო ენების” კონცეფციაში, რომელსაც კანონპროექტის მე-3 მუხლი (ბ) განმარტავს, როგორც “სახელმწიფო ენის (ენების) გარდა, ნებისმიერი სხვა ენა, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ...”** (52) მეტი სიცხადეა საჭირო მუხლი 15 (1)-ში ნახსენებ “არასახელმწიფო ენების” ქართულ ენასთან ერთად გამოყენების “საჭიროების” კრიტერიუმებზე, ბეჭდებში, შტამპებში, შტემპელებსა და ბლანკებში. ამავდროულად, დებულებამ უნდა დააკონკრეტოს რას გულისხმობს არასახელმწიფო ენებში: უმცირესობის ენებს, უცხოურ ენებს თუ ორივეს.

⁹ <http://www.etanews.ge/politika/6510-qsakhelmtsifo-enis-shesakheb-kanonproeqti-adamianis-ullebatha-dacvisa-komitetis-skhdomez-ganikhiles.html>

¹⁰ <http://www.parliament.ge/uploads/other/24/24166.pdf>

¹¹ ვენეციის კომისიის დასკვნა მომწოდდა პროფ. მანანა ტაბიძემ.

პოლიტიკის განხორციელებით დაიცავს როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს (აფხაზეთში ქართული ენისა და აფხაზური ენების სტატუსს), ასევე, ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს¹².

ვფიქრობთ, ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით უახლოეს მომავალში ხელისუფლების **ლოგიკური ქმედება სამგვარი შეიძლება იყოს:**

1. საქართველოს დეოკუპაციამდე და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის კონტროლის სრულად აღდგენამდე საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს როგორც “საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ” კანონის მიღებისგან, ასევე, “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიცირებისაგან¹³; რამდენადაც, **დეოკუპაციამდე ყოვლად შეუძლებელია, საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე განხორციელდეს რომელიმე ენობრივი რეგულაცია.**

2. საფრანგეთის მსგავსად საქართველომაც მიიღოს მხოლოდ კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ”; შტრ.::

1994 წლის 4 აგვისტოს იქნა მიღებული ე.წ. ტუბონის კანონი “ფრანგული ენის გამოყენების შესახებ”, რომელიც სავალდებულოს ხდის სახელმწიფო ენის გამოყენებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: განათლება, საქმიანი ურთიერთობები, რეკლამა და ვაჭრობა. **ტუბონის კანონი** არ განიხილავს რეგიონული ენების გამოყენების საკითხს, მხოლოდ 21-ე პუნქტშია აღნიშნული, რომ მოცემული კანონი არ ზღუდავს კანონმდებლობას რეგიონული ენების გამოყენების შესახებ, თუმცა, აქვე საფრანგეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი ქვეყნის მოქალაქეები **ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად** ერთ ერს წარმოადგენს; ამ ერის ეროვნული ენა, სახელმწიფო ენა არის ფრანგული ენა, შესაბამისად, მთავარი ყურადღება გადატანილია სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვაზე¹⁴.

საქართველოსთვის “ფრანგული გზა” სახიფათოა, ვინაიდან საქართველოში არ არის მოქალაქეთა კონსოლიდაციის ის საფეხური, რომ

¹² სხვადასხვა დარგის ქართველ სპეციალისტთა თანამშრომლობით საკითხი უნდა დამუშავდეს კომპლექსურად; წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ევროსტრუქტურების კულუარებში ისევ გახდება სამსჯელო ქართველების მიერ ცუდად მომზადებული, დაუბალანსებელი კანონპროექტი, მეორე მხრივ, ისევ იქნება მცდელობა, საქართველოს თავს მოახვიონ “ევროპული ქარტიისა” თუ “საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის” ისეთი ინტერპრეტაციები, რომლებიც ნაკლებად ითვალისწინებს საქართველოს რეალობას.

¹³ “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია” ერთდღერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც შეიქმნა ავტოქტონი უმცირესობის ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დასაცავად (და არა უმცირესობის წარმომადგენლის ინდივიდუალური ენობრივი უფლებების დასაცავად). კეთილშობილური მიზნით შექმნილი ამ სამართლებრივი დოკუმენტის სწორი ინტერპრეტირების შემთხვევაში “ევროპული ქარტია” არც ერთი ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს; ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ” და საქართველო”, ქუთაისი, 2010; “European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi, 2010; E.Dadiani, R. Serozia; <http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Serozia-2010>.

ტ. ფუტკარაძე, “ენის ქარტია” და ეთნიკურ უმცირესობათა ავტოქტონის საკითხი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 2012, # 2, გვ. 76-88.

ტ. ფუტკარაძე, “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის ევროსაბჭოს სამდივნოს ექსპერტების ბოლო რეკომენდაციები (14.09.2010) და საქართველოს ენობრივი პოლიტიკის აქტუალური საკითხები”; ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი, II ქუთაისი, 2010.

¹⁴ “ფრანგი ერი შედგება განსხვავებული წარმომავლობის, რასის ან რელიგიის მოქალაქისაგან” http://www.axl.cefan.ulaval.ca/europe/france-3politik_minorites.htm

საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა, აფხაზებმა თუ რუსებმა საკუთარი თავი ქართველი ერის ნაწილად განიხილონ; არც ეთნიკური ქართველები თვლიან, რომ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხნი, რუსი, აზერბაიჯანელი, ოსი... ქართველი ერის ნაწილია¹⁵; **შესაბამისად, ფრანგული მოდელი საქართველოში მშვიდობიანად ვერ ამოქმედდება**: ამგვარი ქმედება ხელს შეუწყობს მეზობელი ქვეყნების გეგმებს, საქართველოს განაპირა მხარეებში სახიფათოდ გააქტიურონ დეზინტეგრაციული პროცესები¹⁶.

3. ხელისუფლებამ დარგის სპეციალისტების თვალსაზრისითა შეგერებით (და არა - ერთ ჯგუფზე დაყრდნობით) უნდა განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის **საფუძველზე უნდა შემუშავდეს** "საქართველოს კანონი სახელმწიფო ენისა (ენების) და ავტოქთონი და მიგრანტი უმცირესობების ენების შესახებ"; ამ კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც **საქართველოს სახელმწიფო ენის** (აფხაზეთში ქართული და აფხაზური ენების) სტატუსის დაცვის, ასევე, **ქართველური დიალექტების**, როგორც ქართველთა

¹⁵ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ამ ეთნოსების წარმომადგენელთა ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობილია რუსული იმპერიული სივრცისგან საქართველოს დამოუკიდებლობისა თუ საქართველოს ევროპული ორიენტაციის მიმართ.

¹⁶ შდრ., ესპანეთის ენობრივი პოლიტიკის ძირითადი ასპექტები: ესპანეთის კონსტიტუციის (მიღებულია 1978 წელს) მესამე მუხლი მთლიანად შეეხება და განსაზღვრავს ქვეყნის ენობრივ ვითარებას; კერძოდ, მის პირველ ქვეთავში ნათქვამია, რომ "კასტილიური არის [იგივე] ესპანური, სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ყოველი ესპანელი ვალდებულია, იცოდეს კასტილიური და აქვს უფლება, გამოიყენოს" ("El castellano es la lengua española oficial del Estado. Todos los españoles tienen el deber de conocerla y el derecho a usarla"); მეორე ქვეთავში ნათქვამია, რომ "ესპანეთის დანარჩენი ენები ასევე ოფიციალური იქნება შესაბამის ავტონომიურ გაერთიანებებში, მათივე შიდა კანონმდებლობის შესაბამისად" ("Las demás lenguas españolas serán también oficiales en las respectivas Comunidades Autónomas de acuerdo con sus Estatutos"). მესამე ქვეთავში განხილულია ესპანეთის ისტორიული იდიომები, სადაც ვკითხულობთ: "ესპანეთის სხვადასხვაგვარ ენობრივ ერთეულთა სიმდიდრე წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, რაც საჭიროებს სპეციალურ ყურადღებასა და დაცვას" ("La riqueza de las distintas modalidades lingüísticas de España es un patrimonio cultural que será objeto de especial respeto y protección").

დღეს ესპანეთში 17 ავტონომიური გაერთიანებაა, მაგრამ მათგან კონსტიტუციის მესამე მუხლის მეორე ქვეთავის მიხედვით, ოფიციალური ესპანურის (კასტილიურის) პარალელურად, მეორე ოფიციალური ენა აქვს მხოლოდ კატალონიას, ბალეარის კუნძულებს, ვალენსიას (აეილგან - კატალონიური), გალისიას (გალისიური) და ბასკეთს (ბასკური). სხვა ავტონომიურ გაერთიანებებში ერთადერთი ოფიციალური ენაა ესპანური (კასტილიური), ხოლო იმ ადგილობრივ იდიომებზე, რომლებიც ისტორიულად არასოდეს წარმოადგენდა კასტილიურის ქვესისტემას (ასტურ-ლეონური და არაგონული, რომელთაც ესპანეთის გაერთიანებამდე დამოუკიდებელი ენების სტატუსი და სამწიგნობრო ტრადიცია ჰქონდათ), ვრცელდება კონსტიტუციის ხსენებული მესამე თავის მესამე მუხლის და "ევროპული ქარტიის" დებულებანი. "ევროპულ ქარტიას" ესპანეთმა ხელი მოაწერა 1992 წლის 5 ნოემბერს, რატეფიკაცია მოახდინა 2001 წლის 9 აპრილს; ძალაში შევიდა იმავე წლის 1 აგვისტოდან (მასალა მოგვაწოდა მ. ლაბაძემ).

ესპანური ვითარებისგან არსებითად განსხვავდება ქართველური ენობრივი სამყარო: საქართველოში 20 საუკუნეზე მეტია სახელმწიფო, საეკლესიო და სამწიგნობრო ენა არის ქართული ენა, რომელიც მომდინარეობს საერთოქართველური ფუძე-ენიდან. საერთოქართველურ ფუძე-ენასთან ყველაზე ახლოს დგას ქართული სამწიგნობრო ენა, რომლის უცვლელობა განაპირობა მრავალსაუკუნოვანმა უწყვეტობამ. ცნობილი ფაქტია: საქართველოს ყველა კუთხის ქართველობა ერთნაირად არის ქართული სამწიგნობრო ენის შემოქმედი; ქართველთა კუთხური მეტყველებები (მეგრულ-ლაზურ-სვანური თუ მესხურ-ქართლურ ფნოვური...) ამ საერთო ეროვნული ენის ქვესისტემებს წარმოადგენს.

ეროვნული ენის შენაკადების, გადარჩენისა და საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის აუცილებლობა.

შდრ.:

წარმოდგენილი სამი მიმართულებიდან (სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა, ქართველური ზეპირი (საშინაო) მეტყველებების გადარჩენა¹⁷ და უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა) უკეთესადაა საქმე უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის მიმართულებით; კერძოდ, საქართველომ აღიარა შემდეგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

- “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაცია”¹⁸,

- ეუთოს ოსლოს რეკომენდაცია¹⁹,

- ლუნდის რეკომენდაცია²⁰...

გარდა ამისა, 2005 წელს რატიფიცირება გაუკეთა “ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციას”²¹ და ბოლოს, 2009 წლის მაისში, პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ხელმოწერით გამოქვეყნდა “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა”²², რომელიც შემუშავდა “ჩარჩო კონვენციის” საფუძველზე და რომლითაც მაქსიმალურადაა დაცული სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი თუ სხვაენოვანი უმცირესობების ენობრივ უფლებები განათლების, მასმედიის და სხვა მიმართულებებით.

ყველა შესაძლო შემთხვევაში აუცილებელია, საქართველოში არსებულ ენობრივ ერთეულთა ზოგადად, ენობრივ ფაქტთა თუ მოვლენათა ზუსტი კვალიფიცირება, ვინაიდან ტერმინოლოგიური ბუნდოვნება თუ ცთომილებები ბევრი გაუგებრობის, მეტიც, საბედისწერო პროცესების საფუძველი ხდება²³.

¹⁷ ვგულისხმობთ ქართველურ ენა-კილოებში დავანებული ლექსიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და სხვა ლინგვისტური თავისებურებების შენარჩუნებასა და შესწავლას, ასევე, ეთნოგრაფიული თუ კულტუროლოგიური ხასიათის მასალების მოძიებასა და პატრონობას.
¹⁸ მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=01411111111).

¹⁹ ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) <http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf>.

²⁰ ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>

²¹ <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157'CM=8'DF=12/15/2008'CL=ENG>;

²² http://www.epfound.ge/files/koncepcia_geo.pdf

²³ ფაქტის, მოვლენის ტერმინოლოგიური შეფასების სიზუსტის აუცილებლობის საჩვენებლად აქ კიდევ ერთხელ წარმოვადგენ 14 აპრილის მაგალითს:

1978 წელს ქართველმა ახალგაზრდებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა რუსეთის იმპერიისგან დაიცივე ქართველი ენის, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ნაწილის - საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის - სახელმწიფო ენის სტატუსი; შესაბამის საპროტესტო აქციაში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც. მალევე, საბჭოთა პერიოდშივე, 14 აპრილი გამოცხადდა ქართული ენის დღედ და დღეაენის დღედ; უმოკლესი იყო, 14 აპრილი გამოცხადებულიყო საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ, რამდენადაც, 14 აპრილის გამოცხადებამ ქართველთა დღეაენის დღედ სტიმული მისცა სხვა ეთნოსებს, გამოეცხადებინათ თავიანთი დღეაენების დღეც; შესაბამისად, ხელი შეეწყო კრემლის მიერ დაგეგმილ დეზინტეგრაციულ პროცესებს, რომლებიც აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დიდ ტრაგედიებად გადაიზარდა, ტრაგედიებად, რომელთაც დიდად ავნეს როგორც ქართველებს, ისევე, აფხაზებსა და ოსებს; 14 აპრილის სახელმწიფო ენის დღედ კვალიფიცირებით ხელი უფრო შეეწყოზოდა საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციის პროცესს.

TARIEL PUTKARADZE

ON THE MATTER OF PLANNING THE LANGUAGE POLICY FOR GEORGIA (The bill “About State Language” initiated by the parliament bureau of Georgia in 2014)

There is no whole state strategy towards language policy in Georgia. We think it's necessary for government to analyze language policy in a whole global context and by summing up the viewpoints of different fields specialists (linguistics, historiography, law, international relations, sociology, psychology) and (not by relying on one group) **define state strategy of Georgia towards planning the language and information policies.**

In case of launching logical/adequate legislation in the field of language policy, government of Georgia will avoid **emerging additional risk factors** and by implementing balanced language policy **will protect both the Georgian state language status** (status of Georgian and Abkhazian languages in Abkhazia) and the **language rights of ethnical minorities.**

We think that logical action of government in the nearest future might be denoted in three ways:

Until getting back the occupied territories of Georgia and entirely rebuilding control of Georgian government on the whole territory of Georgia, Georgian government should refrain both from enactment of the law “About the Georgian state language”, and also from ratification of “European charter for regional or minority languages”; as **it's impossible to implement any regulations about language on the whole territory of Georgia until getting back the occupied territories.**

2. If Georgia activates the law “about state language” in resemblance with France, compare:

In 1994 they activated the so called Toubon law “about using the French language”, which makes it compulsory to use French language in the following fields: education, business relations, advertisement and trading. Toubon law doesn't involve reviewing the issue of using regional languages, just it is remarked in point 21 that given law doesn't restrict legislation about using regional languages, however French government declares that citizens of this country **despite ethnical backgrounds represent one nation**, the national language for this nation is French language, accordingly the main focus is on protection of state language status.

For Georgia “French way” is risky, as citizen consolidation in Georgia doesn't hold the level which would make the Georgian citizens-ethnical Armenians, Azers, Ossetians, Abkhazians or Russians see themselves as part of Georgian nation; neither ethnical Georgians think that Georgian citizens - ethnical Armenians, Russians, Azers, Ossetians ... are the part of Georgian nation, **accordingly French model won't act peacefully in Georgia:** such actions will support neighbor countries plans to activate disintegrated processes in the outskirts of Georgia.

3. Government should define long-term strategy of Georgian state language policy by summing up the viewpoints of field specialists (and not only relying on one group), which will be the basis to activate “the law of Georgia about the state languages, and the languages of authentic and migrant minorities; this law should take into consideration as protecting the Georgian state language status (Georgian and Abkhazian languages in Abkhazia) as Georgian dialects, as the necessity of surviving the varieties of Georgian national language and protecting language rights of ethnical minorities in Georgia.

From the presented three directions (protecting state language status, surviving Georgian verbal (domestic) speech and protecting language rights for minorities) protecting language rights for minorities is in better condition; in particular, Georgia recognized the following international legal acts:

- “UN declaration on national or ethnical, religion and language minorities”,
- Oslo recommendation of OSCE
- Lund Recommendation ...

Besides, in 2005 “**Framework Convention about National Minorities**” was ratified and finally in may 2009 under the signature of prime minister Nika Gilauri “**National Conception of Tolerance and Civil Integration and Acting Plan**” was published which was worked out on “framework convention” basis and which maximally protects the rights of Armenian, Azer or other language minorities in terms of education and mass media.

All in all it’s necessary to make exact qualification of language units existing in Georgia, general language facts and cases as, **ambiguity about terms or mistakes** become the basis of number of misunderstandings, and more than that - **fatal processes**.

ლელია ქველიძე
ნათელა დანგაძე

ბენდერული საკითხი თანამედროვე ისრაელში

სტატიაში განხილულია პიროვნებისა და სქესის შესახებ არსებული თეორიების ახლებური მიდგომა კოლექტივთან დამოკიდებულებაში. როგორ იქმნება ქალთა ალიანსები, როგორ აწარმოებენ მოლაპარაკებებს გენდერულ და ეროვნულ იდენტობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის სახელმწიფოს დაარსების დეკლარაციამ 1948 წელს გამოაცხადა სქესთა თანასწორობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფო პრინციპი და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესიც შეიცავდა ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონს (1951წ.) და კანონმდებლობას თანასწორ გადასახადსა დედის უფლებებზე, ქალების თავისუფლება სინამდვილეში პრაქტიკულად შეზღუდული იყო ძლიერი ოჯახური იდეოლოგიის მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირა რელიგიურმა მმართველობამ. გარკვეულწილად ხორციელდებოდა ებრაული, მუსულმანური თუ ქრისტიანული თემების კონტროლი სასამართლოებზე, რომელიც განიხილავდა პირადი სტატუსის საკითხებს. დასაქმების საკითხშიც არსებობდა უთანასწორობა. 1980 წლისთვის ქალები შეადგენდნენ სამუშაო ძალის დაახლოებით 36%-ს.

XX ს. 70-იან წლებში ისრაელში დაიწყო ფემინისტ ქალთა მოძრაობა. ხოლო უკვე 1991 წელს ისრაელში შედგა ფემინისტური კონფერენცია, სადაც ქალთა უფლებების დასაცავად მისრაჰის ებრაელი და პალესტინელი არაბი ქალები ერთად აპროტესტებდნენ სქესთა შორის არათანაბარუფლებიანობას.

90-იანი წლებიდან ისრაელის სახელმწიფოში მოქმედებს კანონი, რომლის საფუძველზეც ხდება ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების აპრიორული დაცვა ყველა სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანთა ღირსებისა და თავისუფლების დაცვა.

გენდერული თანასწორობის პრობლემა ისრაელელ ქალთა ლიტერატურის მთავარ საკითხად იქცა თანამედროვე პირობებში. ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა ცენტრალური პრობლემაა. მწერალი ქალები თავგამოდებით იცავენ ქალის უფლებებს და ხაზს უსვამენ ქალის მნიშვნელოვან ფუნქციას ლიტერატურის განვითარების საქმეში. ამ მხრივ ისინი აგრძელებენ ერეც ისრაელში პირველი მადილოსანი მწერლის დებორა ბარონის ტრადიციებს. განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე ებრაელი პოეტი ქალის იეირა გნოსერის მოღვაწეობა. მწერალი არის ნოვატორი თავის ლექსებში გენდერული პრობლემის დასმის თვალსაზრისით. ფორმის მიხედვით იეირა მიმართავს თავისუფალ სალექსო ფორმას. ამ ასპექტით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ებრაული ლიტერატურის განვითარებისა და მის მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართვის თვალსაზრისით.

LEILA KVELIDZE,
NATELADANGADZE

GENDER ISSUES IN THE MODERN ISRAEL

The Women's Equal Rights Law of 1951 guarantees the equal treatment of men and women, but it is not uncommon that the long-running conflict between religion and state stand in the way of legally established principles of Gender equality. Secular principles govern much of public life and women and men are subject to the same rights and obligations. Matters related to personal law are administrated by the country's Religious Courts (Jewish rabbinic courts, Islamic Sharia courts, Christian courts and Druze courts) where patriarchal norms and traditions often prevail. Over 76% of Israel's population is Jewish. Muslims make up the second largest group (16%), followed by Arab Christians (1.7%) and Druze (1.6%).

There are no specific laws or customs that limit women's **Freedom of movement**. On the other hand, both men and women may face restrictions on their movement within the occupied territories and between Israel and the territories. Conservative Muslim women might be expected to respect traditions of veil and not socialize with unrelated males.

Women's **Freedom of dress** is generally respected in Israel. There have been some reports of cases where women wearing short skirts and sleeveless shirts have been denied access to supermarkets and similar facilities. Muslim women may or may not veil themselves depending on personal beliefs and traditions.

The awakening to the reality of women's disadvantage brought a decade of feminist legislation which was initiated by feminist organizations. The first legislative measure in 1987 was to reverse a Labor Court decision which had upheld mandatory early retirement for women. After that, an equal employment opportunity law was passed, with remedies for all forms of employment discrimination and conversion of childcare rights from maternal to parental rights. Laws requiring affirmative action for directors of government companies and for civil service employees and imposing an obligation to pay equal pay for work of equal value were passed. In 1998 the Knesset adopted a law prohibiting sexual harassment in the workplace, which extended its prohibitions beyond the workplace to other dependent relationships, in education, healthcare and the military, and also to non-dependent relationships where there are repeated acts of harassment. A law guaranteeing women's right to fill any role in the military, provided they are capable of doing so, was introduced. In 2000, an Amendment to the Women's Equal Rights Law consolidated the principles of equality with affirmative action and accommodation, which had been introduced in case law and legislation as basic principles of the legal system.

But despite this general liberties women of the Arab minority often don't know about income security. Women, especially in traditional societies, often perceive matters of personal economy as a male task. Many of Arab women do not participate

in the workforce; they have no financial precautions for old age whatsoever, no pensions, no insurances or savings. They probably will receive an old-age allowance only that is much too little to live from. Many Arab women have never heard before of the social benefits and tax reductions to which they are entitled. The majority has no idea how to claim these entitlements either. Information published by the state does not reach Arab women who do not read Hebrew, do not surf the Internet, and often do not travel outside of their villages.

It may seem obvious that women's roles in Israeli society have changed greatly in recent decades. The patriarchal nature of traditional Jewish culture could have dictated a domestic and publicly secondary role for women in the new society and State. On the other hand, the shift in the West toward acceptance of feminist ideology could have pushed them into different, more public functions. However, the true picture is considerably more complex than this.

Zionism was not a continuation of the traditional Jewish way of life: on the contrary, it considered itself a reaction to it. Consequently, many of the assumptions underpinning that life – including women's role – did not pass into the various streams of Zionism that created the basis of the new society. Religious Zionism also rejected the traditional role, creating a much more active, assertive role for women in the community. This is best exemplified by women in the religious kibbutzim.

In theory, therefore, Israel should have aligned itself clearly with other socialist and revolutionary societies around the world, which attempted to define a new role for women in the economic, social and political spheres of public life.

It is possible to analyze the character of pre-State society more deeply, however, and to demonstrate that, in fact, there was always a gap between the ideology of the Zionist movement and reality – even in the kibbutzim. Despite a notable change in women's roles in Yishuv society and the contributions of some remarkable women in public life, the years following the establishment of the State witnessed a general retreat from the advances of that earlier period.

In practical terms, this has meant that the major change developing in recent years is, indeed, due to the rise of feminism and feminist consciousness. This phenomenon will be dealt with in a separate framework. Only a number of the significant aspects relating to women's place in Israeli culture will be mentioned here.

In the years preceding and immediately following the establishment of the State of Israel, feminine voices were lacking in various creative fields. A few played a minor role – and often a respected one – but the men remained the central figures.

This is evident in the world of literature. Rachel, Dvora Baron and Elisheva were all considered significant – to different degrees – in the early literary life of the Yishuv. All three were part of the Zionist milieu of the early decades of the 20th century and made particular contributions. Indeed, it is possible to use their work to argue for a specifically feminine voice in literature: quieter, smaller, more questioning and less confident than most of their more famous male counterparts. The women's work dealt with more intimate, personal canvasses. They wrote no epics and commented less on the great national movement that was developing around them

and in which they nonetheless played a part. Even Rachel – in many ways the one among the three whose work most reflected the larger issues of Halutzit and nation-building – always reflected on these subjects from an autobiographical viewpoint. “*I only know how to tell of myself*” she begins one famous poem, and this is largely true. She made no attempt to disguise the intensely personal nature of her poetry. The men did so very well.

There were few women writers, either, in the early years of the State. Amelia Kahane Carmon was a significant voice but she stood almost alone among the profusion of talented **male** writers and poets who filled the literary press. It seems that society was not encouraging its potential women writers. The trend has only begun to be reversed in the recent decades: a large group of extremely successful, talented women have come to the fore in different literary genres. Most of the novels now published in Israel are by women. Debora Baron, Ieira Gnosser, Shulamit Hareven, Savyon Liebrecht, Orly Castel Bloom and Yehudit Katzir are just some of the names that have gained popularity not only in Israel, but also internationally (in translation). They and the other women who have come to the center of Israel’s literary scene, are both the product and the cause of a social revolution that has been taking place in recent years. Women have now claimed center-stage unapologetically in an arena that was formerly mainly reserved for men.

Ieira Gnosser is innovator in her verses in discussing of gender issue problem and she is contemporary representative of the writers, who dedicated their works to this issue. She did not forget the first writer woman of Erec Israel – Debora Baron.

A particularly significant aspect of this phenomenon is the work of women writers who express the agenda or worldview of specific sectors of Israeli society. This was related to above regarding both the new Mizrahi voices’ expression of a sectoral outlook influenced by their ethnic background and those that have begun to depict religious Orthodoxy to the outside world. These two trends have produced significant women writers. In fact, the latter – relating to Orthodoxy – is largely spearheaded by women. Apart from the fact that they are opening up aspects of the world of Orthodoxy and ultra-Orthodoxy to the general public, the very appearance of these writers demonstrates a significant change within Orthodox society. It is likely that other sectors of the population will also start to develop their own literary voices, and that women will be a part of it.

This trend is far less pronounced in other spheres. For example, women’s voices have always been part of the popular music field, as in many Western-oriented practices. Until recently, however, most of them were part of a product created by a male-dominated music industry. Women were important as singers and performers, but generally were interpreting songs that had been written by men; furthermore, their music was arranged and produced by men.

In the popular music scene of today, while most of the production, arrangement and actual playing of instruments are still being done by men, the number of women who write many or even most of their own songs has increased significantly over the last twenty-old years. Using very different styles, women such as Yehudit Ravitz,

Si Heiman and Ahinoam Nini have taken a large degree of control over what they produce and have much more of a say as to what musical sound they produce. This important new direction is likely to grow much stronger in the future.

In 1992, the Knesset found a way to circumvent the opposition of the religious parties to a constitutional principle of equality by introducing a partial constitutional bill of rights, the Basic Law: **Human Dignity and Liberty**, which guaranteed, amongst other rights, the right to human dignity. Human dignity in international human rights law inherently incorporates the right to equality and prohibition of group discrimination, including on grounds of sex. Those judges of the Supreme Court who have addressed the issue, have, for the most part, held that equality for women is incorporated in the right to human dignity. The Basic Law: Human Dignity and Liberty guaranteed superiority to the human rights listed, which could not be violated except by a law which is in accordance with the values of the State of Israel as a Jewish and democratic State, which are for a justified purpose and which are not disproportionate for the achievement of that purpose.

There is a dichotomy in Israeli law between religious and secular values as regards gender issues. This dichotomy pervades the legal system at all levels. At the constitutional level religious values have preempted the introduction of an explicit right to equality for women. However, this limit has been largely circumvented by the constitutional right to human dignity and by Supreme Court jurisprudence, which has established the right to equality as a fundamental right.

In all other areas of law, not directly related to religious values and norms, a strong concept of gender equality has been developed both in legislation and in the courts. Thus, in these areas, the legal system combines social accommodation for maternity and parenthood with equal opportunity guarantees for women's participation in the labor force and the military and affirmative action in public sphere economic activities.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. შ. ჯასიმი, 2007** - ა. შ. ჯასიმი ახალი მიმართულებანი თანამედროვე ებრაულ პოეზიაში, პერსექტივა - XXI,IX, თბ., 2007, გვ. 173-174.
- ს. კოკბერნი, 2002** - ს. კოკბერნი, სივრცე ჩვენს შორის - მოლაპარაკებანი გენდერულ და ეროვნულ იდენტობაზე კონფლიქტში, თარგმანი ინგლისურიდან, ქუთაისი, 2002.
- რ. გაჩეჩილაძე, 2008** - რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2008.
- ლ. ქველიძე, 2014** - ახალი არაბული ლიტერატურა და გენდერული თანასწორობის პრობლემები, ქუთაისი, 2014.
- Halperin-Kaddari, Ruth. Women in Israel: A State of Their Own.** Philadelphia: 2004.
- Idem. "Religion, Multiculturalism and Equality: The Israeli Case."** Israel Yearbook on Human Rights 25 (1995): 193–210.
- Idem. "The Israeli Perspective."** In *The Status of Women at the Beginning of the Twenty-First Century: Proceedings*. UNESCO: 2001, 113–144.
- www. <http://jwa.org/.../equality-religion-and-gender-in-Israel>, by Frances Raday. Equality, Religion and Gender in Israel, Jewish Women's Archive, 2014.**

მურმან ქუთელია

პატრიოტიზმი ქართველ და არაბ რომანტიკოსებთან
(წერილი პირველი)

ჩვენი აზრით, ალბათ, საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობების შედარება და ამ გზით მათთვის დამახასიათებელი საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა. ყველა ქვეყნის რომანტიზმს გააჩნია რიგი თავისებურებებისა, რომელთა გარკვეული რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა, ნაწილი განსხვავებულად არის წარმოდგენილი, ნაწილში კი, ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამო, ესა თუ ის ნიშანი წინ არის წამოწეული და მასზეა გამახვილებული ყურადღება. ასეთი მსგავსება-განსხვავებების შედეგია ის, რომ დღეს ვამბობთ “ფრანგული რომანტიზმი”, “ინგლისური რომანტიზმი”, “პოლონური რომანტიზმი”, “არაბული რომანტიზმი”, “ქართული რომანტიზმი” და ა. შ.

ჩვენი მიზანია ერთმანეთს შევადაროთ არაბული და ქართული რომანტიზმი, ვაჩვენოთ არაბი და ქართველი რომანტიკოსები განსაკუთრებით რომელ საკითხებსა თუ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას. ასეთი კვლევის ჩატარება გადაწყვიტეთ მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში რომანტიზმის ჩამოყალიბება-განვითარება დროში ერთმანეთს არ ემთხვევა: საქართველოში იგი ყალიბდება XIX ს.-ის 20-იანი წლებიდან და გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენს იმავე საუკუნის პირველ ნახევარში. არაბულ რომანტიზმს საფუძვლები ეყრება XX ს.-ის პირველი წლებიდან, მოკლე ხნის განმავლობაში გაბატონებული ადგილი უჭირავს, მაგრამ თითქმის პარალელურად ვითარდება რეალიზმი და სიძლიერით არაფრით ჩამოუვარდება მას.

ქართული და არაბული რომანტიზმის ურთიერთმიმართების საკითხი სამ წერილში გვინდა განვიხილოთ, კერძოდ, პირველ წერილში შევეცებით პატრიოტულ (ეროვნულ) მოტივს ქართველ და არაბ რომანტიკოსებთან, მეორეში ვისაუბრებთ სოციალურ მოტივზე, სიყვარულის არსის გაგებასა და ბუნების სურათების დახატვაზე ქართველი და არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში, ხოლო მესამე წერილში შევეცდებით ვაჩვენოთ ქართველი და არაბი რომანტიკოსების ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები. აქვე შევნიშნავთ, თუ ქართულ და არაბულ რომანტიზმში ესა თუ ის საკითხი რატომ არის წინ წამოწეული ან მეორე პლანზე გადატანილი, ან კიდევ უგულვებელყოფილი, მიზეზებზე ვისაუბრებთ მეორე წერილში (“სოციალური მოტივები, სიყვარული და ბუნება ქართველ და არაბ რომანტიკოსებთან”).

დავიწყოთ პატრიოტული მოტივით.

ყველა ქვეყანაში რომანტიზმის გაჩენის მიზეზები დევს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-სოციალურ და კულტურულ პირობებში. როგორც ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, საქართველოში რომანტიზმის წარმოშობა ორმა უმთავრესმა პირობამ განსაზღვრა. ეს იყო, ერთი, ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-კულტურული გარემო, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა რუსეთთან შეერთების შემდეგ და, მეორე, მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია

(აბ. მახარაძე, 1982, გვ. 22). არაბულისთვის, ჩვენს მონოგრაფიაში “არაბული რომანტიზმი” გამოვყავით მესამე პირობაც — დასავლური ქვეყნების შესაბამისი მიმდინარეობის გავლენა (მ. ქუთელია, 2009, გვ. 34). სხვა ქართველი მეცნიერები, მაგ., ჯ. ჭუმბურიძე, ი. ევგენიძე, გარკვევით საუბრობენ მესამე მიზეზზე — ევროპული და რუსული ლიტერატურის გავლენაზე. ჯ. ჭუმბურიძე წერს: “...ეს იყო შემობრუნება ახალი პოეტური სამყაროსაკენ, ევროპულ-რუსული კულტურისაკენ, ე. წ. “ევროპეიზმისაკენ”, მაგრამ იმდაგვარად, რომ ქართული რომანტიზმი არ მოსწყვეტია მშობლიურ ნიადაგს, არ უარუყვია დიდი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა” (ჯ. ჭუმბურიძე, 1992, გვ. 652). (მეცნიერი შემობრუნებაში გულისხმობს იმას, რომ აღორძინების ხანის ქართველი პოეტები განიცდიდნენ აღმოსავლური, განსაკუთრებით, სპარსული ლიტერატურის გავლენას, განსაკუთრებით, ლექსის ფორმის თვალსაზრისით - მ. ქ.).

ევროპაში რომანტიზმი გაჩნდა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ და გაბატონებულ მიმდინარეობად იქცა კლასიციზმთან ბრძოლაში და სხვა წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ. ქართულ და არაბულ სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია რევოლუციურ მოვლენებს, არც წინამორბედ მიმდინარეობებთან ჰქონია დაპირისპირება, იგი ორგანული გაგრძელება აღმოჩნდა წინა პერიოდის არსებული ლიტერატურისა, აქაც და იქაც დიდია გავლენები წინამორბედისა, რიგი აქტუალური თემებისა ახალ მიმდინარეობაში აისახა, გადმოვიდა, ოღონდ ახალმა მიმართულებამ სხვა სიღრმისეულობა შესძინა მას. საქართველოში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთთან შეერთებამ და ქართველი ხალხის ბრძოლამ დამოუკიდებლობის აღსადგენად, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა იყო ქართველი რომანტიკოსებისთვის. არაბული ქვეყნები (ეგვიპტე და სირია) XIX ს.-ის II ნახევარში თანდათან ხდებიან დასავლეთის ქვეყნების კოლონიები და ნახევარკოლონიები, ისინი ებრძვიან უცხოურ ძალებს, ხდება მეტ-ნაკლები სიძლიერის გამოსვლები და აჯანყებები, რომლებიც მარცხით დამთავრდა და ა. შ.

რომანტიზმის უშუალოდ წინამორბედი აღორძინების პერიოდის (XVIII ს.) ქართული მწერლობის დახასიათებისას კ. კეკელიძე წერს: “აღორძინების ხანის ლირიკა გადმოგვცემს ავტორთა უშუალო აზრებს, გრძნობებს და განცდებს ... სამშობლოს აწეწილი მდგომარეობა და ცხოვრების უკუღმართობა ღრმად აფიქრებდა მწერლებს და იწვევდა “საწუთროს სიმუხთლის” შესახებ სალაპარაკოდ ... გაცრუებული იმედი, აუსრულებელი სურვილი და მისწრაფება “სევდის ბაღისკენ” მიერეკება და იქ მწარე ცრემლებს აფრქვევინებს მათ” (აბ. მახარაძე, 1982, გვ. 23). რადგანაც რომანტიკოსების დროსაც საქართველოს მდგომარეობა აწეწილია, შეიძლება ითქვას, უფრო დამძიმებულიც დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, რომანტიკოსებიც მწარედ გოდებენ წარსულსა და აწმყოზე, ბევრი წარსულის დიდების აღდგენისკენ ისწრაფვის, მაგრამ უფრო პროგრესულად განწყობილნი, მაგალითად ნ. ბარათაშვილი, უკეთესი მომავლისკენ ისწრაფვის და საბავს მისკენ მიმავალ გზას. ე. ი. რომანტიკოსებმა მემკვიდრეობით მიიღეს აღორძინების პერიოდის მწერლებიდან მომდინარე სევდისა და უკმაყოფილების მოტივები. როგორც წინამორბედებთან, ისე მათთან, მას ეროვნული სახე აქვს მიღებული, რაც სხვა ქვეყნების რომანტიკოსებისგან მკვეთრად განასხვავებს. ე. ი. ქართული რომანტიზმის ხასიათს განსაზღვრავს ეროვნული თავისუფლების მოტივი, პატრიოტიზმი. იგი ყველა ქართველი რომანტიკოსისთვის უმთავრესი მოტივია.

XIX ს.-ის პირველ ნახევარში რომანტიზმის გაბატონება უპირველესად განაპირობა საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, დამოუკიდებლობის დაკარგვამ და ქართველთა ბრძოლამ დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. აქედან გამომდინარე, ქართველი რომანტიკოსებისთვის უპირველესი საფიქრებელი სამშობლოა, ფიქრი მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. უკლებლივ ყველა ქართველი რომანტიკოსი აწმყოთი უკმაყოფილოა (ეს ზომ საერთოდ ყველა ქვეყნის რომანტიკოსების უპირველესი მახასიათებელია), წარსულს აიდეალებენ, პარალელურად ყველანი ფიქრობენ, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, საქართველოს უკეთეს მომავალზე, ეძიებენ და ცდილობენ დაინახონ ამ უკეთესი მომავლისკენ მიმავალი გზები და ა.შ. თუ რომანტიკოსების უმრავლესობა საქართველოს რუსეთთან შეერთებას უარყოფითად აფასებს, რადგან ქვეყანამ ამით დაკარგა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მცირე ნაწილი, უარყოფით შედეგებთან ერთად, ხედავს დადებით მომენტებსაც (მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავით მაჩაბელი).

რადგან ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას დღევანდელი ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, ამიტომ საჭიროდ არ მიგვაჩნია მათ შეხედულებებზე ვრცლად ვისაუბროთ. უბრალოდ ძალზე მოკლედ და ზოგადად შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე. მეტ ყურადღებას გავამახვილებთ არაბ რომანტიკოსებზე, რადგან მათი შემოქმედება, გარდა აღმოსავლეთმცოდნეებისა, ფართო წრისთვის უცნობია.

სამშობლოს სავალალო მდრომარეობა, მისი ბურჟუაზიული მოსილი და მეტისმეტად დამძიმებული აწმყო ქართველი რომანტიკოსების უმრავლესობას გარდასულ დროთა მოგონებისკენ უბიძგებს, დიადი წარსულის დაბრუნების სურვილს აღუძრავს, იმ დროზე ქებათა ქებას ათქმევენებს, ხან კი მომავალზე ფიქრს აწყებინებს და ოცნებაში სამშობლოს ნათელი მომავლის სურათებსაც წარმოსახვინებს. მართალია ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსების დიდი უმრავლესობა შთაგონებულია დიადი წარსულის მოგონებებით, ოცნებით ამ დღეების დაბრუნებაზე, ნაკლებად სწამს მომავლისა, მაგრამ რიგ ლექსებში მომავლის რწმენის გამომხატველ სიტყვებსაც შევხვდებით, თუმცა გამოთქვამს მტკივნეულ მოსაზრებას, რომ ის შეიძლება ვერ მოესწროს სანატრელ მომავალს: “მე ამას ვსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!./ თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.” ფაქტია, რომ ალ. ჭავჭავაძის მთელს შემოქმედებას პესიმისტური განწყობა გასდევს. ამ განწყობას ყველაზე მკაფიოდ ლექსი “გოგჩა” გამოხატავს. მასში გარკვევით ჩანს არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა და წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია. მისთვის აწმყო მიუღებელია, მომავალი უიმედო. მაგრამ ალ. ჭავჭავაძის სამშობლოს სიყვარულზე საუბარი სრულფასოვანი არ იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შევჩერდებით მის მცირე მოცულობის ნაშრომზე “საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე”. იგი დაიწერა 1837 წელს და გაეგზავნა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. ავტორი საქართველოს წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებით ავლენს მიზეზებს ქვეყნის ამჟამინდელი ჩამორჩენილობისა და ცდილობს, ამ მდგომარეობიდან გამოსავლი გზა აჩვენოს. ის აღნიშნავს, რომ საქართველო ერთ დროს იყო მაზლობელ აღმოსავლეთში ძლიერი და მოწინავე სახელმწიფო, მაგრამ, დღეს შექმნილი ვითარებების გამო, ქართული ენა და კულტურა უცხო დასავლეთის ქვეყნებისთვის, ხოლო ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარება და მოწყვეტა

მოწინავე სამყაროსგან აფერხებს საქართველოს და მისი კულტურის გასვლას მსოფლიო სარბიელზე. წერილის ავტორი სთხოვს იმპერატორს, დაეხმაროს ქართველ ხალხს მათი ენისა და კულტურის საზღვარგარეთ გატანაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართველი რომანტიკოსების მიერ წარსულის გაიდევლება, მისი წარმოჩენა მშვენიერი სურათებით, როდი ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ სევდა-წუხილს დიად წარსულზე, არამედ, ჩვენი აზრით, უფრო დიდ მიზანს - დაინტერესებინათ თანამემამულეები სამშობლოს გამორჩეული ისტორიით და გაეღვიძებინათ მათში პატრიოტული გრძობები და ებრძოლათ უკეთესი მომავლისთვის. მსგავს მიზნებს ისახავდა XIX ს.-ის II ნახევარში საგანმანათლებლო მოძრაობის პერიოდში და შემდეგაც არაბული ისტორიული რომანები თუ სხვა სახის ნაწარმოებები, სადაც ყურადღება მახვილდებოდა არა მხოლოდ მუსლიმურ წარსულზე, არამედ უფრო შორეულზეც - ფარაონთა ეპოქაზე ეგვიპტეში, ფინიკიელებზე სირიაში, ბაბილონზე ერაყში და ა. შ.

სამშობლოს ხვედრს მძიმედ განიცდის გრიგოლ ორბელიანი. იგი, მსგავსად სხვა ქართველი რომანტიკოსებისა, რომელთათვის საქართველო იყო განუშეორებელი და ერთადერთი, და რომელსაც პოეტმა პოემაში “სადღეგრძელო” უმშვენიერესი სიტყვები უძღვნა: “სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი - გულადი, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა?!” მტერთან მუდამ შეუდრეკლად მებრძოლი ხალხი, დღეს თითქოს ვითარებას შერიგებია, მტრის წინაშე ქედი მოუხრია, ბრძოლის სურვილიც კი თითქოს დაჰკარგვია, უპატრონოდ მიგდებულ ცხვრის ფარას დამგვანებია, რასაც პოეტი სასოწარკვეთამდე მიყავს. ვინ მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე? სვამს კითხვას პოეტი და თვითვე პასუხობს: შორიდან მოსული ძლიერი სტუმარი, მტერი, რომელიც თითქოს მოყვრის სახით მოვლენია, ტკბილი სიტყვებით გაუბრუებია და დაუბეჩავებია: “შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას, / მოყვრად გვმტრობს, გეტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას! “ და ა.შ. (ლექსი “ჰე, ივერია! ვიდრე ...”). ხოლო ლექსში “სატრაფოს” ამბობს: “მეგულები ციხეში, ცხრაკლიტულში მჯდომარე .../ შეთვისებას გვიპირებს გაიძვერა მოყვარე!” (ეს ორი ნაწყვეტი პოეტის ლექსებიდან პარალელებს გვაპოვნივს ჯებრანის, აშ-შაბის და სხვა არაბი რომანტიკოსების ლექსებთან). გრ. ორბელიანი კიცხავს ყველას, ვინც მზად არ არის, ან კიდევ სურვილი არ აქვს მამულისთვის სიცოცხლე გაწიროს. ლექსში “აღსარება” მკაფიოდ ჩანს ავტორის მზადყოფნა თავდაუზოგავად იბრძოლოს საქართველოს თავისუფლებისთვის. ლექსში “იარალის” აწმყოზე გულგატეხილი პოეტი, მართალია, წარსულის იდეალიზაციამდე მიდის, მაგრამ, ამავე დროს, დაეძებს გმირს, რომელიც დამონებულ და ღრმა ძილში მყოფ ერს გამოაღვიძებს, წინ წარუძღვება და მტერს გაანადგურებს. მართალია, მისი პოემა “სადღეგრძელო” შესანიშნავი ჰიმნია საქართველოს გარდასული დიდებისა, მაგრამ ჩანს, რომ, მისი აზრით, მოვა დრო, როცა აღდგება თამარის დროინდელი დიდება. მაგრამ იმასაც ფიქრობს, რომ შესაძლებელია ამ ბედნიერ მომავალს თვითონ ვერ მოესწროს (ლექსი “დავებრდი”).

ვახტანგ ორბელიანი ამბობს, რომ ქართველები სისხლითა და მახვილით მუდამ იცავდნენ სამშობლოს მრავალრიცხოვანი მტრებისგან, ამასთანავე ქმნიდნენ სულიერი და მატერიალური კულტურის უძვირფასეს ნიმუშებს. “ერთისა ხელით წმინდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით;/ და მეორეთი მტერსა ვსცემდით, ხმაღს არ ვაგებდით” - წერს პოეტი ლექსში “იმედი”. მისი სასოწარკვეთის მიზეზი თანამემამულეების სამშობლოს დაცემისადმი შეგუებაა, რომ მონობას

უდრტვინველად იტანენ და ბრძოლის სურვილს არ ამჟღავნებენ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, პოეტი მშვენიერი ასულის პირით იტყვის: “გწამდისო ღვაწლნი მამა-პაპათა არ განჰქრებიან, / გწამდის, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან.”

მამია გურიელი ლექსებში “შოშია”, “საქართველოს მზე”, “ჩემი ალავერდი”, პოემაში “ზღაპარი, ახლად შემოდებულის შაირებით თხრობილი” საქართველოს დაცემულად და დაქვეითებულად, სავალალო მდგომარეობაში მყოფად წარმოგვიდგენს, პარალელურად გვიხატავს მისი ძველი დიდების სურათებს. ლექსში “შოშია” საქართველო წარმოდგენილი აქვს, როგორც დატყვევებული ფრინველი, ხოლო ზემოთ დასახელებულ პოემაში, ფაქტობრივად, ნაჩვენებია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორია. რუსეთი მოყვრად მოგვევლინა, მაგრამ მალე გვექცა მოძალადედ და ბატონად (ამ ორი ნაწარმოებთან მსგავსებას აღმოვაჩინეთ თუნისელი აშ-შაბის “წმინდა გველის ფილოსოფიასთან”). ქართველები, მისი რწმენით, შეგუებიან თავიანთ მდგომარეობას და სურვილსაც კი არ ამჟღავნებენ, წინააღმდეგობა გაუწიონ მოძალადე მტერს (ასეთ ვითარებას მშვენიერი სიტყვებით აგვიწერს ჯებრანი “მოციქულის ბაღში”, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ). მაგრამ, საბოლოოდ, პოეტი არ ურიგდება ვითარებას და ლექსში “ჩემი ალავერდი” თანამემამულეებს ბრძოლისკენ მოუწოდებს: “მენდეთ, ძებო, სჯობს საბელი მონებისა ჩვენ დავგლიჯოთ / მამა-პაპათ საქმეები მოვიგონოთ, მტრები ვჟლიტოთ”.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავით მაჩაბელი ქართველ რომანტიკოსებში გამონაკლისები არიან, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში გვიჩვენებენ რუსეთთან შეერთების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. დ. მაჩაბელი პოემაში “მთიელი” ლაპარაკობს საქართველოში (ამიერკავკასიაში) რუსების მმართველობის დამყარების დადებით მომენტებზე. ის დადებითად აფასებს რუსების მიერ კავკასიაში წარმოებულ ომებს და თანამემამულეებს მოუწოდებს რუსებთან მხარდამხარ ბრძოლისკენ. აქ ის გამოხატავს იმ ქართველების თვალსაზრისს, რომლებიც რუსეთთან შეერთების ფაქტს ისტორიულ აუცილობლად თვლიდნენ და მის პროგრესულ მნიშვნელობას აღიარებდნენ. ლექსის ავტორს სჯერა, რომ რუსების დახმარებით კავკასიაში შევა სწავლა-განათლება და ქვეყანა დაწინაურდება: “ნამდვილ სწავლისა და განათლების / სადგურად ითქმის სიტურფის მიერ / ძველი კოლხიდის შტო განაზღვრის / და განათლების იგი ამიერ”. ხოლო ლექსში “ქართლოს” პოეტი იხსენიებს ქართველების ისტორიულ წარსულს. შემდეგ საუბრობს იმაზე, რომ მრავალჭირგამოვლილი და ნაომარი ქვეყანა დაიღალა, თითქმის დაღუპვის პირამდე მივიდა, მაგრამ მას მხსნელად გამოუჩნდა ერთმორწმუნე რუსეთი “...და მისცა აქ რუსეთმა შეწვევის ხელი...” ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი პოემით “ბედი ქართლისა” და ლექსით “საფლავი მეფის ირაკლისა” გარკვევით გვიჩვენა რუსეთთან თავისი დამოკიდებულება, რუსეთთან შეერთების დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამ ფაქტის გარდაუვალობაც. საილუსტრაციოდ მოვიზნობთ ნაწყვეტს დასახელებული ლექსიდან: “... / აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი, / და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტუბილსა აწ შენნი ძენი: / ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო / მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო; / მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული / უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული, / ... / სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰვლობდა ქართველი, / მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელსი! / აწ არღა ყრჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა, / ვერღა რა ურყევს

მას განსვენებას მისი აღტყველვა; / შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, / აწ მოგვიგვრიან მრავლისა მხრით ჩვენთა მოძმეთა! / მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო, / უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო! / აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძანამაგსა, / და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!”

ქართველ რომანტიკოსებზე საუბრის დასასრულს რამდენიმე სიტყვით კვლავ მივუბრუნდებით ნიკოლოზ ბარათაშვილს, რადგანაც ის თავისი გენიალურობით აშკარად გამორჩეულია არამარტო ქართულ რომანტიზმში, არამედ საერთოდ მთელ ქართულ ლიტერატურაში. მისი სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის, უსასოების, ბედთან შეურიგებლობის, არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის, უკეთესი მომავლისკენ დაუოკებელი სწრაფვის განმაპირობებელი სამშობლოს მდგომარეობა, უსაზღვრო პატრიოტიზმი, პლუს, რა თქმა უნდა, მის თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური თუ სხვა სახის მანკიერი ვითარებები.

ეს ძალზე მოკლედ ქართული რომანტიზმისა და რომანტიკოსების შესახებ. გადავიდეთ არაბულ რომანტიზმსა და მის წარმომადგენლებზე.

XIX ს.-ის შუა პერიოდიდან საუკუნის ბოლომდე ეგვიპტესა და სირიაში საგანმანათლებლო მოძრაობის ხანაა. არაბმა განმანათლებლებმა ევროპული კულტურის გავლენით საზოგადოების წინაშე დააყენეს ისეთი საჭირობო პრობლემები, როგორებიცაა სწავლა-განათლების საკითხი, ასევე პატრიოტული მოტივები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემები, პოლიტიკური საკითხები, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის საფუძვლის მომზადება და დაწყება, სოციალური საკითხები. მათთან პოპულარულია ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა და კიდევ ბევრი სხვა რამ. არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში დასახელებული პრობლემები აქტიურად განიხილებოდა, მათ მიერ დასახული გზები უფრო საინტერესო და პროგრესულია. ყოველივე ეს მეტყველებს კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობითობაზე, მსგავსად ქართული რომანტიზმისა, რომელიც აღორძინების ეპოქის ლიტერატურის ორგანული მემკვიდრეა, ოღონდ ახალი ეპოქის მოთხოვნილებებით უფრო ღრმა და მიმზიდველი (აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, გარდა ეროვნულისა, არაბულ რომანტიზმში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე ქართულში. ამის მიზეზებზე მეორე წერილში ვისაუბრებთ).

როგორც ვნახეთ, ქართულ რომანტიზმში ყველაზე მთავარი და გამოკვეთილი თემა ეროვნული თემაა. სამშობლო არის ქართველ რომანტიკოსთა უსაზღვრო სიყვარულის სიმბოლო, სიმბოლო მისთვის თავის დადებისა და მისი დამოუკიდებლობისთვის თავის გაწირვისა. არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარულის თემას, პატრიოტიზმს ასევე გამორჩეული ადგილი უკავია. მასზე ყურადღების გამახვილება განპირობებული იყო არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაძლიერებით როგორც თურქ-ოსმალეთის იმპერიის, ისე დასავლეთის ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ-ამით იყო გამოწვეული, აგრეთვე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის მწვევად განხილვა განმანათლებლების შემდეგ. ჯერ კიდევ განმანათლებლების პერიოდში ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას ჩამოყალიბდა არაბ მოაზროვნეთა დამოკიდებულება თურქ-ოსმალების იმპერიასთან და დასავლეთის

ქვეყნების კოლონიურ პოლიტიკასთან. არაბთა ერთი ნაწილილი ემზრობოდა მუსლიმური ქვეყნების გაერთიანებას თურქ-ოსმალეების მეთაურობით, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ თურქებს შეეძლოთ თანაბარი ბრძოლა დასავლელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ნაწილი კი მოითხოვდა არაბული სახალიფოს შექმნას. ყველაზე პროგრესულად მოაზროვნეების მიზანი იყო ყველა, ცალკეული არაბული ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა. მათგან იშვა მოძრაობა ეგვიპტეში "ეგვიპტე ეგვიპტელებისთვის", რომელსაც წინ უსწრებს ატ-ტაჰტავი შემდეგი სიტყვებით: "ეგვიპტე ეგვიპტელებისთვის უძვირფასესი მიწა". რაც შეეხება დასავლეთთან დამოკიდებულებას, განმანათლებლობის დროს არაბებში საკმაოდ გამჭადარი იყო შეხედულება, რომელიც ხატოვნად გამოთქვა დიდმა განმანათლებელმა ჯამალ ად-დინ ალ-აფღანიმ: "დასავლეთი უპირისპირდება აღმოსავლეთს. ჯვაროსნულ ლაშქრობათა სული ჯერ კიდევ აღელვებს გულებს". თუმცა მათ მოწინავე ნაწილს კარგად ჰქონდა გათავისებული დასავლეთთან ურთიერთობის აუცილებლობა.

არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია სამშობლოს სიყვარულის თემას, პატრიოტიზმს. მასზე ყურადღების გამახვილება განპირობებული იყო არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაძლიერებით როგორც თურქ-ოსმალთა იმპერიის, ისე დასავლეთის ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამით იყო, აგრეთვე, გამოწვეული დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის საკითხის მწვავედ დასმა განმანათლებლების შემდეგ (ნათქვამი ყველაზე უფრო ეხება ჯებრანსა და ალ-მანფალუტის). ოსმალეთის იმპერიასთან ურთიერთობის საკითხში ჯებრანმა გაიზიარა სირიელი და ლიბანელი განმანათლებლების თვალსაზრისი. თუმცა, მათგან განსხვავებით, მას არავითარი იმედი არ დაუშვარებია დასავლეთის ქვეყნებზე. მისი მიზანი არ ყოფილა არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე არაბული ქვეყნების გაერთიანება. მისი მიზანი იყო არაბული ქვეყნების სრული დამოუკიდებლობა. ჯებრანს გააზრებული ჰქონდა, რომ დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობას აღმოსავლეთთან განაპირობებს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. მათ საბოლოო მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა. შექმნილი ვითარების შესაბამისად, დასავლეთი ხან მეგობარია აღმოსავლეთის, ხან მტერი. მწერალი აღმოსავლეთის ხალხებს მოუწოდებდა სიფრთხილისა და ზომიერებისკენ დასავლეთთან ურთიერთობაში. მას შეგნებული ჰქონდა დასავლეთის გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მასთან ურთიერთობაში ზედმეტი უკიდურესობის (როგორც ყოველივე ევროპულის ბრმად გადმოღება, ისე უარყოფა) დამღუპველი ძალა. ამიტომ თვლიდა, რომ აუცილებელია შეგნებული მიდგომა ამ პრობლემისადმი, რომ საჭიროა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა, მათი სულიერი მიღწევების ათვისება, კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია. "ძველი ერები, რომლებიც არ გადმოიღებენ ახალგაზრდა ხალხების მიღწევებს, სულიერად გადაშენდებიან..." - წერს მწერალი პიესაში "სულბანი". ჯებრანი აღმოსავლეთის ჩამორჩენის მიზეზად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ დასავლეთი, როდესაც რაიმეს იღებდა აღმოსავლეთისგან მისადმი იჩენდა შემოქმედებით მიდგომას, იღებდა მხოლოდ საჭიროს, გამოსადეგს და გადაამუშავებდა დასავლური ყოფის შესაბამისად. აღმოსავლეთი ასეთი შემოქმედებითი მიდგომით არ ხასიათდება. იგი, როცა რაიმეს იღებს დასავლეთისგან, ყოველგვარი გადამუშავების გარეშე პირდაპირ ნერგავს საკუთარ ნიადაგზე. ამას კი ხშირად მისთვის სავალალო შედეგები მოაქვს. ჯებრანს დამოუკიდებლობისკენ, არაბული ქვეყნების

კულტურული ცხოვრების შემდგომი პროგრესის, ეროვნული თვითშეგნების და პატრიოტული სულისკვეთების აღორძინებისკენ მიმავალ გზად ესახებოდა სასწავლო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, სკოლებში სწავლებისთვის ეროვნული ხასიითის მიცემა, ყველა სასწავლებლის დაქვემდებარება ეროვნული მიზნებისადმი და მისი გადაცემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. პატრიოტული გრძობები ჯებრანს ძლიერ გამახვილებული ჰქონდა, რაზეც მეტყველებს მისი მრავალი როგორც პროზაული, ისე პოეტური ქმნილება. ჯებრანს აწუხებდა, რომ მისი სამშობლო იყო მტრის მიერ დამონებული, მიძინებული და ბრძოლის უნარს მოკლებული. მას აღელვებდა ის, რომ თანამემამულეები წარსულის მოგონებებში იყვნენ ჩაფლულნი, გარდასულ დღეთა დიდებით ინუგეშებდნენ თავს და უარყოფდნენ ყოველივე ახალს: “აღმოსავლეთის მოსახლეობა წარსულის ბურუსშია გახვეული, მიდრეკილება აქვს პასიური მჭკრეტელობის და უგზური გართობებისადმი, უარყოფს დადებით და რაციონალურ პრინციპებს და მოძღვრებებს, რადგან ისინი აიძულებენ იტანჯონ, გამოფხიზლდეს ღრმა ძილისგან” - წერს მწერალი “ნარკოზსა და სკალპელში” (ჯ. ჯებრანი, 1962, გვ. 90). სამშობლო იყო დაქუცმაცებული, არ იყო მათ შორის კავშირი, არც სურვილი გაერთიანებისა. ასეთმა ვითარებამ ათქმევინა შემდეგი მწარე სიტყვები “მოციქულის ბაღში”: “... ვაი ერს, რომელსაც მოსავს სამოსი, თვითონ რომ არ მოუქსოვია, ჭამს პურს, თვითონ რომ არ მოუწვია, სვამს ღვინოს, თავის საწნახელში რომ არ დაუწურავს. ვაი ერს, რომელიც გმირად მიიჩნევს ტრაბახა ხეპრეს და ბაქია დამპყრობელი დიდსულოვანი ქველი ჰგონია ... ვაი ერს, რომელიც ხმას აღიმადლებს მხოლოდ მიცვალებულის დატირებისას ... ვაი ერს, რომელსაც საამაყოდ ნანგრევებიღა შერჩენია ... ვაი ერს, რომელსაც მოხელედ მელა ჰყავს, ფილოსოფოსად კი - ოინბაზი ... ვაი ერს, რომელიც ბუკითა და ნაღარით ეგებება ახალ მბრძანებელს და მერე ყიჟინით აძევებს მას მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა სხვას შეეგებოს ბუკისა და ნაღარის უღერით. ვაი ერს, დაშლილ-დაწიაწებულს, რომლის ყოველ ნაწილს ერად მოაქვს თავი” (ჯ. ჯებრანი, 2006, გვ. 348). ჯებრანს გარდაუვლად და აუცილებელ მოთხოვნილებად მიაჩნდა შეგნებული მიდგომა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა იქნებოდა ეს თურქ-ოსმალები თუ დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით მათი სულიერი მიღწევების ათვისება, კარჩაგეტილობის ლიკვიდაცია: “ძველი ერები, რომლებიც არ გადმოიღებენ ახალგაზრდა ხალხების მიღწევებს, სულიერად გადაშენდებიან ...” - წერს ჯებრანი პიესაში “სულბანი”. ის და სხვა რომანტიკოსები თვლიდნენ, რომ თავისუფლებისთვის (ასევე დამოუკიდებლობისთვის) ბრძოლაა საჭირო, თავგანწირვა და სამშობლოს ინტერესების ყველაზე მაღლა დაყენება. ჯებრანი სამშობლოსთვის უანგარო სამსახურს ყველაფერზე მაღლა აყენებდა, სიყვარულზეც კი: “...იყავი მამაცი, გიყვარდეს შენი სამშობლო! ...” - მიაწერინებს მწერალი ომის ველზე მყოფი ჭაბუკისთვის საცოლეს. ჯებრანს საოცრად სჯეროდა სამშობლოს უკეთესი მომავლისა. ის თავის ერთ-ერთ მეგობარს ემილ ზეიდანს მისწერს: “... მწამს, რომ აღმოსავლურ აზრს, საერთოდ, და არაბულს, კერძოდ, ახლო მომავალში ექნება დიდი დაფასება.”

მუსტაფა ლუტფი ალ-მანფალუტის (ის ეგვიპტელი იყო, განათლება მიღებული ჰქონდა ალ-აზჰარის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში) დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებთან უკიდურესად უარყოფითი იყო. დასავლეთთან ურთიერთობა, მისი აზრით, მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა. მიზეზი: ეგვიპტე მუსლიმური ქვეყანაა, დასავლეთი კი ქრისტიანული (გავიხსენოთ ალ-აფღანისა და რ. კიპლინგის

სიტყვები). ევროპული კულტურის მოძალებამ მხოლოდ უარყოფითი შედეგები გამოიღო, მამაპაპური ურთიერთობები გააუფასურა, ოჯახები ერთმანეთს დააშორა, მისი წევრები ერთმანეთთანაც კი დააპირისპირა და ა.შ. განსაკუთრებით ადანაშაულებს ის სკოლებსა და განათლების სისტემას. სკოლებში ყოველივე უცხოურს შესანიშნავად ასწავლიან, მშობლიური კი გვერდით რჩებათ. ესეში “დასავლეთის ცივილიზაცია” იტყვის: “განა სირცხვილი არ არის იცოდე ბონაპარტეს ისტორია, კარგად გქონდეს შესწავლილი საფრანგეთის ისტორია, წარმოდგენა კი არ გქონდეს ალ-მაჰდის წერილების ისტორიაზე, იცოდე დეკარტეს პრინციპები და დარვინის გამოკვლევები და არაფერი გაგეგბოდეს ალ-ლაზალის სიბრძნისა, იბნ რუშდის გამოკვლევებისა, ყვებოდე შექსპირისა და ჰიუგოს ლექსებს და წარმოდგენა არ გქონდეს მუთანაბისა და ალ-მაარის ლექსებზე...” (მ. ალ-მანფალუტი, ტ. 1, გვ. 128-129). მიუხედავად ამისა ალ-მანფალუტის ესმის ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობის გარდუვალლობა, ამიტომ თანამემამულეებს მოუწოდებს დიდი სიფრთხილისკენ.

თუნისელ აშ-შაბის ეკუთვნის ლექსი “წმინდა გველის ფილოსოფია”, რომელშიც მოშეის (თუნისი) და გველის (საფრანგეთი) სახეთა დახატვით და მათი ურთიერთობით გვიჩვენა დასავლეთის ქვეყნების კოლონიალური პოლიტიკის არსი აღმოსავლეთში, ხოლო ლექსში “თანამემამულეებო!” — თანამემამულეთა გულგრილი დამოკიდებულება სამშობლოს ხვედრისადმი. პოეტი მომავალს იმედით შეჰყურებს, რადგან იცის, რომ “ცხოვრება კვლავ დაგვიბრუნებს ჩვენ ფოლადის მახვილს დიადი გამარჯვებებისა და ძლევისათვის!” (ლექსი “მშვენიერი თუნისი”) (აშ-შაბი, 1946, გვ. 25).

ხალილ მუტრანი არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მებრძოლი იყო. ამის გამო, ჯერ კიდევ ჭაბუკობისას მოუხდა სამშობლოს - ლიბანის დატოვება და საცხოვრებლად ეგვიპტეში დამკვიდრება. ის მოუწოდებდა არაბებს, ებრძოლათ განახლებისა და ახალი დიდების მოპოვებისთვის: “ეგვიპტის შვილებო, თქვენ გაკისრიათ დიდი მოვალეობა, / ძველი დროის დაკარგული დიდების აღორძინება, / რომ დაუბრუნდეს აღმოსავლეთს მაღალი ადგილი, / რომ იამაყოს ეგვიპტემ თქვენი მაღლა აწეული თავებით” (ლექსი “ახალი წელი ჰიჯრით”) (ხ. მუტრანი, 1981, გვ. 196).

ილია აბუ მადის აზრით, თანამემამულეების უმრავლესობას სამშობლო ისე ახსოვთ, როგორც მძინარეს. ის მათ მოუწოდებს, რომ გამოიღვიძონ და სამშობლო ისე დაიცვან, როგორც ლომი იცავს თავის ბუნაგს (ლექსი “როგორ აგონდება მძინარეს სამშობლო”).

ასევე დიდი სიყვარულით გამთბარი ლექსები უძღვნეს სამშობლოს სხვა არაბმა რომანტიკოსმა პოეტებმა, იქნებიან ესენი ილია აბუ მადი, აბდ არ-რაჰმან შუქრი თუ სხვა.

პატრიოტიზმზე საუბარს დავამთავრებთ ნაწყვეტით ლიბანელი ილია აბუ შაბაქას ლექსიდან “ჩემო ქვეყანავ”: “სამშობლოვ ჩემო, შენ გეკუთვნის ეს წრფელი გული, / ჩემი იმედი, ჩემი უსაზღვრო სიყვარული / და ჩემი წმიდათა წმიდა საღვთო ომი. ჩსწორედ შენა ხარ ის სურნელება, / ხეობას რომ მოუყვება განთიადისას. / სწორედ შენა ხარ სრულყოფილი მშვენიერება, / შენ ხარ ღმრთის მზერა / მიმართული მიწიერთა გულებსაკენ, / შენ ხარ თვალი “სამოთხის მდინარისა”, / და სარეცელი ნანატრ სიმშვიდისა. / სამშობლოვ ჩემო, შენ ხარ დიდება მარადისობისა...” (ი. აბუშაბაქა, 1944, გვ. 99-101).

დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბუშაბაკა, 1944 - Abû Šabakat, Ilyâs, NidâY u al-Qalbi, Bairût, 1944.
 აშ-შაბი, 1946 - Aš-Ġâbî, Abû l-Kâsim, Agâni l-haiât, Tûnis, 1946.
 აბ. მახარაძე, 1982 - აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ, 1982.
 ხ. მუტრანი, 1981 - Juhâ, Mîğâl, Khalîl Mumrân, Bairût, 1981.
 მ. ქუთელია, 2009 - მ. ქუთელია, არაბული რომანტიზმი, თბ. 2009.
 ჯ. ჭუმბურიძე, 1992 - ჯ. ჭუმბურიძე, ბოლოსიტყვა, წიგნში: ქართული მწერლობა, თბ. 1992.
 ჯ. ჯიბრანი, 2006 - ჯ. ჯიბრანი, იესო ძე კაცისა; წინასწარმეტყველი; წინასწარმეტყველის წალკოტი, მთარგმნელი მანანა გიგინეიშვილი, თბ. 2006.
 ჯ. ჯიბრანი, 1962 - Джебран Д. Х., Сломанные крылья. сб. рассказов, М. 1962.

MURMAN KUTELIA

PATRIOTISM IN THE WORK OF GEORGIAN AND ARAB
 ROMANTICISTS
 (ARTICLE I)

In the first half of the 19th c. the predominance of Romanticism in Georgia was primarily due to the incorporation of Georgia within Russia, the loss of independence and the struggle of the Georgian people for independence. Proceeding from this, the **motif of national freedom** determined the form of Georgian Romanticism. Characteristic features of the Georgian Romanticists are idealization of the past (observable in the work of all of them), discontent with the present (similar to Romanticists of all countries, in general), along with this, to a greater or lesser extent, thinking of a better future of the country and seeking for ways of attaining this. The majority of Georgian Romanticists give a negative evaluation of the joining of Georgia to Russia. However, together with the negative consequences, few of them see positive moments as well. According to David Machabeli, through the contact with the Russians, the way will be open for the peoples of Georgia and the Caucasus to education and advanced Western culture, which will contribute to the promotion of the country. Nikoloz Baratashvili in his poem *BediKarilisa* ("The Fate of Georgia") clearly shows the advantages and disadvantages of the incorporation of Georgia within Russia and the inevitability of this fact.

In the work of Arab Romanticists the theme of love for the homeland occupies a distinguished place. This is due to the strengthening of the struggle for independence in the Arab countries against the Ottoman Turks as well as the colonial policy of the West. Arab Romanticists devote much attention to the discussion of relations between the West and the East. Recognizing the necessity of having close relationship with the West, they support a reasonable synthesis of the achievements of both sides.

რევაზ შეროზია

ზოგი რელიგიური ტერმინისათვის

ქართველებმა და ებრაელებმა ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ ერთმანეთის არსებობა, საცხოვრისი რეგიონი და, რაც მთავარია, თითოეულის ეროვნული ბუნება, სხვათა მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. თუ არა ამის ცოდნა, ებრაელები სანამ ამიერკავკასიამდე მოაღწევდნენ, სადმე შეჩერდებოდნენ სამოსახლოს ძიებისას. ქართველებმა კეთილად ისტუმრეს ისინი. ამავე დროს, ჩვენთან მოსულთაგან ერთადერთი ებრაელები იყვნენ და არიან, რომელთაგან რაიმე პრობლემა საქართველოს არ ჰქონია.

საფიქრებელია, რომ პირველ მოციქულთა საქართველოში მოსვლა და ქადაგება ქრისტიანული სარწმუნოებისა განპირობებული იყო სწორედ იმით, რომ ებრაელები უკვე იცნობდნენ ქართველ ხალხსაც და აქაურ ბუნებრივ პირობებსაც.

ჩვენმა წინაპრებმა პირველ მოციქულთაგან გაიგეს ქრისტეს მოძღვრების შესახებ და "სათნო უჩნდა" იგი. იმდენად მისაღები აღმოჩნდა მათთვის ქრისტიანული მრწამსი, იმდენად სწრაფად გაითავისა ხალხმა იგი, რომ, როცა განრისხებულმა ადერკი მეფემ ბრძანა, მოსახლეობა ისევე მოებრუნებინათ ძველი სარწმუნოებისაკენ, ადამიანებმა "დამალეს ხატნი და ჭვარნი"-ო გვიამბობს მემბტიანე.

კითხვა ჩნდება: რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ასეთ მოკლე დროში (პირველი საუკუნის მეორე ნახევარში) უმტკივნეულოდ, ძალდატანების გარეშე გავრცელდა ქრისტიანობა?

ქართველური მოსახლეობის, ხალხის (რომელიც ამ დროისათვის უკვე ერად არის ჩამოყალიბებული) ბუნება-ხასიათში უკვე იდო ის ზოგადი ფასეულობები, რაც ქრისტეს მოძღვრებაში უმთავრესია. ამდენად, ჩვენი წინაპრებისათვის სახარებისეული დიდაქტიკა შესათვისებელი კი არ გახდა, არამედ იგი ნაცნობი და შინაგანად ბუნებრივი აღმოჩნდა. სავარაუდებელია, რომ სახარების თარგმნა უშუალოდ ებრაულიდან პირველი მოციქულების შემოსვლიდან მალევე დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში, პირველი მსოფლიო კრებისთვის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგია ორგანიზაციულად უკვე მოწესრიგებული, ჩამოყალიბებული ჩანს, გავიხსენოთ ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობა ამ კრების მუშაობაში.

ქართველურ საისტორიო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოს ეკლესია (ასევე საერო ცხოვრება) ბერძნულენოვანი იყო (პ. ინგოროყვა, 1954; დ. მუსხელიშვილი, 1993) ამ თვალსაზრისის მომხრე-დამცველებს, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიუქცევიათ ენობრივი მასალისათვის. კერძოდ, ქრისტიანული რელიგიური ტერმინოლოგია, რომელსაც ჩვენი ეკლესია საუკუნეებია იყენებს, ქართველურია და არა ბერძნულიდან ნასესხები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღმოსავლურ და დასავლურ ქართველურ მეტყველებებში ამ მხრივ სხვაობა არა გვაქვს. (პაპა-პაპ სურათს ვერ იცვლის). დასავლურ ქართველურ ეკლესია ბერძნულენოვანი რომ ყოფილიყო, მაშინ

მეგრულ-სვანურ მეტყველებებში ბერძნიზმების სიჭარბე უნდა დასტურდებოდეს აღმოსავლურ ქართველურთან შედარებით.

მეგრულ-სვანურ მეტყველებაში დღემდე მოქმედი ზოგიერთი ტერმინის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე (პირველი მოციქულების შემოსვლის დროისათვის) წარმოქმნილად ვივარაუდოთ. ყველა შემთხვევაში, მანამდე, სანამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა და საერთო-ქართველური ეკლესია ჩამოყალიბდებოდა.

ამგერად საუბარი გვექნება ტერმინებზე, რომლებიც მეგრულ მეტყველებაში დღესაც შეუცვლელად გამოიყენება.

1. აღდგომა ლექსემის შესატყვისი მეგრულსა და სვანურში **თანაფა**, **თანფა** (ყიფშიძე, თოფურია, ქალდანი) გათენების აღმნიშვნელი **თან** ძირიდან არის ნაწარმოები. ერთი შეხედვით, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ქრისტეს აღდგომის დროის მიხედვით მომხდარიყო თვით პროცესის სახელდება. ამავე დროს, **გათენება ნათლის მოფენაა**, სიცოცხლის ისევ დაწყებაა. ამდენად, **თანაფა** ტერმინს შეიძლება შევხედოთ როგორც მეტაფორულობის შემცველს, როგორც ეს ჩანს ებრაული **ბასექის** შემთხვევაშიც, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა დღესასწაულია.

2. მარხვა ტერმინის ფარდი მეგრულ მეტყველებაში არის **პიჩვა(ნი)**. ცნობილია, რომ იგი **პიჯიშ ჩუალა-დან** მომდინარეობს (**პირის დაცვა**). ამ იდიომური წარმომავლობის ლექსემის გვერდით ანტონიმური ფორმით გვაქვს **პიჯიშ მორსხინაფა** იდიომის სახით, რომელიც **მარხვის** საპირისპირო **ხსნილის** ზუსტი შესატყვისი არ არის. იგი გამოიყენება მიცვალებულის დაკრძალვის მესამე დღეს ხორცეულის ჭამის ნებართვის აღსანიშნავად. მაგრამ ეს მნიშვნელობა მეორეულია. ძველ ტექსტებში დასტურდება იდიომი **პირის ვსნა**, რომელიც **ჭამას** აღნიშნავს (აბულაძე). **პიჯიშ მორისხინაფას** ამოსავალი მნიშვნელობაც **ჭამა** უნდა ყოფილიყო.

პიჩვა(ნი) ი და **პიჯიშ მორსხინაფა** ერთნაირი ენობრივი ფსიქოლოგიით არის წარმოქმნილი და ორივე ძალიან ძველი ჩანს. ამავე დროს, **პიჩვა(ნი)** მარხვა ტერმინზე ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო რელიგიური შინაარსის გამომხატველად, რაკი ამ უკანასკნელმა იგი ვერ განდევნა მეგრული მეტყველებიდან (შდრ. ანალოგიურად, **თბილისის** აღმნიშვნელი **ქართი**).

3. ქრისტეს შობა ტერმინის ექვივალენტი მეგრულ მეტყველებაში არის **ქირსე**. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში შინაარსობრივად სინტაგმის ერთი წევრი "ზედმეტი" გაზდა და ამიტომ დაიკარგა ისევე, როგორც საეკლესიო ტერმინად **შობა** ჩამოყალიბდა (ქრისტეს გარეშე...). თუმცა ასეთი ცვლილების კვალი არ ჩანს, ნათესაობითის ფორმით დარჩენილი სინტაგმის წევრი არ უნდა გამარტივებულიყო. და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ იგივე პროცესი იყო მოსალოდნელი, რაც **თუითაშ დლა**, **პიჯიშ ჩაუალა** ტიპის სინტაგმებში მოხდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქრისტეს შესახებ პირველი მოციქულების მიერ გავრცელებული ინფორმაციებიდან ქრისტეს დაბადების დღეს მისივე სახელი დაერქვა და ეს ქართველური მოსახლეობისათვის საკმარისად ინფორმატიული იქნებოდა. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ეს ტერმინი (**ქირსე**) უფრო ადრე უნდა იყოს დამკვიდრებული, ვიდრე საქართველოში საერთო ქრისტიანული ეკლესია ჩამოყალიბდებოდა წმინდა ნინოს შემოსვლის შემდეგ. ამ შემთხვევაშიც საერთო საეკლესიო ტერმინმა ვერ გადაფარა მოსახლეობაში აღრიდანვე დამკვიდრებული სახელი. **ქირსე** ტერმინის სიძველის გარდა მიზეზი ამისა ისიც უნდა იყოს, რომ

ქრისტეს შობა სინტაგმის შინაარსს ინარჩუნებს ორივე ვარიანტი და არა აქვს მნიშვნელობა, პირველი კომპონენტი გაუჩინარდება თუ მეორე - **ქირსე** ისევე აღნიშნავს **ქრისტეს შობას**, როგორც **შობა** ტერმინი.

მეგრულ და სვანურ მეტყველებაში დღეს არსებული რელიგიური ტერმინები საყურადღებოა ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების ისტორიისათვისაც და იმიტაც, რომ ისინი ქართველური ენობრივი სისტემის შექმნილია და არა უცხო ენებიდან შემოტანილი, ნასესხები ფორმები.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. თოფურია, მ. ქალდანი 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

პ. ინგოროყვა, 1954 — პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

დ. მუსხელიშვილი, 1993 — დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, კრებ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

ი. ყიფშიძე, 1994 — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

REVAZSHEROZIA

FOR CERTAIN RELIGIOUS TERMS

Georgians and Jews knew each-other long before BC, knew their living region, and what is more important - national nature of each-other, kind approach towards others. If Jews didn't know about this they would stop somewhere to search for living place until they reach Caucasus. Georgians were kind hosts for them. Also from those who have ever visited us, Jews are the only nation who didn't bother Georgia have any problem.

It's worth thinking that the visit by first apostles in Georgia and preaching for Christian religion was conditioned by the fact that Jews already new Georgian people and natural conditions of the country. Our ancestors got information from first apostles about Christianity and approved it.

What might have been the reason for the fact that Christianity spread in such a short time (second part of the first century) without further predicaments?

Georgian population (people, who already make one unity for this time) had already had the general values in nature which is significantly important for Christianity. Thus gospel didactics for our ancestors wasn't the matter of adjustment, but it turned to be familiar and internally natural for them. Supposedly, translation of gospel from Jewish language began soon after the first apostles' visit. Anyway, for the first world meeting Christian religion already seems organizationally disciplined in west Georgia, remember the fact of participation of Bitchvinta Bishop in the working process of this meeting.

Analysis of some still acting terms in Mengrelian-Svani speech enables us to suppose them as emerged on the first stage of spreading Christianity (for the time of first apostles' visit), all in all until Christianity become state religion and whole Georgian church was formed.

In the article we talk about terms, which are still used unchangeably in Mengrelian speech (tanapa, pichvani, qirse ...)

დანა შლუხთმანი

**იულიანოვი, სამშობლო, ილენტოვა აქტუალურ
ბერმანულ-ებრაულ ლიტერატურაში**

გერმანული ლიტერატურა მდიდარია ებრაელი ავტორებით. ჰაინე, ფოიხტვანგერი, კაფკა, მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ცნობილი გერმანულ-ებრაელი ავტორებისა. მათი რიცხვი ისე დიდია, რომ არსებობს გერმანულ-ებრაელ ავტორთა ლექსიკონი.

დღეს ბევრს მსჯელობენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად მართებულია არსებობდეს გერმანულ-ებრაელ ავტორთა კატეგორია, რა არის აქ მნიშვნელოვანი, რელიგიურობა თუ ეროვნულობა. ჩემი მოსაზრებით, ენა და კულტურა მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელოვნებაში, შესაბამისად, კატეგორია გერმანულ-ებრაულის არსებობა სრულიად ორგანულად მიმაჩნია.

ბედის ირონიაა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში სწორედ გერმანიაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ განსაკუთრებით წარმატებული ებრაელი ავტორები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1991–2004 წლებში 230 000 ებრაელი გადასახლდა. მათ შორისაა ისეთი პოპულარული ავტორების ოჯახები, როგორცაა: ლენა გორელიკი, ოლგა გრიაზნოვა, კატია პეტროვსკაია. მათი ნაწარმოებები, ძირითადად, სამშობლოს, იუდაიზმისა და იდენტობის პრობლემატიკას ეხებიან.

ამ ავტორთა ყველაზე აქტუალური რომანები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და ეფუძნებიან პირად გამოცდილებებს, რომლებიც, თავის მხრივ, საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, ამიტომ ჩემთვის კატეგორია გერმანულ-ებრაულ-პოსტსაბჭოურიც სრულიად მისაღებია.

DANA SCHLUCHTMANN

JUDENTUM, HEIMAT UND IDENTITÄT IN AKTUELLER DEUTSCH-JÜDISCHER LITERATUR

Die deutschsprachige Literatur war schon immer von deutsch-jüdischen Autoren geprägt, Heinrich Heine, Lion Feuchtwanger, Franz Kafka, Masha Kaleko und Kurt Tucholsky sind nur einige wenige der sehr bekannten Namen. Deren Anzahl ist so hoch, dass 2000 sogar ein Lexikon deutsch-jüdischer Autoren herausgegeben wurde.¹

Seit den 90er Jahren ist eine neue Gruppe deutsch-jüdischer Autoren sehr erfolgreich: Die jüdischen Einwanderer aus postsowjetischen Staaten. Für Österreich ist da z.B. Vladimir Vertlib² zu nennen, für Deutschland Wladimir Kaminer. Es sind insgesamt auch sehr viele, sehr junge Autoren, die die deutschsprachige Literaturszene erobern, sodass im April 2012 sogar eine Stiftungsprofessur für neue deutsch-jüdische Literatur an der Viadrina in Frankfurt an der Oder eingerichtet wurde.³

Dabei gibt es Diskussion, ob diese Kategorie „deutsch-jüdisch“ überhaupt sinnvoll ist:

- Ist es literarisch sinnvoll, eine solche Kategorie zu definieren?
- Wie soll eine solche Definition aussehen?
- Wird dabei nicht nach dem Prinzip der Nationalität bzw. Religion ausgegrenzt?⁴

Ich denke, Sprache und Kultur sind wichtige Eckpfeiler bei der Entwicklung eines jeden Menschen und insbesondere bei der eines Schriftstellers, dessen grundlegendes Werkzeug die Sprache ist. Daher halte ich eine solche Kategorie für sinnvoll und würde für die aktuelle deutschsprachige Literatur sogar noch die Kategorie deutsch-jüdisch-(post)sowjetisch einführen.

Es ist Ironie des Schicksals, dass es ausgerechnet in Deutschland so viele erfolgreiche Autoren mit jüdisch-sowjetischen Wurzeln gibt. Das hat damit zu tun, dass es zwischen 1991 und 2004 ein besonderes Aufnahmeverfahren für diese Gruppe gab: Personen, jüdischer Herkunft konnten mit ihren Familienangehörigen als Kontingentflüchtlinge in die BRD übersiedeln. Nach Angaben des Bundesverwaltungsamtes sind zwischen 1991 und 2006 etwa 230 000 jüdische Kontingentflüchtlinge eingewandert.⁵

¹<https://www.metzlerverlag.de/index.php?mod=bookdetail&isbn=978-3-476-02457-2>, Stand: 23.10.2014.

²Die Schreibweise der Namen wurde hier und im Folgenden so gewählt, wie die Autoren publizieren.

³<http://www.kuwi.europa-uni.de/de/lehrstuhl/lw/diaspora/index.html>, Stand: 23.10.2014.

⁴Z.B. Langenhorst, Georg: Zwischen „Weihnukivester“ und „Orthodoxie“.

In: Stimmen der Zeit, abgerufen unter: http://www.stimmen-der-zeit.de/zeitschrift/archiv/beitrag_details?k_beitrag=2675481&query_start=2&k_produkt=2674937, Stand: 23.10.2014 oder Wirtz, Susanne: Jüdische Autoren der Gegenwart. Probleme – Positionen – Themen, abgerufen unter: http://www.tribuene-verlag.de/T198_Wirtz.pdf, Stand: 23.10.2014.

Unter diesen sind auch die Familien von einigen, heutzutage in Deutschland sehr erfolgreichen Schriftstellerinnen. Dazu zählen z.B. Lena Gorelik, Olga Grjasnowa, Katja Petrowskaja, deren Bücher ich heute vorstellen möchte. Diese drei Autoren haben sehr viele Preise gewonnen, Petrowskaja 2013 sogar den vielbeachteten Ingeborg-Bachmann-Preis⁶.

Die Werke, über die ich heute spreche, zeichnen sich alle durch ein bestimmtes Suchen und vorsichtiges Tasten um die Begriffe Heimat, Judentum, Identität aus.

In „Meine[n] weißen Nächte[n]“ von Lena Gorelik spielt das Judentum noch keine große Rolle, die wenigsten Juden in der Sowjetunion waren religiös. „Jüdisch“ bezeichnete in der Sowjetunion auch eher eine Ethnie als eine Religionszugehörigkeit. In Deutschland angekommen sahen sich die Kontingentflüchtlinge jedoch einerseits der Fremdzuschreibung „Jude“ seitens des Staates und der Bevölkerung gegenüber, als andererseits auch der Verweigerung dieser Zuschreibung durch die alteingesessenen Juden, die die Zuwanderer wegen ihrer mangelnden Religiosität kritisierten.⁷

Die Heldin Anja bezeichnet sich daher eher als Kontingentflüchtling⁸ denn als Jüdin und beschreibt, dass ihr Bruder erst im dritten Jahr nach der Auswanderung sein Jüdischsein entdeckte⁹. Einerseits gilt sie als Russin¹⁰, sagt aber andererseits, dass der größte Teil von ihr deutsch ist¹¹.

Lena Gorelik selbst bekennt sich offen zu einer Misch-Identität, als deren Sinnbild sie „Weihnukivester“ beschreibt – Festwochen im Dezember, in denen deutsches Weihnachten, jüdisches Chanukka und sowjetisches Silvesterfest miteinander verschmelzen.¹²

In Olga Grjasnowas „Der Russe ist einer, der Birken liebt“ wird schon im Titel das Spiel mit den Zuschreibungen deutlich. Die Heldin Mascha, die große Ähnlichkeit zur Autorin aufweist, spielt mit ihren Rollen und den dazugehörigen Stereotypen, bezeichnet sich je nach Situation als Jüdin¹³, als Deutsche¹⁴, als Russin¹⁵ oder als Aserbaidzhanerin¹⁶, wehrt sich aber vehement gegen eine solche einseitige Zuschreibung, wenn sie z.B. als Jüdin Israels politische Lage kommentieren soll¹⁷.

⁶<http://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/Publikationen/WorkingPapers/wp08-merkmale-juedische-zuwanderer.pdf?sessionid=F8FBEB1F30992FF7C25F7C2861E9459B.1 cid286? blob=publicationFile>, Stand: 23.10.2014.

⁷<http://bachmannpreis.eu/de/news/4548>, Stand: 23.10.2014.

⁸<http://www.owep.de/artikel/644/zwischen-integration-und-isolation-russische-juden-in-deutschland>, Stand: 23.10.2014.

⁹Gorelik, Lena: Meine weißen Nächte. München: SchirmerGraf Verlag 2004, S.114.

¹⁰Ebenda, S. 42.

¹¹Ebenda, S. 31.

¹²Ebenda, S. 195.

¹³<http://www.dw.de/identit%C3%A4t-russisch-j%C3%BCdisch-deutsch/a-16088583>, Stand: 23.10.2014.

¹⁴Grjasnowa, Olga: Der Russe ist einer, der Birken liebt. München: Carl Hanser Verlag 2012, S. 274.

¹⁵Ebenda, S. 264.

¹⁶Ebenda, S. 178.

¹⁷Ebenda, S. 266.

Sie bestimmt sich selbst als nicht religiös, besinnt sich aber in kritischen Situationen, z.B. im Angesicht des Todes ihres Freundes, auf ihr Judentum¹⁸.

Olga Grjasnowa sagt über sich, dass es in ihrem Freundeskreis „keinen Unterschied zwischen Juden und Nichtjuden, Muslimen und Christen“ gibt¹⁹ und dies wird auch von ihrer Romanheldin gelebt: Die russisch-jüdische Mascha hat palästinensische, israelische, türkische, (ost)deutsche Freunde, Christen wie Muslime und Juden, die trotz des immer präsenten Nahost-Konflikt in erster Linie Freunde sind und nicht in jedem Gespräch „den ganzen Zionismus und die Geschichte Israels verhandeln“²⁰ wollen.

Mascha ist auf der Suche, nicht nach Religion, sondern nach einem vertrauten Ort, gleichzeitig fürchtet sie sich davor, denn Heimat ist ihr aufgrund der Kindheitserlebnisse im Baku der 90er Jahre fest mit dem Begriff Pogrom verbunden.²¹

Auch in „Vielleicht Esther“ hängen Heimat, Judentum und Pogrom fest zusammen. In diesem Buch macht sich Katja Petrowskaja auf die Suche nach ihrer verlorenen Familie, insbesondere nach ihrer Großmutter, die 1941 in Kiew umgebracht wurde und von der nicht einmal der Name mit Sicherheit bekannt ist. Dabei entwickelt sich diese Suche nach Familienmitgliedern schnell zu einer Sucht.²² Sie ist nicht mehr sicher, ob sie die Antworten je finden und damit die Suche beenden möchte bzw. kann.²³ Ihr wird aber zum Ende hin bewusst, dass sie sich zu sehr auf diese Suche konzentriert und zu oft an den Ort des Geschehens zurückkehrt.²⁴

Petrowskaja sagt, sie habe dieses Buch auch darüber geschrieben, was es für sie bedeute, jüdisch zu sein. „Meine Verwandten waren jüdisch. Ich habe zwar diese Geschichte, aber es ist nicht meine Identität.“²⁵

Und so sind sich alle Romanheldinnen und Autorinnen einig, dass sie sich nicht auf diese eine Identität „Jüdin“ beschränken können und lassen, dass diese aber natürlich auch einen Teil ihrer Identität ausmacht.

Heimat dagegen ist ein Begriff, der ihnen eher fremd ist. Für Anja in „Meine[n] weißen Nächte[n]“ ist Heimat nicht an einen Ort gebunden, es reicht ihr ein bestimmter Schlafanzug, um sich daheim zu fühlen.²⁶ Lena Gorelik widmete dieses Buch ihrer Familie, „die mir immer ein Zuhause war, auch, als wir keins hatten.“²⁷

Olga Grjasnowas Romanfiguren sind Kosmopoliten, sie sind in mehreren Kulturen daheim, mehrsprachig aufgewachsen und könnten in Frankfurt genauso wie auch in New York, Beirut oder Tel Aviv leben. Über Mascha heißt es sogar „eine

¹⁷ Ebenda, S. 63.

¹⁸ Ebenda, S. 24, S. 102.

¹⁹ <http://www.zeit.de/2012/12/Olga-Grjasnowa>, Stand: 23.10.2014.

²⁰ Grjasnowa, Olga: Der Russe ist einer, der Birken liebt. München: Carl Hanser Verlag 2012, S. 190.

²¹ Ebenda, S. 202.

²² Petrowskaja, Katja: Vielleicht Esther. Geschichten. Berlin: Suhrkamp 2014, S. 128.

²³ Ebenda, S. 132.

²⁴ Ebenda, S. 283.

²⁵ <http://www.welt.de/kultur/literarischewelt/article125586678/Maxim-Biller-argumentiert-rassistisch.html>, Stand: 23.10.2014.

²⁶ Gorelik, Lena: Meine weißen Nächte. München: SchirmerGraf Verlag 2004, S.69.

²⁷ Ebenda, S.5.

Heimat braucht sie nicht".²⁸ Das, was allgemein als Verlust der Heimat betitelt wird, sieht Grjasnowa als Gewinn, als Gewinnen von Freiheit.²⁹

Das Konzept einer zweiten Heimat wird von den meisten Normalbürgern noch anerkannt, man kann emigrieren und sich dort dermaßen integrieren, dass man heimisch wird. Dass man jedoch an vielen Orten zu Hause sein kann, ist für viele Menschen nicht vorstellbar. Daher bezeichnet Petrowskaja in einem Fernsehinterview Berlin als ihre „zweite Heimat“, obwohl es eigentlich ihre „fünfte Heimat“ ist.³⁰

In *Vielleicht Esther* vollzieht sich die Suche daher auch im Sprachen- und Rollenwirrwarr: „Ich dachte auf Russisch, suchte meine jüdischen Verwandten und schrieb auf Deutsch. Ich hatte das Glück, mich in der Kluft der Sprachen, im Tausch, in der Verwechslung von Rollen und Blickwinkeln zu bewegen. Wer hat wen erobert, wer gehört zu den Meinen, wer zu den anderen, welches Ufer ist meins?“³¹

Diese drei aktuellen Romane tragen autobiographischen Charakter, basieren auf ähnlichen Erfahrungen und beschäftigen sich anhand unterschiedlicher Gegenstände mit ähnlichen Themen (Judentum, Heimat, Identität). Mir scheint, dass dies eine Kategorie deutsch-jüdisch-(post)sowjetisch rechtfertigt.

DANA SCHLUCHTMAN

JUDAISM, NATIVE COUNTRY, IDENTITY IN ACTUAL GERMAN-JEWISH LITERATURE

German literature is rich with Jew authors. Heine, Feuchtwanger, Kafka, are the small list of famous German-Jew authors. Their number is so large that we have even dictionary for German-Jew authors. Today we have many talks about how right is the fact to exist the category of German-Jew authors, what is important here religiousness or nationalism. In my opinion language and culture are important factor in art, accordingly existing the category of German-Jew authors is absolutely organic to me. It's the irony of fate, but also the fact that in post soviet period extremely successful Jew authors live and work in Germany. The reason for this might be the fact that in 1991–2004 in Federal Republic of Germany 230 000 Jews went to settle there. They include the families of famous authors, such as Lena Gorelik, Olga Griaznova, Katia Petrovskaja. Their creations mainly refer to native country, Judaism and identity problems.

Most actual novels of these authors are of autobiographical style and base on private experience, which surprisingly resemble to each-other, that's why for me category German-Jew-Post Soviet is absolutely acceptable.

²⁸Grjasnowa, Olga: *Der Russe ist einer, der Birken liebt*. München: Carl Hanser Verlag 2012, Klappentext.

²⁹<http://www.aviva-berlin.de/aviva/content/Interviews.php?id=141121>, Stand: 23.10.2014.

³⁰<http://www.br.de/mediathek/video/sendungen/lesezeichen/lesezeichen-gespraech-230.html>, Stand: 28.10.2014.

³¹Petrowskaja, Katja: *Vielleicht Esther*. Geschichten. Berlin: Suhrkamp 2014, S. 115.

საკანონმდებლო ხარვეზები და ღაზარალებულის შეკვეცილი უფლებები საპროცესო შეთანხმებაში

2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა, სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს ბრალდებულის მთავარ და თანაბარ უფლებათა რანგში წარმოაჩენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს აქვს სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულების უფლება.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საბოლოოდ ადასტურებს რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის სისტემების დაახლოების ტენდენციას, მათზე ამერიკული საპროცესო კანონმდებლობის მოდელის ძლიერ გავლენას და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ამერიკული საპროცესო სამართლის ორი მახასიათებლის გათვალისწინებით წარმოადგენს. კერძოდ, ძირითადი სასამართლო სხდომის დაწყებამდე, წინასწარ სხდომაზე ბრალდებულის წარდგენა, სადაც მას დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში "arrangement"-ს სთავაზობენ, რაც აღიარებულ ბრალდებათა აღნუსხვას ნიშნავს; ან ბოლო "nolo contendere-á" დამტკიცებას, რაც ნიშნავს, რომ ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას და ხდება სასჯელის შემსუბუქებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა (ე. პრაღელი, 1999, გვ. 23-245).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დაკავებული ბრალდებულის პირველ წარდგენას 48 საათში მავისტრატ მოსამართლესთან (სსსკ, 2009, 197-ე მუხლი), იმპერატიულად ითხოვს მოსამართლისაგან საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის საკითხის გარკვევას და, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებას. ამ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა მხარეებს არ ართმევს უფლებას - საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, სასამართლოს დაწყებამდე გამოიყენოს საპროცესო შეთანხმება. ახალი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების XXI თავი საპროცესო შეთანხმების არსს არ ცვლის, თუმცა მას მოქმედებისათვის შეუზღუდავ გარემოს სთავაზობს. კერძოდ, დაზარალებულს ართმევს სისხლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო საჩივლის უფლებას და საპროცესო შეთანხმების შესახებ მხოლოდ შეტყობინებას აძლევს.

ამასთანავე, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პროკურორი წინასწარ, საპროცესო შეთანხმების დადებამდე, კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, თუმცა აღნიშნული კონსულტაციის შედეგები პროკურორს გადაწყვეტილების შეცვლას არ ავალდებულებს.

ასევე, ახალი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მანამდე მოქმედ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასამართლო გამოძიების

გაუქმების, ან შეკვეცის კონტინენტურ მოდელს (სსკ, 1998, 473-ე მუხლი). ახალი კოდექსით, ბრალდებულის მიერ ბრალეულად თავის ცნობის შედეგია "plea bargaining" (საპროცესო შეთანხმება). ბრალდებული ცალმხრივად, საკუთარი დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ (სასჯელის შემცირების მიზნით), უთანხმდება პროკურატურას ბრალდების მოცულობის თაობაზე.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ახალი საპროცესო კანონმდებლობით, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. კანონით საპროცესო შეთანხმების არსებობის შესახებ ნაფიცი მსაჯულების ინფორმირება სავალდებულოა. უმეტეს შემთხვევაში, ბრალდებული ბრალს აღიარებს და თავს დამნაშავედ ცნობს გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით. ვაჭრობის შედეგები იცვლება მხარეთა მოხერხებულობის მიხედვით. 1998 წელს მიღებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული (სსკ-ის 473-ე მუხ.) შეკვეცილი სამართალწარმოების მოდელის უარყოფა ახალ საპროცესო კანონმდებლობასა და მატერიალური სისხლის სამართალში არსებული (სსკ-ის 45-ე მუხლი სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას) წამახალისებელი ნორმების გამოუყენებლობა თუ კონკურენტუუნარობა საპროცესო შეთანხმების ამერიკულ მოდელს გამოყენების დიდ შანსს აძლევს. შეიძლება ითქვას, რომ, ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსად, საქართველოს სამართალწარმოება ვერ იარსებებს ამ პრაქტიკის გარეშე. თუმცა ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან საქართველოში ზედმეტად ეფექტურად ამოქმედებული გარიგების ინსტიტუტი მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით (სავარაუდოდ, საქმეთა 90% მეტი) მიიხნევა ბრალდებულის მიერ გავლენის ქვეშ მიღებულ გადაწყვეტილებად - დადოს საპროცესო შეთანხმება, რომელიც გამომდინარეობს მსჯავრდების მაღალი რიცხვიდან და სასამართლოს მიმართ არსებული ნაკლები ნდობით და რომ სახეზე იქნება სამართლიანი განხილვა (CHO...2011) - ნამდვილად ვერ აქცევს ამ ინსტიტუტს ნაფიც მსაჯულთა საპირწონედ (შდრ., შტ. ტრექსელი, 2009, გვ. 141).

ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აძლევს დაზარალებულს იმ ელემენტარულ უფლებებს, რაც მას უნდა გააჩნდეს. აქ არ არის იმაზე საუბარი, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული ბოლომდე იყოს გათანაბრებული პროკურორთან. აქ საუბარია იმაზე, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში საკმარისი ჩარისჩის ჩაროულობა ჰქონდეს, როცა საქმე ეხება სიცოცხლის უფლებას, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას დაზარალებული, მშობელი, რომელსაც სახელმწიფოს ან კერძო პირის ბრალით დაეღუპა შვილი, ოჯახის წევრი თუ ახლობელი უნდა იყოს ინფორმირებული გამომძიებლის მხრიდან, ანუ იცოდეს, თუ რა ეტაპზეა გამოძიება და ადგილზე გაეცნოს იმ მტკიცებულებებს, რომლის ცოდნაც არ დააზიანებს საგამომძიებო ინტერესს (http://www.regions.ge/3&newsid=22718&year=2013&position=news_main).

განსხვავება საპროცესო შეთანხმებასა და მის შემოღებამდე მოქმედ საქმის სასამართლოში განხილვის წესს შორის არსებითია. კერძოდ, ამ ახალი ნოვაციის შემოღებამდე, წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ, გამოძიება საქმის მასალების მიხედვით ადგენდა საბრალდებო დასკვნას და საქმეს არსებითი განხილვისათვის უგზავნიდა სასამართლოს. შემდგომ სასამართლოს წარუდგენდნენ

როგორც წინასწარ გამოძიებაში მოპოვებულ, ასევე სასამართლოში მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზეც ხდებოდა საბოლოო განაჩენის გამოტანა. საპროცესო შეთანხმების შედეგად ეს პროცედურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბრალდებო დასკვნის ნაცვლად პროკურატურა სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. საპროცესო შეთანხმების დადების დროს დაზარალებულის უფლებამოსილება არა თუ იკვეცება, არამედ საერთოდ ქრება. დაზარალებულს უფლება ერთმევა, წარმოადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობანი, გამოთქვას აზრი პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედებაზე, შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის, პროკურორისა თუ სასამართლოს მოქმედებაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში, ფაქტობრივად, უფლებაუნარიანობა არ გააჩნია. როგორც ვიცით, დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, დაზარალებულის საპროცესო განხილვაში მონაწილეობის უფლება უგულვებელყოფილია, თუმცა: "პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია", მაგრამ კონსულტაციის მიზანი დაკონკრეტებული არ არის. მისი შინაარსიდან გამომდინარე, კონსულტაცია უბრალოდ მოთათბირებას ნიშნავს, რაც არ ჯდება როგორც საპროცესო შეთანხმების, ასევე პროკურორის უფლებამოსილების სამართლებრივ ჩარჩოებში. მოქმედი კანონმდებლობიდან ჩვენ ვიცით, რომ დაზარალებული პროცესში მხარე არ არის; შესაბამისად, ბუნდოვანია ჩვენთვის შეტყობინებებისა და ინფორმაციის სახით მისი ჩართულობა, თუ დაზარალებულს რეალურად პროცესში ბერკეტები არ გააჩნია. არის ერთი მხარე, რომელიც თამაშობს "თავდასხმაში" და მეორე მხარე თამაშობს "დაცვაში" და ის ვითარება, რომ აქ კიდევ მეორე მხარე მონაწილეობდეს ბრალდებულის წინააღმდეგ, უთანასწოროა (ლ. რამიშვილი, 2010, გვ. 134).

მოქმედი კანონმდებლობით პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების სესახებ. აქვე სსსკ 217-ე მუხლის მეორე ნაწილში კი ვკითხულობთ, რომ დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. თუ უცბო ქვეყნების კანონმდებლობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არსებობს საპროცესო შეთანხმების განსხვავებული მოდელი, რაც ვფიქრობთ, სრულიად მისაღები იქნება ჩვენი კანონმდებლობისათვის. მაგალითისათვის მოვიყვანთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც რამდენიმე შტატში, კერძოდ ჯორჯიასა და სამხრეთ დაკოტაში მოქმედებს ჩვენ მიერ ზემოხსენებული მოდელი. მოსამართლეს აქვს უფლება, გაითვალისწინოს დაზარალებულის მიდგომა და არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება (ნ. გოგუა, 2010, გვ. 45-56).

ჩვენი ხედვა ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებაში შემდეგია: დაზარალებულს მიეცეს უფლება, მოსამართლეს წერილობით წარუდგინოს არგუმენტაცია - რატომ არის საპროცესო შეთანხმების წინააღმდეგი და მოსამართლეს კი ექნება უფლება, გაითვალისწინოს დაზარალებულის მიდგომა და არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული საშუალებას მოვცემს.

ერთის მხრივ, მოხდეს დაზარალებულის უფლებების გაზრდა სისხლის სამართლის პროცესში და, მეორის მხრივ, გაამყარებს მის ჩართულობას.

აუცილებლად უნდა შეიქმნოს სსკ 217-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც დაზარალებულს უფლება აქვს, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, სამოქალაქო სარჩელით აინაზღაუროს მიყენებული ზიანი. გაუმართლებელია, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს პროკურორსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის, დამატებით სასჯელად განისაზღვროს ჯარიმის კონკრეტული ოდენობა, რის საფუძველზეც ბრალდებულს შეაქვს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში და ამის მერე დაზარალებულმა თავისი კანონიერი უფლებების უზრუნველსაყოფად ცალკე მიმართოს სასამართლოს და ედავოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ეს არსებითად ლახავს დაზარალებულის მორალურ მხარეს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, სავალდებულო გახდეს - შეამდგომლობაში საქმის არსებითად განხილვის გარეშე აისახოს ზიანის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც უნდა განისაზღვროს კომპეტენტური ექსპერტის დასკვნით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ბრალდებული ვერ ახერხებს აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულებების შემთხვევაში კონკრეტული დანაშაულებები არ არსებობს. ასეთ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად ითვლება ხალხი, ანუ საზოგადოება. მსგავსი შემთხვევის დროს პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად (მიმოხილ. იხ. ვ. მახოვი, მ. პეშკოვი, 2003).

შემდეგი ჩვენი მოკრძალებული შენიშვნა განლაგეთ ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის ნათლად გაწერილი დანაშაულის კატეგორიები, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც ბრალდებულთან არ დაიდება საპროცესო შეთანხმება. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საპროცესო შეთანხმების არსებობისას დაუშვებელია მსჯავრდებულის სრულად გათავისუფლება სასჯელისგან, სისხლის სამართლის კოდექსის 1441, 1442 და 1443 მუხლით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. ასევე, კანონით არ არის გათვალისწინებული სასჯელის ზომა; კერძოდ, რა შეიძლება იყოს კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის მინიმუმი ან მაქსიმუმი ზომა, როდესაც მხარეებს შორის იდება საპროცესო შეთანხმება.

აუცილებელია მიდგომა დაზარალებულის, როგორც ობიექტის მიმართ, რათა დადგენილ და გამოვლენილ იქნეს საქმეში არსებული სიმართლე. გულგრილობით შესაძლებელია გამოვიწვიოთ ფსიქიკური, მორალური და სოციალური ტრავმები.

1994 წელს აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარდა რეფორმა, შემუშავდა ახალი მიდგომა დაზარალებულის მიმართ. ჯიმი დიგნაკომ და მიკლ ვალინომ შეიმუშავეს ახალი დებულებები, რომელიც იყო ორიენტირებული დაზარალებულზე; შემუშავებული იყო კომპენსაციური გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც ბრალდებულს ეკისრებოდა ფინანსური ანაზღაურების ვალდებულება. დაზარალებულს, აგრეთვე, მიენიჭა უფლება - გამოხატოს თავისი აზრი ყველა

იმ საკითხზე, რომელიც ეხება ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება აღნიშნულ დებულებაში ცოტაოდენი ხარვეზი, რაც იწვევს დაზარალებულის უკმაყოფილებას. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდებული, უმეტეს შემთხვევაში, ანაზღაურებს მატერიალურ მხარეს, მაგრამ, იშვიათად, შეიძლება მოხდეს უმნიშვნელო მორალური ზიანი, რომლის კომპენსაცია არ ხდება. არის რიგი შემთხვევები, როდესაც დაზარალებული ვერ იღებს კომპენსაციას, ეს განპირობებულია იმით, რომ აღძრულ საქმეზე დამნაშავეს ეძლევა გაფრთხილება სასამართლოს მიერ და, ამ შემთხვევაში, დაზარალებული კარგავს შანსს, მიიღოს კომპენსაცია.

დაზარალებული, როგორც მოგეხსენებათ, არის დანაშაულის მსხვერპლი, ამიტომ მისი სათანადო დაცვა აუცილებელია, რათა თავად საზოგადოებაშიც არ გაჩნდეს უსამართლობის განცდა. თუმცა, საქართველოში დაზარალებულის ინტერესები აშკარად დაცულია. მას იცავს პროკურორი, ეს პროკურორი კი დღეს არის სახელმწიფო მოხელე. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის ინტერესს იცავს სახელმწიფო. აქ მთავარია, არ უნდა მოხდეს შეჯობობითი და თანასწორობის პრინციპის დარღვევა. დაზარალებულის უფლებების გაზრდით არ უნდა შევავიწროოთ ბრალდებულის უფლება, თორემ დაირღვევა დემოკრატიული პრინციპები - სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სამართლიანობა. თუ კარგად ჩავუკვირდებით დაზარალებულის მდგომარეობას, ის, შესაძლებელია, იმყოფებოდეს ემოციური დატვირთვის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში იურისტები თავისი გამოცდილებით, როგორც კარგი ექიმები, უნდა ზრუნავდნენ დაზარალებულზე, მაქსიმალურად შეუშუბუქონ მდგომარეობა, "მოუშუშონ ჭრილობები," მოიყვანონ ნორმალური აზროვნების მდგომარეობაში, რომ იგი საღად მივიდეს ჭეშმარიტ გადაწყვეტილებამდე (ლ. ლევისონი, 2003, TX, გვ. 123). მათ უნდა მიეცეთ უფლება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია სასამართლოზე, ან ყველა განხილვის ყველა ეტაპზე (Joutsen M., Shapland J., 1989, 1-30).

დაზარალებულის ინსტიტუტს სისხლის სამართლის პროცესში, ვფიქრობთ, უნდა ჩაუტარდეს რეფორმა. დაზარალებულის დახმარება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, დამნაშავეს როდის დააკავებენ, ან როდის მოხდება მისი სახელფასო ანაზღაურებიდან საკომპენსაციო თანხის ჩამოჭრა. ჩემ მიერ განხილული ქვეყნების პრაქტიკიდან დაზარალებულის დახმარება სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი და მექანიზმია, რომელიც აძლევს სტიმულირებას სამართლებრივ სისტემას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს დაზარალებულთა სპეციალური ფონდი, რომელიც შეიქმნა 1984 წელს VOCA (Victims of Crime Act) (legal-dictionary, 1984). იგი არის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე. Victims of Crime Act ფონდი ივსება ჯარიმებით, რომელიც ეკისრება ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებებზე გირაოს სახით შემოტანილი თანხებიდან, სპეციალური გადასახადით, რომელიც შეაქვს პროკურატურას, ფედერალურ სასამართლოებს, ფედერალური ციხის ბიუროებს, აგრეთვე, ფონდი ივსება დანაშაულზე გასამართლებული პირების მიერ შემოტანილი თანხებით. ყველა შტატი ახორციელებს კომპენსაციის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს

ფინანსურ დახმარებას დაზარალებულებისათვის. ფონდი აძლევს უფლებას ყველა შტატს, მოიხმაროს მხოლოდ 5% ადმინისტრაციულ ხარჯებზე. სხვა დანარჩენი თანხა უნდა მოხმარდეს დაზარალებულის კომპენსაციის ანაზღაურებას.

ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტის განხორციელება წარმატებული იქნება საქართველოში. იგი, ერთის მხრივ, დაასაქმებს გამოცდილ სპეციალისტებს (იგულისხმება ფსიქოლოგები და პედაგოგები, რომლებმაც შესაბამის დარგში მიიღეს განათლება), მეორის მხრივ კი, დაზარალებულს მისცემს საშუალებას, გააცნობიეროს დამდგარი შედეგი და აირიდოს თავიდან ის მორალური ტრავმა, რაც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ "საპროცესო შეთანხმების" ინსტიტუტს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ის წარმოადგენს სასამართლო წარმოების გამარტივებულ ფორმას, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის. ამავე დროს, არსებობს გარკვეული სახის ხარვეზები, რომელთა საკანონმდებლო გადაწყვეტა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა სისტემამ უფრო ეფექტურად, და რაც მთავარია, სამართლიანად იმუშაოს.

დამოწმებული ლიტერატურა

ბ. გოგუა, 2010 - ბ. გოგუა, სამართალი, „ლიბერალი“: თბ., 2010 წლის 15 ნოემბერი იხ. <http://liberali.ge/node/1071>

ლ. ლევინსონი, 2003 - Л. Левинсон, эксперт Института прав человека, Л. Левинсон А потерпевшим быть обязан, Содержание номера 18, . I., 2003.

ვ. მახოვი, მ. პეშკოვი, 2005 - В.Н. Махов, М.А. Пешков, Уголовный процесс США, Глава 3, . М. 2003.

ჟან პრადელი, 1999 - ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999 წელი.

ლ. რამიშვილი, 2010 - ლ. რამიშვილი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი. (ბ. ქვარცხავა, ლ. ჯგერენაია, ინტერვიუ) თბ., 2010 წლის 09 დეკემბერი.

საპროცესო შეთანხმების არსებულ მოდელს მხოლოდ სახელი აქვს ამერიკული, **Regions.ge, 12.11.2013** წელი. http://www.regions.ge/3&newsid=22718&year=2013&position=news_main

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009 წელი 9 ოქტომბერი, 197-ე მუხლი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 1998 წელი 20 თებერვალი, 473-ე მუხლი.

შტ. ტრეჟსელი, 2009 - შტეფან ტრეჟსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წელი.

Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee). Honouring of obligations and commitments by Georgia, 2011.

<http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Victims+of+Crime+Act+of+1984>
Joutsen, Matti and Shapland, Joanna. Report on an ad hoc working group // HEUNI - Publication ' 16 - Helsinki, 1989.

KOBA CHIKHLADZE**LEGISLATIVE DEFICIENCIES AND IMPAIRMENT LIMITED RIGHTS
IN PLEA AGREEMENT**

We think that institute of victims in criminal proceedings should be reformed. It is possible to use two of the country's practice. Victim assistance should not depend on whether the offender will be arrested, or when the funds will be deducted from his salary. I have reviewed the practice of victim support - one of the priorities of social policy and the mechanisms that give incentives to the legal system.

In the United States there is a special fund for the victims, which was established in 1984 and developed by an interdenominational [VOCA] Victims of Crime Act (legal-dictionary, 1984), which is one source of funding for the country's total area. This fund is filled with penalties imposed for criminal offenses committed on bail deposited the proceeds of the special tax to the prosecutor's office, federal courts, federal prison bureaus, as well as the fund today is filled Donate the proceeds of crime from convicted felons. All staff is implementing a program which provides financial assistance to the victims compensation fund, to the right of all states to use only 5% of the remaining amount to be spent on administrative costs of compensation to the victim as compensation. The maximum compensation in the range of 10 000 - 25 000 dollars.

Another interesting law which operates in Estonia, "The victim's aid 'about it since the law came into force in 2004'", consists of services for victims and the look that came into effect on January 1, 2005. The law provides for the creation of a network depends on the help of the victims. These centers are located in police stations as well as the pension departments. The main objective of this network is that it is eligible and qualified to assist the victims. Network operating coordinates on who work with victims. Coordinator of the 2-month training course in order to realize all the skills needed to assist qualified for the victim shall be given to all those persons who have suffered damage or intentional damage by a psychological trump.

We believe that this project will be successful in Georgia, and will allow us to become more proficient results, in terms of victims. On the one hand, this project will employ experienced specialists, including psychologists and teachers who participated in the field of education, on the other hand, the victim will be able to realize the result and avoid mental trauma she suffered as a result of the crime.

შალვა წიწუაშვილი

დანიელ ხანანაშვილი-საქართველოს გერაქი მამათბიანი

დანიელ ხანანაშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ერთ მიზანს დაუქვემდებარა. მისთვის უმთავრესი იყო თავისი ცოდნა საყვარელი ქალაქისა და ხალხის ისტორიის შესწავლისათვის მოეხმარებინა. მისი ცხოვრება სწორედ ამის დადასტურებაა – იგი სტუდენტობის პერიოდიდანვე იწყებს ქუთაისისა და საქართველოს გერაქობის კვლევას.

დანიელ ხანანაშვილი დაიბადა 1933 წელს ქუთაისში. წარჩინებით დაამთავრა 1-ლი საშუალო სკოლა. მე-10 კლასის მოსწავლემ რესპუბლიკური კონფერენციისათვის მოამზადა მოზრდილი შრომა “ქუთაისის ისტორია”, რომელიც მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე. ეს თემა იმ დროისათვის თითქმის შეუსწავლელი იყო და სკოლის მოსწავლის გამბედაობამ, ხელი მოეკიდა ასეთი თემისთვის მასწავლებლების მოწონება დაიმსახურა. ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო კონფერენციაზე და ამჟამად იგი ქუთაისის ცენტრალურ არქივში ინახება.

1953 წელს დანიელი შევიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა სამეცნიერო, შემდეგ კი რესპუბლიკურ კონფერენციაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით “ქუთაისის უძველესი ისტორიის საკითხისათვის”. მესამე კურსის სტუდენტი, დანიელ ხანანაშვილი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავკაცად აირჩიეს.

1957 წელს დანიელმა წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჯერ უმცროს მეცნიერთანამშრომლად, შემდეგ – 1960 წლიდან, განყოფილების გამგედ.

საქართველოს გერაქითა ისტორიით დანიელი სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა. დაიწყო მასალების მოძიება, აგროვებდა ყველაფერს, უმცირეს ცნობასაც კი, რაც მისი ინტერესების სფეროს პასუხობდა. 1960 წლისათვის მას უკვე საკმაოდ ბევრი მასალა დაუგროვდა. 1963 წლის 9 იანვარს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: “გერაქითა საკითხი და რევოლუციამდელი ქართველი საზოგადოება”. დაიწყო წერილების გამოქვეყნება საქართველოს გერაქითა შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. აი, რამდენიმე მათგანი: “ილია ჭავჭავაძე და გერაქობა”, “გერაქის სახე რევოლუციამდელი ქართული თეატრის სცენაზე”, “სისხლის ქარი და რევოლუციამდელი ქართველი საზოგადოება”, “ქართველი გერაქები დემოკრატიულ საქართველოში” და სხვა.

1989-1993 წლებში დანიელ ხანანაშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მიწვევით, მე-3 კურსის სტუდენტებს უკითხავდა სპეციალურ კურსს: “ქართველ გერაქითა და ქართულ-გერაქულ

ურთიერთობათა საკითხები“. მისი ლექციები იმდენად ღრმა და საინტერესო იყო, რომ, სტუდენტების გარდა, პროფესორ-მასწავლებლებიც სიამოვნებით ისმენდნენ.

1990 წლის დეკემბერში დანიელ ხანანაშვილი მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაული ურთიერთობების ასოციაციისა (პრეზიდენტი გ. ლამბაშიძე) და ბენ-ცვის სახელობის ისრაელის აღმოსავლეთის ებრაელთა ინსტიტუტის (სიმპოზიუმის ინიციატორი, ინსტიტუტის მზრიდან, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გერშონ ბენ-ორენი) ერთობლივ სამეცნიერო სიმპოზიუმში მოხსენებით: “ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი მასალები ქუთაისის ცენტრალურ არქივში”. მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დანიელ ხანანაშვილს არ შეუწყვეტია ჟურნალ-გაზეთებში საინტერესო წერილების გამოქვეყნება საქართველოს ებრაელთა შესახებ. მისი მთავარი მიზანი იყო, შეექმნა საქართველოს ებრაელთა შესახებ არსებული მასალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რაც ძალიან გაუადვილებდა მუშაობას ამ თემით დაინტერესებულ მეცნიერებს. იგი დიდი მონდომებით აგროვებდა მასალებს; ცდილობდა, არ გამორჩენოდა თუნდაც სულ უმნიშვნელო ცნობა. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც იმ პერიოდში მასალების შეგროვებასთან იყო დაკავშირებული (ასლგადამღები ტექნოლოგიის არარსებობა, ფინანსური სიდუხჭირე და მრავალი სხვა), მან დიდი შრომის, მონდომების შედეგად შექმნა მასალათა ფასდაუდებელი ფონდი საქართველოს ებრაელთა და ქუთაისის ისტორიის შესახებ. როდესაც ეცნობი ამ არქივს, გაცეხს მისი შემქმნელის შრომისმოყვარეობა, თავდადება, მიზანსწრაფულობა და აღტაცებაში მოდიხარ მის მიერ გაწეული კოლოსალური შრომის ნაყოფით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმ პერიოდში, როდესაც დანიელ ხანანაშვილი აღნიშნულ მასალებს აგროვებდა, უხდებოდა მათი ხელით გადაწერა გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, წიგნებიდან, საარქივო მასალებიდან, განცვიფრებაში მოდიხარ დანიელ ხანანაშვილის შრომისმოყვარეობით, ნებისყოფის სიმტკიცით, იმ უდიდესი ენერგიით, რაც მოანდომა ამ მნიშვნელოვანი მასალების შეგროვებას.

დანიელ ხანანაშვილი ჭეშმარიტად გახლავთ საქართველოს ებრაელთა მემატრიანე.

სამწუხაროა, რომ დანიელს არ დასცალდა თავისი ძვირფასი უნიკალური მასალების ანოტირებული კრებულების გამოცემა. მან ზუსტად იცოდა და ჩამოყალიბებულიც ჰქონდა თავისი არქივის გამოქვეყნების პრინციპები, მეთოდოლოგია; მაგრამ ჯერ კიდევ შრომითი ენერგიით სავსე, ნიჭიერი მკვლევარი ნაადრევად წავიდა ჩვენგან და არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება.

1993 წლის მარტში დანიელ ხანანაშვილი ავიდა ისრაელში და დასახლდა ქალაქ ბათ-იამში. მას არც იქ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა, აპირებდა თავისი არქივის თუნდაც ნაწილის გამოქვეყნებას.

2005 წელს მან სამუდამოდ მიატოვა ეს სამყარო და მარადისობაში გადავიდა.

წავიდა ჩვენგან კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი ქუთაისი, საქართველო და არ განასხვავებდა მშობლიური ისრაელისგან.

ემზარ ჭანტურიძე
სალომე ჭანტურიძე

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული
წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ

1. ალკიფრონი; ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI, 1987 წ.

ალკიფრონი ახ.წ. II-III სს. მოღვაწეა. მისი ეთნიკური წარმომავლობა დღესაც გაურკვეველია. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ის ლუკიანეს თანამედროვე უნდა ყოფილიყო. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან დღევანდლამდე მოღწეულია სულ 123 წერილი, რომელშიც დაცულია ცნობები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

ალკიფრონის წერილებიდან ამოკრებილი მასალა ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

2. ანჯოლელი ჯოვანი მარია; ბატონ უზუნ ჰასანის ცხოვრებისა და საქმეთა მოკლე მოთხრობა გადმოცემული ჯოვანი მარია ანჯოლელის მიერ. იხ. "XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ", თბ., 1981 წ.

ანჯოლელმა თავისი ხანგრძლივი და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე (1451-2-1547 წწ.) ბევრი რამ ნახა და განიცადა, რომელიც შემდეგში გამოსცა ზემოთ აღნიშნული სათაურით. ავტორი უმეტესწილად თვითმხილველია და ხშირად თანამონაწილედ იმ ამბებისა, რომელსაც აღწერს. თხრობისას ზოგჯერ იმოწმებს თავის წინამორბედ მოგზაურებს: კატერინა ძენოს, ჯოსაფა ბარბაროს და კონტარინის. ანჯოლელის ცნობები, რომელიც ემყარება უშუალოდ პირველწყაროებს და საკუთარ შთაბეჭდილებებს, სანდოა XV ს. საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის კვლევისას.

წინამდებარე თხზულება მოიძია, იტალიურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილმა.

3. არისტოტელე (ძვ.წ. IV ს.), წიგნიდან "თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ", II, თბ., 1969 წ.

კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნესა და მრავალმხრივ მეცნიერს — არისტოტელეს დარჩა მრავალრიცხოვანი შრომები. მათ შორისაა რამდენიმე ისეთი თხზულება, სადაც მოიპოვება ცნობები საქართველოს შესახებ. ესენია: "ქარების შესახებ", "მეტეოროლოგია", "სამყაროს შესახებ", "გამოუცემელი პრობლემები", "ცის შესახებ", "ცხოველთა დაბადების შესახებ", "პოლიტიკა", "ეკონომიკა", "საოცარ ამბავთა შესახებ"... აღნიშნულ ნაშრომებში აღწერილია სხვადასხვა ხალხის და მათ, შორის ქართველური ტომების, ეთნოგრაფიული, მითოლოგიური, ზოოლოგიური ხასიათის ცნობები.

არისტოტელეს თხზულებიდან ამოკრებილი ციტატები ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

4. ჯოსაფატ ბარბარო; “კეთილშობილი ვენეციელის, ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში და სპარსეთში”; “XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ”, თბ., 1981 წ.

XV ს. ვენეციელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ჯოსაფატ ბარბარო წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1473-1477 წწ. დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა აყ-ყონლუს (თეთრბატკნიანთა) სახელმწიფოს მბრძანებელთან — უზუნ-ჰასანთან. 1477 წელს არჩეული იქნა ვენეციის სენატის წევრად. ამავე დროს ასრულებდა ვენეციის დოჟის მრჩეველის მოვალეობას. მან აღწერა თავისი მოგზაურობისა და საქმიანობისას ნახული და გაგონილი ამბები, რომელიც გამოქვეყნებულია “მოგზაურობის” სათაურით. მასში დაცულია სხვადასხვა ხალხის, და მათ შორის საქართველოს, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცნობები. ე. მამისთვალიშვილის მოსაზრებით, “დიდ ყურადღებას იმსახურებს ის ცნობები, რომლებიც XV ს. მეორე ნახევრის საქართველოსა და აყ-ყონლუს სახელმწიფოს ურთიერთობას ასახავს” (ე. მამისთვალიშვილი, 1981, გვ. 51).

ბარბაროს “მოგზაურობიდან” ამოკრებილი მასალა იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა.

5. Фредерик Диубуа де Монтере, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937 г.

ცნობილი ფრანგი (შვეიცარიიდან) მოგზაური, ნატურალისტი, არქეოლოგი და გეოლოგი ფრედერიკ დიუბუა დე მონტერე თავის მოგზაურობას ყირიმიდან იწყებს 1833 წელს. ყირიმისა და ჩრდ. კავკასიის მონახულების შემდეგ ის საქართველოში ჩამოდის. მოგზაურობისას მან შეაგროვა დიდი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც 1835-1839 წწ. გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი “მოგზაურობა კავკასიის გარშემო” ექვს ტომად. ქუთაისის სამეც. ბიბლიოთეკაში დაცულია მხოლოდ მისი I ტომი.

წიგნზე მუშაობისას დიუბუამ, მოძიებული მასალის გარდა, გამოიყენა ადრინდელი თუ თანამედროვე მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიდაც, ძირითადად, შესწავლილია მთლიანად კავკასიის რეგიონი და იქ მაცხოვრებელი ჩერქეზების, ყაბარდოელების, უბიხების, აბაზების, ჭიქების, ქართველური ტომების: აფხაზების, მეგრელების, ლაზების წარსული. აღწერილია ამ ტომების ზოგადი ისტორია, ადათი, ყოფა, აღზრდის, ქორწინებისა და სხვა წეს-ჩვეულებები, კანონები, ჩაცმულობა, რელიგია, დაკრძალვის ცერემონიალი. გაშუქებული აქვს ვაჭრობისა და შინამრეწველობის განვითარების დონე. აღწერილია კავკასიის ცალკეული რეგიონების დასახლებები (ქალაქები, დაბები).

I ტომში თხრობა მთავრდება სამურზაყანოს აღწერით. გამოქვეყნებული მასალა საინტერესოა საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ისტორიის მკვლევართათვის.

დიუბუას ნაშრომი ფრანგულიდან რუსულად თარგმნა შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. ა. დანკევიჩ-პუშჩინმა.

6. დიონისიოს პერიეგეტი; თ. ყაუხჩიშვილი, “ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ”, თბ., 1967 წ.

დიონისიოს პერიეგეტი ახ.წ. II ს. ალექსანდრიელი ბერძენი მოღვაწეა. სრული სახით ჩვენამდე მოაღწია პოემის სახით დაწერილმა მისმა გეოგრაფიული

ხასიათის ნაწარმოებმა “დედამიწის აღწერილობა”, რომელსაც “პერიგესის” სახელითაც მოიხსენიებენ. ისტორიულ და გეოგრაფიულ მეცნიერებაში თხზულების როლისა და მნიშვნელობის შესახებ თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: “რომაულსა და ბიზანტიურ ხანაში მას მიიჩნევდნენ გეოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელოდ...” (თ. ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 106; 1976, გვ. 91).

დიონისიოსს თავის თხზულებაში დასახელებული ჰყავს ქართველური (იბერები, კოლხები, კერკეტიები, ჰენიოხები, ბიძერები, ბეჭირები, მაკრონები//სანები//ჭანები, მოსინები//მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები) და მათ მეზობლად მცხოვრები სხვა არაქართველური ტომები: კამარიტები, ალბანელები, ალანები, სარმატები, სკვითები//სკვითინები, არმენიელები. ზოგადად აქვს აღწერილი ამ ტომების ცხოვრების წესი, საქმიანობა, მათი განსახლების არეალი. ამდენად დიონისიოსის ცნობები საინტერესოა კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს, ისტორიის მკვლევართათვის.

დიონისიოსის თხზულების ბერძნული ტექსტი ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა

7. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, “საისტორიო მოამბე”, თბ., 1925 წ., წიგნი II.

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში წარმოდგენილი მასალა ერთ-ერთი საუკეთესო პირველწყაროა XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ნაშრომში თხრობა იწყება XV ს. უზუნ-ჰასანის მმართველობიდან და გრძელდება XVII ს. მიწურულამდე. ს. კაკაბაძის მოსაზრებით, ნაშრომი ფარსადანს დაუწერია 1685-1696 წლებში (ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 206). განსაკუთრებით ღირებულია ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიის XVII ს. მეორე ნახევარს, რადგან ავტორი იმ პერიოდში მომხდარი ამბების თვითმხილველი ან თანამონაწილე იყო. ტექსტს თან ერთვის ორი დამატება და ერთი დანართი. მათში გადმოცემულია XVI ს. მიწურულის კახეთის ისტორიის ერთი ეპიზოდი, ფარსადანის დარიგება შვილისადმი და თემურ ლენგის ლაშქრობა საქართველოში.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო ს. კაკაბაძემ.

გორგიჯანიძის თხზულების პირველი გამოცემა (იხ. ზ. ჭიჭინაძე “საქართველოს ცხოვრება”, ტფ. 1913) დაბეჭდილია ხარვეზებით. ტექსტს რამდენიმე ადგილას აკლია გვერდები. წინამდებარე გამოცემაში გამოტოვებული ადგილები შევსებულია “პარიზის ქრონიკიდან”. იხ. ასევე აღნიშნული ნაშრომის 1926 წლის გამოცემა.

8. კლავდიუს ელიანუსი; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969 წ.

რომაელი ისტორიკოსის კლავდიუს ელიანუსის (170-235 წწ.) მრავალრიცხოვანი შრომებიდან ორში, “სხვადასხვა ამბები” და “ღვთაებრივი თვალსაჩინოების შესახებ” დაცულია ცნობები კოლხებისა და მისი მეზობელი ტომების შესახებ (მახლიები, დერბიკები, სკვითები, არმენიელები...). აღწერილია დასახელებული ტომების ადათ-წესები, საქმიანობა, მოცემულია ამ ტომებს შორის ურთიერთობის ამსახველი მასალა.

კლავდიუს ელიანუსის თხზულებებიდან ამოკრებილი მასალა თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

9. ლუკიანე, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI, თბ., 1987 წ.

ახ.წ. II ს. მოღვაწის ლუკიანეს მრავალრიცხოვან შრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია “დილოგებს”, სადაც დაცულია ცნობები ქართველური და მათ მეზობლად მცხოვრები ტომების შესახებ (ლაზები, იბერები, მახელონები, სანიგები, ძიდრიტები, სავრომატები, ალანები, სკვითები).

ლუკიანეს თხზულებიდან შერჩეული მასალა ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა

10. ს. მალაქელიძე, მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. “საისტორიო მოამბე”, თბ., 1946 წ., ნაკ. II.

გამოქვეყნებული მასალა ასახავს ალ. ჭავჭავაძის არა მარტო როგორც პოეტის, არამედ როგორც ნიჭიერი მხედართმთავრის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს. მასში ასახულია სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო და სხვა საკითხები. სულ გამოქვეყნებულია 91 დოკუმენტი, აქედან ორი, 1793, 1797 წლებშია გაცემული ერეკლე II-ის მიერ გარსევან ჭავჭავაძისადმი. დანარჩენი მასალა, რომელიც უშუალოდ ეხება ალ. ჭავჭავაძეს, მოიცავს 1804-1847 წლებს. ყველა დოკუმენტი დედნის მიხედვით რუსულ ენაზეა შედგენილი. მასალა საინტერესოა და ის ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის კვლევისას ძირითად წყაროს წარმოადგენს.

11. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, საარქივო მასალები თბილისის ამქართა 1865 წლის “გამოსვლის” ისტორიისათვის. საისტორიო მოამბე, თბ., 1947 წ. ნაკ. III.

გამოქვეყნებული მასალა ასახავს XIX ს. საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ფონზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის გამწვავებულ მდგომარეობას, რასაც ხშირად მოჰყვებოდა აჯანყებები. ერთ-ერთ ასეთ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1865 წელს თბილისის ამქართა ამბოხის სახით. წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებულია ორი კატეგორიის პირველწყარო: ოფიციალური დოკუმენტები და არაოფიციალური მასალა (ცალკეულ პირთა მოგონებები, მემუარები, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული წერილები, გრიგოლ ორბელიანის შენიშვნები ამქართა გამოსვლის შესახებ, რომელიც იმავე წელს არის გამოქვეყნებული და სხვა). სულ გამოქვეყნებულია 37 დოკუმენტი და ერთი დამატება.

საარქივო მასალა დასაბეჭდად მოამზადა, შენიშვნები დაურთო და გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა.

12. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს მეფის ერეკლე II-ისა და რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის სიგელები მხარგრძელთადმი. საისტორიო მოამბე, თბ., 1945 წ., ნაკ. I.

წარმოდგენილი მასალა შეიცავს ორ სიგელს. ორივე გაცემულია მთავარეპისკოპოს იოსებ მხარგრძელის (შემდგომში სომხეთის კათალიკოსი, 1800-1801 წწ.) სახელზე. I სიგელი გაცემულია ერეკლე II-ის მიერ 1783 წ., ხოლო მეორე რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მიერ 1800 წ. ორივე სიგელში აღნიშნულია ი. მხარგრძელის დამსახურებები რუსეთის იმპერიის აღმოსავლური

პოლიტიკის განხორციელების საქმეში. მეორე სიგელში აღნიშნულია, რომ ი. მხარგრძელი თავის წარმომავლობას უკავშირებს სპარსეთის მეფე არტაქსექსეს (ძვ.წ. V ს.) სახელს (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1945, გვ. 27). ი. მხარგრძელის ეს ვერსია უარყოფილია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევართა მიერ: ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია... მ. ბროსე, ა. ერცოვი, მინორსკი, რ. აჭარანი, ჰ. მანანდიანი, ი. ორბელი... (უცხოელ ავტორებს ვიმოწმებთ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით). მკვლევრები იზიარებენ ძველი სომეხი ისტორიკოსების კირაკოს განძაკეცის და ვარდანის მოსაზრებებს მხარგრძელების ქურთული წარმოშობის შესახებ (ქსე. 1984, ტ. VII, გვ. 270).

სიგელები მოიძია, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა.

13. მემონი, “ჰერაკლეს ისტორია”, წიგნიდან “ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., VI, თბ., 1987 წ.

ბერძენი ისტორიკოსი მემონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. I ს. მისი ნაშრომი “ჰერაკლეს ისტორია” მოიცავს ძვ.წ. VI საუკუნიდან გაიუს იულიუს კეისრამდე განვიღებ პერიოდს. აღნიშნულმა თხზულებამ ჩვენამდე ფოტიუსის “ბიბლიოთეკაში” შეტანილი IX-XVI წიგნების სახით მოაღწია. მასში აღწერილია ძვ.წ. 363-46 წწ. ქალაქ ჰერაკლეს ისტორია. თხზულებაში დაცულია ცნობები მითრიდატე VI ევპატორის მიერ რომაელებთან ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოებულ ომებისა და საქართველოს შესახებ.

მემონის “ჰერაკლეს ისტორიის” XV-XVI წიგნებიდან ამოკრებილი მასალა ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

14. ნიკოლოზ დამასკელი (ძვ.წ. 64, ახ.წ. 14). თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969 წ.

ნიკოლოზ დამასკელის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან ჩვენამდე ზოგიერთის ფრაგმენტებია მოღწეული, ზოგის კი მხოლოდ სათაურებია ცნობილი. წინამდებარე წიგნში შეტანილია მისი მხოლოდ 3 თხზულება: “ისტორია” (სადაც გადმოცემულია მსოფლიო ისტორია დასაბამიდან ძვ.წ. 4 წლამდე.), “ჩვევათა კრებული” და “კეისრის ცხოვრება”. ქართველური ტომების (კოლხები, კერკეტები, მოსინები//მოსინიკები, სინდები) შესახებ ცნობები დაცულია “ისტორიასა” და “ჩვევათა კრებულში” მისი გადმოცემულია ამ ტომების ისტორია, მათი წეს-ჩვეულებები, საქმიანობა; ვრცელი ადგილი უჭირავს კოლხებში არსებულ დამარხვის წესის აღწერას. მოცემული მასალა საინტერესო ინფორმაციის შემცველია საქართველოს ანტიკური პერიოდის ისტორიის მკვლევართათვის. ნიკოლოზ დამასკელის შრომებიდან ამოკრებილი მასალა თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

15. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981 წ. (იხ., ასევე, კრებული “საქართველოს ცხოვრება” ზ. ჭიჭინაძის გამოც. თფ. 1913 წ. წიგნი II).

თხზულება “ამბავნი ქართლისანი” წარმოადგენს ს. ჩხეიძის “მეფეთა ცხოვრების” გაგრძელებას. მასში გადმოცემულია 1739-1758 წლების საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხი (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური). ავტორი თანამედროვე და თვითმხილველია იმ ამბებისა, რომელსაც აგვიწერს.

ამავე დროს, პ. ორბელიანი სარგებლობს სანდო წყაროებით. მას, როგორც მაღალი თანამდებობის პირს (XVIII ს. 50-იანი წლების განმავლობაში ეკავა მდივანბეგის თანამდებობა), ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ დოკუმენტზე. ამდენად, წინამდებარე თხზულება ღირებულა თავისი სანდოობითა და მიუკერძოებლობით.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა

16. М.Полиевктов, Крестоцеловальная запись Имеретинского царя Александра III, 9 октября 1651 г., საისტორიო მოამბე, თბ., 1925 წ., წიგნი I.

კრებულში შეტანილი დოკუმენტის დედანი “ფიცის წიგნი” დღეისათვის ინახება მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. “ფიცის წიგნზე” დაფიცება იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) მიერ მოხდა რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვის და იველიევის თანდასწრებით 1651 წ. 9 ოქტომბერს. დოკუმენტს, მეფის გარდა, ხელს აწერენ მაღალი სასულიერო და საერო თანამდებობის პირები: დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე ქუთათელი (მაჭუტაძე, 1639-1657 წწ.), მიტროპოლიტი ზაქარია გაენათელი (ქვარიანი, 1637-1657 წწ., დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 1657-1660 წწ.), ცაგერის არქიეპისკოპოსი გაბრიელი, ეპისკოპოსი დავით ნიკორწმინდელი, მოლარეთუხუცესი ლომკაცი ჯაფარიძე, პაპუნა ერისთავი, ქაიხოსრო იაშვილი და სხვანი.

“ფიცის წიგნს”, როგორც პირველწყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით.

დოკუმენტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მ. პოლიევკტოვმა.

17. თედო ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I, თბ., 2004 წ. (1892 წ. გამოცემა ქუთაისის სამეც. ბიბლიოთეკას არ აქვს), ტ. II, ტფ. 1897 წ., ტ. III, თბ., 1967 წ.

“ქრონიკების” სამივე ტომში შეტანილი მასალა შეიცავს საქართველოს ისტორიის ამსახველ სხვადასხვა ხასიათის ცნობებს: ისტორიული, ცნობები სხვადასხვა ხელნაწერებიდან, სხვადასხვა მონასტრებში მოძიებული ხელნაწერები, სიგელები, გუჯრები, “აფხაზთა”, “დადიანთა”, “ჩხეიძეთა”, “გელათური” ქრონიკები, საეკლესიო კრებების ოქმები, იურიდიული ხასიათის დოკუმენტები. მათ შორისაა მნიშვნელოვანი წყაროები, როგორცაა “ძეგლი ერისთავთა”, მუხრანბატონების, ქსნის და არაგვის ერისთავთა, ქართლის აბაშიძეთა, ამირეჯიბთა, ბარათაშვილთა გვარების გენეალოგია...

I ტომში შეტანილი მასალა მოიცავს წლებს დასაბამიდან 1213 წლამდე. 161 წყარო.

II ტომში მასალა ეხება 1213-1700 წწ. შორის მომხდარ ამბებს. 971 წყარო.

III ტომში გამოქვეყნებული მასალა ასახავს 1700-1852 წწ. ამბებს. 852 წყარო. ამავე ტომში შეტანილია I-II ტომების საძიებელი.

თ. ჟორდანიას “ქრონიკებში” შეტანილი მასალა პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ბ. კულდავას განმარტებით, “იგი ფასეულია იმითაც, რომ აქ თავმოყრილი უზარმაზარი

მასალის საკმაო ნაწილი შემდგომში განადგურდა და მარტოოდენ ჟორდანიასეული ბუბლიკაციით შემორჩა მეცნიერებას” (თ. ჟორდანიას, 2004. ტ. I, შესავალი). ანალოგიური აზრია გამოთქმული ქსე ტ. VIII, (1984, გვ. 255, თ. ჟორდანიას). “ქრონიკების” I-II ტომში შეტანილი მასალა მოიძია, გამოკვლევები, საძიებლები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა თ. ჟორდანიამ.

III ტ. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და გამოკვლევა დაურთეს ე. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ.

18. გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის” თბ., 1942 წ. ნაკ. V.

ფლამანდრიელმა მოგზაურმა გ. რუბრუკვისმა, როგორც დიპლომატმა 1253-1255 წწ. საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის დავალებით იმოგზაურა მონღოლეთში. კონსტანტინოპოლის, ყირიმის, სამხრეთ რუსეთის (იგულისხმება დღევანდელი სამხ. რუსეთი. ეს ტერიტორია რუსეთის შემადგენლობაში შევიდა მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებში - ე.ჭ, ს.ჭ), ციმბირის და შუა აზიის გავლით ჩადის მონღოლეთში (ყარაყორუმში) მანგუ ყაენთან. უკან დაბრუნებისას დარუბანდის გზით გაიარა სამხრეთი კავკასია და მცირე აზია.

გ. რუბრუკვისის მოგზაურობის ანგარიში, რომელიც ლუი IX-ს წარედგინა, შეიცავს საინტერესო ცნობებს მოგზაურობისას გავლილი ქვეყნების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის შესახებ. ასევე, საინტერესო ცნობებია დაცული ზაქარია მხარგრძელის ვაჟის, შანშე მხარგრძელის შესახებ, რომელსაც ავტორი საჰენზას უწოდებს.

წინამდებარე თხზულება ფრანგულიდან ქართულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გ. ქიქოძემ.

19. ბ. სილაგაძე, ოსმალეთის აღმოსავლეთის პროვინციების სერასკირის მუჰამედ სალიჰის მიმართვა კავკასიის მუსლიმი მოსახლეობისადმი. ქართული წყაროთმცოდნეობა IV, თბ., 1973 წ.

აღნიშნული მიმართვა შედგენილია რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის (1828-1829 წწ.) დაწყების დროს (ბ. სილაგაძის მოსაზრებით, 1828 წ. ივნისის შუა რიცხვებში). აღმოსავლეთის ფრონტზე საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა იმპერიის აღმ. მხარეთა სერასკირი საიდ მუჰამედ სალიჰი, რომლის მიერ თურქულ ენაზეა შედგენილი და ჩიჩნეთ-დაღესტან-აჭარის მოსახლეობისადმი გაგზავნილი აღნიშნული მიმართვის ტექსტი. ტექსტის შინაარსის მიხედვით თურქეთი ეცდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას და მათ შეეყვანას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამ ომში ჩრდ. კავკასიის მოსახლეობას ევალებოდა, დაეწყო აქტიური ბრძოლა იქ განლაგებული რუსული ჯარების წინააღმდეგ.

მიმართვის ტექსტი ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ბ. სილაგაძემ.

20. ბ. სილაგაძე, არაბი მწერლების ცნობები რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 764 წელს. ქართული წყაროთმცოდნეობა V, თბ., 1978 წ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი უკავია არაბი მწერლების თხზულებებს, სადაც დაცულია ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ; მათ შორისაა არაბი ისტორიკოსების ალ-იბნ კუბ-ის (IX ს.), ატ-ტაბარ-ის (IX-

X სს.) და იბნ ალ-ასირ-ის (XII-XIII სს.) შრომებში აღწერილი ამბები 764 წ. ხაზარების ლაშქრობის შესახებ საქართველოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამივე ავტორს აღნიშნული ლაშქრობის ცალკეული მომენტები ერთმანეთისაგან განსხვავებულად აქვთ გადმოცემული. მათი წყაროები, დღეისათვის უცნობია. ბ. სილაგაძის განმარტებით, “საქართველოში რას ტარხანის ლაშქრობის თაობაზე დაახლოებით ასეთსავე ცნობას იძლევა VIII ს. სომეხი ისტორიკოსი ლევონდი...” (ბ. სილაგაძე, 1978, გვ. 22).

არაბი ავტორების შრომებიდან შერჩეული მასალა ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ბ. სილაგაძემ.

21. ბ. სილაგაძე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს. 20-ანი წწ.), თსუ შრომები, 91, თბ., 1960 წ.

კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები ასახავს 1780 წელს საქართველოდან ბავშვობაში გატაცებული და ერაყში გაყიდული ქართველის, შემდეგში ერაყის გამგებლის (1817-1831 წწ.) დაუდ ფაშას (დავით გიორგის-ძე ბოჩოლაშვილის, ადრინდელი გვარი მანველაშვილი) საქმიანობის რამდენიმე ეპიზოდს:

I — გიორგი ბოჩოლაშვილის (გიორგი მანველაშვილი, დაუდ ფაშას მამა) ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი გაცემულია 1820 წ.

II — გააზატების წიგნი ბოჩოლაშვილს გიორგის შვილებისადმი.

III — ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის (დაუდ ფაშას) წერილი დედისადმი დაწერილია 1821 წ.

წინამდებარე დოკუმენტების შესახებ ბ. სილაგაძე აღნიშნავს: “ამ დოკუმენტების გამოქვეყნება, ვფიქრობთ, ოდნავ მაინც შეუწყობს ხელს ერაყ-საქართველოს ურთიერთობის საუკუნეობრივი, საკმაოდ საინტერესო, მაგრამ მეცნიერულად ჯერ ნაკლებად შესწავლილი ისტორიის გაშუქების საქმეს, ერაყის მმართველი ქართველი ქულემენი ფაშების ცხოვრება-მოღვაწეობისა და მათ მიერ შექმნილი “სტამბოლისაგან თითქმის დამოუკიდებელი რეჟიმის” შესწავლას” (ბ. სილაგაძე, 1960, გვ. 356)

დოკუმენტები მოიძია, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ბ. სილაგაძემ.

22. ე. სიხარულიძე, ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 180, თბ., 1976 წ.

კრებულში გამოქვეყნებული წყარო ეხება IX ს. I ნახევარში თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაიბის (ქართული წყაროს მიხედვით, საჰაკ ისმაილის-ძე). ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამოუკიდებლად მართავდა თბილისის საამიროს. წყაროს თანახმად, ხალიფებმა რამდენჯერმე სცადეს სამხედრო ძალის გამოყენებით ურჩი ამირას დასჯა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, ხალიფა ვასიკის (842-861 წწ.) სარდალმა ბულა თურქმა დაამარცხა და სიკვდილით დასაჯა ურჩი ამირა. წყაროში დაცული ინფორმაცია კარგად ასახავს, რამდენად შორს იყო წასული ფეოდალური დაქუცმაცებულობის პროცესი არაბულ სახალიფოში. აღნიშნული წყარო, რომელიც არაბული ქრონიკიდანაა აღებული, დაცულია მუხეჯიმ ბაშის თხზულებაში.

მასალა არაბულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ე. სიხარულიძემ

23. სკილაქს კარიანდელი. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967 წ.

სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. VI ს. II ნახევარი) ძვ.წ. VII-VI სს. საბერძნეთში ჩასახული საისტორიო მწერლობის ახალი განარის “პერიპლუსის” ერთ ერთ

უდიდეს წარმომადგენლად ითვლება. თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, ჩვენამდე მოღწეულ “პერიპლუსებს” ამჟამად დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ საქართველოს ისტორიის, კერძოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, შესასწავლად. ჩვენამდე სკილაქსის “პერიპლუსის” მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული.

თხზულებაში დასახელებულ ტომთა შორის მოიხსენიება ქართველური ტომები: ჰენიოხები, მელანქლანები, ბექეირები, კორაქსები, კოლხები, ბიძერები, ეკეპეირები, მაკროკეფალები, მოსინოიკები, ტიბარენები, ხალიბები... ავტორი აღწერს მათ საქმიანობას, ცხოვრების წესს. აზუსტებს ამ ტომთა საცხოვრისს, დასახელებული ქალაქების, მდინარეების ადგილმდებარეობას (რომელი ტომის ტერიტორიაზე მდებარეობდა). ასეთი ინფორმაცია აიოლებს ტომთა ადგილმდებარეობის ლოკალიზაციას. სკილაქსის ინფორმაციით, დღევანდელი აფხაზეთის, ასევე მისი ჩრდ.-დასავ. განვრცობილ ტერიტორიაზე (დღევანდელი სოჭი-ადლერის მხარე) ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: კოლხები, კერკეტები, ჰენიოხები, კორაქსები, მელანქლანები. ამ უკანასკნელთა ქალაქებად ასახელებს დიოსკურიას, გვიენოს, ფასისს, აიას.

თხზულების ბერძნული ტექსტი ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

24. სკიმნიოს ქიოსელი; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967 წ.

სკიმნიოს ქიოსელი ძვ. წ. III-II სს. გეოგრაფიის ახალი ჟანრის “პერიეგესის” ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. მის მიერ დაწერილ გეოგრაფიული ხასიათის პოემას “დედამიწის აღწერილობას” დღევანდლამდე სრულად არ მოუღწევია. სკიმნიოსის თხზულებაში აღწერილია ქართველური ტომების (მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები) საქმიანობა, ცხოვრების წესი, რომლის დაცვასაც, ავტორის მიხედვით, ეს ტომები დიდ ყურადღებას აქცევენ. ლოკალიზებულია მათი განსახლების არეალი. ამდენად, წინამდებარე თხზულება საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართათვის პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას იძენს.

“დედამიწის აღწერილობის” ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

25. ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე, თბ., 1960 წ.

გამოქვეყნებულ მასალაში დაცული ცნობები ასახავს ფეოდალებისა და გლეხების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს. მასში ძირითადად შესულია: ფიცის, წყალობის, პირობის, სათავდებო, ნასყიდობის, შეწირულობის, თხოვნის, ხელწერილის, მდივანბეგთა განჩინების, ყმობიდან განთავისუფლების, გარიგების და სხვა ხასიათის დოკუმენტები. სულ გამოქვეყნებულია 110 საბუთი, რომელიც მოიცავს 1669-1850 წწ.

მასალა მოიძია, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ო. სოსელიამ.

26. კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის (1247-1318 წწ.) ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968 წ.

XIII-XIV სს. ცნობილ სპარსელ ისტორიკოს და პოლიტიკურ მოღვაწეს რაშიდ ად-დინს დარჩა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მათ შორის “რაშიდ ად-დინის მიმოწერა”. სულ გამოქვეყნებულია 53 წერილი. აქედან 48 თვით მის მიერ არის გაგზავნილი სხვადასხვა თანამდებობის პირთათვის. აქედან არის ამოღებული მისი ერთ-ერთი წერილი შვილისადმი — ფირ სულთნისათვის გაგზავნილი. მასში დაცული ინფორმაცია ეხება ყაზან-ყაენის (1295-1304 წწ.) სირიაში ლაშქრობასთან (1299-1303 წწ). დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

წამოდგენილი წერილი სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო კ. ტაბაღაძემ.

27. ი. ტაბაღაძე, ს.-ს. ორბელიანის ევროპაში ყოფნასთან დაკავშირებულნი ეროი საბუთის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965 წ.

დოკუმენტში დაცული ინფორმაცია ეხება ს.-ს. ორბელიანის ევროპაში 1713-1716 წწ. მოგზაურობის საკითხებს. მასალა მოიცავს ორ წერილს, რომელიც შედგენილია ფრანგი მისიონერის ჟან რიშარის მიერ. პირველი დაწერილია 1710 წლის 13 აგვისტოს, ხოლო მეორე 1714 წლის 13 აგვისტოს. ორივე წერილი ერთსა და იმავე საკითხს ეხება. ი. ტაბაღაძეს მოსაზრებით, პირველ წერილზე თარიღი - 1710 წ. ჟან რიშარს შეეცდომით აქვს დასმული, რომელიც გაუსწორებია მეორე წერილში - 1714 წლით (ი. ტაბაღაძე, 1965, გვ. 111).

წერილი ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ი. ტაბაღაძემ.

28. თ. ტივაძე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ. 1971 წ.

აღნიშნული წერილი დაწერილია კონსტანტინოპოლში 1683 წლის სექტემბერში და გაგზავნილია ქართლის ყოფილი მეფის (1658-1675 წწ.) ვახტანგ V-ის (“შაჰნავაზი”) ვაჟის — არჩილისათვის, რომელიც ამ დროს უკვე რუსეთში იყო წასული. აღნიშნულ წერილში საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ.

ტექსტის ბერძნული დედანი დღეისათვის მიკვლეული არაა. ჩვენამდე მხოლოდ დედნის რუსული თარგმანია მოღწეული, რომელიც ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო თ. ტივაძემ.

29. ვლ. ფუთუჩიძე, ერევნის ხანების წერილები ქართლ-კახეთის მეფეებისადმი (XVIII ს. მეორე ნახევარი), თსუ შრომები, 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II, თბ., 1960 წ.

სომხეთის სიძველეთსაცავ “მატენდარანში” დაცულია ერევნის ხანების ბრძანებულებებისა და წერილების ხელნაწერი კრებული, რომელიც “ჰოსეინ ალი-ხანის არქივის” სახელითაა ცნობილი. პროფ. ვლ. ფუთუჩიძის განმარტებით, მას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიის სახანოებს შორის XVIII ს. მეორე ნახევარში არსებული ურთიერთობის შესასწავლად (ვლ. ფუთუჩიძე 1960, გვ. 331).

აღნიშნულ კრებულში შეტანილია ერევნის ხანების: ჰოსეინ ალი-ხანის (1764-1783 წწ.), ლულამ ალი-ხანის (1783-1784 წწ.) და მოჰამედ ხანის (1784-1805 წწ.) მიერ მეზობელი ქვეყნების მმართველებთან გაგზავნილი წერილების პირები. სულ 194. მათ შორის საქართველოს შეეხება 63. აქედან წინამდებარე

კრებულში შესულია მხოლოდ 3. I - ერევნის მოსახლეობის თხოვნა ერეკლე მეფისადმი ჰოსეინ ალი-ხანის უფროსი შვილის ერევნის ხანად დამტკიცების შესახებ; II - ერევნის ხანის მიერ გაგზავნილი წერილი, სახანოსათვის დაწესებული ხარკის გაგზავნის შესახებ; III - ერეკლე მეფისადმი გაგზავნილი ინფორმაცია სახანოში საბაჟო შემოსავლების შემცირების შესახებ.

“ჰოსეინ ალი-ხანის არქივიდან” შერჩეული წერილები ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ.

30. გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიჩი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II, თბ., 1960 წ.

XVI ს. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა სელიანიჩის თხზულება “თარიხი სელიანიჩი” მოიცავს ოსმალეთის ისტორიის 1564-1599 წწ. ავტორი თვითმხილველი და ზოგჯერ თანამონაწილეა იმ ამბებისა, რომელსაც გადმოგვცემს. ამავე დროს, ის წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ამიტომ, ნაშრომზე მუშაობისას, მას, როგორც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეს, ხელი მიუწვდებოდა ყველა სახის საჭირო დოკუმენტზე. გ. ფუთურიძის განმარტებით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ, რომლებიც მის თანამედროვე ან შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებს არ აქვთ მოხსენიებული თავიანთ შრომებში (გ. ფუთურიძე, 1960, გვ. 256). ამდენად, სელიანიჩის თხზულება, როგორც პირველწყარო, სანდოა XVI ს. აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათ შორის XVI ს. მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

მუსტაფა სელიანიჩის თხზულებიდან ამოკრებილი მასალა ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გ. ფუთურიძემ.

31. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963 წ.

ქართული სამართლის ძეგლების I ტომში შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც შედგენილია 1705—1708 წწ. აღნიშნული კრებული შექმნილია ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ.

მასში მოცემულია ქართლის სამეფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სხვადასხვა სოციალური ფენების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარების ამსახველი კანონები, ადათ-წესები, იურიდიული ყოფა და მართლშეგნება.

კრებულში შეტანილია 7 სამართლის წიგნი: სამართალი მოსესი; სამართალი ბერძნული; სამართალი სომხური; სამართალი კათალიკოზთა; სამართალი მეფის გიორგისა (ბრწყინვალე); სამართალი ბექასი და ალბუღასი; სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა. ეს უკანასკნელი შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს. კრებულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიული, იურიდიული და ფილოლოგიური საკითხების კვლევისას. სამართლის წიგნის ძირითადი წყაროა ქართული ჩვეულებითი სამართალი.

ქართული სამართლის ძეგლების I ტ. შეტანილი მასალა მოიძია, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (იხ., ასევე, “ვახტანგ VI სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1955 წ.).

32. ქართული სამართლის ძეგლები, ტ II, თბ., 1965 წ.

II ტომში შესულია IX-XIX სს. ქართული სამართლის საერო საკანონმდებლო ძეგლების ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგენილია ქართველ მეფეთა თუ სხვა ხელისუფალთა მიერ. მასში შეტანილია უცხოური საკანონმდებლო ძეგლები, რომლებიც, ი. დოლიძის განმარტებით, “მოქმედებდნენ საქართველოში თავისებურად გადამუშავებული ქართული ვერსიის სახით და, მაშასადამე, ქართული სამართლის წყაროს შეადგენდნენ (მოსეს სამართალი, სირიულ-რომაული სამართალი, მხითარ გოშის სამართალი, იუსტინიანეს ინსტიტუციები (ნოველები - ე. ჭ., ს. ჭ.), ვლასტარის სინტაგმა და სხვა)” (ი. დოლიძე, 1965, გვ. V).

ქართული სამართლის ძეგლების II ტომში შესულია სულ 164 ძეგლი. მათ შორის არის “გარიგება ხელმწიფის კარისა XIV ს.”, “დასტურლამალი” 1703-1724 წწ. (ორივე ძეგლი იხ., ასევე, ივ. სურგულაძე “ქართული სამართლის ძეგლები”, თბ., 1970 წ.), “ძეგლი ერისთავთა” XIV ს., “ძეგლის დადება” XIV ს. “ბიჭვინთის იადგარი” XIV ს., “ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ 1783წ.” (იხ., ასევე, ცინცაძე, “1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი”, თბ., 1960 წ.); “ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა 1790 წ.” და სხვა.

II ტ. გამოქვეყნებული მასალა მოიძია, შენიშვნები, საძიებლები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა პროფ. ი. დოლიძემ.

33. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970 წ.

კრებულის III ტ. შესულია XI-XIX სს. უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები: სჯულდების წიგნები, ტიპიკონები, სიგელ-გუჯრები და კანონიკური ეპისტოლენი, საეკლესიო კრებათა და სამონასტრო კრებულთა განჩინებები, გამოსავლის დავთრები. ამავე ტომში შეტანილია, ასევე, ქართული ორიგინალური საკანონმდებლო აქტები: “ძეგლის წერაი რუის-ურბნისის კრებისაი” (შეადგინა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ 1103 წელს), “პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი” (1084 წ. აღნიშნული ძეგლი იხ. ასევე, აკ. შანიძე, თხზ. IX, თბ., 1986 წ. გეორგიკა, ტ. V, თბ., 1963 წ.), “კანონი 1748 წ. საეკლესიო კრებისა”, “განგებაი ვაჰანის ქვაბთაი” და სხვა.

სულ III ტ. შეტანილია 559 დოკუმენტი. ყველაზე ადრინდელი თარიღდება 1084 წლით, ყველაზე გვიანდელი — 1818 წლით.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი მასალა მოიძია, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

34. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972 წ.

IV ტომში გამოქვეყნებულია ჩვენამდე მოღწეული XVI-XVIII სს. სასამართლო განჩინებანი. სულ 534 აქტი (განჩინება-განწყება), რომელიც ეხება სხვადასხვა სოციალური ფენის მიმართ სხვადასხვა სადავო საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას. აქტები შეიცავს მდიდარ მასალას სახელმწიფო, სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი, საპროცესო სამართლისა და სასამართლო წყობილების ისტორიის კვლევისათვის. პროფ. ი. დოლიძის განმარტებით, “თავისი შინაარსით ეს საბუთები იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ საქართველოს ვერც ერთი დარგის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის” (ი. დოლიძე, 1972, გვ. VIII).

IV ტ. შეტანილი მასალის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

35. ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, თბ., 1974 წ.

V ტომში დაბეჭდილია XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედის სასამართლო განჩინებები (აქტები), რომლებიც შედგენილია მეფეთა, კათალიკოსთა, ბატონიშვილთა, მდივანბეგთა, მელიქ-მამასახლისთა და ქეთხუდების სასამართლოების მიერ. ტომში შეტანილია ასევე დიკასტერიისა (ქართლ-კახეთის სამეფოში საკათალიკოსოსთან არსებული უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო ორგანო, დააარსა კათალიკოსმა ანტონ I-მა XVIII ს. 70-იან წლებში, რომელიც განაგებდა საეკლესიო ხასიათის ყველა საქმეს. მ. კეკელია, 1970, გვ. 185) და მედიატორთა სასამართლოების რამდენიმე განჩინება. სულ გამოქვეყნებულია 403 სასამართლო განჩინება, რომლებიც უმთავრესად ეხება ყმა-მამულებისა და სასისხლო საქმეების შესახებ დავებს. მასში ასახულია არამართო სამართლებრივი, არამედ XVIII ს. საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეებიც.

მასალები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

36. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977 წ.

სამართლის ძეგლების VI ტ. შეიცავს ქართული სამეფო-სამთავროების სხვადასხვა სასამართლო დაწესებულებების მიერ XVIII-XIX სს. მიჯნაზე გამოტანილ სასამართლო განჩინებებს. ტომის დანართში შეტანილია XVI-XVIII სს. რამდენიმე განჩინება და სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები.

VI ტ. სულ დაბეჭდილია 484 დოკუმენტი (შეწირულობის, შეუვალობის, პირობის, წყალობის წიგნები, განჩინება, განწესება გადაწყვეტილება...).

VI ტ. შესული მასალა გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

37. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981 წ.

ქართული სამართლის ძეგლების VII ტომში შესულია სასამართლო არზა-ოქმების ძირითადი ნაწილი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართლ-კახეთის გვიანფეოდალური სამართალწარმოებისა და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად. წინამდებარე ტომში დაბეჭდილია მხოლოდ ის არზები, რომლებსაც დართული აქვთ სათანადო ოქმები — სულ 863 დოკუმენტი.

მასალა გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

38. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985 წ.

ძეგლების VIII ტომში შეტანილია XVIII-XIX სს. (1789-1853 წწ.) სასამართლო არზა-ოქმები და XV-XIX სს. კერძო სამართლებრივი აქტები. სულ 131 დოკუმენტი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის.

VIII ტომში შესული მასალის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა პროფ. ი. დოლიძემ.

39. შედეგი კახეთის ცხოვრებისა, “საქართველოს ცხოვრება”, ზ. ჭიჭინაძის გამოც., წიგ. II, ტფ., 1913 წ.

წინამდებარე კრებულში თხრობა იწყება თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფებით 1744 წლიდან, 1801 წლამდე — რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლით. “შედეგი კახეთის ცხოვრებისა”, XVIII ს. სხვა ავტორების ნაშრომებთან ერთად, პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს ამავე პერიოდის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

თხზულების ავტორის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (ს. ყაუხჩიშვილი, “ქართლის ცხოვრება”, ტ. I, თბ., 1955, გვ. 010; მ. ჯანაშვილი, ტფ., 1905, გვ. 3-5; მ. ღუმბაძე, 1973, გვ. 681, სქოლიო 5, გვ. 683, სქ. 1; ალ. ბარამიძე, ლ. ასათიანი, 1934, გვ. 345...), აღნიშნული თხზულების ავტორი უცნობია. მკვლევართა მეორე ნაწილი თხზულების ავტორად დავით ბაგრატიონს (გიორგი XII-ის ძე, ტახტის მემკვიდრე) მიიჩნევს. გ. ბახტაძის მიხედვით, აღნიშნული ნაშრომი, “ახალი ისტორიის” პირველი ნაწილია (გ. ბახტაძე, 1959, გვ. 231; თ. ლომოური, 1941, გვ. I-XVI); ლ. მიქიაშვილის აზრით, აღნიშნული წყარო დავით ჩუბინაშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ნაშრომის სათაურშეცვლილ თხზულებას წარმოადგენს (ლ. მიქიაშვილი, 1983, გვ. 12).

40. ნ. შენგელია, XVIII ს. I მეოთხედის ოსმალური დოკუმენტური წყაროები ფოთის ციხის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა V, თბ., 1978 წ.

XVIII ს. ოსმალთა ლაშქრობების შესახებ ამიერკავკასიასა და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა სახის უამრავი წყარო არსებობს. მათ შორის არის ოსმალეთის იმპერიის მთავარი საფინანსო უწყების მეთაურის ბაშ-დევთერის მიერ გაცემული ე.წ. ბერათები. წინამდებარე კრებულში შეტანილია 9 დოკუმენტი. ყველა მათგანი გაცემულია 1724 წ. მათში საუბარია ფოთის ციხეში სამხედრო ძალების გაძლიერების აუცილებლობაზე, ციხის განახლებაზე, ციხის გარნიზონის ახალი სამხედრო ძალებით შევსებაზე და სხვა. აღნიშნული დოკუმენტი, სხვა წყაროებთან ერთად, კარგად აჩენს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თურქეთის მესვეურები დასავლეთ საქართველოს ცალკეულ პუნქტებს.

დოკუმენტები თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ.

41. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოს მუხეჯიმ ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968 წ.

XVIII ს. II ნახევრის ისტორიკოს აჰმედ იბნ ლუთფულას (იგივე მუხეჯიმ ბაში) არაბულ ენაზე აქვს დაწერილი ისტორიული ხასიათის ნაშრომი “დინასტიათა კრებული”, რომელიც არაბულიდან თურქულად ითარგმნა 1720-1730 წწ. “ცნობათა ფურცლების” სახელწოდებით. თხზულება კომპილაციური ხასიათისაა, მაგრამ, ნ. შენგელიას განმარტებით, “თხზულების მნიშვნელობას ზრდის ის, რომ მას 70-ზე მეტი დასახელების პირველწყარო აქვს გამოყენებული, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის დაკარგულად ითვლება” (ნ. შენგელია, 1968, გვ. 133). წინამდებარე კრებულში დაბეჭდილია მუხეჯიმ ბაშის თხზულების III ტ. შერჩეული მასალა.

თურქული ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ.

42. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოს აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ., 1971 წ.

აჰმედ ვასიფი (XVIII ს. მეორე ნახ., XIX ს. დასაწყისი) თურქი ისტორიკოსია. ის თავის დროზე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მათ შორის დიპლომატიურზე. წლების მანძილზე იყო სულთნის სასახლის კარის ისტორიკოსი და სამდივანშიწიგნობროს მეთაური. მას ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროზე. ავტორი ბევრი ისტორიული მოვლენის თვითმხილველი ან მონაწილე იყო. ამდენად, მისი ნაშრომი XVIII ს. პერიოდის მკვლევართათვის სანდოა. ვასაფის თხზულების ორი ტომი მოიცავს 1753-1774 წწ.

ვასაფის თხზულებიდან შერჩეული მასალა ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ.

43. ნ. შენგელია, სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა IV, თბ., 1973 წ.

XVII ს. თურქი ისტორიკოსის მეჰმედ სოლაქ-ზადე ჰემდემის (სოლაქ-ზადე) ნაშრომში დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ. თხზულება მოიცავს ოსმალეთის ისტორიის სახელმწიფოს დაარსებიდან სულთან იბრაჰიმ I-ის ტახტზე ასვლამდე — 1640 წლამდე. ნ. შენგელიას განმარტებით, ნაშრომში “ბევრი ისეთი საინტერესო ცნობებია შემონახული, რაც დღეისათვის ცნობილ სხვა წყაროებში არ არის დაცული. სოლაქ-ზადეს თხზულების წყაროების მეტი წილი დღეისათვის უცნობია, რაც მისი ავტორის ღირებულებას უფრო ზრდის” (ნ. შენგელია, 1973, გვ. 56).

წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული სოლაქ-ზადეს თხზულებიდან ამოღებული სამი ფრაგმენტის თარგმანი შეასრულა, გამოკვლევა, შენიშვნები დაურთო და თურქულ ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა ნ. შენგელიამ.

44. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსი მუნეჯიმ ბაში გიორგი სააკაძის შესახებ. თსუ შრ., ტ. 180, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1976 წ.

აჰმედ იბნ ლუთფულლაჰი XVII ს. თურქი ისტორიკოსია. ის მეცნიერებაში მუნეჯიმ ბაშის სახელითაა ცნობილი. მისი ისტორიული ხასიათის შრომა “ცნობათა ფურცლების” სახელწოდებით, 3 ტომად დაიბეჭდა 1868 წელს. თხზულება კომპილაციურია. ნაშრომის მნიშვნელობის შესახებ ნ. შენგელიას აღნიშნული აქვს: “მართალია მისი ისტორია კომპილაციურია, მაგრამ ის უპირავი წყარო, რომელსაც მუნეჯიმ ბაში იყენებდა, დღეისათვის დაკარგულია, ამიტომ მის თხზულებას პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება” (ნ. შენგელია, 1976, გვ. 123). წინამდებარე კრებულში დაბეჭდილი, “ცნობათა ფურცლების” მესამე ტომიდან ამოღებული ტექსტი ასახავს გიორგი სააკაძის მოღვაწეობის ბოლო წლებს.

მასალა ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, დაურთო და თურქულ ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა ნ. შენგელიამ.

45. გ. ჩაჩანიძე, თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, მიცემული ალავერდის ტაძრისადმი. საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1925 წ.

კრებულში წარმოდგენილი თეიმურაზ I-ის (კახეთის მეფე 1606-1648 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წწ.) მიერ ალავერდის ტაძრისადმი ბოძებული წყალობის სიგელი შედგენილია 1612 წ. მთავარეპისკოპოს იოანე ავალიშვილის

მიერ. შინაარსიდან გამომდინარე, იგი გაცემულია თეიმურაზ I-ის პირველი ცოლის, მამია გურიელის ასულის, 1610 წ. გარდაცვლილ ანნა დედოფლის სააღაპოდ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიგელის შემდგენელ იოანე ავალიშვილს 1590-1600 წწ. ახლო ხანებში შეუსრულებია “ვეფხისტყაოსნის” შესანიშნავი მხატვრული ხელნაწერი. ს. კაკაბაძის განმარტებით, “ამ დროით შეიძლება დათარიღდეს ეს იშვიათი ძეგლი ქართული კალიგრაფიისა და ქართული საერო მხატვრობისა” (ს. კაკაბაძე, 1924 გვ. 158).

აღნიშნული სიგელი გამოავლინა, გამოკვლევა, შენიშვნები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გ. ჩაჩანიძემ.

46. ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979 წ.

ნაშრომის როლისა და მნიშვნელობის შესახებ წინამდებარე წიგნის შესავალში აღნიშნულია: “ოსმალურ სარეესტრო წიგნებს, დავთრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საკუთრივ ოსმალეთის, ისე მეზობელი ქვეყნების ისტორიის, ეკონომიკის, კულტურისა და ისტორიული გეოგრაფიის მრავალი საკითხის შესწავლისათვის...” (ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი, 1979, გვ. 9). თურქულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ასეთი დავთარი გახლავთ “ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი”. ის მოიცავს 1694-1732 წწ. მასში დაცული მასალა საუკეთესო წყაროა XVII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს მ. სვანიძემ და ც. აბულაძემ.

47. სეხნია ჩხეიძე (XVII-XVIII სს.), მეფეთა ცხოვრება. კრებულში “საქართველოს ცხოვრება”, წიგნი II, ტფ., 1913 წ.

სეხნია ჩხეიძის თხზულება მოიცავს 1653-1733 წწ. საქართველოს ისტორიას, როსტომის მეფობის ბოლო წლებიდან თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე. “მეფეთა ცხოვრებაში” აღწერილი ამბები საინტერესო და სანდოა, რადგან ავტორი არაერთგზის ხლებია ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ირანში. ავტორი უმეტესწილად თანამონაწილე და თვითმხილველი იყო იმ ამბებისა, რომელსაც აშუქებს. ამავე დროს, როგორც სამეფო კართან დაახლოებულ პირს, მას ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა დოკუმენტზე აღსანიშნავია, რომ ნაშრომი გამოირჩევა ფაქტებისა და თარიღების სიუხვით. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, “ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე შეადგენს სეხნია ჩხეიძის ისტორიის ღირსებას” (ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 360).

კრებულს წინასიტყვაობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ზ. ჭიჭინაძემ.

48. შ. ჩხეტია, გლეხთა აჯანყება დაღესტანში 1871 წელს, საისტორიო მოამბე, ნაკ. II, თბ., 1946 წ.

წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებულია 8 დოკუმენტი. მასალა წარმოადგენს დაღესტნის ოლქის ჯარების სარდლის გენერალ ლ. მელიქიშვილის მიერ 1871 წ. დაღესტანში მომხდარი აჯანყების ჩასაქრობად გატარებული ღონისძიებების ანგარიშს (დებეშები, პატაკები, მოხსენებები, წერილები) გაგზავნილ ზემდგომი ორგანოებისადმი. შ. ჩხეტიას მოსაზრებით: “ეს აჯანყება, მიუხედავად

იმისა, რომ მას საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა, ჯერ სრულიად შეუსწავლელია...ამავე დროს ეს აჯანყება მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა, როგორც დაღესტნის ისტორიის, ისე საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც” (შ. ჩხეტი, 1871, გვ. 363).

გამოქვეყნებული მასალა ოფიციალურია და რუსულ ენაზეა შედგენილი. მასში ტენდენციურადაა გაშუქებული მომხდარი მოვლენა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე დოკუმენტები დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევართ ამ აჯანყების ისტორიის სრულყოფილად შესწავლაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გენერალი ლ. მელიქიშვილი, წარმოდგენილი მასალის მიხედვით, 1871 წელს უკვე დანიშნულია დაღესტნის ოლქის ჯარების სარდლად. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით კი ის აღნიშნულ თანამდებობაზე დაუნიშნავთ 1877 წ. (ქსე ტ. 6, 19 გვ. 558-559), რაც ვფიქრობთ შეცდომაა.

წარმოდგენილ მასალას გამოკვლევა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა შ. ჩხეტიამ.

49. შ. ჩხეტი, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. საისტორიო მოამბე, ტ. III, თბ., 1947 წ.

გამოქვეყნებული მასალა არა მარტო დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობასთან დაკავშირებულ ამბებს შეეხება, არამედ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრინდელ წლებსაც. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღდება 1880 წ. 17 ნოემბრით, ხოლო ბოლო — 1922 წლით. სულ გამოქვეყნებულია 152 დოკუმენტი. მასში დაცულია ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა და თანამდებობის პირთა მიღებული და გაგზავნილი წერილები და მოგონებები. მასალები საინტერესო ინფორმაციის შემცველია დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტების ნაწილი გამოქვეყნებამდე სრულიად უცნობი იყო მკვლევართათვის.

მასალები მოიძია, გამოკვლევა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა შ. ჩხეტიამ.

50. შ. ჩხეტი, მრეწველობა კავკასიაში XIX ს. დასასრულს, საისტორიო მოამბე, ტ. I, თბ., 1945 წ.

წინამდებარე კრებულში ქვეყნდება საინტერესო მასალა, რომელიც, პროფ. შ. ჩხეტიას განმარტებით, წარმოადგენს ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექტორის ა. გნედიჩის მოხსენებას. მასში მოცემულია 1900 წ. კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში მრეწველობის არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად მოპოვებული ცნობების მიმოხილვა. ასევე, შეტანილია ცნობები სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის შესახებაც. ა. გნედიჩის მოხსენებაში განხილული და შეჯამებულია მრეწველობის განვითარების არსებული დონე 12 ადმინისტრაციული ერთეულის (შავი ზღვის, სტავროპოლის, ბაქოს, ერევნის, ელისავეტპოლის, თბილისის, ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმის, ყუბანის, თერგის, დაღესტნის, ყარსისა და ზაქათალას ოლქების) მიხედვით.

მოხსენებას თან ერთვის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ზოგადი სტატისტიკური ცნობები: ტერიტორიული სივრცის, მოსახლეობის, მრეწველობის

და სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების, ადმინისტრაციული ერთეულის მაზრებად დაყოფის შესახებ. თანდართულ ცხრილებში ნაჩვენებია მუშათა და წარმოებათა რიცხვი სახეობათა მიხედვით, პროდუქციის მოცულობა და სხვა.

გამოქვეყნებული დოკუმენტი საინტერესო ინფორმაციას იძლევა XIX ს. მიწურულის კავკასიის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის.

მასალას წინასიტყვაობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა შ. ჩხეტიამ 51. შ. ჩხეტია, წილკნის სარგოს გარიგების წიგნი 1669 წლისა. საისტორიო მოამბე, წიგნი II, თბ., 1925 წ.

წინამდებარე დოკუმენტში დაცულია საყურადღებო ცნობები საქართველოს საეკლესიო წესწყობილებისა და იერარქიის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი დაწერილია კათალიკოს დომენტი II-ის (1660-1675 წწ.) განკარგულებით წილკნელი ეპისკოპოსის რომანოზ ნასიძის მიერ.

აღნიშნული საბუთი ნაკლულოვანი სახით პირველად 1891 წ. გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა, ხოლო წინამდებარე ვარიანტი სრული სახით — შ. ჩხეტიამ 1925 წ.

52. ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუ შრომები, 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VI, თბ., 1967 წ.

დიდი ქართველი მეფის დავით IV ბაგრატიონის (აღმაშენებლის) შესახებ უამრავი ისტორიკოსის (ქართველის თუ არაქართველის, თანამედროვე თუ შემდგომი ეპოქის) არაერთი ცნობაა ჩვენამდე მოღწეული. ყველა მათგანში დაახლოებით ერთგვაროვანია მეფის დახასიათება: სულიერი და ფიზიკური ძლიერება, წიგნიერება, ინტელექტუალობა, სახელმწიფოს მართვის უნარი, რეფორმატორული საქმიანობა, წარმატებული მოღვაწეობა პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ადმინისტრაციულ, სამხედრო და საკანონმდებლო საქმიანობაში. ხაზგასმითაა აღნიშნული მეფის დამოკიდებულება სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმართ. უფრო კარგად, ასეთი დამოკიდებულება ახლად განთავისუფლებული (1122 წ.) ქ. თბილისის მაგალითზე ჩანდა, რომელიც დავით აღმაშენებელმა 1123 წ. საქართველოს დედაქალაქად გამოაცხადა.

აღნიშნულ წყაროთა შორის ერთ-ერთი გახლავთ XIII ს. არაბულენოვანი თურქი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, რომელიც კარგად ასახავს მეფის ტოლერანტულ და რჯულშემწყნარებლურ პოლიტიკას სხვა ეროვნებისა და მრწამსის ადამიანების მიმართ.

ალ-ჯაუზის მრავალტომიანი შრომის “ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიის მიხედვით” მერვე ტომიდან ამოღებული ტექსტის ქართული თარგმანი შეასრულა, გამოკვლევა, შენიშვნები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ოთარ ცქიტიშვილმა.

53. ცხოვრება პეტრე იბერიისა, თბ., 1988 წ.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დიდი ქართველი მოაზროვნისა და სასულიერო მოღვაწის პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. დღეისათვის ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა პეტრე იბერიელის როგორც არეოპაგიტული ნაშრომების

ავტორის, "პეტრე იბერის ცხოვრების" ავტორის და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით (შ. ნუცუბიძე, 1975, გვ. 124-146, 310-345, 456-472; 1956; გვ. 139-177; ნ. მარი, 1896; აკ. გაწერილია, 1977, გვ. 139-188, 202-211, 281-309, 1970, გვ. 134-169; 1971, გვ. 141-167; ს. ყაუხჩიშვილი, 1963, გვ. 103-119; 1948, გვ. 87-90; 1961, გვ. 200; 1965, გვ. 245-299; 1936, გვ. 1-22; კ. კეკელიძე, 1956; გვ. 421-431; 1957, გვ. 43-46; 1960, გვ. 232-238; ივ. ჯავახიშვილი, 1960, გვ. 214-221; ივ. ლოლაშვილი, 1972, გვ. 76-87, 170-176; 1988, გვ. 9-76; მელიქსეთ-ბეგი, 1949, გვ. 140; 1941, გვ. 57, 72-76; სიდოროვა, 1953, გვ. 341; ე. ჰონიგმანი, 1955; კ. ცეგლედი, 1969, გვ. 7; ე. შვარცი 1912; რ. რააბე, 1895 (ბოლო ორ ავტორს ვიმოწმებთ ს. ყაუხჩიშვილის და აკ. გაწერელის შრომებზე დაყრდნობით (იხ. ზემოდ დასახელებული ლიტერატურა).

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ "ცხოვრება პეტრე იბერისა" დაუწერია იოანე რუფუსს ბერძნულ ენაზე. შემდეგში ის უთარგმნიათ ასურულად, რომლის გერმანული თარგმანი 1895 წ. გამოაქვეყნა რ. რააბემ. აღნიშნული წიგნის ერთი ნაწილის ქართული თარგმანი პირველად გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა 1965 წ. "გეორგიკის" II ტ. (გვ. 245-289). წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი რ. რააბეს მიერ გამოქვეყნებული "პეტრეს ცხოვრების" სრული ტექსტის ქართული ვარიანტი გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ივ. ლოლაშვილმა.

იხ., ასევე, "ცხოვრება და მოქალაქეობა ფშიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა" (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 1967 წ.).

54. კატერინო ძენო, მოგზაურობის კომენტარები (შენიშვნები რაინდ ბატონ კატერინო ძენოს სპარსეთში მოგზაურობისა და სპარსელთა ომების შესახებ), "XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ", თბ., 1981 წ.

XV ს. მეორე ნახევრისა და XVI ს. დასაწყისის პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი კატერინო ძენო ვენეციის რესპუბლიკამ 1471 წ. ელჩად გააგზავნა აყ-ყონლუს (თეთრბატკნიანთა) სახელმწიფოს მბრძანებელთან უზუნ ჰასანთან (1454-1478 წწ.), რომელიც ომს აწარმოებდა ოსმალეთთან. ნახული და მიღებული შთაბეჭდილებები მან გადმოსცა "მოგზაურობის კომენტარებში", რომელიც შეიმდგა მისმა შვილიშვილმა ნიკოლო ძენომ წიგნად გამოსცა სათაურით "მოგზაურობა" სპარსეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ცნობები, როგორც იმ ამბების თანამედროვისა და თვითმხილველის, სანდო წყაროა XV ს. მეორე ნახევრის "თეთრბატკნიანთა" სახელმწიფოს და საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად.

"მოგზაურობის კომენტარები" იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა.

55. ი. ჭეიშვილი, მასალები სამეგრელოს 1857 წ. აჯანყებაში მონაწილეთა შესახებ. საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925 წ.

წინამდებარე კრებულის აღნიშნულ ნაკვეთში შეტანილია 39 დოკუმენტი (მიმართვები, პატაკები), რომლებიც შედგენილია სხვადასხვა სამსახურების მიერ (ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, კავკასიის მეფისნაცვალი, სამეგრელოს მმართველი, ობილისის სამხედრო გუბერნატორი, იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო). დოკუმენტებს შორის არის საექიმო კომისიის ოქმის ბირი

არხანგელსკში გადასახლებული უტუ მიქავას ჯანმრთელობისა და აჯანყებაში მონაწილეთა თხოვნა ხელისუფლებისადმი მათი სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ზემოდ დასახელებული დოკუმენტები მოიცავს 1857-1868 წწ.

მასალები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ი. ჭეიშვილმა.

56. თ. ხაყოშია, მელიქისედეკ ყანჩაელის 1658 წ. საბუთი. ქართული წყაროთმცოდნეობა I, თბ., 1965 წ.

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის მელიქისედეკ ყანჩაელის მიერ 1658 წ. ტექსტში დაცული ცნობის თანახმად, 1658 წ. შიომღვიმის მონასტერი გაუთავისუფლებიან სახელმწიფო გადასახადისაგან და მის ნაცვლად მონასტრის წინამძღვარს დაუწესებია წელიწადში 4 ალაპის გადახდა. გარდა აღნიშნული ცნობისა, დოკუმენტში დაცული ინფორმაცია ზოგადად წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს XVII ს. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესწავლისას.

დოკუმენტს გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო თ. ხაყოშიამ.

57. ო. ხერხეულიძე (XVIII ს. II ნახევარი, XIX ს. დასაწყისი — გარდაიცვალა 1805 წ.), მეფობა ირაკლი მეორისა (მეფის თეიმურაზის ძისა), თბ., 1989 წ. (იხ., ასევე, “საქართველოს ცხოვრება”, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913 წ., წიგნი II).

XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის წინამდებარე თხზულება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროს აღნიშნული საუკუნის საქართველოს ისტორიის კვლევისას. ნაშრომში მოყვანილი ფაქტები და თარიღები სანდოა, რადგან ავტორი თვითმხილველი და ზოგჯერ თანამონაწილეა იმ ამბებისა, რომელსაც აგვიწერს. გარდა ამისა, მას ერეკლე II-ის სასახლის კარზე საკმაოდ მაღალი თანამდებობები (ლაშქარნივისი - სამხედრო კანცელარიის მმართველი, მდივანბეგი - მოსამართლე) ეკავა. ამდენად, მას ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ დოკუმენტზე.

ო. ხერხეულიძის თხზულება მოიცავს 1722-1787 წწ. საქართველოს ისტორიას. ნაშრომის ბოლოს ავტორი ალა მაჰმად-ხანის შემოსევისთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მას ამის შესახებ არაფერი დაუწერია “ვინაითგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან” (ო. ხერხეულიძე, თბ., 1989, გვ. 75). მასში მან მიანიშნა სამეფო ოჯახის წევრებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე.

ნაშრომს დანართის სახით თან ერთვის “მეფობა ირაკლი მეორისას” თეიმურაზ ბაგრატიონისეული (გიორგი XII-ის ძე) ვერსია. მასში აღნიშნულია, რომ ის გადმოწერილია ომან მდივნის აღწერილობიდან. თეიმურაზი იქვე აღნიშნავს, რომ ნაშრომს “მრავალი ამბავი აკლია... სრულვყავ აქომამდე ისტორია ესე მე სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ” (ო. ხერხეულიძე, 1989, გვ. 103).

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა.

58. ს. ჭიქია, XVIII ს. თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები. ტ. 91 აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960 წ.

დოკუმენტი წარმოადგენს სულთან ოსმან III-ის (1754-1757 წწ.) მიერ 1756 წ. 30 დეკემბერს გაცემულ საბუთს, რომლის ძალით წყაროში დასახელებული

პუნქტები: ალთუნ-კალას (ოქროს ციხე) რაბათი, სოფლები: შოყა, ბელნარა, ჭულე, სათესველი სოფ. კიკიბოსთან, ქორთა, ხარჯამი, გორა, ვალისონი, სუმუხთუბანი, ზემო მოხე ქვემო მონეოურთო სამემკვიდრეოდ უბოძებიათ ვინმე სულეიმან ეს ადისათვის. აღნიშნული საბუთი 1758 წ. განუახლებია სულთან მუსტაფა აჰმედის ძეს (1757-1774 წწ.). დოკუმენტში დაცული ცნობები საინტერესო ინფორმაციას იძლევა სამხრეთ საქართველოს სოციალური და საქართველო-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობის შესასწავლად.

დოკუმენტი ქართულად თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები დაურთო და დედანთან ერთად გამოსცა ს. ჯიქიამ.

59. ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 116 თბ., 1965 წ.

დოკუმენტი წარმოადგენს სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) მიერ 1728 წ. 3 ივლისს გაცემულ წყალობის სიგელს, რომლის ძალითაც გივი ამილახვარს სამემკვიდრეოდ ებოძა სოფ. ცხინვალი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დედნიდან გადაღებულ პირს, რომლის სისწორე დამოწმებულია თბილისის ყადის მეჰმედ ტულის მიერ.

სიგელი თურქულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ.

60. ს. ჯიქია, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971 წ.

ფირმანი შედგენილია 1723 წ. მასში აღნიშნულია, რომ სულთანმა აჰმედ III-მ ქართლის ბეგლარბეგობა, ასევე თბილისის ვილაიეთი იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით უბოძა ვახტანგ VI-ის შვილს ბაქარ ბატონიშვილს.

ფირმანი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ.

61. Chronikon Paschale (პასქალური ქრონიკა). "გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტ. IV, ნაკვეთი I (იხ. "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი I, თბ., 1941 წ.

წინამდებარე თხზულებაში გადმოცემული ამბები მოიცავს ადამის გაჩენიდან 629 წლამდე პერიოდს. გამოკვლევების მიხედვით, "პასქალური ქრონიკის" ავტორი ირაკლი კეისრის (610-641 წწ.) თანამედროვე ყოფილა. გადმოცემული ამბების თხრობისას ავტორს გამოყენებული აქვს აღრინდელი წყაროები (სექსტუს აულუსანე აფრიკანუსის "ქრონიკა", ევსევი კესარიელის "საეკლესიო ისტორია", იოანე მალალას "ქრონოგრაფია"). ამდენად, ნაშრომი VII საუკუნემდე კომპილაციური ხასიათისაა. VII ს. დასაწყისიდან კი ის წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროს, რადგან ავტორი თვითმხილველი იყო იმ ამბებისა, რომელსაც აგვიწერს.

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა.

დამოწმებული ლიტერატურა

თეიმურაზ ბაგრატიონი, 1989 - თეიმურაზ ბაგრატიონი, “ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა”, თბ., 1989.

აღ. ბარამიძე, ლ. ასათიანი, 1934 - აღ. ბარამიძე, ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, ჟურნალი “მნათობი”, თბ., N 7-8, 1934.

გ. ბახტაძე, 1959 - გ. ბახტაძე, დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებანი, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV, თბ., 1959.

აკ. გაწერილია, 1977 - აკ. გაწერილია, თხზ. ტ. I, თბ., 1977.

აკ. გაწერილია, 1970 - აკ. გაწერილია, პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები, ჟურნალი “მნათობი”, N3, თბ., 1970.

აკ. გაწერილია, 1971 - აკ. გაწერილია, ისევ პეტრე იბერიელის ქართული “ცხოვრების” გამო. ჟურნალი “მნათობი”, N 8, 1971.

დავით ბატონიშვილი, 1941 - დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941.

ი. დოლიძე, 1965 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.

ი. დოლიძე, 1972 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972.

მ. დუმბაძე, 1973 - მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე (XVIII ს.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

ს. კაკაბაძე, 1924 - ს. კაკაბაძე, ვეფხის ტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, საისტორიო მოამბე, წიგ. II, თბ., 1924.

ს. კაკაბაძე, 1925 - ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925.

მ. კეკელია, 1970 - მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ., I, 1970.

კ. კეკელიძე, 1960 - კ. კეკელიძე, დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში, “ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან”, ტ. VI, თბ., 1960.

კ. კეკელიძე, 1956 - К.Кекелидзе, Проф. Э. Нонигман о Петре Ибере и сочинениях Пс.-Дионисия ареопагита, თსუ შრ., ტ. 63, თბ., 1956.

ბ. კუდავა, 2004 - ბ. კუდავა, “თ. ჟორდანიას, ქრონიკები”, ტ. I, თბ., 2004.

ივ. ლოლაშვილი, 1972 - ივ. ლოლაშვილი, არეოპაგეტის პრობლემები, 1972.

ივ. ლოლაშვილი, 1988 - ივ. ლოლაშვილი, “ცხოვრება პეტრე იბერისა”, თბ., 1988.

ე. მამისთვალიშვილი, 1981 - ე. მამისთვალიშვილი, XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981.

ნ. მარი, 1986 - Н. Марр, Житие Петра Ивера, царевича-подвижника и епископа маиумского V века. Грузинский подлинник издал, перевел и предисловием снабдил Н. марр. Православный полестинский сборник, т. XVI, Вып. II, С.-Петербург, 1896.

- მელიქსეთ-ბეგი, 1949** - Меликсет-Бек. Тайна Псевдо-Дионисия Ареопажита, Византийски временник II, 1949.
- მელიქსეთ-ბეგი, 1941** - მელიქსეთ-ბეგი, სომხურ "ეპისტოლოგთა წიგნის" ახალი ვარიანტი და პეტრე იბერის მოწაფე იოანე მაიმუმელი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B, 1941.
- მელიქსეთ-ბეგი, 1945** - მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის პავლე I სიგელები მხარგრძელთაღმი, საისტორიო მოამბე, ნაკ. I, 1945.
- ლ. მიქიაშვილი, 1983** - ლ. მიქიაშვილი, "თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია," თბ., 1983.
- შ. ნუცუბიძე, 1975** - შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, შრომები, ტ. V, თბ., 1975.
- შ. ნუცუბიძე, 1956** - შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფია და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისება, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
- რ. რააბე, 1895** - Rihard Raabe, Petrus der Iberer. Leipzig 1895.
- ნ. სიდოროვა, 1953** - Н. Сидорова, Очерки по истории ранней городской культуры во Франции. М. 1953.
- ბ. სილაგაძე, 1960** - ბ. სილაგაძე, არაბი მწერლების ცნობები რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 764 წელს, ქართული წყაროთმცოდნეობა, V, 1978.
- ბ. სილაგაძე, 1960** - ბ. სილაგაძე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს. 20-იანი წწ.), თსუ შრ. ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობა, სერია II, თბ. 1960.
- ი. ტაბაღუა, 1965** - ი. ტაბაღუა, ს.-ს. ორბელიანის ევროპაში ყოფნასთან დაკავშირებული ერთი საბუთის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებული I, თბ., 1965.
- გ. ფუთურიძე, 1960** - გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, თსუ შრ. ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობა, სერია II, თბ., 1960.
- ვლ. ფუთურიძე, 1960** - ვლ. ფუთურიძე, ერევნის ხანების წერილები ქართლ-კახეთის მეფეებისადმი (XVIII ს. II ნახ.), თსუ შრ. ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობა. სერია, თბ., 1960.
- ქსე, 1984** - ქსე, ტ. 7, თბ., 1984 .
- თ. ყაუხჩიშვილი, 1967** - თ. ყაუხჩიშვილი, "ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", I, თბ., 1967.
- თ. ყაუხჩიშვილი, 1976** - თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძვ. ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
- ს. ყაუხჩიშვილი, 1963** - ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1963.
- ს. ყაუხჩიშვილი, 1936** - ს. ყაუხჩიშვილი, ზაქარია რექტორი, "გეორგიკა", ტ. III, თბ., 1936 .
- ს. ყაუხჩიშვილი, 1948** - ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1948.

- ს. ყაუხჩიშვილი, 1965** - ს. ყაუხჩიშვილი, მასალები პეტრე იბერის ბიოგრაფიისათვის, "გეორგია", ტ. II, თბ., 1965.
- ს. ყაუხჩიშვილი, 1955** - ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
- ნ. შენგელია, 1976** - ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსი მუნეჯიმ ბაში გიორგი სააკაძის შესახებ, თსუ შრ., ტ. 180, თბ., 1976.
- ნ. შენგელია, 1968** - ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.
- ნ. შენგელია, 1973** - ნ. შენგელია, სოლაქ ზადე საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდ. IV, თბ., 1973.
- ი. რუფუსი, 1912** - Iohanes Rufus, ein monophysitischer Schriftsteller. E. Schwartc. Heidelberg, 1912.
- შ. ჩხეტია, 1946** - შ. ჩხეტია, მასალები საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისათვის. გლენტა აჯანყება დაღესტანში 1871 წელს, საისტორიო მოამბე II, თბ., 1946.
- კ. ცეგლედი, 1969** - კ. ცეგლედი, პეტრე იბერის სირიული ცხოვრების გამო, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1969.
- ო. ხერხეულიძე, 1989** - ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989 .
- ივ. ჯავახიშვილი, 1960** - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
- ივ. ჯავახიშვილი, 1977** - ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თბ., ტ. VIII, 1977.
- მ. ჯანაშვილი, 1905** - მ. ჯანაშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმებისა 1744-1840 წწ., ტფ., 1905.
- ლ. ჯანაშია, 1962** - ლ. ჯანაშია, ლაზარ პარფეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
- ე. ჰონიგმანი, 1955** - E. Хонигман, Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, Чбг иа., в.59, ЧС., 1955.

EMZAR TCHANTURIDZE, SALOME TCHANTURIDZE**RESOURCES PROTECTED IN I.I.A TCHAVTCHAVADZE
SCIENTIFIC LIBRARY ABOUT THE HISTORY OF GEORGIA**

Resources chosen by us for this collection refer to political, social, economical, financial, law issues. We have made remarks many times about the viewpoints sounded by researchers on the theme of the value of the information protected in the library, but here we want to emphasize the fact, that one of the parts mentioned in certain works are considered to be lost today. There are the sources, the statements stored there is no longer mentioned anywhere or the same information is given with different interpretation.

Let us remark that on the territory of Georgia main part of documents protected in different state offices was moved to north Caucasus in 1915 due to the Emperor's legislation decision. Unique materials were almost ruined in 1919-1920 during the civil war in Russia. Thus survived documents are very important while making research of Georgian history.

In "Tselitsdeuli" VI we launch the work of 23 different authors or the materials taken from the works. Also archive materials published in collections of different titles ("Historical story-teller", "Georgian source science", "TSU works", "Materials for Georgia and history of Caucasus", "Georgica", "Chronicles" by T. Jordania) which thoroughly combines 5680 documents. It also includes foreign language (Turkish-Ottoman, Persian, Russian) documents.

რამაზ ხაჭაპურიძე

ქართული და ებრაული ნაწიონალური სამზარეულო

(აწეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური
დიალექტოლოგიის მიმართულების ეთნოლოგიური მასალების
მიხედვით; შეპირისპირებითი ანალიზი)

კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესწავლას. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ხალხური აგრარული კალენდრის დღეობა-დღესასწაულები, ქართული ნაციონალური კერძები, თავისი სამეურნეო შელოცვებით, რომელთა თავდაპირველი არსისა და მნიშვნელობის გამოვლენას შეუძლია სიცხადის შეტანა მათ თანდათანობით ტრანსფორმაციასა თუ რელიგიური აზროვნების საფეხურების დადგენაში.

ქართული სამზარეულო, კულინარიის სტილი ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. საგრძნობი განსხვავებაა ქვეყნის რეგიონულ სამზარეულოებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში ხორცის, ღვინის, პურეულისა და ცხოველური ცხიმების სიჭარბე შეინიშნება, დასავლეთ საქართველოს სამზარეულო კი ნიგვზითა და წიწაკით შეზავებული საწებლების, მხალეულის და რძის პროდუქტების კერძებით გამოირჩევა. საქართველო ღვინის სამშობლოა, აქ ვაზი თითქმის ყველგან ხარობს, ქართულ ღვინოს ქვევრში აყენებენ. განვიხილოთ საქართველოს კუთხეები, თავისი ტრადიციული კერძებითა და სამზარეულოთი და ჩვენი მოძმე ხალხის – ებრაელთა სამზარეულო.

კახეთი

კახეთი განთქმულია ვენახებითა და შესანიშნავი ღვინით, კახური სამზარეულოს ტრადიციული კერძებია: მწვადი, ხაშლამა, ჩაქაფული, ჩიხირთმა და სხვ. კახური მწვადი ვაზის ლერწმე იწვება, რაც მწვადს განუმეორებელ გემოს ანიჭებს. ყურძნის წვენის ბადაგისაგან ამზადებენ ტრადიციულ ტკბილეულს: ჩურჩხელასა და თათარას (ფელამუში). კახეთში ცხვება მოგრძო ფორმის შოთის პური.

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახურ დელიკატესად ითვლება აპონტი - დამარილებული და გამომშრალი ხორცი. ტრადიციული კერძია თათარბერაკი - წვრილად დაჭრილი ცომის მოხარშული ნაჭრები, რომელსაც ერბოში მოშუშულ ხახვთან ერთად მიირთმევენ. თუთის ნაყოფისგან ამზადებენ თაფლს სახელად - ბაქმაზი. მესხური სამზარეულოს სიამაყეა ტენილი ყველი. განვითარებულია, აგრეთვე, მეფუტკრეობა.

აქ არის ხორბლის დიდი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი ცომეული საკვები: კაკალა, სომინი, ჩაწეკილი პური, ბაზლაგა ხშიადი და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ წარმოშობით ფრანგი კათოლიკეები. ისინი მიირთმევენ ლოკოკინებსაც, რომელსაც დეკემბრის თვიდან აგროვებენ. აქვე ამზადებენ გოზინაყს და, თაფლის ნაცვლად, მასში თუთის თაფლს - ბაქმაზს იყენებენ.

ქართლი

ქართლში, განვითარებულია მეხილეობა, დიდი წილი მოდის ვაშლსა და ატამზე. განვითარებულია მივენახეობა. თუმცა ქართლის სამზარეულო მანც განთქმულია წვნიანებით. აქაურ ტრადიციულ შეჭამადებს მიეკუთვნება შინდის, დოსადღოლოს შეჭამანდი, პურის ხარჩო. აქ, ისევე როგორც კახეთში, გამოიყენება ნაირგვარი მწვანილი და ბოსტნეული. განსაკუთრებით პოპულარულია: ლობიო, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ბოლოკი, ნიორი, წიწმატი, ქინძი, ოხრახუში და ნიახური. ქართლი განთქმულია, აგრეთვე, შესანიშნავი მწნილეულობით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯონჯოლის მწნილი.

მთიულეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში, კერძოდ თუშეთში, პოპულარული და ტრადიციული კერძებია: ხინკალი, გორდილა (წყალში მოხარშული ცომი), ყალი (გამოყვანილი ხორცი), ყაურმა, კონტორი (ხაჭოს გულსართიანი ხაჭაპური). თუშური სამზარეულოს სიამაყეა გუდისყველი. ფშავ-ხევსურეთში ხინკალი თუმცა შეიძლება დამზადდეს როგორც ხორციით, აგრეთვე ხაჭოთი და კარტოფილითაც. მთიანეთის კიდევ ერთი ტრადიციული კერძია ხაჭოერბო, რომელსაც ძოგანში გამომშრალი, დავარგებული ხაჭოს გუნდებისგან აკეთებენ. კიდევ ერთი კერძი - ხავიწი მზადდება ერბოს, ფქვილისა და შაქრისგან, იგი ტკბილი ქადის გულსართადაც გამოიყენება. განთქმულია აქაური ლუდი და არაყი - ყიპიტაური.

იმერეთი

იმერული სამზარეულოს მშვენებაა ჭყინტი ყველი და ხაჭაპური. მჭადს და ხაჭაპურს აქ, როგორც წესი, კეცზე აცხობენ. იკვებებიან მხალეულითა და ფრინველის ხორციით. მხალეულს იმერეთში ნიგვზითა და ძმრით კმაზავენ, შემწვარ ხორციულს კი ნიორწყალში ან საწებელში აწყობენ. აქაურების სიამაყეა ცხოველების შიგნეულობისაგან დამზადებული კერძი - კუჭმაჭი. იმერეთში ტრადიციულად ამზადებენ სოკოს კერძებს; გამორჩეულია ქამა და ნიყვის სოკოსაგან დამზადებული საკვები და მანჭკვალას კონსერვი, რომელიც დამარილებული ინახება რამდენიმე ზამთარს. აქაურების უსაყვარლესი საჭმელია მოზელილი ლობიო, რომელსაც ხშირად ნიგვზით ან კვაწარახით ამზადებენ.

სვანეთი

სვანურ სამზარეულოში, მეგრულის მსგავსად, ტრადიციულია სულგუნი. ტრადიციულია, აგრეთვე, ჭვიშტარი, რომელიც სიმინდის ფქვილისა და სულგუნის ნაზავისაგან მომზადებული კვერია და კუბდარი - პურის ცომში ჩაშუშული, წვრილად დაკებილი ხორცი. აქ მზადდება თაშმიჯაბი, რომელიც ყველით გადაზეული კარტოფილის პიურეა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სვანეთის სიამაყე — სვანური მარილი — სუფრის მარილით, წიწაკითა და სხვადასხვა სურნელოვანი მცენარით შეზავებული სანელებელი, რომელიც კერძებს განუმეორებელ გემოს მატებს.

რაჭა, ლეჩხუმი

რაჭული სამზარეულოს ცნობილი კერძებია - შქმერული, ლობიოს შეჭამანდი და ლობიანი, რომელიც ლორით შეზავებული ლობიოს გულსართით მზადდება. რაჭველები ლობიანებს პურის მსგავსად თონეში აცხობენ. რაჭველები

განსაკუთრებულად ამზადებენ ღორის ღორს, რომლის მომზადებასაც კვირები სჭირდება.

აჭარა

აჭარული სამზარეულო ყველაზე მრავალფეროვანია, იგი ფერთა მთელი პალიტრაა. აქ ერთმანეთშია შერწყმული მთის ხისტი და ზღვისპირეთის ნაზი არომატები. აჭარული სამზარეულო განიცდის კულინარიის კულტურულ ზეგავლენას. აჭარული ტკბილეულებია: ბაქლავა და შაქარლამა. მთიანი აჭარის სამზარეულოში რძის პროდუქტები სჭარბობს, იგი უფრო ცხიმოვანი და მძიმეა. ცნობილია აჭარული ზღვისპირეთის: უცხო სუნელი, ხმელი ქინძი და წიწკა. თუმცა ყველაზე პოპულარული აჭარული კერძებია: ბორანო (კარაქში ჩამდნარი ყველი), ჩირბული (კვერცხითა და ნიგვზით მომზადებული საუზმე) და სინორი (ნადუღითა და უფუარი ცომის ხმელი ფირფიტებით მომზადებული კერძი).

სამეგრელო

მეგრული სამზარეულოს მშვენიერებაა - სულგუნი, რომელიც სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად გამოიყენება. სამეგრელო გამორჩეულია ისეთი უმშვენიერესი კერძებით, როგორცაა: ღომი (სიმინდის ღერღილის სქელი ფაფა), ელარჯი (ღომში ჩაზელილი სულგუნი), გებჯალია (პიტნით შეზავებული ყველის რულეტი), ჭურჯანი (შეზავებული შიგნული). მეგრელები ცნობილი არიან (დასავლეთი საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად) ცხარე კერძების მომზადებით; გამორჩეულია მეგრული აჯიკა და საწებელი (ტყემალი). ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხაჭაპურის ტიპია, აჭარულ და იმერულ ხაჭაპურთან ერთად, მეგრულიც.

აფხაზეთი

მეგრულის მსგავსად, აფხაზური სამზარეულოც მდიდარია ნაირგვარი საწებლით, ნიგვზითა და წიწკით შეზავებული კერძებით. აფხაზეთში ყოველდღიური საჭმელია აბისტა - სიმინდის ფქვილის ფაფა, რომელსაც ლობიოსთან, ყველთან და ხორცთან ერთად მიირთმევენ. აფხაზური ტრადიციული კერძებია: აშგაფანი (გადაზელილი ყველი), არიცმგალი (ნიგვზიანი მჭადი), აყურცა (ლობიოს შეჭამანდი) და სხვა.

გურია

გურულ სამზარეულოში, იმერულის მსგავსად, აქტუალურია ფრინველის ხორცის კერძები და სხვადასხვა მცენარეულობისაგან მომზადებული მხალეულობა. აგრეთვე, სიმინდის ფქვილი და ტრადიციული მჭადი. მჭადისა და თევზის შესაწავად გურულები კეცის ძირში ვაზის ან კაკლის ფოთლებს აფენენ, რაც კერძებს განსაკუთრებულ არომატს აძლევს. კერძების შესაზავებლად ფართოდ გამოიყენება ნიგოზი და მეტწილად თხილი. საყოველთაოდაა ცნობილი გურული ღვეზელი - ნახევარმთვარის ფორმის ხაჭაპური, რომელშიც წინასწარ მოხარშული და შუაზე გაჭრილი კვერცხი დევს. გურულები ამზადებენ, აგრეთვე, ჯანჯუნას - თხილის გულსართიან ჩურჩხელას.

“უნდა აღინიშნოს, რომ, ქართულის გარდა, მოგვიანო ხანის სხვა ორთოდოქსალურ ტრადიციებშიც (იგულისხმება სამხრეთ სლავური ორთოდოქსია: რუსული, სერბული, ბულგარული, აგრეთვე, სხვა ბალკანური

ტრადიციები) ილია წინასწარმეტყველი გამოდის, უპირველეს ყოვლისა, როგორც პერსონაჟი, რომელიც ჭექა-ქუხილთან, წვიმასთან და, აგრეთვე, ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული (იხ. В.Топоров, В.В.Иванов; 1974). წმ. ილიას კავშირი სეტყვასა და წვიმასთან ძველი აღთქმის ტექსტებშიცაა მოცემული (III მეფეთა, 18, 43-46).

ებრაელები სემიტური მოდემის უძველესი ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ამ ერის ფორმირებასა და ისტორიაში გადამწყვეტი როლი მონოთეისტურმა რელიგიამ — იუდაიზმმა შეასრულა. ებრაელები სახლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ჩამოყალიბდნენ არიან მათი მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო ისრაელი, რომლის ოფიციალური ენაა ივრითი, რაც ებრაულ ენას ნიშნავს.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს. მათი ძირითადი რაოდენობა წარმოდგენილია თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავში, ახალციხეში. სოფლები კი ებრაელებისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: 1. ქართველი ებრაელები (სეფარადები, დაახლ. 80%) და 2. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები).

თავის მხრივ საინტერესოა, ოცდაექვსაუკუნოვანი ისტორიის “ეთნიკური მეზობლების“ - ებრაული ნაციონალური სამზარეულო, რომელიც უძველესია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები საუკუნეების განმავლობაში გაფანტულნი იყვნენ თითქმის მთელს დედამიწაზე, მათ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი ადათ-წესები, რაც თავისთავად სამზარეულოშიც აისახა.

ებრაული სამზარეულო

ებრაული სამზარეულო განსაზღვრავს ებრაელთა პურობის ხასიათს. მაგრამ როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა იყოს ებრაელთა პურობა, მას ყოველთვის ახლავს სამი საკრალური ელემენტი: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის (“ჰამოცის“ და “კლდუშის“) და ღვინის კურთხევის რიტუალებით პურობის დაწყების აუცილებლობა ეტიკეტის სავალდებულო წესია. ყოველი ეთნოსის სამზარეულოში დასტურდება კანონით განსაზღვრული დასაშვები და აკრძალული საკვების არსებობა. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა აზრით, სწორედ ამ აკრძალვების დაცვა გახდა ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პროდუქტები და კერძები, რომლებსაც ისინი მიირთმევენ, უნდა შეესაბამებოდეს “სიქაშრის“ (ვარგისიანობის) სპეციალურ კრიტერიუმებს. ასე, მაგალითად, ებრაელებისათვის ნებადართული დაკლული და არა მოკლული ხორცი (საქონლის, თხის, ხბოს, ირმის), ფრინველი (ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური) და ნანადირევი (მტრედი, ხოხობი) საჭმლის მოსამზადებლად მხოლოდ რიტუალური დამუშავების შემდეგ გამოიყენება (ებრაული კერძებიდან

გავრცელებული კერძებია: ქაშაყის ფორშმაკი, ფარშირებული თევზი, კარტოფილის ციმესი ზორცით, ხეზლი-ბატის ან ქათმის ყელი სატენით).

გვაქვს, აგრეთვე, ქართველ ებრაელთა კერძები, როგორებიცაა: ზბოს ფეხები ნიგვზიან ქინძმარში, ხენაგი, ყალია, ქიშმიშიანი, შავი ტორტი და ასე შემდეგ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპით განვითარებამ, ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, შრომისა და ყოფის პირობების შეცვლამ, ქალის მონაწილეობის გაზრდამ საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში კიდევ უფრო გაზარდა ადამიანის კვების ორგანიზაციის მნიშვნელობა.

ეროვნული სამზარეულო – ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ქართულმა სამზარეულომ, თავისი განსაკუთრებული თავისებურებებით, კარგა ხანია მოიპოვა დიდი პოპულარობა მსოფლიო სამზარეულოებს შორის და ბევრი ქართული კერძი ინტერნაციონალური გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა თავის გავლენას ახდენს აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს, ასევე სამხრეთის რაიონებისთვის დამახასიათებელ კერძებზე. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ერთმანეთისაგან განსხვავებული სამზარეულო აქვთ იმერლებსა და მეგრელებს, რაჭველებსა და აფხაზებს. ასევე განსხვავებული კერძები აქვთ აღმოსავლეთისა და სამხრეთის სხვასხვა რეგიონში. მიუხედავად ამისა, ქართული სამზარეულო თავისი მრავალფეროვნებით წარმოადგენს ერთ მთლიან ეროვნულ სამზარეულოს.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. ბარდაველიძე, 1957 - Бардавелидзе В.В., Древнейшие религиозные Веравания и графическое обрядовое искусство грузинских племен, Тб., 1972.

ო. გაგულაშვილი, 1986 - ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.

დ. თავდიდიშვილი, 2002 - დ. თავდიდიშვილი, სტუმართმასპინძლობის ეტიკეტი, ქუთაისი., 2002.

მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის; თბ., 2001.

მ. ნადარაია, 1985 - მ. ნადარაია, თედორობა, კრებული “ლექსები”; თბ., 1985.

ჯ. რუხაძე, 1999 - ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში; თბ., 1999.

ლ. ფრუიძე, 1981 - ლ. ფრუიძე, ყოფა და ცხოვრება; თბ., 1981.

დ. შავიანიძე, 2005 - დ. შავიანიძე, ოკრიბა; ქუთ., 2005.

ჯვარი ვაზისა, №4 თბ., 1992.

<http://www.dzglebi.ge/statiebi/istoria/ebraelebi.html>

RAMAZ KHACHAPURIDZE

GEORGIAN AND JEWISH NATIONAL CUISINE

(According to the ethnological materials of the branch of Georgian Dialectology of Scientific Research Center at Akaki Tsereteli State University. Contrastive analysis)

While researching historical issues of culture, the study of faith and views has a great importance. Such issues are: festivals of folk agricultural calendar and Georgian national dishes with their agricultural conjurations; detection of their first gist and importance can clarify the steps of their gradual transformation or religion thought.

Georgian cuisine and cookery style, which come from Georgia were formed in the country during centuries. Significant difference is between the country's regions' cuisine. In the eastern region of Georgia we can see the abundance of meat, wine, pastry and animal fats. As for western Georgian cuisine, it is distinguished with sauces mixed with walnut and paprika, dishes with chard and dairy products. Georgia is the country of wine, here vine is almost everywhere, Georgian wine is prepared in Kvevri (Pitcher).

On the other hand, Jewish National cuisine is very interesting which is ancient in the world and has the history of ethnic neighbouring for 26 centuries. However, Jewish people were scattered in the whole world during centuries, they managed to preserve their customs, which were reflected in the cuisine.

Products and dishes which are eaten by them should be relevant to special livable criteria (Sikashre). For instance, Jewish people are permitted to eat only butchered and not killed meat (beef, veal, mutton) or poultry (chicken, goose, duck, turkey) and hunted meat (pigeon, pheasant) after special ritual process. (From Jewish dishes fish pate, minced fish, meat with potatoes, stuffed goose or chicken's throat are very famous;)

We have also Georgian Jewish dishes such as: the hoofs of a calf in walnut and coriander sauce, Khenagi, Kalia, the black cake with raisins and etc.

არასრულწლოვანთა შორის ბავშვებზე დანაშაულთა გამომწვევი ფაქტორები

საქართველოში შექმნილი სიტუაცია არასრულწლოვანთა დანაშაულის კუთხით დამაფიქრებელია. წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულმა, მაგრამ ეს შეღავათი როდია. ჩვენ ტრადიციული კულტურის ქვეყანა ვართ. უპირველესად, მიზეზები უნდა ვეძებოთ, მიზეზი კი უამრავია: დამთავრდა ერთი ეპოქა და დაიწყო მეორე — თავისი პერიპეტეებით; რა თაობაა ის, რომელიც ახლა დანაშაულს ჩადის? — ოთხმოცდაათიანელები, რომელთაც, სხვადასხვა გარემოების გამო, სრულფასოვანი აღზრდა არ მიუღიათ. სხვა რომ არაფერი, უსინათლობაში გაიზარდნენ. ეს აგრესიულობის დაგროვების ფაქტორი და დასჯის ერთ-ერთი ხერხია. მძიმე სოციალური მდგომარეობა, მშობლების მოუცლევლობა, დაძაბულობა, საზოგადოებაში ძალადობის კულტის გაბატონება, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურება — ეს ობიექტური ფაქტორებია. არსებობს სხვაც: დემოკრატიული ღირებულებები არ ნიშნავს, ბავშვს ძალიან მკაცრად არ განუუსაზღვროთ მოლოდინის სისტემა. თავისუფლება ყველაფრის უფლებად აღვიქვით. არათუ ბავშვმა, დიდმაც უნდა იცოდეს, კონკრეტულ სიტუაციაში რა მოეთხოვება, რა წესი დაიცვას. ამის განხორციელებას ბავშვებთან, მშობლებსა და პედაგოგებთან კომპლექსური მუშაობა სჭირდება.

ბავშვი არ იბადება დამნაშავედ, მას დამნაშავედ გარემო აყალიბებს. ვინ არიან მისი მშობლები, რა პირობებში იზრდება. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში გაახალგაზრდავდა დანაშაული და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ძალიან დამძიმდა არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები. პრობლემა კომპლექსურია: ერთი მხრივ, ურთიერთობები მოზარდებსა და მშობლებს შორის, ანუ თაობათა გაუცხოება და დიალოგის უქონლობა, მეორე მხრივ, მოსწავლისა და მასწავლებლის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა მიმართ და სხვ. მიზეზები თუ ფაქტორები, რაც შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ხელშემწყობად, ძალიან ბევრია. იგი შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, სოციალური, სამართლებრივი და სხვ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ფსიქოლოგიური ფაქტორი

გარდამავალი პერიოდი ბავშვობასა და სიმწიფეს შორის. მოზარდობა ხასიათდება ისეთი უსწრაფესი ბიოლოგიური ცვლილებებითა და განვითარების ტემპით, რომ ამ მხრივ ემბრიონალურ და ჩვილობის პერიოდს უახლოვდება. ისევე, როგორც განვითარების ყველა ეტაპს, მოზარდობასაც აქვს თავისი სიძნელები, რომელიც საჭიროებს ახალ უნარებს და აქვს თავისი ამოცანა, “მიზანი”, რომელსაც ემსახურება. აქ უნდა გამოვყოთ ორი ასეთი მიზანი: 1. მშობლებისგან გამოყოფა, დამოუკიდებლობისა და ავტონომიის მიღწევა და 2. იდენტურობის ჩამოყალიბება, რაც ნიშნავს შემოქმედ და დამოუკიდებელ “მე”-ს რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული მოცემული პიროვნების სხვადასხვა ელემენტი.

სანამ ეს ამოცანები საბოლოოდ განხორციელდება, მოზარდები ბევრჯერ განიცდიან ფრუსტრაციას “სამყაროში თავიანთი ადგილის ძებნისას” (კრაიგი, 2004). ასეა თუ ისე, ეს პერიოდი არის შეზღუდული უფლებების, შესაძლებლობების ხანა და ამავდროულად არის ბილიკი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ. ერიკსონის მიხედვით, ეს არის ეტაპი, რომელიც პიროვნებას აძლევს სხვადასხვა როლების შესწავლისა და ექსპერიმენტირების საშუალებას. ეს მახასიათებლები მოზარდობის ასაკს ხდის წინააღმდეგობრივს. ამიტომაც, რომ მათი ქცევაც წინააღმდეგობრივია. ესაა გასაოცარი შერწყმა სიმწიფისა და ბავშვობისა. მოზარდები თავიანთ თავს ადარებენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მათ სქესთან დაკავშირებულ ნორმებს. ფაქტობრივად სწრაფვა შეარიგო განსვლარეალურსა და იდეალურს შორის, არის მოზარდობის ძირითადი პრობლემა. ამ შერიგების პროცესში მოზარდები გადააწყდებიან უამრავ სირთულეს და შესაძლებელია, შედეგად მივიღოთ სტრესი, დეპრესია და სხვა ნერვული თუ ფსიქიკური დარღვევა.

სხვადასხვა მიზეზის გამო მოზარდები უფრო მიზიდულნი არიან სტრესისადმი, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. სტრესი არის სხვადასხვა ექსტრემალური ზეგავლენის (სტრესორი) საპასუხოდ აღმოცენებული რეაქციების, მდგომარეობების ფართო წრე. შინაგანი და გარეგანი სტრესების საპასუხოდ აღმოცენებულ დეპრესიას მოზარდობის პერიოდში ხშირად თან ახლავს სხვა ფსიქიკური აშლილობებიც. დეპრესიული და შფოთვითი აშლილობები ხშირად ერთდროულად და ერთად გვხვდება, ისევე, როგორც დეპრესიული და ქცევითი აშლილობები. მაგ., დამანგრეველი, დესტრუქციული ქცევა, კვებითი დარღვევები: ანორექსია და ბულემია. დეპრესია ეს არის მწუხარების, ნალველის, სევდის, დათრგუნული გუნება-განწყობილების და ცუდი ფიზიკური თვითგანცდის მდგომარეობა. დეპრესიას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ნერვულ-ფსიქიკური დაავადებების დროს. დეპრესიული ავადმყოფების დიდი ნაწილი მიდრეკილია თვითმკვლელობისკენ მათი “მოუწინაველი” არსებობის გამო (დ. მათესი, 1992, გვ. 461-474).

სოციალური ფაქტორები

ზოგიერთი ცხოვრებისეული სიტუაცია, როგორცაა მაგალითად: მშობელთა განქორწინება, სხვა ქალაქში გადასახლება, სერიოზული ავადმყოფობები ან მძიმე ტრავმა, სიღარიბე, ოჯახური ძალადობა ხდება სტრესის მიზეზი ბავშვებშიც და მოზარდობაშიც. ისეთ ოჯახებში, რომლებიც შეკრული და მეგობრულია, ოჯახის წევრებს შორის არის ღია და ნორმალური ურთიერთობები, სადაც ყველა პრობლემას ერთობლივად აგვარებენ, სტრესი იოლად გადააქვთ. ასევე ფასეული საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემაა მეზობლები და მეგობრები. სტრესი და მასთან გამკლავება ყოველთვის ერთეული შემთხვევა არ არის. ხშირად ეს უწყვეტი და ერთმანეთში გარდამავალი პროცესია. ბავშვმა უნდა ისწავლოს ხანგრძლივ სტრესთან გამკლავება. სოციალური ფაქტორები მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. ცვლილებების რაოდენობა და მნიშვნელობა ბავშვის ცხოვრებაში;
2. შერეული ოჯახები;
3. ბავშვებთან მკაცრი მოპყრობა.

ფსიქოლოგიური ახსნა: ეს მოდელი ცენტრში აყენებს პიროვნებას და ოჯახის ისტორიას. ამ მოდელის თანახმად, მკაცრი მშობლები ავად არიან და მკურნალობას საჭიროებენ. ისინი თვლიან, რომ უფროსებს, რომლებიც ბავშვებს მკაცრად ექცევიან, ბავშვობაში თვითონაც მკაცრად ექცეოდნენ; თუმცა ვერ ხსნიან ბოლომდე, რატომ გადადის მკაცრი მოპყრობის მაგალითები თაობიდან თაობაზე.

კოლბერგის მორალური განვითარების სტადიები

კოლბერგის მორალური განვითარების თეორია პიაჟეს თეორიაა, რომელიც შემდგომ განავრცო კოლბერგმა. ის ბავშვებს, მოზარდებსა და მოზარდილებს სთავაზობდა მორალური ხასიათის მოთხრობებს და შემდეგ უსვამდა კითხვებს. ყოველი მოთხრობის მთავარი გმირის წინაშე იდგა მორალური დილემა და ცდაში მონაწილე პირს უნდა გადაეწყვიტა ეს დილემა. კოლბერგს აინტერესებდა არა იმდენად კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე პასუხი, არამედ ამ გადაწყვეტილების დასაბუთება. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პასუხებმა, კოლბერგს უბიძგა დასკვნისაკენ: რომ მორალური განსჯის განვითარებაში ადამიანი გადის რიგ სტადიებს. მან გამოყო მორალური განსჯის 3 დონე, რომელიც, თავის მხრივ, დაყო 6 სტადიად.

I დონე - პრეკონვენციონალური მორალი. I სტადია – ორიენტაცია თავიდან ავიცილოთ დასჯა და დამორჩილება. II სტადია – გულუბრყვილო ინსტრუმენტი ჰედონიზმი. უნდა დაემორჩილო წესებს პირადი გამორჩენისა და დაჯილდოებისათვის. II დონე - კონვენციონალური მორალი. III სტადია – მორალი “გამგონე ბიჭი,” ორიენტაცია კარგი ურთიერთობის მხარდასაჭერად და აღიარება სხვა ადამიანების მხრიდან. IV სტადია – მორალი, რომელიც ამტკიცებს კანონს და ძალაუფლებას. უნდა დაემორჩილო წესებს, რომ თავიდან აიცილო კანონიერი ხელისუფლებისგან გაკიცხვა. III დონე - პოსტკონვენციონალური მორალი. V სტადია – საზოგადოების შეთანხმების მორალი, დემოკრატიულად მიღებულ კანონებსა და ინდივიდუალურ უფლებებზე. უნდა დაიცვა კონკრეტული ქვეყნების კანონები ზოგადი კეთილდღეობისათვის. VI სტადია – მორალი.

სამართლებრივი ფაქტორები

სამართლებრივი წარმოდგენები, სამართლის ინტერპრეტაცია მიეკუთვნება ყველაზე რთულ ფსიქოსოციალურ მოვლენას, რომელიც შეიცავს ისტორიული, სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციური, პიროვნული დეტერმინანტების კომპლექსს და ერთდროულად გააჩნია მრავალი მახასიათებელი ან განზომილება; ისეთი პირობების ძირითადი ჯგუფების სახით, რომელსაც შეუძლია სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, გვევლინება: 1. მაკროსოციალური პირობები (საზოგადოების რეალური სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, სამართლებრივი სისტემა, სოციალური ინსტიტუტები, სამართლებრივი კულტურა, საზოგადოებრივი აზრი, სამართლის პრესტიჟი და ა.შ.); 2. მიკროსოციალური პირობები (სუბკულტურული სამართლებრივი ორიენტაციები სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებში, შრომით და სხვა კოლექტივებში); 3. პიროვნული პირობები (სუბიექტური-

სამართლებრივი აქტიურობა სამართალშემოქმედებასა და სამართალდამსრულებელ ქცევებში). ყველაფერი ეს აისახება თანამედროვე დამნაშავეობაში. უკანასკნელ წლებში აღინიშნება არსებითი თვისებრივი ცვლილებები, რომელიც აუცილებელია გავითვალისწინოთ თანამედროვე დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელების დროს. ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური გამოკვლევების მონაცემები, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმის შესწავლა (პირველ რიგში, ყველაზე ძალადობრივი დანაშაულებების შესახებ) გვიჩვენებს ზოგიერთ ასეთ ცვლილებას (გ. ლლონტი, 2003, გვ. 34-41).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენცია საერთაშორისო სამართალში

ბავშვების ძირითადი უფლებები გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციასთან ერთად, ასევე, დამატებით დატულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ევროპის სოციალური ქარტიით (კ. ჰამილტონი, 2011, გვ. 60-78). ამ უფლებათა მაგალითებია: სიცოცხლის უფლება, უფლება, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა, იძულებითი შრომის ან მონობისაგან დაცვის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საფრთხისგან დაცვის უფლება და განათლების უფლება. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით ყველაფერი კეთდება ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის. ამის მიუხედავად, ამ დარგში მაინც ბევრი პრობლემა და გადაუწყვეტი საკითხია.

თანამედროვე მიდგომა ისაა, რომ განისაზღვროს, შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. საჭიროა, განისაზღვროს ბავშვის სამართალში მიცემის შესაძლებლობა. იგი უნდა გამომდინარეობდეს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან, აღიქვას და შეიგნოს პასუხისმგებლობა ჩადენილი აშკარა ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის. თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალზე დაბალია ან საერთოდ არ არის დაწესებული, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება აზრს კარგავს. ამიტომ, "პეკინური წესები",¹ საჭიროდ მიიჩნეეს, რომ საერთაშორისო მასშტაბით დაწესდეს მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი. "პეკინური წესებით" ასევე, დარეგულირებულია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის ზომის არჩევა არასრულწლოვანთათვის, ის მინიმალური სტანდარტები, რაც აუცილებელია პასუხისმგებლობის დაკისრების დროს. მნიშვნელოვანია სიახლე, რომელიც ამ ბოლო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შესთავაზა საზოგადოებას და მოამზადა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კანონმდებლობა. კოდექსის პროექტის ძირითად პრინციპებად აღიარებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა.

საქართველოს მთავრობის მიზანია, შექმნას და განამტკიცოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას, ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას, მათ კეთილდღეობასა და განვითარებას; კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია ეფუძნება ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით განმტკიცებულ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და მათი სტიგმატიზაციის დაუშვებლობა, სამართლიანი სასამართლოს გარანტიების უზრუნველყოფა, პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა, მინიმალური ჩარევის პრინციპი, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა და სხვ.²

დამოწმებული ლიტერატურა

დ. მათესი, 1992 - Mates, D., & Allison, K. R. (1992). Sources of stress and coping responses of high school students. *Adolescence*.

გ. ღლონტი, 2003 - გ. ღლონტი და ავტორთა კოლექტივი. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა: აშშ ' საქართველო. თბ., 2003.

კ. ჰამილტონი, 2011 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, კეროლან ჰამილტონი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, 2011 წლის მაისი.

OTAR KHINIKADZE

JUVENILE JUSTICE IN GEORGIA

European integration is the foreign political orientation of Georgia. The country is trying to meet a number of standards, including the important ones – the regulation of the issues of juvenile criminal responsibility. The approach to EU legal standards is performed by the collaboration of both parties, with the support of international organizations. For Georgia, One of the main directions of the reform of justice spatial is the judgment of the juvenile.

The harsh punishment policy couldn't replace the ranks of the criminal mentality within juvenile culprits. It became clear that the freedom restriction and placement

² გაეროს ზოგადი კომენტარი №10 (2007), “ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში”, პრ. 10-14

of young convicts in a prison wasn't intended to achieve the purposes of criminal law, in particular it remained a problem the rehabilitation and re-socialization of juveniles.

The present criminal law of Georgia and the peculiarity of juvenile justice are highly notable in terms of transitional justice.

The priority developed by the Ministry of Justice of Georgia is an effective; The child-oriented juvenile justice system scheme requires the implementation of reforms in the following direction:

- Effective prevention of juvenile delinquency;
- Improvement of legislation data;
- Development and implementation of the alternatives of prosecution and a prison penalty;
- Rehabilitation and integration of juveniles in conflict with the law into the society;
- Qualification and continuous training of professionals dealing with juvenile offenders;
- Strengthening the capacity of research and analyze, and improvement of statistical techniques.

The planned and implemented liberal juvenile justice system in this direction symbolically coincides with the children's rights year protection, which was announced by the Georgian parliament's human rights committee.

მზია ზოსიტაშვილი

ბრენდინგი და რებრენდინგი ბიბლიოთეკებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერი ორგანიზაცია, კომერციული თუ არაკომერციული, ცდილობს მოიპოვოს ბაზრის მნიშვნელოვანი წილი და შეინარჩუნოს მყიდველი და მომხმარებელი. უმნიშვნელოვანესია მომხმარებლის მოთხოვნების შესწავლა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) ტექნოლოგიებს, როგორც მარკეტინგის შემადგენელ ნაწილს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ითვლება, რომ კომპანიისთვის საუკეთესო იმიჯის ქონა არაფერს ნიშნავს, თუ არ იზრდება მისი რეიტინგი მსგავსი სეგმენტის კომპანიებს შორის, თუ ადგილი არ ექნება გაყიდვებისა და მომხმარებლის მხრიდან ლოიალობის ზრდას.

PR-ის სფეროში კომპანიის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, ფირმის ან ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულ ხერხებს მიმართავენ, ჩნდება სხვა მიმართულებებიც, ერთ-ერთი - ბრენდინგი (ბრენდის შექმნის პროცესი) და რებრენდინგია (ბრენდის იმიჯკომპონენტების აღქმის შეცვლა).

სარეკლამო ინდუსტრიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა, უოლტერ ლანდორი ბრენდს ასე განსაზღვრავს: “ბრენდი არის დაპირება საქონლის ან მომსახურების იდენტიფიკაციისა და მათი ორიგინალურობის დადასტურების საშუალებით, ბრენდი უზრუნველყოფს კმაყოფილებისა და ხარისხის შეგრძნებას”.

ბრენდინგის ინდუსტრიაში ცნობილი დევიდ ააკერისთვის ბრენდის არსი ბრენდის სახელთან და სიმბოლოსთან დაკავშირებული თვისებების ნაკრებია, რომელიც ამძაფრებს (ან ასუსტებს) პროდუქციას ან მომსახურების ღირებულებას და რომელიც შეთავაზებულია ამ სიმბოლოს საშუალებით.

ბრენდის წარმოშობის ძირითადი პირობა განსაკუთრებული თვისებების მქონე ობიექტია. ტექნიკური თვალსაზრისით კი მას უნდა ჰქონდეს ასევე გამორჩეული ატრიბუტიკა (სლოგანი, სიმბოლოები, საფირმო ნიშანი), განსაკუთრებული შეფუთვა/ორიგინალური მომსახურება და პრომოუშენი. აქედან გამომდინარე, ბრენდის ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს როგორც საქონელი (სასაქონლო ბრენდი), კომპანია (კორპორატიული ბრენდი), კულტურის დაწესებულება, სპორტული კლუბები, პიროვნება, ღონისძიება, მომსახურების რომელიმე სახე, და ა.შ.

ცნობილია, რომ ბრენდის შექმნას საკმაოდ დიდი დანახარჯები სჭირდება. როდესაც ვსაუბრობთ არაკომერციული დაწესებულებებისა და კონკრეტულად, ბიბლიოთეკების ბრენდინგზე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რისთვის სჭირდება ბიბლიოთეკას ბრენდინგი, თუ ისედაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები, დადგენილია მომხმარებელი და მომსახურების სახეები? როგორ შეძლებენ ბიბლიოთეკები ბრენდინგის სტრატეგიების გამოყენებას მწირი შესაძლებლობებისა და დაფინანსების პირობებში?

ბიბლიოთეკაზე, როგორც წიგნსაცავისა და წიგნის კითხვისათვის ყველაზე მყუდრო და შესაფერისი ადგილის შესახებ, წარმოდგენის შეცვლას დრო სჭირდება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ინტერნეტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და მისი სრულყოფის სწრაფი ტემპები ბიბლიოთეკებს უქმნის მკითხველის და ინფორმაციის მომხმარებლების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, შემცირების საშიშროებას.

აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკის ბრენდინგი მოითხოვს არა მხოლოდ იერსახის, არამედ კონცეფციის შეცვლასაც. იმიჯის შესაცვლელად საჭიროა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, ეს გეგმაზომიერი, სისტემატური სამუშაოა. ბიბლიოთეკა, როგორც კულტურისა და განათლების გამავრცელებელი, შეიძლება თავადაც კი იყოს ლიდერი გრაფიკული დიზაინის, ინტერიერისა და საფირმო სტილის (აიდენტიკის) სფეროშიც. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ საზოგადოებამაც კარგად გააცნობიეროს, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოებრივი სივრცეა, რომელიც შექმნილია მათი სახსრებით და ეს სივრცე გამოსაყენებლად მისთვისაც ხელმისაწვდომია.

უნდა ითქვას, რომ ბიბლიოთეკა, როგორც ბრენდი, თავისი იმიჯითა და რეპუტაციით უკვე დამკვიდრებულია საზოგადოების ცნობიერებაში და ძირეული ცვლილებები მის იდეოლოგიაში არ შეინიშნება. თუმცა ბიბლიოთეკათმცოდნეები და საინფორმაციო დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბიბლიოთეკარები გარკვეულწილად ექსპერტებიც უნდა იყვნენ ინფორმაციის დარგში. თანამედროვე სამყაროში ციფრული არხებით არნახული რაოდენობის ინფორმაცია ვრცელდება. რამდენიმე წლის შემდეგ იგი იმდენად მოცულობითი იქნება, რომ სპეციალისტების გარეშე შეუძლებელი იქნება მისი გამოყენება და მასში გარკვევა. ინფორმაციულ სამყაროში მეგზურებად სწორედ ბიბლიოთეკარები მოგვევლინებიან. ეს გარემოება და თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები — გაუმჯობესდეს უკვე არსებული, შეიძლება ბიბლიოთეკების რებრენდინგის მიზეზებადაც ჩაითვალოს.

რებრენდინგის განხორციელებამდე უნდა ჩატარდეს ბრენდის აუდიტი: აქვს თუ არა მას განვითარების საშუალებები, გაირკვეს მკითხველის/მომხმარებლის დამოკიდებულება ბიბლიოთეკის მიმართ - რომელი მომსახურებითაა კმაყოფილი და რის შეცვლას და დანერგვას ისურვებდა (კვლევისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის გამოკითხვებს, ანკეტირებას, სტატისტიკას, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას სოციალური ქსელების საშუალებით). შესაბამისად, განისაზღვრება ბიბლიოთეკის ძლიერი და სუსტი მხარეები, კონკურენტული გარემო.

იმის გათვალისწინებით, რომ დიდ ქალაქებში რამდენიმე საჯარო ბიბლიოთეკაა, ყველა სკოლას და უმაღლეს სასწავლებელს აქვს წიგნადი ფონდი და ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ფართობი, უნდა დაზუსტდეს ბიბლიოთეკების საერთო მდგომარეობა საინფორმაციო ბაზარზე; შედგეს იმ სიახლეთა ნუსხა, რომელსაც ელის მომხმარებელი; დადგინდეს, რომელია მათგან მნიშვნელოვანი და რომელზე სჯობს აქცენტის გაკეთება.

განისაზღვროს მიზნობრივი აუდიტორია — ვინ არიან, რა ინტერესები, ღირებულებები, მოთხოვნები აქვთ; როგორ ატარებენ თვისუფალ დროს, რა აკლიათ ცხოვრებაში ან ბიბლიოთეკის კედლებში. მიზნობრივი აუდიტორია შეიძლება ასაკობრივი ნიშნითაც დაიყოს და განისაზღვროს მათი პრობლემები. მაგალითად, ხანდაზმული მკითხველისთვის ძირითადი პრობლემა თუ მართლობაა,

ბიბლიოთეკამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და დაისახოს ამოცანად მათ კომუნიკაციაზე ზრუნვა. ახალგაზრდობის მთავარი პრობლემა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება და ფულის ნაკლებობაა, ამ შემთხვევაში ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მათი მოზიდვა უფასოდ მოწყობილ გამოფენებსა თუ მუსიკალურ საღამოებზე, კინოჩვენებებზე, სამოქალაქო ინიციატივებში ჩართულობა.

მთლიანობაში საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს თაობათა შორის არსებული მუდმივი უთანხმოება, წიგნიერებისა და სამოქალაქო აქტივობის ნაკლებობა, საზოგადოების ინდიფერენტულობა. ბიბლიოთეკის ამოცანას წარმოადგენს მათზე ზემოქმედება, სხვადასხვა დისკუსიებში, კონფერენციებზე, ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და შეხვედრებზე, გამოფენებზე მოწვევა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით მეტად ეფექტურია მოსახლეობის, მკითხველის მოლოდინების ამოცნობა და ინტერესების შესაბამისი კლუბების ორგანიზება.

მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომელ უპირატესობაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და როგორ მოხდება მისი პოზიციონირება.

რებრენდინგი თავისთავად ითვალისწინებს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, რაც საზოგადოების სხვადასხვა წრეში ბიბლიოთეკის პოპულარიზაციასაც უწყობს ხელს. საინფორმაციო ბაზარზე ახალი პროდუქტის/მომსახურების გამოჩენისა და დამკვიდრებისთვის გამოყენებული უნდა იყოს ყველა საკომუნიკაციო არხი: ბეჭდური და ციფრული მედია, ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელები, ასევე არატრადიციული მატარებლები: გარე რეკლამები, მორბენალი სტრიქონები საქალაქო ტრანსპორტში, ავტობუსების გაჩერებებზე და ა.შ.

ამის შემდეგ პოზიციების გამყარებისა და ბიბლიოთეკის მომხმარებლის მხრიდან შეთავაზებისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბების დრო დგება, რაც მოითხოვს PR კამპანიების ჩატარებას. ამ ღონისძიებების დროს მნიშვნელოვანია, რომ გამოიკვეთოს პოზიტიური დამოკიდებულება ახალი პროდუქტისადმი. PR კამპანიაში ხდება პარტნიორების: მუნიციპალური სამსახურების, სტუდენტების, პედაგოგების აქტიურად გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ნებისმიერი ფირმის ან ორგანიზაციის რებრენდინგის მხოლოდ 40%-ია წარმატებული, იგი მაინც ზრდის ინტერესს მომხმარებლის მხრიდან, როგორც სიახლესა და საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რაც, თავის მხრივ, მომხმარებელს ბრენდისადმი ლოიალურს ხდის.

დასასრულს, რებრენდინგის ეფექტიანობის ანალიზის დასადგენად მნიშვნელოვანია აუდიტის ჩატარება სტატისტიკური მონაცემების, მასმედიაში გამოქვეყნებული მასალების კონტენტანალიზისა და პუბლიკაციების დანიშნულების შესწავლის საშუალებით. საჭიროა, მკაფიოდ იყოს დადგენილი ის მიზანი, რასაც ემსახურება რებრენდინგი: დროის გარკვეულ პერიოდში მკითხველის რაოდენობისა და ახალი მომსახურების გამოყენების, მიზნობრივი აუდიტორიის რიგების ზრდას და ბიბლიოთეკის ღონისძიებებში მათ ჩართულობას.

ბრენდის შექმნის აღწერილი პროცესი შეიძლება ყველა კომპანიისთვის იყოს მისაღები, მისი განხორციელების სტრატეგიაც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, დამოკიდებულია მომხმარებლის ლოიალობაზე, ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტზე არსებული კონკურენციის დონესა და ხელმძღვანელობის მჯობინებებზე. თუმცა ბრენდის წარმოქმნისა და გამარჯვებული საქონლის/ მომსახურების აუცილებელი პირობა ბიბლიოთეკებისთვისაც უცვლელია — მკითხველის/მომხმარებლის სურვილების, შესაძლებლობებისა და მოთხოვნებისადმი მზადყოფნა. ბიბლიოთეკის რებრენდინგის უმთავრესი მიზანი, ბიბლიოთეკის მომსახურების ახალი სახეების დანერგვასთან ერთად, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, დამწყები მეწარმეებისა და ბიზნესმენებისთვის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, მკითხველის შენარჩუნება და მათი რაოდენობის გაზრდაა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ს. ლომინაძე, 2011** - ს. ლომინაძე, ბრენდი და თანამედროვე ბრენდის ტექნოლოგიები, თბ., 2011.
- ო. ბორისოვა, 2006** - Борисова О.О. Рекламно-информационные технологии библиотечной деятельности. СПб. 2006.
- ვ. ბორისოვა, Борисова В.** Технология создания и продвижения бренда как разновидность PR. http://pr-club.com/assets/files/pr_lib/pr_papers/bogdanova.doc
- უ. ნ. კაბფერერი, 2007** - Капферер Жак-Ноэль, Бренд навсегда : Создание, развитие, поддержка ценности бренда Москва, 2007.

MZIA KHOSITASHVILI**BRANDING AND RE-BRANDING IN THE LIBRARIES**

In a market economy, any organization, be it commercial or non-commercial, strives to gain a significant market share and keep the clientele and consumers. It is essential to study the consumer needs, with public relations (PR) technologies being of paramount importance as an integral part of marketing. In a market economy, the company's reputation means nothing if the dynamics of customer loyalty does not work for the company's favor.

To create a positive corporate image, companies and other organizations use different methods tailored to their specifications; new approaches also emerge, such as branding (brand creation process) and re-branding (developing a new corporate identity for an established brand).

The key preconditions for successful branding of library products/services remain unchanged – the assessment of reader/user desires, needs and abilities.

The main goal of library rebranding is to build customer loyalty, attract new customers, especially young readers and members of vulnerable social groups; to help beginning entrepreneurs and businessmen, and encourage civic participation.

The paper explores the design and implementation of branding strategies to suit all non-profit organizations.

გია ხოფერია

ჯემალ აჯიაშვილის სონეტის გობიერთ თავისებურებათა შესახებ

ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება იმდენად მდიდარი და ღრმა ფესვების მქონეა, რამდენიმე საკონფერენციო შეკრებაც კი იოლად ვერ გასწვდება მის შესწავლა-გაანალიზებას. ცალკე თემაა ამ დიდებული მოღვაწის მთარგმნელობითი საქმიანობა, ცალკე გამოირჩევა მისი ორიგინალური პოეზია, ასევე, საყურადღებოა ესეისტურ-პროზაული აზროვნება, სხვანის - რაც მის კალამს შეუქმნია, მის ნიჭსა და შრომას მოჰყოლია შედეგად ქართულ-ებრაული ურთიერთობების განვითარებისათვის, საერთოდ ადამიანური ღირსებებისა და საუკეთესო ზრახვათა წარმოჩენისათვის.

სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ პირველი თუ მეორე კურსის სტუდენტი, გაუცვნია ჯემალ აჯიაშვილი ელიტარულ ლიტერატურულ საზოგადოებას შესანიშნავი თარგმანებით; ვახტანგ ჭელიძეს ისე მოსწონებია მისი პირველი ცდები, დაუყოვნებლივ დაუბეჭდავს “ზომლში”.

დღის და ღამის გასწორებამ, მართლაც, არნახული შედეგი გამოიღო. სავსებით სამართლიანად ეწოდა ამგვარ შრომას დიდი შემოქმედებითი მიღწევა, დიდი გამარჯვება (თ. მირიანაშვილი, 2004, გვ. 13). თანდათანობით მოიმატა ლიტერატურული შეფასებების ფსონებმა, ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები თანაბარი აღტაცებით საუბრობენ ჯემალ აჯიაშვილის როგორც მთარგმნელობით, ისე ორიგინალურ პოეტურ წარმატებებზე. ამ საუკუნის დასაწყისში გაზეთი “ჩვენი მწერლობა” იუწყებოდა: “ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანში გათვალისწინებულია ფსალმუნთა თარგმნის ათასწლოვანი ქართული ტრადიცია. სიტყვაქმნადობის პროცესში არქაული ქართული ახალ, მძვინვარე სტიქიაში მოქცეულა. მთელი სისავსით წარმოჩინდება ქართული სიტყვიერი კულტურა. დავითისეული ფსალმუნები უზადო მელოდიურობით იღვრება ძველქართული პოეტური ნაკადით და ანდამატურ მიმზიდველობას იძენს, შეუძლებელია იმათი წაკითხვა რელიგიური და ესთეტიკური ეგზალტაციის გარეშე - ვითარცა ტაძრად მდგარი, მრევლი, შინაგანად ვუერთდებით ლიტურგიას” (ალ. გეგეჭკორი, 2001, გვ. 5). დავითის ფსალმუნების გარდა, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ჯემალ აჯიაშვილის მიერ შესრულებული შუასაუკუნეების ებრაელ პოეტთა შესანიშნავი ხელოვნების გადმოხმოვანება ქართულად. ეს გახლავთ ანდალუსიელ შემოქმედთა ბრწყინვალე ნაკრები - მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ჰალევი, შემუველ პანეგიდი, შელომო იბნ გებროლი და სხვანი, რომელთა სონეტების მელოდიურობა, მუსიკალური ჟღერადობა შეინარჩუნა მთარგმნელმა და ამით შეძლო მკითხველის დატყვევება. სონეტი აღმოჩნდა ჯემალ აჯიაშვილის სტიქია, რომელმაც სრულად მოიგრა ამ მართლაც დიდი მშენადობის მქონე პიროვნების სული. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ თვითონაც შეებდა სონეტს გაშინაურება და არც ტყუილად მომცდარა. ”ასეთი ვირტუოზი ლექსისა იშვიათია არა

მარტო ჩვენს სინამდვილეში. თუკი ვინმეს შეეძლო სონეტი შეექმნა, მათ შორის უპირველესად ჯემალ აჯიაშვილს...” - გულწრფელად ამბობს როსტომ ჩხეიძე და შეუძლებელია არ დაეთანხმო მას (ე. ბუჯიაშვილი, 2010, გვ. 35). თავად ჯემალ აჯიაშვილიც ძალიან ფრთხილ განცხადებას აკეთებს: “სონეტს ხელი არ უნდა მოაწერო, ვიდრე არ დარწმუნდები მის სრულყოფილებაში, რადგან ეს ის უნარია, აბსოლუტურ სისრულეს რომ მოითხოვს შენგან” (ე. ბუჯიაშვილი, 2012, გვ. 27).

არაერთ ცნობილ პიროვნებას აქვს თავისი აზრი გამოთქმული ჯემალ აჯიაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ (ილია მეორე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ქორიძე, გივი შაჰნაზარი, ემზარ კვიციანიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ელგუჯა ლებანიძე, მედეა კუჭუხიძე, გიორგი გოგოლაშვილი, ლია სტურუა, გურამ ბათიაშვილი...), ბევრი ღირსება აღუნიშნავთ მისი მოღვაწეობის, მაგრამ განსაკუთრებულ აღტაცებას გამოხატავენ ავტორის პოეტური ენის, პოეტური ლექსიკის სიმდიდრისა და სათუთად შერჩევის გამო. თავის დროზე გრიგოლ აბაშიძეც ცამდე მართალი ყოფილა, ჯემალ აჯიაშვილის ორმოცდაათ წლისთავზე რომ განუცხადებია: გალაკტიონის შემდეგ არავინ ჩასწვდომია ქართული ენის გენიას ისე ღრმად, როგორც ჯემალ აჯიაშვილი (თ. მირიანაშვილი, 2004, გვ. 14), “ჯემალ აჯიაშვილის პოეზიას ქართველი მკითხველი საკუთარი ანარეკლივით შეეზარდა. მის მეტაქართულში, მეტი ქართული დაინახა, რაღაც მარადიულქართული (გოეთეს მარადიულქალღურთხვით), დედაადგილი - მშობლიური და მყარი წილი” (შ. ბოსტანაშვილი, 2010, გვ. 41). ასეთი მოსაზრებანი არაერთხელ დაფიქსირებულა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს (ქართული კრიტიკის ხასიათიდან გამომდინარე, ვამბობ), ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებაზე არსად შემხვედრია უარყოფითი ან გაწიწმატებული რეცენზია.

ისევ სონეტს მივუბრუნდეთ.

მრავალ სალექსო ფორმათაგან განსხვავებით, სონეტი მართლაც უბერებელი აღმოჩნდა. მისი გამორჩეული საკუთრებანი თავიდანვე იღბლიან ვარსკვლავზე დაიბადნენ, ფეხიც ძალე აიდგეს და გზაზე გამოსულებმა არაერთი მოთვალთვალის ყურადღება მიიქციეს. სონეტს დიდი შემოღობილი, დიდი სამფლობელო არ გააჩნია, სამაგიეროდ გულ-სისხლ-ძარღვთა გასაკვირველი სიმტკიცე, ფეთქვა და წესრიგი გამოარჩევს. ამიტომაც, სონეტი რომ ვერ იტანს ზერელე შებედას მოუმიწიფებელი ოსტატისაგან. შეიძლება სხვა ფორმაში მშვენიერი ლექსი ჩამოასხა, აიტანოს სხვა ყალიბმა გავარჯარებული სიტყვის წნევა და ენერგია, მაგრამ სონეტმა გიუცხოვოს.

იქნებ ეს მოსაზრება სადავო ან საკამათო იყოს, ან სხვამ უკეთესად გამოხატოს ამ საკითხზე თავისი შეხედულება, მაგრამ ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილი თუ ორიგინალური სონეტების არაერთხელ წაკითხვისას თავისთავად, ბუნებრივად ამეკვიატება ხოლმე მოუცილებელი ფიქრი — როგორ, რა ღვთიური შესაძლებლობებით ახერხებს ავტორი თოხნოს და მარგლოს პატარა-პატარა მიწის ნაკვეთი ისე, რომ შრომით გათანაგულმა ვერც კი შეამჩნიოს სისხლისაგან დაწრეტა. ამ მოპირკეთებული აზრის გამოხატვა ასეც შეიძლება — ეს მრავლად განშტოებული პოეტი ყოველი სონეტის გასრულებისას იქვე ტოვებს სულს, მართლა იწრითება სისხლისაგან, მაგრამ მისი რეზერვუარი ცოტა ხანში ისევ ივსება და ახალ დაძახილზე ისევ მიდის ომში, გამარჯვებაზე არას ვიტყვი.

მაგრამ დამარცხებასაც თუ აქვს აზრი, მით უმეტეს, ასეთ ომში, ჰქონდეს. თუმცა ამ სონეტებში “მტრისადმი” ზურგშექცეული მეომარი ვერსად დავლანდე.

თავისი სხეულებრივი აღნაგობის გამო სონეტში დინება მდორედ მიდის. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სათქმელისა და სახიერების კადრობრივი აჩქარება ზუსტად იძლევა იმ ეფექტს, რისთვისაც მიზნობილი ვართ თოთხმეტივე ტაეპთან.

ჯემალ აჯიაშვილის მთარგმნელობით საქმიანობას თუ გავითვალისწინებთ, მის მუხლჩაუყრელ მოგზაურობას სონეტის მეფეთა სამყაროებში (ალბათ, პეტრარკას, მიქელანჯელოსა და შექსპირის დასახელებაც საკმარისია), მიუხედავად დიდი ცდუნებისა, თვითონაც მოესინჯა საჭრეთელი, ალბათ ნებისყოფის სიმტკიცეს ვერ გადაძალავდა, რომ არ ეგრძნო ღვთიური წაბიძგება, საკუთარი გზა-ბილიკების გასაყვანად. ტიტანებთან შერკინებით გამობრძმედილმა, ბუნებრივია, ირწმუნა, მარტო რომ არ იყო. ღმერთიც აგულიანებდა. სწორედ ამ ჭეშმარიტებით აღვსილმა მიგვიჩმო თავის სამფლობელოში და ქართულად დაწერილი ნამდვილი სონეტები გვისახსოვრა.

პარალელებისა, შესაძლო პარალელებისა ან გავლენათა მაძიებლები ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებით წილში ჩაიკრიკიმალებისას ხშირად მცდარ ქირურგიულ ოპერაციებს ატარებენ; იქნებ ეზეიმებათ კიდევ რაღაც “მიგნებები”. ასეთი ექსპერიმენტი ჯემალ აჯიაშვილის სონეტების “დამუშავებისას” მათ ნამდვილად ვერ მოუტანს წარმატებას. ჩვენ კარგად გვესმის, მხოლოდ მას, პირველს, არ შეუქმნია თუნდაც ქართული სონეტი, მაგრამ ფორმის უცვლელობა, ყალიბის იგივეობა სრულებით არ ნიშნავს, ორიგინალობას ვერ მიაღწიო, ვერ ჩამოასხა საკუთარი ჩუქურთმა.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტების მიზიდულობის ძალა იმდენად თვითმყოფადია, იმდენად დიდხანს ყოვნდები მათ ხილვადობაში, გრძნობ, ნელ-ნელა როგორ თავისუფლდები ჩვეულებრივი ადამიანური ავადმყოფობისაგან და გვერდზე გახედვის ყოველგვარი ცდუნება წართმეული გაქვს.

სონეტს უყვარს მეტაფორა. იგი ან მეტაფორების ნაზავია, ან მთლიანად მეტაფორა. ამიტომაც ძნელდება მისი მხატვრული დატვირთვის ერთბაშად აზიდვა. შემთხვევითი მკითხველი ცოდვას სონეტის წინაშე.

ჯემალ აჯიაშვილი მაღალი რანგის ანუ ჭეშმარიტი სონეტის ავტორი გახლავთ. აკადემიური ხელოვნება როცა სცენაზე გამოდის, უამრავი საშუალებით მისგან გამოძვალვი რეაქცია შეუბრალებლად ანგრევს მსმენელის, მაყურებლის, მკითხველის უკვე კომპლექსებად ქცეულ სიძველეს აზროვნებისას, ხედვისას, გემოვნებისას და ა.შ. ჯემალ აჯიაშვილის სონეტებს ნამდვილად შესწევთ ძალა დააფიქსირონ ახალი დრო ადამიანური ტკივილების, ურთიერთობების, თვალთახედვის გადასინჯვისა და ტრანსფორმირებისა. ეს სონეტები, შეიძლება ითქვას, ღვთით მოვლენილი აბებია, რომლებსაც შესწევთ უნარი გაგვკურნონ ახლოხედვისაგან, სიბეცისა და უგუნურებისაგან. ყოველ ადამიანს, ყოველ თაობას ნამდვილი ხელოვნება სწორედ ამგვარ სამსახურს უწევს. ჭეშმარიტების გზაზე სიარული უფრო მეტად ტკივილების შეგრძნება და გააზრებაა, იმ ტკივილებისა, რომლებიც ბადებენ დიდ სიყვარულს ადამიანებს შორის, წინაურდება ადამიანური და არა ცხოველური, ქაოსი-წესრიგდება მაღალი ესთეტიკით, ვერ გაბატონდება განუკითხაობა და მიწიერი ჯოჯოხეთი. როგორც ერთ-ერთ სონეტშია ნათქვამი: “ბენტავდა ქარი თოვლსა და ღრუბელს და საპენტელა მგლებს მილაღავდა საცხოვარში, ცხოვარს სამგლემში”.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტები მეტაფორაში ჩაჭედილი შეგონებებია და, ამასთანავე, არც ისე რთულია მათი კარიბჭე, ეზიარო ავტორის მართალ სიტყვას, ბრძნულ ნათქვამს, სწორია, კარგ მოქმელს, კარგი გამგონე სჭირდება; ისინიც მოინახებიან. მთავარია თავლი იყოს, თორემ ფუტკარი ძალიან შორიდანაც მოვა.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტი გვზიბლავს განსაკუთრებული წესრიგით, ზმანებათა თანმიმდევრობითა და ინტენსივობით, გამძაფრებითა და განშტოებებით. პოეტის თვალი ერიდება იაფფასიან სამკაულებს, გაცვეთილ ჩვეულებრიობას. სწორედ ამის გამოა, რომ მისი არაერთი სონეტი უფრო საყურებელ-სანახაობითია, ვიდრე წასაკითხი. შორს მიყავხარ, ძალიან შორს გაგიტაცებს ხოლმე, გაგაცილებს ყოველდღიურობის ჟანგმოდებული ერთფეროვნებას. იქნებ სევდა-წუხილმაც იჩინოს თავი, მაგრამ იმდენად ლამაზი აღმოჩნდება მისი შემოტევა, იმდენად ახალი იქნება მისი უჩინარი ბიძგები, მიჰყვები, სანამდეც წაგიყვანს, ირწმუნებ ახალ გადასახლებას, ახალ სივრცეს. ვნახოთ, სწორად შევარჩიე თუ არა ამ შთაბეჭდილებების დასტურად ერთ-ერთი სონეტი:

“ქარი, ასე ვთქვათ, ათამაშდა თავის გემოზე
და მიმქრალ დღეებს მიაღვენა მიჯნათა მიღმა
ჭალა, რომელიც, შემოქმედო, მწვანით შემოსე
და შენივ ნებით სიყვითლემში მიჰქნა და მიხმა.
მზეს შეაცივდა განთიადი ცვრიან მდგელოზე
და ხსოვნის წიად წარიტანა დღეების რიგმა
ტანჯულ სახეზე შეყინული სიანგელოზე
და უსიცოცხლო კიდურებზე დაკრული სტიგმა,
ღმერთო მაღალო, გაურჩებას ვბედავ და ვრისკავ.
ხმინებს ცრემლი, მიბასუხე, რატომ და რისგან!
აღბათ, ამ ხმებშიც ცნაურდება სხვა ალიანსი
და ამდლებულ სამრეკლოზე, ნისლიან სერთან
ცის საიდუმლო მანუსკრიპტი კრთის მთვარიანში
და დაბადება იკითხება სიკვდილთან ერთად...”

(ჯ. აჯიაშვილი, 2007, გვ. 8)

წელან მკითხველის ფაქტორი ვახსენე. ჯემალ აჯიაშვილის სონეტებიდან დიდი წიგნიერება ირეკლება, დიდი ცოდნა და განათლება. მათში განშტოებულია ბიბლიური ძალმოსილება და ღვთაებრივი სული. სწორედ ამიტომაც ამ სონეტებს ერთგვარი საგანმანათლებლო მისიაც აქვთ დაკისრებული. ეზიარო მათ სამყაროს, ნიშნავს, რამდენიმე საფეხურით აშორდე არაფრისმოქმელ ჰორიზონტალურობას, უფრო ახლოს დაინახო შენი თავი, შენი მე, მიუახლოვდე მშვენიერების უბრალოებას, უფრო ჯანსაღმა გაირბინო წუთისოფელი.

ბევრი რამის თქმა შეიძლება ჯემალ აჯიაშვილის სონეტებზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ უზარმაზარ თემას წარმოადგენს მათი ბიბლიური მოტივები.

რადგან იმერეთში, ქუთაისში იწერება ეს პატარა წერილი, მინდა აღვნიშნო, პოეტი მშობლიური მიწის სურნელთა ისევ რომ საზრდოობს, მიტომაა თამამი და ამაყი, მიტომაა საოცრად ქართული და ხერხემალძლიერი. მისი ბანძა, მისი

კულაში, მისი ქუთაისი მსოფლიოში ყველაფერს ურჩევნია თავისი პირველყოფილობით, სისადავითა და უბრალოებით. შესანიშნავია მისი “ქუთაისი”:

“ფაზისის ტალღა, ფანფარები, რკინის ბელადი -
 დღე გუშინდელი, დღევანდელი - ფიქრად ავკეცე,
 მოჩანს ზარი და სამლოცველო, მოჩანს გელათი
 და კოშმარებში გახვეული ჩვენი სამხეცე.
 სულიკოს ეშხი, მგოსნის ლექსი, ლექსი ჟღერადი,
 ქალდვის ჩრდილი ირეკლება ღრუბლის სარკეში,
 და ქალებს ჩანგლავს დაშაქრული იზაბელათი
 სვანიძის ბიჭი - მექალთანე და მოანკესე.
 იცვლება კადრი - ფიქრის ბალი, ბალში ბორხესი,
 ბორხესის იქით - მოწამეთა და რიონჰესი.
 დროვ წარმავალო, შესართავებს თავსაც შეურთავ,
 ჩავცქერ წიაღებს, წიაღებში - უძრავ ფარაონს,
 ბორგავს მდინარე რომელიდაც ათასწლეულთან
 და მდინარეში აიეტის ლანდი ქანაობს...”

(ჯ. აჯიაშვილი, 2007, გვ. 50)

ჯემალ აჯიაშვილის სონეტები ქართული პოეზიის საგანძურს წარმოადგენენ. მათ იმდენად დიდი ხიბლი აქვთ საბუდარში მოქცეული, კარგა ხნის მერეც ნალდ მკითხველს არაერთხელ დააყოვნებენ საკუთარ ჭიშკართან.

დამოწმებული ლიტერატურა

- ჯ. აჯიაშვილი, 2007** - ჯ. აჯიაშვილი, სონეტები, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 9 თებერვალი, 2007.
- ჯ. აჯიაშვილი, 2007** - ჯ. აჯიაშვილი, სონეტები, ჟურნ. “ლიტერატურული პალიტრა”, 4 (31) აპრილი, 2007.
- შ. ბოსტანაშვილი, 2010** - შ. ბოსტანაშვილი, აიექა?, ჟურნ. “ჩვენი მწერლობა”, 9(113), 30 აპრილი, 2010.
- ე. ბუჯიაშვილი, 2010** - ე. ბუჯიაშვილი, დიურერის რაინდის საჭურველი, ჟურნ. “ჩვენი მწერლობა”, (108), 19 თებერვალი, 2010.
- ე. ბუჯიაშვილი, 2012** - ე. ბუჯიაშვილი, პოეტი გზადყოფნის მისტერიიდან, ჟურნ. “ჩვენი მწერლობა”, 4 (160), 24 თებერვალი, 2012.
- ალ. გეგეჭკორი, 2001** - ალ. გეგეჭკორი, “ჟამი არს... სიტყვისად“, გაზ., “ჩვენი მწერლობა“, № 49 (75), 7 - 14 დეკემბერი, 2001.
- თ. მირიანაშვილი, 2004** - თ. მირიანაშვილი, ჯემალ აჯიაშვილის დიდი შემოქმედება, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 31 დეკემბერი, 2004.

GIA KHOFERIA**ABOUT SOME PECULIARITY OF SONNET OF
JEMAL AJIASHVILI**

Creations of Jemal Ajiashvili is one of the main stream in Georgian works of art .His translations and original poetical creations are equally valuable. Jemal Ajiashvili was the first to translate the Psalms of David in a great skillful manner. As well as medieval Jewish poetic works (Moses ibn Ezra, Yehudah Halevi, Shmuel Hanagid, Shelomoh ibn Gebirol...), Sonnets of Petrarch, Michelangelo, Shakespeare and others.

Most essential are original poetic creations of Jemal Ajiashvili. His sonnets create totally different stage in our poetry with help of artistic imagination, linguistic simplicity, metaphorical variety and depth. The sonnets serve for formation of new perception among readers and helps in quest of his/her own place in the Universe. It is impossible to perceive the sonnets without human suffering, but one gets pleasure of the suffering and being in the world seems simple , as well as it appears to be easy to get deeply in aesthetic essence of life.

საად მაჰდი ჯაფერი

ტრანსპორტის მნიშვნელობა და მისი ეკონომიკური, კოლიტიკური და სოციალური გავლენა

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში სატრანსპორტო გადაზიდვის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებას და უზრუნველყოფს ეკონომიკურ აქტიურობას. სატრანსპორტო გადაზიდვების და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობა კი იწვევს პროდუქციის წარმოებისა და გასაღების შეჩერებას, მოცდენას და ზოგჯერ ამ რთული პროცესის სრულ პარალიზებას გარკვეული დროის მანძილზე, ხოლო მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება წარმოების გაგრძელების და მაქსიმალური ეკონომიკური მოგების გარანტიაა, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის.

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ უძველესი დროიდან დაწყებულ სატრანსპორტო საშუალებების გამოგონებისა და მოხმარების წარმატებულ მოდელებს, მათ გავლენას ეკონომიკურ პროცესებში. მაგალითად, თუ როგორ გაუხსნა ფართო ჰორიზონტი მსოფლიო ცივილიზაციების განვითარებას თავდაპირველად ბორბლის, შემდგომში კი ავტომატური სატრანსპორტო საშუალებების გამოგონებამ.

საერთაშორისო გამოცდილება იმის დასტურია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და ორგანიზება უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ განვითარებას. ტრანსპორტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რადგან, ერთი მხრივ, სატრანსპორტო საშუალებების წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება იწვევს მოსახლეობის ეკონომიკურ გააქტიურებას და ემსახურება მის შემდგომ კეთილდღეობას.

ექვგარეშეა, რომ ტრანსპორტი ნებისმიერი თანამედროვე ქალაქისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და როცა ეს სისტემა გამართულად და ეფექტურად მუშაობს, ქალაქი წარმატებით ვითარდება, ვინაიდან იგი წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც სასიცოცხლო გავლენას ახდენს ქალაქის ინფრასტრუქტურაზე.

დ. سعد مهدي جعفر

اهمية النقل وتأثيره من الناحية الاقتصادية والسياسية والاجتماعية

المقدمة

حظي النقل على اختلاف صورته بأهمية متميزة عن بقية عناصر الإنتاج الداخلة في العملية الصناعية فهو يشكل البناء الارتكازي لأي نشاط اقتصادي، وهذا يعني انه الأساس لبقية النشاطات الاقتصادية. فغيابه يعني فشلاً في استدامة الإنتاج أو تعثراً بوتيرة نموه وبالتالي شللاً كاملاً في الأمد القصير، وحضوره يعني استمراره في الإنتاج وتعظيماً في الإرباح وزيادة في المنافع الاقتصادية عامة والربحية خاصة. وان الهدف الرئيس للنقل وعلى اختلاف أنماطه هو تقديم أو تقريب الخدمات إلى المراكز الحضرية. وهذا يعني إن أي مشروع نقل يهدف خدمة المراكز الحضرية بنشاطاتها الاقتصادية المتباينة. إذ أن النقل يعد أهم وأخطر نشاط اقتصادي يؤثر بشكل فعال ومباشر على الاقتصاد القومي. وسوف نتناول في بحثنا كيف إن الحضارات القديمة نجحت في ابتكار العجلة لتكون خير عون للإنسان في نقل ودفع حمولة أكبر من قدرته العضلية المحدودة. وعلى هذا فان ابتكار العجلة في حضارة الرافدين فتح آفاقاً رصينة وواسعة في تطوير صناعة النقل. وتؤكد التجارب العالمية على أهمية تطوير قطاع النقل العام وتنظيمه لارتباطه بالتطور الحضاري والعمراني للدول حيث يؤدي قطاع النقل دوراً حيوياً في مختلف جوانب الحياة الحديثة نتيجة اعتماد السكان على الأنشطة الاقتصادية بصورة فاعلة لتحقيق أعلى متطلبات النقل للأفراد والبضائع. وقد عرفت قضايا النقل بأنها شائكة ومتعددة الأبعاد فالتخطيط لها يتطلب توضيح الأهداف المنظمة والمنسقة والمخصصة لكل مدينة وبيئة فقد كان هناك العديد من الدول ممن تركز على بناء شبكات الطرق وإدارة أنظمة النقل والمرور واستخدام تقنيات النقل الذكي. إمالان فقد بدأ الاهتمام واضحاً على الدور الرائد لاستخدام الأراضي والاتصالات (كوسيلة للحد من الحاجة للنقل). كما إن تخطيط استخدامات الأراضي يعزز توفير تعدد الأنشطة الحضرية والتوسع الرأسي والتخطيط الحضري السليم للحد من رحلات المركبات. لا شك إن واحداً من أهم العناصر في أي مدينة حديثة هو نظام النقل في تلك المدينة وإذا كان هذا النظام فعالاً يمكن القول – حينذاك – إن تلك المدينة متقدمة بصورة جيدة لأن النقل هو العامل الرئيس الذي يؤثر في البنية التحتية للمدينة.

المبحث الأول تطوير النقل

يرتبط تطور النقل بظهور الإنسان ويعني ذلك إن النقل وجد بوجود العنصر البشري فحركة الإنسان وانتقاله من مكان إلى آخر ماهرة إلا حركة نقله تحققت تلقائياً ما بين نقطة وأخرى واستهدفت تلك الحركة إشباع رغباته الاقتصادية لتحقيق مصالحه ومنافعه الذاتية وهكذا باتت تلك الحركة فتحاً جديداً لقصة النقل في موطنه الأول الأرض.

وتوسعت دائرة النقل للإنسان بواسطة المشي والانتقال مما أدى إلى توسيع احتياجاته الاقتصادية حيث تعاضم انتشار الإنسان في أقاليم متباعدة ومتباينة من حيث المكان والمسافة مما أدى إلى تغير في نمط وسلوك تعامله الاجتماعي ولم يحدث مثل هذا التطور الاجتماعي إلا بعد تحوله من حياة الجمع والصيد والزراعة في الأقاليم التي استقر فيها، وتوسعت رغباته الاستيطانية حتى غدت حياته واضحة في النهج الاقتصادي الذي خطه في حياته الجديدة.

واستخدم الإنسان وسائل نقل بسيطة في تركيبها كاستخدامه الأيدي لنقل ما يمكن نقله والأكتاف والظهر من دون استخدام أية وسيلة مساعدة أخرى.

وقد ميز الخالق - جلّت قدرته - الإنسان على الحيوانات كافة بكثير من الصفات تعدّ نعماً من الله التي لا تحصى، (وإن تعدوا نعمة الله لا تحصوها) فهناك حيوانات استخدمها الإنسان كوسائل نقل بديلة عنه لتحملها نقل البضائع ولقطع المسافات الطويلة في المناطق المختلفة.

وعليه، فإن أقدم أشكال النقل على الإطلاق هو السير على الأقدام.

ومهما يكن من أمر فإن وسائل النقل الحديثة التي سعت إلى توفير النقل السريع كجهد أقل وزمن أقصر كلها عملت على تحقيق هذه الأهداف ففي حالة الإزدحام الشديد تصل الحركة النقلية لزوتها عندها يكون السير والانتقال بواسطة الأقدام أفضل مكان إلى آخر.

وعليه يمكن إن نستنتج حقيقة رئيسة وهي إن لاتجارة بدون نقل ولا نقل بدون تجارة أي إن هناك علاقة جدلية بين الواسطة وما ينقل بواسطتها وما يترتب عليهما من آثار اقتصادية والذي يدفعنا إلى القول إن هناك ربط بين تحقيق الغاية والواسطة التي تستخدم من أجل تحقيقها.

إن ميلاد العجلة يعد طفرة ونقل مميّزة في صناعة النقل نوعاً وكما وهي بمثابة ثورة صناعية غيرت طبيعة العلاقات الاجتماعية والاقتصادية والتي تمثلت بالزيادة والنمو الهائل بما تحمله العربة التي تجرها الحيوانات من زيادة في نمو العلاقات الاجتماعية.

وزادت الفائدة الموجودة منها إذ انتشرت العربة ذات العجلتين وحتى ذات العجلات الأربع وذاع خبرها وانتشرت قيمتها مما ساعد على سرعة انتشارها في الأقاليم وقد حدثت هذه التغيرات عام 3500 ق.م في الشرق الأوسط عامة وفي حضارة بلاد الرافدين خاصة.

وبناء عليه يمكن إن نقول إن الطرق البرية عرفت في التاريخ القديم وفي كافة مراحلها وذلك لأهميتها لحياة الإنسان وما تحتاجه من خدمة هو بأمر الحاجة إليها وكانت القوافل التجارية هي الواسطة الرئيسة لإيصال تلك الحاجات والاحتياجات وقد سميت الكثير من هذه الطرق بشكل واضح وهي كالاتي:

- 1- طريق الحرير.
- 2- طريق التمور والعاج والتوابل.
- 3- طريق الذهب والحجارة الكريمة.
- 4- طريق نقل مواد إنشائية تدخل في عملية البناء كالرخام والخشب.
- 5- تجارة المعادن التي تدخل في صناعة الأسلحة مثل الحديد والنحاس في أوروبا.
- 6- تجارة المواد التي تدخل في صناعة الأصباغ والملابس من السواحل الفينيقية.
- 7- تجارة ورق البردي وكانت مصر هي الممول الرئيس في هذا النشاط وكان لهذه الطرق البرية ودورها التجاري ذات الأثر الواضح في تطور العلاقات الاقتصادية والاجتماعية وبناء الحضارات في المشرق العربي.

وتعد فرنسا البلد الأوربي الأول من حيث اهتمامها برسم سياسة نقلية تؤكد على أهمية إنشاء الطرق المعبدة وصيانتها.

- وفي عام (1747) تأسست أول منظمة حكومية مهمتها الرعاية والإشراف على عملية مد الطرق.
- إما بريطانيا فإن اهتمامها بالنشاط النقلى جاء استجابة طبيعية لقيام الثورة الصناعية فيها وما يتطلب ذلك من انجاز شبكات نقل متعددة.
- وفي أواخر القرن الثاني عشر عام 1794 شهدت الولايات المتحدة أول طريق مرصوف وعام 1820 ظهور السكة الحديدية.

وفي القرن التاسع عشر تم اختراع السيارة وظهرها بشكل مرن جعلها عنصرا فعلا في تطوير عملية النقل التجاري في السنوات الأولى من بدء القرن العشرين. وازدادت رعاية الدول في العالم لقطاع النقل على اختلاف أنماطه باعتباره عنصرا مهما في العملية الصناعية والتسويقية إن لم يكن من أهم بقية العناصر الأخرى التي تدخل في إنجاح المشروع الصناعي وتعظيم أرباحه حاليا ومستقبلا.

وقد تمثل هذا الاهتمام عند الدول الأوربية في الربع الأول من مطلع القرن العشرين خاصة بعد الحرب العالمية الأولى آذ تعاضم دور النقل بشكل بارر إذ احتل مكانة متميزة من بقية العناصر الحضارية أو المؤشرات التقنية الحديثة في خطط التنمية الاقتصادية حيث مدت أسلاك كهربائية لنقل الطاقة لمسافة تزيد عن 1600 كيلو متر ومدت أنابيب لنقل النفط والغاز إلى مكان تسويقها وتصديرها.

- وهنا يتبادر إلى الذهن سؤال هو، إذا كان النقل يحظى بمثل هذه الأهمية فما هو ياترى دور النقل في الاقتصاد القومي؟

وللإجابة على هذا التساؤل يمكن إن نوضح العلاقة بين النقل والاقتصاد القومي لأية دولة وفق التصور الآتي:

- 1- يعد النقل احد عناصر الإنتاج الاقتصادي الفاعلة والمتمثلة بزيادة القدرة الإنتاجية عن طريق مسارين رئيسيين هما: تحقيق نفقات العمل عن طريق الاستخدام الأفضل لبقية عناصر الإنتاج في النشاط الاقتصادي أو عن طريق تعظم الوفورات. وهذا ما يوضح دور النقل في عملية الإنتاج و المرودات الربحية بعد إن يتم التنظيم ما بين الطلب والإنتاج.
- 2- يقوم بنقل الأيدي العاملة ولنضرب مثلا على ذلك فإن ميناء بومباي وهو اكبر ميناء في آسيا تعداده السكاني من 7-8 مليون نسمة مساء وفي الصباح يكون تعداده عشرات الملايين وهذا ما يوضح دور النقل في عملية الإنتاج.
- 3- يقوم النقل بتعظيم المرود الاقتصادي لأية سلعة مصنعة جاهزة للنقل.

المبٹ الثانی

أهمية النقل

أولاً: أهمية النقل على النشاط الاقتصادي

إن أي مشروع اقتصادي صناعي زراعي تجاري هو بحاجة ماسة لكافة وسائل النقل كافة وبناءاً على ذلك فإن النقل يعمل على تقريب الحاجة الاقتصادية إلى مستهلكها بصيغة أكثر نفعاً وأسرع وقتاً. إما المناطق البعيدة فإنها ستحصل على نفس تلك الخدمات وبنفس الأجر لكن بوقت متأخر قليلاً نسبياً، ويعد النقل عاملاً مهماً وحاسماً في نقل المنتجات الزراعية من حقول إنتاجها إلى مناطق تسويقها فبسبب توفر النقل أصبحت تلك الحقول الزراعية آمنة على منتجاتها وبالتالي فإنها ستستمر في توسيع الرقعة الزراعية مستقبلاً.

ولا ينكر للطرق من أهمية في تطوير العراق اقتصادياً واجتماعياً وثقافياً وتتجلى هذه الأهمية بشكل واضح من العراق الذي ظل مدة طويلة منعزلاً عن بقية أرجاء العالم في حين نجد بحكم تخلف النقل ما يستورد محدوداً فإن القليل الذي يصله منها كان ينحصر ببعض مدنه ولا يتغلغل إلى الأرياف بسهولة فبعد الحرب العالمية الأولى لم يكن هناك إلا سكة حديد واحدة طولها (210) كم وأصله بين بغداد وتكريت ولم يكن ماهو معروف في وسائل النقل كالسيارة أو الطرق المعبدة إلا بمحدودية جداً فالواسطة التقليدية الشائعة آنذاك كانت العربات التي تجرها الخيول على الطرق غير المعبدة كما هو شأن آنذاك في بغداد. وفي الصناعة يحتل النقل دوراً رئيساً وذو فاعلية أكبر من أثره في المجال الزراعي. فالمشروع الصناعي الحديث والمتميز بضخامة إنتاجه نجد أن دور النقل تتضاعف أهمية في العملية الإنتاجية إذ تصل تكاليف وأجور النقل إلى (40%) أربعين بالمائة من إجمالي الإنتاج لعدد من الصناعات في الاتحاد السوفيتي عام (1948)، أما في بريطانيا فإن تكاليف وأجور النقل وصلت إلى (30%) ثلاثون في المائة من إجمالي تكاليف الإنتاج. ووصلت إلى خمسة أضعافها في الولايات المتحدة الأمريكية. وهذا يعد (المركبة) من أخطر المنافسين للسكك في مجال عملية النقل بسبب ماتمتاز به من مرونة عالية في مجال النقل.

- إما الطائرة فتعد واسطة نقل مهمة فقد جاء استخدامها بعد أن استقرت هذه الصناعة وتطورت ففي عام 1910 فتحت بريطانيا أول خط تجاري استخدمته الطائرات الحربية بعد أن تم تحويلها بشكل يناسب الوظيفة التجارية المدنية.
- وقدمت الحكومة البريطانية دعماً إلى شركة الخطوط الجوية الإمبراطورية لما وراء البحار يعادل ما يقارب (24%) من مجمل إيرادات الدولة لعام 1937 في حين نرى أن شركة Air France (الخطوط الجوية الفرنسية) حصلت على إعانات مالية من الحكومة الفرنسية بلغت (66%) في نفس السنة.

وخلال النصف الثاني من القرن العشرين بعد سنة 1950 استطاع النقل الجوي أن يعمل وحده دون إعانة أو مساعدة يعدّه ناقلاً جويًا متمكناً يمتلك القدرة الكافية.

نجحت الصناعة الجوية بطرح ناقلات جوية متطورة من حيث القدرة والكفاءة النقلية والتشغيلية في إن واحد فضلاً عن القدرة العالمية في السرعة.

وبسبب التكاليف العالية التي تحتاجها صناعة الوسائط النقلية الجوية نجد أن نفقات النقل جاءت باهظة بالمقارنة مع بقية وسائل النقل الأخرى وبسبب ذلك اقتصر النقل الجوي على البضائع المرتفعة في قيمتها والحقيقة من حيث وزنها أو أنها تتعرض إلى التلف إذا ما تركت فترة محدودة من دون نقلها كما إن النمو الاقتصادي العالمي أدى إلى التأكيد على أحجام الطائرات من حيث الحجم والكفاءة التشغيلية والسرعة.

ومن المفهوم أن الرعي التجاري ارتبط أساساً بتوفير وسائل النقل التي عمدت إلى تسهيل عملية تسويق المنتجات إلى الأسواق القريبة ولولا ذلك لما اختلفت مناطق الرعي في العالم الجديد عن مثيلاتها في القارة الإفريقية.

واحتلت السكك الحديدية الأهمية الأولى بفعل دورها البارز في تسهيل عملية نقل الماشية إلى إقليم الذرة وقبل مد السكك كانت أعداد كبيرة من هذه الحيوانات تهزل وتتلف دون الاستفادة منها وبناءاً على ذلك يمكن القول بأن السكك كانت مسنولة بشكل واضح في توسيع ونشر نظام الزراعة الواسعة بسبب توفر سكك الحديد وامتد هذا

التطور إلى بقية أنماط النقل الأخرى ومنها النقل البحري فهناك اتجاه واضح في إنجاز إجماع كبيرة من البواخر من أجل تخفيض كلفة وحدة البضاعة المنقولة عليها. وتعد اليابان الدولة الرائدة في مجال هذه الصناعة إذ نزلت إلى المياه ناقلات بترويل نפט ذات قدرة بقتل مليون طن فضلاً عن التطورات الحديثة التي أدخلتها بقية المرافق الأخرى في هذا المجال الصناعي النقلي.

ثانياً: أهمية النقل وأثاره في المجال السياسي

إن الدولة القوية هي الدولة التي تمتلك قوة كبيرة وهيمنة كاملة على مرافق وحدتها السياسية كافة ولا يتم ذلك إلا بفضل ما تمتلكه هذه الدولة من شبكة عالية ومن الجائز الصحيح القول إن الدولة الضعيفة هي الدولة التي يغيب منها النشاط النقلي وبالتالي فإن سيطرتها على وحدتها السياسية يكون هزلياً وما يترتب على ذلك من نتائج في جسم الدولة.

ولذا فإن الولايات المتحدة ترصد مبالغ طائلة تقدر بـ (25%) من ريع دخلها القومي إلى تنمية وتطوير جهازها النقلي، كما يمكن القول بأن تطور شبكات النقل واتساع خدماتها كان سبباً في تحقيق الوصول والاتصال بدلاً من العزلة وسبباً في زيادة الوحدة الوطنية والقومية للدولة الواحدة. ولكي تحقق الدولة مركزيتها الشديدة اتجهت نحو تركيز شبكة النقل في العاصمة.

لذا يعد النقل من العوامل المهمة التي تؤثر في القوة السياسية للدولة على أنها عامل مباشر في دعم الوحدة القومية. ويقدم لنا التاريخ أمثلة متعددة ومهمة على أهمية النقل في قوة بناء ونسج وتركيب الدولة فعندما أتم الإمبراطور اغطس الروماني فتح اسبانيا احتفل بهذه المناسبة بإصدار عملة كتب عليها (بسبب إتمام بناء الطرق) وليست هذه سوى حقيقة واحدة تساعد على تباين مدى الأهمية التي كان الرومان يعلقونها على إقامة الطرق في البلاد التي كانوا يفتحونها وبالطبع كان المقصود أصلاً من الطرق سرعة تحركات الجنود عبر البلاد ولكن أنظمة الطرق الكبرى هذه ساعدت على تشجيع التجارة والاتصال بالشعوب الأخرى.

ثالثاً: أهمية النقل على المرافق الاجتماعية

تتمثل هذه الأهمية بشكل واضح بدرجة التعمير الذي تسببه الوساطة النقلية للأقاليم النائية البعيدة وكثيراً ما تكون المركبات وطرقها المعبدة وخطوط السكك الحديدية مستنولة عن زرع بذور النوبات الحضارية التي من شأنها إن تكون مركزاً حضارياً في المستقبل.

وبحكم تطور وسائل النقل الحديثة من حيث السرعة في الأداء وحجم الوساطة النقلية وبسبب هاتين الصفتين أمكن إبعاد مقر السكن عن العمل ولذا فإن الفرد لا يهتم إذا ما رحل يوماً 75 كيلو متراً للوصول إلى مكان عمله وذلك لسهولة وسائل النقل داخل المدينة وخارجها وتنوعها وازدياد سرعتها وقد ساعد التوسع في انتشار المنازل وتبعثرها وزيادة محلات المنطقة الوسطى في المدينة والذي أوجد بدوره حركة ضخمة بين وسط المدينة ووسطها وألغى العكس صحيح.

وبحكم الواقع فالتقدم التقني في الوساطة النقلية من حيث القدرة العالية من حسن الأداء أو في إجماعها وطاقتها الاستيعابية للمسافرين أو نقل البضائع كلها ساعدت على تقريب الأقاليم البعيدة وجعلها قريبة إلى رغبات وحاجة الإنسان فهذه الوسائط النقلية تقدم المساعدات إلى تلك الأقاليم لتجمعها وتقديم كل الخدمات الصحية والاجتماعية اللازمة لها ولا يمكن أن تصل هذه الخدمات إلى تلك الأقاليم لولا توفر الوساطة النقلية السريعة على اختلاف أنماطها إذ إن لكل واسطة نقلية مجال عملها وتخصصها.

وبناء على ما سبق فإن النقل يعد أحد أهم النشاطات الاقتصادية المهمة في البناء الحضاري الحديث. وهكذا نجد إن مشكلة النقل أحد المشاكل المهمة في كثير من المدن الكبرى في الدول النامية وتتركز في وسط المدينة حيث توجد المحلات التجارية ودوائر موظفي الدولة والبنوك والإعمال والفنادق والمسارح وحيث تلقت فيها كل الطرق وتصيب معظم خطوط النقل السريعة والبطيئة للنقل العام والخاص.

1- مشاكل جنرية مثل زيادة إعداد السيارات وتؤدي إلى فوضى وسوء إدارة حركة السير وعدم تطبيق القوانين المرورية، والنمو السكاني الكبير وتوسع المدن، والتنظيم غير الملانم لاستخدام الأراضي.

2- اختناقات مرورية وارتفاع معدلات حوادث الطرق ومن المؤكد إن النقل العام في بعض الدول المتقدمة والكثير من الدول النامية تواجه مشاكل جمة مما استدعى تدخل الحكومات في هذه البلدان ويتراوح التدخل تحول الدولة من تملك النقل العام – ككل – الى الاشراف والتنظيم والتشغيل غير المباشر وأهداف تدخل الحكومات كثيرة ولكن أهم تلك الأهداف هي السلامة وكفاءة النقل ونتيجة لذلك فان نظام النقل العام يمكن تشغيله تحت المركزية او المحلية على حد سواء.

ويسيطر النقل الخاص بشكل عام على العديد من المناطق ويتم اللجوء إلى نظام النقل العام في المدن المزدحمة وفي الأماكن يكون اللجوء إلى النقل الخاص ليس رخيصا وليس عمليا في تلك الأماكن وفي هذه الحالة يكون النقل أكثر جاذبية ورغبة وعملي أكثر من بدائل الخاص وللنقل العام فوائد مهمة في المناطق ذات الكثافات السكانية العالية إذ إن استعماله يكون أكثر كفاءة وتأثيره على البيئة الطبيعية اقل من النقل الخاص لكن من مساوئ النقل العام انه بطيء ويتطلب انتقالات أكثر وعادة يلجا مخطوطو المدن إلى استخدام مسارات الطرق الدائرية في تطبيق نظام النقل لما لها من مميزات في سهولة الربط والوصول إلى معظم إحياء وأجزاء المدينة.

ثالثا: تجارب النقل العام في بعض المدن العالمية

(في مدينة البرازيل ملانم للبيئة وكفوء وصالح للتشغيل Curitiba تم تخطيط نظام نقل عام سمي بـ) بسهولة في مدن كبيرة حول العالم والدليل على نجاح تصميم هذا النظام هو ارتفاع نسبة استخدامه التي بلغت 85% من سكان المدينة.

إن المفيد في هذا النظام للنقل الجماعي يكمن في التفاصيل مثل شراء التذاكر مقدما لتجنب إحباط تأخير أزمنا التقاطر في عملية التشغيل واستخدام كود الألوان للخطوط ومجموعة من الأنظمة التي تصلح للنقل في المسافات المختلفة وقد اثبت هذا النظام color coding في كولومبيا وسمي نظام Bogotá نجاحه الكبير بحيث ألهم العديد من مدن العالم في تطبيقه كمدينة النقل العام فيها فضلا عن الخط البرتقالي في مدينة لوس انجلوس بكاليفورنيا وكنظام النقل المستقبلي في بنما وتجربة مدينة قرطبة بالبرازيل (عدد سكانها مليون ونصف المليون نسمة) تطوير نظام نقل عام (الذي تم اعتماده تقدا ملحوظا في تحسين تشغيل Bus way بالمدينة حيث يشكل نظام طريق الحافلة) الحافلات في مدينة تعاني من الازدحام ويعتمد هذا الشكل من النقل العام على:-

أ- إعطاء الأولوية لحافلات النقل العام على طريق وشوارع الحركة المرورية.

ب- تخصيص طريق ثابت لاستخدام حافلات النقل العام فقط.

استمرار تزايد الاعتماد على السيارات الخاصة والحاجة للتنقل يؤدي إلى زيادة الفجوة بين كثافة الحركة المرورية والطاقة الاستيعابية للطرق وتتطلب الحلول للمشاكل الحالية والمتوقعة تطبيق إستراتيجية ادفع؟ واسحب، التي يباثر فيها النقل الخاص سلبيا بالضرانب والتحكّم في طريق أنوصول وفرض سياسات ورسوم استخدام المواقف وفرض رسوم على الدخول للمناطق المزدحمة وعليه يتم سحب الركاب من السيارة الخاصة ودفع الركاب للنقل العام من خلال تقديم مستوى خدمة متميز وتأمين نظام مقنع ومستوى سلامة جيد وتوافق هذه الإجراءات مع تطوير النظم الحضورية الذكية ومفاهيم النقل الذكية وان التكامل بين جميع وسائل النقل هو السبيل الوحيد لتحقيق أهداف النقل الحضوري كتجربة مدينة برلين كمثال حيث يسكنها 4,4 مليون نسمة.

التوصيات

- 1- العمل على رفع الكفاءة العلمية والمهنية للعاملين كافة وعلى شتى المستويات من خلال إجراء الدورات التخصصية.
- 2- اتخاذ بعض الإجراءات اللازمة لمتابعة صيانة الطرق البرية والسكك الحديدية والقنوات البحرية والموانئ والمطارات للنهوض بواقع النقل إلى مستوى الدول المجاورة ودول المشرق العربي.
- 3- تفعيل وتطبيق نظام النقل المتعدد الوسائط وإعداد مشروع قانون للنقل الدولي المتعدد الوسائط للبضائع ولربط العراق مع الدول العربية ودول العالم الخارجي.
- 4- تطبيق مذكرة التفاهم بشأن التعاون في مجال النقل البحري في المشرق العربي وذلك لتحقيق نفس الأهداف حيث تم اعتماد مذكرة التفاهم بشأن إيفادات في مجال النقل البحري ضمن فعاليات الدورة الوزارية الثالثة والعشرين المنعقدة في دمشق خلال الفترة 9-12 أيار -مايو 2005.
- 5- تطبيق اتفاق السكك الحديدية الدولية في المشرق العربي 23 أيار 2005.
- 6- تفعيل وإنشاء شركات مشتركة بين الدول العربية للنقل المتعدد الوسائط مع وجود شريك أجنبي ذو خبرة كبيرة وعلاقات متميزة بدول العالم الخارجي لتقديم خدماتها بمستوى يوازي الشركات الأوروبية.
- 7- معظم الدول الأوروبية تقوم بإعادة هيكلة نظم النقل العام فيها لتحقيق الاستدامة البيئية لهذه النظم وان نظم النقل العام مازالت تؤدي دورا مهما في توفير سبل التنقل لفئات المجتمع التي لا تمتلك مركبات خاصة وكذلك كوسيلة لتقاضي الأزدحام لشريحة كبيرة ممن يمتلك مركبات خاصة.
- 8- إن رفع كفاءة وفعالية نظام النقل لا يقتصر على تشييد نظم جديدة عالية الكلفة بل قد يمكن تحقيقه من خلال تحسين استخدام المعدات والبنى التحتية للأنظمة القائمة.
- 9- أثبتت التجارب العالمية إن للقطاع العام الدور الهام في وضع النظم والتشريعات الخاصة للتشييد والإشراف على نظم النقل العام بينما يؤدي القطاع الخاص الدور الأكبر في تشغيل نظم النقل العام كما هو الحال في عدد كبير من الدول العالمية الكبيرة.
- 10- أثبتت التجارب ضرورة تكامل وسائل النقل العام مع بعضها البعض وبما يؤدي إلى رفع كفاءة خدمة النقل العام.

المصادر والمراجع

- 1- د. علي سعدي غالب - جغرافية النقل والتجارة - وزارة التعليم العالي والبحث العلمي - جامعة الموصل - مديرية دار الكتاب للطباعة والنشر - 1987 - ص 43.
- 2- د. سعد الدين عثمائي (تنظيم إدارة النقل) مكتبة عين شمي، القاهرة سنة 1975، ص 12.
- 3- لويس سي بييرس - ((الجغرافية العسكرية)) ترجمة د. عبد الرزاق عباس حسين - دار الحرية للطباعة والنشر بغداد سنة 1975 - ص 7
- 4- د. محمد فؤاد إبراهيم وآخرون ((مجلد المعرفة)) لبنان - مطبعة داغر، بيروت، سنة 1981 ص 122.

- 5- დ. محمد سالم فياض ((الطرق البرية في المشرق العربي)) مركز دراسات الوحدة العربية، ندوة المواصلات في الوطن العربي، الطبعة الأولى، بيروت 1982، ص152.
- 6- د. نعيم زكي فهمي ((طرق التجارة الدولية ومحطاتها بين الشرق والغرب وآخر العصور الوسطى)) الهيئة المصرية العامة للكتاب – المكتبة العربية رقم 132 القاهرة سنة 1973، ص154.
- 7- من مواقع عديدة على شبكة الانترنت.
- نحو تطوير نظام نقل عام آمن وفعال في مدينة الرياض – ورشة عمل – الهيئة العليا لتطوير الرياض 26-28 رجب 1421 هـ.
 - أهمية النقل ودوره في التخطيط العمراني – المهندس هشام بن عبد الرحمن العالج – جامعة الملك سعود 5003.
 - النقل الجماعي والحل المستقبلي لمشكلات المرور في المدن العربية، ندوة علمية المنعقدة خلال 22-24/4-1429 هـ الموافق 28-30/4-2008 م جامعة ثابت العربية للعلوم الأمنية.

DR. SAAD MEHDI JAFFER**THE IMPORTANCE OF TRANSPORT AND ITS IMPACT IN TERMS OF
THE ECONOMIC, THE POLITICAL AND THE SOCIAL**

That the transfer of different forms was distinct from the rest of the importance of factors of production within the industrial process is a master in building any economical activity, and this means that the basis for the rest of economic activity.

And the absence of means of transport failed to sustain production or stand-off that pace of growth and therefore a complete paralysis in the short term, and his presence means to continue in production and maximize profits and increase the economic benefits of public and private profit. And that the main objective of the transfer and the different patterns is to provide or bring services closer to urban centers. This means that any project aimed transferred its activities serve the urban centers of economic differentiated. As the transport after the most important and most dangerous economic activity affects the effective and direct the national economy. We will address in our research how ancient civilizations that succeeded in developing the wheel to be helpful to the human story in the transfer and payment of a larger payload capacity of the muscle Limited. Thus, the creation of the wheel in the civilization of Mesopotamia opened new horizons sober and wide in the development of the transport industry. And international experience confirms the importance of developing the public transport sector and organization of its connection to the cultural and physical development of the countries where the transport sector will play a vital role in various aspects of modern life as a result of the adoption of population on economic activities effectively to meet the transportation needs of individuals and goods. Delegation known as the thorny issues of transport and multi-dimensional planning is required to clarify their goals organized, coordinated and allocated to each city and environment, there were many countries who focus on building networks of roads and transportation systems management, traffic and use of intelligent transport technicians. But now it seemed clear interest in the leading role of land use and communication (as a means to reduce the need for transport). The land-use planning promotes the provision of multiple activities and urban expansion of the vertical and proper urban planning to reduce vehicle trips.

There is no doubt that one of the most important elements in any modern city is the transportation system in that city, and if this system can effectively say - then - that the city developed well because transportation is the main factor which affects the infrastructure of the city.

ალი ჰუსეინ ჰასან

**ოღუზური მოღმის ხალხთა
(თურქეთი, აზერბაიჯანი და ერაყის თურქმენები)
ანექლოტების ენა, სატირა და იუმორი**

ოღუზური ფოლკლორის ერთ-ერთი ჟანრია ანექლოტი. ენა, სატირა და იუმორი ანექლოტის მთავარი შემადგენელი კომპონენტებია.

ოღუზური მოღმის ხალხთა ანექლოტების ენა პირდაპირი, გულწრფელი და ადვილად გასაგებია. ანექლოტები, უმთავრესად, აწმყო-მყოფადითა და წარსული დროით გადმოიცემა. ოღუზური ანექლოტებისათვის დამახასიათებელია დიალოგით თხრობა. დიალოგების მიზანი მოკლე ფორმით, თხრობის გაგრძელების არიდებით ანექლოტის მკითხველამდე მიტანაა. თვალშისაცემია ოღუზური მოღმის ხალხთა დიალექტებზე გადმოცემული ანექლოტების სიჭრელე.

სატირა ანექლოტის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ზოგჯერ მთქმელი ანექლოტს გესლიანი, დამცინავი და ღვარძლიანი სიტყვებით გადმოსცემს და ამით უპირისპირდება უსიამოვნო მოვლენას თუ სიტუაციას. სატირა ხერხია, რომელიც ცუდ მხარეს "შემოვლითი გზით" აჩვენებს.

ანექლოტის ფუნქცია გაცინება და დაცინვაა, ზოგი ანექლოტით მოგვრილი სიცილი დარდის გაქარვება, გულის გადაყოლება, კეთილშობილი იუმორია, მაგრამ როცა ანექლოტი დასცინის ბოროტებას, ამხელს მას, ის უკვე იარაღია მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სტატიაში წარმოდგენილია ანექლოტები, რომლებიც ოღუზური მოღმის ხალხების ისტორიულ წარსულს, თანამედროვეობას, სოციალურ და ყოფით პრობლემებს სატირულ-იუმორისტული ფორმით გადმოგვცემენ.

სტატიაში წარმოდგენილი ანექლოტების გმირები არიან: ხოჯა//მოლა ნასრედინი, ინჯილი ჩავუში, ბექრი მუსტაფა, თემელი, დურსუნი (თურქეთი), ბეჰლულდა ნენდე, თემურ ლენგი, ქულუში (აზერბაიჯანი) და ა.შ.

ALI HUSSEIN HASSAN

**OĞUZ TOPLUMUN (Türkiye, Azerbaycan ve Irak Türkmenleri)
FİKRALARINDA DİL, HICIV VE MIZAH**

Türk folkloru, fıkra yönden oldukça zengindir. Bu zenginlikte fıkraların büyük yeri vardır. Bugün fıkra deyince aklımıza Nasreddin Hoca, Temel, Dursun vb. gibi herkesçe bilinen tipler aklımıza gelmektedir. Ünlü tiplerin yanında daha küçük bölgelerde bilinen bölgesel ve mahallî tipler de yaşamaktadırlar. İnsanları bazen güldürmek ve eğlendirmek; bazen de düşündürmek ve ders vermek amacıyla anlatılan, genellikle gerçek olaylara dayanan, kısa nesir şeklindeki halk anlatımlarımızı *fıkra* diye tanımlayabiliriz. Günlük hayatımızda konuşmamıza renk katmak; karşımızdaki dinleyici kitlesini uyarmak ve eğlendirmek amacıyla sık sık fıkra anlatma yoluna gideriz. Fıkra anlatırken içinde bulunduğumuz ortama vereceğimiz mesajın içeriği, fıkranın mizahî veya hiciv yönünün belirlenmesinde etkili olacaktır. Fıkranın üzerinde bilimsel çalışmaların yoğunlaşması 1950'li yıllardan sonraya rastlanır (Gönen 2009: 1). Fıkralar üzerinde birçok araştırmacı ve bilim adamı çalışmıştır: Pertev Naili Boratav, Şükrü Elçin, Şükrü Kurgan, Dursun Yıldırım, Saim Sakaoğlu vb.

Prof. Sakaoğlu, ünlü fıkra tipimiz Nasreddin Hoca ile ilgili birçok makale ve bildiri kaleme almıştır. O, "Ben, fıkra dinlemeyi Orta Anadolu'muzun ak sakallı delikanlısı Nasreddin Hoca'mızın nükteleriyle sevmeye başladım." (Sakaoğlu 2009:) Diyerek Nasreddin Hoca fıkralarının kendisi üzerinde yaptığı etkiyi dile getirmiştir. Ayrıca, Sakaoğlu'nun Konyalı olması Nasreddin Hoca ile ilgilenmesinin bir diğer sebebidir. Sakaoğlu'nun Nasreddin Hoca ile ilgili makalelerinin bazıları Nasreddin Hoca'ya atılan çamurları temizleme gayretini taşımaktadır. Bu yazılar ayrıca; hocalık kurumunun toplumdaki yerine uygun düşmeyen ve hatta bir insana yakışmayacak davranışları, Nasreddin Hoca'nın fıkralarında karşımıza kasıtlı olarak çıkarılana gerçekleri göstermek amacı gütmektedir.

Oğuz fıkralarının dili Türk dünyasının ayrılmaz parçası olmuştur. Oğuz fıkra lehçesi, bir Türk dünya kurarı. Bunun için de fıkra sanatı, uygun bir dil ve üslup kullanmak zorundadır. Fıkralar halk dili ve günlük konuşma dilinden beslenmiş, yerel dildeki sözcük, deyim, atasözü ve tamlamalarla zenginleştirilmiştir. Fıkralarda sade bir halk dilinin kullanıldığı görülür. Fıkralar genellikle anonimdir ve pek az eserin yazarı bilinmektedir.

Karadenizlilerin fıkra kişilerinden biri Laz karakteridir. Laz aptal ve komik çerçevesinde bir fıkra karakteri olarak kullanılmaktadır. Temel karakteri Karadenizlinin arasında bir orta zekası, karakteri ve olayları dayanarak, kendine özgü bir komik ya mizah anlayışına sahip olmaktadır. Temel, modern Türk folkloru içerisinde yaşamayı Karadenizlilerin orta sınıf halkını temsil etmektedir. Karadeniz fıkralarında geçen diğer kahramanlarının Temel, Dursun, İdris, Yunus, Fadime... vs. gibi isimler de değişiyor. Bazı

bulunan görüşlere göre, Temel fıkraları günümüzde temel fıkra kaynağından uzaklaşmış durumdadır, daha fazla medeniyet kültürü tarafından yaratılan mizah ürünleri kapsamına girmiştir.

Azerbaycan Türkçesi'nin özellikleri, XIII. ve XIV. yüzyıllarda doğmaya başlar. Türkiye Türkçesi ve Azerbaycan Türkçesi birlikte mütalâa edilmektedir. Dil özellikleri yönüyle Anadolu Türkçesinden farklı gibi gösterilen unsurlar aslında her iki Türkçe'de de aynıdır. Azerbaycan latifelerinde kullanılan şive genel olarak yerel şivedir. Coğrafi bakımından bütün milletlerin latifelerinin şekillenmesinde Azerbaycan Türkçesi önemli rol oynamıştır. Nüktelerde göze çarpan, özel bir dil, lehçe ve şivesi kullanılmasıdır.

Araştırmacılara göre Azerbaycan latifeleri iller arasında farklı şivelerle ile yayılmış ve söylenmiştir. Dolayısıyla latifelerde, Molla Nasreddin ve Behlül Deneme ve diğeri aynı lehçelerle söylenmiştir. Azerbaycan lehçesi Türkiye Türkçesinden farklı bir lehçeyle söylenmiştir. Azerbaycan dilinde üç dili özelliği (Osmanlıca, Farsça ve Arapça) bulunur. Azerbaycan Rus işgali altında kaldığı için Rus fonetiğinden de etkilenmiştir.

Irak Türkmen Türkçesi ile Azerbaycan Türkçesi ağızları arasında geniş bir benzerlik bulunmaktadır. Bu üç bölgenin dil özellikleri lehçe ve şive bakımından birbirine benzemektedir. Irak Türkmenlerin dil özellikleri Kerkük toplumu arasında yayılan nüktelerde yansımıştır. Kerkük lehçesi, Azerbaycan dilinden ziyade İran Tebriz diline daha benzerdir.

Fıkraları sözlü bir edebiyat olduğu için, fıkrada kullanılan sözcükler halk dilinden çıkan terimler ve sözlerdir. Aynı zamanda fıkralarda da türlü Arapça ve Farsça terimler kullanılmıştır. Oğuz Türkçesi bu nüfuzun dışında kalmamıştır.

Irak Türkmenlerinin fıkralarında da tarih canlılığını sürdürülmüştür. Fıkralarındaki sözcükler Kerkük lehçesinin özelliği korunabilmiştir.

Kuzey Irak'taki etnik dokunun Türklerden bir görünüş kazandığı ve egemen topluluğun Türkler olduğu biliniyor. Irak Kerkük Türkmenleri Osmanlı Devletinin coğrafyasından bir parça olarak, Osmanlı yazısına rastlanmıştır. Kerkük nüktelerin dil özelliği Osmanlı yazısı ile kayıt edilmiştir. Nüktelerde geçen sözcükler, Türkçe, Arapça ve Farsça'dan oluşmaktadır. Arapçakelimeler Fars yoluyla girmiştir.

Hiciv kelimesi, Arapça'dan türemiştir. Fıkralarda başlangıçtan itibaren ironik anlatım tutumu ve bunu ortaya çıkarmak için kullanılan hiciv teknikleri görülür. Fıkra olayın ironik anlayışı içerir ise onun baş komponent hicivdir. Oğuz fıkralarda hiciv ve mizah coğrafi bölgesine göredir. Karadeniz fıkralarında ehali ve onların işlevi komik şekilde verilmiştir. Bektaşî fıkralarında hiciv ve mizah kısa ve yumuşatıcı şekilde aktarılmıştır. Bazen bizzat Hoca bile komik dirimuna düşüp alayıcı şekline gelmiştir. Hoca//Molla sinkretik karakterdir. O bazen çokakıldır, bazen ise aptal durumuna gelmiştir, ama her zaman ironik ve komik anlayışlıdır. "Hoca'ya sormuşlaryeni ay doğduğunda eskisine ne yaparlar? Hoca – Kesip yıldız yaparlar – cevap vermiş" (Eski Şehir belediyesi 2013:20).

Karadeniz fıkralarında, deniz hayatı hakkında yazılan olaylar anlatılmaktadır. Deniz kıyılarında yayılan köyler ve meslekler hakkında hiciv temaları yoğunlaşmıştır. Bektaşî fıkralarına baktığımızda ise, hiç bir kişinin yüzünü kızartacak fıkralar olmadığı görülür; işbu fıkralar ince, hiciv içeren fıkralardır. Özellikle Bektaşî fıkraları dine fazla bağlı olmak üzere, bağınazlıkla, tutuculukla ilgili hicivler içerir.

Hoca'nın fıkralarında deęişik hiciv konuları buluruz. Azerbaycan letifelerinde ise hiciv tarzının aчыкча eęitici bir yönünün olduęu görölür.

Irak Türkmenlerin halk bilimindeise hiciv önemli bir yertutmaktadır. Nüktelerde kullanılan hiciv sanatında dünya görüşleri, yaşam biçimleri, doğumdan ölüme kadar geçen hayat evreleri, hikmetleri, sevinç ve hüznüleri bulabilmek mümkündür. En hicivli nükte teması Irak Kerkük Türkmenlerin nükteleridir. İşte bu nüktelergerçek olaylarla ilgili yazıldığı için, derin bir hicive sahiptir: "Cimrinin Hesabı", "Fitne", "Her Güzelin Aybı Olur", "Görmemiş"v.s.Irak Kerkük Türkmenlerin nüktelerinde çe°itlihiciv temaları şunlardır: Allah, ezan, namaz, iftar, fitne, namus, küfür, hasta, hırsız, borç, kıyamet, kazı, cimrilik, vs.

Mizah, Arapça'dan Türkçe'ye geçmiş bir sözcüktür.Oğuz toplumun fıkralarında mizah 13.yy.itibaran siyasî, iktisadî, sosyal ve dinî yönlerden ortaya konulmuştur. Mizah kişi ve toplum arasındaki komik ortam hazırlamasını sağlamıştır. Mizah hicivden farklı olarak, saldırmadan daha yumuşatarak dile geritilmiştir.Böylece komik durumun oluşturulmasına yardımcı oluyor.

"Hoca bir gün bir °ehre gidip pazara geçmiş. Adamın biri bugün günlerden hangisidir diye ısrar etmiş.Hoca - Ne bileyim oğlum, bu şehirde ilk kez gelmişim ve günler hakkında hiçbir şey bilemem. Eğer buralı kişiye sorsan iyi olur - cevap vermiş"(Kevseroęlu 1969 :7).

Fıkraların çoęu sosyal problemler içermektedir. Yoksulluk ve fakirlik hafif bir dille aktarılmıştır.

"Bu adam babasıyla beraber gezerkensokakta cenaze merasımı göründü. Bu adam babasına cenazenin nereye götürdüęünü sordu.

Babası:

- Cenaze öyle yere götürüyorlar ki nerde ne yemek, ne içmek, ne giyinecek °ey yok, yani hiçbir °ey yok deyince, bu adam:

- Aman babacıęım, bizim evimize getirmesinler, - korkudan bağırmış"(Dmitryev 1928:13).

Mizah, ki°inin kendi kendine veya ba°ka ki°ilerle derin ili°kiler kurmak için komik bir ortam hazırlamasıdır. Mizah gelenek ve kuralların sorgulanmasında önemli bir rol oynar ve mizahın iki amacı vardır: Saldırma ve savunma. Mizahın bir sanat olarak, siyasal, sosyal, kültürel ve ekonomik etkisi vardır.

Fıkralarda sosyal mizah önemli bir yer tutmaktadır. Fıkralarda topluma sosyal ve psikolojik birlik, dostluk, kardeşlik, hoşgörü, sevgi, saygı, sabır mesajları veren şahsiyeterin başında Nasreddin Hoca vebaşkakarakterler yaratılmıştır.Türkiye toplumunun fıkralarında sosyal mizah, toplumun her yönünü espri bir şekilde işlenmiştir. Irak Türkmen nüktelerinde ise kendine özgü en güçlü örnekleri sosyal mizah adı verilen nesir ve nesir ile manzum şiir nükteleriyle sunulmuştur.

Osmanlı devrinde padişahların güncel hayatları ve halkla ilişkilerini fıkralar sanatındakomik bir tarzla sunulmaktadır.Bu konu ilgiliİncili Çavuş fıkralarıçok meşhurdur.İncili Çavuş türk-mizah önemli simalarından birisidir. Esas adı Mustafa Çavuş'tur. 16. y.y ikinci yarısı ile 17. y.y ilk yarısında, I. Sultan Ahmet döneminde yaşamıştır. İncili Çavuş fıkralarıgenellikle saray ve sarayıda çalışan şahıslara ve özellikle Padişah ile ilgilidir. Mesela "Aman Padişahım" fıkrası örnek olarak getirebiliriz:

“İncili, padişahın emir üzerine vezirlerden birinin taklidini yaparak padişahı eğlendirmiş.

Bunu duyan vezir kızgın:

“İnciliyle bir ders vereyim de aleme ibret olsun!...” demiş.

Can derdine düşen İncili, padişaha durumu anlatmış.

Padişah:

“Hele sana dokunsun da göreyim! Ben de onu asarım!...” deyince,

İncili:

“Aman padişahım, o beni öldürmeden siz onu asarsanız olmaz mı?”(Ermiş 1999: 84-86)

Cumhuriyet döneminde de çok fıkra yazılmıştır. Mesela fıkra “Uşaklık” bunun göstergesidir:

“Atatürk, Dolmabahçe Sarayında misafir bir devlet başkanı şerefine yemek veriyordu. Garson elinde yemek dolu tepsiyle gelirken ayağı takıldı ve tepsi olduğu gibi yabancı devlet başkanının kucacağına döküldü. Ortalık bir anda karıştı. Herkes Atatürkün ne tepki vereceğini beklemeye başladı. O, beklenenin aksine garsona hiç kızmadı, devlet başkanına dönüp oldukça sakin bir sesle şunları söyledi; Ekselansları kusura bakmayınız, ben bu millete her şeyi öğrettim de bir uşaklık etmesini öğretemedim! “(Yücübaş 1983:35).

Azerbaycan’ın latifelerinde ise eski ve yeni çağ devleti ve liderleri espi bir mizah kavramda sunmaktadır. Bunun üzerine fıkra “Yehudinın Zekası” getirebiliriz:

“Telgraf: “Moskova. Kreml. Lenine. Yoldeş Lenin, fakir yehudiye yardım edin “. Ertesi gün Rabinoviçi gereken yere çağırırılar:

- Aklın başında mıdır? Lenin birkaç yıldır öldü?

- Eşşi, ne zaman size gerekir, Lenin daima diridir, fakir yehudiye gerektiğinde diyorsunuz çoktan öldü”(Refiq G. <http://kayzen.az/blog/letife/3413/stalin>).

Irak Kerkük Türkmenlerin nüktelerinde siyasi mizahın doğuşu ve gelişimi, cumhuriyetten itibaren başlamıştır. Bu sürede Türkmenler hakkında yaşanan acı bir katliam olayı üzerine siyasi nükteler yaratılmıştır. Esat NAİB’in ve KEVSEROĞU’nun nüktelerinde siyasi mizah temaları bu duruma güzel birer örneklerdir. Mesele “Yanlış Şöhret” bir mizah fıkrası olarak ifade ermektedir:

“Eskiden Kerkük’ün Koriya semtinde oturanlara derlerdi. Git, gide bu şöhret almış yürümüş, bazı da gülmüş konusu olduğundan Koriya’lıların hoşuna gitmez olmuştu. O sırada Erbil’li Abdulrazzak Ağa Kerkük’e gelir. Koriya’ya Sarıkehya’lı İzzet Paşaya mısafır olur.

Bunların ikiside suhbetli hoş, nükteçi kimseleri, ziyarete gelmiş olan Kerkük’ün o günkü semizce ve kanı ağır Kazısı, gittikten sonra Abdulrazzak Ağa, Paşaya?(Paşa Koriya’lılara sığır eti yenler denlemesi megerse yanlış bir şühret ve haksız bir iftiraymış.... eger doğru olmuş olsaydı, buya bisili Kazının şimdiye kader yenmiş olması lazım gelirdi)

Birsimi canabaza kasap kitmiş

Öyle görmüş de sağır zan etmiş” (Naib 1973: 25-26)

Kara mizah espi ve hiciv türlerinden biridir. Kara mizah yöntem olarak ironiyi kullanır. Genellikle ele alınan konular şöyle sıralanabilir: cinayet, ölüm, hastalık, savaş v.s.

Kara mizahı hiciv ve yergiden ayırmak zordur, ancak yergi çok daha acımasızdır. Nasreddin Hoca, Timur Leng, Bektaşî, Temel, Dursun fıkralarında kara mizah tarzı açıkça görünür. Şöyledir mesela fıkrada “Cehennem”:

“Vakti ve zamanı gelmiş, Temel ölüp ahirete göçmüş. Günahları bir hayli yüklü olduğu için de zebaniler, onu tekme döverek cehenneme buyur ederek, Temel kendisini dövenlere şöyle seslenmiş: “Bana bakın. Böyle yaparsınız buraya hiç kimse gelmez ha!”

Fıkralarda Nasreddin Hoca ve Timur Leng arasında geçen dialoglarda Timur’un haksız davranışı ve aynı zamanda yaptığı zulümler Moğul karakter ve liderlik anlayışını da göstermektedir. “Timur Lenk ve Ahiret” fıkrası iyi bir örnek verebilir:

“Timur Lenk, bir gün Hoca’ya sormu°:

- Acaba ahirette bizim mekânımız neresi olacak? Cennet mi, yoksa cehennem mi? Hoca, hemen kendini toplamış:

- Mübarek kalbinizi böyle şeylerle meşgul etmeyin, padişahım demiş.

Cennete gidip de ne yapacaksınız? Hülagü ve Cengiz gibi çok büyük hükümdarlar hep cehennem ehlidirler. Sizin gibi bir padişah onlardan aşağıkalır mı ki, cennete gitsin? demiş” (Rahmankulov 1997: 279).

Bu konuyla ilgili başka fıkralar da vardır: “En Korkunç Dilenci”, “Timur’un Suali”, “Kim Getirir Mutsuzluğu”, “Timur’un Rumuzu” v.s.

Bektaşî fıkralarında cennet, cehennem, kıyamet, kefen, kötülük, iyilik ve ölüm gibi temalar geçmektedir. Bektaş fıkralarında kara mizah gibi konular manzum şiir tarzda yazılmıştır.

Azerbaycan ve Irak Türkmen fıkralarında kara mizah sanatı açıkça görünür. Oğuz fıkralarında kara mizahın amacı, hiciv tarzıyla anlatarak topluma ders vermektir.

Türkiye, Azerbaycan ve Irak Türkmenlerin sosyal mizah konuları eşittir ama Türkiye’de dini yöne daha fazla önem verilmiştir. Zira Bektaşî ve Mevlevî tarikatları olarak din olayları daha fazla bulunmaktadır. Siyasi mizah olarak, bu ülkelerde tarih boyunca baskı, zulüm ve haksızlık yaşanmış, dolayısıyla bu durumlar fıkralara da yansımıştır. Kara mizah ise yaratıcılık bir tarzla sunmuştur. Kıyamet, cennet, cehennem ve ölüm gibi temalar ironi ve komik bir anlamda dile gelmiştir.

Fıkraların çabuk yaygınlaşmasına devletler arası sınır engel olamıyor. İşte o zaman dil, karakterler ve olay değişiyor, ama üslup tarzı değişmez.

Kaynaklar

ARASLI 2004-ARASALI H. (2004). Molla Nasreddin Latifeleri, Baku, Önder Yayınevi.

DMITRIYEV 1928-Äièòğèää Í. Ê. (1928). Bu Adam. Íñlâîñèèè òàèñò ñî ñèîâàğâî. Êâîèîâğââ: Êçääîèâ Êâîèîâğââñèîâî Âîñòî-ñâî Êîñòèòòòâ.

ERMİŞ 1996-ERMİŞ K. (1996), Ne Güzel Dünya Tarihinden Fıkralar, İstanbul, GÜN Yayınevi.

Eski Şehir Belediyesi, Eski Şehir Valiliği (2013), Türkiye, Akşehir, BABKA Yayınevi.

GÖNEN 2009- GÖNEN S.(2009). PROF. DR. SAİM SAKAOĞLU'NUN FIKRA İLE İLGİLİ ÇALIŞMALARININ BİBLİYOGRAFYASI, Arş. Gör., Selçuk Üniversitesi Fen-Edebiyat Fakültesi.

KEVSEROĞLU 1969-KEVSEROĞLU N. (1969). Nesreddin Hoca, Irak-Kerkük, Cumhuriyet Yayınevi.

NAİB 1973-NAİB E. (1973).Kerkük Nükteleri, Bağdat, Tadamun Basımevi.

RAHMANKULOV 1997-RAHMANKULOV F. (1997). “Türkmen Mizahı ve Nasreddin Hoca”. Uluslararası Nasreddin Hoca Bilgi Şöleni (Sempozyumu) Bildirileri. Ankara: Atatürk Kültür Merkezi Yay. 203-209.

SAKAOĞLU 2009-SAKAOĞLU A. (2009). Nasreddin Hoca. Ankara, Atatürk Kültür Merkezi Yayınları.

YÜCEBAŞ 2004-YÜCEBAŞ H.(2004). Türk Mizahçıları Nükteleri ve şairleri, L&M Yayınevi.

(Refiq G. <http://kayzen.az/blog/letife/3413/stalin>).

ALI HUSSEIN HASSAN

LANGUAGE, SATIRE AND HUMOUR OF THE JOKES OF THE PEOPLES OF OGHUZ DESCENT

One of genres folklore of the peoples of Oghuz Descent is the joke. Language, satire and humor are main components of the joke.

Jokes language of these people is simple straightforward, sincere and easy to understand. Mainly the jokes are represented of present-future and past time. The Oghuz jokes are characterized by a dialogue telling form. The purpose of the dialogues is to fetch up the to joke the readers in short form, with avoiding the narrative continuity. It is obvious the diversity of jokes in Oghuz peoples' dialects.

Satire - one of the main components of the joke. Sometimes the joke is told with wicked, venomous, mocking words confronted an unpleasant event or situation. Satire is the way of showing the bad side, “bypass route”. The function of a joke is to make laugh and making fun. Some Jokes bring sorrows away. It is a noble humor but when a joke is making fun of evil it has already become a tool in the fight against it.

In the report presents the jokes of the historical past and the everyday problems of modern life in Satires - comic form.

Is reviewed the some jokes about Hodja/Molla Nasreddin, Yñcili Çavuş, Bekri Mustafa Temel, Dursun(Turkey), Behlül Danende, Tamerlane, Qulu Pâyida(Azerbaijan), and others.

ჰაზიმ მოჰამედ ჰუსეინი

ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის თავისეზურება

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებისა და მისი მხატვრული აზროვნების ერთიან მთლიანობაში განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მან თურქულ სინამდვილეში პირველმა შემოიტანა ხელოვნების ახლებური გაგება, სამყაროს მხატვრულად აღქმას მან პირველმა მიუსადაგა დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობა და მეთოდი, მოგვცა ყოველივე ამის შეუდარებელი მაგალითები. ამავე დროს, ნაზიმ ჰიქმეთი არის თურქეთში მეცნიერულ-მატერიალისტური ხელოვნების თეორიისა და ესთეტიკის ფუძემდებელიც.

ისტორიაში ყოფილა ისეთი მაგალითები, როდესაც დიდ მწერლებს მხოლოდ თავისი მხატვრული შემოქმედებით კი არა, ხელოვნების შესახებ თავიანთი შეხედულებებითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ხელოვნების თეორიისა და ესთეტიკის განვითარებაში. მაგალითად, დიდრომ, ლესინგმა, შილერმა, გოეთემ, ტოლსტოიმ, გორკიმ და სხვა მწერლებმა მხოლოდ თავიანთი ნაწარმოებებით კი არა, მხატვრული აზროვნებითაც დაიკავეს ადგილი ხელოვნების თეორიასა და ესთეტიკაში. ამგვარი ხელოვნები ხელოვნების ახალ-ახალი კანონზომიერებების ძიების პროცესში ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს და ხელოვნების ახლებურ გაგებას თეორიულადაც აყალიბებენ. ამგვარად, როგორც შემოქმედებით, ასევე თეორიულ სფეროში გვევლინებიან ესთეტიკოსებად. სწორედ ასეთი ხელოვანია ნაზიმ ჰიქმეთი (ბაბაევი, 2010, გვ. 315).

ნაზიმ ჰიქმეთმა თავისი დროისთვის სრულიად ახალი კანონების დამკვიდრებით ეპოქალურ ბრძოლაში შემოქმედებითსა და თეორიულ ასპარეზზე ეს სამყარო გაითავისა, როგორც ესთეტიკურად, ასევე მხატვრულად და საშუალება მოგვცა ჩავლრმავებოდით მას. თუმცა, როგორც ცნობილია, ნაზიმ ჰიქმეთს არასოდეს დაუწერია ცალკე წიგნი ხელოვნების თეორიის, ესთეტიკის შესახებ. ამიტომ ის მკითხველისთვის ყოველთვის იყო და არის ხელოვანი და არა ხელოვნების თეორეტიკოსი ან ესთეტიკოსი. თუმცა ნაზიმ ჰიქმეთს, როგორც ახალგაზრდობის წლებში, ასევე მოგვიანებით აქვს დაწერილი სტატიები, სადაც ის წერს ხელოვნების არსზე, ძირითად კანონზომიერებაზე, სტრუქტურაზე, ფუნქციებსა და ჟანრებზე, ასევე ხელოვნების განვითარებაზე, მის კლასობრივ, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო თვისებებზე მსჯელობს თეორიულად და ჩვენ მას ვეცნობით როგორც ხელოვნების თეორეტიკოსსა და ესთეტიკოსს. ნაზიმ ჰიქმეთამდე თურქეთში არ არსებობდა ხელოვნების გაგების მეცნიერულ-მატერიალისტური თვალსაზრისი და, შესაბამისად, არ არსებობდა მხატვრული შემოქმედება ამ მიმართულებით.

ნაზიმ ჰიქმეთის აზრით, ხელოვანი მსოფლიოს ტრანსფორმაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამდენად, შემოქმედი უნდა იყოს პროგრესული, განმანათლებელი და, ამავე დროს, აქტიური, მოქმედი, სირთულეების დამძლვეი პიროვნება.

ამდენად, ნაზიმ ჰიქმეთისათვის სამყაროს მხატვრულად გარდაქნაში ამოსავალი წერტილი შემოქმედის მსოფლმხედველობაა, რომლის დამკვიდრებისთვისაც ის იბრძვის. ნაზიმ ჰიქმეთის აზრით, “ყველა დიდი ნაწარმოები ახალი ეპოქის მახარობელია“.

იგი არის თურქული ლექსის რეფორმატორი, მსოფლიო ლიტერატურაში უკავია გამორჩეული ადგილი. ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს თუ გამოვიყენებთ მისი პოლიტიკური მოსაზრებების დასაცავად, დავინახავთ, რომ ისინი სოციალური ხასიათისაა. ის სიახლეები კი, რაც ფორმის თვალსაზრისით დაამკვიდრა ნაზიმ ჰიქმეთმა, შემობრუნების წერტილი იყო პოეზიაში. შემოქმედების ადრეულ წლებში იგი ლექსებს სილაბური საზომით წერდა. მან დაანგრია მარცვლის ყალიბის საზომი და თურქული ენის მდიდარი ვოკალური შესაძლებლობების გამოყენებით თურქულ პოეზიაში პირველმა იხმარა “დამოუკიდებელი თავისუფალი საზომი“, რითაც ავანგარდული ლექსის პიონერი გახდა. ნაზიმ ჰიქმეთმა დივანისა და ხალხური პოეზია ეროვნულ ბრძმედში გამოაწრო, თანამედროვეობასთან სინთეზური შერწყმით უნივერსალურ ღონეს მიაღწია. ნაზიმ ჰიქმეთმა თურქული პოეზია ეროვნული მასშტაბებიდან მსოფლიო მასშტაბამდე აიყვანა. იგი გახლდათ წარმომადგენელი ისეთი მიმდინარეობებისა, როგორცაა ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი. ისეთი ლექსები, როგორცაა “კასპიის ზღვა“, “მტირალა ტირიფი“... ტექნიკური თვალსაზრისით, ამ მიმდინარეობის პროდუქტი და ექსპერიმენტი. ნაზიმ ჰიქმეთის პოეზია განიცდიდა რუსი პოეტების — მაიაკოვსკის, ილია სელვინსკისა და ელჟარდ ბაგრიცკის გავლენას.

Hazim Mohammed Hussein

خصائص التطور الشعري للشاعر ناظم حكمت وتأثره بشعراء الروس

هو شاعر وكاتب اسطوري ولد في مدينة سلانيك احدى ضواحي مدينة اسطنبول عام (1902) وتوفي في موسكو عام (1963) حيث يعتبر الشاعر الثوري الذي أسس المدرسة الواقعية الاشتراكية في الشعر التركي يختلف عن بقية الاصوات الشعرية بأسلوبه وفكره الجديدين وقد نُظِمَ الشعر وهو في سن الحادية عشرة من عمره وهو من عائلة تهتم بالأدب والشعر والفن وكان هذا المحيط الثقافي تجربة خصبة لنمو موهبته الأدبية. يُعد ناظم حكمت من أعظم الشعراء في تاريخ الأدب التركي بل ومن أبرز شعراء العالم في القرن العشرين إذ كان أديباً وفناناً متكاملًا فهو لم يكن شاعراً فقط وإنما كان كاتباً مسرحياً وروائياً ومترجماً ورساماً وعلى هذا الحال فقد تُغيرَ شعره تغيراً جذرياً حيث أصبح من رواد الشعر الحر في تركيا..

عاش ناظم حكمت حياة غير مستقرة ، إذ كان يعيش بحساسية الشاعر وقلق السياسي، فلا يمر حدث أو موقف من دون أن يكون له فيه رأي أو قصيدة أو مسرحية أو رواية ، فكان على المتتبع لحياته أن يراقب المصادر ويدقق مصداقيتها للوصول إلى ترجمة حية وصحيحة وموثقة توثيقاً علمياً. إن عدم الاستقرار الذي غلب على حياة ناظم حكمت ومطاردة السلطات الحكومية له في وطنه ، وحياة التنقل التي عاشها في بلدان أوروبا الشرقية ، ثم استقراره الطويل في موسكو برغم تكرار زيارته إلى تركيا ، جعلت منه إنساناً مغترباً يعاني الاغتراب والإغراب الذي لازمه طوال حياته

ناظم حكمت هو اول من طبق الشعر الحر وهو رائد هذا الشكل الشعري للأدب التركي المعاصر. استطاع الاستفادة من الشعراء الروس في هذا الشكل الشعري حيث عمل بعد ان استقر في اسطنبول في الصحف والمجلات واستوديوهات وقام بأصدار اولى كتبه الشعرية وكتب مسرحياته للفترة 1920 ولغاية سنة 1932. اشعاره الاولى التي تزامنت مع تراجع دور الامبراطورية العثمانية وما نتج عن ذلك من مشاعر وطنية اكتسبت أهمية كبرى. حيث لوحظ في اشعاره انه استعمل لغة تركية فصيحة وان اشعاره مرتبة حيث تناول فيها حب الوطن وربط الماضي بالحاضر. ناظم حكمت كانت اشعاره للفترة 1920-1932 تعتمد على المعنى المجازي وان اشعاره ذات خصوصية اي من النوع الفريد من الناحية الفنية ولقد كان له الفضل في كتابة الأشعار التي تقترب من الواقع وكما يلاحظ بانه قد استفاد من افكاره هذه بكتابة اثاره الاولى وكذلك استفاد من ذلك في كتابة مسرحياته ورواياته.

ناظم حكمت ليس شاعراً انقلابياً على الشعر التركي وإنما هو رائداً لتيار شعري خص به. وفي عام 1929 كتب ناظم حكمت قصيدته المعروفة (جوكوند وسياو) فأحدثت ضجة بين الأوساط الأدبية اتبع الشاعر فيها اسلوباً ثورياً ، وشكل القصيدة الحرة متأثراً بالأفكار الاشتراكية وقد قلده في اسلوبه ، الشاعر (الهامي بكر ته ز) (1906 – بقصيدة ثورية تعكس حياة كادح وكان متأثراً فيها بفكر ناظم حكمت التحرري وأسلوبه الجديد .

ويبرز ناظم حكمت من جديد عام 1930 شاعراً لامثيل له وفي عام 1931 يكتب قصيدته المشهورة (ان لم احترق أنا / ان لم تحترق انت / وأن لم نحترق نحن) . وفي عام 1933 يشتد الصراع بين القديم والجديد ، بين الفكر الكلاسيكي والثوري ، بين القصيدة الملتزمة والقصيدة اللاملتزمة ، بين تيار الشعر للشعب ، والشعر للشعر ، ويزداد حنق الشعراء والكتاب الكلاسيكيين الرجعيين على ناظم ، في حين يتأثر به شعراء وأدباء عديدون من الشباب ويبرز الشاعر والقصصي (صباح الدين علي) – (1906 – 1948) بفكره التقدمي كشاعر متميز عن بقية شعراء الهجاء .

وفيما يلي خصائص اشعار ناظم حكمت :

الخصائص المرئية: قام ناظم حكمت بتغيير تركيب الأبيات التقليدية وقام بكتابة الكلمات بحروف كبيرة وبحجم مختلف لذلك فان نظام الصفحة كان بشكل مختلف وبذلك فانه قد أكسب الصفحة الشعرية شكلاً

جديدا من ناحية الحروف والكلمات والأسطر. وهنا يلاحظ خروج معاني بعض الكلمات عن معناها الحقيقي.

2- الخصائص الصوتية: اشعار ناظم للفترة من 1929-1932 تعبر عن قيامه باطالة او اختصار الأبيات وأختيار القافية وان قيامه باستخدام وزن العروض تارة ووزن الهجة تارة اخرى يعكس الترتيب الفني والموسيقي والصوتي لأشعاره. وفي هذا المجال نلاحظ قيام ناظم حكمت بعمل مزج لأشعاره من الناحية الصوتية والمحتوى في قصيدته (سالكم صوغوت) وعمل على ايجاد توازن في عمل ذلك. ويبين لنا ناظم حكمت التكامل في الأصوات من خلال أثره مناظر انسانية من بلادي الذي يروي فيها قصة غرق زورق في بحر الخزر. حيث عمل ارجومند بهزاد على ايضاح ذلك من خلال الشعر الحر ومن خلال شرح كيفية كتابة الشعر الحر.

3- تقنيات مختلفة: لقد استفاد ناظم حكمت من التقنيات المختلفة في كتابة اشعاره الذي أصبح هو أول من كتبها بهذا الشكل الأبي الجديد.

ان قصائد ناظم حكمت أسير الاربعين حرامي والخيال المجروح هي من أقوى آثاره التي كتبها. وان قصيدته الخيال المجروح المنشورة في كتابه السابع تبدأ بالأبيات ادناه:

- اجتمعنا نحن اربعة اصداق في غرفة واحدة
- تذكرنا الايام الماضية مثل الحلم البعيد
- كانت عيوننا تنمع وقلوبنا حزينة
- جميعنا تحدثنا عن البلد طويلا طويلا.
- وتأتي أدناه مصرعين
- دق الطنبوره وأتى صوت التاريخ
- الرقصة الزيبكية تغلو حتى الجبل .

حين بلغ التاسعة عشر من عمره ، سافر الى مدينة باطومي للتعرف على أشعار ماياكوفسكي المكتوبة بأسلوب الشعر الحر . فأعجب بالشاعر السوفيتي (ماياكوفسكي) وأيقن إنه من الممكن معالجة القضايا السياسية المتعلقة بحياة الشعب عن طريق شكل جديد من الشعر فكتب قصيدته الرائعة في مدينة باطومي بعنوان (أجلارين كوزو) – عيون الجياع – عام 1921 التي يقول فيها :

لسنا بقلة

لاخمس لا عشر

بل لنا

ثلاثون مليوناً من الجياع

هم

لنا

ونحن

لهم

كالامواج

للبحار

والبحار

للامواج

تعتبر هذه القصيدة، اول قصيدة كتبت بأسلوب الشعر الحر في الأدب التركي المعاصر والمتأثره بأسلوب أشعار ماياكوفسكي، وهكذا نجد ان ناظم حكمت يعتبر الرائد الاول للشعر الحر في الأدب التركي. وبعد ذلك سافر الى موسكو، حيث درس ناظم حكمت في قسم علمي الأجتتماع والاقتصاد في (الجامعة الشيوعية لكادحي الشرق) سنة (1922 – 1925) . وفي موسكو أعجبت به تجربة الشاعر والصحفي الروسي (فلاديمير مايكوفسكي) ورؤية فسفولد ماير هولد الإخراجية المسرحية ، مثلما أثارت إعجابه أفكار

لینینن ٱیلولوژیة.ونستطیع القول هناك تأثير واضح وصریح على الشاعر والمسرحي ناظم حكمت على الرغم من أن قصائد ناظم حكمت الأولى كانت قد كتبت بأساليب تقليدية ، إلا أنه خلال مسيرته الشعرية طور لنفسه مفاهيم خاصة تغيرت بموجبها أشكاله الشعرية ، فقد كان مأخوذاً بمايكوفسكي ورواه المستقبليّة ، حيث جعل ناظم حكمت مايكوفسكي قائداً او قياده له ، وإستفادة ناظم في تلك الفترة من المدارس الشعرية التي كانت تظم نخبة مميزة مثل (İlya Selvinski ve Eduard Bagritski) وكانت العلاقة بينهم علاقة قوية جداً بحيث كان محتوى الشعر السوفيتي يخرج الى الوسط الثقافي مشترك بين ناظم حكمت وشعراء الروس .

إن وجود ناظم حكمت في موسكو هيا له الفرصة بأن ينخرط في الوسط الثقافي الروسي آنذاك وقد كان وسطاً يمتاز بالحراك الكبير . فتعرف عن طريقه على (فيسفولد ماير هولد) وهو منظر مسرحي ومخرج روسي الذي كانت له بصمة مميزة على نتاج ناظم حكمت المسرحي.

وقد كتب الناقد التركي فروزان خسرونكية يقول : (ناظم حكمت اول من حطم ناب الفيل في شعرنا لقد أتى بشعر ذي مفاهيم حية ، عطره ، مقابل ذلك الشعر الذاتي الفردي وقت دبت الحياة في اللغة التركية على يديه ، فانبعثت وتطورت ونبضت فيها الرجولة ، وأنت بصوت يحق لجيل الشباب ان يقول : (انه لي) . والواقع ان ناظم حكمت لم يحطم ناب الفيل في الشعر التركي وحده لنقل بأطمئنان انه ساهم، مع مايكوفسكي ولوركا ونيرادو وغيرهم في تحطيم نيوب فيله الشعر وقيمهم (العدمية الاصلية) .

لهذا فعند عودته الى تركيا كتب الكثير من القصائد المبتكرة والمسرحيات ونصوص الافلام ، وكسر الأسلوب التقليدي في كتابة الشعر الحر. وأصبح ناظم حكمت يقارن بكتاب مثل (فرديريكو كارسيا لوركا) و(لويس أراكون) و (بابلو نيرودا) رغم أنه يتحمل مسؤولية التشابه بينه وبين هؤلاء الشعراء ، ومدین لهم (ديون شعرية) في الشكل والرسيلة والأسلوب لكن شخصيته الأدبية هي الفريدة من نوعها من حيث أنه إستغل كل هذه العناصر لصناعة شئ ينفرد به هو وحده ، حيث نرى العديد من قصائد ناظم حكمت تحولت الى أغاني للمطرب التركي (زولفو ليفاني) كما تمت ترجمة قصائده الى أكثر من 50 لغة وحتى الأشعار التي نظمها ضد الحرب والأسلحة النووية لحنن وغناها أيضا مشاهير الفنانين مثل باول روبسون وبت سيجر وغيرهم .

وأكتسب ناظم حكمت شهرة كبيرة من خلال مشاركاته في المؤتمرات التي أقيمت في الخارج ومن خلال سفره الى مختلف بلدان العالم . وكثيرا ما نراه في أشعاره دعواته الى التسامح والتكاتف والإيثار بين أفراد مجتمعه وكان دائما ينظم القصائد الغزلية والرومانسية وكان بارعا في مزج الأشعار الوطنية بالأشعار الغزلية فإنتج قصائد رائعة في هذا المجال وكان يعتقد بأن الحب أساس كل شئ، أشعار ناظم حكمت كانت تنبع من تراب الوطن وتمتد فروعها وأغصانها لتصل إلى كل بقاع الارض.

في عام (1951) قرر بيريا الجلاد تصفية ناظم حكمت جسدياً فأجبر السائق الخاص بناظم حكمت بتهديده وتعذيبه هو وزوجته وأطفاله ليدبرَ عملية اغتياله بحادثة سير (قضاء وقدر) إلا ان السائق قام بالاعتراف لناظم تحت وطأة الشعور بالذنب. وفي انعام نفسه شعرَ ناظم أن حياته في خطر فاضطر أن يفرّ الى بولونيا واخذَ الجنسية البولونية وبعد ذلك ذهب الى موسكو حيث امضى حياته هناك حيث كان شعار ناظم حكمت هو الدفاع عن حرية الانسان وعن الناس المختصة حقوقهم وقد اتخذ من الشعر والمسرح اسلوبا لمواجهة الظلم والاستبداد واصبحت مواقف الجريئة والشجاعة مثلا يحتذى به من قبل الآخرين حيث كان يردد دائما :

يا ايها الفقراء في بلادي انا معكم

لم تحولني الريح الى ورقة في مهبا

لقد سقطت الريح امامي

وتوفي في موسكو عام 1963 ودفن في مقبرة اسمها (Ünlü Novo- Devičiye) وكتبَ على قبره القصيدة الموسومة (الرجل الذي يسير أمام الريح) Rüzgara karşı yürüyen adam .

المصادر

- 1- نسين (عزيز)، تعريف بالمسرح التركي، مجلة الموقف الأدبي، العدد (134)، (دمشق: اتحاد الكتاب العرب، حزيران 1982م).
- 2- مينة (حنا)، ناظم حكمت: السجن، المرأة، الحياة، ط1، (بيروت: دار الآداب، 1978م).
- 3- مايرخولد (فسيفلود)، في الفن المسرحي، تر: شريف شاكر، ج1، (بيروت: دار الفارابي، 1979م).
- 4- محفوظ (عصام)، مسرح القرن العشرين، ج1: المؤلفون، (بيروت: دار الفارابي، 2002م).
- 5- بليزائتون (كاترين)، مسرح ميرخولد وبريخت، تر: فايز قزق، (دمشق: المعهد العالي للفنون المسرحية، 1997م).
- 6- عبد اللطيف بندر اوغلو، اشارات اولية في الشعر التركي، الموسوعة الصغيرة 127، (منشورات دار الجاحظ للنشر – بغداد، 1983).

HAZIM MUHAMMAD HUSSEIN
SPECIAL CHARACTERISTICS OF NAZIM HIKMET POETRY

While reviewing the poetry and fictional way of thinking of Nazim Hikmet in one wholeness we should consider the following important factor: He was the first who launched new way of understanding of art in Turkish reality, matched the fictional perception of the world to the outlook of dialectic materialism and method, gave us the stunning examples of all of these. At the same time Nazim Hikmet is the founder of scientific-materialistic art theory and aesthetics. We can find number of examples in history when great authors contributed in the development of art theory and aesthetics not only with fiction works but also with their point of views about art. For example: Didro, Lessing, Schiller, Goethe, Tolstoy, Gorki and other authors took their places in art theory and aesthetics not only by their creations but by the fictional way of thinking.

Artists of this kind while searching for new regularities make fictional works and form new way of understanding arts theoretically. Thus, they make masters of aesthetics in the fields of arts and theory as well. Nazim Hikmet is the artist of this kind (Babaev 2010:315). Nazim Hikmet by establishing completely new rules for his time in the time struggle in the field of fiction and theory, perceived this world in aesthetic and fictional way and enabled us to have profound understanding of it. However, as it's a well-known fact, Nazim Hikmet had never written the book about art theory and aesthetics. That's why he's always been artist for readers and not art theorist and master of aesthetics. Though Nazim Hikmet wrote articles in the years of adolescence and later as well, where he writes about the essence of art, main regulations, structure, functions and genres, about development of art, he gives his theoretic reasoning about its class, national and universal characteristics and we get to know him as a master of art theory and aesthetics. Before Nazim Hikmet there were no scientific-materialistic viewpoints of art, accordingly there were no fiction writings in this direction.

In the opinion of Nazim Hikmet, artist is the constant part of world transformation process. Thus artist should be progressive, educative and simultaneously active person, able to overcome the difficulties. So for Nazim Hikmet main thing is the artist's outlook in the process of artistic transformation of the world, and he struggles to establish it. In Nazim Hikmet's opinion "all great works of art is the evangelizer of new epoch". He is the reformer of Turkish poem, holds the distinguished place in world literature. If we use his poems to defend his political opinions, they are of social character. As for the innovations Nazim Hikmet established in terms of form, was the point of coming back in poetry. In early years of his poetry he used to write with syllabic measurement.

He destroyed the measurement of cell mold and by the use of rich vocal capacities of Turkish language he was first to use "independent free measurement", by which he become the pioneer of vanguard poem. Nazim Hikmet melted the poetry of Divan and folk poetry in national pot, reached to universal level by synthetic

match with modernity. Nazim Hikmet took Turkish poetry from national to world scale. He was the representative of directions, such as futurism and constructivism. The poems such as “Caspian Sea”, “Crying Willow”, are the products and experiments of this direction in technique point of view. The poetry of Nazim Hikmet was influenced by Russian poets Mayakovski, Ilya Selvinski and Eduard Bagritski.

გარეკანის დიზაინი - ბელა ლაჭავაძე

"წელიწადეული" დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში
ნაბეჭდი ფორმა - 50,5

ტირაჟი - 100